თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

კრიმინალისტიკა

II ტომი

კრიმინალისტიკის კურსის II ტომის ავტორები არიან:

დოც. ა.კვაშილავა – XXVII თავის I განყოფილების §3
მასწავლებელი ვ.სიმონიშვილი – XXVIII თავი
პროფ. ა.ფალიაშვილი – XVI, XVIII, XIX, XXI, XXII, XXIII, XXIV, XXX თავები
პროფ. შ.ფაფიაშვილი – XVII, XX, XXV, XXVI, XXIX, XXXII, XXXIII, XXXIV თავები
პროფ. ზ.წულაია – თავი XXVII (I განყოფილების §3 გარდა)
პროფ. რ.ჭოღოშვილი – XXXI თავი

კრიმინალისტიკის კურსში საგამოძიებო, სასამართლო ორგანოებისა და საექსპერტო დაწესებულებების მიღწევების საფუძველზე გაშუქებულია კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიის, ტექნიკის (ტომი I), ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის (ტომი II) აქტუალური საკითხები. ძირითადად გადმოცემულია მეცნიერებასა და პრაქტიკაში მყარად დადგენილი დებულებები. ამავე დროს მთელ რიგ სადაო საკითხებზე მოყვანილია ლიტერატურაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება.

კრიმინალისტიკის კურსში გათვალისწინებულია ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც განიცადა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ.

რედაქტორები: ა.ფალიაშვილი, მ.ქურდაძე
რეცენზენტები: ო.ჟღენტი
ვ.ჯაოშვილი
გ.ივანიშვილი

რედაქტორებისაგან

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მსმენელები, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული მუშაკები კრიმინალისტიკის საკითხებს უკანასკნელ დრომდე სწავლობდნენ პროფ. ბ.ხარაზიშვილის მიერ 1969 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს მიხედვით.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, იგი უკვე ველარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა კრიმინალისტიკის ახალი სახელმძღვანელოს მომზადება.

კრიმინალისტიკის კურსში საკითხები განხილულია მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობისა და კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამის შესაბამისად. კრიმინალისტიკის კურსის I ტომში გაშუქებულია კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია და კრიმინალისტიკური ტექნიკის საკითხები, კურსის II ტომში — კრიმინალისტიკური (საგამოძიებო) ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის საკითხები.

კრიმინალისტიკის კურსში ფოტოილუსტრაციები გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიისა და ცენტრალური რესპუბლიკური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივიდან, აგრეთვე კრიმინალისტიკური ლ[illegible]ტორიიდან

გარდა სტუდენტებისა და ლექტორებისა კრიმინალისტიკის კურსი დახმარებას გაუწევს აგრეთვე გამოძიების, პროკურატურის, სასამართლოსა და ადვოკატურის პრაქტიკულ მუშაკებს. ყველა საქმიან შენიშვნას ავტორები გულდასმით განიხილავენ და გაითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

III განყოფილება

კრიმინალიტსიკური (საგამოძიებო) ტაქტიკა

XVI თავი
კრიმინალისტიკური ტაქტიკის ზოგადი საფუძვლები

§1. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება და არსი

კრიმინალისტიკური ანუ საგამოძიებო ტაქტიკა წარმოადგენს კრიმინალისტიკური მეცნიერების ერთ-ერთ დამოუკიდებელ დარგს. მარტო კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიისა და კრიმინალისტიკური ტექნიკის საფუძვლების სწორი განსაზღვრა და მათი გამოყენება ყოველთვის საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოხდეს დანაშაულის სწრაფი გახსნა, მისი თავიდან აცილება და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. ამ მიზნის მიღწევაში გარკვეულ დადებით როლს ასრულებს კრიმინალისტიკური ტაქტიკის ხერხების გამოყენება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

კრიმინალისტიკურ მეთოდოლოგიას, ტექნიკას, ტაქტიკასა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას საერთო ის აქვთ, რომ ყველა მათგანი უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს საპროცესო კანონის მოთხოვნებსა და პრინციპებს. ყველა ისინი მიმართულია იქითკენ, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლოში განხილვა მოხდეს ყოველმხრივად, სრულყოფილად და ობიექტურად. ყველა მათგანი მოწოდებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს დანაშაულის სწრაფი გახსნა, მისი აცილება და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

მიუხედავად საერთო თვისებებისა კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიის, ტექნიკის, ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას შორის არსებობს არსებითი ხასიათის სხვაობა, რაც იმით გამოიხატება, რომ კრიმინალისტიკის აღნიშნულ თითოეულ დარგს აქვს თავისი დამოუკიდებელი შესწავლის საგანი. მეთოდოლოგია განსაზღვრავს და შეისწავლის იმ პრინციპულ დებულებებს, რომლებიც გამოიყენება მთლიანად კრიმინალისტიკაში. კრიმინალისტიკური ტექნიკის საგანია იმ ტექნიკური ხერხების, საშუალებებისა და მეთოდების განსაზღვრა, რომელიც

გამოიყენება მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრებისა და გამოკვლევის მიზნით. კრიმინალისტიკური ტაქტიკა შეიმუშავებს და განსაზღვრავს იმ ოპტიმალურ, ეფექტურ ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებს, რაც საშუალებას გვაძლევს მიზანსწრაფულად და ეფექტურად დავგეგმოთ გამოძიება, მოვახდინოთ მისი სწორი ორგანიზაცია, ეფექტურად ჩავატაროთ საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებანი. კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტაქტიკა თავის პრაქტიკულ რეალიზაციას პოვებს ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკაში.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესთან. ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს საპროცესო კანონის მოთხოვნებიდან და მისი პრინციპებიდან. ტაქტიკური ხერხი, რომელიც ეწინააღმდეგება საპროცესო კანონის მოთხოვნებს არის უკანონო და არ შეიძლება მისი პრაქტიკაში გამოყენება, თუნდაც პრაქტიკული მიზანშეწონილების მოტივით, დანაშაულის გახსნის ინტერესებიდან გამომდინარე და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს მთელ რიგ ისეთი ტაქტიკური ხასიათის ხერხებს, რომლებიც ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და მათი გამოყენება დამოკიდებულია გამომძიებელზე (სასამართლოზე) კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96[1] მუხლი გამომძიებელს (სასამართლოს) ნებას რთავს დაკითხვის დროს გამოიყენოს მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა. ამავე კოდექსის 157-ე მუხლი ნებას რთავს გამომძიებელს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს 14-დან 18 წლის ასაკამდე მოიწვიოს პედაგოგი. საკითხს იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოხდეს ხმის ჩაწერა ან პედაგოგის მოწვევა განსაზღვრავს უკვე გამომძიებელი (სასამართლო) კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ ისეთ ტაქტიკურ ხასიათის ხერხებს, რომლებიც ატარებენ ალტერნატიულ ხასიათს. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად გამოძიება უნდა ჩატარდეს დანაშაულის გამომჟღავნების ადგილზე ან იმ ადგილას, სადაც ეფვმიტანილი, ბრალდებული ან მოწმეთა უმრავლესობა იმყოფება. ამავე კოდექსის 147-ე მუხლი ადგენს, რომ ბრალდებული უნდა დაიკითხოს დღისით, გარდა ისეთი

შემთხვევისა, როდესაც დაყოვნება შეუძლებელია. სარეკომენდაციო ტაქტიკური ხერხებისაგან განსხვავებით ალტერნატიული ტაქტიკური ხერხების გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია. ამ შემთხვევაში თვით კანონმდებელი მიუთითებს თუ რა დროს უნდა იყოს გამოყენებული ესა თუ ის ტაქტიკური ხერხი.

ბოლოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ისეთი ტაქტიკური ხასიათის ხერხებს, რომლებიც ატარებენ იმპერატიულ ხასიათს და მათი გამოყენება უკვე აღარ არის დამოკიდებული გამომძიებლისა და სასამართლოს შეხედულებაზე[1]. მაგალითად, სსს კოდექსის 71-ე მუხლი განსაზღვრავს იმ აუცილებელ შემთხვევებს, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნა კანონით არის სავალდებულო. ამავე კოდექსის 180-ე მუხლის ავალდებულებს გამომძიებელს მოიწვიოს ექიმი სპეციალისტი გვამის დათვალიერებისას ან დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღების დროს. კანონის ამ მოთხოვნის დაცვა სავალდებულოა გამომძიებლისა და სასამართლოსათვის. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა ან სპეციალისტის მოწვევა წარმოადგენს ტაქტიკურ საკითხს და იგი წყდება კონკრეტული პირობებისა და ვითარების გათვალისწინების საფუძველზე.

კავშირი პროცესუალურ კანონთან იმდენად მჭიდროა, რომ მთელი რიგი ტაქტიკური ხერხები, რომელიც შემუშავებულ იყო კრიმინალისტების მიერ შემდგომში შეტანილ იქნა საპროცესო კანონში, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება და მიიღო საპროცესო კანონის სტატუსი. მაგალითად, ამოსაცნობად წარდგენა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემთხვევის ადგილზე გაყვანა (შემთხვევის ადგილზე ჩვენების შემოწმება) წინათ წარმოადგენდა ტაქტიკურ ხერხებს. ამჟამად ისინი შეტანილია საპროცესო კოდექსში, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება (იხ.საქართველოს რესპუბლიკის 162-163-ე, 183-ე მუხლები).

ოპტიმალური და ეფექტური ტაქტიკური ხერხების შემუშავებისათვის საპროცესო კანონმდებლობის დაცვის გარდა ყურადღება უნდა მიექცეს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებას, აგრეთვე სხვა მეცნიერების მიღწევების გამოყენებას. კრიმინალისტიკური

---

[1]. იხ. Баев О.Я. Криминалистическая тактика и уголовно-процессуальный закон, Воронеж, 1977, с.32.

ტაქტიკის ხერხებისა და საშუალებების შემუშავება მჭიდრო კავშირშია მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორიცაა: ლოგიკა, ფსიქოლოგია, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ეთიკა.

ლოგიკურ მეცნიერებას მჭიდრო და დადებითი კავშირი აქვს ტაქტიკური ხერხების შემუშავებასა და მათ ეფექტურ გამოყენების სფეროში. გამომძიებლის ლოგიკური აზროვნების უნარი ხელს უწყობს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს ტაქტიკური ხერხების სწორ და ეფექტურ გამოყენებას, მტკიცებულებათა აღმოჩენას, თვით საგამოძიებო მოქმედების მოფიქრებულ და მიზანსწრაფულ ჩატარებას. ანალიზისა და სინთეზის შედეგად სწორად და ყოველმხრივად ფასდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია. ჰიპოტეზას დიდი მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო ვერსიების სწორი აგებისათვის. დედუქციისა და ინდუქციის მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა სწორად განვსაზღვროთ მიზეზობრივი კავშირები და ა.შ.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის განვითარების დარგში დიდია ფსიქოლოგიური მეცნიერების მნიშვნელობა და, განსაკუთრებით, სასამართლო ფსიქოლოგიის მიღწევების დანერგვა პრაქტიკაში. ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევების გამოყენება საშუალებას იძლევა შემუშავებულ იყოს ახალი, ეფექტური ტაქტიკური ხერხები. ფსიქოლოგიური მეცნიერების კანონზომიერებათა გამოყენების საფუძველზე ნორმალური ურთიერთობა მყარდება გამომძიებელსა და პროცესის სხვა სუბიექტებთან. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში განიმუხტება საკონფლიქტო სიტუაცია. დადებითი ემოციების ხაზგასმას და წახალისებას შეუძლია გამოიწვიოს სწორი და სრულყოფილი ჩვენების მიღება, დასაკითხ პირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ფსიქოლოგიურ ეფექტზეა გაანგარიშებული აგრეთვე ისეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება, როგორიცაა უკვე მოპოვებულ მტკიცებულებათა მთლიანი ან ნაწილობრივი წარდგენა დაკითხვის დროს, როდესაც პირი არ იძლევა სწორ ჩვენებას, ან გადაავიწყდა გარკვეული გარემოება და ფაქტები. ჩხრეკის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენებას, როგორიცაა გასაჩხრეკ პირზე ან მისი ბინის გაჩხრეკის დროს მასზე დაკვირვება მისი რეაქციის შეფასებისათვის. ამ ხერხის გამოყენება საშუალებას იძლევა ნაკ-

ლები ენერგიის დახარჯვით აღმოვაჩინოთ გადამალული საგნები, ნივთები, ფასეულობა და თვით სამალავები.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების დანერგვა ტაქტიკური ხერხების გამოყენების დროს საშუალებას იძლევა სწორად განვსაზღვროთ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების პირობები და მეთოდები; ეფექტურად, ოპტიმალურად და გეგმაზომიერად გამოვიყენოთ ტაქტიკური ხერხები; დავზოგოთ გამომძიებლის დრო, ძალები და ჯანმრთელობა; გააზრებულად ვისარგებლოთ საცნობარო მასალით, სარეგისტრაციო ინფორმაციით, მოვახდინოთ გამოძიების სწორი ორგანიზაცია და დაგეგმვა.

ეთიკური და განსაკუთრებით სასმართლო ეთიკის მიღწევების გამოყენება ასევე მჭიდრო კავშირშია კრიმინალისტიკურ ტაქტიკასთან. ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა შეესაბამებოდეს ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს. ტაქტიკური ხერხების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანურობას, ადამიანისადმი პატივისცემით მოპყრობას, ისეთი საკომპრომეტაციო და ინტიმური საკითხების გაუხმაურებლობას, რომელსაც კავშირი არა აქვს მოცემულ საქმესთან. ტაქტიკური ხერხების გამოყენების დროს სავსებით უნდა იყოს გამორიცხული ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, მუქარა და შანტაჟი. ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში მოქმედების შესრულება და ა.შ.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა გამოიყენებს აგრეთვე სოციოლოგიური, პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევებს ტაქტიკური ხერხების შემუშავებისა და მათი ეფექტური გამოყენებისათვის.

ტაქტიკური ხერხები შედარებით ხშირად გამოიყენება გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს, ვიდრე სასამართლოში საქმის განხილვისას. აქედან გამომდინარე იგი ხშირად წოდებულია, როგორც "საგამოძიებო ტაქტიკა". აქცენტის გადატანა მხოლოდ გამოძიებაზე ერთგვარად ზღუდავს ტაქტიკური ხერხების გამოყენებას სასამართლოში საქმის განხილვის დროს. სასამართლოში ტაქტიკური ხერხების გამოიყენება დაკითხვების, ნივთმტკიცების დათვალიერების, ადგილმდებარეობის დათვალიერების, ექსპერტიზის დანიშვნის, ხმის ჩაწერის და სხვა სასამართლო მოქმედებათა შესრულებისას. სწორედ ამიტომ უფრო მართლზომიერია მას ვუწოდოთ კრიმინალისტიკური და არა საგამოძიებო ტაქტიკა.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის სუბიექტია ის, ვინც იყენებს ტაქტიკურ ხერხებს და საშუალებებს გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს. მათ მიეკუთვნება: მომკვლელი პირი, ოპერატიული მუშაკი, გამომძიებელი, საგამოძიებო დანაყოფის უფროსი, პროკურორი და სასმართლო. იმ პირებს, ვის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იყოს ტაქტიკური ხერხები მიეკუთვნება: ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, სპეციალისტი, ექსპერტი, მოწმე, დამსწრე.

ტაქტიკური ხერხები გამოიყენება არა მარტო გამოძიების სწორი ორგანიზაციისა და დაგეგმვისათვის, არამედ, ძირითადად, საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებათა ჩატარებისას მტკიცებულებათა აღმოჩენის, გამოკვლევისა და სხვა გარემოებათა დადგენისათვის.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს დანაშაულის სწრაფი გახსნა, მისი თავიდან აცილება, შეიმუშავოს ეფექტური და ოპტიმალური ტაქტიკური ხერხები იმ მიზნით, რომ საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

კრიმინალიტსიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ კრიმინალისტიკურ ტაქტიკას ყოფენ ორ ნაწილად: ზოგადად და კერძოდ. ზოგადს მიაკუთვნებენ იმ ტაქტიკურ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება გამოძიების დაგეგმისათვის, მისი სწორი ორგანიზაციისათვის, ხოლო კერძოს მიაკუთვნებენ იმ ტაქტიკურ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს. ასეთი დაყოფა ატარებს მეტად პირობით ხასიათს.[2]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნების განსაზღვრა. კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, რომელიც საპროცესო კანონის სრული შესაბამისობით, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და საგამოძიებო (სასამართლო) პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შეიმუშავებს ოპტიმალურ და ეფექტურ ტაქტიკურ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება გამოძიების დაგეგმვისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებათა ჩატარებისას, მტკიცე-

---

[2]. იხ. Коновалова В.Е., Сербулов А.М.Следственная тактика: принципы и функции, Киев, 1983, с.5.

შულებათა აღმოჩენისა და გამოყენების დროს დანაშაულის სწრაფი გახსნის, მისი აცილებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის დარგებია: გამოძიების დაგეგმვა და ორგანიზაცია, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა, ჩვენების ადგილზე შემოწმების ტაქტიკა, ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკა, დაკითხვის ტაქტიკა, ამოსაცნობად წარდგენის ტაქტიკა, ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა.

§2. კრიმინალისტიკური ტაქტიკის პრინციპები

კრიმინალისტიკური ტაქტიკის ხერხები და საშუალებები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გამოყენებული საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს და პრინციპულ დებულებებს, რაც დამახასიათებელია საპროცესო კანონის, მეცნიერული მეთოდების და ეთიკური ნორმებისათვის.

კრიმინალისტიკურ ტაქტიკას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპული ხასიათის დებულებანი: საპროცესო კანონისადმი შესაბამისობა (კანონიერება), მეცნიერული ხასიათი, ეთიკურობა, ტაქტიკური ხერხების გამოყენება საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით.

<u>კანონიერება</u>. კრიმინალისტიკური ტაქტიკური ხერხები ყველა შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს საპროცესო კანონს და პროცესუალური კანონის პრინციპებს. საპროცესო კანონი წარმოადგენს იმ სამართლებრივ საფუძველს, რომლის ჩარჩოებში და შესაბამისად უნდა იყოს შემუშავებული ტაქტიკური ხერხები და საშუალებები. არც ერთი ტაქტიკური ხერხი არ შეიძლება გამოყენებულ იყოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში, თუ იგი ეწინააღმდეგება საპროცესო კანონის მოთხოვნას და მის პრინციპებს.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი პირდაპირ კრძალავს და განიხილავს, როგორც დანაშაულს ისეთი ხერხის გამოყენებას, როგორიცაა, მაგალითად, დაკითხვის დროს მუქარა, სხვა უკანონო მოქმედება, პირის იძულება ჩვენების მიცემისათვის. სხვა შემთხვევაში კანონი ადგენს პრინციპულ დებულებას, რომლის დარღვევაც განიხილება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად. მაგალითად, კანონის ძალით ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს ამომცნობს სხვა პირებთან ერთად, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები და

რომლებიც მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (მუხლი 163-ე). თუ გამომძიებელი დაარღვევს ამ ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციას და ამოსაცნობად წარუდგენს ორ პირს (სამის ნაცვლად), მისი მოქმედება განხილული იქნება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამიტომ ამოცნობის შედეგებს არ ექნება არავითარი პროცესუალური მნიშვნელობა და ძალა.

<u>მეცნიერული ხასიათი</u>. ყოველი ტაქტიკური ხერხი, რომელიც გამოიყენება საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში უნდა ემყარებოდეს მეცნიერებაში მყარად დადგენილ დებულებებს (ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ლოგიკა, ფსიქოლოგია, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და სხვ.). ტაქტიკური ხერხი უნდა იყოს შემუშავებული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე. მისი საიმედობა და უტყუარობა უნდა შემოწმდეს ექსპერიმენტულ ბაზაზე და პრაქტიკაში. ყოველ ტაქტიკურ ხერხს უნდა ჰქონდეს გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა, მისი გამოყენება დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ შედეგებთან, ხელს უნდა უწყობდეს დანაშაულის სწრაფად გახსნას, მის აცილებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

<u>ეთიკურობა</u>. კრიმინალისტიკური ტაქტიკური ხერხები მხოლოდ მაშინ გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, როდესაც ისინი ემყარებიან და გამომდინარეობენ ეთიკურ-ზნეობრივი ნორმებიდან. საპროცესო კანონი ზოგ შემთხვევაში შეიცავს ეთიკური ნორმის დაცვის აუცილებელ შემთხვევებს. მაგალითად, გამომძიებელს და ჩხრეკის მონაწილე სხვა პირებს (სპეციალისტი, დამსწრე, დამცველი) უფლება არა აქვთ გაახმაურონ ჩხრეკის დროს გამოვლენილი ინტიმური ცხოვრების გარემოებანი (მუხლი 170-ე). თუ პიროვნების შემოწმება დაკავშირებულია მის გაშიშვლებასთან, შემოწმება ტარდება იმავე სქესის დამსწრეთა მონაწილეობით. ამ შემთხვევაში გამომძიებელს უფლება არა აქვს დაესწროს მოპირდაპირე სქესის პირის შემოწმებას (მუხლი 181-ე). საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს არ შეიძლება ისეთი მოქმედების შესრულება, რაც ამცირებს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და საშიშია მათი ჯანმრთელობისათვის (მუხლი 183-ე).

ბევრ შემთხვევაში საპროცესო კანონი პირდაპირ არ მიუთითებს ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობაზე, მაგრამ იგი გამომდინარეობს

საპროცესო პრინციპების მოთხოვნებიდან. მაგალითად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს გამორიცხული უნდა იყოს უხეშობა, სიცრუე, უსაფუძვლო დაპირებები, ძალადობა, შანტაჟი, ყვირილი, დაშინება და ა.შ.

<u>ტაქტიკური ხერხების გამოყენება საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით.</u> კონკრეტული ტაქტიკური ხერხის გამოყენება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს დაკავშირებულია და განპირობებულია საგამოძიებო სიტუაციით. სწორედ ამიტომ ტაქტიკური ხერხის გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს საგამოძიებო სიტუაციის ანალიზი და შეფასება, კონკრეტული ვითარების გათვალისწინება. მაგალითად, თუ დაკითხვის დროს ბრალდებული უარყოფს დოკუმენტის ტექსტის შესრულებას. ასეთ საგამოძიებო სიტუაციაში გამომძიებელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ტაქტიკური ხერხი: წარუდგინოს ბრალდებულს ექსპერტის დასკვნა, რომლითაც დადგენილია დოკუმენტის ტექსტის შესრულების ფაქტი დასაკითხი ბრალდებულის მიერ. კონკრეტული საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინების შესაბამისად განისაზღვრება, მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილი და დრო. თუ გარკვეულ მოქმედებას ადგილი ჰქონდა ღამის საათებში და ტყეში, საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს კონკრეტული საგამოძიებო სიტუაციის მიხედვით — ღამის საათებში და ტყეში.

ლიტერატურაში კრიმინალისტიკური ტაქტიკის პრინციპებად აღიარებულია აგრეთვე ტაქტიკური ხერხების სარეკომენდაციო ხასიათი და მათი არჩევითობა, მათი უნივერსალობა და დინამიურობა.[3] ტაქტიკური ხერხების ამ თვისებებს პრაქტიკაში არქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ მათი აღიარება დამოუკიდებელ პრინციპებად არ არის გამართლებული. ტაქტიკური ხერხების არჩევითობასა და სარეკომენდაციო ხასიათს მოიცავს ისეთი პრინციპი, როგორიცაა ტაქტიკური ხერხების გამოყენება საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით. რაც შეეხება ტაქტიკური ხერხების უნივერსალობას და დინამიურობას ისინი ყოველთვის არ არიან დამახასიათებელი ტაქტიკური ხერხებისათვის.

---

[3]. Коновалова В.Е., Сербулов А.М.Следственная тактика: принципы и функции, Киев, 1 983, с.115; Криминалистика, Л., 1976, с.284.

§3. ტაქტიკური ხერხების ცნება და მათი გამოყენების კრიტერიუმები

ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა ეფუძნებოდეს და გამომდინარეობდეს საპროცესო კანონის მოთხოვნიდან და შეესაბამებოდეს მის პრინციპებს. ტაქტიკური ხერხი ასევე უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერების მიღწევებს, იყოს საიმედო და შემოწმებული მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციები და ხერხები უნდა იყოს ეფექტური, ოპტიმალური და მიზანსწრაფული იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დანაშაულის სწრაფ გახსნას, მის თავიდან აცილებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ტაქტიკური ხერხების ცნება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად. ტაქტიკური ხერხი არის საპროცესო კანონის შესაბამისად შემუშავებული მეცნიერული ხასიათის ეფექტური, ოპტიმალური და მიზანსწრაფული ხასიათის მოქმედება, რომელიც გამოიყენება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მიერ კონკრეტული საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით დანაშაულის გახსნის, მისი აცილებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.[4]

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში დაიშვება არა მარტო ის ტაქტიკური ხერხი, რომელიც მტკიცედ შეესაბამება საპროცესო კანონის მოთხოვნებს და მეცნიერულ დებულებებს, არამედ ისეთები, რომლებიც ამავე დროს არ ამცირებენ პიროვნების ღირსებას და საშიში არ არის მათი ჯანმრთელობისათვის. ტაქტიკური ხერხების დაშვებისა და გამოყენებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მათი გამოყენებისათვის დროისა და ადგილის სწორად განსაზღვრას და მოსამზადებელი პირობების შექმნას (ტექნიკური საშუალებების მომზადება, სპეციალისტის მოწვევა და ა.შ.).

ტაქტიკური ხერხი უნდა იყოს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამოდენიმე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი შერჩევა და გამოყენება კონკრეტული ვითარებისა და საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით. ტაქტიკური ხერხების (ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება დასაკითხავ პირთან; ბრალდებულის დადებითი ემოციების წახალისება; დაკითხვის ადგილის განსაზღვრა; მტკიცებულებათა ნაწილ-ნაწილ ან მთლიანი წარდგენა დაკითხვის დროს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უარყოფ-

---

[4]. Советская криминалистика (Теоретические проблемы) М., 1978, с.131-134.

ფაქტებს ან იძლევა არასწორ ჩვენებას; ჩხრეკის დროს გამომძიებლის დაკვირვება ბინის მფლობელზე მისი რეაქციის განსაზღვრის მიზნით; დათვალიერების წარმოება ცენტრიდან პერიფერიისაკენ ან პირიქით და ა.შ.) სიმრავლემ განაპირობა მათი დაყოფის, კლასიფიკაციის აუცილებლობა.

სხვადასხვა სახის კლასიფიკაციიდან, რომელიც მოყვანილია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, ყველაზე უფრო მარტივი და მისაღებია ტაქტიკური ხერხების დაყოფა მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის მიღების შესაბამისად. ამ მხრივ ტაქტიკური ხერხები შეიძლება იყოს ისეთები, რომლებიც მიმართულია: მტკიცებულებათა ინფორმაციის მოსაპოვებლად; მტკიცებულებათა ფიქსაციისათვის; მტკიცებულებათა შემოწმებისა და შეფასებისათვის; მტკიცებულებათა გამოყენებისადმი საქმის გამოძიების დროს.[5]

ყოველი ტაქტიკური ხერხი გამოიყენება კონკრეტული საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით. საგამოძიებო სიტუაცია არის კონკრეტული ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი საფუძველი. ამა თუ იმ ტაქტიკური ხერხის გამოყენება ხდება საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებითა და მისი ანალიზის საფუძველზე. საგამოძიებო სიტუაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, ოპერატიული მუშაკი იღებს გარკვეული ტაქტიკური ხასიათის გადაწყვეტილებას. ტაქტიკური გადაწყვეტილება არის ინტელექტუალური აქტი, რომელიც მიიღება საგამოძიებო სიტუაციის ანალიზის, დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მექანიზმის, კრიმინალისტიკური მეცნიერული ხასიათის რეკომენდაციების, გამომძიებლის ინტუიციისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე.[6]

გამოძიების დროს გარკვეული ამოცანის მისაღწევად და გადასაწვეტად აუცილებელია სხვადასხვა ტაქტიკური ხერხების, საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მჭიდრო ურთიერთკავშირი.[7]

---

[5]. Якушин С.Ю. Тактические приемы при расследовании преступлений, Казань, 1983, с. 14

[6]. Криминалистика, М., 1990, с.228.

[7]. Лисиченко В.К., Батюк О.В. Взаимовязь следственных ситуаций с тактикой производства следственных действий. "Криминалистика и судебная экспертиза", 1990, N41, с.23-30.

ურთიერთკავშირს ადგილი აქვს, მაგალითად, მიმალული ბრალდებულის დადგენისა და დაკავების დროს, დანაშაულის შედეგად გატაცებული საგნების, ნივთებისა და ფასეულობათა დადგენისა და მათი ამოღებისას და ა.შ. ასეთ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში გამოყენებული კონკრეტული ტაქტიკური ხერხების, საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ურთიერთშერწყმას ეწოდება ტაქტიკური კომბინაცია, რომლის მიზანიც არის გარკვეული კრიმინალისტიკური ხასიათის ამოცანის გადაწყვეტა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.[8] ტაქტიკური კომბინაციისა და ტაქტიკური ოპერაციის ცნება ბევრ შემთხვევაში გაიგივებულია, რადგან ამ უკანასკნელსაც მიეკუთვნება ისეთი კომპლექსურ ღონისძიებათა ურთიერთშეთანხმება და შერწყმა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული კრიმინალისტიკური ამოცანის გადაწყვეტას.[9]

კრიმინალისტიკური ტაქტიკის ზოგადი საფუძვლების გარკვევა საშუალებას იძლევა სწორად და ეფექტურად გამოვიყენოთ ტაქტიკური ხერხები და კრიმინალისტიკური ხასიათის რეკომენდაციები გამოძიების დაგეგმვის, მისი სწორი ორგანიზაციისა და ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს.

---

[8]. აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით იხ. Р.С. Белкин, Криминалистика: проблемы, Тенденции, перспективы. От теории - к практике. М., 1988, с.137-164.

[9]. Дулов А.В., Тактические операции при расследовании преступлений, М., 1979; Криминалистика, М., 1988, с.333.

XVII თავი

გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა

§1. გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ცნება და მნიშვნელობა

გამოძიების დაგეგმვა განუყოფელადაა დაკავშირებული საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებასთან, რადგან საგამოძიებო ვერსიები გამოძიების დაგეგმვის საფუძველია. გამოძიების დაგეგმვა საგამოძიებო ვერსიების სწორი, თანამიმდევრული შემოწმების ერთ-ერთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიების გამოხატულებაა.

დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში გამოძიების დაგეგმვასა და საგამოძიებო ვერსიების გამოყენებას აქვს კერძო, სპეციფიური ხასიათი. თავიანთი ზოგადი, ფუნდამენტალური დამუშავებით კი ისინი კრიმინალისტიკური ტაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ამ პრობლემების ასეთ გაგებას სრულიადაც არ უშლის ხელს ვერსიების ზოგადი მოძღვრების გადატანა კრიმინალისტიკის საგნის პირველ - მეთოდოლოგიის განყოფილებაში.

დანაშაულს, როგორც წარსულში მომხდარი ფაქტის სწრაფი, სრული გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭიროა მთელი რიგი პროცესუალური და კრიმინალისტიკური ხასიათის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება. კერძოდ, პირველადი, გადაუდებელი და შემდგომ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების დროსაც საჭიროა წარმატებით იყოს გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები. ასევე, საჭიროა განხორციელდეს მთელი რიგი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები. ამ მოქმედებების ჩატარება მომკვლევის პირისა და გამომძიებლის თვითმიზანი კი არაა, არამედ იგი მიმართულია გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისაკენ, რომლის მიღწევა შეუძლებელია ზემოაღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სწორი თანამიმდევრობითა და მათი მაღალხარისხოვნად ჩატარების გარეშე. ყოველივე ამის მიღწევა კი წარმოუდგენელია მომკვლევი პირისა და გამომძიებლის საქმიანობის მკაცრი ორგანიზაციისა და გეგმაზომიერად წარ-

მართვის, გამოსაძიებელ საქმეზე მთელი მათი საქმიანობის სწორად დაგეგმვის გარეშე.

თუ გამოძიების ორგანიზაციის და დაგეგმვის ცნებებს ერთ სიბრტყესა და ასპექტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სიტყვა ორგანიზაცია შედარებით ფართო ცნებაა, ვიდრე გამოძიების დაგეგმვა, რადგან გამოძიების ორგანიზაცია მოიცავს გამომძიებლის მთელ საქმიანობასაც. გამოძიების დაგეგმვა კი მოიცავს გამომძიებლის საქმიანობას მიმართულს ერთი რომელიმე კონკრეტული სახის დანაშაულის გახსნისაკენ, რომელიც შემეცნების პროცესში იყენებს კრიმინალისტიკაში შემუშავებულ და რეკომენდირებულ სამეცნიერო-ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებს. იგი არის დანაშაულებრივ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და სრული გახსნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

გამოძიების დაგეგმვა არის გამომძიებლის მუშაობის ის მნიშვნელოვანი უბანი, რომლითაც იგი მთელ თავის საქმიანობას აძლევს სწორ, მიზანდასახულ ხასიათს. იგი ხელს უწყობს გამომძიებელს დანაშაულთა გამოძიების პროცესში რაციონალურად და სწორად გამოიყენოს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. ამასთან იგი არის გამომძიებლის მიერ თავის საქმიანობაზე თვითკონტროლის განხორციელების საუკეთესო საშუალებაც. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

პირველდაწყების საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სწორ თანამიმდევრულ მოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმეზე მტკიცებულებათა მიღება და მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა. ამიტომ, მიზანშეწონილია გამოძიების გაშლილი გეგმის შედგენა მოხდეს თავიდანვე, საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების მომენტიდან, ვინაიდან ამ დროისათვის გამომძიებელს უკვე ხელთა აქვს დაგეგმვისათვის საჭირო ისეთი მონაცემები, რომელთა საფუძველშე შეიძლება საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების გაშლილი გეგმის შედგენა.

§2. გამოძიების დაგეგმვის პრინციპები

საგამოძიებო გეგმის შედგენა, როგორც აღინიშნა, მიზანშეწონილია მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების მომენტიდან. მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული თითქოს გამოძიების გეგმის შედგენით დამთავრდეს გამომძიებლის მუშაობა. წერილობითი სახით გამოძიების გეგმის შედგენა დაგეგმვის მარტოოდენ გარეგნული ფორმაა, მისი განვითარების საწყისი ეტაპია, რომელიც გამოძიების მიმდინარეობის შესაბამისად განიცდის გარკვეულ ცვლილებებსა და განვითარებას. ამიტომ საქმის აღძვრისა და მისი წარმოებაში მიღების მომენტში კონკრეტულ გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიების გეგმის შედგენა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მყარი, უცვლელი რამ. გამოძიების პროცესში იგი განიცდის მუდმივ ცვლილებებს, მტკიცებულებათა შეკრება-დაზუსტებისა და შეფასების შესაბამისად. გამოძიების დაგეგმვის განვითარების ეს მთლიანი უწყვეტი პროცესი კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია შემდეგი ციკლის შესაბამისად: 1/ გამოსაძიებელი დანაშაულის შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტიური მონაცემების შეკრება; 2/ შეკრებილი მონაცემების ანალიზი და შეფასება; 3/ ვერსიების აგება; 4/ ვერსიების შემოწმება და ახალი ფაქტობრივი მონაცემების შეკრება; 5/ახლად მიღებული მონაცემების ანალიზი და შეფასება და ახალი ვერსიების აგება-შემოწმება.

დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი დინამიურობა, რადგან იგი იცვლება გამოძიების ცალკეული ეტაპების შესაბამისად. ამიტომ, გამომძიებელი ვალდებულია მის მიერ შედგენილ გეგმაში თანამიმდევრულად შეიტანოს საჭირო ცვლილებები ახლად მიღებული მონაცემებისა და საგამოძიებო სიტუაციის შეცვლის შესაბამისად, რათა იგი არ იქცეს უბრალო, მყარ შაბლონურ სქემად და არ დაკარგოს თავისი დანიშნულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი საქმეზე შედგენილი გამოძიების გაგება არ შეიძლება უცვლელად, იმავე სახით იყოს გადატანილი სხვა, თუნდაც ისეთივე კატეგორიის დანაშაულის გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე. ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შედგენილი გამოძიების გეგმა, დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მისთვის დამახასიათებელი სხვა სპეციფიური გარემოებების გათვალისწინებით, ინდივიდუალურია და იგი არ შეიძლება იმავე პირვანდელი სახით

შაბლონურად იქნეს გამოყენებული სხვა გამოსაძიებელ საქმეზე. ე.ი. დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი ინდივიდუალობა.

ამრიგად, დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია ინდივიდუალობა და დინამიურობა. ინდივიდუალობა გულისხმობს იმას, რომ გამოძიების გეგმა ყოველ კონკრეტულ საქმეზე მთელი თავისი დეტალებით დამახასიათებელი და ვარგისიანია მხოლოდ მოცემული, კონკრეტული დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისათვის. გამოძიების გეგმის დინამიურობა კი ნიშნავს იმას, რომ გამოძიების პროცესში საქმეზე წარმოებული გამოძიებისდა შესაბამისად იგი განიცდის მუდმივ ცვლილებას.

დინამიურობისა და ინდივიდუალობის გარდა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აგრეთვე დაგეგმვის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა დაგეგმვის რეალობა, კონკრეტულობა და დროულობა.[1]

რეალობის, კონკრეტულობისა და დროულობის მიჩნევა გამოძიების დაგეგმვის დამოუკიდებელ პრინციპებად არ არის საჭირო, რადგან ყოველივე ეს გამოძიების დაგეგმვის აუცილებელი გარემოებებია, რომელთა გარეშე არც შეიძლება ვიმსჯელოთ გამოძიების დაგეგმვაზე. თუ გეგმა რეალური, დროული და კონკრეტული არ იქნა, მაშინ იგი დაკარგავს თავის მიზანს, იგი ვერ იქნება გამოძიების სწორად წარმართვის საშუალება.

§3. გამოძიების დაგეგმვის ტექნიკა

ყველა შემთხვევაში გამოძიების გეგმა შედგენილი უნდა იქნეს წერილობით. მაგრამ გამოსაძიებელი შემთხვევის სირთულის შესაბამისად იგი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. კერძოდ, მარტივ საქმეებზე იგი შეიძლება იყოს უბრალოდ ჩანაწერების სახით შედგენილი. რთულ საქმეებზე კი საჭიროა შედგენილი იყოს სათანადო სქემების სახით. გეგმის შედგენის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საგამოძიებო ვერსიების სწორ დასაბუთებულ აგებას, აგრეთვე იმას, რომ მასში სწორად და თანამიმდევრულად იყოს ასახული გამოძიებით დასადგენი გარემოებები, მათი გამოკვლევის ხერხები და საშუალებები, გამოძიებაში მონაწილე პირთათვის მიცემული დავალებების შესრულების ვადების განსაზღვრა და სხვ.

---

[1]. Криминалистика, учебник, М., 1988, с.339.

დაგეგმვის ტექნიკის თვალსაზრისით კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში რეკომენდებულია სხვადასხვა სახის სანიმუშო სქემები, თუ რომელს შეარჩევს გამომძიებელი ეს საქმის კონკრეტულ გარემოებაზეა დამოკიდებული. მთავარია, რომ გეგმა იყოს სრული და შეესაბამებოდეს გამოძიების მიზნებს. ვინაიდან გამოძიების გეგმა პროცესუალური მოქმედება არაა და იგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებაა, გეგმა გამოსაძიებელ საქმეს თან არ დაერთვის. იგი ინახება სამეთვალყურეო წარმოებაში.

როგორც წესი, დანაშაულის გამოძიებას აწარმოებს მხოლოდ ერთი გამომძიებელი, კერძოდ, ის ვინც მიიღო საქმე წარმოებაში. ამიტომ გამოძიების გეგმასაც იგი ადგენს და გამოსაძიებელი გარემოებების გამოკვლევასაც უშუალოდ თვითონ გეგმის შემდგენი გამომძიებელი აწარმოებს. იმ შემთხვევაში როცა გამოსაძიებელი საქმე უფრო რთულია და მასზე წამოყენებული სხვადასხვა საგამოძიებო ვერსიებისა და მთავარი დანაშაულებრივი ფაქტის გარდა საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა დანაშაულებრივი ეპიზოდების გამოკვლევა, რომელთა გამოძიებასაც მარტოოდენ ერთი გამომძიებელი ფიზიკურად ვერ შესძლებს, ამ შემთხვევაში იქმნება საგამოძიებო ჯგუფი. ასეთ დროს რეკომენდებულია, საქმის წარმოებაში მიმღებმა გამომძიებელმა შეადგინოს ერთი საერთო გეგმა და საქმის გამოძიება აწარმოოს ეგრეთ წოდებული ბრიგადული მეთოდით. ასეთი რთული და მრავალეპიზოდიანი საქმის გამოძიებაში მონაწილე გამომძიებელი, საერთო გეგმის გარდა, თავიანთთვის ადგენენ გამოძიების ინდივიდუალურ გეგმებს, იმისდა მიხედვით თუ რა სახის დავალება მიეცათ. კერძოდ, საქმეზე წამოყენებული ცალკეული ვერსიების ან ცალკეული ეპიზოდებისა და ცალკეული რეგიონების მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების გამოკვლევის შესახებ. ე.ი. გამოძიების საერთო გეგმასთან ერთად იქმნება სხვა მისგან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმებიც, რომელთა შემოწმება - გამოკვლევის საერთო ხელმძღვანელობას აწარმოებს ამ საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში შემუშავებული საგამოძიებო გეგმების სქემებიდან შეიძლება რეკომენდირებული იყოს შემდეგი სახის გაშლილი სქემატიური გეგმა:

საქმე № _____

საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების დრო და ადგილი

დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სსკ-_____

მუხლით /მუხლებით/

№	გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული საგამოძიებო ვერსიები	საგამოძიებო ვერსიების შემოწმების დროს დასადგენი გარემოებები (საკითხები)	საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები	საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ ღონისძიებათა ჩატარების დრო და მათი თანმიმდევრობა	შემსრულებელი	პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8

§4. საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვა

დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად შედგა მასზე გამოძიების გეგმა, არამედ იმაზე თუ რამდენად სწორად და მაღალხარისხოვნად იყო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრებისა და გამოკვლევის მიზნით და როგორია ამ მოქმედებათა შედეგად მიღებული შედეგები. ამიტომ გამოსაძიებელ საქმეზე საერთო და ინდივიდუალური სახის გეგმების შედგენასთან ერთად აუცილებელია გამომძიებელმა აწარმოოს საქმეზე ჩასატარებელი ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვაც.

ვინაიდან ყველა საგამოძიებო მოქმედება გამოსაკვლევი გარემოებებისა და საკითხების მრავალფეროვნებით, მათი მოცულობის, ჩატარების საერთო წესის, ჩატარების პროცესში სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენების თავისებურებათა მიხედვით ერთიმეო-

რისაგან განსხვავდებიან, თითოეული საგამოძიებო მოქმედებაზე შედგენილი გეგმაც ერთიმეორისაგან უნდა განსხვავდებოდეს. მაგალითად, ბრალდებულის დაკითხვის გეგმა არსებითად განსხვავდება ჩხრეკის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ამოცნობის და მოწმის დაკითხვის გეგმისაგან. უფრო მეტიც, თავისი შინაარსით ერთსა და იმავე საქმეზე დასაკითხ პირთა შესახებ შედგენილი გეგმებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან იმისდა მიხედვით, თუ როგორია დასაკითხ პირთა ფსიქიკური დამოკიდებულება გამოსაკვლევ დანაშაულებრივ ფაქტთან. სახელდობრ, იმ ბრალდებულის დაკითხვის გეგმა, რომელიც აღიარებს ჩადენილ დანაშაულს იქნება განსხვავებული იმ პირის დაკითხვის გეგმისგან, რომელიც უარყოფს მისთვის წარდგენილ ბრალდებას, მის მიერ თავის მართლების მიზნით მოყვანილი მოტივების გათვალისწინებით. ამასთან, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შედგენილმა გეგმამ შეიძლება შემდგომშიც განიცადოს გარკვეული ცვლილება საქმის გამოძიების განვითარების შესაბამისად. ამიტომ, ისევე, როგორც გამოსაძიებელ საქმეზე შედგენილი გეგმისათვის, საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვაც ხასიათდება დინამიურობისა და ინდივიდუალობის პრინციპებით.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გეგმა მიზანშეწონილია შედგეს წერილობითი სახით, გაირკვეს მისი მიზნები და ამოცანები და მასში გათვალისწინებული იყოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის საჭირო ყველა გარემოება. კერძოდ, განისაზღვროს საკითხების ის წრე, რომლებიც უნდა დადგინდეს მოცემული საგამოძიებო მოქმედებით მისი ჩატარების დროს, ადგილი და გარემო პირობები, მასში მონაწილე პირთა წრე, გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები. აგრეთვე შესწავლილი და მომზადებული უნდა იყოს საქმეში არსებული მასალები, შემუშავდეს და განისაზღვროს მათი გამოყენების წესი და სხვ.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გეგმაში გასათვალისწინებელი ყველა ღონისძიება და მათი ჩატარების პროცესში გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების წრე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობისა და არ იყოს ამომწურავი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება რეკომენდებული იყოს საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის შემდეგი სახის სქემა:

№:	საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნები და ამოცანები	საქმეში არსებული მასალების შესწავლა-მოზადება	საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო, ადგილი და გარემოებები	საგამოძიებო მოქმედების მონაწილე პირები, მათი როლი და დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან	რეკომენდებული ტაქტიკური ხერხების შერჩევა-გამოყენება	გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების შერჩევა	საჭირო ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებათა ორგანიზაცია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9

XVIII თავი
შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა

§1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და არსი

შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის გავრცელებული, პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება. იგი ტარდება უმრავლეს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს, როდესაც შემთხვევის ადგილზე შესაძლო იყო დარჩენილიყო დანაშაულის რაიმე კვალი ან საჭიროა შემთხვევის ვითარების გარკვევა და აღდგენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამომძიებელი პირადად და უშუალოდ აღიქვამს, აფიქსირებს და იკვლევს იქ არსებულ დანაშაულის კვალს, ნივთიერ მტკიცებულებებს, შემთხვევის ვითარებასა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს იმ მიზნით, რომ დაადგინოს დანაშაულის ჩადენის ნიშნები, მისი ჩამდენი პირი, დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, ააგოს სწორი ვერსიები და დაადგინოს დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები. ყოველივე ეს ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. შემთხვევის ადგილის ასეთი ცნება გამომდინარეობს და შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ზოგადი ცნება. იგი მოიცავს არა მარტო შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, არამედ ადგილმდებარეობის, შენობის, საგნების, დოკუმენტების, ცოცხალ პირთა და გვამის დათვალიერებას. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს შემთხვევის ადგილის ცალკეულ სახეებს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ამოცანად ისახავს იმას, რომ: აღმოჩენილ და ფიქსირებულ იყოს დანაშაულის ჩადენის ყველა სახის კვალი და ნივთიერი მტკიცებულებანი, აღდგენილ იყოს დანაშაულის ჩადენის ვითარება და მექანიზმი; დადგენილ იყოს დანაშაულის ჩამდენი პირი და მისი ნიშან-თვისებები; "ცხელი კვალის" მიხედვით განხორციელდეს დანაშაულის ჩამდენი პირის მოძებნა და დაკავება; გატარებულ იყოს ეფექტური ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი დანაშაულის სწრაფი გახსნის მიზნით; მოხდეს შემთხვევის ადგილის, იქ არსებულ კვალთა და გარემოებათა ფიქსაცია და პროცესუალური დამაგრება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად შეიძლება გაირკვეს და დადგინდეს მთელი რიგი ისეთი ფაქტები და გარემოებანი, რაც საშუალებას იძლევა აღვადგინოთ შემთხვევის ადგილის ვითარება, დავადგინოთ დანაშაულის ჩამდენი პირი და სხვა ისეთი გარემოებანი, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად, შეძლებისდაგვარად, უნდა დადგინდეს: ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის ჩადენას, თუ ჰქონდა რა სახის კონკრეტული დანაშაული იყო ჩადენილი; დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, დრო და ადგილი; რა სახის კვალი და ნივთიერი მტკიცებულება იყო აღმოჩენილი და დადგენილი; რა ვითარებაში იყო ჩადენილი დანაშაული და შემთხვევის ადგილის გარემოება; ვინ ჩაიდინა დანაშაული, რამდენი პირი იყო შემთხვევის ადგილზე, მათი ფიზიკური მონაცემები, ასაკი, სიმაღლე ხელობა, გარეგნული ნიშნები; საიდან მოვიდნენ შემთხვევის ადგილზე და საით წავიდნენ დანაშაულის ჩამდენი პირები; ხომ არ გამოიყენეს ტექნიკური საშუალებანი და კერძოდ რა; ხომ არ იყო მიღებული ზომები დანაშაულის ჩადენის კვალის განადგურების ან მათი სახეცვლილებისათვის; არის თუ არა შემთხვევის ადგილზე ნეგატიური ან დანაშაულის ჩადენის ფალსიფიკაციის ნიშნები; რაში გამოიხატება დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი; რა სახის ზიანი დადგა დანაშაულის ჩადენის შედეგად; რა სახის კვალი შეიძლება დარჩენილიყო დანაშაულის ჩამდენ პირის ტანსაცმელზე ან მის სხეულზე; რა გარემოებამ შეუწყო ხელი ან გააადვილა დანაშაულის ჩადენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეიძლება ამოიწუროს პირველადი დათვალიერებით, მაგრამ შეიძლება მოხდეს აგრეთვე შემთხვევის ადგილის დამატებითი ან განმეორებითი დათვალიერება. შემთხვევის ადგილის <u>პირველადი დათვალიერება</u> არის უფრო ეფექტური საგამოძიებო მოქმედება, რადგან იგი ტარდება მაქსიმალურად სწრაფად და ოპერაციულად. ასეთ შემთხვევაში შემთხვევის ადგილის ვითარება, იქ არსებული კვალი და ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, არის უცვლელი, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად ავსახოთ ყოველივე და მივიღოთ უტყუარი ინფორმაცია.

შემთხვევის ადგილის დამატებით დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო შემხვევის ადგილზე ცალკეული კვალი, თუ ნივთიერი მტკიცებულება ან საერთოდ არ იყო ანდა

უხარისხოდ იყო დათვალიერებული. დამატებითი დათვალიერების დროს ადგილი აქვს არა შემთხვევის ადგილის მთლიან დათვალიერებას, არამედ ცალკეულ კვალთა, საგანთა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებას.

შემთხვევის ადგილის განმეორებით დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი დათვალიერება ჩატარებულ იყო უხარისხოდ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. განმეორებითი დათვალიერება უფრო ეფექტური იქნება მაშინ, როდესაც ნაკლები დრო გავიდა პირველი დათვალიერების დღიდან. განმეორებითი დათვალიერების დროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხდება მთლიანად და განმეორებით.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს შემთხვევის ადგილის დამატებით და განმეორებით დათვალიერებას. ამ შემთხვევებში დაცულ უნდა იყოს ის პროცესუალური რეჟიმი, რაც დადგენილია პირველი დათვალიერებისათვის.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას აწარმოებს და წარმართავს გამომძიებელი (მომკვლევი პირი), რომელსაც დაევალა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. შემხვევის ადგილის დათვალიერების ყველა მონაწილე პირი ექვემდებარება გამომძიებელს და ასრულებს მის მოთხოვნას. შემხვევის ადგილის დათვალიერებას შეიძლება დაესწროს პროკურორი (პოლიციის ორგანოს უფროსი), მაგრამ ისინიც ემორჩილებიან გამომძიებელს. თუ პროკურორი მივა დასკვნამდე, რომ გამომძიებელი უხარისხოდ და არაობიექტურად ატარებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას მას უფლება აქვს ჩამოაცილოს გამომძიებელი და თავის თავზე აიღოს შემხვევის ადგილის დათვალიერება. ასეთ შემხთვევაში პროკურორს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა შემხვევის ადგილის ხარისხიანი და ობიექტური დათვალიერებისათვის (სსს კოდექსის 211-ე მუხლი).

ყველა შემთხვევაში შემთხვევის ადგილის სავალდებულო მონაწილეს წარმოადგენს დემსწრეები. ისინი მოიწვევიან იმ მიზნით, რომ დაესწრონ დათვალიერებას და დაადასტურონ დათვალიერების პროცესის მსვლელობა და ობიექტურობა შემხვევის ადგილის ოქმზე ხელის მოწერით. დამსწრეს სახით მოწვეული უნდა იყოს ობიექტური პირი, რომელიც პირადად არ არის საქმის შედეგებით დაინტერესებული. ამ პრინციპიდან გამომდინარე დამსწრედ არ უნდა იყოს მოწვეული პოლიციის, პროკურატურის ან სახ-

ელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი. ასევე დამსწრედ არ მოიწვევიან ისეთი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირები, რომელთაც არ შეუძლიათ სწორად აღიქვან მოვლენები და ფაქტები (ბრმა, ყრუ, მუნჯი, მცირეწლოვანი, ღრმად მოხუცებული, ფსიქიკურად დაავადებული პირი და ა.შ.).

შემთხვევის ადგილის დაცვის მიზნით და სხვა სახის დახმარების გაწევისათვის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევიან პოლიციის თანამშრომლები, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების მიზნით — სამძებროსა და სხვა სამსახურის თანამშრომლები. ეს პირები გამომძიებლის დავალების შესაბამისად აწარმოებენ მნახველთა გამოკითხვას, დანაშაულის ჩამდენი პირის დადევნებასა და დაძებნას "ცხელ" კვალთა მიხედვით. ამ მიზნით მოიწვევა აგრეთვე პოლიციის თანამშრომელი სამსახურებრივი ძაღლის გამოყენებისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემთხვევის ადგილის დათვალიერება წარმოებს სახელმწიფო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ან კოოპერატიულ ორგანიზაციებში და მათ ქვემდებარეობაში მყოფ ტერიტორიაზე მოწვეულ უნდა იქნან ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც საჭირო და დადებითი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ გამომძიებლისათვის.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაწილე შეიძლება იყოს სპეციალისტი, რომელიც ტექნიკური ხასიათის დახმარებას უწევს გამომძიებელს ან აძლევს მას საჭირო კონსულტაციას სპეციალური საკითხების გარკვევა-დადგენაში. ზოგ შემთხვევაში სპეციალისტი არის შემთხვევის ადგილის აუცილებელი მონაწილე, კერძოდ: გვამის დათვალიერებისა და დამარხული გვამის საფლავიდან ამოღების შემთხვევაში (გვამის ეგზგუმაცია).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს შეიძლება მოწვეულ იყოს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, რომლებიც აჩვენებენ დანაშაულის ჩადენის კვალს, დანაშაულის ჩადენის ადგილს, დანაშაულის ჩადენის ხერხსა და ა.შ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იყოს დაზარალებული და მოწმეები (მნახველები). ამ პირებს გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლიათ დანაშაულის ჩადენის ვითარების გარკვევის, მის ჩამდენ პირთა აღწერილობისა და ნიშანთვისებათა დადგენაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იყოს დამცველი. მისი მიწვევა ხდება გამომძიებლის ინიცი-

ატივით, დამცველის ან ბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე. თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობას იღებს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული ამ პირების თხოვნით დაშვებულ უნდა იყოს დამცველიც.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დაცულ უნდა იყოს ის პროცესუალური წესი, რომელსაც ადგენს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 178-ე – 182-ე მუხლები, კერძოდ: დათვალიერება შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე; დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ უნდა იყოს დამსწრეები, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს ორზე ნაკლები; დათვალიერების დროს ხდება კვალთა ფიქსაცია, გაზომვა, ტვიფრისა და ანაბეჭდის დამზადება, გეგმებისა და სქემების შედგენა, ფოტოგრაფირება, კინო და ვიდეოგადაღება; გვამის დათვალიერებისა და დამარხული გვამის საფლავიდან ამოღებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ექიმი-სპეციალისტი; შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალი, საგანი, ნივთმტკიცება, დოკუმენტი უნდა დათვალიერდეს შემთხვევის ადგილზე. თუ მათ დათვალიერებას ხანგრძლივი დრო სჭირდება ან სხვა მიზეზით არ შეიძლება მათი შემთხვევის ადგილზე დათვალიერება ისინი უნდა დაილუქოს და მათი დათვალიერება მოხდეს გამოძიების ადგილზე; გამომძიებელმა უნდა შეადგინოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას საფუძვლად უდევს მთელი რიგი პრინციპული ხასიათის მოთხოვნები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება სავალდებულოა ყველა შემთხვევაში. ამ პრინციპებს განეკუთვნება: კანონიერება, დათვალიერების პირველდაწყებითი და გადაუდებელი ხასიათი, მისი ჩატარების გეგმიურობა, გამომძიებლის აქტიურობა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ობიექტურობა, ყოველმხრივობა და სისრულე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების <u>კანონიერება</u> გულისხმობს პროცესუალური კანონის მოთხოვნათა მტკიცე და განუხრელ დაცვას. დათვალიერება არის ისეთი ხასიათის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ატარებს <u>პირველდაწყებით და გადაუდებელ</u> ხასიათს. იგი უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად სწრაფად შემთხვევის შესახებ ცნობის მიღებისთანავე. მისი ჩატარება შეიძლება როგორც დღისით, ისე ღამის საათებში ხელოვნური განათების პირობებში. ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებას შეუძლია გამოიწვიოს იქ არსებულ კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა დაზიანება, განადგურება, გაფუჭება, შეცვლა, დაკარგვა როგორც

შემთხვევით, ისე განძრახი მოქმედების შედეგად. შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც, როგორც წესი, ტარდება პირველად. მისი ჩატარება სსს კოდექსის 178-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდეც კი. დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით წყდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არაღძვრის საკითხი.

დათვალიერების <u>გეგმიურობა</u> გულისხმობს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაგეგმვას, გადასაწყვეტი საკითხების წინასწარ განსაზღვრას და მათი გადაწყვეტის თანმიმდევრობის დადგენას. იმ ეფექტური და ოპტიმალური ტაქტიკური ხერხების შერჩევას, რაც მიზანსწრაფულს გახდის დათვალიერების ჩატარებას. ამავე დროს დათვალიერების დაგეგმვა არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც დოგმა. იგი შეიძლება დაზუსტდეს და შეიცვალოს კონკრეტულ ვითარებიდან გამომდინარე.

გამომძიებლის <u>აქტიურობა</u> შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს იმაში გამოიხატება, რომ იგი არის ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხელმძღვანელი, მან უნდა უზრუნველყოს ყველა სახის კვალის აღმოჩენა და ფიქსირება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება დათვალიერების პროცესში. გამომძიებელი კავშირს ამყარებს პოლიციის თანამშრომლებთან, სამძებრო სამსახურის მუშაკებთან, აძლევს მათ ცალკეულ დავალებებს დანაშაულის სწრაფი გახსნისა და დამნაშავე პირის დადგენა-დაკავების მიზნით.

შემთხვევის ადგილის <u>დათვალიერების ობიექტურობა, ყოველმხრივობა და სისრულე</u> გულისხმობს: თვით გამომძიებლის ობიექტურობას, იგი პირადად არ უნდა იყოს საქმის შედეგებით დაინტერესებული, დათვალიერებაში მონაწილე პირთა ობიექტურობის უზრუნველყოფას; თვით დათვალიერების ჩატარების ობიექტურობას. სისრულე და ყოველმხრივობა გულისხმობს შემთხვევის ადგილის მთლიან შესწავლას, ყველა სახის კვალის, ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენას, ფიქსირებასა და ამოღებას; შემთხვევის ვითარებისა და აღმოჩენილ კვალთა სრულად და ყოველმხრივ აღწერას შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში.

შემთხვევის ადგილის სწრაფი და ხარისხიანი დათვალიერება ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ გახსნას, დამნაშავეთა ოპერაციულ დადგენას და საქმეზე ჭეშმარიტების მიღწევას.

§2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადება

შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის რთული და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, ამიტომ მისი ხარისხიანი ჩატარება ბევრადაა დამოკიდებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადებაზე, ტექნიკური საშუალებების მზადყოფნაზე, მოკვლევის ორგანოებთან და სხვა ოპერატიულ სამსახურებთან მჭიდრო კავშირზე. ყველა შემთხვევაში გამომძიებელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებები ადგილზეა და დაკომპლექტებულია, გადასაღები აპარატურა (ფოტო, კინო და ვიდეოაპარატურა) გამართულია, არსებობს შესაბამისი ნეგატიური გადასაღები მასალა, შუქფილტრები, ხელოვნური განათების ხელსაწყოები და ა.შ.

გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს მისი სამოქმედო ტერიტორია (ქალაქი, რაიონი), ხელთ უნდა ჰქონდეს მისი რუქა; უნდა ჰქონდეს იმ სპეციალისტთა ბინისა და სამსახურის მისამართები, აგრეთვე ტელეფონის ნომრები, რომლებიც ხშირად მოიწვევიან შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს (სპეციალისტი — მედიკი, სპეციალისტი — კრიმინალისტი, ოპერატორი და ა.შ.). გამომძიებელს მჭიდრო კონტაქტი უნდა ჰქონდეს პოლიციის მორიგესთან და ოპერატიულ სამსახურთან.

შემთხვევის ადგილის ოპერატიული და ხარისხიანი დათვალიერება მჭიდრო კავშირშია აღნიშნული ზოგადი ხასიათის მოსამზადებელი საკითხების გადაწყვეტასთან. ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მომზადება გულისხმობს ორ ძირითად საფეხურს: გამომძიებლის მომზადება შემთხვევის ადგილზე გასვლამდე და მის მიერ მოსამზადებელი საკითხების გადაწყვეტას შემთხვევის ადგილზე მისვლისას, მანამ იგი უშუალოდ შეუდგება დათვალიერებას.

გამომძიებლის მომზადება შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გულისხმობს ისეთი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტას, რომელსაც ადგილი აქვს შემთხვევის ადგილზე გასვლამდე. მათ მიეკუთვნება შემდეგი საკითხების ნარკვევა-გადაწყვეტა: ვინ აცნობა (გამომძიებელს, პოლიციელს) შემთხვევის ადგილის შესახებ; სად არის შემთხვევის ადგილი; როდის მოხდა შემთხვევა; რა დანაშაულის ჩადენასთან გვაქვს საქმე; ვინ ნახა პირველად ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი; ხომ არ არის შემთხვევის ადგილზე დასახიჩრებული ან დაჭრილი პიროვნება, რა დახმარება აღმოუჩინეს მას,

ვინ აღმოუჩინა დახმარება, რომელ საავადმყოფოში ან ვის ბინაში წაიყვანეს იგი; თუ შემთხვევის ადგილზე იყო გვამი უნდა დადგინდეს ადგილზეა იგი თუ წაიღეს საავადმყოფოში; არის თუ არა შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლები და ღებულობენ თუ არა ისინი ღონისძიებებს შემთხვევის ადგილის დაცვისათვის. შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს პროკუროს და შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს. გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვინც მასთან ერთად უნდა გავიდეს შემთხვევის ადგილზე (პოლიციის მუშაკები, სამძებრო სამსახურის თანამშრომლები, სპეციალისტები, დამსწრეები). უნდა განისაზღვროს აგრეთვე ის ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენება სავალდებულო იქნება დათვალიერების პროცესში და გადაწყდეს საკითხი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ.

გამომძიებლის შემთხვევის ადგილზე მისვლის დროს მოსამზადებელი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა დათვალიერების დაწყებამდე გულისხმობს ისეთი საკითხების გარკვევას, რაც უზრუნველყოფს ამ საგამოძიებო მოქმედების ეფექტურად და მიზანსწრაფულად ჩატარებას. მათ მიეკუთვნებათ შემდეგი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა: რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე; აღმოუჩინეს თუ არა შემთხვევის ადგილზე მყოფ დაზარალებულს დახმარება, წინაალმდეგ შემთხვევაში გამომძიებელი თვითონ იღებს ამ მხრივ სასწრაფო ზომებს; განთავისუფლებულია თუ არა შემთხვევის ადგილი გარეშე პირებისაგან; რა ზომები მიიღო პოლიციის მუშაკებმა გამომძიებლის მოსვლამდე შემთხვევის ადგილის დაცვისათვის, დაადგინეს თუ არა მათმა მნახველები, მოწმეები, დაზარალებულები და მონაცემები დანაშაულის ჩამდენ პირის შესახებ; მოახდინეს თუ არა მათმა შემთხვევის ადგილზე დარჩენილ კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა დაცვა ხომ არ იყო განადგურებული, დაზიანებული ან წაღებული კვალი, დანაშაულის იარაღი ან ნივთები. ამ საკითხების გარკვევის შემდეგ უნდა მოხდეს მიღებული ინფორმაციის ანალიზი, მოწვეული იქნას დამსწრეები და საბოლოოდ დაზუსტდეს იმ პირთა წრე, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირებს უნდა განემარტოს უფლება-მოვალეობანი, ფუნქციები და ჩაუტარდეს შესაბამისი ინტსრუქტაჟი. ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები, მიეცეს შესაბამისი მითითებები პოლიციის მუშაკებს, სამძე-

ბრო სამსახურის თანამშრომლებს დანაშაულის ჩამდენი პირის, მოწმეთა და დაზარალებულთა დადგენის მიზნით და ექვმიტანილის დასაკავებლად.

აღნიშნული მოსამზადებელი ხასიათის საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა ხელს უწყობს შემთხვევის ადგილის სრულყოფილ, ყოველმხრივ და ობიექტურ დათვალიერებას.

§3. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხები

შემთხვევის ადგილის დათვალიერების სამი სტადია არსებობს. პირველს მიეკუთვნება დასათვალიერებელი ადგილის ზოგადი მიმოხილვა ანუ საორიენტაციო სტადია. მეორეს წარმოადგენს დეტალური დათვალიერება. მესამე სტადია არის დათვალიერების დასკვნითი სტადია.

დათვალიერების საორიენტაციო სტადია არის შემთხვევის ადგილის ზოგადი მიმოხილვა, რომლის ამოცანაა საბოლოოდ განისაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები, გადაწყდეს საკითხი, თუ საიდან და რა თანმიმდევრობით ჩატარდეს დათვალიერება, დაზუსტდეს დათვალიერების ჩატარების გეგმა, დაზუსტდეს და აიგოს ახალი შესაძლო ვერსიები, გადაწყდეს საკითხი დათვალიერების მონაწილე პირთა გაფართოვების შესახებ (საზოგადოებრიობის მოწვევა, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის თანამშრომელთა და პოლიციის მუშაკთა დამატებით გამოძახება).

შემთხვევის ადგილის საზღვრების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ დასათვალიერებელმა ადგილმა მთლიანად ჩოიცვას ყველა იქ არსებული კვალი, ნივთიერი მტკიცებულება, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის. გათვალისწინებულ უნდა იყოს აგრეთვე ისეთ კვალთა არსებობაც, რომელიც მიუთითებს შემთხვევის ადგილზე პიროვნების მისვლას და იქიდან წასვლას. საზღვრის განსაზღვრის დროს ყოველთვის ჯობია მისი გაფართოვება, ვიდრე შევიწროვება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება დათვალიერების გარეშე დარჩეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, საგანი და ნივთიერ მტკიცებულება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება არ უნდა გადაიზარდოს ჩხრეკაში. თუ ასეთი საჭიროება წამოიჭრება გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება ჩხრეკის წარმოების შესახებ და დაცვის საპროცესო კან-

ონის ის ნორმები, რომლებიც არეგლამენტირებენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.

სანამ გამომძიებელი შეუდგება შემთხვევის ადგილის უშუალო დათვალიერებას უნდა მოხდეს ამ ადგილის ფოტოგრაფირება (კინო და ვიდეოგადაღება) იმ მიზნით, რომ ყველაფერი დაფიქსირდეს ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დათვალიერების დაწყებამდე. ამ მიზნით გამოიყენება საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტოგადაღება.

წყვეტს რა გამომძიებელი საკითხს საიდან, რა თანმიმდევრობით და რა ტაქტიკური ხერხების გამოყენებით დაიწყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება მან უნდა გაითვალისწინოს რომ დათვალიერება შეიძლება იყოს მთლიანი და შერჩევითი. მთლიანი დათვალიერება გულისხმობს ადგილმდებარეობის (შენობის) მთლიან და ყველა დეტალის დათვალიერებას. შერჩევითი დათვალიერების დროს ყურადღება არის გამახვილებული ცალკეულ კვალთა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებაზე, რომელთაც გამომძიებლის აზრით აქვს საქმისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. შერჩევითი დათვალიერების ნაკლი ის არის, რომ შესაძლოა გამომძიებელს გამორჩეს ისეთ კვალთა და საგანთა დათვალიერება, რომელთაც მნიშვნელობა ქვთ საქმისათვის. დათვალიერების შერჩევითი ხერხი იშვიათად გამოიყენება რაქტიკაში.

განასხვავებენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების **ობიექტურ** და **სუბიექტურ** ტაქტიკურ ხერხს, რომელიც მჭიდრო კავშირშია მთლიან და შერჩევით დათვალიერებასთან. *ობიექტურ დათვალიერების* დროს გამომძიებელი ასევე მთელი მოცულობით ათვალიერებს ადგილმდებარეობას (შენობას). *სუბიექტური დათვალიერების* დროს დათვალიერება ხდება შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა შესაბამისად; კერძოდ: შემთხვევის ადგილზე მისვლის და იქიდან წასვლის კვალთა შესაბამისად.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოიყენება <u>ფრონტალური ანუ ხაზობრივი</u> დათვალიერების ტაქტიკური ხერხი. ამ შემთხვევაში დათვალიერება ხდება შემთხვევის ადგილის ერთი საზღვრიდან მეორე საზღვრამდე. როდესაც დასათვალიერებელი ადგილი დიდი მოცულობისაა იგი შეიძლება დაიყოს ცალკეულ უბნებად (კვადრატებად) და დათვალიერება ხდება მათ შესაბამისად.

დათვალიერების ტაქტიკურ ხერხებს მიეკუთვნება შემთხვევის ადგილის დათვალიერება ცენტრიდან პერიფერიისაკენ (*ექსცენტრული* ხერხი) და პერიფერიიდან ცენტრისაკენ (*კონცენტრული* ხერხი).

პრაქტიკაში, როგორც წესი, დათვალიერება წარმოებს ცენტრიდან პერიფერიისაკენ, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ადვილი გასარკვევია შემთხვევის ადგილის ცენტრი იქ არსებული კვალთა, საგანთა, გვამის, ნივთიერ მტკიცებულებათა მიხედვით. ამ სახის დათვალიერების დროს გამოიყენება სპირალური მეთოდი, ე.ი. დათვალიერება იწყება ცენტრიდან გრძელდება სპირალისებური გადაადგილებით. დათვალიერება წარმოებს პერიფერიიდან ცენტრისაკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია შემთხვევის ადგილის ცენტრი, როდესაც შემთხვევის ადგილის პერიფერიაზე არსებული კვალი შეიძლება განადგურდეს ან დაზიანდეს გარეშე პირების მიერ და იმ შემთხვევაში, როდესაც პერიფერიიდან ცენტრისაკენ არის პიროვნების მოძრაობის კვალი.

განასხვავებენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ და დინამიკურ ხერხებს. *სტატიკური დათვალიერების* დროს შემთხვევის ადგილზე არსებული საგნებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება ხდება უძრავ მდგომარეობაში, მათი ყოველგვარი გადაადგილების და ხელში აღების გერეშე. სწორედ ამ დროს წარმოებს შემთხვევის ადგილის ფიქსაცია საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებით. სტატიკური დათვალიერების დროს ფიქსირდება აგრეთვე შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილმდებარეობა, მათი ურთიერთგანლაგება და პარამეტრები შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, ცალკე ჩანაწერების სახით ან სქემაზე (გეგმაზე) გამოსახულებით.

დათვლიერების დინამიკური ხერხი გულისხმობს შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა, საგანთა, ნივთიერ მტკიცებულებათა ხელში აღებას, დეტალურ დათვალიერებას, მათი ზოგადი და კერძო ნიშანთვისებათა დადგენას. დინამიკურ დათვალიერებას ყოველთვის წინ უსწრებს სტატიკური დათვალიერება.

დათვალიერების დეტალური სტადია ამოცანად ისახავს დათვალიერების შედეგად აღმოვაჩინოთ და დავამაგროთ სხვადასხვა სახის კვალი, ავხსნათ კვალთა წარმოშობის მექანიზმი, დანაშაულის ჩადენის ხერხი, დნა-

შაულის ჩადენის ვითარება და გარემოება, დავადგინოთ დანაშაულის ჩამდენი პირის მონაცემები, ავხსნათ ნეგატიური მოვლენები და დანაშაულის ჩადენის ინცენირების ფაქტი.

შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერების დროს გამოიყენება ყველა ტექნიკური საშუალებები, რომელიც საჭიროა კვალთა აღმოჩენისათვის, დამაგრებისა და ამოღებისათვის (მოსაძებნი ტექნიკური საშუალებები, სხვადასხვა სახის ფხვნილები კვალთა გამომჟღავნებისა და ფიქსირებისათვის, ჩვეულებრივი ნათურა და უხილავი სხივები (ულტრაიისფერი და ინფრაწითელი)).

დეტალური დათვალიერების დროს ხდება საკვანძო და დეტალური ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება. ამ დროს მზადდება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ კვალთა ტვიფარები, ხდება თითის კვალთა გადატანა დაქტილოფირზე, სხვადასხვა სახის ნიმუშების აღება შემთხვევის ადგილიდან (ნიადაგი, საღებავი, ბალახი), სითხეების (წყალი, სისხლი, ზეთი) ამოღება და დაკონსერვება. საჭიროების შემთხვევაში ხდება ჰაერის სუნის ამოტუმბვა და დაკონსერვება. დეტალური დათვალიერების დროს ყოველი აღმოჩენილი კვალი (მიკროკვალი და მიკროსტრუქტურა), საგანი, ნივთიერი მტკიცებულება უნდა იყოს გულდასმით დათვალიერებული და აღწერილი: მათი ,ასახელება, ნიშან-თვისებები (ზომა, წონა, ფერი, სისტემა, საფაბრიკო ,იშნები, ინდივიდუალური ნიშნები).

შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერების დროს უნდა იყოს დადგენილი და ახსნილი ნეგატიური გარემოება და დანაშაულის ჩადენის ინსცენირების ნიშნები.

ნეგატიური გარემოება არის ისეთი ფაქტებისა და გარემოების არსებობა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო შემთხვევის ადგილზე, რადგან ეწინააღმდეგება დანაშაულის ჩადენის ვითარების ლოგიკას და მოცემულ კრიმინალისტიკურ სიტუაციას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე უნდა ყოფილიყო გატეხის (შემტვრევის) კვალი, მაგრამ იგი არ არის. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საცავი გაღებული იყო მორგებული გასაღებით. შემთხვევის ადგილზე არის დასახიჩრებული გვამი და ამიტომ უნდა ყოფილიყო სისხლის ლაქები, მაგრამ ისინი არ არის. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ მკვლელობას ადგილი ჰქონდა სხვა ადგილზე და სხვა დროს და არა იქ, სადაც გვამი იყო აღმოჩენილი.

ინსცენირება არის შემთხვევის ადგილზე გარემოების ხელოვნურად შექმნა, დანაშაულის დემონსტრაციული ხასიათი, სხვა დანაშაულის კვალის ნიშნების არსებობა. ყოველივე ეს კეთდება დანაშაულის დაფარვისა და სხვა დანაშაულის ინსცენირებისათვის, ერთი სახის დანაშაულის შეცვლის მიზნით მეორე უფრო მცირემნიშვნელოვანი დანაშაულით, დანაშაულის ჩადენის ფაქტის შეცვლის მიზნით უბედური შემთხვევის ან სტიქიური უბედურების ინსცენირებისათვის.

• მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დემონსტრაციულ და გაზვიადებულ ხასიათს (ნივთების, საცვლების, ტანისამოსის უსისტემოდ მიმოყრა) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ქურდობას სჩადის ოჯახის წევრი, ნათესავი ან ახლობელი, რომელმაც კარგად იცის, თუ სად ინახება ფასეულობა, ნივთები, ფული, საწყობში, მაღაზიაში, დაწესებულებაში. ხანძრის ინსცენირებას ადგილი აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების და მითვისების დაფარვის მიზნით. ამავე ქონების მითვისების დაფარვის მიზნით გამოიყენება ხოლმე სტიქიური უბედურების ფაქტი. მკვლელობის დაფარვის მიზნით ხდება თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის ინსცენირება. მაგალითად, მკვლელობის შემდეგ გვამის თოკზე ჩამოკიდვა, მკვლელობის შემდეგ გვამის დადება ლიანდაგზე, სავალ გზაზე და ა.შ.

დათვალიერების დეტალური სტადიის დროს როგორც ნეგატიური გარემოება, ისე ინსცენირების ფაქტი დაწვრილებით უნდა იყოს ფიქსირებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში.[1]

<u>დათვალიერების დასკვნითი სტადია</u> ამოცანად ისახავს შეჯამდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგები რათა გამომძიებელი დარწმუნდეს, რომ მან ჩაატარა დათვალიერება სრულყოფილად, ყოველმხრივად და ობიექტურად, ამოიღო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, საგანი, ნივთმტკიცება.

დათვალიერების ამ სტადიაზე გამომძიებელი მოუსმენს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე ყველა პირს მათგან სრული ინფორმაციის მიღების მიზნით, აფასებს ამ ინფორმაციებს და აკეთებს დასკვნას შემთხვევის ადგილის დათვალიერების სისრულის, ყოველმხრივობისა და

---

[1]. კვალთა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების შესახებ იხ. VIII და X თავები. შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირების შესახებ იხ. IX თავი.

ობიექტურობის შესახებ. თუ ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია გამომძიებელი დამატებით ან განმეორებით ათვალიერებს შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალს, საგნებს, ნივთიერ მტკიცებულებებს და აანალიზებს დათვალიერების შედეგებს.

ამ სტადიაზე გამომძიებელი წყვეტს თუ რა უნდა იყოს ამოღებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად (კვალი, ნივთიერი მტკიცებულება, საგანი, კვალთა ანაბეჭდები, ტვიფარი. ნიადაგის ნიმუში და ა.შ.). გამომძიებელი უნდა გამომდინარეობდეს იმ პრინციპული ხასიათის მოთხოვნიდან, რომ თუ პრაქტიკულად შეიძლება უშუალოდ კვალის ან იმ საგნის ამოღება, რომელზედაც კვალია დარჩენილი უნდა იყოს ამოღებული უშუალოდ საგანი და კვალი. თუ ეს შეუძლებელია მხოლოდ მაშინ უნდა იყოს ამოღებული ანაბეჭდი, ტვიფარი, ნიმუში.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საგანი, კვალი, ნივთიერი მტკიცებულება უნდა შეიფუთოს ცალ-ცალკე, ისე რომ იგი არ დაზიანდეს ტრანსპორტირების დროს, არ განადგურდეს და წაიშალოს კვალი. ყოველ ამოღებულ საგანს, ნიმუშს უნდა გაუკეთდეს წარწერა, თუ რა სახის კვალია ამოღებული, როდის, სად და რომელ საქმეზეა ამოღებული, რაც დასტურდება გამომძიებლის ხელისმოწერით. როგორც წესი ასეთი ხასიათის წარწერა კეთდება მუყაოს ან მკვრივ ქაღალდზე, რომელიც მიემაგრება ამოღებულ საგანს. თუ ამოღებული საგნის კვალის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე შეუძლებელია ისინი უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და მათი დათვალიერება ხდება გამოძიების წარმოების ადგილზე.

თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირებმა (დამსწრეებმა, სპეციალისტმა, ოპერატიულმა მუშაკმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელმა, მოწმემ, დაზარალებულმა, ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა) გააკეთეს განცხადება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან ოქმის შედგენის სისწორისა და სისრულის შესახებ გამომძიებელი ვალდებულია განცხადების შინაარსი ასახოს ოქმში.

§4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფიქსაცია

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია წარმოადგენს აუცილებლობას. განასხვავებენ ფიქსაციის ორ სახეს ძირითადს და დამატებითს. ძირითადს მიეკუთვნება შემთხვევის ადგილის დათვალიერების

წერილობითი ოქმი. დამატებითს კი – ყოველივე ის, რაც დაფიქსირებული იყო ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგად და ერთვის ოქმს დანართის სახით (ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების ფირები და ფოტოსურათები, შემთხვევის ადგილზე დამზადებული გეგმები და სქემები, კვალის ანაბეჭდი და ტვიფარი).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში უნდა აისახოს ოფიციალური მონაცემები, დათვალიერების პროცესი, ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფაქტი და მიღებული შედეგები, დათვალიერების მონაწილეთა განცხადება ოქმის შედგენის სიწორის შესახებ და ამ მხრივ გამომძიებლის მიერ მიღებული ზომები, ოქმის გაცნობის ფაქტი შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაწილეობისათვის. ოქმის შედგენის დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 178 – 182-ე მუხლები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შესავალ ნაწილში აღინიშნება ოფიციალური მონაცემები: ვინ აწარმოებს დათვალიერებას, როდის და სად ტარდება იგი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, ვინ მონაწილეობს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, იმის შესახებ, რომ დამსწრეებს და სპეციალისტებს განემარტათ უფლება-მოვალეობანი და საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლითაც ხელმძღვანელობდა გამომძიებელი დათვალიერების დროს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების აღწერილობით ნაწილში აღინიშნება შემთხვევის ადგილის ზოგადი დახასიათება და მისი საზღვრები, დათვალიერების პირობები, რა ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული, სად და რა სახის კვალი, საგანი, ნივთმტკიცება იქნა აღმოჩენილი (მათი დაწვრილებითი აღწერა), დათვალიერების რა ტაქტიკური ხერხები იყო გამოყენებული, რა სახის ნეგატური გარემოება ან დანაშაულის ინსცენირების ფაქტი იქნა დადგენილი. აღწერილობითი ნაწილის შედგენის დროს გამოიყენება ის ჩანაწერები, რომელსაც გამომძიებელი აწარმოებდა უშუალოდ დათვალიერების დროს. ამავე ნაწილში აღინიშნება ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების შესახებ (აპარატურის ტექნიკური მონაცემები, გადაღების ადგილი, განათების პირობები, გადაღებული ობიექტები).

ბოლოს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის დასკვნით ნაწილში მიეთითება რა სახის გადაღებას ჰქონდა ადგილი და რა შედეგები

იყო მიღებული, რა სახის ტვიფარი ან კვალის ანაბეჭდი დამზადდა დათვალიერების დროს, რა სახის ნიმუშები დამზადდა, რა საგნები, კვალი და ნივთიერი მტკიცებულებები იყო ამოღებული, სქემების და გეგმების შედგენის შესახებ. დასკვნით ნაწილში მიეთითება იმის თაობაზე, რომ დათვალიერების მონაწილეები გაეცნენ ოქმის შინაარს, რომ გაცნობის შედეგად მათ გააკეთეს განცხადება ოქმის შედგენის სისწორის თაობაზე და რა ზომები მიიღო გამომძიებელმა ამ განცხადებათა განხილვის შედეგად. ოქმს ხელს აწერს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ყველა მონაწილე პირი.[2]

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დგება სქემა, გეგმა. სქემა და გეგმა არის შემთხვევის ადგილის გრაფიკული გამოსახულება როგორც მთლიანად, ისე დათვალიერების დროს აღმოჩენილ ცალკეულ საგნების, კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა. სქემა არის გეგმის მარტივი სახე. რადგან მისი შედგენის დროს არ არის დაცული მასშტაბი. ცალკეული საგნებისა და კვალთა გამოხატულება სქემაზე შეიძლება იყოს მიახლოებითი. საგნების, კვალთა ზომები და მათი პარამეტრები მიეთითება უშუალოდ სქემაზე გამოხატულ საგნებზე. სქემაზე უნდა აღინიშნოს, თუ რომელ მხარეზეა აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი.

სქემისგან განსხვავებით შემთხვევის ადგილის გეგმა დგება მასშტაბის დაცვით, სადაც აღინიშნება ორიენტაცია მხარეების მიხედვით. აღმოჩენილ კვალთა და საგანთა გამოხატულების დროს უნდა იყოს მოცემული მათი პარამეტრები, როგორც ურთიერთშორის, ისე მყარ და უცვლელ საგნებთან თანაფარდობაში (კედელი, ქუჩა, სახლი, მდინარე). გეგმაზე გამოიხატება საგნები, კვალი და გარემოება მიღებული პირობითი ნიშნების და ტერმინოლოგიის შესაბამისად. გეგმა დგება სიბრტყითი ნიშნის მიხედვით, ეი. ჰასზე გამოიხატება საგნები მათი ზევიდან ცქერის შესაბამისად. თუ კვალი არის კედელზე, ჭერზე ასეთ შემთხვევაში დგება გაშლილი გეგმა, რომელზედაც ცალ-ცალკეა გამოხატული კედელზე და ჭერზე არსებული კვალი.

სქემა და გეგმა ერთვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს დანართის სახით და მასთან ერთად განიხილება, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო.

---

[2]. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შესახებ (გვამის დათვალიერება კინოგადაღების გამოყენებით) იხ.ფალიაშვილი, ა., ცინცაძე დ. გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტები, თბ., 1988, გვ.161-165.

§5. შემთხვევის ადგილის ცალკეული სახეების დათვალიერების თავისებურება

შემთხვევის ადგილის ცალკეულ სახეებს მიეკუთვნება გვამის, შენობის, ადგილმდებარეობის, საგნების, დოკუმენტების და ცოცხალ პირთა დათვალიერება. ამ დროს მთლიანი მოცულობით გამოიყენება ის ტაქტიკური ხერხები და ტექნიკური საშუალებები, რასაც ადგილი აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ თავისებურებებზე და შემთხვევის ადგილის ცალკეული სახეების მოკლე დახასიათებაზე.

<u>გვამის დათვალიერება.</u> გვამის გარეგან დათვალიერებას ახდენს გამომძიებელი ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობით, იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 180-ე მუხლით.

გვამის გარეგანი დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს და აღიწეროს: გვამის დათვალიერების დრო და ადგილი; ჰაერის ტემპერატურა და გვამის პოზა; გვამის ირგვლივ არსებული საგნები და კვალი; გვამის პარამეტრები სხვა საგნებთან ურთიერთობაში; გვამის მდგომარეობა სამყაროს მხარეების თანაფარდობაში; გვამის ჩაცმულობა და გვამზე არსებული კვალი.

გვამის დათვალიერების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვამის ფოტოგრაფირებას, რომელიც ხდება ზემოდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ორი ან ოთხი მხრიდან. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური ფოტო-გადაღება. დეტალური ფოტო-გადაღების დროს მაშტაბში უნდა გამოისახოს გვამზე არსებული ყველა კვალი, დაზიანება და განსაკუთრებული ნიშნები. გვამის საკვანძო გადაღების შედეგად უნდა დაფიქსირდეს გვამის თავის, ხელების და ფეხების ურთიერთგანლაგება, გვამის პოზა მთლიანად და გვამი ახლომდებარე საგნებთან ერთად.

გვამის დათვალიერების დროს დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი გვამის ჩაცმულობა: ქუდი, პალტო, ქურთუკი, კოსტიუმი, ფეხსაცმელი, წინდები, საცვალი, ხელთათმანი, ჯიბეებში აღმოჩენილი საგნები და ნივთები, ხელჩანთა და მასში არსებული საგნები და ნივთები. ყველა შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული როგორც ზოგადი ნიშნები (ფერი, ზომა, წონა, საფაბრიკო ნიშნები, ფასონი და ა.შ.), ასევე კერძო ნიშნებიც (გახევის ადგილი და ზომა, ღილების უქონლობა, ფეხსაცმლის გაცვეთის ფორმა და

ადგილი, გვამის სხეულზე არსებული ხალი, სვირინგი და ა.შ.). აღმოჩენილ და აღწერილ უნდა იქნას აგრეთვე ბიოლოგიური წარმოშობის ნიშნები (თმა, მისი ფერი, სისხლის ან სხვა ლაქები, მათი განლაგების ადგილი და ფორმა, სპერმა, ნერწყვი და ა.შ.). ყურადღებით უნდა იყოს დათვალიერებული და აღწერილი წინააღმდეგობის გაწევისა და ბრძოლის ნიშნები გვამის ირგვლივ. უნდა დადგინდეს და აღიწეროს აგრეთვე ზეთის ან სხვა სითხეების და მასების არსებობა, როგორც გვამის ირგვლივ, ასევე ხელის ფრჩხილებში და უშუალოდ გვამზე. თუ არსებობს გვამის გადატანის ან გადათრევის ნიშნები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ყოველივე ეს მოითხოვს დათვალიერებასა და აღწერას. აღმოჩენას და აღწერას ექვემდებარება აგრეთვე გამური ნიშნები და გვამის ანატომიური მონაცემები (გვამის აგებულება, სიმაღლე, ასაკი, სქესი, განსაკუთრებული ნიშნები და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც გვამის ამოცნობა ვერ მოხერხდა უნდა იყოს დამზადებული გვამის ამოსაცნობი ფოტოსურათები და მოხდეს გვამის ლაქტილოსკოპირება (თითების ანაბეჭდების აღება), მისი შემდგომი ამოცნობის ან პიროვნების დადგენის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა დაფიქსირდეს გვამის დაკრძალვის ადგილიდან ამოღების შემთხვევაშიც. ამ დროს დამატებით აღინიშნება გვამის დამარხვის ადგილი (სასაფლაოს დასახელება, სასაფლაოს უბანი, დასაფლავების ადგილი, საფლავის ნომერი და მისი აღწერილობა).

<u>შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება.</u> შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერებას ადგილი აქვს, როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი მჭიდრო კავშირში არ არიან დანაშაულის ჩადენასთან, მაგრამ იქ შეიძლება აღმოჩნდეს ან დადგინდეს დანაშაულის ჩადენის კვალი და სხვა საგნები, რაც კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან და იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ჩვენების სისწორე.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, რომ დადგინდეს, ხომ არ იმყოფება შენობაში, ტყეში, მინდორში პირი, რომელიც დადგენილ ან დაკავებულ უნდა იქნას. იმ დროს, როდესაც საჭიროა დადგინდეს და ამოღებულ იქნას დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულთან დაკავშირებული კვალი, სხვადასხვა საგნები და ნივთიერი მტკიცებულებანი ან დანაშაულის ჩადენის იარაღი.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება ხდება როდესაც უნდა შემოწმდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის ან მოწმის მიერ ადრე მიცემული ჩვენების სისწორე. მაგალითად, თუ ბრალდებული იძლევა ჩვენებას, რომ მან ჩაიდინა ბინის ქურდობა და ამ ჩვენების სისწორეში გამომძიებელს ეჭვი ეპარება იგი დაწვრილებით დაკითხავს ბრალდებულს ბინაში განლაგებული ავეჯის, საგნების, ნივთების თაობაზე. შემდგომში გამომძიებელი ამ ჩვენების სისწირის შემოწმების მიზნით ათვალიერებს შენობასა და ბინას და რწმუნდება ბრალდებულის ჩვენების სისწორეში ან მის სიცრუეში.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს, საგამოძიებო სიტუაციის შესაბამისად, გამოიყენება ის ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები რაც დამახასიათებელია შემთხვევის ადგილის დათვალიერებისათვის.

<u>საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერება.</u> საგნების დათვალიერება წარმოადგენს დათვალიერების ცალკე, დამოუკიდებელ სახეს. მათი დათვალიერება ხდება უშუალოდ შემთხვევის, ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე, თუ ამის რეალური საშუალება იქ არსებობს და მას ხანგრძლივი დრო არ სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 175-ე მუხლის საფუძველზე, ეს საგნები უნდა შეიფუთოს და დაილუქოს და მათი დათვალიერება მოხდება გამოძიების წარმოების ადგილზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგნებსა და დოკუმენტებს, სსს კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, გამომძიებელს წარუდგენს პროცესის რომელიმე მონაწილე, მოქალაქე, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კოოპერატიული ორგანიზაციის წარმომადგენელი მათი დათვალიერება ხდება წარდგენისთანავე, წარდგენის ადგილზე.

დოკუმენტების დათვალიერება ხდება როგორც მათი აღმოჩენის ადგილზე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება), ასევე მათი გამომძიებლისადმი წარდგენის ან გამოძიების წარმოების ადგილზე.

საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერების ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დადგენილი და საგამოძიებო მოქმედების ოქმში დაწვრილებით აღწერილი მათი ნიშან-თვისებები: ფერი, ზომა, წონა, რაოდენობა, დოკუმენტის შინაარსი, დამზადების ადგილი და საფაბრიკო ნიშნები და ინდივიდუალური ნიშნები, რაც დამახასიათებელია მოცემული საგნისა და

დოკუმენტებისათვის. ამ შემთხვევაში გამოიყენება ტექნიკური საშუალებები (გამადიდებელი მინა, მიკროსკოპი, განათება, უხილავი სხივები, ფოტოგრაფირება, საზომი ხელსაწყოები და ა.შ.).

<u>ცოცხალ პირთა დათვალიერება.</u> ცოცხალ პირთა დათვალიერება და შემოწმება, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება (სსს კოდექსის 181-ე მუხლი) უშუალო და მჭიდრო კავშირში არიან. ცოცხალ პირთა დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ტანისამოსზე, ადამიანის სხეულზე შეიძლება აღმოჩნდეს დანაშაულის ჩადენის კვალი, გადამალული საგნები და ფასეულობა და დადგინდეს განსაკუთრებული ნიშნები.

თუ ცოცხალ პირთა დათვალიერება დაკავშირებულია პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პრინციპთან, გამომძიებელი ვალდებულია ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება და იგი ჩაატაროს დამსწრეთა მონაწილეობით. დათვალიერება შეიძლება მოხდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმისა. ცოცხალ პირთა დათვალიერების დაწყებამდე გამომძიებელმა დაახლოვებით მაინც უნდა იცოდეს რა მიზნით ატარებს დათვალიერებას და რისი აღმოჩენა მას სურს.

ცოცხალ პირთა დათვალიერების დროს გამოიყენება ტექნიკური საშუალებები (ულტრაიისფერი ნათურა, განათება, ფოტოგრაფირება და ა.შ.). დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი საგნები, ნივთები, ფასეულობა, დანაშაულის ჩადენის იარაღი, კვალი, განსაკუთრებული ნიშნები (ხალი, სვირინგი, დასახიჩრება) დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი, უნდა მიეთითოს: ზომა, ფერი, ადგილი, რაოდენობა, საფაბრიკო ნიშნები, დამზადების ადგილი, ნომერი და სერია, წონა და .აგებულება.

ცოცხალ პირთა დათვალიერება, როგორც წესი, წარმოებს შემოწმების დროს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში.

XIX თავი

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა

§1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება და არსი

საგამოძიებო ექსპერიმენტი როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება პირველად არის გათვალისწინებული მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით. მანამდე საგამოძიებო ექსპერიმენტი განიხილავდა, როგორც კრიმინალისტიკური ტაქტიკური ხერხი ჩვენებათა და სხვა მტკიცებულებათა სისწორის შემოწმების მიზნით.

ზოგიერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი საგამოძიებო ექსპერიმენტს უწოდებს "მდგომარეობისა და ვითარების აღდგენას" (იხ. მაგალითად უკრაინის სსს კოდექსის 194-ე მუხლი). ასეთივე სახელწოდებით იყო ცნობილი საგამოძიებო ექსპერიმენტი უზბეკეთის სსს კოდექსის 166-ე მუხლით, მაგრამ შემდგომში 1976 წლის 28 მაისიდან იგი წოდებულია, როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 183-ე მუხლი აყალიბებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნების ძირითად ნიშნებს. საგამოძიებო ექსპერიმენტი არის საგამოძიებო მოქმედება რომელიც ტარდება დათვალიერების, შემოწმების, დაკითხვის, ამოსაცნობად წარდგენის, საგამოძიებო ვერსიების, სხვა საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების დროს მიღებულ მონაცემების შემოწმების, დაზუსტების ან ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით.

ამგვარად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება მიზნად ისახავს საგამოძიებო მოქმედებათა, ოპერატიულ-ღონისძიებათა შედეგად მიღებული მონაცემების და საგამოძიებო ვერსიების ა)შემოწმებას, ბ) დაზუსტებას, გ) ახალი მტკიცებულების მიღებას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ამოცანა გამოიხატება იმაში, რომ გარკვეული ვითარების აღდგენის გზით შემოწმდეს, დაზუსტდეს, დადგინდეს: გარკვეული ფაქტების არსებობა; გარკვეული მოქმედების შესრულების შესაძლებლობა; ფაქტებისა და გარემოებათა წარმოშვების მექანიზმი; გარკვეული პროფესიული ჩვევების გამომუშავების ფაქტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების სახეებს მიეკუთვნება: 1) აღთქმის უნარის შემოწმება-დადგენა. ამ მხრივ პრაქტიკაში შედარებით ხშირად აქვს ადგილი სმენადობის შემოწმებას, ხილვადობის დადგენას, კონკრეტული საუბრის და ინტონაციის აღთქმას. 2) ცალკეული მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. მაგალითად, შეეძლო თუ არა პირს კონკრეტული ვითარებისა და პირობების გათვალისწინებით გამონგრეულ ხვრელში რაიმე საგნების გატანა; სიმძიმის გატანა გარკვეულ მანძილზე და გარკვეულ დროში; მოცემულ დროში გარკვეული მანძილის გავლა გარბენით, ჩვეულებრივი სიარულით; სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით გარკვეული მანძილის გავლა მოცემულ დროში და ა.შ. 3) ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესაძლებლობა ან გარკვეული შედეგების დადგომა. საგამოძიებო ექსპერტის ამ სახეს მიეკუთვნება, მაგალითად, საკითხის დადგენა იმის შესახებ შესაძლო იყო თუ არა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ქონების გაფუჭება, დალპობა, ხარისხის დაკარგვა მათი გარკვეულ პირობებში და გარკვეულ დროის შენახვის შედეგად; შესაძლებელ იყო თუ არა საგნების თვითაალების შედეგად ხანძრის გაჩენა და ა.შ. საგამოძიებო ექსპერიმენტის აღნიშნულ სახეს მიეკუთვნება აგრეთვე გარკვეულ პროფესიული ჩვევების განსაზღვრა-გამომჟღავნების უნარის დადგენა. მაგალითად, მძღოლის ჩვევების დადგენა, დურგლის, ზეინკლის, ხატვის ან ძერწვის და სხვა სახის პროფესიული ჩვევების განსაზღვრა. 4) ფაქტებისა და გარემოებათა წარმოშვების მექანიზმის დადგენა. მაგალითად, შესაძლებელი იყო თუ არა გარკვეული კვალის დატოვება (ხელის, ფეხის, სატრანსპორტო საშუალების, გატეხის იარაღითა და ა.შ.) მოცემული პიროვნების მიერ ან კონკრეტული საგნის მეშვეობით და რა პირობებში წარმოიშვა კვალი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება უნდა ეფუძნებოდეს მთელ რიგ ისეთი პრინციპული ხასიათის მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებას, ობიექტურობას და ყოველმხრივობას. ამ პრინციპული ხასიათის მოთხოვნებს მიეკუთვნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების კანონიერება; მის ჩატარება იგივე ან მაქსიმალურად მიახლოვებულ პირობებში; ცდების განმეორება, ნებაყოფლობითი პრინციპი და ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დაცვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

კანონიერება. კანონიერების პრინციპი გულისხმობს იმ საპროცესო ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას, რომლებიც არეგულირებენ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესსა და პირობებს, საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირთა კანონით გარანტირებულ უფლებების დაცვას. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგებს მხოლოდ მაშინ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულების ძალა, როდესაც ისინი მიღებულია კანონის დაცვის საფუძველზე.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება იგივე პირობებში. ამ პრინციპის არსი იმაში გამოიხატება, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს იგივე პირობებში, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია მაშინ იგი ტარდება მაქსიმალურად მიახლოვებულ პირობებში. იგივე პირობების შექმნა გულისხმობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას იმავე ადგილზე და იმავე დროს, როგორც შესამოწმებელ მოვლენას ჯქონდა ადგილი, იგივე ობიექტების გამოყენებას. როდესაც ხმაურის ფონს, ამინდს, ჰაერის ტემპერატურას, ქარის მიმართულებას აქვს მნიშვნელობა ეს პირობებიც უნდა იყოს დაცული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

ცდების განმეორება. საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში ცდების განმეორებას და მათ შესრულებას სხვადასხვა პირობებში აქვს გარკვეული მნიშვნელობა კანონზომიერებათა დადგენის საქმეში. ცდები შეიძლება განმეორდეს რამოდენიმეჯერ, იგი შეიძლება შესრულდეს გაუარესებულ და გაუმჯობესებულ პირობებში იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რომელ კონკრეტულ პირობებში შესაძლებელ იყო გარკვეულ ფაქტს ჰქონოდა ადგილი.

ნებაყოფლობის პრინციპი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამოიხატება იმაში, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები თავისი ნებითა და სურვილით ასრულებენ იმ მოქმედებას, რომელსაც მას გამომძიებელი ავალებს. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის თუ სხვა პირის იძულება ფიზიკური ძალადობით, მუქარით, შანტაჟით გამორიცხულ უნდა იყოს ყველა შემთხვევაში.

ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დაცვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გულისხმობს იმას, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს არ უნდა დაევალოს ისეთი მოქმედების შესრულება, რაც ამცირებს მათ პატივსა და ღირსებას, შეურაცხყოფელია მათთვის და საშიშია

ჯანმრთელობისათვის. ასევე არ შეიძლება ისეთი მოქმედების ჩატარება, რაც საშიშია სხვა პირთა ჯანმრთელობისათვის ან დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს დაცულ უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 183-ე მუხლით დადგენილი პროცესუალური წესი. კერძოდ: საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში უნდა მონაწილეობდეს დამსწრეები; გამომძიებელს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მოიწვიოს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დზარალებული, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი; სპეციალისტის მონაწილეობით შეიძლება მიღებულ იყოს ნიმუშები შედარებითი გამოკვლევის ჩატარებისათვის; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს შეიძლება გამოყენებულ იყოს ტექნიკური საშუალებები: გაზომვა, ფოტოგადაღება, კინოგადაღება, გეგმებისა და სქემების შედგენა; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება იმ პირობით, თუ იგი არ ამცირებს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და არ არის საშიში მათი ჯანმრთელობისათვის; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ დგება ოქმი დადგენილი წესების დაცვით.

§2. საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ეს საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს ორგანიზებულად და მიზანსწრაფულად, მივაღწიოთ ოპტიმალურ და უტყუარ შედეგებს. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება ითვალისწინებს ორ საფეხურს, კერძოდ: 1)მოსამზადებელი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა გამოძიების ადგილზე, 2) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე, მანამ უშუალოდ დაიწყება ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება გამოძიების ადგილზე გულისხმობს შემდეგი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას: სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობას, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტას, ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა განსაზღვრას, საგამოძიებო ექსპერიმენტის საგნების, ობიექტებისა და პირობების მომზადებას, საჭირო ტექნიკურ საშუალებათა განსაზღვრას და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დაგეგმვას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ეფექტური ჩატარებისათვის დადებითი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმის მასალების დეტალურ შესწავლასა და ანალიზს, რაც საფუძველს გვაძლევს დავადგინოთ: რა ვითარებაში და პირობებში ჩატარდა შესამოწმებელი ფაქტები და გარემოებანი. კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა შესამოწმებელ ურთიერთობაში, რომელი მტკიცებულების სიწორე უნდა შემოწმდეს (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები, დაპირისპირებების და ამოცნობის შედეგები, თუ სხვა სახის მტკიცებულება).

შემდეგ საკითხს, რომელიც გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს განეკუთვნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობა და მისი ჩატარების აუცილებლობა. პირველ რიგში უნდა გაირკვეს საკითხი, თუ რამდენად ეფექტური იქნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება და რა შედეგის მიღება შეიძლება, სასურველი ფაქტის არსებობა ხომ არ არის უკვე ობიექტურად და უტყუარად დადგენილი სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით. უნდა გადაწყდეს აგრეთვე საკითხი შესაძლებელია თუ არა პრაქტიკულად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, შესაძლებელია თუ არა იმ პირების და ობიექტების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც მონაწილეობდნენ სინამდვილეში მომხდარ ურთიერთობაში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება გულისხმობს იმ პირთა წრის განსაზღვრას, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში. ამ საკითხს წყვეტს უშუალოდ ის გამომძიებელი, ვინც უნდა ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში აუცილებელ მონაწილეებს განეკუთვნება დამსწრეები. იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს დასახლებული ადგილიდან მოშორებით და მის ჩატარების ადგილზე პრაქტიკულად შეუძლებელია დამსწრეთა მოწვევა, გამომძიებელი ამ საკითხს წყვეტს გამოძიების ადგილზე. დამსწრეთა მოწვევის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული მათი ობიექტურობა და საგამოძიებო ექსპერიმენტის მსვლელობისა და შედეგების სწორი აღთქმის უნარი.

ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე ან დაზარალებული უნდა იყოს მოწვეული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება მათი ჩვენებების საფუძველზე, მათი ჩვენებათა სისწორის შემოწმების მიზნით და

როდესაც აღნიშნული პირები იყვნენ შესამოწმებელი მოქმედების უშუალო შემსრულებლები და მონაწილენი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება იყოს მოწვეული შესაბამისი სპეციალისტი (სპეციალისტი-კრიმინალისტი, სპეციალისტი-მედიკოსი, სპეციალისტი-ტექნიკური დარგის წარმომადგენელი და ა.შ.), რომლის სპეციალური ცოდნის გამოყენება ან კონსულტაციის გაწევა საჭირო იქნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში. სპეციალისტს ასევე შეიძლება დაევალოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობების შექმნა, ამ საგამოძიებო მოქმედების ობიექტების მომზადება, განლაგება, საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესის ფოტოგრაფირება, კინოგადაღება და ა.შ.

გარკვეულ შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხდება პოლიციის თანამშრომელთა მოწვევა ადგილმდებარეობის დაცვისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ნორმალურ პირობებში ჩატარების მიზნით. ზოგჯერ საჭირო ხდება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მოწვევა დახმარების აღმოჩენის მიზნით და იმ პირების მოწვევა, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ დამხმარე ხასიათის სამუშაოები (ზეინკალი, დურგალი და ა.შ.).

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება გულისხმობს იმ ობიექტების, საგნების განსაზღვრასა და მომზადებას, რაც გამოყენებულ უნდა იყოს ამ საგამოძიებო მოქმედების შესრულების პროცესში. საერთო წესის მიხედვით საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გამოიყენება ის საგნები, ობიექტები, რომელიც იყო გამოყენებული და ნახმარი სინამდვილეში, მაგრამ თუ ამის პრაქტიკული საშუალება არ არსებობს გამომძიებელმა უნდა შეარჩიოსა და მოამზადოს ანალოგიური ობიექტები და საგნები. გამომძიებელმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის აგრეთვე უნდა შექმნას ის პირობები, რომელთაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადების მიზნით გამომძიებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ის ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენება საჭირო იქნება ამ საგამოძიებო მოქმედების მომზადებისა და ჩატარების პროცესში. ყველა შემხვევაში უნდა მოამზადოს საგამოძიებო ჩემოდანი.

ბოლოს, საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება გულისხმობს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გეგმის შედგენას, რომელიც, როგორც წესი, უნდა იყოს წერილობითი. საგამოძიებო ექსპერიმენტის გეგმაში უნდა აღინიშნოს თუ რა სახის ექსპერიმენტი ტარდება, სად და როდის არის დაგეგმილი მისი ჩატარება, რა პირობებში და ვითარებაში უნდა ჩატარდეს იგი, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა მის ჩატარებაში (თითოეული მონაწილის როლის და ფუნქციების განსაზღვრა) და რა სახის ტექნიკური საშუალებები შეიძლება იყოს გამოყენებული საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლიდან მის უშუალო ჩატარებამდე გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის საკითხები. უშუალოდ გამომძიებელი არ ატარებს და არ ასრულებს საგამოძიებო ექსპერიმენტის კონკრეტულ მოქმედებებს, იგი ხელმძღვანელობსა და წარმართავს ამ საგამოძიებო მოქმედების შესრულებას და წყვეტს ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებიც აღმოცენდებიან საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადებისა და ჩატარების პროცესში.

პირველ რიგში გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები საგამოძიებ ექსპერიმენტის ადგილის განთავისუფლებაში გარეშე პირებისაგან. ამ მი ქმედებას გამომძიებელი არსულებს უშუალოდ ან პოლიციის თანამშრომელთა დახმარებით. შემდგომ გამომძიებელი შეარჩევს დამსწრეებს, თუ ისინი ადრე არ იყო მოწვეული.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს განემარტება მოწვევის მიზეზი, ის მიზანი და როლი, რისთვისაც ისინი არიან მოწვეული. გამომძიებელი მათ განუმარტავს უფლებებს და ვალდებულებებს. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, გამომძიებელი აფრთხილებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პირებს პასუხისმგებლობის შესახებ გამოძიების მონაცემის გახმაურების დაუშვებლობის შესახებ და ჩამოართმევს მათ შესაბამის ხელწერილს. ამ საგამოძიებო მოქმედებაში ყველა მონაწილე პირს გამომძიებელი უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს და უნაწილებს მათ როლებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებამდე გარკვეულ სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად შესაბამისი პირობების შექმნა: იმ ადგილის განსაზღვრა და საზღვრების დადგენა, სადაც

უნდა ჩატარდეს ექსპერიმენტი; დროს განსაზღვრა და იმ საგნებისა და ობიექტების დადგენა და მომზადება, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული ცდების ჩატარებისას; იმ პირების განსაზღვრა, ვინც უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში.

ყოველივე აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ გამომძიებელი იწყებს და ხელმძღვანელობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას.

§3. საგამოძიებო ექსპერიმენტის ტაქტიკური ხერხები და შედეგების შეფასება

ტაქტიკური ხერხების გამოყენება საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მიზნად ისახავს ნაკლები დროის დანახარჯით, ოპტიმალურ პირობებში, მიზანსწრაფულად ჩავატაროთ იგი და მივიღოთ ობიექტური და უტყუარი შედეგები. ამა თუ იმ ტაქტიკური ხერხის გამოყენება დაკავშირებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის გარკვეულ სახესთან და კონკრეტულ პირობებთან, მაგრამ არსებობს ისეთი ტაქტიკური ხერხებიც, რომლებიც ატარებენ ზოგად ხასიათს და მათი გამოყენება შეიძლება ყველა შემთხვევაში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ერთ-ერთი ძირითადი ტაქტიკური ხერხი იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს იმავე პირობებში ან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში, იგივე პირებისა და საგნების გამოყენებით, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ცალკეულ მოქმედებებისა და ცდების ჩატარება იმავე ადგილზე და დროს; იმავე პირობებში (განათება, მეტეოროლოგიური პირობები); პიროვნების იგივე ფიზიკური მონაცემები (მხედველობა, სმენა, ასაკი, აგებულება, ფიზიკური ნაკლოვანებანი და ა.შ.); იგივე ობიექტების გამოყენება (საგანი, ნივთი, იარაღი და ა.შ.).

ცალკეულ შემთხვევებში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები და საგნები შეიძლება შეიცვალოს ანალოგიური პირობებითა და საგნებით, თუ ამ შეცვლას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტის შედეგებზე. მაგალითად, მეტეოროლოგიური პირობების დაცვას შეიძლება არ მიექცეს ყურადღება იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენ-

ტის ჩატარების შედეგად უნდა დადგინდეს გამონგრეული კედლიდან გარკვეული საგნის გატანის შესაძლებლობა.

ერთ-ერთ ტაქტიკურ ხერხს წარმოადგენს საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში გარკვეულ მოქმედებათა განმეორება. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენება საშუალებას იძლევა გამოვრიცხოთ შემთხვევითობა და დავადგინოთ კანონზომიერება. მაგალითად, თუ საჭიროა გაირკვას საკითხი საუბრის მოსმენის შესახებ მეზობელ ოთახში. ასეთი საუბარი უნდა ატარებდეს არა ერთჯერად ხასიათს, არამედ უნდა გამეორდეს რამოდენიმეჯერ გარკვეული ინტერვალების დაცვით. ამ დროს ტაქტიკურად გამართლებულია საუბარი მიმდინარეობდეს იმავე თემაზე და საკითხებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სინამდვილეში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ისეთი ტაქტიკური ხერხი, როგორიცაა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობების შეცვლა. ასეთი ხერხი საშუალებას იძლევა სწორად შეფასდეს ექსპერიმენტის შედეგები და ამ დროს გათვალისწინებულ იყოს ყველა შესაძლო ვარიანტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები შეიძლება შეიცვალოს როგორც გაუმჯობესების, ისე გაუარესების თვალთახედვით. თუ ცდების ჩატარება გარკვეულ პირობებში იძლევა დადებით შედეგებს, გამომძიებელს შეუძლია ცდები ჩაატაროს გაუარესებულ პირობებში. მაგალითად, თუ მოწმდება ხილვადობის საკითხი და მოცემულ პირობებში კარგად დაინახა პირმა საგანი ან სხვა პირი, გამომძიებელს შეუძლია გააუარესოს ეს პირობები და ცდები ჩაატაროს უფრო შორი მანძილიდან, ღრუბლიან ამინდში და ა.შ. თუ ორივე პირობებში ცდებმა მოგვცა დადებითი შედეგი ეს იმას ნიშნავს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგები სარწმუნოა და უტყუარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება გარკვეულ პირობებში არ იძლევა დადებით შედეგს გამომძიებელს შეუძლია ცდები ჩაატაროს გაუმჯობესებულ პირობებში. მაგალითად, თუ ბრალდებულის საუბარი ვერ მოისმინა მოწმემ მეზობელ ოთახში გამომძიებელი შესთავაზებს ბრალდებულს, რომ მან ისაუბროს შედარებით ხმამაღლა. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი აკეთებს დასკვნას შეეძლო თუ არა მეზობელ

ოთახში მოწმეს მოესმინა საუბარი და თუ შეეძლო რა ტემბრით საუბარის მოსმენა შეეძლო.

გამომძიებელი ხელმძღვანელობს და წარმართავს რა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას მას შეუძლია შეწყვიტოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და შესაბამისი მითითებები მისცეს ექსპერიმენტში მონაწილე პირებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ იცავენ ექსპერიმენტის ჩატარების პირობებს.

ტაქტიკური თვალსაზრისით სასურველია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამოყენებულ იყოს კინო და ვიდეოგადაღება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერიმენტის ჩატარება დაკავშირებულია მოძრაობის პროცესთან და ამ პროცესის ასახვას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ხდება, როგორც წესი, ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის ფოტოგადაღება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ გამომძიებელი კრიტიკულად აფასებს ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ფაქტიურ მასალას. შეფასების ძირითადი მიზანია დადგინდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ და დაგენილ ფაქტების ჭეშმარიტება, უტყუარობა ან მათი უსაფუძვლობა და მცდარობა. ფაქტებისა და გარემოებათა შეფასების დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს საგამოძიებო ექსპერიმენტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

პირველ რიგში კრიტიკულ შეფასებას ექვემდებარება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები და სისწორე, რადგან ამ საკითხების სწორ გარკვევაზეა დამოკიდებული ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგების სარწმუნოება თუ უნდობლობა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად მიღებული დადებითი შედეგების უტყუარობისა და ობიექტურობის განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ დადგენილ მოვლენას (მოქმედებას, ფაქტს) შეიძლება ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ჰქონდა თუ არა მას ადგილი მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს საქმის სხვა მასალების ერთობლივად შეფასების შედეგად.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად დადგენილ უარყოფით ფაქტებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი კატეგორიულად გამორიცხავს ამა თუ იმ ფაქტისა და მოქმედების შესრულების შესაძლებლობას მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. უარყოფითი ფაქტის დადგენა შეიძლება იყოს იმის

მიზეზი, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილე პირი (პირები) არასათანადოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოქმედებას. ბოლოს უარყოფითი ფაქტების დადგენის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში ადგილი ჰქონოდა დანაშაულის ჩადენის სიმულაციას. მაგალითად, თუ საწყობის გამგე და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ამტკიცებს, რომ საწყობიდან ყუთები გატანილ იქნა გამონგრეულ კედლიდან და ეს ფაქტი ვერ დადასტურდა ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა დანაშაულის ჩადენის სიმულაციის შესახებ

იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება სხვადასხვა (გაუარესებულ) პირობებში და შედეგი ყოველთვის დადებითია ამ ფაქტის შეფასება გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ დადგენილი ფაქტი არის ჭეშმარიტი და უტყუარი.

§4. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობებისა და შედეგების ფიქსაცია წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას. ამ წესიდან გამონაკლისი არ არსებობს. ამ გარემოებათა ფიქსაცია უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში, რომელიც დგება საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-ე და 183-ე მუხლების შესაბამისად. წერილობითი ოქმი წარმოადგენს საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაციის ძირითად საშუალებას. ფიქსაციის დამატების საშუალებად განიხილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში დამზადებული ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების ფირები, სქემები, გეგმები, ტვიფარები. ყოველივე ეს ერთვის წერილობით ოქმს დანართის სახით და ოქმთან ერთად განიხილება, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შესავალ ნაწილში აღინიშნება ოფიციალური მონაცემები.

ოქმის აღწერილობით ნაწილში სხვა მონაცემებთან ერთად მიეთითება საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანზე, მის ჩატარების ადგილსა და დროზე, მეტეოროლიურ პირობებზე, ექსპერიმენტის ჩატარების ვითარებაზე, ექსპერიმენტის ობიექტებზე და მათ განლაგებაზე ექსპერიმენტის დაწყების

მომენტში. ოქმის აღწერილობით ნაწილში დაფიქსირდება აგრეთვე ექსპერიმენტში მონაწილე პირთა შესახებ, მათ როლზე.

განსაკუთრებით დაწვრილებით ოქმში უნდა იყოს აღწერილი იმ ცდების შესახებ, რომელიც ტარდება, მათი შესრულების თაობაზე და პირობების შესახებ. აქვე ხაზი უნდა გაესვას, თუ რა პირობებში და რამდენჯერ განმეორდა ცდები და იმ შედეგს, რაც დადგინდა ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად.

ოქმის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს, თუ რა სახის ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული, რა მიზნით იყო გამოყენებული, ტექნიკური საშუალებების მონაცემები და დამდგარი შედეგები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის დასკვნით (სარეზოლუციო) ნაწილში მიეთითება იმ განცხადებათა და შუამდგომლობათა შესახებ, რაც აღძრულ იყო ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების მიერ და ამ საკითხზე გამომძიებლის გადაწყვეტილება. აქვე უნდა იყოს მითითებული იმ საგანთა თაობაზე, რომელიც ამოღებულ იყო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად, მათი შეფუთვისა და დალუქვის შესახებ, აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებისა და დამთავრების დროზე. იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირები გაფრთხილებულ იყვნენ გამოძიების მონაცემების გაუხმაურებლობის შესახებ და მათ ჩამოერთვათ სათანადო ხელწერილი ამის შესახებ მიეთითება ოქმის დასკვნით ნაწილში.

XX თავი

ჩვენების ადგილზე შემოწმების ტაქტიკა

§1. ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება, არსი და მნიშვნელობა.

დანაშაულის გახსნისა და მასზე ჭეშმარიტების დადგენის საქმეში გარკვეული როლი ეკუთვნის ჩვენების ადგილზე შემოწმების სწორად ჩატარების ტაქტიკას. იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გამოსაძიებელ საქმეზე დაკითხულ პირთა ჩვენებების შემოწმება, ახალ მტკიცებულებათა მიღება, დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებების დადგენა და საერთოდ, დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმის სრულყოფილად ახსნა.

ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთერთი საშუალება, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველად აღმოცენდა ორმოცდაათიანი წლების შემდგომ პერიოდში, როგორც მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენების შემოწმების ტაქტიკური ხერხი და მას განიხილავდნენ როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკურ ხერხს ან მის ნაირსახეობას. ამჟამად იგი დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებადაა აღიარებული ზოგიერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, თუმცა იგი საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსით ჯერ კიდევ ცალკე დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად არაა გათვალისწინებული.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება მოიცავს გამოსაძიებელ საქმეზე მიღებულ მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებათა შემოწმებას მათ მიერ მიცემულ ჩვენებებში მითითებულ შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტიურ გარემოებებთან შეპირისპირებაში. იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ზემოაღნიშნულ პირთა ჩვენებების სისწორის შემოწმება, ახალ მტკიცებულებათა მიღება და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ რეკომენდირებულ ამ მოქმედების ჩატარებას ხშირად მიმართავენ საგამოძიებო ორგანოების

მუშაკები. განსაკუთრებით კი მკვლელობის, ყაჩაღური თავდასხმის, მექრთამეობის, ქურდობის, გაუპატიურებისა და სხვა საშიშ დანაშაულთა გამოძიების დროს..

ჩვენების ადგილზე შემოწმების აღმოცენება და განვითარება ერთგვარად წააგავს საგამოძიებო ექსპერიმენტის განვითარების ისტორიას. მან სწორედ საგამოძიებო ექსპერიმენტის მსგავსად თავისი განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. იგი პირველად აღმოცენდა და საგამოძიებო პრაქტიკაში დაინერგა, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხი ან მისი ნაირსახეობა მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე გაყვანის სახით.

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახელწოდებით გვევლინება, მაგრამ მისი მიზანი ყოველთვის იყო და არის მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების შემოწმება ადგილზე ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით და ამით ახალ მტკიცებულებათა მიღება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მსგავსად კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნების, ამოცანებისა და მისი იურიდიული ბუნების შესახებ. ეს დავა ნაწილობრივ დღესაც გრძელდება.

კრიმინალისტთა და პროცესუალისტთა ერთი ნაწილი ჩვენების ადგილზე შემოწმების აღმოცენებას და მის პრაქტიკაში დანერგვას თავიდანვე არასწორად შეხვდა და მოითხოვა საგამოძიებო პრაქტიკიდან მისი აღმოფხვრა. ასე მაგალითად, ჩვენების ადგილზე შემოწმების, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებად აღიარებისა და საგამოძიებო პრაქტიკაში მისი დანერგვის წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა მ.ს.სტროგოვიჩმა და გ.ალექსანდროვმა, რომლებმაც 1960 წელს ჟურნალ "სოციალისტურ კანონიერება"-ში (ტ3.გვ.20-27) გამოაქვეყნეს წერილი სათაურით "არასწორი პრაქტიკა". მათი აზრით, იგი არის შემთხვევის ადგილის განმეორებითი დათვალიერება და არა რაიმე ახალი სახის საგამოძიებო მოქმედება.

დაახლოებით ასეთივე აზრს ანვითარებს ბ.ხარაზიშვილი 1969 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ.219). კერძოდ, მისი აზრით, ჩვენების ადგილზე შემოწმება სხვა არა არის რა თუ არა შემთხვევის

ადგილის დათვალიერების, ექსპერიმენტისა და ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური ხერხი. ამიტომ, იგი არასწორად მიიჩნევს ჩვენების ადგილზე შემოწმების გამოყოფას ცალკე დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად.

კრიმინალისტთა უმრავლესობა კი (ა.ნ.ვასილევი, ს.ს.სტეპიჩევი, ა.რ.რატინოვი, ი.ბიხოვსკი და სხვა) ჩვენების ადგილზე შემოწმებას მართებულად მიიჩნევს დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, რომელიც თავისი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებებით არსებითად განსხვავდება ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედებისაგან.

ჩვენების ადგილზე შემოწმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამომძიებელს დამსწრეთა მონაწილეობით გაჰყავს შემთხვევის ადგილზე პირი, რომლის ჩვენებაც უნდა შემოწმდეს ადგილზე ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით, რომლის დროსაც იგი ახდენს არა მარტო უბრალო თხრობას შესამოწმებელი ფაქტის ან გარემოების შესახებ, არამედ ხსნის და უჩვენებს კიდეც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას. მაგალითად, ასეთ დროს ბრალდებული არა მარტო განმარტავს იმას თუ სად და როგორ ჩაიდინა დანაშაული, არამედ უჩვენებს კიდეც ადგილზე დარჩენილ დანაშაულის ჩადენის კვალს, დანაშაულის ჩადენის იარაღებს და სხვა.

ჩვენების ადგილზე შემოწმებით შეიძლება გაირკვეს:

1. ნამდვილად არსებობს თუ არა ის ადგილი და გარემოება, რომლის შესახებაც მოგვცა ჩვენება ადრე დაკითხულმა პირმა;
2. დადგინდეს დანაშაულის ჩადენის ადგილი, როცა იგი ჩადენილია ტყეში, მინდორში ან სხვა ისეთ ადგილას, რომელზეც დაკითხული პირი ჩვენებაში ზუსტად ვერ მიუთითებს, მაგრამ აღწერს იმ ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელ გარემოებებს;
3. გვამის, დანაშაულის ჩადენის იარაღების ან სხვა მტკიცებულებათა ადგილსამყოფელი;
4. გზა, საიდანაც მივიდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ეჭვმიტანილი ან ბრალდებული დაზარალებულთან ან დანაშაულში მონაწილე სხვა პირთან, მისი შეხვედრის ადგილი და სხვა;
5. ბრალდებულის მოქმედება დანაშაულის ჩადენის შემდეგ;
6. დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, დანაშაულის ჩადენის პროცესში გამოყენებული ხერხები და საშუალებანი;

7. მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები, დანაშაულის ჩადენის ადგილის, დანაშაულში მონაწილე პირთა ურთიერთშეხვედრის ადგილის გარემოებათა შესახებ და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმება არის კრიმინალისტიკური მეცნიერებით რეკომენდებული და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება გამოსაძიებელ საქმეზე მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების სისწორის შემოწმების, დაზუსტებისა და ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით ადრე დაკითხულ პირთა შემთხვევის ადგილზე გაყვანითა და მათი ჩვენებების ადგილზე ფაქტიურ გარემოებებთან შეპირისპირებაში.

<u>ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებისაგან.</u> ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი იურიდიული ბუნებით ახლოსაა საგამოძიებო ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან. სწორედ ამიტომაა, რომ პროცესუალისტთა და კრიმინალისტთა ერთი ნაწილი მას საგამოძიებო ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობად მიიჩნევს.

ჩვენების ადგილზე შემოწმებას, მართალია, აქვს საგამოძიებო ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ მათ შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება. ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჩატარების ტაქტიკითაც.

მართალია, ისევე, როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას ჩვენების ადგილზე შემოწმების დროსაც გამომძიებელია ამ მოქმედების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, მაგრამ საგამოძიებო ექსპერიმენტისაგან მცირეოდენი განსხვავებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში გამომძიებლის აქტიური როლი, შეიძლება ითქვას, მისი ჩატარების პირველსავე მოსამზადებელ ეტაპზე ამოიწურება. უშუალოდ მისი ჩატარების პროცესში კი იგი უფრო პასიურია, რომლის დროსაც ყოველგვარი ცდების, ანალიზისა და სინთეზის გარეშე ახდენს ნანახის ოქმში ფიქსირებას.

ჩვენების ადგილზე შემოწმებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტს შორის არსებული ძირითადი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტს, როგორც წესი, ატარებენ გარკვეულ პირობებსა და გარემოებებში ამა თუ იმ ფაქტის ან შემთხვევის არსებობის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის დასადგენად. ჩვენების ადგილზე შემოწმებას კი ატარებენ იმის დასადგენად, თუ როგორ, რა გარემოებაში და სად მოხდა გამოსაძიებელი შემთხვევა ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დასადგენი გარემოება და შეესაბამება თუ არა დაკითხული პირისაგან მიღებული ჩვენება ადგილზე არსებულ ფაქტიურ მონაცემებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტისათვის აგრეთვე დამახასიათებელია და, მთელ რიგ შემთხვევაში, აუცილებელია მომხდარი შესამოწმებელი ფაქტის ან გარემოების პირვანდელი სახით ვითარების აღდგენა და მისი ჩატარება ცდების წარმოებით. ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის კი ასეთი რამ საერთოდ დამახასიათებელი არაა. იგი ტარდება ადგილზე ობიექტურად არსებულ მონაცემებთან (ადრე მიცემული ჩვენების) უბრალო შეპირისპირებით. ამასთან ჩვენების ადგილზე შემოწმებისას აუცილებელია მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მონაწილეობა. ექსპერიმენტის ჩატარების დროს კი მათი მონაწილეობა აუცილებელი არაა. იგი შეიძლება ჩატარდეს მათ გარეშეც.

საგამოძიებო ექსპერიმენტისაგან ჩვენების ადგილზე შემოწმება განსხვავდება აგრეთვე თავისი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებითა და პროცესუალური გაფორმებით.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება ასევე არსებითად განსხვავდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან თავისი ჩატარების ტაქტიკური ხერხებით.

მაგალითად, ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის სრულიად უცხოა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ისეთი ტაქტიკური ხერხები როგორიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერების საზღვრების განსაზღვრა და იმის გარკვევა თუ საიდან იქნას დაწყებული დათვალიერება — ცენტრიდან თუ პერიფერიიდან, შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკური და დინამიკური სტადია და სხვა. გარდა ამისა, ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულისაგან მიღებული ჩვენებების შემოწმების მიზნით, მათი უშუალო მონაწილეობითა

და თხრობით ჩვენების ადგილზე ობიექტურად არსებულ მონაცემებთან
პირისპირებით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს კი
მონაწილეობა აუცილებელი არაა. ამავე დროს, შემთხვევის ადგილის
ვალიერება წარმოუდგენელია დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ან
ალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილის გარეშე. ჩვენების ადგილზე შემოწ
კი შეიძლება ჩატარდეს არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ან
შაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილზე, არამედ მოწმის, ეჭვმიტანილის
ბრალდებულის დაზარალებულთან შეხვედრის, მასთან გაცნობის ადგ
ან თვით დანაშაულის ფაქტის დასადგენადაც.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკური თავისებურ
ბიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი და იმავე გარემოებაზე რამოდ
მოწმის ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე დამსწ
მონაწილეობით.

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი პროცესუალური და ტაქტიკ
თავისებურებებით ასევე არსებითად განსხვავდება ამოცნობისაგან.

სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებისაგან ჩვენების ადგილზ
მოწმების ზემოაღნიშნული განმასხვავებელი თავისებურებანი საშუალ
გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ იგი არის სრულიად ახალი, დამოუკ
ბელი სახის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არსებითად განსხვავ
ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ტაქტიკური ხერხისაგან
მაშასადამე, ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედებისაგან. ამიტომ მოზა
წონილია ჩვენების ადგილზე შემოწმება გათვალისწინებული იქნას საქ
ველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამოუკიდებელი
საგამოძიებო მოქმედებად. მით უმეტეს, რომ იგი, როგორც დამოუკიდებ
სახის საგამოძიებო მოქმედება, უკვე რეგლამენტირებულია ლატვიის,
ვის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და ყაზახეთის სისხლის სამართ
საპროცესო კოდექსით.

§2. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა.

ამ მოქმედების სწორად და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად
როა გამომძიებელმა (ან მისმა ჩამტარებელმა სხვა პირმა — სასამართ
პროკურორმა ან მომკვლევმა) გაითვალისწინოს მისი ჩატარების პირო
და კრიმინალისტიკური მეცნიერებით რეკომენდებული ტაქტიკური ხერ

რომლებიც იმავე დროს არ შეიძლება იყოს კანონსაწინააღმდეგო. იგი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ ამცირებს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და საშიში არ არის მათი ჯანმრთელობისათვის.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებისათვის რეკომენდირებული ტაქტიკური ხერხები, მისი ჩატარების პროცესი განვითარების მიხედვით, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია დაიყოს ორ ჯგუფად: ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მომზადებისა და მისი ჩატარების პროცესში გამოსაყენებელ საჭირო ტაქტიკურ ხერხებად.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დაწყებამდე საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის მოსამზადებელი ღონისძიებები: 1)დაწვრილებით იქნას დაკითხული პირი იმ გარემოებების, პირობებისა და წყაროების შესახებ, რომელზეც გვაწვდის ინფორმაციას; 2)დაწვრილებით იქნას შესწავლილი და გაანალიზებული მისგან მიღებული ჩვენება; 3)გაირკვეს თანახმაა თუ არა იგი მიიღოს მონაწილეობა თავისი ჩვენების შემოწმებაში მის მიერ მითითებულ შემთხვევის ადგილზე არსებულ გარემოებებთან შეპირისპირებაში; 4)განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მიზნები და ამოცანები; 5)შეირჩეს და განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დრო და მისი დაწყების ადგილი; 6)შეირჩეს და განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილე საჭირო პირთა წრე დამსწრეთა და სპეციალისტების მოწვევის სახით; 7)ექვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, მათი დაცვის მიზნით, შეირჩეს და მოწვეულ იქნას ოპერატიული მუშაკები; 8)შეირჩეს და მომზადდეს საჭირო სატრანსპორტო საშუალება; 9)შეირჩეს და მომზადდეს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები (საგამოძიებო პორთფელი, ფოტო და კინო გადაღებისათვის საჭირო აპარატურა, ხმის ჩამწერი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები — მაგნიტოფონი, დიქტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი და სხვა).

ზემოაღნიშნულ მოსამზადებელ ღონისძიებათა შემდეგ საჭიროა ჩვენების ადგილზე შემოწმებაში მონაწილე პირებს ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქტაჟი; განემარტოთ მათ თავიანთი უფლებები და მოვალეობები; გაფრთხილებულნი იქნენ, რომ არ გაახმაურონ მიღებული შედეგები; მიღებული იქნას სათანადო ზომები, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩა-

ტარებას ხელი არ შეუშალოს გარეშე პირებმა. ამასთან საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი გარემოება: იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ერთი და იმავე ფაქტის ან გარემოების დადგენის მიზნით რამოდენიმე მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმება, აუცილებელია მათი ჩვენებების შემოწმება მოხდეს ცალ-ცალკე და არა ჯგუფურად. ამასთან თითოეული მათგანის ჩვენების შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრეებად საჭიროა მოწვეულნი იქნან სხვადასხვა პირები.

გამომძიებელი მოახდენს რა ჩვენების ადგილზე შემოწმების სრულ ორგანიზაციას, ჩვენების ადგილზე შესამოწმებლად გაყვანილ პირს წინადადებას აძლევს აჩვენოს ჩადენილი დანაშაულის ადგილი, გადამალული დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილსამყოფელი, დანაშაულის ჩადენის კვალი, საით წავიდა და რა გააკეთა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რა ღონისძიება მიიღო დანაშაულის კვალის დაფარვისათვის და სხვა. ეი. ახსნას დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმი სათანადო თანამიმდევრობით, გადმოსცეს თავისი და იქ მყოფ სხვა პირთა როლი ჩადენილ დანაშაულში.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს შემთხვევის ადგილზე გაყვანილ პირს შეიძლება მიეცეს შეკითხვები მხოლოდ მის მიერ ჰითითებული შემთხვევის ადგილის ან მისი ცალკეული გარემოებების ახსნის შესახებ, რა დროსაც ყოვლად დაუშვებელია მის მიერ ახსნილ გარემოებებში რაიმე კორექტივების შეტანა, მისთვის რაიმე ძისახვედრი კითხვების მიცემა, კარნახი ან მისი შთაგონება საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე რომელიმე პირის მიერ.

გამომძიებელმა ყოველგვარი ემოციების ან უკმაყოფილების გრძნობის გამოხატვის გარეშე უნდა აღიქვას შესამოწმებელი პირის მიერ შემთხვევის ადგილზე მომხდარი ფაქტების არასწორი აღწერა ან მის მიერ ნაჩვენები შემთხვევის გარემოების შეუსაბამობა ადრე მისგან მიღებულ ჩვენებასთან, მოახდინოს მისი იმავე სახით ოქმში გადატანა და შემდეგ გაანალიზოს იგი. მხედველობაში მისაღებია, თუ რამდენად ზუსტად აღწერს პირი შემთხვევის ადგილს, მის ცალკეულ გარემოებებსა და დეტალებს. გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს პირის გარემოებათა აღწერის ხელშემწყობი ან ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, პირის სულიერი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტში ან მის შემდეგ, მოახდინოს

მასზე ფსიქოლოგიური დაკვირვება და ყოველივე ამის გათვალისწინებით მიღებულ შედეგებს მისცეს სწორი, ობიექტური შეფასება.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს შემთხვევის ადგილზე გაყვანილი პირის მიერ მითითებული გარემოებების შეუსაბამობა მის ადრინდელ ჩვენებასთან ან ამ უკანასკნელთან შედარებით შემთხვევის ადგილის ან მისი რომელიმე გარემოების უფრო დაწვრილებითი აღწერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ცრუ, არასწორ ჩვენებას იძლევა, რადგან ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება გამოწვეული იყოს შემთხვევის ადგილის გარემოების შეცვლით, მეორე შემთხვევაში კი იმით, რომ შემთხვევის ადგილზე გაყვანისას მან კიდევ უფრო სრულყოფილად აღიდგინა გამოსაძიებელი შემთხვევა და თავის ადრინდელ ჩვენებასთან შედარებით მოგვცა მათი სრულყოფილი ახსნა. ამიტომ საჭიროა ამ პირთა ჩვენებების შეფასება მოხდეს ერთ მთლიანობაში.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ან მისი რომელიმე ცალკეული გარემოების შესახებ მიცემულ ჩვენებაში პირი დეტალურად აღწერს ამ გარემოებას და შემთხვევის ადგილზე გაყვანის დროსაც კიდევ უფრო მეტი სიზუსტით აღწერს მას, მაგრამ მისი ჩვენება მაინც არ იყოს სარწმუნო და ეჭვს იწვევდეს, დანაშაულის ჩადენის გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით.

ჩვენების ადგილზე შემოწმება რეკომენდირებულია მოხდეს შემთხვევის ადგილზე გაყვანილ პირთა ჩვენებების უბრალო თხრობით, ადგილზე მის ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით, ყოველგვარი ცდებისა და შემთხვევის გარემოებათა ვითარების აღდგენის გარეშე.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული წესების დაცვით ფოტო და კინო გადაღების ხერხები და საშუალებები, აგრეთვე ხმის ჩამწერი აპარატურა.

§3.ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ფიქსაციის ხერხები.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შედეგების ფიქსაციის ერთერთი მთავარი საშუალებაა ოქმი, რაც შედგენილი უნდა იქნას საქართ-

ველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით. მაგრამ, ვინაიდან ჯერ კიდევ ჩვენების ადგილზე შემოწმება დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად არაა მიჩნეული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, უნდა შედგეს ოქმი იმ საგამოძიებო მოქმედების სახელწოდებით, რომელთანაც იგი თავისი პროცესუალური ბუნებით უფრო ახლოსაა. კერძოდ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის სახით. ოქმის შესავალ ნაწილში მითითებული უნდა იყოს თუ სად, როდის და რა მიზნით იქნა იგი ჩატარებული, ვისი ჩვენების შემოწმება ჩატარდა და თანახმა იყო თუ არა ამ მოქმედების ჩატარებისა; მასში მონაწილე პირები; მათი უფლება მოვალეობათა განმარტების შესახებ; თუ ჩვენების ადგილზე შემოწმება მოხდა მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებისა, ისინი გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ შეგნებულად არასწორი ჩვენების მიცემისა და ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, და ყოველივე ეს აღნიშნული უნდა იყოს ოქმში. ოქმის აღწერილობით ნაწილში ნაჩვენები უნდა იყოს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მთელი პროცესი, მისი დაწყება და დამთავრება, გამოყენებული იქნა თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და რა სახის, კერძოდ: ჩატარებულ იქნა თუ არა ფოტო და კინო გადაღებები, გამოყენებული იქნა თუ არა ჩვეულებრივი ხმის ჩამწერი აპარატურა ან ვიდეომაგნიტოფონი, კონკრეტულად როდის და რა მომენტებში იქნა ისინი გამოყენებული. ოქმის დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს იმაზე, თუ დამატებითი ფიქსაციის რა ხერხები და საშუალებები იქნა გამოყენებული. კერძოდ: შედგენილი იქნა თუ არა სქემები, გეგმები; ჩატარდა თუ არა ფოტო და კინოგადაღებები; გამოყენებული იქნა თუ არა ვიდეომაგნიტოფონი, ან სხვა სახის ხმის ჩამწერი აპარატურა და ოქმს დაერთო თუ არა ეს ფირები, ნახაზები, სქემები და გეგმები. ოქმის ბოლოს მითითებული უნდა იყოს იმაზე, რომ ოქმი წაკითხული იქნა და მას ხელს აწერს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი. აქვე უნდა აღინიშნოს რომელიმე მონაწილის მიერ ხომ არ იქნა რაიმე შენიშვნა გაკეთებული.

XXI თავი

ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკა

§1. ჩხრეკისა და ამოღების ცნება და არსი

ჩხრეკა არის პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ატარებს მიზანსწრაფულ და იძულებით ხასიათს. ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ მოძებნილ და ამოღებულ იქნას დანაშაულის ჩადენის იარაღები, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნები, ფასეულობანი, ნივთები, დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მიმალვაში მყოფი პირი და გადამალული გვამი.

ჩხრეკის სხვადასხვა სახეები არსებობს. ჩხრეკა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც არის საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული აღმოჩენილი იქნება: საცხოვრებელ ადგილზე (ბინა, სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი), სამსახურებრივ შენობაში (კაბინეტი, სამუშაო ადგილი), სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში (საწყობი, ბაზა, ავტომანქანების სადგომი, ბოსელი და ა.შ.), ადგილმდებარეობის (ეზო, ბაღი, მინდორი, ტყე) და ადამიანის ჩხრეკის დროს. ჩხრეკის დროს გამომძიებელი უმრავლეს შემთხვევაში იცის რას ეძებს, მაგრამ არ იცის თუ რომელ ადგილზე ინახება (გადამალულია) ჩხრეკის საგანი.

ჩხრეკის საგანი არის მრავალფეროვანი. იგი შეიძლება იყოს: დანაშაულის ჩადენის საგნები ან საშუალებები (ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი, გატეხის იარაღები და ინსტრუმენტები, სპეციალურად მომარჯვებული საგნები); შემთხვევის ადგილზე კვალის დამტოვებელი საგნები (ფეხსაცმელი, ნაჯახი და ა.შ.); ნიმუშები ექსპერტიზის ჩატარებისათვის (ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ხელნაწერები, საბეჭდი მანქანა, და ა.შ.); დანაშაულის შედეგად მოპოვებული საგნები (ფული, ფასეულობა, ნივთები); გადამალული გვამი; პიროვნება, რომელიც ემალება გამოძიების ორგანოებს; ბრუნვიდან ამოღებული საგნები (ნარკოტიკული და ფეთქებადი ნივთიერებანი და ა.შ.) და ბოლოს ფასეულობა, რომელიც შემდგომში (გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში) გამოიყენება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

ამოღება არის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება იმ მიზნით, რომ ამოღებულ იყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე განსაზღვრული საგნები, დოკუმენტები, ნივთები, ფასეულობა, როდესაც ცნობილია სად და ვისთან ინახება ისინი.

ამოღება შეიძლება მოხდეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ბინაში, სამსახურებრივ შენობაში, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში, ადგილმდებარეობიდან და სხვა პირების (მეზობელი, ნათესავი, მეგობარი) მფლობელობიდან, თუ ეს უკანასკნელები ინახავენ დანაშაულის ჩადენის იარაღებს ან დანაშაულის შედეგად მოპოვებულ საგნებს.

ჩხრეკა და ამოღება არის ორი ურთიერთდაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება. მსგავსება მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ ორივე შემთხვევაში მოპოვებულ და ამოღებულ უნდა იქნან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები. ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის საჭიროა გამომძიებელმა გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება, მათ წარმოებას ესწრებიან დამსწრეები.

განსხვავება ჩხრეკასა და ამოღებას შორის იმაში გამოიხატება, რომ ორველ შემთხვევაში გამომძიებელმა არ იცის, თუ სად არის გადამალული აქმესთან დაკავშირებული საგნები. ამოღების დროს გამომძიებელმა იცის, თუ რა კონკრეტული საგანი უნდა იყოს ამოღებული, ვისთან და სად ინახება იგი. ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში, თე ამოღების ადგილზე არ აღმოჩნდება ამოსაღები საგანი. ასეთ შემთხვევაში დაცულ უნდა იყოს ის პროცესუალური რეჟიმი, რასაც საპროცესო კანონი აწესებს ჩხრეკის წარმოებისათვის.

ჩხრეკა მჭიდრო კავშირშია ისეთ საგამოძიებო მოქმედებასთან, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ორივე შემთხვევაში გამომძიებელი ეძებს ისეთ საგნებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანაშაულის ჩადენასთან, ორივე შემთხვევაში მონაწილეობას ღებულობენ დამსწრეები. სხვაობა მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ დათვალიერების დროს იძულებას არა აქვს ადგილი, დაცულია პიროვნების კონსტიტუციური უფლებები, არ წარმოებს დაკეტილი საცავების გაღება და სხვა. დათვალიერების დროს ძირითადი აქცენტი გადატანილია დანაშაულის ჩადენის კვალთა აღმოჩენაზე, მათ ფიქსაციაზე და ამოღებაზე. ჩხრეკის წარმოების დროს ირღვევა მოქალაქის კონსტიტუციური უფლება — ბინისა და პიროვნების ხელ-

შეუხებლობა, ხდება საცავების იძულებითი გაღება. იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერების დროს წარმოიშვება ჩხრეკის აუცილებლობა, გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება ჩხრეკის ჩატარების შესახებ (დათვალიერების ჩატარება წარმოებს დადგენილების გამოტანის გარეშე) და დაიცვას ჩხრეკის ჩატარებისათვის საპროცესო კანონით დადგენილი წესები.

ჩხრეკა შეიძლება იყოს პირველადი და განმეორებითი. პირველადი ჩხრეკა არის უფრო ეფექტური საშუალება დანაშაულთან დაკავშირებული საგნების აღმოჩენისა და ამოღებისათვის. ამიტომ იგი უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად ოპერატიულად, გეგმიურად და მომზადებულად. განმეორებითი ჩხრეკა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზირველადი ჩხრეკა ჩატარდა არახელსაყრელ პირობებში (ატმოსფერული ნალექები, ცუდი განათება); როდესაც პირველადი ჩხრეკა ჩატარდა უხარისხოდ და ცალმხრივად, რის გამოც ვერ იქნა აღმოჩენილი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები; როდესაც პირველადი ჩხრეკა ჩატარდა საპროცესო კანონის არსებით მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მონაცემები, რომ უკვე გაჩხრეკილ ბინაში მიტანილ იქნა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები, ნივთები.

ჩხრეკა შეიძლება იყოს ერთჯერადი დი ჯგუფური. ერთჯერადი ჩხრეკა ტარდება ერთი პირის მიმართ, როდესაც გამომძიებლის ვარაუდით დანაშაულთან დაკავშირებული საგნები შეიძლება აღმოჩენილ იყოს ერთი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ბინაში. ჯგუფური ჩხრეკა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებლის ვარაუდით დანაშაულთან დაკავშირებული საგნები შეიძლება აღმოჩენილ იყოს ერთ საქმეში მონაწილე სხვადასხვა ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების ბინებში,; ან როდესაც დანაშაულთან დაკავშირებული საგნები შეიძლება აღმოჩენილ იყოს, როგორც ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) ბინაში, აგრეთვე მისი მეზობლის, ნათესავის, მეგობრის ბინაში ან ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) კუთვნილ სხვადასხვა ბინებში (ძირითადი საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ავტომობილის სადგომი და ა.შ.).

ჯგუფური ჩხრეკის ჩატარებას სჭირდება განსაკუთრებული მომზადება და მოფიქრებული გეგმის შედგენა. ჯგუფური ჩხრეკა ტარდება ყველა ობიექტის ერთდროული გაჩხრეკის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში (ჩხრეკის თანამიმდევრული ჩატარებისას) შესაძლებელია გადამალულ იყოს დანა-

შაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები, ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები. ჯგუფურ ჩხრეკას ატარებს რამოდენიმე გამომძიებელი, რომელთაც მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან და ჩხრეკის ჩატარების პროცესში შეეძლოთ ურთიერთინფორმაციის მიწოდება. ჯგუფური ჩხრეკა, როგორც წესი, ტარდება ისეთ დანაშაულის ჩადენის დროს, როგორიცაა: სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, და სხვა ისეთ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ.

ჩხრეკისა და ამოღების დროს დაცულ უნდა იყოს შემდეგი პრინციპული ხასიათის მოთხოვნები: კანონიერება, საფუძვლიანობა, გეგმიურობა, სისწრაფე, იძულებითი ხასიათი.

კანონიერება გულისხმობს საქართველოს სსს კოდექსის 165-ე – 177-ე მუხლებით დადგენილ ჩხრეკისა და ამოღების პროცესუალურ ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას, აგრეთვე გამომძიებლის მოქმედების შესაბამისობას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილ ნორმებთან.

ჩხრეკისა და ამოღების საფუძვლიანობა გულისხმობს იმის დადგენა-კარკვევას, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შედეგად აღმოჩენილ და ამოღებულ იქნება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები. ასეთი ხასიათის მონაცემების მიღება შეიძლება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შედეგად: ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის დაკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაპირისპირება, ამოცნობა და ა.შ., ასევე ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს. ყველა შემთხვევაში გამომძიებელმა ჩხრეკის ან ამოღების დადგენილებაში უნდა დაასაბუთოს თუ რა საგნების, ნივთების, ფასეულობის ძებნა და ამოღება არის შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკა და ამოღება არის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, მათი ჩატარება გულისხმობს გარკვეულ გეგმიურობას. გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს, სად, როდის, ვისთან უნდა ჩაატაროს ჩხრეკა ან ამოღება; ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; რა ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასჭირდება მას; როგორ უნდა ჩატარდეს ჯგუფური ჩხრეკა და როგორ უნდა დამყარდეს ურთიერთინფორმაცია. ყოველი ამ საკითხების გარკვევისა და

დაგეგმვის გარეშე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება არ მოგვცემს სასურველ შედეგს.

ჩხრეკისა და ამოღების სისწრაფე და ოპერატიულობა იმის საწინდარია, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები არ იქნება წაღებული სხვა ადგილზე ან განადგურებული. სწორედ ამიტომ გადაუდებელ შემთხვევაში ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს პროკურორის სანქციის გარეშე და ღამის საათებში.

ჩხრეკისა და ამოღების იძულებითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისათვის არ არის საჭირო გასაჩხრეკი პირის თანხმობა. საჭიროების შემთხვევაში ხდება საცავების იძულებითი გაღება (იმ შემთხვევაში, როდესაც გასაჩხრეკი ბინის პატრონი უარს აცხადებს საცავების ნებაყოფლობით გაღებაზე). ჩხრეკისა და ამოღების დროს იძულების წესით ამოიღება ყველა ის საგანი, ნივთი, ფასეულობა, რაც გამომძიებლის აზრით დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან.

ჩხრეკისა და ამოღების დროს დაცულ უნდა იქნას საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 165-ე – 177-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ: 1. გამოტანილ უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება, 2. მიღებულ უნდა იყოს პროკურორისაგან ან მისი მოადგილისაგან სანქცია (გადაუდებელ შემთხვევაში ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს სანქციის გარეშე, მაგრამ ჩატარებული ჩხრეკის შესახებ უნდა ეცნობოს პროკურორს დღე-ღამის განმავლობაში). ამოღების შემთხვევაში პროკურორისაგან სანქციის მიღება საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ამოღებულ უნდა იყოს საიდუმლო მონაცემების შემცველი დოკუმენტები. ამ დოკუმენტების დათვალიერება და ამოღება შეთანხმებულ უნდა იყოს სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელთან, 3. ჩხრეკა და ამოღება წარმოებს დამსწრეთა მონაწილეობით, 4. ჩხრეკისა და ამოღების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ოჯახის სრულწლოვანი წევრების, ან საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენლის დასწრება, ანდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის დასწრება. საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ჩხრეკისა და ამოღების წარმოებას უნდა ესწრებოდეს ორგანიზაციის წარმომადგენელი, 5. ჩხრეკაში და ამოღებაში ყველა მონაწილე პირს განემარტებათ უფლებები და ვალდებულებები, 6. ამოღებისა და ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელმა ოჯახის წევრს უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს

დადგენილება და წინადადება მისცეს მას ნებაყოფლობით გასცეს მოსაძებნი და ამოსაღები საგნები ან მიუთითოს მათ ადგილსამყოფელზე, 7. ჩხრეკისა და ამოღების დროს შეიძლება მოწვეულ იყოს შესაბამისი სპეციალისტი, 8. საცავების გახსნის დროს გამომძიებელი უნდა მოერიდოს საცავების დაზიანება-დამტვრევას, 9. გამომძიებელს უფლება აქვს ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირებს ან ჩხრეკის წარმოების დროს მოსულ პირებს აუკრძალოს წასვლა და ერთმანეთთან ურთიერთობა ჩხრეკის დამთავრებამდე, საჭიროების შემთხვევაში შეამოწმოს მათი პიროვნება და ჩაატაროს პირადი ჩხრეკა, 10. ჩხრეკის ადგილი შეიძლება იყოს გარშემორტყმული, 11. გამომძიებელი იღებს ზომებს, რომ არ გახმაურდეს ამოღების ან ჩხრეკის დროს გამოვლინებული ინტიმური ცხოვრების გარემოებანი, თუ ამ მონაცემებს საქმესთან არა აქვთ კავშირი, 12. ჩხრეკისა და ამოღების დროს უნდა იყოს ჩამორთმეული მხოლოდ ის საგნები და დოკუმენტები, რასაც კავშირი აქვს დანაშაულის ჩადენასთან და ბრუნვიდან ამოღებული საგნები, 13. ყველა ამოღებული საგანი წარედგინება დამსწრეებს და ჩხრეკაში მონაწილე სხვა პირებს, 14. ამოღებული საგნები, საბუთები დაწვრილებით აღიწერება ოქმში ან ცალკე სიაში, 15. ამოღებული საგნები და დოკუმენტები საჭიროების შემთხვევაში შეიფუთება და დაილუქება ჩხრეკის ადგილზე, 16. ჩხრეკისა და ამოდების ოქმის პირი ბარდება ხელწერილით იმ პირს, ვისთანაც მოხდა ჩხრეკა, ამოღება ან სათანადო თანამდებობის პირს (ორგანიზაციაში და დაწესებულებაში ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შემთხვევაში), 17. დიპლომატიურ წარმომადგენლობის შენობებში ჩხრეკისა და ამოღების წარმოება შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლის თხოვნით ან თანხმობით. თანხმობა გამოთხოვილ უნდა იქნას საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. ჩხრეკასა და ამოღებას უნდა დაესწროს პროკურორი და საგარეო საქმეთა წარმომადგენელი, 18. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების ამოღება ხდება გამომძიებლის დადგენილების, სასამართლოს განჩინების ან მოსამართლის დადგენილების საფუძველზე. გამომძიებლის დადგენილება სანქციონირებულ უნდა იყოს პროკურორის ან მისი მოადგილის მიერ. დამსწრეებად მოწვეულ უნდა იყვნენ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების თანამშრომლები.

§2 ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება

მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკა და ამოღება არის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, მათი ჩატარება ყველა შემთხვევაში მოითხოვს მომზადებას. ამ საგამოძიებო მოქმედებათა მომზადებული ჩატარება უზრუნველყოფს ოპტიმალური პირობების შექმნას და სასურველი შედეგების მიღწევას.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება მოიცავს ორ საფეხურს: ა) ადგილზე გასვლამდე, ბ) ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე მისვლის შემდეგ, სანამ გამომძიებელი უშუალოდ შეუდგება ჩხრეკისა და ამოღების წარმოებას.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებამდე გამომძიებელი უნდა გაეცნოს მის განკარგულებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს როგორც საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, ისე ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შედეგებს. ასეთი გაცნობის შედეგად გამომძიებელს საშუალება ეძლევა განსაზღვროს, თუ რა საგნების, ნივთების და დოკუმენტების მოძებნა და ამოღება შეიძლება, სად და ვისთან ინახება ისინი. გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, თუ როდის უნდა ჩაატაროს ჩხრეკა და ამოღება დღის საათებში, თუ ღამით. როგორც წესი ჩხრეკა და ამოღება უნდა ჩატარდეს დღის განმავლობაში. ღამით მათი ჩატარება შეიძლება მხოლოდ იმ დროს, როდესაც არსებობს რეალური ეჭვი, რომ გათენებამდე გატანილ იქნება გასაჩხრეკ ბინიდან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.

ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე გასვლამდე გამომძიებელმა, თუ ამის რეალური საშუალება არსებობს, უნდა გაეცნოს ჩხრეკისა და ამოღების ადგილს ან იქონიოს ბინისა და ადგილმდებარეობის გეგმა. გამომძიებელმა უნდა მიიღოს ინფორმაცია გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრებისა და შემადგენლობის შესახებ, დაადგინოს, თუ ოჯახის წევრებიდან ვინ იქნება ბინაში გაჩხრეკისა და ამოღების დროს.

საჭიროების შემთხვევაში ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე გასვლამდე გამომძიებელი ღებულობს ზომებს, რათა იქ დაწესდეს მეთვალყურეობა. მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს ისე, რომ დაცულ იყოს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საიდუმლოება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლე-

ბელია არასასურველი შედეგების დადგომა (დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ნივთების. ფასეულობის გატანა ან განადგურება).

ჩხრეკისა და ამოღების მომზადება გულისხმობს აგრეთვე იმ პირთა განსაზღვრას, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში. გამომძიებელი მარტო არ უნდა წავიდეს ჩხრეკისა და ამოღების ჩასატარებლად. მან უნდა განსაზღვროს ოპერატიულ მუშაკთა წრე და რაოდენობა, რომლებმაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ გამომძიებელს ჩხრეკისა და ამოღების წარმოების დროს, მოეხმარონ მას პირადი ჩხრეკის წარმოებაში, ხელი შეუწყონ ადგილისა და ადგილმდებარეობის დაცვაში. ოპერატიულ მუშაკთა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული ვითარებისაგან გამომდინარე სიტუაციით. ჯგუფური ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში მათი რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს იმ ანგარიშით, რომ გაჩხრეკის ყოველ ადგილზე მონაწილეობა მიიღოს ოპერატიულმა მუშაკებმა.

დამსწრეთა შერჩევა და მათი რაოდენობის განსაზღვრა ხდება ჩხრეკის ადგილზე გასვლამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გასაჩხრეკი ბინა ან ადგილმდებარეობა არის ისეთ ადგილზე, სადაც ახლომახლო არ არის საცხოვრებლები ან დაწესებულებები. გამომძიებელი, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, წყვეტს საკითხს სპეციალისტების მოწვევის შესახებ, როგორც წესი სპეციალისტებად მოიწვევიან კრიმინალისტები ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მიზნით, ბუღალტერი — დოკუმენტების დათვალიერებისა და ამოღების მიზნით, ექიმი — გადამალული გვამის აღმოჩენისა და დათვალიერების შემთხვევაში. ცალკეულ შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი საჭირო იქნება თუ არა საზოგადოებრიობის დახმარება ჩხრეკისა და ამოღების დროს (გამომძიებლის თანაშემწე საზოგადოებრივ საწყისებზე).

განსაკუთრებულ ყურადღებასა და მომზადებას მოითხოვს ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხი. გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს საგამოძიებო პორთფელის (ჩემოდანის) დაკომპლექტების საკითხი; ფოტო, კინო და ვიდეოაპარატურის ვარგისიანობა და ნეგატიური მასალის არსებობა; ლითონმძებნის და გვამმძებნი ხელსაწყოების გამართულობა. უნდა იყოს მომზადებული აგრეთვე გასანათი და სხვა მოსაძებნი ხელსაწყოები.

მომზადება გულისხმობს აგრეთვე ჩხრეკისა და ამოღების გეგმის შედგენას, რაც საშუალებას იძლევა ჩხრეკა და ამოღება ჩატარდეს მიზანსწრაფულად, წყნარ ვითარებაში და თანამიმდევრულად. განსაკუთრებით დიდია გეგმის შედგენის მნიშვნელობა ჯგუფური ჩხრეკის წარმოების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეთანხმებულ და კოორდინირებულ უნდა იყოს ყველა გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო აპარატის მუშაკის ურთიერთკავშირი და ურთიერთინფორმაცია.

გამომძიებელი ყველა შემთხვევაში ვალდებულია გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება ჩხრეკის ან ამოღების წარმოების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს პროკურორის ან მისი მოადგილის სანქცია ჩხრეკის და ამოღების ჩატარებისათვის.

ჩხრეკის და ამოღების ადგილზე მისვლის შემდეგ მოსამზადებელ საკითხების გარკვევა-გადაწყვეტას აქვს აგრეთვე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ამ საგამოძიებო მოქმედებათა სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი ღებულობს ზომებს გასაჩხრეკი შენობის ან ადგილმდებარეობის დაცვისა და გარშემორტყმისათვის და ამ მიზნით შესაბამის მითითებებს აძლევს ოპერატიულ მუშაკებს. ჩხრეკისა და ამოღების დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა შეარჩიოს დამსწრეები, რომელთა ობიექტურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დამსწრეთა სახით უმჯობესია მოწვეულ იქნან მეზობლები, საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენლები. თუ ჩხრეკა და ამოღება ტარდება წარმოებადაწესებულებებში, დამსწრეებად მოიწვევიან ამ ორგანიზაციათა თანამშრომლები.

იმ შემთხვევაში, თუ გასაჩხრეკ ბინაში არ არის ოჯახის სრულწლოვანი წევრი, მათ ნაცვლად ჩხრეკასა და ამოღებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევიან საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენლები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაში ყველა მონაწილე პირს უნდა განემარტოს უფლება-მოვალეობანი. საჭიროების შემთხვევაში ისინი ფრთხილდებიან, რომ არ გაახმაურონ ოჯახის წევრების ინტიმური ხასიათის მონაცემები, თუ მათ კავშირი არა აქვთ საქმესთან. ამ საგამოძიებო მო-

ქმედებაში მონაწილე პირებს გამომძიებელი უტარებს სათანადო ინსტრუქტაჟს და გაუნაწილებს მათ ფუნქციებს.

ჩხრეკისა და ამოღების დაწყებამდე გამომძიებელმა გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრს უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს დადგენილება ჩხრეკის და ამოღების წარმოების შესახებ და მისცეს წინადადება ნებაყოფლობით წარუდგინოს მოსაძებნი ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები და დანაშაულთან დაკავშირებული სხვა საგნები. თუ გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ მან ნებაყოფლობის წესით მიიღო ყველა მოსაძებნი ობიექტები, იგი შეადგენს ოქმს და შეუძლია ჩხრეკა აღარ ჩაატაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამომძიებელი იწყებს ჩხრეკისა და ამოღების წარმოებას.

თუ ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე გამომძიებელს ოჯახის წევრების გარდა დახვდა სხვა გარეშე პირები, მას უფლება აქვს მოსთხოვოს ამ პირებს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ჩხრეკის (ამოღების) დამთავრებამდე არ მისცეს მათ წასვლის უფლება. საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი უფლებამოსილია ჩაატაროს მათი პირადი ჩხრეკა. თუ გარეშე პირთა შორის არიან პროფესიული დარგის წარმომადგენლები (მკურნალი ექიმი, სარემონტო დაწესებულების თანამშრომლები და ა.შ.) მათ გამომძიებელი აძლევს წასვლის უფლებას. გამომძიედელი იღებს ზომებს, რომ ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე დატოვებულ პირებს არ ჰქონდეთ ურთიერთკავშირისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალება. ბოლოს, ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელი მიმოიხილავს გასაჩხრეკ ბინას, ადგილმდებარეობას, განსაზღვრავს ჩხრეკის ჩატარების დასაწყის ადგილს და მისი წარმოების თანამიმდევრობას.

§3 ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკური ხერხები

ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკური ხერხები ძირითადად ერთი და იგივეა, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს ის თავისებურებაც, რაც ახასიათებს ჩხრეკის ცალკეულ სახეებს. კერძოდ: ბინის, საერთო სარგებლობის სადგომის, ადგილმდებარეობის ჩხრეკას, პირად ჩხრეკასა და ამოღებას.

<u>ბინის ჩხრეკა.</u> ტაქტიკური თვალსაზრისით გამართლებულია, რომ ბინის ჩხრეკა დაიწყოს იმ ადგილიდან, სადაც უფრო მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ობიექტების აღმოჩენა. მაგრამ, ამავე

დროს, არ შეიძლება ამ ადგილის უბრალო, გამარტივებული დათვალიერება და სხვა ადგილზე გადასვლა. ყოველი ადგილი, სადაც ჩხრეკა წარმოებს დათვალიერებულ უნდა იყოს გულდასმით და სრულყოფილად.

ჩხრეკის ჩატარების დროს დაცულ უნდა იყოს გარკვეული წესი და თანმიმდევრობა. იგი შეიძლება ჩატარდეს საათის ისრის მიმართულებით, სპირალური წესით გადაადგილებით, ცალკეული სათავსოებისა და ოთახების მიხედვით.

ჩხრეკის წარმოების დროს გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ენიჭება ბინის პატრონის ან ოჯახის წევრის სისტემატურ დაკვირვებას და მათ რეაქციას. პრაქტიკა მოწმობს, რომ ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება ხშირად მიუთითებს გამომძიებელს, თუ სად არის გადამალული მოსაძებნი ობიექტი. გამომძიებლის ბინაში გადაადგილებას და გარკვეული მიმართულებით ჩხრეკის წარმოებას შეუძლია გამოიწვიოს ოჯახის წევრის (წევრების) ზედმეტი აღელვება, დაბნეულობა, ემოციები, გაწითლება-გაყვითლება, ხმის ტემბრის შეცვლა, ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი. ასეთი რეაქციის საფუძველზე გამომძიებელს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ იგი უახლოვდება იმ ადგილს, სადაც არის მოსაძებნი ობიექტები. ტაქტიკურად ასევე გამართლებულია ოჯახის წევრთან საუბარი მოსაძებნი ობიექტების თაობაზე და მათი გადამალვის შესაძლო ადგილების შესახებ./ეს ტაქტიკური ხერხი კრიმინალისტიკაში წოდებულია, როგორც სიტყვიერი დაზვერვა. საუბრის შედეგად ოჯახის წევრის გარკვეულმა რეაქციამ და მისმა პასუხებმა შესაძლებელია გამომძიებელი ადვილად მიიყვანოს იმ ადგილზე, სადაც არის მისთვის საინტერესო გადამალული საგნები, ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები და ა.შ. ამავე დროს გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს სიდინჯე, წინდახედულობა, არ უნდა გამოვიდეს მოთმინებიდან იმ შემთხვევაში, თუ გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრი უყვირის და ემუქრება მას.

ყოველი განცხადება, რომელსაც გააკეთებს გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრი, უნდა იყოს შესწავლილ-გაანალიზებული და შეტანილ იქნას ჩხრეკის წარმოების ოქმში. ჩხრეკის წარმოების დროს შესაძლებელია ტელეფონმა დარეკოს. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი წყვეტს საკითხს, თვითონ ისაუბროს, თუ ამის ნება დართოს ოჯახის წევრს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამომძიებელი აფრთხილებს ოჯახის წევრს, რომ მან ჩხრეკისა და საქმესთან

დაკავშირებულ საკითხებზე არ ისაუბროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას
მოერთვება ტელეფონი.

გულასმით უნდა იყოს დათვალიერებული წიგნები, რვეულები,
ბომები, ჟურნალ-გაზეთები, რადგან მათ ფურცლებს შორის ინახება ხო
ფული, საბუთები, ობლიგაციები, ფასეულობა. არის ისეთი შემთხვევ
როდესაც სქელი წიგნის ფურცლებს ამოჭრიან და ამოჭრილ ადგილში
ბენ ცეცხლსასროლ, ცივ იარაღს, ნივთებსა და ფასეულობას.

სათითაოდ უნდა გაისინჯოს საცვლები, პირსახოცები, ტანისამოსი,
ბანი, ბალიში, ზეწარი და ა.შ. პრაქტიკა მოწმობს, რომ ეს საგნები ხში
გამოიყენება ჩხრეკის ობიექტების გადასამალად.

გულდასმით უნდა იყოს დათვალიერებული ავეჯი, კარადები, საწ
მაგიდა, სკამები, პიანინო, საკრავი ინსტრუმენტები, რადგან ამ ადგილ
ინახება მოსაძებნი ობიექტები ან არის სამალები. იმ შემთხვევაში,
კარადა დაკეტილია, გამომძიებელი წინადადებას აძლევს ოჯახის წევრს
ბაყოფლობით გააღოს ის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომძიებელი უფ
ბამოსილია თვითონ გააღოს ან შეამტვრიოს კარადა, მაგრამ იგი ყოველ
უნდა მოერიდოს ზედმეტ და გაუმართლებელ დაზიანებებს.

/ბინის ჩხრეკის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექ
სამალების აღმოჩენას, ისინი შეიძლება იყოს ყველგან: ავეჯში, კარადებ
მაგიდებში, კედლებში, იატაკის ქვეშ, ჭერში, აბაზანაში, სამზარეული
სარდაფში, კედლებზე ჩამოკიდებული სურათების უკან, საკრავ ინსტრუ
ტებში, სანახაო და მოსასმენ აპარატურაში (ტელევიზორი, რადიომიმღ
მაგნიტოფონი, ვიდეოაპარატურა და ა.შ.), საყოფაცხოვრებო დანიშნულ
ხელსაწყოებში და ა.შ. სამალავების აღმოჩენისათვის საჭიროა, რომ გამ
იებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ნეგატიურ გარემოებ
ახლად შეღებილი კედლის ნაწილი, გადაადგილებული ავეჯის ნაწი
კედლის ნაწილზე ახლად აკრული შპალერი, კედლის, ჭერის, იატაკის,
ჯრის, კარების არასწორი ზედაპირი, ახლად გამონგრეული კედელი და
იმისათვის, რომ ინახოს სამალი ადგილები, საჭიროა ჩაქუჩით ფრთხილად
მსუბუქად კედელზე ან სხვა ზედაპირზე დაკაკუნება. დაკაკუნების შედე
არათანაბარი ხმა, ზოგ შემთხვევაში, მიგვანიშნებს სამალ ადგილზე.

/ჩხრეკის დროს დათვალიერებულ უნდა იყოს ფხვიერი საგნ
სითხეები, პროდუქტები, ყვავილების მიწა და ა.შ. ამ ადგილებში ინა

ხოლმე ფასეულობა, ნივთები, ფული და დოკუმენტები. ბინის ჩხრეკის დროს ასევე გულდასმით დათვალიერებას მოითხოვს ბინის დამატებითი სათავსოები, სხვენი, სარდაფი და კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები.

ჩხრეკის ჩატარება შეუძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. ტექნიკური საშუალებების უმრავლესობა მოიპოვება საგამოძიებო ჩემოდანში, მაგრამ საჭირო ხდება სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებაც. მაგალითად, სამალების დასადგენად, ცეცხლსასროლ იარაღის მოსაძებნად, ოქროულობის აღმოსაჩენად წარმატებით გამოიყენება ლითონმძებნი, გვამის აღმოსაჩენად — გვამმძებნი. ჩხრეკის ჩატარების დროს ჩვეულებრივი სანათი ხელსაწყოების გარდა გამოიყენება ულტრაიისფერი ნათურა, სხვადასხვა საძებნი ხელსაწყოები, ხდება ზონდირება ფხვიერ და რბილ საგნებში გაჩხრეკის ობიექტების აღმოჩენის მიზნით.

ჩხრეკის წარმოების დროს, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ფოტოგადაღება, კინო და ვიდეოგადაღება.

ჩხრეკის ჩატარების შედეგად ამოღებულ უნდა იყოს ყველა საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტები, რაც დაკავშირებულია მოცემულ დანაშაულთან ან სხვა დანაშაულის ჩადენასთან, რომლის გამოძიებაც ჯერ კიდევ არ არის დაწყებული. ასევე ამოღებას ექვემდებარება ბრუნვიდან ამოღებული საგნები მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ კავშირი გამოსაძიებელ საქმესთან.

<u>საერთო სარგებლობის სადგომების ჩხრეკის თავისებურება.</u> ამ სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ადგილი აქვს სამსახურებრივი კაბინეტების და სამუშაო ადგილის, სასტუმროებისა და საერთო საცხოვრებლების ჩხრეკისას. ჩხრეკის დროს გამოყენებულ უნდა იყოს ყველა ის ტაქტიკური ხერხები და რეკომენდაციები, რაც ახასიათებს ბინის ჩხრეკას და გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე თავისებურებანიც.

ჩხრეკის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ პირველ რიგში დათვალიერებულ უნდა იყოს სამუშაო მაგიდა, შემდეგ კარადა და მასში არსებული საგნები და ნივთები, წიგნის კარადა, უშუალოდ წიგნები და ყველა სხვა საგანი. თუ სამუშაო კაბინეტში რამოდენიმე თანამშრომელია, ჩხრეკას ექვემდებარება უშუალოდ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის კუთვნილი საგნები და ნივთები. ასეთივე წესი უნდა იყოს დაცული საერთო საცხოვრებლებისა და სასტუმროს ოთახების ჩხრეკის დროს. მხოლოდ პი-

რადი სარგებლობის საგნების გაჩხრეკის შემდეგ შეიძლება მოხდეს საერთო სარგებლობის ადგილებისა (აბაზანა, სამზარეულო, ტუალეტი) და ავეჯის გაჩხრეკა (კარადა, მაგიდა, სკამი) და ა.შ.

ადგილმდებარეობის ჩხრეკა. ჩხრეკის ამ სახესთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური ვარაუდი, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ობიექტები იმალება, ან გვამი დამარხულია ტყეში, ეზოში, ბაღში ან სხვა ადგილზე. იმის გამო, რომ ადგილმდებარეობა, როგორც წესი, შედარებით დიდ ფართობს მოიცავს საჭირო ხდება მისი კვადრატებად (სექტორებად) დაყოფა და ამის მიხედვით ჩხრეკისა და დათვალიერების წარმოება.

ადგილმდებარეობის ჩხრეკის დროს გამომძიებელი არ უნდა მოერიდოს ბინძური სამუშაოების ჩატარებას, რადგან მას ზოგჯერ უხდება ნაგავის, ნეხვის გაქექვა, ტალახში და მტვერში მუშაობა გვამისა და სამალების აღმოჩენის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალ გადათხრილ მიწას; ფხვიერ ადგილებს, რომელიც გამოიყოფა ჩვეულებრივი მასიდან; ახალ ბალახს ძველი და გამხმარი ბალახის ფონზე; ქვების გადაადგილების ადგილებს და ა.შ. ეს ნეგატიური მოვლენები ხშირად მიგვანიშნებენ გვამის დამარხვის ადგილზე, სამალების არსებობაზე და დანაშაულთან დაკავშირებულ სხვა ობიექტების გადამალვის ადგილზე.

ადგილმდებარეობის ჩხრეკის დროს ასევე გამოიყენება ტექნიკური საშუალებები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული.

პირადი ჩხრეკა. ამ გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოთხ შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც გაჩხრეკილ უნდა იყოს გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრი, იქ დამხვედრი პირი, გასაჩხრეკ ბინაში მიმალული ძებნილი პირი და ჩხრეკის დროს მოსული პირი. ოთხივე შემთხვევაში უნდა არსებობდეს რეალური საფუძველი პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად. გამომძიებელი უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ პირი შეიარაღებულია ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით და შეუძლია ან ცდილობს მის გამოყენებას, რომ პირი ინახავს ან მალავს ისეთ ობიექტებს, საგნებსა და დოკუმენტებს, რასაც უშუალო კავშირი აქვს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. ოთხივე შემთხვევაში პირადი ჩხრეკა ტარდება გამომძიებლის დადგენილების გამოტანისა და პროკურორის სანქციის გარეშე, რადგან ეს მოქმედება არის გადაუდებელი.

პირადი ჩხრეკა, თუ ის დაკავშირებულია გაშიშვლებასთან, უნდა ჩატარდეს იმავე სქესის დამსწრეების და გამომძიებლის მიერ. თუ გამომძიებელი მოპირდაპირე სქესისაა, მან უნდა მოიწვიოს ექიმი-სპეციალისტი, რომელიც ჩაატარებს პირად ჩხრეკას. პირადი ჩხრეკის ჩატარება უნდა მოახდინოს . გამომძიებელმა ოპერატიულ მუშაკებთან ერთად, რომ გამორიცხულ იყოს იარაღისა და ძალადობის გამოყენება. პირადი ჩხრეკა ტაქტიკური თვალსაზრისით უმჯობესია მოხდეს განმარტოებით და ცალკე ოთახში, თუ ამის პრაქტიკული და რეალური საშუალება არსებობს.

გასაჩხრეკი პირი უნდა დააყენონ კედელთან გულმკერდით და ხელები ზევით ააწევინონ, რაც გამორიცხავს ძალადობის გაწევას და აადვილებს ჩხრეკის წარმოებას. პირადი ჩხრეკის დროს, პირველ რიგში, ამოღებულ უნდა იყოს ცეცხლსასროლი, ცივი იარაღი ან სპეციალურად მომარჯვებული თავდასხმის სხვა საგანი. პირადი ჩხრეკა ტარდება შემდეგი ტაქტიკური ხერხის გამოყენებით. იგი წარმოებს ზემოდან ქვემოთ, გაჩხრეკას ექვემდებარება ჯიბეები, ხელჩანთა და სხვა პირადი საჭიროების საგნები (ქოლგა, ფოტოაპარატი, პორტიგარი, საათი და ა.შ.); გულდასმით უნდა იყოს დათვალიერებული ტანისამოსი, ფეხსაცმელი, წინდები, საცვლები, ულტრაიისფერი ნათურის დანათების შედეგად ტანისამოსზე შეიძლება გამომჟღავნდეს სისხლისმაგვარი წითელი ლაქები, სპერმის კვალი, ზეთისა და სხვადასხვა სითხეების ლაქები.

პირადი ჩხრეკის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაშიშვლებას, რათა აღმოჩენილ იქნას დანაშაულთან დაკავშირებული საგნები, ფასეულობა, ნივთები როგორც სპეციალურად შეფუთული და ჩამოკიდებული სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე, ისე ადამიანის ტანზე არსებულ ბუნებრივ ნახვრეტებში გადამალული.

<u>ამოღება.</u> ამოღება ტაქტიკური ხერხების გამოყენების თვალსაზრისით არის მარტივი საგამოძიებო მოქმედება, ვინაიდან გამომძიებელმა იცის, რა უნდა ამოიღოს, სად უნდა ჩატარდეს ამოღება და სად ინახება ამოსაღები საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტი. ამოღების დროს საჭირო არ არის ჩხრეკის წარმოება. ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამოსაღები ობიექტი გადამალულია. ამ შემთხვევაში გამოიყენება ყველა ის ტაქტიკური ხერხები, რაც დამახასიათებელია ჩხრეკის წარმოებისათვის.

ამოღების დროს, როგორც წესი, საგნები და ობიექტები გაიცემა ნებაყოფლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოღება წარმოებს იძულებითი წესით. მანამ გამომძიებელი შეუდგება იძულებითი წესით ამოღებას ტაქტიკურად გამართლებულია, რომ გამომძიებელმა დაარწმუნოს ოჯახის წევრი ან დაწესებულების წარმომადგენელი საგნების ნებაყოფლობით გაცემის მნიშვნელობის შესახებ.

ყოველი ამოღებული საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტი უნდა იყოს დათვალიერებული და დაწვრილებით აღწერილი ამოღების ოქმში. დათვალიერება, როგორც წესი, ხდება ამოღების ადგილზე და თუ ეს შეუძლებელია ან რთულია კონკრეტული ვითარების გამო ამოღებული საგნების დათვალიერება ხდება გამოძიების წარმოების ადგილზე.

ამოღება შეიძლება მოხდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის საცხოვრებელი ან სამსახურებრივი ადგილიდან ან სხვა ადგილიდან, სადაც და ვისთანაც ინახება ამოსაღები ობიექტები. ყადაღადადებული · საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილები ამოიღება მხოლოდ ისეთები, რომელიც ეკუთვნის ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს.

§4.ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსაცია

ჩხრეკისა და ამოღების შედეგად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-ე, 276-ე, 277-ე მუხლებით.

წერილობითი ოქმის გარდა ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსაცია შეიძლება მოხდეს გეგმებისა და სქემების შედგენით, სადაც აღინიშნება აღმოჩენილი და ამოღებული საგნების, ნივთების, დოკუმენტების, გვამის ადგილსამყოფელი და მათი პარამეტრები. ჩხრეკისა და ამოღების ფიქსაციის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება, განსაკუთრებით იმ ადგილებისა, სადაც არის სამალები.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმში აღინიშნება ნებაყოფლობით იქნა გაცემული ჩხრეკისა და ამოღების ობიექტები, თუ ისინი ამოღებულ იქნა ჩხრეკის შედეგად. ოქმში ასევე მიეთითება ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს წესრიგის დარღვევის ფაქტის შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, რომ ადგილი ჰქონდა ამოსაღები ობიექტების განადგურებას ან გადამალვას და რა ზომები მიიღო ამ მხრივ გამომძიებელმა.

ყველა საგანი, რომელიც ამოღებულ იქნა ჩხრეკისა და ამოღების შედეგად, წარედგინება როგორც დამსწრეებს, ასევე ოჯახის წევრებს ან ორგანიზაციის წარმომადგენელს, რის შესახებაც მიეთითება ოქმში.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმში აღინიშნება და აღიწერება საგნებისა და ნივთების ამოღების ადგილი და თვით ამოღებული ობიექტები, რომელთაც კავშირი აქვთ დანაშაულის ჩადენასთან ან არიან ბრუნვიდან ამოღებული საგნები. ყველა ამოღებული საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტი, გვამი და ა.შ. უნდა იყოს აღწერილი დაწვრილებით. აღწერას ექვემდებარება არა მარტო ზოგადი ნიშნები (ფორმა, ზომა, დასახელება, საქარხნო ნიშნები, ფერი, აგებულება, დამზადების მასალა, სარეგისტრეციო ნომერი), არამედ კერძო ნიშან-თვისებები (დეფექტები, მისი ადგილი და ფორმა, დაზიანებანი და ა.შ.). აღწერა ხდება ჩხრეკის (ამოღების) ოქმში ანდა ცალკე ფურცელზე, რომელიც ერთვის ოქმს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამოღებული საგნების სიმრავლის გამო ან არახელსაყრელი პირობების შედეგად ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე შეუძლებელია ამოღებული ობიექტების დაწვრილებითი აღწერა, ისინი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. ასეთ შემთხვევაში მათი დათვალიერება და აღწერა ხდება გამოძიების ადგილზე, მაგრამ იმავე დამსწრეთა მონაწილეობით, რომლებიც ესწრებოდნენ ჩხრეკასა და ამოღებას.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმში არ უნდა მიეთითოს საგნებისა და ფასეულობათა ისეთი ნიშნები, რომელთა დადგენა ვიზუალურად რთულია (ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი, სისხლი და ა.შ.). ჩხრეკისა და ამოღების ოქმში აღინიშნება ამ მოქმედებაში მონაწილე პირთა განცხადებებისა და საჩივრების შინაარსი.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმი დგება ორ ცალად. პირველი პირი რჩება სისხლის სამართლის საქმეში. მეორე პირი კი ხელწერილით ჩაბარდება ოჯახის წევრს ან შესაბამის თანამდებობის პირს, ვინც ესწრებოდა ჩხრეკას (საბინაო-საექსპლოატაციო უბნის წარმომადგენელი, დეპუტატი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელი, ორგანიზაციის, საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების წარმომადგენელი).

XXII თავი

დაკითხვის ტაქტიკა

§1 დაკითხვის ტაქტიკის ცნება და არსი

დაკითხვა არის გავრცელებული საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკულად არც ერთი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვა არ ტარდება დაკითხვების წარმოების გარეშე. დაკითხვის კონკრეტული ტაქტიკური ხერხების შერჩევა და გამოყენება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: დასაკითხავი პირის პროცესუალურ მდგომარეობაზე, მის ასაკზე, პირად ფიზიკურ თვისებებზე, საქმის შედეგებით დაინტერესების ფაქტორზე, დასაკითხავ პირზე ზეგავლენის მოხდენაზე, ოჯახურ კავშირზე, დაკითხვის ადგილზე და სხვა კონკრეტულ გარემოებებზე.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე გამომძიებელმა უნდა გამოიყენოს დაკითხვის ისეთი ტაქტიკური ხერხი, რომელიც უზრუნველყოფს დაკითხვის ამოცანის მიღწევას — მიღებულ იქნას სრული და ობიექტური ჩვენება. დაკითხვის, როგორც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანია მიღწეულ იქნას დანაშაულის სწრაფი გახსნა და საქმეზე ეშმარიტების დადგენა. დაკითხვის საგანია იმ ფაქტებისა და გარემოებათა დადგენა, რომელსაც შეიცავს მტკიცების საგანი და რაც დაკავშირებულია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.

დაკითხვა, როგორც საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება, გამოიხატება იმაში, რომ გამომძიებელმა (სასამართლომ) დასაკითხი პირიდან მიიღოს ჩვენება იმ ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის და უშუალო კავშირშია მასთან.

დაკითხვა არის პირველადი, დამატებითი და განმეორებითი. პირველადი დაკითხვის დროს, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, უნდა იყოს მიღებული საქმესთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ ინფორმაციის მაქსიმუმი. დამატებითი დაკითხვა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო ხდება დამატებითი ინფორმაციის მიღება ან უკვე მიღებული ინფორმაციის დაზუსტება და დაკონკრეტება. განმეორებითი დაკითხვა ტარდება უკვე მიღებული ჩვენების კრიტიკული შეფასების შემდეგ, როდესაც ჩვენების სისწორე და დასაბუთება იწვევს ეჭვს. განმეორებითი

დაკითხვა გულისხმობს დაკითხვას მეორედ, მესამედ და ა.შ. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პირის დაკითხვა ათჯერ და ოცჯერ მიუღებელია ტაქტიკური თვალსაზრისით და არ შეესაბამება დაკითხვის არსს.

დაკითხვის სხვადასხვა სახეები არსებობს, რომელიც დამოკიდებულია პირის პროცესუალურ მდგომარეობასთან, მის პერსონაზე და საქმის გადაწყვეტის ფორმაზე. დაკითხვის სახეებს პირის პროცესუალური მდგომარეობის შესაბამისად მიეკუთვნება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის დაკითხვა, დაპირისპირება. პერსონის მიხედვით დაკითხვის სახეებს წარმოადგენს არასრულწლოვანთა დაკითხვა; იმ პირთა დაკითხვა, რომლებთაც თავიანთი ფიზიკური და ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლიათ მთლიანი მოცულობით განახორციელონ უფლებამოსილება; მორწმუნე პირთა დაკითხვა. დაკითხვას საქმის გადაწყვეტის ფორმის მიხედვით განეკუთვნება დაკითხვა გამოძიების პროცესში და საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

დაკითხვის დროს არ შეიძლება ისეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენება, რომელიც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნებს, საშიშია ან დამამცირებელია დასაკითხი პირისათვის, ატარებს იძულებით ხასიათს, ლახავს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების ავტორიტეტს, მეცნიერულად არ არის დასაბუთებული და პრაქტიკულად შემოწმებული, ძლიერ ფსიქიურ ზეგავლენას ახდენს დასაკითხავ პირზე.

იმისათვის, რომ დაკითხვა ჩატარდეს კანონის დაცვით, ნორმალურ პირობებში, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვით იგი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს: იყოს კანონიერი, ნებაყოფლობითი, ეფექტური, ინდივიდუალურ-კონკრეტული მიდგომით, ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძვლებს და ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს.

<u>კანონიერება.</u> დაკითხვის კანონიერება გულისხმობს იმ პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას, რომლებიც არეგულირებენ ყველა სუბიექტის ჩვენების მიცემის წესსა და პირობებს, დასაკითხი პირის უფლებების დაცვას და უზრუნველყოფენ ჩვენების მიცემის სისრულეს, ყოველმხრივობასა და ობიექტურობას.

<u>ნებაყოფლობითობა.</u> დაკითხვის ნებაყოფლობითობის პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ არ შეიძლება დასაკითხი პირი ვაიძულოთ ჩვენების მიცემისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩვენების მიცემა წარმოადგენს მათ

პროცესუალურ ვალდებულებას (მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი). ყველა შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იყოს მხოლოდ დარწმუნების მეთოდი. პრაქტიკაში გამორიცხულ უნდა იყოს ყოველგვარი იძულება, მუქარა, ფიზიკური ძალადობა, უხეშობა და სიცრუე. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლის შესაბამისად მუქარით ან სხვა უკანონო მოქმედებით პირის იძულება ჩვენების მიღებისათვის წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

<u>დაკითხვის ეფექტურობა.</u> დაკითხვის ეფექტურობას უზრუნველყოფს მთელი რიგი ისეთი საკითხების გათვალისწინება, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დასაკითხი პირისაგან სწორი და ობიექტური ჩვენება, გავხადოთ დაკითხვა მიზანსწრაფულ მოქმედებად. დაკითხვის ეფექტურობას განაპირობებს ამ საგამოძიებო მოქმედების მომზადებულად ჩატარება, დაკითხვის გეგმის სწორი შედგენა, საქმის მასალების კარგი ცოდნა, დაკითხვის დროისა და ადგილის სწორი განსაზღვრა, დასაკითხავ პირთან ნორმალური ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება, დაკითხვის ჩატარება ნორმალურ პირობებში და ვითარებაში, დაკითხვის ტაქტიკური ხერხების შერჩევაში კონკრეტული სიტუაციისა და დასაკითხი პიროვნების გათვალისწინება, გადავიწყებული ფაქტებისა და გარემოებათა გახსენებაში და აღდგენაში ხელის შეწყობა..

<u>დაკითხვის ინდივიდუალურობა.</u> ამ პრინციპის არსი იმაში გამოიხატება, რომ დაკითხვის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იყოს ინდივიდუალურ-კონკრეტული პირობები. მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის ყველა სახეს აქვს ბევრი საერთო, თითოეული პირის დაკითხვის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ამ პირის დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი; ის კონკრეტული პირობები, რომლის დროსაც მან აღითქვა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებანი; დასაკითხი პირის ისეთი თვისებები, როგორიცაა აგრესიულობა და პასიურობა, ობიექტურობა და სიცრუე, კარჩაკეტილობა და კონტაქტების იოლი დამყარება, ასაკი, ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობა.

<u>მეცნიერული ტაქტიკური ხერხების გამოყენება.</u> ყოველი ტაქტიკური ხერხი, რომელიც გამოიყენება დაკითხვის პროცესში, უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებაში მყარად და საიმედოდ დადგენილ დებულებებს (იურიდიული, ფსიქოლოგიური, ლოგიკური მეცნიერება, შრომის მეცნიერული ორგანი-

ზაცია და ა.შ.). დაკითხვის ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა იყოს შემოწმებული და აპრობირებული პრაქტიკაში.

ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვა. როგორც დაკითხვის პროცესში, ისე ტაქტიკური ხერხების გამოყენების დროს დაცულ უნდა იყოს ზნეობრივ-ეთიკური ნორმები. არ შეიძლება დაკითხვის დროს ისეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენება, რომელიც ამცირებს დასაკითხი პიროვნების პატივსა და ღირსებას, საშიშია მისი ჯანმრთელობისათვის, დაკითხვის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიცრუეს, უსაფუძვლო დაპირებებს, ჩვენების გამოძალვას, შანტაჟს. არ შეიძლება ისეთი "ფსიქოლოგიური ეშმაკობა" და "ფსიქოლოგიური ხაფანგების" გამოყენება, რომელიც ძლიერ ფსიქიურ ზეგავლენას ახდენს დასაკითხ პირზე.

დაკითხვის ჩატარების აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვა წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას ამ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს. იგი იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენების შედეგად მიღებულ ფაქტებსა და გარემოებებს მიენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

§2 დაკითხვის მომზადების ტაქტიკური ხერხები

დაკითხვის ჩატარება მოითხოვს სათანადო მომზადებას. მომზადება გულისხმობს ისეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას, როგორიცაა: დასაკითხი პირის დადგენა და საქმის მასალების შესწავლა; იმ პირთა განსაზღვრა, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს დაკითხვაში; დასაკითხი პირის გამოძახება და დაკითხვის გეგმის შედგენა. ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე დაკითხვა არ იქნება მიზანსწრაფული და ვერ მივიღებთ ოპტიმალურ შედეგებს.

პირველ რიგში გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს, თუ ვინ უნდა დაიკითხოს და ვის როლში უნდა დაიკითხოს (ეჭვმიტანილის სახით, ბრალდებულად, მოწმედ თუ დაზარალებულად). აქვე უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტებისა და გარემოებათა დადგენა არის მოსალოდნელი დაკითხვის შედეგად (დაკითხვის საგანი).

დაკითხვის მომზადება გულისხმობს სისხლის სამართლის საქმისა და ოპერატიულ-სამძებრო მონაცემების გულდასმით შესწავლასა და ანალიზს, რომლის დროსაც უნდა გაირკვეს დასაკითხი პირის შესახებ მონაცემები: სპეციალობა, განათლება, ჯანმრთელობა, საქმის შედეგებით დაინტერესების

ფაქტი, მისი ურთიერთობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (მეგობრული და ნათესაური კავშირი, მტრული და დაძაბული დამოკიდებულება, ნაცნობობა თუ უცნობობა). საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამომძიებელს შეუძლია ამოიწეროს საჭირო მონაცემები საქმის ფურცლის მითითებით. საქმის მასალების გაცნობაზე და დასაკითხი პიროვნების შესწავლაზე დამოკიდებულია დაკითხვის კონკრეტული ტაქტიკური ხერხების შერჩევა და დაკითხვის შედეგად ობიექტური მონაცემების მიღება.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს ის მტკიცებულებები (სხვადასხვა სახის ოქმები, ნივთიერმტკიცებულებები, დოკუმენტები), რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა წარედგინოს დასაკითხ პირს მისგან ობიექტური ჩვენების მიღების ან გადავიწყებული ფაქტებისა და გარემოებათა აღდგენის მიზნით.

თუ დაკითხვის საგანს წარმოადგენს ისეთი მონაცემების დადგენა-გარკვევა, რაც დაკავშირებულია საწარმოო პროცესთან, ტექნიკური ხასიათის ფაქტების დადგენასთან ამ საკითხების გარკვევის მიზნით საჭიროა, რომ გამომძიებელი წინასწარ (დაკითხვის დაწყებამდე) გაეცნოს შესაბამის მასალას (სათანადო დებულებებს, ინსტრუქციებს, საცნობარო მასალას და წარმოების ხელმძღვანელის შესაბამის ბრძანება-განკარგულებებს).

დაკითხვის მომზადება გულისხმობს აგრეთვე დაკითხვის ადგილისა და დროის განსაზღვრას. ტაქტიკური მოსაზრებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე გამომძიებელს შეუძლია დაკითხვა აწარმოოს არა მარტო გამოძიების ადგილზე და საგამოძიებო იზოლატორში, არამედ იმ ადგილზე, სადაც დასაკითხი პირი იმყოფება (საცხოვრებელი ადგილი, სამსახური, საავადმყოფო). ცალკეულ შემთხვევაში დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს გამომძიებლის ცალკეული დავალებით (იხ. სსს კოდექსის 131-ე მუხლი). ყველა შემთხვევაში დაკითხვის ადგილზე უნდა იყოს შექმნილი ნორმალური პირობები.

დაკითხვის დროის განსაზღვრა ასევე განეკუთვნება ტაქტიკურ ხერხს, რადგან მისი დადგენა დაკავშირებულია მთელ რიგ პირობებთან და კრიმინალისტიკურ სიტუაციასთან. დაკითხვა უნდა ჩატარდეს დღის საათებში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც ამ საგამოძიებო მოქმედების გადადებას შეუძლია ზიანი მოუტანოს ჭეშმარიტების დადგენას. დაკითხვის დროის განსაზღვრა ორ შემთხვევაში არ არის გამომძიებელზე დამოკიდე-

ბული და იგი უნდა ჩატარდეს იმ დროის განმავლობაში, როგორც ამას კანონი ადგენს. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 123-ე მუხლის შესაბამისად ეჭვმიტანილი უნდა დაიკითხოს არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა დაკავების მომენტიდან. ბრალდებული კი მისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ. თუ დაკითხვა დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდა, ასეთი დაყოვნების მიზეზების შესახებ უნდა შედგეს ოქმი (სსს კოდექსის 147-ე მუხლი).

ცალკეულ შემთხვევაში დაკითხვის მომზადება გულისხმობს ტექნიკური საშუალებების მომზადებასაც (მაგნიტოფონი, ვიდეოაპარატურა, კინოაპარატი და ა.შ.).

საკითხთა მეორე ჯგუფს, რომლებიც უნდა მომზადდეს დაკითხვამდე, განეკუთვნება იმ პირების განსაზღვრა, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ დაკითხვის წარმოებაში. დაკითხვას ხელმძღვანელობს და წარმართავს გამომძიებელი (სასამართლო) და სწორედ ამ პირმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, თუ ვინ და ვის როლში უნდა დაესწროს აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებას.

პროკურორი უფლებამოსილია ყველა შემთხვევაში დაესწროს დაკითხვის ჩატარებას როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გამომძიებლის თხოვნით ან დასაკითხი პირის შუამდგომლობის საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში პროკურორის დასწრება დაკითხვის წარმოების დროს კანონით არის სავალდებულო. მაგალითად, სსს კოდექსის 97-ე მუხლის ძალით პროკურორი ვალდებულია დაესწროს დაკითხვას იმ შემთხვევაში, თუ ადრე დაკითხულმა პირმა ხელი არ მოაწერა დაკითხვის ოქმს.

<u>დაკითხვის დაწყებამდე</u> უნდა გადაწყდეს საკითხი დამცველის მოწვევის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მონაწილეობა დაკითხვის დროს კანონით არის სავალდებულო. სხვა შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტა შედის როგორც გამომძიებლის, ისე დასაკითხი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის კომპეტენციაში.

არასრულწლოვანი პირის დაკითხვის დროს, კანონის შესაბამისად, მოწვეულ უნდა იყოს სპეციალისტი. ამ მიზნით გამომძიებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის არასრულწლოვანის ფსიქოლოგია, იცნობს დასაკითხ პირს და სარგებლობს მის წინაშე გარკვეული ავტორიტეტით. ასეთი სპეციალისტების სახით, როგორც წესი, შერჩეულ უნდა იყოს პედაგოგი. ზოგ შემთხვევაში მოწვეულ უნდა იყოს

სპეციალისტის სახით ოპერატორი, რომელმაც უნდა გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები (ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება). თუ დასაკითხი პირი ავადაა ან იმყოფება საავადმყოფოში მისი დაკითხვისათვის საჭიროა მკურნალი ექიმის ნებართვა და დაკითხვას უნდა დაესწროს ექიმი-სპეციალისტი.

თუ საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ დასაკითხი პირი არ ფლობს ან კარგად არ იცის სამართალწარმოების ენა მიღებულ უნდა იყოს ზომები თარჯიმანის მოწვევის მიზნით. ყრუ და მუნჯი პირის დაკითხვისათვის საჭიროა მოწვეულ იყოს თარჯიმნის როლში ისეთი პირი, რომელიც კარგად ფლობს ამ პირთა სალაპარაკო ნიშნებს.

არასრულწლოვანთა დაკითხვის დროს უნდა გადაწყდეს საკითხი დამცველის, კანონიერ წარმომადგენელთა (მშობელი, მეურვე, მზრუნველი) დასწრების შესახებ, თუ ამ პირთა დასწრება ხელს არ შეუშლის დაკითხვის პროცესის ნორმალურად ჩატარებას.

დაკითხვის მომზადებულად და მიზანსწრაფულად ჩატარება შეუძლებელია ისე, თუ გამომძიებელი არ შეადგენს დაკითხვის გეგმას. გეგმის შედგენა წარმოადგენს დაკითხვის მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. დიდ და რთულ საქმეებზე დაკითხვის გეგმა უნდა შედგეს წერილობით, მარტივ საქმეებზე იგი შეიძლება ატარებდეს ზეპირ ხასიათს. დაკითხვის გეგმის შედგენა არ უნდა იყოს განხილული, როგორც დოგმა. იგი შეიძლება დაზუსტდეს და შეიცვალოს დაკითხვის პროცესში, კონკრეტულ ვითარებიდან გამომდინარე.

დაკითხვის გეგმაში უნდა იყოს შეტანილი შემდეგი ძირითადი საკითხები: 1) ვინ უნდა დაიკითხოს და ვის როლში, 2) როდის და სად უნდა ჩატარდეს დაკითხვა, 3) რა ფაქტები და გარემოებანი უნდა იყოს დადგენილი დაკითხვის შედეგად, 4) რა სახის მასალები მოიპოვება საქმეში დაკითხვის საგნის შესახებ (უნდა მიეთითოს საქმის ფურცლის ნომერი), 5) რა საკითხები უნდა იყოს გარკვეული დაკითხვის დროს, რა შეკითხვები და რა თანმიმდევრობით უნდა დაესვას ისინი დასაკითხ პირს, 6) რა სახის ნივთმტკიცებები და მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს დასაკითხ პირს იმ შემთხვევაში, თუ მას გადაავიწყდა ცალკეული ფაქტები და გარემოებანი ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას, 7) რა სახის ტაქტიკური ხერხები უნდა

ანის დიდი ტვინის ქერქში დროებითი ნერვიული კავშირების შექმნის შესახებ.

ჩვენების ფორმირების პროცესი შედგება სამი საფეხურისაგან: ფაქტებისა და გარემოებათა აღქმა, მათი დამახსოვრება და გადმოცემა (რეპროდუქცია).

<u>აღქმა</u> არის ჩვენების ფორმირების პროცესის პირველი საფეხური, რომლის დროსაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებების, მოვლენების ნახვისა და დაკვირვების შედეგად ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ყალიბდება ნახულის ან მოსმენილის დროებითი ნერვიული კავშირები (დინამიური სტერეოტიპი).

აღქმა შეიძლება მოხდეს მხედველობის, მოსმენის, ყნოსვის, გემოვნების, შეგრძნობის საფუძველზე.

აღქმა არის რთული ფსიქოლოგიური პროცესი. მის სიზუსტეზე, სისრულეზე, ნათელყოფაზე, არასისწორეზე გავლენის მოხდენა შეუძლია მთელ რიგ გარემოებებს. კერძოდ: ადამიანის ათვისების უნარს, მის განწყობას და გამოცდილებას, პროფესიასა და ასაკს, ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მონაცემებს, დროის მონაკვეთს, მეტეოროლოგიურ პირობებს და ა.შ.

საგნების, ფაქტების, მოვლენების აღქმა (ათვისება) შეიძლება იყოს ორი სახის. იგი შეიძლება მოხდეს წინასწარ დასახული მიზნის საფუძველზე (თვითნებურად) და უნებურად. თვითნებური აღქმისათვის დამახასიათებელია აღქმული ფაქტების, მოვლენების, საგნების შედარებითი სიზუსტე და სისრულე, ვინაიდან ამ დროს ადამიანის ყურადღება გადატანილია ნახულისა და მოსმენილის დამახსოვრების სურვილზე. ამ თვისებას შედარებით მოკლებულია აღქმის ისეთი სახე როგორიცაა უნებური აღქმა, რომლის დროსაც ადამიანის ყურადღება გაფანტულია და აღქმა ხდება უნებურად.

აღქმის სისრულეზე და სიზუსტეზე გავლენის მოხდენა შეუძლია მთელ რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს.

სუბიექტურს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნებასთან და მის განწყობასთან. ამ ფაქტორებს შეუძლიათ აღქმის პროცესზე მოახდინონ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენა. აღქმაზე, მაგალითად, უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას (სულიერი აღელვება, ნერვიული სისტემის მოშლა), მის ფიზიკურ მდგომარეობას (ავადმყოფობა, დაღლილობა,

სიმთვრალე), პიროვნების განწყობილებას (ემოციურობა, შიში, უყურადღებობა), მის ფიზიკურ ნაკლს (ყრუ, მუნჯი, ახლომხედველი, ფერების არასწორი აღქმა და ა.შ.).

ობიექტურს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული პიროვნებასთან და მის განწყობასთან. ამ ფაქტორებს შეუძლიათ ასევე აღქმის პროცესზე მოახდინონ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენა. აღქმაზე მაგალითად, უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მეტეოროლოგიურ პირობებს (წვიმა, თოვლი, ქარი), ხილვადობის ხარისხსაყრელ პირობებს (ცუდი განათება, ღრუბელი, ნისლი, ხელოვნური განათება), დანახული ობიექტებისა და მოვლენების სიშორეს, მათი დანახვის ხანმოკლე დროს, ხმაურის ფონს, ძალიან მაღალ და დაბალ ტემპერატურას და ა.შ.

აღქმაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის პროფესიას, რომელიც მას საშუალებას აძლევს ნათელი წარმოდგენა იქონიოს საგნებზე და მოვლენებზე. მაგალითად, დალაქი შედარებით კარგად ამოიცნობს თმის შეკრეჭის ან დახვევის თავისებურებას, მძღოლი — სიჩქარეს, საავტომობილო დარგის მუშაკი — ციფრებსა და ციფრობრივ მონაცემებს, შხატვარი — ადამიანისა და ობიექტების გამოსახულებას, მეწაღე — ფეხსაცმლის ფასონს და ა.შ.

შედარებით სირთულეს წარმოადგენს დროის მონაკვეთის, მოძრაობის სიჩქარის, ფერისა და სივრცის აღქმა, რადგან ყოველივე ეს სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია პიროვნების სუბიექტურ წარმოდგენაზე.

დროის აღქმის საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მისი შეგრძნება დამოკიდებულია ადამიანის ემოციურობაზე. როგორც თეორიითა და პრაქტიკით არის დადგენილი პიროვნების დადებითი ემოციებით განწყობის შემთხვევაში დრო შედარებით ჩქარა გადის, ვიდრე სინამდვილეში და პირიქით პიროვნების უარყოფითი ემოციების შემთხვევაში დროის ფაქტორი უფრო ხანგრძლივად გვეჩვენება, ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი.

მოძრაობის სიჩქარის აღქმის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რაც უფრო შორს მოძრაობს პიროვნება, სატრანსპორტო საშუალება, მით უფრო ნელი გვეჩვენება მოძრაობის სიჩქარე. მოძრაობის სიჩქარე შედარებით ზუსტად აღითქმება ნახევარი კილომეტრის

მანძილზე. ზოგ შემთხვევაში სიჩქარე შეიძლება განისაზღვროს სხვა მო
ობიექტების თანაფარდობაში.

ფერის შეგრძნების განსაზღვრისათვის გათვალისწინებულ უნდა
პიროვნების სუბიექტური თვისებების გარდა, ის გარემოება, რომ წი
ფერი შედარებით უკეთესად აღითქმება, იგი შორი მანძილიდან სჩანს,
განაც შეიცავს ულტრაიისფერ სხივებს, რომლებსაც ახასიათებს დიდი
ჭოლუნარიანობა. ფერი შეიძლება დადგინდეს აგრეთვე სხვა ფერის ახ
დებარე საგნებთან ურთიერთობაში და მათთან შედარების საფუძველზე.

სივრცის აღქმა ხდება აგრეთვე შედარების საფუძველზე ახლომდე
საგნებთან ერთობლიობაში, მაგალითად, ზღვაში ობიექტები გვეჩვ
უფრო ახლო სივრცეში, ვიდრე სინამდვილეში. ასევე ჰაერში თვითმფრ
და ფრინველები გვეჩვენება შედარებით ახლო, ვიდრე ამას სინამდვი
აქვს ადგილი, რაც აიხსნება ჰაერისა და ზღვის ერთფეროვნებით.

იმისათვის, რომ დაზუსტდეს აღქმის პირობები, აღქმული საგნ
და გარემოებათა სიზუსტე და სისრულე გამომძიებელი ხშირ შემთხვ
ატარებს საგამოძიებო ექსპერიმენტს, შემთხვევის ადგილზე გაყვანას ა
მიზნით დამაზუსტებელ და მოსაგონებელ შეკითხვებს აძლევს დასაკ
პირს.

<u>დამახსოვრება</u> არის ჩვენების ფორმირების პროცესის მეორე ს
ური, რომლის დროსაც აღქმული საგნების, გარემოებათა, მოვლენ
ფაქტების შესახებ ცნობები ადამიანის დიდი ტვინის ქერქში მყარდებ
უცვლელი რჩება გარკვეული პერიოდის მანძილზე.

ისე როგორც აღქმაზე, დამახსოვრებაზეც გავლენას ახდენს მ
რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომელთა შესახებ ზ
იყო აღნიშნული.

დამახსოვრება, ისე როგორც აღქმა, შეიძლება იყოს ორი სახის: ბ
ნებური და უნებური. პირველ შემთხვევაში დამახსოვრების დრო და ხარ
უფრი დიდია და სრულყოფილი, რადგან პირი ცდილობს დაიმახსო
აღქმული საგნები და მოვლენები. დამახსოვრების ამ სახისათვის დამ
ათებელია გააზრებული მოქმედება. უნებური დამახსოვრების დროს
ქმული საგნებისა და მოვლენების დამახსოვრება ხდება ყოველგვარი
დატანების გარეშე — მექანიკურად, ამიტომ დამახსოვრების დრო
ხარისხი შედარებით დაბალია.

დამახსოვრების უნარი დამოკიდებულია სხვადასხვა, მრავალი ხასიათის ფაქტორებთან და პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებთან. ერთი პიროვნება, მაგალითად, შედარებით უკეთ იმახსოვრებს იმას, რაც დაკავშირებულია მხედველობასთან, მეორე — იმას, რასაც კავშირი აქვს სმენადობასთან, მესამე შედარებით უკეთ იმახსოვრებს დროს და მის ხანგრძლივობას, მეოთხე — საუბრის შინაარსს, მეხუთე — საგნების ფორმასა და მოცულობას, მეექვსე — ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია მოძრაობასთან, მეშვიდე — ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია ემოციებთან (განცდებთან, სიხარულთან, მგლოვიარობასთან და ა.შ.). ამავე დროს ერთი და იგივე პიროვნებას შესაძლებელია ჰქონდეს იმის უნარი, რომ ერთდროულად კარგად დაიმახსოვროს ნახულიც, მოსმენილიც, მოძრაობაც და ა.შ.

დამახსოვრებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. მათ შორის თვით <u>პიროვნების სურვილი დაიმახსოვროს აღქმული გარემოება.</u> ასეთ შემთხვევაში დამახსოვრების სისრულესთან და სიზუსტესთან გვაქვს საქმე. <u>აღქმული საგნების კარგი ცოდნა.</u> რაც უფრო კარგად იცის პიროვნებამ აღქმული საგნებისა და ფაქტების პარამეტრები, მათი ნიშან-თვისებები, მით უფრო კარგად იმახსოვრებს მას. <u>შთაბეჭდილების სიძლიერე.</u> პიროვნება შედარებით უკეთესად იმახსოვრებს იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომელმაც მასზე მოახდინეს დიდი შთაბეჭდილება და პირიქით. <u>დროის ფაქტორი.</u> პიროვნება შედარებით სრულად და ზუსტად იმახსოვრებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს მოკლე დროის მანძილზე. რაც უფრო მეტი დრო გავიდა აღქმიდან ჩვენების მიცემამდე, მით უფრო დაბალია დამახსოვრების სიზუსტე. <u>პიროვნების პროფესია.</u> დასაკითხი პირი შედარებით უკეთ იმახსოვრებს იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რაც დაკავშირებულია მის პროფესიულ ცოდნასთან და პროფესიულ ჩვევებთან. <u>პიროვნების ასაკი.</u> ამ ფაქტორს გარკვეული მნიშვნელობა აქვს დამახსოვრების პროცესთან. რაც უფრო ასაკოვანია პიროვნება, მით უფრო ნაკლები დროის განმავლობაში იგი იმახსოვრებს ფაქტებისა და მოვლენების არსებობას და მათ ნიშან-თვისებებს. პიროვნების ფიზიკური მდგომარეობა. დამახსოვრების ხარისხზე გარკვეული დადებითი და უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია <u>პიროვნების ფიზიკურ მდგომარეობას:</u> მის ჯანმრთელობას და დაავადებას, დაქანცულობას, სიფხიზლესა და სიმთვრალეს, ფიზიკური ხასიათის ნაკლოვანებას (მაგალითად, დადგენილია, რომ მუნჯს შედარებით უკეთ აქვს განვითარე-

ბული სმენადობა. ასევე კარგი სმენადობა აქვს ბრმას). პიროვნების ფსიქიური მდგომარეობა. დამახსოვრებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ისეთი ფსიქიკური ფაქტორები, როგორიცაა: ნერვიული კავშირების მოშლა, გონებრივი განვითარების ჩამორჩენა, შიშის თუ სიხარულის გრძნობა, ადამიანის ტემპერამენტი (შედარებით უკეთესად იმახსოვრებენ აღქმულ ფაქტებსა და მოვლენებს დინჯი, ფლეგმატური, მელანქოლიკური პიროვნებები, ვიდრე ექსპანსიური და სწრაფად აგზნებადი პირები).

ყოველივე აღნიშნული უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც დაკითხვის დროს, ისე ჩვენების შედეგების კრიტიკული შეფასების პროცესში.

გადმოცემა (რეპროდუქცია) არის ჩვენების ფორმირების პროცესის ბოლო, მესამე საფეხური, რომლის დროსაც ხდება აღქმული და დამახსოვრებული მოვლენის, ფაქტების, ნიშან-თვისებათა აღდგენა და გადმოცემა.

ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ აღქმული და დამახსოვრებული ცნობებისა და ნიშან-თვისებათა გადმოცემა შედარებით უფრო სრულია, როდესაც ისინი დამახსოვრებული იყო თვითნებურად, წინასწარ დასახული მიზნის საფუძველზე და პირიქით ჩვენების რეპროდუქციის ხარისხი შეიძლება იყოს შედარებით დაბალი, როდესაც უნებურ აღქმასთან და დამახსოვრებასთან გვქონდა საქმე.

განასხვავებენ ჩვენების გადმოცემის (რეპროდუქციის) ორ ფორმას: ამოცნობის (აღდგენის) საფუძველზე და მოგონების საფუძველზე. დამახსოვრებულ საგანთა და გარემოებათა ნიშან-თვისებათა უშუალო აღდგენა-ამოცნობა იმაში გამოიხატება, რომ პირი რომელიც ჩვენებას იძლევა ყოველგვარი მოგონებისა და შეკითხვების გარეშე გადმოგვცემს დამახსოვრებულ ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ სრულ ინფორმაციას. მოგონების საფუძველზე ჩვენების მიცემის დროს დასაკითხ პირს ეიეცემა დამაზუსტებელი და მოსაგონებელი შეკითხვები ადრე აღქმულ და დამახსოვრებულ ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ.

ჩვენების ფორმირების პროცესში და განსაკუთრებით მისი გადმოცემის დროს საჭირო ხდება ადრე ნახული მოვლენების, ფაქტების, საგნების პარამეტრებისა და დავიწყებულ ნიშან-თვისებათა აღდგენა-აღდგენის ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ ტაქტიკურ ხერხს მიეკუთვნება ასოციაცია. ამ ხერხის არსი იმაში გამოიხატება, რომ დასაკითხი პირისადმი შეკითხვების მიცემის საფუძველზე მის აზროვნებაში წარმოიშვება ისეთი კავშირები, რომლებიც

მოგონებს მას (ახდენს ასოცირებას) ადრე ნახულ საგანთა და მოვლენათა ნიშან-თვისებათა შესახებ. ერთ შემთხვევაში ხდება ადრე ნახულ საგანთა და მოვლენათა აზრობრივი ნიშან-თვისებათა მოგონება; მეორე შემთხვევაში — მსგავს საგანთა აღწერა და შედარება; მესამე შემთხვევაში — ურთიერთდაკავშირებული და ერთდროული მოვლენების შეხსენება; მეოთხე შემთხვევაში — ფერის, სინათლის, სიდიდის ნიშან-თვისებათა გახსენება და ა.შ.

ჩვენების გადმოცემის (რეპროდუქციის) პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ისეთ ფსიქოლოგიურ ტაქტიკურ ხერხს როგორიცაა შთაგონება. შთაგონებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც გამომძიებლის, ისე სხვა პირთა მხრივ (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მისი ნათესავები და ა.შ.). შთაგონებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც შეხსენების თვალსაზრისით, ისე არასწორი წარმოდგენის შექმნის მიზნით. შთაგონებაზე გავლენას ახდენს პიროვნების ასაკი, ადამიანის ხასიათის სისუსტე. მაგალითად, ბავშვებზე და სუსტი ნებისყოფის ადამიანებზე გაცილებით უფრო ადვილია შთაგონებრივი ზემოქმედება, ვიდრე ასაკოვან პირებზე, მტკიცე და მორალურად მყარ პიროვნებაზე.

ჩვენების გადმოცემის სისრულეზე, სიზუსტესა და ობიექტურობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია აგრეთვე პიროვნების ფანტაზიისა და მოვლენების წარმოდგენის უნარს.

პრაქტიკაში კარგად არის ცნობილი, რომ მცირეწლოვანებსა და არასრულწლოვანებს, აგრეთვე ფსიქიკურად არამდგრად პიროვნებებს უფრო მეტად ახასიათებს ფანტაზიურობა, ვიდრე სხვა პირებს. ფანტაზიურობის ნიშნებს შეიძლება აგრეთვე ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა სრულად და სწორად ვერ აღითქვა ნახული საგნებისა და გარემოებათა ნიშან-თვისებები.

ჩვენების სისწორეზე, სიზუსტესა და სისრულეზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პიროვნების სუბიექტურ ფაქტორებს. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მყარად არის დადგენილი, რომ ჩვენების რეპროდუქციაზე გავლენის მოხდენა შეუძლია დასაკითხი პირის ისეთ თვისებებს, როგორიცაა ობიექტურობა და პირადი დაინტერესება, სიმშვიდე და აღელვება, სიხარული და მწუხარება, პიროვნების ტემპერამენტი და სხვა.

ყველა აღნიშნული ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენების გადმოცემის პროცესზე გათვალისწინებულ უნდა იყოს ჩვენების შეფასების დროს.

§4 დაკითხვის ზოგადი ტაქტიკური ხერხები

დაკითხვის ზოგადი ტაქტიკური ხერხები ისეთი ხერხებია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა პირის (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული და ა.შ.) დაკითხვის პროცესში სრული, სწორი ჩვენების მისაღებად და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

ზოგად ტაქტიკურ ხერხებს მიეკუთვნება: დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა; დაკითხვების თანამიმდევრობის განსაზღვრა; დასაკითხავ პირთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება; საკონფლიქტო სიტუაციის განმუხტვა დადებითი ემოციების წახალისების გზით; შეკითხვების მიცემის მიზანშეუწონლობა თავისუფალი თხრობის დროს; დავიწყებული ფაქტებისა და გარემოებათა აღდგენა მოფიქრებული და თანმიმდევრული შეკითხვების მიცემის გზით; დარწმუნებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხის გამოყენება, როდესაც პირი არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას; წახალისების ხერხის გამოყენება, როდესაც პირს სურს მისცეს სწორი ჩვენება; მტკიცებულებათა წარდგენისა და დემონსტრაციის ტაქტიკური ხერხი სწორი ჩვენების მიღების მიზნით; ჩვენების ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნას გარკვეული დადებითი მნიშვნელობა აქვს სწორი, სრული და ობიექტური ჩვენების მისაღებად. დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა გულისხმობს დაკითხვის სწორ ორგანიზაციას. დაკითხვა უნდა მოხდეს განმარტოვებით, ცალკე ოთახში გარეშე პირების დაუსწრებლად. ამ დროს გამორიცხულ უნდა იყოს ტელეფონით საუბარი განყენებულ თემაზე, ტელევიზორის ცქერა და ა.შ. მიღებულ უნდა იყოს ზომები, რომ დასაკითხი პირები ერთმანეთს არ შეხვდნენ დაკითხვამდე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის მიზნით. თვით გამომძიებელი ადგილზე უნდა დახვდეს დასაკითხ პირს, არ ალოდინოს მას. შეხვდეს დასაკითხ პირს დადებითი განწყობით, იყოს თავაზიანი. ყოველივე ამას გარკვეული ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს სწორი ჩვენების მიღებისათვის და დასაკითხ პირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის.

სწორი და სრული ჩვენების მიღებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენებას, როგორიცაა დასაკითხ პირთა თანამიმდევრობის განსაზღვრა, რომლის დროსაც გათვალისწინებულ უნდა იყოს კონკრეტული კრიმინალისტიკური სიტუაცია და ობიექტური ჩვენების მიღების შესაძლებლობა. პირველად და უფრო ადრე უნდა დაიკითხოს ის პირი, ვისგანაც უფრო მოსალოდნელია სრული და ობიექტური ჩვენების მიღება; პირი, რომლის ჩვენებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად; პირი, ვინც დადებითად აშუქებს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებსა და გარემოებებს; პირი, ვინც იძლევა ჩვენებას ისეთ გარემოებათა შესახებ, რომელსაც უფრო ადრე ჰქონდა ადგილი; პირი, ვიზედაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ დაშინების, მუქარის, ძალადობის ან შანტაჟის გამოყენებით; პირი, ვინც იმყოფება საავადმყოფოში, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ შემდგომში მისი დაკითხვა უკვე შეუძლებელი იქნება (ასეთ შემთხვევაში დაკითხვა ხდება მკურნალი ექიმის ნებართვით და ექიმის დასწრებით); პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს ასრულებდა მეორეხარისხოვან როლს. აღნიშნული ტაქტიკური ხერხების გამოყენება ბევრ შემთხვევაში გვაძლევს სასურველ შედეგს.

დასაკითხი პირის გამოცხადებისთანავე, გამომძიებელი არკვევს რა მის ვინაობას და პიროვნებას, დამოკიდებულებას სხვა დასაკითხ პირებთან, უმარტავს რა უფლებებსა და მოვალეობას ამავე დროს ამყარებს მასთან გარკვეულ ფსიქოლოგიურ კონტაქტს. ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება, როგორც ტაქტიკური ხერხი მიზნად ისახავს განაწყოს დასაკითხი პირი სწორი და ობიექტური ჩვენების მიცემისათვის, განმუხტოს დაძაბული ვითარება, უარყოფითი ემოციები და საკონფლიქტო სიტუაცია, განაწყოს პირი დადებითად. ამ მიზნის მიღწევისათვის სასურველია, რომ გამომძიებელმა განყენებულ თემაზე ესაუბროს დასაკითხ პირს, შეაქოს იგი დროული გამოცხადებისათვის, მოუწოდოს მას აქტიური მოღვაწეობისათვის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხაზი გაუსვას დასაკითხ პირის დადებით თვისებებს (ოჯახში, სამსახურში, სასწავლებელში), მის გულწრფელობას, ობიექტურობასა და პრინციპულობას. ასეთი მონაცემები გამომძიებელმა უნდა დაადგინოს დასაკითხი პირის პიროვნების შესწავლისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად.

დასაკითხ პირთან სასურველი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ყოველგვარი უხეშობა, ყვირილი და დაშინება, ლანძღვა და მუქარა, როგორც წესი, დასაკითხ პირს განაწყობს უარყოფითად და ქმნის საკონფლიქტო სიტუაციას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს დასაკითხ პირზე, ჩვენების მიცემის სისრულეზე და ობიექტურობაზე.

დაკითხვის პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იყოს დასაკითხ პირზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტაქტიკური ხერხი ეგრეთწოდებული "ფსიქოლოგიური ხაფანგები", "ეშმაკობანი", მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ასეთი ტაქტიკური ხერხი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროცესუალურ კანონს და მის პრინციპებს, ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს. ფსიქოლოგიური ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ გამომძიებელმა დაარწმუნოს დასაკითხი პირი, რომ მის განკარგულებაში არის მთელი რიგი ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ადგენს დანაშაულის ჩადენის ფაქტს, საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს კიდეც ნივთიერი მტკიცებულებები, მისცეს დასაკითხ პირს შეკითხვები იმ თანმიმდევრობით და იმ საკითხებზე, რომლებიც ამხელს მას გარკვეული ქმედობის ჩადენაში.

ჩვენების მიცემის დროს თავისუფალი თხრობის პროცესში პაქტიკურად მიუღებელია დასაკითხი პირის შეჩერება, ჩვენების შეწყვეტა და ჰეკითხვების მიცემა, რადგან ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვიოს დაბნეულობა, ჩამოყალიბებული აზრის გადავიწყება და შექმნას საკონფლიქტო სიტუაცია. თავისუფალი თხრობის დროს დასაკითხი პირის შეჩერება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საუბრობს ისეთი ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.

დასაკითხი პირისადმი მოფიქრებული შეკითხვების მიცემას, მათ თანმიმდევრობას და კონკრეტულობას აქვს აგრეთვე გარკვეული ტაქტიკური მნიშვნელობა სწორი და სრული ჩვენების მილებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი თხრობის დროს პირმა არ გააშუქა ისეთი გარემოება, რომელსაც აქვს არსებითი მნიშვნელობა და რომლის გამოც იკითხებოდა პირი, მას უნდა მიეცეს ძირითადი შეკითხვა, დაკავშირებული დაკითხვის საგანთან. თავისუფალი თხრობის პროცესში გამორჩენილი ფაქტებისა და გარემოებათა გაშუქების მიზნით დასაკითხ პირს მიეცემა დამატებითი ხასიათის შეკითხ-

ვები, ხოლო იმ მიზნით, რომ მოვაგონოთ გადავიწყებული ფაქტები და გარემოებანი დასაკითხ პირს მიეცემა მოსაგონებელი შეკითხვები. იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი თხრობის დროს არასრულად იყო გაშუქებული საკითხები, დასაკითხ პირს მიეცემა დამაზუსტებელი ხასიათის შეკითხვები, ხოლო იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ჩვენების სისწორე დასაკითხ პირს მიეცემა საკონტროლო ხასიათის შეკითხვები. თავისუფალი თხრობის შემდეგ დასაკითხ პირს, კანონის ძალით, არ შეიძლება მიეცეს მისახვედრი შეკითხვები. მისახვედრი შეკითხვები ეს ისეთი შეკითხვებია, როდესაც გამომძიებელი ფაქტიურად კარნახობს შეკითხვის პასუხს და უბიძგებს პირს გარკვეული პასუხის მისაცემად.

იმ შემთხვევაში, როდესაც დასაკითხ პირს სურს მისცეს სწორი და სრული ჩვენება და იძლევა ასეთ ჩვენებას, მაგრამ მას გადაავიწყდა გარკვეული ფაქტები და გარემოებანი ან არაზუსტად აღწერა ისინი ასეთ დროს გარკვეული დადებითი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს დამატებითი, დამაზუსტებელი და მოსაგონებელი შეკითხვების მიცემას გადავიწყებული და არაზუსტად აღწერილი ფაქტების სწორი და სრული გაშუქების მიზნით.

დაკითხვის სხვა ტაქტიკური ხერხები უნდა იყოს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც პირი საერთოდ არ იძლევა ჩვენებას. თუ დასაკითხი პირი არის მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი მათ უნდა განემარტოთ ვალდებულება მისცენ ჩვენება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უსაფუძვლოდ უარის თქმის, თავის არიდებისა და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ამ პირებს, ასევე ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს უნდა განემარტოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მნიშვნელობა, აუწყონ მათ, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მთელი რიგი ფაქტები და გარემოებანი უკვე დადგენილია სხვა მტკიცებულებებით და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ მათი დემონსტრაცია და წარდგენა. დარწმუნების ტაქტიკური ხერხის გამოყენებას ამ შემთხვევაშიც შეუძლია მოგვცეს დადებითი შედეგები.

თუ პირი იძლევა ცრუ ჩვენებას გამომძიებელმა, ზემოთ აღნიშნული ტაქტიკური ხერხების გარდა, უნდა გამოიყენოს სხვა ტაქტიკური ხერხებიც, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: მტკიცებულებათა დემონსტრაცია და გამოქვეყნება, ფონოგრამის მოსმენა, კინო და ვიდეო ფირების დემონსტრაცია.

მტკიცებულებათა წარდგენის სხვადასხვა ხერხები არსებობს. კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, ჯერ შეიძლება მოხდეს მცირე მნიშვნელობის მტკიცებულებათა წარდგენა, შემდგომ უფრი ძლიერისა და ბოლოს გადამწყვეტი (არსებითი) ხასიათის მტკიცებულების წარდგენა იმ პირისადმი, რომელიც იძლევა წინასწარ შეცნობით ცრუ ჩვენებას. ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება, გარკვეულ შემთხვევაში, იძლევა დადებით შედეგს და პირს უჩნდება სურვილი მისცეს სწორი ჩვენება.

ზოგ შემთხვევაში საკმარისია, რომ დასაკითხ პირს წარედგინოს ერთი რომელიმე გადამწყვეტი (არსებითი ხასიათის) მტკიცებულება, რომელიც შუქს ფენს დანაშაულის ჩადენას კონკრეტული პირის მიერ და ამტკიცებს საქმეზე არსებითი ხასიათის გარემოებას (მტკიცების საგანს ან მის რომელიმე ელემენტს).

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების შედეგად უკვე დადგენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, მაგრამ პირი იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას, გამომძიებელს შეუძლია ერთდროულად წარუდგინოს მას ყველა მტკიცებულება. ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება უბიძგებს პირს მისცეს სწორი ჩვენება, რადგან იგი მიდის დასკვნამდე, რომ საქმეზე უკვე დადგენილია ჭეშმარიტება მიუხედავად მისი ცრუ ჩვენებისა.

დადებითი შედეგების მიღება შეიძლება აგრეთვე მტკიცებულებათა დემონსტრაციისა და გამოქვეყნების დროს. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენების შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა წარუდგინოს პირს, რომელიც იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას, ცალკეული ნივთიერი მტკიცებულებანი (მაგალითად, დასაკითხი პირის ბინიდან ამოღებული დანა, შემთხვევის ადგილზე მის მიერ დატოვებული ფეხის კვალი, ნაქურდალი ფასეულობა და ნივთები, ამოღებული დასაკითხი პირის ბინის გაჩხრეკის შედეგად და ა.შ.). თუ გამომძიებელი ახდენს ცალკეულ მტკიცებულებათა და ჩვენებების გამოქვეყნებას მან უნდა წაიკითხოს ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ამხელს პირს შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემაში.[1]

ასევე დადებითი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს მაგნიტოფონის ფირზე ფიქსირებული ჩვენებისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა ინფორ-

---

[1] Соловьев А.Б., Использование доказательств при допросе, М., 1981

მაციის რეპროდუქციას, კინო 'და ვიდეო ფირების დემონსტრაციას. ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება შეგნებულად ცრუ ჩვენების მიმცემ პირს არწმუნებს იმაში, რომ მის მიერ მიცემულ ცრუ ჩვენებას არა აქვს არავითარი აზრი, რადგან ყველა ფაქტი და გარემოება სრულად და ობიექტურად არის ასახული ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგად.

კონკრეტული ტაქტიკური ხერხის გამოყენება და მისი ეფექტურობა მჭიდრო კავშირშია საქმის მასალების გულდასმით შესწავლასთან, დასაკითხი პიროვნების გარკვევასთან, მის მიერ მიცემული ჩვენების კრიტიკულ ანალიზზე. იმისათვის, რომ დავადგინოთ ცრუ ჩვენების მიღების ფაქტი, აუცილებელია ამ ჩვენების დეტალური შესწავლა, მასში წინააღმდეგობათა დადგენა, მისი შეფასება სხვა მასალათა ერთობლიობაში. ასეთი კრიტიკული შეფასების საფუძველზე გამომძიებელი განსაზღვრავს დასაკითხი პირისადმი მისაცემ შეკითხვებს, მათ თანმიმდევრობას, მტკიცებულებათა წარდგენისა და დემონსტრაციის ხერხს და სხვა ტაქტიკურ საშუალებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწორი და სრული ჩვენების მიღებას პირის განმეორებითი დაკითხვის დროს.

სწორი და სრული ჩვენების მიღების ერთ-ერთ ტაქტიკურ ხერხს მიეკუთვნება მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის ფირზე ჩვენებათა ფიქსაცია, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ჩვენების ობიექტური და სრულყოფილი ფიქსაცია, აღვბეჭდოთ ჩვენების მიცემის ვითარება და ხმის ინტონაცია.

მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის გამოყენება ჩვენებათა ფიქსაციის მიზნით, კანონის ძალით, არც ერთ შემთხვევაში არ არის სავალდებულო, იგი არის ტაქტიკური ხერხი და მას გამოიყენებს გამომძიებელი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. პრაქტიკამ გამოიმუშავა ის შემთხვევები, როდესაც ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენებას შეუძლია ჰქონდეს დადებითი მნიშვნელობა. ძირითად მათგანს მიეკუთვნება ის შემთხვევები: როდესაც ჩვენებას აქვს საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა; როდესაც საჭიროა აღიბეჭდოს მცირეწლოვანის ან არასრულწლოვანის ჩვენების ინტონაცია; როდესაც საჭიროა ჩვენების მიღება მძიმე ავადმყოფისაგან, მომაკვდავისაგან; როდესაც დაკითხვაში მონაწილეობს თარჯიმანი; როდესაც არსებობს რეალური ეჭვი, რომ დასაკითხავ პირზე შეიძლება ზეგავლენა მიახდინონ სხვა პირებმა და შეაცვლევინონ მას ჩვენება; როდესაც

არსებობს რეალური ვარაუდი, რომ დაკითხული პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოში; როდესაც ბრალდებულს შეიძლება შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა; როდესაც ჩვენების მიღება ხდება ცალკეული დავალების შესრულებით; როდესაც დაკითხული უნდა იყოს პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლია სრულად განახორციელოს დაცვის უფლება.

მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის ფირზე ჩვენებათა ფიქსაცია შეიძლება სხვა შემთხვევებშიც, თუ ამას ტაქტიკური თვალსაზრისით საჭიროდ ჩათვლის გამომძიებელი.

§5 მოწმის და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურება

მოწმის და დაზარალებულის დაკითხვის დროს გათვალისწინებულ და გამოყენებულ უნდა იყოს ის ზოგადი ტაქტიკური ხერხები, რომელთა შესახებ ზემოთ აღინიშნა. კონკრეტული ტაქტიკური ხერხების გამოყენება ხდება საქმის ვითარების გათვალისწინებით, მოწმისა და დაზარალებულის პოზიციიდან გამომდინარე.

უკვე გამოცხადებული მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვამდე გამომძიებელი ატარებს მთელ რიგ ისეთ პროცესუალურ მოქმედებებს, რაც აუცილებელია კანონის თანახმად.

უპირველესად ყოვლისა მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვა ხდება ცალ-ცალკე და გამომძიებელი იღებს ზომებს, რომ ერთსა და იმავე საქმეზე დასაკითხი მიწმეები, თუ დაზარალებულები ერთმანეთს არ შეხვდნენ დაკითხვის დამთავრებამდე. ასეთი წესის დადგენა იმით არის განპირობებული, რომ გამორიცხულ იყოს დაკითხვამდე მოწმეთა (დაზარალებულთა) ურთიერთშეხვედრა და გარკვეული პოზიციის შემუშავება ან ერთმანეთზე დადებითი, თუ უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა.

გამომძიებელი არკვევს რა გამოცხადებული მოწმის (დაზარალებულის) პიროვნებას შესაბამისი საბუთების შემოწმების შედეგად (პასპორტი, პიროვნების დამადასტურებელი ცნობა) განუმარტავს დასაკითხ პირს უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთანავე აფრთხილებს მოწმეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდების და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რის შესახებაც აღინიშნება დაკითხვის ოქმში და დასტურდება მოწმის ხელის მოწერით.

კანონი აგრეთვე მოითხოვს, რომ დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა გაარკვიოს მოწმის დამოკიდებულება დაზარალებულთან, ბრალდებულთან, ეჭვმიტანილთან და სხვა საჭირო მონაცემები დასაკითხი პიროვნების შესახებ. საკითხის ასეთ გადაწყვეტას ის მნიშვნელობა აქვს, რომ გამომძიებელმა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით შეიმუშაოს დაკითხვის გარკვეული ტაქტიკური ხერხი. ბოლოს მოწმეს (დაზარალებულს) ეძლევა წინადადება მისცეს ჩვენება იმ ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ, რაც მისთვის არის ცნობილი და კავშირშია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 155-ე, 159-ე მუხლები).

დაკითხვის პროცესში მოწმეს და დაზარალებულს არ უნდა მიეცეს ისეთი კითხვები, რომლებიც მათ ამხელს დანაშაულის ჩადენაში. ასეთ კითხვებზე მოწმესა და დაზარალებულს უფლება აქვთ პასუხი არ გასცენ, რადგან პირი მოვალე არ არის ამხილოს თავის თავი დანაშაულის ჩადენაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ საქმეზე არის რამოდენიმე მოწმე ან დაზარალებული დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს დაკითხვის თანამიმდევრობის საკითხი. კრიმინალისტიკაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხის გათვალისწინებით პირველად უნდა იყოს დაკითხული ის მოწმე, რომელმაც იცის საქმის არსებითი გარემოება და, საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, დადგენილია, რომ იგი არის კეთილსინდისიერი მოწმე და მისგან მოსალოდნელია სწორი, სრული და ობიექტური ჩვენების მიღება. შედარებით ადრე უნდა დაიკითხოს ის მოწმე, რომელზედაც ბრალდებულს ან სხვა პირს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მასზე არასწორი ჩვენების მიცემის თვალსაზრისით. თანაბარ პირობებში სასურველია პირველად დაიკითხოს ის მოწმე (დაზარალებული), რომელიც იძლევა ჩვენებას ისეთ ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ, რომელთაც სინამდვილეში უფრო ადრე ჰქონდა ადგილი.

შედარებით ადვილია იმ მოწმის (დაზარალებულის) დაკითხვა, რომლისაგანაც მოსალოდნელია კეთილსინდისიერი ჩვენების მიღება. თავისუფალი თხრობის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მოწმეს შეიძლება მიეცეს დამაზუსტებელი, მოსაგონებელი და დამატებითი შეკითხვები გადავიწყე-

ბული ფაქტების აღდგენისა და ჩვენების შევსების მიზნით. ამავე მიზნით დაკითხვის შემდეგ მოწმეს (დაზარალებულს) შეიძლება წარედგინოს ცალკეული ნივთიერი მტკიცებულებანი, გაეცნოს მტკიცებულებებს და მოხდეს ფოტოსურათების, ფილმების, ჩაწერილი ხმის დემონსტრაცია.

შედარებით უფრო რთულია ისეთი მოწმის (დაზარალებულის) დაკითხვა, რომელიც იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას საქმის შედეგებით პირადი დაინტერესების გამო. ასეთ შემთხვევაში უნდა გაირკვეს შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემის მოტივი (მოწმეზე ზემოქმედების მოხდენის ფაქტი, ამხანაგური, მეგობრული და ნათესაური გრძნობა, ოჯახის წევრის დანაშაულებრივი ქმედობის დაფარვის სურვილი, შური, სამაგიეროს გადახდის სურვილი და ა.შ.).

შეგნებულად ცრუ ჩვენების მოტივის დადგენა შეიძლება არა მარტო საქმის მასალების დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, არამედ უშუალოდ მოწმის (დაზარალებულის) დაკითხვის პროცესშიც. ჩვენების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე გამომძიებელს შეუძლია დაადგინოს წინააღმდეგობანი მოწმის ჩვენებაში, ერთდაიგივე ფაქტის სხვადასხვაგვარი გაშუქება. ყოველივე ეს შეუძლია გამომძიებელმა გამოიყენოს სწორი ჩვენების მიღების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელს შეუძლია კიდევ ერთხელ შეახსენოს და განუმარტოს მოწმეს (დაზარალებულს) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

მოწმისაგან (დაზარალებულისაგან) სწორი ჩვენების მიღების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იყოს ისეთი ტაქტიკური ხერხი, როგორიცაა მტკიცებულებათა წარდგენა და დემონსტრაცია,[2] შემთხვევის ადგილზე გაყვანა, განმეორებითი დაკითხვა და დაპირისპირება.

თუ გამომძიებელი მივიდა დასკვნამდე, რომ არასრული ჩვენება ან უკვე მიცემული ჩვენება არ არის სარწმუნო იმის გამო, რომ დაკითხულმა პირმა (მოწმემ, დაზარალებულმა) სწორად ვერ აღითქვა, დაიმახსოვრა ან გადმოსცა ჩვენება მისი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, გამომძიებელი ვალდებულია დანიშნოს სასამართლო ფსიქიატრიული

---

[2]. მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ იხ. Соловьев А.Б., Использование доказательств при допросе, М., 1981

ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზა იმ მიზნით, რომ გადაწყდეს საკითხი აქვთ თუ არა მოწმესა და დაზარალებულს უნარი სწორად აღითქვან გარემოებანი და მისცენ მათ შესახებ სწორი ჩვენება (იხ. სსს კოდექსის 71-ე მუხლი).[3]

დაზარალებულის დაკითხვის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული მისი პროცესუალური მდგომარეობა (სსს კოდექსის 47-ე მუხლი) და ის, რომ მან დანაშაულის ჩადენის შედეგად მიიღო ზიანი (ფიზიკური, მატერიალური, მორალური), ამიტომ იგი არის საქმის შედეგებით დაინტერესებული პირი. ამ საფუძვლით დაზარალებული, ზოგ შემთხვევაში, იძლევა არაობიექტურ ჩვენებას, აზვიადებს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და ფაქტებს, ამბობს იმის შესახებ, რასაც სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ, ზოგ შემთხვევაში, დაზარალებული უარყოფს დანაშაულის ჩადენის ფაქტს, კონკრეტული პირის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს დაზარალებულის დაშინება და მასზე ზემოქმედების მოხდენა ბრალდებულის, მისი ნათესავებისა და მეგობრების მხრივ. ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი არა მარტო დაზარალებულის, არამედ მისი ოჯახის წევრების მიმართაც. აღნიშნულ შემთხვევაში გამომძიებელი იღებს ზომებს, რომ დაზარალებული დაიკითხოს სწრაფად და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს ზომებს დაზარალებულის, მისი ოჯახის წევრებისა და ქონების დასაცავად. აღნიშნული ვალდებულება კანონით აკისრია გამომძიებელს.

§6 ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურება

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისათვის დადგენილია ერთიდაიგივე პროცესუალური წესი, იმ განსხვავებით, რომ ეჭვმიტანილი პირველად იკითხება მისი დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა, ხოლო ბრალდებული დაუყოვნებლივ — ბრალდების წაყენების შემდეგ(თუ ბრალდებულის დაკითხვა დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდა, ასეთი დაყოვნების მიზეზების შესახებ უნდა შედგეს ოქმი.

---

[3]. Метелина Ю.Л., Судебно-психиатрическая экспертиза потерпевших, М.,1990, с.89-124

ეჭვმიტანილი და ბრალდებული უნდა დაიკითხოს დღისით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც დაკითხვის დაყოვნება შეუძლებელია კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. ბრალდებულები (ეჭვმიტანილი) უნდა დაიკითხონ ცალ-ცალკე. ამასთან გამომძიებელი იღებს ზომებს, რათა ბრალდებულებს ერთსა და იმავე საქმეზე არ ჰქონდეთ შეხვედრის საშუალება. დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) განემარტება უფლებები, გამომძიებელი მას შეეკითხება ცნობს თუ არა იგი თავს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და მიეცემა წინადადება მისცეს ჩვენება ბრალდების (ეჭვის) არსის შესახებ (იხ.საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 123-ე, 146-ე, 147-ე მუხლები).

ბრალდებულების დაკითხვამდე უნდა იყოს გადაწყვეტილი საკითხი მათი დაკითხვის თანმიმდევრობის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სწორი ჩვენების მიღებაა მოსალოდნელი, რა როლს ასრულებდა დანაშაულის ჩადენაში თითოეული ბრალდებული. შედარებით ადრე უნდა დაიკითხოს ის ბრალდებული, რომლისგანაც მოსალოდნელია სწორი და სრული ჩვენების მიღება; ვინც დანაშაულის ჩადენაში ასრულებდა მეორეხარისხოვან როლს. თანაბარ შემთხვევაში ის, ვინც იძლევა ჩვენებას ისეთ გარემოებათა და ფაქტების შესახებ, რომელთაც უფრო ადრე ჰქონდათ ადგილი.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პოზიცია უკავია დასაკითხ პირს; აღიარებს თუ არა იგი ჩადენილ დანაშაულს და იძლევა სწორ ჩვენებას; იძლევა სწორ ჩვენებას, მაგრამ გადაავიწყდა ცალკეული ფაქტები; საერთოდ არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული (ეჭვმიტანილი) გულწრფელად აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას ან გამოცხადდება ბრალის აღიარებით ასეთი ქმედება განიხილება, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, მაგრამ ასეთი აღიარება არის რიგითი მტკიცებულება, მას არ შეიძლება მიენიჭოს არავითარი ფორმალური უპირატესობა საქმეზე მოპოვებულ სხვა მტკიცებულებათა შორის. ასეთი აღიარება (ჩვენების მიცემა) უნდა დადასტურდეს საქმეზე მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებით.

სწორი და სრული ჩვენების მიღების შემთხვევაში გამომძიებელი აძლევს დაკითხულ ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) შეკითხვებს ჩვენების დამატების და დაზუსტების მიზნით.

გაცილებით უფრო რთულია ტაქტიკური ხერხების შერჩევა და გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული (ეჭვმიტანილი) საერთოდ არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას. ასეთ შემთხვევაში თავიდანვე გამოყენებულ უნდა იყოს დარწმუნების მეთოდი: განემარტოს დასაკითხავ პირს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მნიშვნელობა; რომ მის მიერ გულწრფელი ჩვენების მიცემა და ბრალის აღიარება წარმოადგენს ერთ-ერთ შემამსუბუქებელ გარემოებას; დამყარდეს მასთან ნორმალური ფსიქოლოგიური კონტაქტი და წახალისდეს დადებითი ემოციები.

გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცრუ ჩვენების მიცემის დროს ბრალდებული (ეჭვმიტანილი), როგორც წესი, სქემატურად აშუქებს ფაქტებსა და მოვლენებს, თავს არიდებს წვრილმანების გაშუქებას, რადგან ისინი უფრო ძნელად დასამახსოვრებელია ან მიუთითებს ისეთი ფაქტების არსებობის თაობაზე, რომელთა არსებობის სისწორის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნას სწორი ჩვენება გამომძიებელმა უპირველესად ყოვლისა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს საქმის მასალები და დასაკითხის პიროვნება, დაადგინოს მოტივი, რაც უბიძგებს ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის.

საქმის მასალების ანალიზი და თვით მიცემული ჩვენების გულდასმით შესწავლა, ბევრ შემთხვევაში, საშუალებას იძლევა დადგინდეს წინააღმდეგობანი ჩვენებაში, რომელთა აღმოფხვრისა და ახსნის მიზნით ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) მიეცემა საკონტროლო, დაზუსტებული, მოსაგონებელი და დამატებითი შეკითხვები.

სწორი ჩვენების მიღების მიზნით დაკითხულ პირს წარედგინება სხვა პირთა ჩვენებები (მოწმე, დაზარალებული, სხვა ბრალდებული), ექსპერტის დასკვნა, ნივთიერმტკიცებულება. კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით მტკიცებულებათა წარდგენა ხდება მათი სიძლიერის გათვალისწინებით, გადამწყვეტი და დიდი მნიშვნელობის მქონე ერთი მტკიცებულების წარდგენით ან ყველასი ერთდროულად. ასევე ხდება ისეთი მტკიცებულებათა

დემონსტრაცია, კინო და ვიდეოგადაღებათა ჩვენება და მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ინფორმაციის მოსმენა, რომელთა მიხედვითაც ბრალდებული (ექვმიტანილი) მხილებულია დანაშაულის ჩადენაში.

სწორი ჩვენების მიღების მიზნით ასევე გამოიყენება ბრალდებულის (ექვმიტანილის) განმეორებითი დაკითხვა საქმეზე ახლად დადგენილ ფაქტების შესაბამისად, ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე გაყვანა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, დაპირისპირება. ასეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენებით, ბევრ შემთხვევაში, ბრალდებული (ექვმიტანილი) რწმუნდება, რომ საქმეზე უკვე დადგენილია დანაშაულის ყველა გარემოება, რომ იგი მხილებულია დანაშაულის ჩადენაში და ასეთ ვითარებაში აზრი არა აქვს ცრუ ჩვენების მიცემას.

გამომძიებლის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დაკითხვის ისეთი შედეგები როგორიცაა თვითგანთქმა, განთქმა და ალიბის წამოყენება. თვითგანთქმის დროს გარკვეულ უნდა იყოს ასეთი ცრუ ჩვენების მიცემის მიზეზი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ბრალდებული (ექვმიტანილი) თავისთავზე იღებს ისეთ დანაშაულს, რომელიც მას არ ჩაუდენია; იმის გამო, რომ: დაფაროს მის მიერ ჩადენილი უფრო მძიმე დანაშაული და გამოძიება წარმართოს არასწორი გზით; იხსნას პასუხისმგებლობიდან მისი ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი; თავი აარიდოს სამხედრო სამსახურში გაწვევას და ა.შ.

განთქმა არის სხვა პირის დანაშაულის ჩადენაში ყალბად მხილება, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იყოს პირადი პასუხისმგებლობის თავიდან აცდენის მიზნით, შურისძიების ნიადაგზე ან სხვა ქვენაგრძნობის საფუძველზე. თვითგანთქმისა და განთქმის დროს გამოიყენება ის ტაქტიკური ხერხები, რომელთა მეშვეობითაც ხდება შეგნებულად ცრუ ჩვენების მხილება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ალიბის სისწორის დადგენის ტაქტიკური ხერხების გამოყენება. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ბრალდებულის (ექვმიტანილის) ზედმიწევნით დაწვრილებითი დაკითხვა ალიბის ფაქტთან დაკავშირებით. ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი წვრილმანების დადგენასა და მათი დაკითხვის ოქმში ასახვას, რომელთა შესახებ, პრაქტიკულად, არ შეეძლოთ შეთანხმება ბრალდებულს (ექვმიტანილს) და სხვა პირს. მეორე ტაქტიკური ხერხი ალიბის სისწორის შემოწმებისა იმაში

გამოიხატება, რომ ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) არ უნდა მიეცეს საშუალება ურთიერთობა დაამყაროს იმ პირთან, ვისთანაც თითქოს იგი იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის დროს და ეს პირი უნდა დაიკითხოს ასევე ზედმიწევნით დაწვრილებით. პრაქტიკა მოწმობს, რომ ალიბის შემთხვევაში პირები შეთანხმდებიან ძირითად საკითხებში და ყურადღებას არ აქცევენ წვრილმანებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა ეჭვმიტანილის დაკითხვის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მას ჯერ კიდევ სრულად არა აქვს ჩამოყალიბებული თავის პოზიცია დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ მან არ იცის, თუ რა ფაქტები და გარემოებანი უკვე არის დადგენილი გამოძიებით. სწორედ ამიტომ ეჭვმიტანილის დაკითხვა უნდა მოხდეს სწრაფად და ოპერატიულად. საეჭვებულო არ არის, რომ მისი დაკითხვა ვაწარმოოთ დაკავებიდან ოცდაოთხი საათის მიწურულს. რაც უფრო ადრე დაიკითხება ეჭვმიტანილი მით უფრო სწორი და სრული ჩვენების მიღებაა მოსალოდნელი.

§7 დაკითხვის ტაქტიკური ხერხები დაპირისპირების დროს

დაპირისპირება არის ორი პირის ერთდროული დაკითხვა, როდესაც ადრე მიცემულ ჩვენებათა შორის არის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა. დაპირისპირების მიზანია, რომ ორი პირის დაკითხვის შედეგად დაძლეულ იყოს წინააღმდეგობა ადრე მოცემულ ჩვენებათა შორის, საქმეზე დადგინდეს სინამდვილე და ჭეშმარიტება. დაპირისპირების დროს ძირითადად გამოიყენება იგივე ტაქტიკური ხერხები, რაც დაკითხვის დროს.

დაპირისპირების პროცესუალურ წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 160-ე—161-ე მუხლები. კანონის ძალით დაპირისპირება შეიძლება ჩატარდეს ბრალდებულს, ეჭვმიტანილს, მოწმესა და დაზარალებულს შორის იმ შემთხვევაში, თუ მათი ადრე დაკითხვის დროს დადგენილ იყო ერთიდაიმავე ფაქტზე არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა. დაპირისპირებაში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ ორი პირი. თუ ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობს მოწმე ან დაზარალებული, ისინი ფრთხილდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის. დაპირისპირების დაწყებამდე გამომძიებელი არკვევს, თუ რა ურთიერთდა-

მოკიდებულება აქვს დასაკითხ პირებს, უმარტავს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს და რიგრიგობით აძლევს წინადადებას მისცენ ჩვენებები იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა გამოსაკვლევადაც ეწყობა დაპირისპირება. დაპირისპირების შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია მისცეს მათ შეკითხვები. გამომძიებლის ნებართვით დაპირისპირებაში მონაწილე პირებს უფლება აქვთ შეკითხვები მისცენ ერთმანეთს. ჩვენებათა ოქმში შეტანის შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია წარუდგინოს დაპირისპირებაში მონაწილე პირებს მათ მიერ ადრე მიცემული ჩვენებები, სხვა მტკიცებულებანი, აგრეთვე მოახდინოს მაგნიტოფონის და ვიდეომაგნიტოფონის ფირზე ფიქსირებული ჩვენებების რეპროდუქცია. დაპირისპირებაში მონაწილე პირი ხელს აწერს მხოლოდ მის მიერ მიცემულ ჩვენებას.

დაპირისპირება კანონით არ არის სავალდებულო. იგი არის წინააღმდეგობის დაძლევის და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი ტაქტიკური ხერხი. თუ გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ ჩვენებათა შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობათა გაქარწყლება შეიძლება სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით მას შეუძლია არ ჩაატაროს დაპირისპირება. ასევე მიზანშეუწონელია ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ ცნობილია, რომ დაპირისპირება არ მოგვცემს არავითარ შედეგს. დაპირისპირება ასევე არ უნდა ჩატარდეს, თუ ჩვენებათა შორის არ არსებობს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა.

დაპირისპირების ჩატარება ყველა შემთხვევაში წინასწარ უნდა მომზადდეს საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე. ჩვენებებში წინააღმდეგობათა გულდასმით ანალიზის შედეგად უნდა განისაზღვროს დაპირისპირების ჩატარების დრო, ადგილი და იმ პირთა წრე, ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში (პროკურორი, დამცველი, თარჯიმანი, სპეციალისტი). გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები, რომ დაპირისპირებამდე მასში მონაწილე პირებმა არ დაამყარონ ურთიერთობა ჩვენებათა არასწორი მიცემის მიზნით, უარყოფითი ზეგავლენა არ მიახდინონ ერთმანეთზე დაშინების, ფიზიკური ძალადობის, მუქარის და შანტაჟის გზით.

სისხლის სამართლის მასალების გაცნობის შედეგად ასევე უნდა დადგინდეს მონაცემები პიროვნებათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ჩვენების მიცემაზე. ასევე წინასწარ უნდა განი-

საზღვროს ის კითხვები, რომლებიც უნდა მიეცეს დაპირისპირებაში მონაწილე პირებს, მათი მიცემის თანმიმდევრობა და ვის უნდა მიეცეს პირველად შეკითხვა. დაპირისპირებამდე შესაძლებელია მასში მონაწილე პირების განმეორებით დაკითხვა საჭირო მონაცემების დაზუსტების მიზნით.

ვინაიდან დაპირისპირება, როგორც წესი, ტარდება კონფლიქტურ სიტუაციაში (ჩვენებათა შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობის დროს) გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს მოთმინება, სიდინჯე, ობიექტურობა და დაამყაროს დასაკითხ პირებთან სასურველი ფსიქოლოგიური კონტაქტი.

ტაქტიკური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს საკითხის განსაზღვრას, თუ ვის უნდა მიეცეს პირველი შეკითხვა. ტაქტიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ პირველი შეკითხვა მიეცეს დაპირისპირებაში მონაწილე იმ პირს, ვისი ჩვენებაც უფრო სარწმუნო და სწორია; პირს, ვისი ჩვენებაც დასტურდება საქმეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებებით; პირს, რომელიც იძლევა დაწვრილებით ჩვენებას, აშუქებს საკითხს დადებითად და ამხელს სხვას დანაშაულის ჩადენაში.

დაპირისპირების დროს გამომძიებელმა ყურადღებით უნდა მოუსმინოს პასუხებს, თვალყური ადევნოს დაკითხვაში მონაწილე პირებს, რომ ადგილი არ ჰქონდეს მუქარას, შეშინებას და წინასწარ შეთანხმებული პასუხების მიცემას. ყველა ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაპირისპირება

დაპირისპირების პროცესში შეიძლება გამოიკვეთოს ორი ძირითადი სიტუაცია: როდესაც პირი იძლევა სწორ ჩვენებას და როდესაც პირი იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას. შესაძლებელია აგრეთვე ისეთი სიტუაცია, როდესაც დაპირისპირებაში მონაწილე ორივე პირი იძლევა სწორ ჩვენებას ან შეგნებულად ცრუ ჩვენებას, ანდა ერთ-ერთი მათგანი იძლევა სწორ ჩვენებას, მეორე კი შეგნებულად ცრუ ჩვენებას. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე გამოიყენება ტაქტიკური ხერხებიც. სწორი ჩვენების მიცემის შემთხვევაში, თუ პირს გადაავიწყდა ცალკეული ფაქტები ან არასწორად გააშუქა ისინი შეიძლება მიეცეს დამატებითი, დამაზუსტებელი და მოსაგონებელი შეკითხვები. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს კიდეც სხვა მტკიცებულებაც. შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში პირს განემარტება ვალდებულება მისცეს სწორი ჩვენება (მოწმე, დაზარალებული), საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მნიშვნელობა,

მას ეცნობება, რომ საქმეზე მოპოვებულია საკმარისი მტკიცებულებები ბრალმარიტების დასადგენად და, საჭიროების შემთხვევაში წარედგინება კონკრეტული მტკიცებულებანი, ხდება ნივთიერმტკიცების ილუსტრაცია, მაგნიტოფონის და ვიდეომაგნიტოფონის ფირის დემონსტრაცია.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაპირისპირებაში მონაწილე პირი ცვლიადრე მიცემულ ჩვენებას გარკვეულ უნდა იქნეს ჩვენების შეცვლის მიზეზის გამოც პირი შეიძლება განმეორებით დაიკითხოს დაპირისპირების დამთავრების შემდეგ.

§8 დაკითხვის სხვა სახეების ტაქტიკური თავისებურებანი

არასრულწლოვანთა, ფსიქიკურ და ფიზიკურ ნაკლოვანების მქონე პირთა, მორწმუნეთა, ექსპერტის დაკითხვას და სასამართლოში პირთა დაკითხვას ახასიათებს გარკვეული ტაქტიკური და პროცესუალური თავისებურებანი, რაც გათვალისწინებულ უნდა იყოს დაკითხვის დროს.

<u>არასრულწლოვანთა დაკითხვა.</u> არასრულწლოვანთა (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის) დაკითხვისათვის დადგენილია განსაკუთრებული პროცესუალური წესი, რომელიც გამოიხატება შემდეგში. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვას 18 წლის ასაკამდე აუცილებლად უნდა დესწროს სპეციალისტი. მათი დაკითხვა ხდება დამცველის აუცილებელი მონაწილეობით. დაკითხვას შეიძლება დესწროს მშობელი და კანონიერი წარმომადგენელი.[4] არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვას 14 წლის ასაკამდე აუცილებლად ესწრება სპეციალისტი, ხოლო 14-დან 18 წლის ასაკამდე სპეციალისტი ესწრება გამომძიებლის შეხედულებით. მათ დაკითხვას შეიძლება დესწროს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. 16 წლის ასაკამდე არასრულწლოვანი მოწმე და დაზარალებული არ ფრთხილდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისათვის და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის. მათ მხოლოდ განემარტებათ ვალდებულება მისცენ სწორი ჩვენება.

---

[4]. Сафин Н.Ш., Допрос несовершеннолетнего подозреваемого в советском уголовном процессе, Казань, 1990

არასრულწლოვანთა გამოძახება დასაკითხავად 16 წლის ასაკამდე წარმოებს, როგორც წესი, მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

არასრულწლოვანთა დაკითხვა საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და დაკითხვის გულდასმით მომზადებას. გამომძიებელი ვადლებულია დეტალურად გააანალიზოს საქმის მასალები, შეისწავლოს ყოველივე ის, რასაც კავშირი აქვს საქმესთან და ეხება დასაკითხი არასრულწლოვანის პიროვნებას (მისი ასაზრდის პირობები, სწავლისადმი ან შრომისადმი დამოკიდებულება, ამხანაგების წრე, არასრულწლოვანის გატაცება სპორტით, აზარტული თამაშობებით, ნარკოტიკული საშუალებების მიღებით და ა.შ.). საჭიროების შემთხვევაში გამოთხოვილ უნდა იყოს მასალები პოლიციის ბავშვთა ოთახიდან, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიიდან, სწავლისა და სამსახურის ადგილიდან. ყოველივე აღნიშნული საშუალებას იძლევა არასრულწლოვანთა დაკითხვა ვაწარმოოთ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით და სწორად შეირჩეს დაკითხვის ტაქტიკური ხერხები.

არასრულწლოვანის დაკითხვის მომზადების პრიცესში უნდა გაირკვესა და გადაწყდეს საკითხი დაკითხვის მიზნის და ამოცანის შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე თუ რა საკითხების ირგვლივ უნდა დაიკითხოს არასრულწლოვანი, რა შეკითხვები უნდა მიეცეს მას და რა თანმიმდევრობით უნდა მიეცეს შეკითხვები. გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე არასრულწლოვანის დაკითხვის დროისა და ადგილის სწორად განსაზღვრას. ყველა შემთხვევაში არასრულწლოვანი უნდა დაიკითხოს დღისით, მისი ღამით დაკითხვა პრაქტიკულად უნდა იყოს გამორიცხული. მეტად სასურველია, რომ არასრულწლოვანი და განსაკუთრებით მცირეწლოვანი დაიკითხოს მისთვის ჩვეულებრივ პირობებში: საცხოვრებელ ადგილზე, სკოლაში, სასწავლებელში ან სამუშაო ადგილზე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წარმოადგენს სწორი და სრული ჩვენების მიღების ერთ-ერთ ტაქტიკურ ხერხს. ყველა შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები, რომ დაკითხვა ჩატარდეს ნორმალურ პირობებში და ვითარებაში.

არასრულწლოვანის დაკითხვის მომზადება გულისხმობს აგრეთვე იმ პირთა წრის განსაზღვრას, ვინც უნდა დაესწროს დაკითხვას. დაკითხვას აუცილებლად უნდა დაესწროს სპეციალისტი — პედაგოგი, ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვას — დამცველი. საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ

უნდა იყოს თარჯიმანი, მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. არასრულწლოვანის დაკითხვას შეიძლება დაესწროს პროკურორი როგორც თავისი ინიციატივით, ისე გამომძიებლის თხოვნით ან თვით არასრულწლოვანის შუამდგომლობის საფუძველზე.

კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა დაიკითხოს არასრულწლოვანი, რა მტკიცებულებათა წარდგენა და დემონსტრაცია უნდა მოხდეს დაკითხვის პროცესში. ამავე დროს უნდა გადაწყდეს საკითხი ხომ არ იქნება საჭირო არასრულწლოვანის ჩვენების ფიქსაცია მაგნიტოფონის ან ვიდეომაგნიტოფონის ფირზე და საჭიროების შემთხვევაში, მომზადდეს სათანადო ტექნიკური საშუალებები. არასრულწლოვანის დაკითხვის მომზადება გულისხმობს აგრეთვე დაკითხვის დაწვრილებითი გეგმის შედგენას.

არასრულწლოვანის დაკითხვის დაწყებამდე ტაქტიკურად გამართლებულია, რომ გამომძიებელმა დადებითად განაწყოს არასრულწლოვანი, მოექცეს მას ზედმიწევნით თავაზიანად, დაამყაროს მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტი, წაახალისოს არასრულწლოვანის დადებითი ემოციები, დაკითხვის აწყებამდე გაესაუბროს მას განყენებულ საკითხებზე, რაც აინტერესებს რასრულწლოვანს (სპორტი, სწავლა, ხატვა და ა.შ.).

არასრულწლოვანის დაკითხვის პროცესში შესაძლებელია საქმე გვქონდეს ისეთ სიტუაციასთან, როდესაც არასრულწლოვანი არ იძლევა ჩვენებას, იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას, იძლევა სწორ და სრულ ჩვენებას ან იძლევა ჩვენებას, მაგრამ ყოველგვარი განზრახვის გარეშე არასრულად და არაზუსტად აშუქებს ფაქტებსა და გარემოებებს. ტაქტიკური ხერხების გამოყენება მჭიდრო და უშუალო კავშირშია არასრულწლოვანის პოზიციასთან.

დაკითხვის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იყოს არასრულწლოვანის და განსაკუთრებით მცირეწლოვანის ფსიქიკის თავისებურება, მოვლენებისა და ფაქტების აღთქმის, დამახსოვრების და ჩვენების მიცემის პირობები. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ არასრულწლოვანი ზოგჯერ სწორად ვერ აფასებს მოვლენებს და ფაქტებს, არასრულად აღითქვამს მათ; რომ არასრულწლოვანს ახასიათებს ფანტაზიისადმი მიდრეკილება, ლოგიკური აზროვნების შეზღუდულობა; რომ არას-

რულწლოვანი შედარებით ადვილად ექცევა ზეგავლენისა და სხვა პირის ზემოქმედების ქვეშ.

იმის გამო, რომ არასრულწლოვანი თავისუფალი თხრობის დროს ხშირად არ აშუქებს მოვლენებს და ფაქტებს სრულად და ყოველმხრივად, ძირითადად ამბობს იმას, რამაც მასზე მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება, მის დაკითხვის ძირითად ფორმას წარმოადგენს დაკითხვა კითხვა-პასუხების საფუძველზე. დაკითხვის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანის პასუხების ფორმას: საუბრის თავისებურებას და ინტონაციას, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ არასრულწლოვანის პასუხის სიღრმეს და სისწორეს.

შედარებით იოლია კეთილსინდისიერი არასრულწლოვანის დაკითხვა, რადგან იგი იძლევა სწორ ჩვენებას და, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენების შევსება შეიძლება მოფიქრებული კითხვების მიცემის საფუძველზე.

თუ არასრულწლოვანი საერთოდ არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას უნდა გაირკვეს ამის მიზეზი. კერძოდ უნდა დადგინდეს ხომ არ იძლევა არასრულწლოვანი ცრუ ჩვენებას სხვისი დაფარვის ან მეგობრული გრძნობით; ხომ არ ჰქონდა ადგილი მის იძულებას, მასზე ზეგავლენის მოხდენას, მუქარას, ძალადობის გამოყენებით როგორც მის მიმართ, ასევე მშობლებისა და ახლო ნათესავების მიმართ. ზოგ შემთხვევაში თვით არასრულწლოვანის მშობლები აიძულებენ მას მისცეს შეგნებულად ცრუ ჩვენება. ასეთ შემთხვევაში ძირითად ტაქტიკურ ხერხს მიეკუთვნება არასრულწლოვანის დარწმუნება მისცეს სწორი ჩვენება, მისი დაპირისპირება იმ პირისადმი, რომლებიც იძლევიან სწორ ჩვენებას, არასრულწლოვანის გაყვანა შემთხვევის ადგილზე, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, მტკიცებულებათა წარდგენა და დემონსტრაცია. არასრულწლოვანის ჩვენება მოითხოვს განსაკუთრებულ კრიტიკულ შეფასებას.

<u>ფიზიკურ და ფსიქიკურ ნაკლოვანების მქონე პირთა დაკითხვის თავისებურება.</u> ასეთ პირთა დაკითხვის ტაქტიკურ ხერხების შემუშავებას და მათ თავისებურების გარკვევას კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ექცევა არასათანადო ყურადღება მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათად ხდება ფიზიკურ და ფსიქიკურ ნაკლოვანების მქონე პირთა დაკითხვა როგორც ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის, ისე მოწმისა და დაზარალებულის სახით.

ფიზიკურ და ფსიქიკურ ნაკლოვანების მქონე პირთა დაკითხვის მომზადების პროცესში სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეკცეს იმ პირის შერჩევას (თარჯიმანი), ვინც კარგად იცის ყრუ-მუნჯის სალაპარაკო ნიშნები და შეუძლია სწორად და ნათლად ჩამოაყალიბოს დასაკითხ პირთა ჩვენება. ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს, რომ აღნიშნულ პირთა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული) დაკითხვას უნდა დაესწროს დამცველი. ფსიქიკურად დაავადებულ პირთა დაკითხვა შეიძლება მოხდეს მკურნალი ექიმის თანხმობით და მათ დაკითხვას უნდა დაესწროს ექიმი-სპეციალისტი. ამ საკითხის გადაწყვეტაც უნდა მოხდეს დაკითხვის მომზადების დროს.

ტაქტიკური თვალსაზრისით ფიზიკურ და ფსიქიკურ ნაკლოვანების მქონე პირთა დაკითხვა, როგორც წესი, უმჯობესია მოხდეს გამოძიების ადგილზე, რადგან ასეთ ვითარებაში დაკითხვა მათ უმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას და უფრო მობილიზებულს ხდის მათ. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დაკითხვის დროს ოთახში არ უნდა იყოს ისეთი საგნები (დამტვრეული ნივთები, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი), რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს დასაკითხ პირის ფსიქიკაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაკითხ პირთან ნორმალურ ფსიქოლოგიურ კონტაქტის დამყარებას, რადგან ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირები, როგორც წესი, არ ენდობიან და ეჭვის თვალით უყურებენ გამომძიებელს. ისინი ხშირად ცდილობენ ყოველივე უარყონ და თავიდან აიცილონ ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ დასაკითხ პირს (მოწმეს ან დაზარალებულს) არ შეეძლოთ სწორად აღეთქვათ ფაქტები და გარემოებანი, დაემახსოვრებინათ ისინი და სწორად გადმოეცათ ყოველივე ნახული, გამომძიებელი ამ საკითხის დადგენის მიზნით ნიშნავს სასამართლო ფსიქოლოგიურ ან ფსიქიატრიულ ექსპერტიზას (სსს კოდექსის 71-ე მუხლი).

დაკითხვის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ყრუ-მუნჯს კარგად აქვს განვითარებული მხედველობა და დაკვირვების უნარი, რომ გონებასუსტები იძლევიან არასრულ ჩვენებას, მათ ავიწყდებათ აღთქმული მოვლენები და ფაქტები, მათი ჩვენება არის ძალზე ელემენტა-

რული. ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს ისიც, რომ აღნიშნული პირები ადვილად ექცევიან ზეგავლენის ქვეშ და მათზე ადვილად შეიძლება შთაგონების მოხდენა. ასეთ შემთხვევაში ისინი თავის თავზე იღებენ იმას, რაც არ გაუკეთებიათ და იძლევიან არასწორ ჩვენებას.

თუ დასაკითხი პირი კარგად აზროვნებს და განვითარებული პიროვნებაა უმჯობესია თავისი ხელით დაწეროს ჩვენება (განსაკუთრებით ეს ეხება ყრუ-მუნჯებს). ამ პირთა დაკითხვის ტაქტიკურ ხერხს განეკუთვნება მათი დაკითხვა კითხვა-პასუხების საფუძველზე (თავისუფალი თხრობის შემდეგ), მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ყოველი მიცემული კითხვა იყოს მარტივი. საჭიროების შემთხვევაში, იგი განმეორდეს და ჩამოყალიბდეს დასაკითხი პირისათვის გასაგებად. თუ გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ დასაკითხი პირი იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას გამოიყენება ისეთი ტაქტიკური ხერხები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული (მტკიცებულებათა წარდგენა და დემონსტრაცია, ჩვენებაში წინააღმდეგობათა დაძლევა, დაპირისპირება და ა.შ.).[5]

<u>მორწმუნეთა დაკითხვის ტაქტიკის თავისებურებათა შესახებ.</u> კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პრაქტიკულად არ არის დამუშავებული ტაქტიკური ხერხები და მათი გამოყენების თავისებურებანი მორწმუნე პირთა დაკითხვის დროს.[6] თანამედროვე პირობებში, როდესაც მორწმუნე პირებთან და ეკლესიის მსახურებთან მყარდება მჭიდრო და საქმიანი კავშირი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მორწმუნე პირები გამოდიან დაზარალებულად, მოწმეებად ან იდენენ დანაშაულს.

მორწმუნე პირთა დაკითხვის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სხვადასხვა რელიგიას (ქრისტიანულს, მუსულმანურს, ბუდისტურს) ზოგჯერ საფუძვლად უდევს ისეთი დებულებები, რომლებიც აღიარებულია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად და ამ დადგენილ დებულებას ვერ გადაუხვევს და ვერ უღალატებს მორწმუნე პირი. სწორედ ამიტომ დაკითხვის მომზადების პროცესში გამომძიებელი უნდა გაეცნოს აღნიშნული ხასიათის დებულებებს,

---

[5]. Щерба С.П., Расследование и судебное разбирательство по делам лиц, страдающими физическими и психическими недостатками, М., 1975

[6]. Комиссаров В., Нетрадиционные пути в методике расследования, "Социалистическая законность", 1990, N7, с.23-24.

მათი გათვალისწინებით აწარმოოს დაკითხვა და ჩვენების კრიტიკული შეფასება.

ზოგ შემთხვევაში მორწმუნეს ეკრძალება ამხილოს იმავე რელიგიის სხვა მორწმუნე პირი და მისცეს მისი საწინააღმდეგო ჩვენება. ასეთი წესის უგულველყოფა განიხილება, როგორც რელიგიით დადგენილ წესის დარღვევა და რელიგიის ღალატი.

იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, თუ ვინ უნდა დაიკითხოს პირველად, სხვა ტაქტიკური ხერხების გარდა გათვალისწინებულ უნდა იყოს მუსულმანური რელიგიის ის თავისებურება, რომ ქალი დამოკიდებულია მამაკაცზე, რომ ამ უკანასკნელს ეკუთვნის წამყვანი როლი ოჯახში, საზოგადოებაში, პოლიტიკაში. სწორედ ამიტომ უმჯობესია უფრო ადრე დაიკითხოს მამაკაცი და შემდგომ ქალი. მორწმუნე პირთა დაკითხვის დროს გამოიყენება აგრეთვე ის ზოგადი ტაქტიკური ხერხები, რაც დადგენილია სხვა პირთა დაკითხვისათვის.

<u>ექსპერტის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურება.</u> ექსპერტის დაკითხვის პროცესუალურ წესს ადგენს და განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 193-ე და 291-ე მუხლები. ექსპერტის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მან მისცა დასკვნა ამ დასკვნის განმარტების ან დაზუსტების მიზნით. ექსპერტის დაკითხვის ტაქტიკა შეზღუდულია, რადგან მისი დაკითხვა ხდება მხოლოდ ექსპერტის საგანთან დაკავშირებით, უკვე მიცემული დასკვნის განმარტების ან დაზუსტების მიზნით და მხოლოდ ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებში.

ექსპერტის დაკითხვა შეიძლება მოხდეს როგორც გამომძიებლის ინიციატივით, ისე პროცესის შესაბამის მონაწილეთა შუამდგომლობის საფუძველზე. ექსპერტის დაკითხვა ტაქტიკურად გაუმართლებელია მხოლოდ დაკითხვისათვის. თუ ექსპერტის მიერ მიცემული დასკვნა გასაგები და ნათელია მისი დაკითხვა არ არის მიზანშეწონილი.

ექსპერტის დაკითხვა უნდა მოხდეს, როდესაც ექსპერტის დასკვნა არის სავარაუდო; როდესაც იგი იძლევა დასკვნას საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ; როდესაც ექსპერტის მიერ მიცემული დასკვნა თავის სისწორესა და დასაბუთებულობაში იწვევს ეჭვს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჩატარებულ იყო კომისიური ექსპერტიზა და ყველა ექსპერტი მივიდა ერთ და შეთანხმებულ დასკვნამდე ტაქტიკური

თვალსაზრისით საჭირო არ არის ყველა მათგანის დაკითხვა. სავსებით საკმარისია კომისიის რომელიმე წევრის დაკითხვა ან საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის დაკითხვა. კომისიის ყველა წევრის დაკითხვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვლევის პროცესში მათ შორის წარმოიშვა უთანხმოება და როდესაც კომისიის წევრები იძლევიან განსხვავებულ ან ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნას.

თუ გამომძიებელს ეჭვი ეპარება ექსპერტის ობიექტურობაში და მიაჩნია, რომ ექსპერტმა მისცა შეგნებულად ცრუ დასკვნა გამოიყენება დაკითხვის ის ტაქტიკური ხერხები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული.

<u>დაკითხვის ტაქტიკის თავისებურება სასამართლოში.</u> სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს გამოიყენება იგივე ტაქტიკური ხერხები, რაც გამოძიების პროცესში, მაგრამ აქ დაკითხვა მიმდინარეობს სხვა პირობებში: საქმის საჯარო განხილვის, შეჯიბრებითობის და პროცესის შესაბამისი მონაწილეთა თანდასწრებით. სასამართლოში ხდება განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის არა მარტო დაკითხვა, არამედ მათ მიერ ადრე მიცემული ჩვენების, ექსპერტის დასკვნის შემოწმება და კრიტიკული შეფასება. დაკითხვის ამოცანა სასამართლოში იგივეა — მიღებულ იყოს სრული და სწორი ჩვენება.

განსასჯელის დაკითხვის პროცესუალური წესი სასამართლოში გამოიხატება შემდეგში. სასამართლოს უფლება აქვს დაკითხოს განსასჯელი სასამართლო გამოძიების ყოველ მომენტში. პროცესის შესაბამისი მონაწილეები დაკითხვას აწარმოებენ შემდეგი თანამიმდევრობით: პროკურორი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი, საზოგადოებრივი დამცველი. ტაქტიკური თვალსაზრისიდან და საქმის კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე განსასჯელის დაკითხვა სასამართლოში შეიძლება მოხდეს სხვა განსასჯელის დაუსწრებლად. სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით განსასჯელს ყოველ მომენტში შეუძლია მისცეს დამატებითი ჩვენება. საპროცესო კანონი ითვალისწინებს განსასჯელის ჩვენების გამოქვეყნების წესსა და პირობებს (საქართველოს სსს კოდექსის 282-ე, 283-ე მუხლები).

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვისათვის საპროცესო კანონით დადგენილია ერთიდაიგივე წესი. მოწმეები დაიკითხებიან ცალ-ცალკე იმ მოწმეთა დაუსწრებლად, რომლებიც ჯერ რა დაკითხულან (დაზარალებული ესწრება ყველა მოწმის დაკითხვას). სასამართლოს შეუძლია მოწმე დაკითხოს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ მისი ყოფნის ადგილზე. თავმჯდომარე არკვევს მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. სასამართლოს უფლება აქვს მოწმე და დაზარალებული დაკითხოს სასამართლო გამოძიების ყველა მომენტში. თუ მოწმე გამოძახებულია სასამართლოში დამცველის ან განსასჯელის შუამდგომლობის საფუძველზე, მას პირველად შეკითხვებს აძლევს დამცველი ან განსასჯელი. კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს განსასჯელის დაუსწრებლად. კანონი ადგენს მოწმისა და დაზარალებულის ჩვენების გამოქვეყნების წესსა და პირობებს (სსს კოდექსის 285-ე, 287-ე, 288-ე მუხლები). თუ მოწმეს ან დაზარალებულს, მათი ოჯახის წევრებს ემუქრებიან მკვლელობით, ძალადობის გამოყენებით, ქონების განადგურებით სასამართლო იღებს ზომებს მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ქონების დასაცავად. აღნიშნულ შემთხვევაში მოწმე და დაზარალებული შეიძლება დაიკითხონ სასამართლოს დახურულ სხდომაზე.

სასამართლო შემადგენლობა უნდა მოემზადოს დაკითხვისათვის, რაც გულისხმობს საქმის მასალების გულდასმით და სრულ შესწავლას, დასაკითხი მოწმის ან დაზარალებულის პიროვნების შესწავლას, ადრე დაკითხულ პირთა ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევის ტაქტიკური ხერხების განსაზღვრას, შეკითხვებისა და მათი მიცემის თანმიმდევრობის დადგენას, დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნას. თავისუფალი თხრობის შემდეგ მოწმესა და დაზარალებულს მიეცემა შეკითხვები. სასამართლოში დაკითხვის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ შეიძლება მოხდეს ჯვარედინი დაკითხვა, რაც გულისხმობს ერთიდაიგივე ფაქტის გამო პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა მიერ შეკითხვების მიცემას. დაკითხვის ასეთ სახეს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დაზუსტდეს ჩვენება, მიღებულ იქნას სრული ჩვენება, დაძლეულ იქნას არსებული წინააღმდეგობანი.

თუ მოწმე ან დაზარალებული იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას ამ საკითხზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდა გამოყენებულ უნდა იყოს იგივე ტაქტიკური ხერხები, რაც გამოძიების პროცესში (ადრე მიცემული ჩვენების გამოქვეყნება, მათი ილუსტრაცია და დემონსტრაცია, ფანმეორეობითი დაკითხვა, დაპირისპირება და ა.შ.).

§9 დაკითხვის შედეგების ფიქსაცია.

დაკითხვის შედეგების ფიქსაცია მიზნად ისახავს იმას, რომ დაკითხვის ოქმში სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად აისახოს დაკითხვის პროცესი. დაკითხვის (დაპირისპირების) ოქმის ძირითადი მოთხოვნები ფიქსირებულია საპროცესო კანონში. იგი დგება პირველ პირში და შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით. ოქმში შეიტანება მხოლოდ ის მონაცემები, რასაც კავშირი აქვს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. დაკითხვის შემდეგ ოქმის შინაარსს ეცნობა დაკითხული პირი, რომელიც ადასტურებს ოქმის შედგენის სისწორეს თავისი ხელმოწერით. დასაკითხავ პირს უფლება აქვს თავისი ხელით დაწეროს ჩვენება. თუ ასეთი სურვილი გამოითქვა გამომძიებელმა უნდა მისცეს მას საშუალება თავისი ხელით დაწეროს ჩვენება (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 149-ე, 150-ე, 158-ე მუხლები).

გარკვეული თავისებურება ახასიათებს დაკითხვის ოქმს, როდესაც ჩვენების ჩაწერა ხდება მაგნიტოფონზე ან ვიდეომაგნიტოფონის გამოყენებით. ამ შემთხვევაში დასაკითხ პირს (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი) უნდა გამოეცხადოს, რომ ჩვენება ფიქსირებულ იქნება მაგნიტოფონის ან ვიდეომაგნიტოფონის ფირზე, რის შესახებაც მიეთითება ოქმში. ოქმში აგრეთვე აღინიშნება გამოყენებული აპარატურის ტექნიკური დახასიათება და ვინ აწარმოებს ხმის ჩაწერას. იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ჩვენების ფიქსაცია შეწყდა მისი განახლების შემდეგ როგორც მაგნიტოფონის (ვიდეომაგნიტოფონის) ფირზე, ისე წერილობით ოქმში უნდა აღინიშნოს ჩვენების მიცემის შეწყვეტის მიზეზი, რა სიტყვების წარმოთქმის დროს შეწყდა ჩვენების ფიქსაცია და რა სიტყვების წარმოთქმით გრძელდება ჩვენების მიცემა. დაკითხვის დამთავრების შემდეგ დაკითხული პირი ისმენს ფონოგრამას და ადასტურებს ჩვენების სისწორეს, რაც ფიქსირდება არა მარტო მაგნიტოფონის

(ვიდეომაგნიტოფონის) ფირზე, არამედ წერილობით ოქმშიც (სსს კოდექსის 96'მუხლი).

დაკითხვის შედეგების ფიქსაციის რამოდენიმე საშუალება არსებობს: წერილობითი ოქმი, სტენოგრაფირება, მაგნიტოფონისა და ვიდეოაპარატურის გამოყენება. დაკითხვის შედეგების ფიქსაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს წერილობითი ოქმი. სტენოგრაფიულმა ჩანაწერმა უნდა მიიღოს წერილობითი ოქმის სახე. მაგნიტოფონის (ვიდეომაგნიტოფონის) ფირი განიხილება როგორც ჩვენების ფიქსაციის დამატებითი სახე, რადგან იგი არც ერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს წერილობითი ოქმის შედგენას.

ოქმის შედგენის სამი შესაძლებლობა არსებობს: დაკითხვის პარალელურად, თავისუფალი თხრობის შემდეგ (კითხვა-პასუხების დაწყებამდე) და დაკითხვის დამთავრების შემდეგ. კრიმინალისტიკაში და პრაქტიკაში უფრო მიზანშეწონილად არის მიჩნეული დაკითხვის წერილობითი ოქმის შედგენა თავისუფალი თხრობის შემდეგ. მანამდე გამომძიებელს შეუძლია გააკეთოს ჩანაწერები. დაკითხვის პარალელურად ოქმის შედგენა არ არის მიზანშეწონილი იმიტომ, რომ ერთდროულად ჩვენების მოსმენა და ოქმის შედგენა ფანტავს გამომძიებლის ყურადღებას.

დაპირისპირების დროს ოქმის შედგენის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ დაპირისპირებაში მონაწილე პირი ხელს აწერს მხოლოდ მის მიერ მიცემულ ჩვენებას და არა მთლიანად დაპირისპირების ოქმს.

დაკითხვის ოქმში უნდა იყოს ფიქსირებული მტკიცებულებათა წარდგენის ფაქტი (მტკიცებულების დასახელება, მისი მიღების დრო). თუ პირს წარედგინება სხვა პირის ჩვენება უნდა მიეთითოს მთლიანად თუ ნაწილობრივ წარედგინა იგი, კერძოდ ჩვენების რომელი ფრაგმენტი გაიცნო. თუ ხდება ნივთიერმტკიცებულების, ფოტოსურათების ილუსტრაცია, მაგნიტოფონის, ვიდეომაგნიტოფონის ან კინოფირზე აღბეჭდილი ინფორმაციის დემონსტრირება ყოველივე ამის შესახებ აგრეთვე მიეთითება დაკითხვის ოქმში.

დაკითხვის ოქმი შეიძლება იყოს ხელით ნაწერი ან ნაბეჭდი.[7]

---

[7]. დაკითხვის ტაქტიკის შესახებ იხ. Порубов Н.И., Научные основы допроса на предварительном следствии, Минск., 1978; Соловьев А.Б., Центров Е.Е., Допрос на предварительном следствии М., 1986; Криминалистика, М., 1990, с.281-298.

XXIII თავი
ამოცნობის ტაქტიკა

§1 ამოცნობის ტაქტიკის ცნება და არსი

ამოცნობა ანუ ამოსაცნობად წარდგენა როგორც საგამოძიებო მოქმედება პირველად არის რეგლამენტირებული მოქმედი საპროცესო კოდექსით. მანამდე იგი განიხილებოდა, როგორც კრიმინალისტიკური ტაქტიკური ხერხი.

ამოცნობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყველა სახის დანაშაულის ჩადენის დროს, მაგრამ იგი შედარებით ხშირად ტარდება ისეთ დანაშაულთა ჩადენის დროს, როგორიცაა: პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება), დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ (ქურდობა, გაძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება), დანაშაული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ, თანამდებობრივი დანაშაული.

ამოცნობა, როგორც საპროცესო კანონით რეგლამენტირებული საგამოძიებო მოქმედება წარმოადგენს გაიგივების (იდენტიფიკაციის) პროცესს იმ ნიშან-თვისებათა მიხედვით, რომელიც აღითქვა და დაიმახსოვრა ამომცნობმა პირმა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე).

ამოცნობის დროს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს ან მოწმეს წარედგინება ამოსაცნობად ადრე ნახული პიროვნება, საგანი, რომელთა ნიშან-თვისებები და თავისებურებანი უკვე ფიქსირებულია დაკითხვის ოქმში. წარდგენილ პიროვნებების, საგნების დაკვირვების შედეგად ამომცნობი აკეთებს დადებით ან უარყოფით დასკვნას იდენტიფიკაციის, ჯგუფური კუთვნილების შესახებ.

ამოსაცნობად წარდგენის ამოცანა იმაში გამოიხატება, რომ ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას და მიღებულ იქნას მტკიცებულება. ამოცნობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ამოცნობა შეიძლება იყოს პირველადი და განმეორებითი. როგორც წესი ამოცნობა ტარდება ერთხელ. ამოცნობა შეიძლება იშვიათ შემთხვევაში ჩატარდეს განმეორებით იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ამოცნობა ჩატარებული იყო არახელსაყრელ პირობებში და პროცესუალურ კანონის მოთხოვნათა დაუცველად.

პროცესუალურ კანონით ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს პიროვნების, საგნის ან ფოტოსურათების მიხედვით. მაგრამ პრაქტიკა სამართლიანად აფართოვებს ამოცნობის სახეებს. ამოცნობის სახეებს მიეკუთვნება ცოცხალი პირის, ცხოველის, გვამის, საგნის, ნაგებობის, ფოტოსურათების, კინო და ვიდეოფილმების მიხედვით ამოცნობა. ამოცნობის ორი ხერხი არსებობს: ამოცნობა ნატურით და ამოცნობა ფოტოსურათების, კინო და ვიდეოფილმების მიხედვით. პირველ შემთხვევაში ამომცნობს წარედგინება უშუალოდ პიროვნება, საგანი, ცხოველი, გვამი, ნაგებობა. მეორე შემთხვევაში ამოცნობა ხდება ფოტოსურათების, კინო და ვიდეოფილმების დემონსტრაციის საფუძველზე.

იმისათვის, რომ ამოცნობა ჩატარდეს სრულყოფილად, ყოველმხრივად და ობიექტურად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ ზოგადი ხასიათის მოთხოვნებს. იგი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული, ობიექტური და ნებაყოფლობითი.

ამოცნობის კანონიერება გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის იმ ნორმათა მტკიცე და განუხრელ დაცვას, რომლებიც არეგულირებენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას (162-ე — 164-ე მუხლები).

ამოცნობის დასაბუთებულება გულისხმობს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა, როდესაც შესაძლებელია ამოცნობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ამოცნობის ობიექტურობა მჭიდრო კავშირშია საპროცესო ნორმების დაცვასთან და გულისხმობს ამოცნობისათვის ანალოგიური და მსგავსი ობიექტების შერჩევას, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები (გვამის ამოცნობის გარდა), მოწმისა და დაზარალებულის გაფრთხილებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისათვის და შეგნებული ცრუ ჩვენების მიცემისათვის, თვით გამომძიებლისა და ამოცნობის სხვა მონაწილეთა ობიექტურობას.

ამოცნობის ნებაყოფლობითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაუშვებელია იძულებითი წესით. თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე უარს აცხადებენ

მონაწილეობა მიიღონ ამოცნობაში შეიძლება გამოყენებულ იყოს მხოლოდ დარწმუნების მეთოდი. წინაალმდეგ შემთხვევაში ამოცნობა ვერ ჩატარდება.

ამოცნობა არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებული საგამოძიებო მოქმედება და მისი ჩატარება შეიძლება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ: ამოცნობაში შეიძლება მონაწილეობდეს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე; ამომცნობი წინასწარ უნდა იყოს დაკითხული იმ გარემოებათა და ნიშან-თვისებათა შესახებ, რომლის მიხედვით მას შეუძლია ამოიცნოს პიროვნება, საგანი, ცხოველი, გვამი; ამოსაცნობი პირი წარედგინება ამომცნობს სხვა პირებთან ერთად, რომელთა რიცხვი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს და რომლებიც გარეგნობითა და ტანსაცმლით მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან; ამოსაცნობ პირს წინადადება ეძლევა დაიკავოს ნებისმიერი ადგილი სხვა პირთა შორის; საგნების ამოცნობაც ხდება სხვა ერთგვაროვან საგანთა ჯგუფში; ამოსაცნობი ობიექტები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს ფოტოგრაფირებული; ამოცნობაში მონაწილე მოწმე და დაზარალებული ფრთხილდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისათვის ან შეგნებულად ცრუ ჩვენებისათვის; ამომცნობს წინადადება ეძლევა ამოიცნოს პირი, საგანი და ა.შ. და დაასახელოს ის ნიშან-თვისებები რომლის მიხედვითაც მოხდა ამოცნობა; ამოცნობა შეიძლება მოხდეს ფოტოსურათების მიხედვით; ამოცნობას ყველა შემთხვევაში უნდა ესწრებოდეს დამსწრეები, ამოცნობის შედეგად დგება ამოცნობის ოქმი.

აღნიშნული პროცესუალური წესიდან გამომდინარე ამოცნობად არ შეიძლება განხილულ იყოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს პირის ან საგნის ამოცნობა; ტელევიზიით, პრესით ან სხვა საშუალებით გადაცემული ინფორმაცია იმ პირთა ნიშან-თვისებათა შესაზებ (ეჭვმიტანილი, ბრალდებული), რომელიც მოძებნასა და ამოცნობას ექვემდებარება; დაზარალებულის ან მოწმის მიერ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, ანდა გატაცებული საგნების (ნივთების) ამოცნობა ქუჩაში, შენობაში. ამ შემთხვევაში ამოცნობასთან არა გვაქვს საქმე, რადგან პირის, საგნის ამოცნობა ხდება ამომცნობის წინასწარ დაკითხვის, სხვა ანალოგიურ პირთა და საგანთა და დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე.

ამოცნობას საფუძვლად უდევს აზროვნების პროცესი, რომელიც მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: ნახული პიროვნების, საგნის აღთქმასა და დამახსოვრებას; დამახსოვრებულ ნიშან-თვისებათა აღდგენასა და გადმოცემას; ადრე ნახული პიროვნების, საგნის ამოცნობას დამახსოვრებულ ნიშან-თვისებათა საფუძველზე.

კრიმინალისტიკაში მიღებულია ამოცნობის ფსიქოლოგიური პროცესის ორ ჯგუფად დაყოფა: სინთეტიკური და ანალიტიკური. სინტეტიკური ცნობის დროს ადამიანის ცნობიერებაში აისახება ნახული პიროვნების, საგნის ზოგადი წარმოდგენა, ნახულის ნიშან-თვისებათა და მისი ელემენტების ანალიზის გარეშე. ამ შემთხვევაში ადამიანის ცნობიერებაში აისახება განზოგადებული და გაერთიანებული წარმოდგენა ნახული ობიექტის შესახებ. ანალიტიკური ცნობის დროს ადამიანის ცნობიერებაში აისახება ნახული პიროვნების, საგნის ნიშან-თვისებები და მისი ელემენტები და მათი ანალიზის საფუძველზე წარმოიქმნება პიროვნებაზე და საგანზე მთლიანი წარმოდგენა.

სინთეტიკური და ანალიტიკური ცნობა დამოკიდებულია და უშუალო კავშირშია იმ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ნახული პიროვნების, საგნების აღთქმისა და დამახსოვრების პროცესზე. ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი პიროვნებაზე, მაგალითად: დაკვირვების დრო და მანძილი, განათება და ამინდი და ა.შ. სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც დამოკიდებულია პიროვნების თვისებებზე, მაგალითად ასაკი, მხედველობა, სმენადობა, პიროვნების ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, დაკვირვებისა და დამახსოვრების უნარი და ა.შ.

ამოცნობის პროცესში და ამოცნობის შედეგების შეფასების დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს ყველა ის ფაქტორი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამოცნობის შედეგებზე.

§2 ამოცნობის მომზადების ტაქტიკური ხერხები

ამოცნობის წარმატებით ჩატარება ბევრადაა დამოკიდებული და უშუალო კავშირშია ამ საგამოძიებო მოქმედების მომზადებასთან. ამოცნობის მომზადების ტაქტიკური ხერხები მოიცავს ისეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას, როგორიცაა: ამომცნობის წინასწარ დაკითხვას იმ ნიშან-

თვისებათა შესახებ, რომელთა მიხედვით ხდება ამოცნობა; ამოცნობის ობიექტების მომზადებას; ამოცნობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას; ამოცნობის დროისა და ადგილის დადგენას; ამოცნობის მონაწილეთა განსაზღვრას; კრიმინალისტიკური ტექნიკის მომზადებასა და ამოცნობის გეგმის შედგენას.

ამოცნობის მომზადების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ამომცნობის წინასწარი დაკითხვა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე). ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამომცნობი პირი წინასწარ დაკითხულია იმ ნიშან-თვისებათა და პირობების შესახებ, რომელთა მიხედვით მას შეუძლია ამოიცნოს პირი, საგანი, ცხოველი, გვამი. დაკითხვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საგანგებოდ, მხოლოდ ამოცნობის ჩატარებისათვის ან ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იყოს ჩვეულებრივი დაკითხვის ოქმი, თუ მასში სრულყოფილად არის ასახული ამოსაცნობი ობიექტის ნიშან-თვისებები. რაც უფრო ადრე მოხდება ამომცნობი პირის დაკითხვა, მით უფრო მოსალოდნელია დაწვრილებითი ჩვენების მიცემა. დროის ფაქტორს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ამოცნობის შედეგებზე (აღთქმული ნიშან-თვისებების დავიწყება, ობიექტის ნახვის პირობების დავიწყება და ა.შ.).

ამომცნობის დაკითხვის დროს დასაკითხავ პირს უნდა განემარტოს ამოცნობის მიზანი და მიღებულ იქნას მისგან დაწვრილებითი ცნობები ამოსაცნობი ობიექტისა და იმ პირობების შესახებ, რომელთა არსებობის დროს ხდებოდა ამოსაცნობი ობიექტის ნახვა და აღთქმა. კერძოდ უნდა იყოს გარკვეული, თუ რა ობიექტურ ვითარებაში ხდებოდა ამოსაცნობი ობიექტის ნახვა (ადგილი, დრო, მეტეოროლოგიური პირობები, ბუნებრივი თუ ხელოვნური განათება, დაკვირვების დროის მონაკვეთი და მანძილი). ასევე უნდა იყოს მიღებული ცნობები პირის შესახებ (ასაკი, მხედველობა, პირის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, დაღლილობა, ავადმყოფობა, სიმთვრალე და ა.შ.).

დაკითხვის დროს უნდა იყოს გარკვეული ამომცნობი პირის ობიექტურობის საკითხი და მისი ურთიერთდამოკიდებულება ამოსაცნობი პირისადმი. განსაკუთრებით დაწვრილებითი ცნობები უნდა იყოს მიღებული იმ ნიშან-თვისებათა შესახებ, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ამოცნობილ იყოს პიროვნება, ცხოველი, გვამი, საგანი. უნდა დადგინდეს და დაკითხვის

ოქმში დაწვრილებით აისახოს როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური ნიშნები (ფორმა, ზომა, ფერი, საფაბრიკო ნიშნები, ჩაცმულობა, სიარულის და საუბრის თავისებურება, გარეგნობის განსაკუთრებული ნიშნები, პიროვნების ანატომიური და ფუნქციონალური ნიშნები). პიროვნების აღწერა უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სიტყვიერი პორტრეტისათვის.

ამოცნობის მომზადების დროს გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ამოცნობის ობიექტების მომზადება. ამოცნობის ობიექტი (პიროვნება, ცხოველი, საგანი) უნდა შეირჩეს იმ პრინციპის მიხედვით, რომ ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდებოდნენ. ამოცნობაში მონაწილე პირები უნდა იყვნენ ერთი და იგივე სქესის, დაახლოვებით ერთი და იგივე ასაკის, ეროვნების, ჩაცმულობის, სიმაღლისა და აგებულების, თმისა და თვალების ფერის მიხედვით.

ამოცნობა, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია უნდა ჩატარდეს იგივე პირობებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სინამდვილეში: იგივე ადგილზე, განათების იგივე პირობები, იგივე ან ანალოგიური ობიექტების წარდგენა და ა.შ.

ამოცნობა არ წარმოადგენს გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას, მაგრამ მისი ჩატარება სასურველია მოხდეს სწრაფად, რადგან ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნებასა და გაჭიანურებას შეიძლება მოჰყვეს ადრე ნახული პიროვნებისა და საგანთა ნიშან-თვისებათა გადავიწყება. ამოცნობის ადგილისა და დროის განსაზღვრა ხდება გამომძიებლის გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტული კრიმინალისტიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

ამოსაცნობად წარდგენას ხელმძღვანელობს და ატარებს უშუალოდ გამომძიებელი. გამომძიებელი ვალდებულია განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში. ამოცნობის აუცილებელ მონაწილეებს წარმოადგენს დამსწრეები, რომლებიც პირადად არ უნდა იყვნენ საქმის შედეგებით დაინტერესებული.

საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იყოს სპეციალისტი-კრიმინალისტი ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებისათვის. გვამის ამოცნობის დროს უნდა იყოს მოწვეული ექიმი-სპეციალისტი, ხოლო ცხოველთა ამოცნობის დროს საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა ექიმი-ვეტერინარი. თუ

ამომცნობი პირები არიან არასრულწლოვანები მოწვეულ უნდა იყოს პედაგოგი-სპეციალისტი.

ამოსაცნობად წარდგენის დროს საჭირო ხდება კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენება. კონკრეტულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება დამოკიდებულია ამოცნობის სახეზე და პირობებზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა მოამზადოს საგამოძიებო ჩემოდანი, ფოტოაპარატი და ფოტომასალა. საჭიროების შემთხვევაში უნდა მომზადდეს კინო და ვიდეოაპარატურა.

ყველა მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ გამომძიებელი ადგენს ამოცნობის გეგმას (გარკვეულ შემთხვევაში წერილობით გეგმას), რომელშიც უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი საკითხები: ამოცნობის მიზანი, პირის წინასწარი დაკითხვის დრო და ადგილი, ამოცნობის ობიექტებისა და პირობების მომზადება, ამოცნობის დროისა და ადგილის განსაზღვრა, ამოცნობაში მონაწილე პირები, კრიმინალისტიკურ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საკითხი.

§3 ამოცნობის ტაქტიკური ხერხები

ამოცნობის დაწყებამდე ტაქტიკურად გამართლებულია, რომ გამომძიებელმა შეამოწმოს გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების ვარგისიანობა და მზადყოფნა, ამოცნობის ადგილისა და პირობების შესაბამისობა კრიმინალისტიკურ სიტუაციასთან, ამოცნობაში ყველა მონაწილე პირთა გამოცხადება.

ამოცნობაში მონაწილე პირებს განემარტებათ ამოცნობის მიზანი, უფლებები და ვალდებულებანი. მოწმე და დაზარალებული გაფრთხილებული უნდა იყოს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისგების შესახებ და ჩაუტარდებათ მათ სათანადო ინსტრუქტაჟი. გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს საკითხი იმის შესახებ, რომ ამომცნობის ნაცნობი, მეგობარი ან ნათესავი არ იყოს ამოსაცნობი პირები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამოსაცნობ პირთა შორის არ შეიძლება ჩაყენებულ იყოს დამსწრე, რადგან მისი პროცესუალური მდგომარეობა არსებითად განსხვავდება ამოსაცნობ პირების ფუნქციიდან.

ყოველივე აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოწვეულ უნდა იყოს ამომცნობი და მას განემარტოს ამოცნობის მიზანი, უფლება-მოვალეობანი და მიეცეს წინადადება დააკვირდეს ამოსაცნობ პირებს, საგნებს, ცხოველებს და ამოცნობის შემთხვევაში დაასახელოს ის ნიშნები, რომელთა მიხედვით მოახდინა ამოცნობა.

ამოცნობის ცალკეულ სახეებს გააჩნია თავისებურება, ამიტომ მათი განხილვა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე.

<u>პიროვნების ამოცნობა.</u> პიროვნების ამოცნობა წარმოადგენს ამოცნობის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს. პიროვნების ამოცნობა ხდება როგორც ანატომიური, ისე ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით, აგრეთვე მისი ჩაცმულობისა და განსაკუთრებულ ნიშნების საფუძველზე. ამოცნობის მთავარ პირობას ის წარმოადგენს, რომ ამოსაცნობი პირები ერთმანეთს ემსგავსებოდნენ გარეგნულად და ჩაცმულობით, იყვნენ ერთი და იგივე ეროვნების, ასაკის და ა.შ. იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცნობა ხდება განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით (სვირანგი, ჭრილობა, ხალი და ა.შ.) და ეს ნიშნები დაფარულია ტანისამოსით ამოსაცნობ პირებს წინადადება ეძლევათ გამოაჩინონ განსაკუთრებული ნიშნები.

ტაქტიკურად გამართლებულია, რომ ამოსაცნობი პირები ამოცნობის დაწყებამდე იყოს ფოტოგრაფირებული. მოზანშეწონილია აგრეთვე ამოცნობის პროცესი მთლიანად იყოს ასახული კინო ან ვიდეოფირზე. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცნობა ხდება ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით (საუბარი, სიარული).

ამომცნობ პირს ეძლევა რა წინადადება მოახდინოს ამოცნობა მას ამისათვის არ უნდა დაუწესდეს გარკვეული დრო ან ააჩქარონ იგი. ამომცნობს უფლება აქვს ახლოს მივიდეს ამოსაცნობ პირებთან, დააკვირდეს მათ და შემდგომ გამოთქვას თავისი მოსაზრება. ამოცნობის შემთხვევაში ამომცნობმა პირმა იქვე უნდა დაასახელოს ის ნიშნები, რომელთა მიხედვით მოახდინა ამოცნობა, რაც აღინიშნება ამოცნობის ოქმში. შესაძლებელია ამოსაცნობი პირის ნიშნები, რომლებიც უკვე იყო ფიქსირებული დაკითხვის ოქმში არ დაემთხვეს მთლიანად იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვით მოხდა ამოცნობა (დასახელდეს უფრო მეტი ან ნაკლები ნიშნები), მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ადრე აღწერილ ნიშნებსა და ამოცნობის დროს დასახელებულ ნიშნებს შორის არ უნდა იყოს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა.

ამომცნობის პასუხი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. იმ შემთხვევაში, როდესაც ამომცნობი გამოთქვავს ვარაუდს (მაგალითად, "მგონი ეს პირია, რომელიც მე ვნახე დანაშაულის ჩადენის დროს"), ასეთ ამოცნობას არა აქვს არავითარი პროცესუალური მნიშვნელობა და ძალა.

<u>პიროვნების ხმის, საუბრისა და სიარულის მიხედვით ამოცნობა.</u> ამ სახის ამოცნობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ამომცნობი პირი ჩვენების მიცემის დროს მიუთითებს, რომ მას შეუძლია მოახდინოს პიროვნების ამოცნობა ხმის, საუბრის ან სიარულის მიხედვით და ასახელებს იმ კონკრეტულ ნიშნებს (ფონეტიკურს, ფუნქციონალურს), რომელთა მიხედვით შეუძლია მოახდინოს ამოცნობა.

ამ სახის ამოცნობა მაშინ ტარდება, როდესაც პიროვნების ხმისა და საუბრისათვის დამახასიათებელია ენაჩლუნგობა, ენის ჩლექა, ეროვნული აქცენტი, კუთხური დიალექტები, სიტყვების თავისებური გამოთქმა და გრამატიკული შეცდომები საუბრის დროს. სიარულის მიხედვით პიროვნების ამოცნობა მაშინ ხდება, როდესაც სიარულს ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული თავისებურება: კოჭლობა, სიარულის განსაკუთრებული თავისებურება.

თუ ამომცნობი აცხადებს, რომ მას შეუძლია ამოიცნოს პიროვნება როგორც საუბრის, ისე სიარულის მიხედვით ამ შემთხვევაში ამოცნობა უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე: ჯერ საუბრის, ხოლო შემდგომ სიარულის მიხედვით ან პირიქით. პიროვნების ამოცნობა ხმის, საუბრისა და სიარულის მიხედვით მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რადგან ამოცნობა უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალურ ნიშანთა საფუძველზე.

ხმისა და საუბრის მიხედვით ამოცნობის შემთხვევაში უნდა იყოს შექმნილი ისეთი პირობები, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ამომცნობი პირი არ უნდა უყურებდეს ამოსაცნობი პირის და მის საუბარს, მას მხოლოდ უნდა ესმოდეს საუბარი. ამომცნობმა უნდა მოისმინოს ამოსაცნობი პირების საუბარი, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. საუბრის მოსმენა ხდება ცალ-ცალკე და არა ერთდროულად. ტაქტიკურად გამართლებულია, რომ საუბრის დროს ნახმარი იყოს ის სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ითქვა სინამდვილეში.[1]

---

[1]. Самошина З.Г., Вопросы теории и практики предъявления для опознания на предварительном следствии, М., 1976, с.60-82.

სიარულის მიხედვით ამოცნობის დროს ამომცნობი პირი კარგად და ნათლად უნდა ხედავდეს სიარულის პროცესს და ჰქონდეს მას შესაძლებლობა დააკვირდეს სიარულს. ამ შემთხვევაშიც მოსიარულეთა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები და მათ უნდა აჩვენონ სიარულის პროცესი ცალ-ცალკე და არა ერთდროულად. ამ სახის ამოცნობის დროს დაცულ უნდა იყოს პროცესუალური კანონის ყველა მოთხოვნა. აღნიშნული პირობებისა და ტაქტიკური ხერხების დაცვით ხდება მაგნიტოფონის ფირზე ფიქსირებული ხმისა და საუბრის მიხედვით ამოცნობა.

<u>გვამის ამოცნობა.</u> გვამის ამოცნობა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დაუდგენელია მისი პიროვნება და არ არსებობს მისი პიროვნების დამადასტურებელი საბუთი. გვამის ამოსაცნობად წარდგენამდე უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც გამოიხატება შემდეგში: უნდა იყოს ინფორმირებული მოსახლეობა გვამის აღმოჩენის შესახებ; უნდა შემოწმდეს შინაგან საქმეთა ორგანოებში (პროკურატურაში) ყველა განცხადება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ; უნდა იყოს მიღებული ცნობები საინფორმაციო ცენტრიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა შესახებ; უნდა მოხდეს გვამის ფოტოგრაფირება ამოსაცნობი სურათის გადაღების წესის დაცვით (გვამი უნდა იყოს გადაღებული როგორც ჩაცმული, ისე შიშველი). თუ გვამი ძალზე დასახიჩრებულია ან დაიწყო გვამის ლპობის პროცესი ექიმ-სპეციალისტის მიერ უნდა მოხდეს გვამის ტუალეტი (სახის აღდგენა). საჭიროების შემთხვევაში ხდება აგრეთვე გვამის კონსერვაციაც.

გვამის ამოცნობა ხდება იმ პირების მიერ (მეზობლები, ამხანაგები, ნათესავები, ოჯახის წევრები და ა.შ.), ვინც სიცოცხლეში იცნობდა მას. ამომცნობი წინასწარ უნდა იყოს დაკითხული ჩაცმულობისა და გვამის სხეულზე არსებულ ნიშან-თვისებათა შესახებ, რომელთა მიხედვით შეძლებს გვამის ამოცნობას. გვამი ამოსაცნობად წარედგინება მხოლოდ მარტო. მისი ამოცნობა ტარდება გვამის აღმოჩენის ადგილზე ან საავადმყოფოში (მორგში).

იმ შემთხვევაში, როდესაც ამომცნობი აცხადებს, რომ მას გვამის ამოცნობა შეუძლია მის სხეულზე არსებული ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით გვამი მას წარედგინება გახდილ მდგომარეობაში. როდესაც გვამის ამოცნობა ხდება სახისა და ჩაცმულობის მიხედვით გვამი წარედგინება ამომცნობს ჩაცმული. გვამის გარდა ამომცნობს წარედგინება ის საგნები და

ნივთები, რომელიც გვამთან ერთად იყო აღმოჩენილი, თუ ამ საგნებისა და ნივთების ნიშან-თვისებათა შესახებ უკვე დაკითხულ იყო ამომცნობი პირი.

ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება დამარხული გვამის საფლავიდან ამოღება (ეგზგუმაცია) და მისი წარდგენა ამოსაცნობად. ამ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული ამოცნობის ყველა პირობა და ამოცნობას უნდა ესწრებოდეს ექიმი-სპეციალისტი. თუ გვამი ძალზე დაზიანებულია შესაძლებელია ამოცნობა მოხდეს გვამის ფოტოსურათის საფუძველზე.

<u>საგნების ამოცნობა.</u> საგნები, ნივთები, ფასეულობა წარედგინება ამომცნობ პირს სხვა ერთგვაროვან საგნებთან ერთად, რომლებიც არსებითად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (სახით, ფერით, წონით, ზომებით და ა.შ.). ამოსაცნობ საგნის ნიშან-თვისებების შესახებ ადრე უნდა იყოს დაკითხული ამომცნობი პირი. დაკითხვის ოქმში დაწვრილებით აღიწერება ამოსაცნობი საგნის ის ნიშან-თვისებები, რომელთა მიხედვით შემდგომში უნდა მოხდეს ამოცნობა.

საგნები წარედგინება ამომცნობს ანალოგიურ საგნებთან ერთად, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც წარდგენას ექვემდებარება უნიკალური საგანი, არ არსებობს სხვა ანალოგიური და მსგავსი საგანი იგი წარედგინება ამომცნობს ცალკე.

ამოსაცნობი საგნები უნდა იყოს განლაგებული ნებისმიერი თანამიმდევრობით, მაგრამ ყველა შემთხვევაში კარგად ენდა ჩანდეს ისინი და მათი ნიშან-თვისებანი, რომელთა მიხედვით ხდება ამოცნობა. საგნების განლაგების შემდეგ მათ მიებმებათ მუყაო ან მკვრივი ქაღალდი, რომელზედაც აღინიშნება თითოეული ამოსაცნობი საგნის ნომერი. ამოცნობის ოქმში ფიქსირდება, თუ რომელი კონკრეტული საგანია წარმოდგენილი გარკვეული რიგითი ნომრით. ამოცნობის დაწყებამდე ამოსაცნობი საგნები, როგორც წესი, უნდა იყოს ფოტოგრაფირებული.

ამომცნობ პირს შეუძლია დააკვირდეს თითოეულ ამოსაცნობ საგანს, ხელში აიღოს იგი უფრო ზუსტი შესწავლის მიზნით და ამოცნობის შემთხვევაში დაასახელოს ის ნიშნები, რომელთა მიხედვით მოახდინა ამოცნობა.

<u>ცხოველების ამოცნობა.</u> შედარებით იშვიათად ხდება პრაქტიკაში ცხოველთა ამოცნობა. ამოცნობის ამ სახეს ადგილი აქვს ორ შემთხვევაში:

როდესაც ცხოველების ქურდობასთან გვაქვს საქმე ან როდესაც ცხოველი დაიკარგა და იგი აღმოჩენილ იყო სხვა პირთან. ცალკეულ შემთხვევაში გვხვდება დაკლულ ცხოველთა ტყავის ან თავის მიხედვით ამოცნობა. ცხოველთა ამოცნობა ხდება პროცესუალურ კანონით დადგენილ წესის საფუძველზე.

ამ სახის ამოცნობის მომზადება გულისხმობს ამომცნობი პირის წინასწარ დაკითხვას იმ ნიშნების შესახებ, რომელთა მიხედვით შეიძლება ამოცნობა; ერთგვაროვან ცხოველთა მოძებნას (ჯიშის, წლოვანების, სქესის და გარეგნული მსგავსების მიხედვით), რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ უნდა იყოს სპეციალისტი ექიმი-ვეტერინარი. როგორც წესი, ამოცნობის დაწყებამდე ცხოველები უნდა იყოს ფოტოგრაფირებული. ამომცნობს უნდა მიეცეს საშუალება კარგად დააკვირდეს ცხოველებს და ამოცნობის შემთხვევაში მიუთითოს იმ ნიშნებზე, რომელთა მიხედვით შეძლო ცხოველის ამოცნობა.

<u>ამოცნობა ფოტოსურათების მიხედვით.</u> ფოტოსურათების მიხედვით ამოცნობა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს შესაძლებლობა, რომ ამოსაცნობად წარდგენილ იყოს პიროვნება, გვამი, საგანი.

ამოსაცნობად შერჩეულ უნდა იყოს ისეთი ფოტოსურათები, რომლებიც ემსგავსებიან ამოსაცნობ ფოტოსურათს (ასაკის, სახის მოყვანილობის, თმისა და თვალების ფერით, ჩაცმულობით და განსაკუთრებული ნიშნებით). თუ ამის პრაქტიკული შესაძლებლობა არსებობს პიროვნებისა და გვამის ფოტოსურათი დამზადებულ უნდა იყოს ამოსაცნობი ფოტოსურათის დამზადების წესის დაცვით. წარსადგენი ფოტოსურათების რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

ზოგ შემთხვევაში ამოსაცნობად წარედგინებათ ჯგუფური ფოტოსურათები, სადაც ფიქსირებულია ამოსაცნობი პირი. მთავარი პირობა ის არის, რომ ფოტოსურათზე გამოსახულ იყოს პიროვნების, გვამის, საგნის ის ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები, რომელთა მიხედვით ხდება ამოცნობა.

ამოსაცნობი ფოტოსურათები უნდა დაკერდეს ან დაიწეროს ამოცნობის ოქმის ბლანკზე ან ქაღალდზე და დაინომროს. თუ ვინ და რომელი ნომრით არის გამოსახული ფოტოსურათებზე. ამის შესახებ მიეთითება ამოცნობის ოქმში. იმ შემთხვევაში, როდესაც ამოსაცნობი რამოდენიმე პირია ან საგანია ამოცნობა ხდება რიგრიგობით და არა ერთდროულად.

ამოცნობის შემთხვევაში ამომცნობი პირი ასახელებს იმ ნიშნებს, რომელთა შესახებ მან ადრე მისცა ჩვენება და რომლის მიხედვითაც მოახდინა ამოცნობა, ზოგ შემთხვევაში ფოტოსურათებზე ისრით მიეთითება ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც მოხდა ამოცნობა.

ამოცნობა კინო და ვიდეოფილმების მიხედვით. კინო და ვიდეოფილმების მიხედვით პიროვნების, საგნის ამოცნობა წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას. ამოცნობის ამ სახეს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია უშუალოდ პიროვნების ან საგნის წარდგენა ამოსაცნობად.

კინო და ვიდეოფილმების მიხედვით ამოცნობა მოითხოვს მომზადებას, რაც გამოიხატება შემდეგში. ამომცნობი წინასწარ უნდა დაიკითხოს იმ ნიშან-თვისებათა შესახებ, რომელთა მიხედვით იგი შეძლებს პიროვნების ან საგნის ამოცნობას; უნდა განისაზღვროს ის პირები, ვინც მონაწილეობას მიიღებენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს; უნდა შეირჩეს ადგილი და დრო ფილმის დემონსტრაციისათვის. ამოცნობის ოქმში აღინიშნება კინო და ვიდეოაპარატურის ტექნიკური მონაცემები, ფილმის მოკლე შინაარსი, კადრების სიჩქარე და ა.შ.

ფილმები შეიძლება იყოს მოყვარულის მიერ გადაღებული, სამხატვრო, დოკუმენტური და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს გადაღებული.

ფილმის ილუსტრაციის დაწყებამდე ამომცნობს, დამსწრეთა მონაწილეობით, განემარტება უფლებები და მოვალეობები და ფილმის ჩვენების მიზანი. უნდა მოხდეს არა ერთი, არამედ რამოდენიმე სხვადასხვა ფილმის ჩვენება. იმ შემთხვევაში, თუ რამოდენიმე ამომცნობია ფილმების ჩვენება ხდება ცალ-ცალკე თითოეული ამომცნობისათვის. ამომცნობის თხოვნით შეიძლება შეჩერდეს ფილმის დემონსტრაცია და ცალკეული ფრაგმენტები განმეორდეს. ამოცნობის შემთხვევაში პირი მიუთითებს იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვით მოხდა ამოცნობა.[2]

იშვიათ შემთხვევაში ადგილი აქვს ადგილმდებარეობისა და ნაგებობების ამოცნობას. ამოცნობის ეს სახე არ არის რეგლამენტირებული საპროცესო კანონმდებლობით, მაგრამ მისი ჩატარების დროს დაცულ უნდა

---

[2] .Эминов В.Е., Стенков В.А., Опознание по фотоснимкам, кинофильмам и рисункам на прдварительном следствии, М., 1973

იყოს პროცესუალური კანონის ის ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია ამოცნობის ჩატარებისათვის.[3]

§4 ამოცნობის შედეგების ფიქსაცია

ამოცნობის ოქმი წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ წყაროს, ამიტომ იგი უნდა იყოს შედგენილი ამ პროცესუალური დოკუმენტისათვის დადგენილი წესებისა და მოთხოვნათა მიხედვით. ოქმი ყოველმხრივად, სრულყოფილად და ობიექტურად უნდა ასახავდეს ამოცნობის პროცესს მთლიანად (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-ე, 164-ე მუხლები).

ოფიციალური მონაცემების გარდა ამოცნობის ოქმში უნდა მიეთითოს ამოცნობის სახე (პიროვნების ამოცნობის ოქმი, საგნის ამოცნობის ოქმი, გვამის ამოცნობის ოქმი და ა.შ.).

ამოცნობის ოქმში დაწვრილებით უნდა აღინიშნოს ამოცნობის ობიექტის ნიშან-თვისებები, ზოგადი და კერძო ნიშნები უნდა მიეთითოს ცალ-ცალკე ყოველი წარსადგენი პირის, საგნის, ცხოველისათვის. ოქმში აღინიშნება ამოცნობის ადგილის შესახებ, ამოცნობის დაწყებისა და დამთავრების დროის თაობაზე.

ამოცნობის ოქმში მიეთითება ამოცნობაში მონაწილე პირებისათვის უფლებებისა და მოვალეობათა განმარტების შესახებ და იმის თაობაზე, რომ მოწმე და დაზარალებული გაფრთხილებულნი იყვნენ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისათვის და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

ამოცნობის ოქმში უნდა მიეთითოს გამომძიებლის წინადადების შესახებ, რომ ამოსაცნობმა პირმა დაიკავოს ნებისმიერი ადგილი სხვა პირთა შორის. ასევე მიეთითება საგნებისა და ფოტოსურათების განლაგების შესახებ.

ოქმში უნდა აისახოს, გამომძიებლის წინადადება ამომცნობ პირისადმი, რომ იგი დააკვირდეს ამოსაცნობ ობიექტს და ამოცნობის შემთხვევაში დაწვრილებით მიუთითოს იმ ნიშანთა შესახებ, რომელთა მიხ-

---

[3] . Гапанович Н.Н., Опознание в судопроизводстве, Минск, 1975, с.44-47

ეფექტიანობა. ეს ნიშნები შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით უნდა იყოს შეტანილი ამოცნობის ოქმში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცნობის დროს გამოყენებულ იყო ტექნიკური საშუალებები (ფოტოგრაფირება, მაგნიტოფონი, კინოგადაღება, ვიდეომაგნიტოფონი) ამოცნობის ოქმში უნდა მიეთითოს ამ აპარატურის ტექნიკური დახასიათება, რა იყო და რამდენჯერ იყო გადაღებული.

ყოველი განცხადება ოქმის შედგენის ან ამოცნობის ჩატარების სისწორისა და ობიექტურობის შესახებ უნდა იყოს გამომძიებლის მიერ შეტანილი ამოცნობის ოქმში, მიუხედავად იმისა თუ ამოცნობის რომელი მონაწილე აკეთებს განცხადებას. ამოცნობის ოქმს ერთვის კინო, ვიდეო, მაგნიტოფონის ფირი, ფოტოსურათები, გეგმები და სქემები, თუ ასეთები გამოყენებულ ან შედგენილ იყო ამოცნობის პროცესში. ამოცნობის ოქმს ხელს აწერს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი.

XXIV თავი

ექსპერტიზის ჩატარების ტაქტიკა

§1 ექსპერტიზის ცნება და არსი

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის სპეციალური ცოდნა: ტარდება ექსპერტიზა, მოიწვევა სპეციალისტი, ინიშნება რევიზია, მოიწვევა კონსულტანტი. სპეციალური ცოდნის გამოყენების ძირითადი ფორმა არის ექსპერტიზის ჩატარება.

ექსპერტიზის დანიშვნა არის საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება, რომელიც ინიშნება საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით და ტაქტიკური ხერხების გათვალისწინებით იმ სპეციალურ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც აღმოცენდებიან გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას.

ექსპერტიზის ჩატარების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური ცოდნის გამოყენების საფუძველზე მიღებულ იყოს დასაბუთებული და მოტივირებული ექსპერტის დასკვნა, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ დამოუკიდებელ წყაროს. ექსპერტიზის ჩატარების მიზანია ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

სასამართლო ექსპერტიზის ძირითად სახეებს მიეკუთვნება სამედიცინო, ფსიქიატრიული, კრიმინალისტიკური, საბუღალტრო, ვეტერინარული, საქონელმცოდნეობის, ავტოტექნიკური, სახანძრო, ტექნიკური და ა.შ. სასამართლდო ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და სხვა სპეციალური ცოდნის გამოყენების ყველა შემთხვევაში, გარდა იურიდიული ცოდნის დარგში. ცოდნის ეს უკანასკნელი დარგი არ წარმოადგენს გამომძიებლისა და სასამართლოსათვის სპეციალური ცოდნის დარგს.

სასამართლო ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს სპეციალიზირებულ საექსპერტო დაწესებულებებში ან მისი ჩატარებისათვის შეიძლება მოწვეულ იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც არ ირიცხება საექსპერტო

დაწესებულებაში, მაგრამ მას გააჩნია სპეციალური ცოდნა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა გამო იგი ინიშნება ექსპერტად.

ექსპერტიზა შეიძლება იყოს პირველადი, დამატებითი და განმეორებითი. პირველადი ექსპერტიზა ეს ისეთი ექსპერტიზაა, რომელიც ტარდება პირველად სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის დროს წამოჭრილი სპეციალური საკითხების გადასაწყვეტად. დამატებითი ექსპერტიზა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის დროს ექსპერტის წინაშე არ იყო დასმული ყველა საჭირო საკითხი ან ექსპერტმა პასუხი არ გასცა მის წინაშე დასმულ ყველა საკითხს, ანდა ექსპერტის დასკვნა არ არის სრული და ნათელი. განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის კრიტიკული შეფასების შედეგად გამომძიებელი (სასამართლო) მივა დასკვნამდე, რომ ექსპერტის დასკვნა არის დაუსაბუთებელი, მისი სისწორე იწვევს ეჭვს, იგი ეწინააღმდეგება საქმეზე მოპოვებულ ობიექტურ მასალებს ან ექსპერტიზა ჩატარებულ იყო საპროცესო კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

ექსპერტიზა შეიძლება იყოს ერთპიროვნული და კომისიური. ერთპიროვნული გამოკვლევა გულისხმობს ექსპერტიზის ჩატარებას მხოლოდ ერთი ექსპერტის მიერ. პირველადი ექსპერტიზა, როგორც წესი, ტარდება ერთი ექსპერტის მიერ, მაგრამ გამომძიებლის (სასამართლოს) მითითებით ან საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით იგი შეიძლება ჩატარდეს რამოდენიმე ექსპერტის მიერ. კომისიური ექსპერტიზა ისეთი გამოკვლევაა, როდესაც მას ატარებს რამოდენიმე ექსპერტი (ორი, სამი და ა.შ.), რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა ერთ დარგში. განმეორებითი ექსპერტიზა, როგორც წესი, ტარდება კომისიურად, თუმცა საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 70-ე მუხლი უშვებს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას ერთი ექსპერტის მიერაც.

კომისიური ექსპერტიზის დროს, კომისიის თითოეული წევრი ცალკე ატარებს გამოკვლევას, რის შემდეგ კომისიის წევრები მოითათბირებენ და შეთანხმულობის შემთხვევაში ყველა ისინი იძლევიან ერთ დასკვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის თითოეული წევრი ცალკე იძლევა დასკვნას და პასუხისმგებელია მისი დასკვნის სისწორეზე.

განასხვავებენ აგრეთვე ერთგვაროვნულ და კომპლექსურ ექსპერტიზას. ერთგვაროვნულია ექსპერტიზა, როდესაც გამოკვლევის პროცესში გამოიყენება ერთი დარგის სპეციალური ცოდნა. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვლევის პროცესში გამოიყენება ორი ან მეტი მომიჯნავე დარგების სპეციალური ცოდნა, ადგილი აქვს კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებას.

ექსპერტი ატარებს გამოკვლევას მხოლოდ თავისი სპეციალური ცოდნის ფარგლებში და მას უფლება არა აქვს გასცილდეს ამ ფარგლებს: გადაწყვიტოს სხვა სპეციალური დარგის საკითხები, შეასრულოს საგამოძიებო მოქმედებანი ან გადაწყვიტოს სამართლებრივი საკითხები.

ექსპერტიზის ჩატარებას არეგლამენტირებს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 70-ე–73-ე, 184-ე–199-ე, 290-ე–292-ე მუხლები. ძირითადი მოთხოვნები, რომელიც დაცულ უნდა იყოს ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოიხატება შემდეგში: ექსპერტიზის დანიშვნა უნდა მოხდეს საპროცესო კანონით დადგენილ ნორმათა მტკიცე და განუხრელი დაცვით; ექსპერტიზის ჩატარების დროს უნდა იყოს გამოყენებული სპეციალური ცოდნა; ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ გამომძიებლის (მომკვლევი პირის, პროკურორის) დასაბუთებული დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფეძველზე; ექსპერტი დამოუკიდებელია და პირადი პასუხისმგებელია ჩატარებული გამოკვლევისათვის; ექსპერტიზის ობიექტები ექსპერტმა პირადად და დამოუკიდებლად უნდა გამოიკვლიოს: გამოკვლევა უნდა ჩატარდეს სრულყოფილად, ყოველმხრივად და ობიექტურად; გამოკვლევის შედეგად უნდა შედგეს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა.

§2 ექსპერტიზის დანიშვნის მომზადება და ტაქტიკა

ექსპერტიზის დანიშვნა არის რთული საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება, რადგან მისი დანიშვნის დროს უნდა გადაწყდეს მთელი რიგი პროცესუალური და ტაქტიკური საკითხები. ექსპერტიზის მოფიქრებულ მომზადებასა და დანიშვნაზე დამოკიდებულია ექსპერტიზის ჩატარების ყოველმხრივობა და სასრულე, ექსპერტის დასკვნის დასაბუთებულობა.

ექსპერტიზის დანიშვნა ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ტაქტიკურ საკითხს და მას წყვეტს გამომძიებელი (სასამართლო) საქმის კონკრეტულ გარემოებათა და ექსპერტის მიერ დასადგენი ფაქტების მნიშვნელობის გათ-

ვალისწინებით. მაგრამ ამავე დროს საპროცესო კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნა არ არის დამოკიდებული გამომძიებლის შეხედულებაზე და მისი ჩატარება კანონით არის სავალდებულო.

ექსპერტიზის დანიშვნის სავალდებულო შემთხვევები გათვალისწინებულია სსს კოდექსის 71-ე მუხლით და მას მიეკუთვნება: ა)სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის დადგენა; ბ)ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა; გ)მოწმისა და დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გარკვევა იმ საკითხის გადასაწყვეტად შეუძლიათ თუ არა მათ სწორად აღითქვან გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და მისცენ მათ შესახებ სწორი ჩვენებები; დ)ასაკის დადგენა, როდესაც არ არსებობს ასაკის დამადასტურებელი საბუთი (დაბადების მოწმობა). ზოგიერთი რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს ექსპერტიზის დანიშვნის სხვა სავალდებულო შემთხვევებსაც. მაგალითად, უზბეკეთის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ექსპერტიზის სავალდებულო დანიშვნას დაზარალებულის სქესობრივი სიმწიფის დასადგენად (მუხლი 67-ე). აზერბაიჯანის საპროცესო კოდექსი — როდესაც ბრალდებული არ ეთანხმება ჩატარებული რევიზიის შედეგებს (73-ე მუხლი). ლატვიის საპროცესო კოდექსი — ფულისა და ფასიანი ქაღალდების სიყალბის დასადგენად (მუხლი 86-ე).

პრაქტიკა აფართოვებს ექსპერტიზის სავალდებულო დანიშვნის შემთხვევებს. იგი აუცილებლად ინიშნება მაგალითად: გაუპატიურების საქმეებზე ვენერიული სენის გადადების ფაქტზე, რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის კატასტროფის მიზეზის დასადგენად, ცუდი და არაკომპლექსური პროდუქციის დასადგენად.

ექსპერტიზის დანიშვნას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც გამომძიებლის (სასამართლოს) ინიციატივით, ისე პროცესის შესაბამისი მონაწილეთა შუამდგომლობის საფუძველზე ანდა პროკურორის მითითების შესაბამისად. ექსპერტიზის დანიშვნის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული ტაქტიკური ხასიათის მოსაზრებანი. მაგალითად, ექსპერტიზა არ უნდა დანიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტის მიერ დასადგენი ფაქტი უკვე ობიექტურად არის დადგენილი სხვა მტკიცებულებებით; როდესაც წინასწარ ცნობილია, რომ ექსპერტიზის შედეგებს არავითარი მნიშვნელობა

არა აქვს საქმისათვის; როდესაც ცნობილია, რომ ექსპერტი ვერ გადაწყვეტს მის წინაშე დასმულ საკითხს მეცნიერულად დამუშავებული მეთოდიკის არარსებობის გამო; როდესაც ცნობილია, რომ გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტების სიმცირისა და უხარისხობის გამო ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია; როდესაც ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტა არ მოითხოვს სპეციალური ცოდნის გამოყენებას ან სცილდება ექსპერტის კომპეტენციის ფარგლებს.

ექსპერტიზის დანიშვნის ერთ-ერთ ტაქტიკურ საკითხს წარმოადგენს მისი დანიშვნის მომენტის (დროს) სწორი განსაზღვრა. ექსპერტიზის დანიშვნა არ არის გადაუდებელი და ოპერატიული საგამოძიებო მოქმედება, მაგრამ მისი დანიშვნის გაჭიანურებას შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი შედეგი: ექსპერტიზის ობიექტების დაზიანება, განადგურება; გამოძიების უსაფუძვლოდ გახანგრძლივება; გამოძიების ცალმხრივობა და არასისრულე. ამავე დროს არ შეიძლება მისი დანიშვნა იმ მომენტამდე ვიდრე არ იქნება მომზადებული გამოსაკვლელი ობიექტები და შესადარებელი ნიშნები.

ექსპერტიზის დანიშვნის დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამოსაკვლევი ობიექტების მომზადება. უმრავლეს შემთხვევაში ექსპერტიზის გამოსაკვლევი ობიექტების ამოღება და მოპოვება ხდება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შედეგად. ექსპერტიზის ობიექტები (საგანი, კვალი, დოკუმენტი, სითხე, გვამი) უნდა იყოს დეტალურად დათვალიერებული და დაწვრილებით აღწერილი საგამოძიებო მოქმედების ოქმში. მათი აღწერა უნდა მოხდეს იმდენად დაწვრილებით, რომ პრაქტიკულად გამორიცხულ იყოს გამოსაკვლევი ობიექტების შერევა ან შეცვლა სხვა ანალოგიური ობიექტებით. როდესაც ექსპერტიზის გამოსაკვლევ ობიექტს წარმოადგენს ნივთიერმტკიცებულება გამომძიებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისი დადგენილება (სსს კოდექსის 75-ე მუხლი), ამ დადგენილებით ნივთიერ მტკიცებულებად ცნოს ექსპერტიზის გამოსაკვლევი ობიექტი და დაურთოს იგი სისხლის სამართლის საქმეს.

ექსპერტს გამოსაკვლევად უნდა გადაეგზავნოს შესაბამისად შეფუთული გამოსაკვლევი ობიექტი ან მისი პირი (კვალისაგან დამზადებული ტვიფარი). თითის, ფეხის, სატრანსპორტო საშუალებათა, გატეხის იარაღთა და ინსტრუმენტთა კვალიდან ტვიფარის დამზადების პროცესი სრულყო-

ფილად და ობიექტურად უნდა იყოს აღწერილი შესაბამის საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

ექსპერტიზის დანიშვნის მომზადება გულისხმობს გამოსაკვლევი ობიექტების გარდა შესადარებელი ნიმუშების მომზადებასაც. ექსპერტიზის ჩატარების დროს შესადარებელი ნიმუშები დარდება გამოსაკვლევ ობიექტებს (ხელნაწერს, გასროლილ ტყვიას ან მასრას, თითისა და ფეხის კვალს და ა.შ.).

ნიმუშების აღმოჩენა და მიღება ხდება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს ან ისინი ჩამოერთმევა პირს. ნიმუშების ჩამორთმევა შედარებითი გამოკვლევისათვის წარმოებს გამომძიებლის შესაბამისი დადგენილების გამოტანის საფუძველზე. ნიმუშები ჩამოერთმევა ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოწმესა და დაზარალებულს. ნიმუშების მიღების პროცესი უნდა აისახოს ნიმუშების მიღების ოქმში. შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 186-ე მუხლი. ნიმუშების მიღების დროს შესაძლებელია მოწვეულ იყოს სპეციალისტი. მაგრამ თუ ხდება ადამიანის გამონაყოფის ნიმუშების მიღება (სისხლი, სპერმა, ნერწყვი და ა.შ.) აუცილებლად უნდა იყოს მოწვეული სპეციალისტი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული კანონში.

ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნის დროს უნდა მომზადდეს ორი სახის ნიმუშები: თავისუფალი და ექსპერიმენტული. თავისუფალია ისეთი ნიმუშები, რომლებიც მიღებულია მოცემულ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და დაკავშირებული არ არის საქმესთან. ექსპერიმენტულია ნიმუშები, როდესაც ისინი საგანგებოდ არის მიღებული გამოკვლევის ჩასატარებლად.

იმისათვის, რომ ნმუშები შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად იყოს ვარგისი და სრული ისინი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მიღებულ იყოს როგორც თავისუფალი, ისე ექსპერიმენტული ნიმუშები; ნიმუშები მიღებულ უნდა იყოს იგივე პირობებში, როგორც გამოსაკვლევი ობიექტი; ნიმუშები მიღებულ უნდა იყოს იმავე პერიოდში, როგორც გამოსაკვლევი ობიექტი, ნიმუშები მიღებულ უნდა იქნას სწრაფად და ოპერატიულად.

ექსპერტიზის გამოსაკვლევი ობიექტები და ნიმუშები, გარდა აღნიშნულისა, უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს, კერძოდ: ა)ექსპერტიზის მასალებად გამოყენებულ იყოს ისეთი ობიექტები, რომელთა სინამდვილე ეჭვს არ იწვევს, ე.ი. ისეთი ობიექტები, რომლებიც წარმოიშვნენ დანაშაულის ჩადენის დროს, დაკავშირებულნი არიან მასთან და წარმოიქმნებიან ორიგინალური ობიექტებისაგან; ბ)ექსპერტიზის მასალები უნდა იყოს ვარგისი გამოკვლევისა და შედარებისათვის; დ)ისინი უნდა იყოს ამოღებული ან მიღებული მაქსიმალურად ოპერატიულად; ე)ექსპერტიზის მასალები უნდა იყოს ამოღებული ან მიღებული საპროცესო კანონით დადგენილი წესების დაცვით.

ექსპერტიზის დანიშვნის მომზადება და ტაქტიკა გულისხმობს იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ რა ფარგლებში უნდა გაეცნოს ექსპერტს სისხლის სამართლის საქმის მასალები. სისხლის სამართლის მასალების ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ექსპერტიზისა. ექსპერტიზის მასალების ქვეშ იგულისხმება გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტები და სისხლის სამართლის საქმის ის მასალები, რომელთა შესწავლის საფუძველზე ექსპერტს შეუძლია დაადგინოს დასკვნის მიცემისათვის საჭირო ფაქტიური მონაცემები. აქედან გამომდინარე ტაქტიკურად არასწორია, როდესაც ექსპერტს ეგზავნება არა მხოლოდ ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული მასალები, არამედ სისხლის სამართლის საქმე მთლიანად, მიუხედავად იმისა დაკავშირებულია თუ არა საქმის ყველა მასალა ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებებთან.

მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნის დროს უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპით: ექსპერტის განკარგულებაში გადაგზავნონ საქმის მხოლოდ ის მასალები, რომლებშიც ასახულია ფაქტიური მონაცემები და ეს მონაცემები მიზეზობრივ კავშირშია ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან, გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტების აღმოჩენასთან, მათ ამოღებასა და ცვალებადობასთან.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დროს, მაგალითად, ექსპერტს, როგორც წესი, უნდა გადაეგზავნოს სისხლის სამართლის საქმის შემდეგი მასალები: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სადაც აღმოჩენილ იყო სხვადასხვა სახის კვალი და ნივთიერი მტკიცებულება (ექსპერტიზის გამოსაკვლევი ობიექტი); გამოსაკვლევი და შესადარებელი

ობიექტების ამოღების (ჩამორთმევის) ოქმები; ექსპერიმენტული ნიმუშების ჩამორთმევის ოქმი და ა.შ.

ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი დაესწროს თუ არა იგი ექსპერტიზის ჩატარებას. კანონის ძალით გამომძიებელს უფლება აქვს დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ გვამის გაკვეთასთან დაკავშირებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს გამომძიებლის დასწრება, როგორც წესი, საეალდებულოა (მუხლი 185-ე). ეს საკითხი არის ტაქტიკური და მას წყვეტს გამომძიებელი კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით.

გვამის სასამართლო-სამედიცინო ეკსპერტიზას საჭიროა დაესწროს გამომძიებელი რადგან იგი არის პირველდაწყებითი მოქმედება. ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი საქმის გარემოება, სიკვდილის მიზეზი, არ არის აგებული საგამოძიებო ვერსიები და სხვა. თვით ექსპერტი კიდევ უფრო ნაკლებად არის გათვითცნობიერებული საქმის მასალებში. ყოველივე ამას კი შეუძლია მიგვიყვანოს გამოკვლევის ცალმხრიობამდე. ექსპერტს შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმ ფაქტს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. გვამის გაკვეთის დროს შესაძლებელია გვამიდან ამოღებულ იყოს ისეთი საგნები და ნივთები (ტყვია, საწამლავი), რომელთა პროცესუალური გაფორმებაც საჭიროა გამომძიებლის მიერ.

გამომძიებელი უნდა დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას, როდესაც მის ჩატარებაში მონაწილეობას ღებულობს ბრალდებული. ბრალდებულის დასწრების საკითხი ხშირად წამოიჭრება ისეთი სახის ექსპერტიზის დანიშვნისას, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებულის სამსახურეობრივ მოღვაწეობის გამოკვლევასთან (მაგალითად, საბუღალტრო, საქონელმცოდნეობის, ფინანსური ექსპერტიზა). ისეთი ექსპერტიზის დანიშვნის დროს, რომელიც ატარებს ლაბორატორიული გამოკვლევის ხასიათს გამომძიებლის ან ბრალდებულის დასწრება, როგორც წესი, არ არის საჭირო (მაგალითად, დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური, ხელნაწერების გამოკვლევა და ა.შ.).

ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკურ საკითხს წარმოადგენს იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ სად უნდა დაინიშნოს გამოკვლევის ჩატარება: სპეკიალიზირებულ საექსპერტო დაწესებულებაში, თუ ამ მიზნით მოწვეულ უნდა იყოს პირი, რომელიც არ ირიცხება აღნიშნულ დაწესებულებაში.

ტაქტიკური თვალსაზრისით უმჯობესია ექსპერტიზა დაინიშნოს სპეციალიზირებულ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში, რადგან იქ მუშაობენ კვალიფიციური ექსპერტები, არის სათანადო ტექნიკური საშუალებები, დამუშავებული და აპრობირებული გამოკვლევის მეთოდიკა. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილია სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებათა ქსელი. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, ავტოტექნიკური და საბუღალტრო ექსპერტიზები და ზოგიერთი სხვა სახის გამოკვლევები ტარდება სპეციალიზირებულ საექსპერტო დაწესებულებებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტად შეიძლება მოწვეულ იყოს პირი, რომელიც არ მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს იმ დროს, როდესაც საექსპერტო დაწესებულებაში არ არის კონკრეტული დარგის სპეციალისტი (ექსპერტი), როდესაც ბრალდებულის შუამდგომლობის, გამომძიებლის გადაწყვეტილების ან პროკურორის მითითების საფუძველზე საჭირო ხდება ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს ექსპერტს, რომელიც არის კვალიფიციური სპეციალისტი სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო დაწესებულებებში, ხელოვნების დარგში და ა.შ. ექსპერტი, როგორც ფიზიკური პირი, უშუალოდ აგებს პასუხს ჩატარებული გამოკვლევის შედეგებისათვის მიუხედავად იმისა ირიცხება თუ არა იგი სპეციალიზირებულ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში.

ექსპერტიზის დანიშვნის ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არის ერთად-ერთი პროცესუალური დოკუმენტი და იურიდიული საფუძველი ექსპერტიზის ჩატარებისათვის. კანონის ძალით (მუხლი 184-ე) დადგენილებაში უნდა აღინიშნოს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის გვარი ან საექსპერტო დაწესებულების დასახელება, კითხვები, რომელიც ექსპერტმა უნდა გადაწყვიტოს, გამოსაკვლევი ობიექტები და ნიმუშების ნუსხა, რომელიც ექსპერტს ეგზავნება.[1]

---

[1]. ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების მოთხოვნათა შესახებ იხ. ა.ფალიაშვილი, დ.ცინცაძე, გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის აქტები, თბილისი, 1988, გვ.176-192.

ექსპერტიზის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა შედის გამომძიებლის უფლებამოსილებაში და ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას არ სჭირდება არავის თანხმობა და სანქცია. პროკურორის სანქცია ექსპერტიზის დანიშვნისათვის საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინიშნება სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და ეჭვმიტანილი ან ბრალდებული არ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში (მუხლი 190-ე). ამ შემთხვევაში პროკურორის სანქცია იმისათვის არის საჭირო, რომ ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით პირს ეზღუდება თავისუფლება. სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა ჩაითვლება პატიმრობის ვადაში.

გამომძიებელი ვალდებულია გააცნოს ბრალდებულს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და განუმარტოს მას უფლებები ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. დადგენილება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არ გამოეცხადება ბრალდებულს თუ ეს შეუძლებელია ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამო (მუხლი 187-ე). ბრალდებულისათვის ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების გაცნობისა და მისი უფლებების განმარტების შესახებ აღინიშნება თვით დადგენილებაში, რასაც ხელისმოწერით ადასტურებს ბრალდებული. თუ ბრალდებული აღძრავს შუამდგომლობას ან გააკეთებს განცხადებას ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში გამომძიებელი ადგენს შესაბამის ოქმს, რომელშიც აღინიშნება ბრალდებულის შუამდგომლობის ან განცხადების შინაარსი.

§3 ექსპერტის დასკვნა და მისი შეფასების ძირითადი პირობები

გამოკვლევის ჩატარების შედეგად ექსპერტი ადგენს დასკვნას, რომელშიც აღწერილია ექსპერტიზის ჩატარების პროცესი, გამოსაკვლევი ობიექტების ზოგადი და კერძო ნიშნები, შეფასებულია გამოკვლევის შედეგები და გაკეთებულია დასკვნა კონკრეტული ფაქტის შესახებ. ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ დამოუკიდებელ წყაროს და პროცესუალურ დოკუმენტს.

დასკვნის შედგენა აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტი ატარებს გამოკვლევას. იგი წარმოადგენს წერილობით პროცესუალურ დოკუმენტს. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 192-ე მუხ-

ლში მითითებულია, რომ "დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობით და ექსპერტის ხელის მოწერით". იმ შემთხვევაში, როდესაც დასკვნის მიცემა შეუძლებელია იმის გამო, რომ ექსპერტს ვერ გადაეცა საკმარისი გამოსაკვლევი მასალა ექსპერტი ადგენს არა დასკვნას, არამედ ცნობას დასკვნის მიცემის შეუძლებლობის შესახებ, რომელიც ასევე უნდა იყოს წერილობით შედგენილი.

ექსპერტის დასკვნის მოთხოვნები. ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო და პროცესუალური დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს.

ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს შედგენილი პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელი დაცვის საფუძველზე. შესაძლებელია, რომ ექსპერტის დასკვნა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული, მაგრამ თუ იგი მიღებულია კანონის დარღვევით, მას არა აქვს მტკიცებულებითი ძალა და მნიშვნელობა. ძირითადი პროცესუალური მოთხოვნები, რომლებიც წარედგინება ექსპერტის დასკვნას, მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 192-ე, 70-ე-73-ე მუხლებში.

ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს შედგენილი ობიექტურად. ექსპერტის დასკვნის შედგენის ობიექტურობა ნიშავს იმას, რომ ექსპერტმა გამოკვლევის პროცესი უნდა ასახოს თავის დასკვნაში ზუსტად, თანმიმდევრულად და სრულად. თვით ექსპერტი არ უნდა იყოს პირადად დაინტერესებული საქმის შედეგებით. ექსპერტს უფლება არა აქვს თავის დასკვნაში არ უჩვენოს ის რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, არ ასახოს ისეთი საიდენტიფიკაციო ნიშან-თვისებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სწორი დასკვნის მიცემისათვის.

ექსპერტმა გამოკვლევა უნდა ჩაატაროს ყოველმხრივად და სრულყოფილად. ყოველმხრივად და სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს გამოკვლევა იმ შემთხვევაში, როდესაც სრულად და ყოველმხრივად არის აღწერილი გამოკვლევის პროცესი; როდესაც ექსპერტმა გამოკვლევის დროს გამოიყენა ყველა საჭირო მეთოდი და მის წინაშე დასმულ კითხვებს გასცა სრული და დასაბუთებული პასუხები.

ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული და მოტივირებული. გამოკვლევის შედეგად ექსპერტმა არა მარტო უნდა დაადგინოს გარკვეული ფაქტი, არამედ მეცნიერულად დაასაბუთოს ამ ფაქტის არსებობა. დასკვნაში

მოყვანილ უნდა იყოს ისეთი არგუმენტები და მოტივები, რომლებიც ასაბუთებენ ექსპერტის მიერ დადგენილ ფაქტის არსებობას და ობიექტურობას. ექსპერტის მოსაზრება დასკვნის სისწორის შესახებ არასოდეს არ უნდა იყოს მისი ფანტაზიის ნაყოფი ან სუბიექტური შეხედულება.

ექსპერტის დასკვნის ლოგიკურობა. ექსპერტის დასკვნის შედგენის დროს ლოგიკური აზროვნების კანონების დაცვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას. ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს შედგენილი ლოგიკური თანამიმდევრობით, მასში არ უნდა იყოს საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება. ლოგიკურობა არ გამორიცხავს იმას, რომ ექსპერტის დასკვნაში მოყვანილ იყოს გამოსაკვლევი ობიექტის როგორც განმასხვავებელი, ისე დამთხვევის ნიშნები. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის ვალდებულობას წარმოადგენს შეაფასოს ეს წინააღმდეგობა, დაადგინოს ნიშან-თვისებათა დამთხვევის ან სხვაობის შემთხვევითობა და თავის დასკვნას საფუძვლად დაუდოს ისეთი ნიშნები, რომლებიც ქმნიან სხვა შემთხვევაში განუმეორებელ კომპლექსს.

ექსპერტის კომპეტენცია. ექსპერტმა დასკვნა უნდა მისცეს მხოლოდ თავის კომპეტენციის ფარგლებში, ე.ი. იმ სპეციალური ცოდნის ფარგლებში, რომელიც მას გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტი ვალდებულია უარი განაცხადოს გამოკვლევის ჩატარებაზე. ექსპერტის დასკვნაში არ უნდა იყოს გადაწყვეტილი იურიდიული საკითხები, კერძოდ ისეთები როგორიცაა: მკვლელობა, თვითმკვლელობა, უბედური შემთხვევა, სახის დასახიჩრება, დოკუმენტის სიყალბე, სპირტიანი სასმელების ფალსიფიკაცია, ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით თუ განზრახ გასროლა, ქონების გაფლანგვა და ა.შ. სამართლებრივი საკითხები უნდა გადაწყვიტოს უშუალოდ გამომძიებელმა (სასამართლომ) და არა ექსპერტმა თავის დასკვნაში.

ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრული. ექსპერტის დასკვნას ეცნობა არა მხოლოდ იურისტები, არამედ პროცესის ისეთი მონაწილენი, რომელთაც შეიძლება სათანადო განათლება არა აქვთ, ამიტომ ექსპერტის დასკვნა უნდა იყოს ნათელი, გასაგები და განსაზღვრული. დასკვნაში ექსპერტმა შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს არ გამოიყენოს სპეციალური ტერმინები, უცხო სიტყვები. ერთი და იგივე ცნება უნდა გამოხატოს ერთი ტერმინით. ექსპერტის დასკვნის განსაზღვრულობა გულისხმობს,

რომ დასკვნა არ უნდა შეიცავდეს ორაზროვან გამოთქმებსა და წინადადებებს.

ექსპერტის დასკვნის თვალსაჩინოება. ექსპერტის დასკვნის თვალსაჩინოება გულისხმობს იმას, რომ დასკვნა იყოს ილუსტრირებული ფოტოსურათებით, ნახაზებით, სქემებით. ასეთი დასკვნა აადვილებს მის კრიტიკულ შეფასებას.

ექსპერტის დასკვნის ფორმები. ექსპერტის დასკვნა მის წინაშე დასმულ კითხვებზე შეიძლება ფორმირებულ იყოს სხვადასხვა სახით (ფორმით). ექსპერტის დასკვნის ფორმებს მიეკუთვნება: ექსპერტის კატეგორიული დასკვნა; დასკვნა ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ; ექსპერტის ალბათობითი (სავარაუდო დასკვნა).

ექსპერტის კატეგორიული დასკვნა შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ფორმებში: კატეგორიული დადებითი დასკვნა, კატეგორიული უარყოფითი დასკვნა, დასკვნა ჯგუფური კუთვნილების დადგენის შესახებ, პირობითი დასკვნა.

ექსპერტის კატეგორიული დასკვნა ადგენს (ან ვერ ადგენს) ინდივიდუალურ, გარკვეულ ფაქტს (ობიექტს) ან განსაზღვრავს ობიექტის ჯგუფურ კუთვნილებას. როდესაც ექსპერტი იძლევა კატეგორიულ დასკვნას იგი დარწმუნებული უნდა იყოს მის ჭეშმარიტებაში, რაც ეფუძვნება გამოკვლევის ჩატარების ობიექტურობას, ყოველმხრივობას და სისრულეს. ასეთ დასკვნას წარმოადგენს მაგალითად დასკვნა იმის შესახებ, რომ გამოსაკვლევ დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია ი.-ს მიერ.

ასეთი დასკვნიდან ჩვენ უნდა განვასხვავოთ ექსპერტის კატეგორიული დასკვნის მეორე ფორმა, კერძოდ, ჯგუფური კუთვნილების დადგენა. ამ დასკვნას ყოველთვის საფუძვლად უდევს არა კერძო ნიშან-თვისებათა განუმეორებელი ერთობლიობა, არამედ ჯგუფური ნიშნები, რაც საშუალებას იძლევა მივაკუთვნოთ გამოსაკვლევი ობიექტი გარკვეულ ჯგუფს, სისტემას, სახეს, ზომას. ამ დასკვნას მიეკუთვნება მაგალითად დასკვნა იმის შესახებ, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სისხლი და ბრალდებულის სისხლი მიეკუთვნება ერთი და იგივე, მეორე ჯგუფს. მაგალითად, ტყვია გასროლილია მაკაროვის სისტემის იარაღიდან და ა.შ.

ექსპერტის პირობითი (ალტერნატული) დასკვნა არის კატეგორიული დასკვნის ისეთი ფორმა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული პირობების

არსებობასთან. პირობით დასკვნას ექსპერტი იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ფაქტის შესახებ მას ეცნობება სხვადასხვა მონაცემები. ექსპერტის დასკვნა ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულია კონკრეტულ პირობასთან. მაგალითად, ექსპერტის წინაშე დასმულია საკითხი: შეეძლო თუ არა მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით აეცდინა საგზაო შემთხვევა, თუ ავტომობილი მიდიოდა 60 კმ სიჩქარით და შეეძლო თუ არა მას აეცდინა საგზაო შემთხვევა, თუ ავტომობილი მიდიოდა 100 კმ სიჩქარით. ექსპერტის დასკვნა ასეთ შემთხვევაში შეიძლება იყოს პირობითი. კერძოდ, მძღოლს შეეძლო საგზაო შემთხვევის აცდენა თუ ავტომობილი მიდიოდა 60 კმ სიჩქარით და მას არ შეეძლო საგზაო შემთხვევის აცდენა თუ ავტომობილი მიდიოდა 100 კმ სიჩქარით.

- ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტი იძულებულია მისცეს დასკვნა მის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ. ექსპერტის ასეთი დასკვნა ყოველთვის უნდა ემყარებოდეს გამოკვლევის შედეგებს, იყოს დასაბუთებული და მოტივირებული. მაგრამ თუ ექსპერტიზის მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საკითხი გადაწყდეს კატეგორიულ ფორმაში, ექსპერტს უფლება არა აქვს ფანტაზიას მიჰყოს ხელი და მისცეს კატეგორიული დასკვნა მაშინ, როდესაც საამისოდ არ არსებობს ობიექტური პირობები. ძირითადი მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ექსპერტის დასკვნას საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ შემდეგია: გამოსაკვლევი ობიექტების უხარისხობა და არასაკმარისობა; ექსპერტიზის ჩატარებისათვის საწყისი მონაცემების არასისრულე; მეცნიერულად დაუმუშავებელი გამოკვლევის მეთოდიკა და სხვ.

კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პრიცესში მეტად სადაოა საკითხი ექსპერტის დასკვნის ისეთი ფორმის შესახებ, როგორიცაა სავარაუდო (ალბათობითი) დასკვნა. ის ავტორები, რომლებიც უშვებენ ექსპერტის სავარაუდო დასკვნას თვლიან, რომ ასეთ დასკვნას სარგებლობა მოაქვს გამოძიებისათვის, ვინაიდან ეხმარება გამომძიებელს ვერსიის აგებაში.

ასეთი მოსაზრება არ არის სწორი, რადგან ექსპერტიზის დანიშვნის მომენტში უკვე არსებობს სათანადო ვერსია და სწორედ ამ ვერსიის შემოწმების მიზნით ინიშნება ექსპერტიზა. ექსპერტის სავარაუდო დასკვნა არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც მტკიცებულება, რადგან მტკიცებულება ყოველთვის არის ობიექტურად არსებული და დადგენილი ფაქტი.

ალბათობითი დასკვნა არის ვარაუდი ფაქტის შესახებ. ყოველგვარი ალბათობა არ გამორიცხავს საწინააღმდეგო მტკიცებას.

ექსპერტის ალბათობითი დასკვნა ასევე არ წარმოადგენს არაპირდაპირ (ირიბ) მტკიცებულებას, რადგან არაპირდაპირი მტკიცებულება ყოველთვის არის ობიექტურად არსებული და დადგენილი ფაქტი, რომელთა მნიშვნელობა განისაზღვრება სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში. ალბათობითი დასკვნა არის ვარაუდი ფაქტის შესახებ და არა დადგენილი ფაქტი კატეგორიულ დადებით ან უარყოფით ფორმაში. ალბათობით დასკვნაზე არ შეიძლება დამყარდეს საბრალდებო დასკვნა ან განაჩენი. ყოველგვარი ვარაუდი წყდება ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ. განაჩენი (საბრალდებო დასკვნა) შეიძლება აიგოს მხოლოდ ჭეშმარიტად დადგენილ ფაქტებზე და არა ვარაუდზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ექსპერტის სავარაუდო (ალბათობით) დასკვნას არა აქვს არავითარი მტკიცებულებითი მნიშვნელობა და ძალა არც მარტო აღებულს, არც საქმეზე მოპოვებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში.

ექსპერტის დასკვნის შეფასების ძირითადი პირობები. ექსპერტის დასკვნის შეფასება წარმოადგენს აუცილებელ პირობას. ექსპერტის დასკვნის პროცესუალურ ძალასა და მნიშვნელობას განსაზღვრავს გამომძიებელი (სასამართლო) მხოლოდ მისი კრიტიკული შეფასების საფუძველზე და საქმეზე მოპოვებულ სხვა მასალათა ერთობლიობაში.

ექსპერტის დასკვნის შეფასება თავდაპირველად ხდება იზოლირებულად. ასეთი ანალიზის საფუძველზე უნდა შეფასდეს ექსპერტის დასკვნის დასაბუთებულება და მოტივირება, თვით ექსპერტის ობიექტურობა და კომპეტენტურობა, აგრეთვე ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელი დაცვის საკითხი. შესაძლებელია, რომ ექსპერტის დასკვნა იყოს დასაბუთებული და მოტივირებული, მაგრამ თუ იგი ჩატარებულია კანონის მოთხოვნის არსებითი დარღვევით, მას არა აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

ექსპერტის დასკვნის შეფასების დროს ყურადღება უნდა დაეთმოს ექსპერტიზის მასალების (გამოსაკვლევი ობიექტისა და ნიმუშების) შესწავლას. კერძოდ უნდა გადაწყდეს საკითხი გამოიკვლია თუ არა ექსპერტმა

ᲩᲓᲕᲘᲚᲘ. ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲐᲪᲔᲛᲐᲓ.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲗᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ: ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲣᲚ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ; ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ, ᲛᲝᲪᲔᲚᲚ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲔᲡᲐ ᲗᲣ ᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲐ; ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ; ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ; ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲙᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ.

ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲡ ᲔᲙᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ. ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲘᲒᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ: ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲝᲠ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ; ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ; ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚ ᲓᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲡ ᲛᲐᲗ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲑᲐᲨᲘ. ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ (ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ) ᲐᲠ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲓᲔᲡ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲨᲘ, ᲓᲔᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

IV განყოფილება

დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა

XXV თავი
დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ზოგადი დებულებები

§1 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ცნება

ყოველი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, მთელი თავისი მარტივი და რთული მექანიზმით გარკვეული ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება და აქედან გამომდინარე მისი გამოძიებაც ინდივიდუალურია.

მიუხედავად ამისა მათ მაინც ახასიათებთ გამოძიების მთელი რიგი ისეთი საერთო ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებისათვის და ისინი ამ თვალსაზრისით ატარებენ ზოგად ხასიათს. ამასთან, დანაშაულთა გამოძიების ამოცანების ერთგვაროვნება, გარკვეული სახის დანაშაულთა ჩადენის ხერხების ერთიანობა და შემთხვევის ადგილზე დარჩენილ მატერიალურ კვალთა თავისებურებები საშუალებას იძლევა შემუშავებული იქნას ერთგვაროვან დანაშაულთა ან დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა.

1959 წლამდე კრიმინალისტიკის ყველა სახელმძღვანელო გამოდიოდა ზოგად და კერძო (განსაკუთრებული) ნაწილის სახით. კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების პირველ (ზოგად) ნაწილში განხილულ იყო მოძღვრება საბჭოთა კრიმინალისტიკის საგნის, კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეული დარგებისა და კრიმინალისტიკური ტაქტიკის შესახებ. სახელმძღვანელოს მეორე — განსაკუთრებულ ნაწილში კი გადმოცემული იყო დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის საკითხები.

1959 წელს სა.გოლუნსკის რედაქციით კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს გამოცემით დაირღვა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების გამოცემის მანამდე არსებული პრაქტიკა და მასში პირველად იქნა გაერთიანებული დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი და არა როგორც მისი კერძო (განსაკუთრებული) ნაწილი. ასეთივე სახით გრძელდება დღესაც კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების გამოცემა.

1980 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა განმარტებულია, როგორც სხვადასხვა სახის დანაშაულთა გამოძიების სპეციფიურ პირობებში გამოძიების ამოცანების საუკეთესოდ გადაწყვეტისათვის გარკვეული თეორიულ და მეთოდურ საფუძველზე შემუშავებული გამომძიებლის საქმიანობის ოპტიმალური ხერხებისა და საშუალებების სისტემა.[1] ამასთან მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ ოპტიმალური ხერხებისა და საშუალებების სისტემის გამოყენება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის პროცესუალურ მოთხოვნათა, დანაშაულის სისხლის სამართლებრივ, კრიმინალისტიკურ დახასიათებათა გათვალისწინებით.

ეს უკანასკნელი განმარტება შედარებით სრულია, რადგან მასში დანაშაულის გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გარდა მითითებულია აგრეთვე დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის საგნის იურიდიულ ბუნებაზეც. დანაშაულის გახსნის ამ სპეციფიკური ხერხებისა და სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და აგრეთვე გამოსაძიებელი შემთხვევის — დანაშაულებრივი ქმედობის სისხლის სამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების გათვალისწინებით.

<u>დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც საგამოძიებო პრაქტიკისა და გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სისხლის სამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების, მისი კონკრეტული გარემოებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლის მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და მიღებული მონაცემების შეფასების სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხების და მეთოდების ეფექტურ გამოყენებას დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.</u>

---

[1]. Криминалистика, М., 1980, с.338

§2 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სისტემა

დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სისტემა, როგორც საბჭოთა კრიმინალისტიკური მეცნიერების საგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, აგებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემულ დანაშაულთა ცალკეული სახეების ან ერთგვაროვან დანაშაულთა მიხედვით, რომელსაც წინ უძღვის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ზოგადი დებულებები. ამასთან, დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა აგებულია არა სისხლის სამართლის კოდექსის (განსაკუთრებული ნაწილის) სისტემისა და მასში დადგენილ დანაშაულთა ცალკეული თავების მიხედვით, არამედ აქედან იგი შეისწავლის მხოლოდ: სახელმწიფო საკუთრების გატაცების გამოძიების მეთოდიკას; მკვლელობის გამოძიების მეთოდიკას; გაუპატიურების საქმეთა გამოძიების მეთოდიკას; უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკას; ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა გამოძიების მეთოდიკას; თანამდებობრივ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას; მოძრაობის წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეების გამოძიების მეთოდიკას; ხანძარ-უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკას; გარემოცვითი ბუნების დაცვის წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკას.

დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის სისტემისგან განსხვავებით დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურა შეისწავლის თითოეული კონკრეტული ან ერთგვაროვანი დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურას და მის შესაბამისად ამ კონკრეტულ ან ერთგვაროვნულ დანაშაულთა გამოსაძიებლად ჩასატარებელ ორგანიზაციულ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების თანმიმდევრობას და თავისებურებას გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურა შემდეგია:

1. გამოსაძიებელი დანაშაულის სისხლის სამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათება;

2. პირველადი მასალების შემოწმების თავისებურება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტა;

3. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა;

4. პირველდაწყებითი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შერჩევა და მათი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებანი;

5. მომდევნი საგამოძიებო მოქმედებები და მათი ჩატარების ტაქტიკა;

6. გამომძიებლის საქმიანობა დანაშაულით მიყენებული ზიანის დადგენისა და მისი ანაზღაურების შესახებ;

7. გამომძიებლის საქმიანობა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენისა და მათი თავიდან აცილების შესახებ.

დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის ზემოაღნიშნული სტრუქტურა რეკომენდირებული ხასიათისაა და იგი არ შეიძლება მიჩნეული იქნას ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მყარ, უნივერსალურ სქემად. მაგალითად, გამოძიების მეთოდიკის ამ სტრუქტურას შეიძლება ცალკე დაემატოს გამოსაძიებელი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება, რადგან ამ საკითხების გამოკვლევა საშუალებას იძლევა უფრო სწორად განისაზღვროს გამოძიების ამოცანები, დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, მისი მომეტებული საფრთხე, პიროვნების პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

§3 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურა

კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მეტნაკლები სიღრმით გამოიყენება ყველა სახის დანაშაულის გამოძიების პროცესში და რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის საგნის სტრუქტურის არსის სწორად გაგებისათვის, მიეკუთვნება:

1. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება;[2]

2. დანაშაულებრივ ფაქტებზე შემოსული პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა;

3. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა;

4. გამოძიებით დასადგენი საკითხების წრის განსაზღვრა;

---

[2]. დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათების შესახებ იხ. XXVI თავი

5. დანაშაულთა ჩადენის ხერხების არსი, მნიშვნელობა და ადგილი დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურაში;

6. მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანიების ურთიერთკავშირი;

7. სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება გამოძიების პროცესში.

ზემოჩამოთვლილ რეკომენდაციათა არსი და მნიშვნელობა დანაშაულთა გახსნის საქმეში მდგომარეობს შემდეგში:

1. დანაშაულებრივ ფაქტებზე შემოსული პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. დანაშაულებრივ ფაქტებზე შემოსული პირველადი მასალების შემოწმების სწორ ორგანიზაციას და მიღებული შედეგების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დროულ და დასაბუთებულ გადაწყვეტას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურაში. პირველადი მასალების შემოწმება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და, მთელ რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საჭიროებს შესამოწმებელი ღონისძიებების მთელი კომპლექსის ჩატარებას.

წინასწარი გამოძიების ორგანოებს უფლება არა აქვთ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე აწარმოონ ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანის გარეშე. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანა.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოიცავს არა მარტო მასზე დადგენილების გამოტანას, არამედ მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ მიღებული მასალების, გამოვლენილი დანაშაულის ნიშნების შემოწმებისა და შეფასების ღონისძიებათა მთელ კომპლექსს./

მიღებული მასალების შემოწმების მიზანია გაირკვეს მოცემულ შემთხვევაში მოიპოვება თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭირო კანონიერი საფუძველი.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბთა წრე კანონითაა რეგლამენტირებული და არ შეიძლება მისი გაფართოება. რაც შეეხება საქმის

აღძვრისათვის საჭირო მეორე აუცილებელ ელემენტს — საფუძველს, მასზე კანონში მხოლოდ ზოგადადაა მითითებული ისეთ საკმაო მონაცემებზე, რომლებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებენ და არაა განმარტებული თუ მასში რა უნდა იქნას გაგებული.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კანონიერი საფუძვლის ცნებაში იგულისხმება ის კონკრეტული, ობიექტური, პირველადი მონაცემები, რომლებიც დანაშაულებრივ ფაქტზე მიუთითებენ, კერძოდ: მიღებული პირველადი მასალები შეიცავენ თუ არა დანაშაულის ნიშნებზე მითითებულ ისეთ ფაქტიურ მონაცემებს, რომელთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს სწორი, დასაბუთებული დასკვნა, რომ მოცემულ ქმედობას ნამდვილად ჰქონდა ან არ ჰქონდა ადგილი და იგი შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს.

/სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე პირველადი მასალების შემოწმება მიზანშეწონილია ჩატარდეს: 1.მასალების ადგილზე შემოწმებით; 2.საჭირო ცნობებისა და დამტკიცებითი საბუთების გამოთხოვით; 3.პირველადი მასალების სახით ინფორმაციის მომწოდებელ პირებთან გასაუბრებით ან მათთვის საჭირო ახსნა-განმარტების ჩამორთმევით; 4.შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ მოცემულ საწარმოო-დაწესებულებაში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის, აღწერის ან რაიმე სხვაგვარი შემოწმებით; 5.ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებით./

პირველადი მასალების შემოწმება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კანონიერი საბაბისა და საფუძვლის მოპოვების მიზნით საჭიროა ჩატარდეს ფრთხილად და ოპერატიულად, რათა ნაადრევად არ მოხდეს მიღებული მონაცემების გახმაურება. ამასთან უმკაცრესად უნდა იქნას დაცული შემოწმების კანონით დადგენილი ვადები, რადგან იგი გაგრძელებას არ ექვემდებარება.

<u>2. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა.</u> დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგამოძიებო ვერხიების სწორად აგებასა და შემოწმებას. აგრეთვე წამოყენებული ვერსიების საფუძველზე საგამოძიებო გეგმის დროულ და დასაბუთებულ შედგენას, ყოველ კონკრეტულ გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის, საქმეზე შეკრებილი მასალების საფუძველზე, გამომძიებელმა დაუყოვნებლივ უნდა

წამოაყენოს ყველა შესაძლო ვერსია და მათი შემოწმებისათვის დასახოს სათანადო გზები. ამასთან, გამომძიებელმა რომ გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ფაქტთან წარმოებული თავისი საქმიანობა წარმართოს სწორად და ორგანიზებულად, საჭიროა დაუყოვნებლივ შეადგინოს გამოძიების გაშლილი სქემატური გეგმა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ასეთი წერილობითი გეგმის შედგენა საჭიროა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე და არა იმისდა მიხედვით თუ როგორია გამოსაძიებელი შემთხვევა — მარტივი თუ რთული. ზოგჯერ, პირველადი მონაცემებით, მარტივი სახით წარმოდგენილმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებამ შეიძლება მიგვიყვანოს საშიში და ურთულესი დანაშაულებრივი ფაქტის ან ფაქტების გამოძიებამდე. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგებისა და გამოძიების დაგეგმვის დროს სწორად და მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ამ პრობლემებზე კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული და რეკომენდირებული ხერხები და მეთოდები.

3. გამოძიებით დასადგენი საკითხების წრის განსაზღვრა. დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გამოსაძიებელ საქმეზე დასადგენი გარემოებების სწორად განსაზღვრა და დადგენა. ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია გამოსაძიებელი შემთხვევის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა.

გამოძიებით დასადგენი გარემოებების ასახსნელად ჯერ კიდევ ადრე რომის იურისტების მიერ შემუშავებული იქნა შვიდწევრიანი ფორმულა: რა იქნა ჩადენილი, სად, როდის, როგორ, რატომ, ვის მიერ, ვისი ან რისი დახმარებით. ამ შვიდწევროვან ფორმულას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა და იგი გარკვეულ გამოყენებას პოულობს, მაგრამ, ცხადია, იგი ვერ ამოწურავს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენ ყველა გარემოებას.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე—მე-60 მუხლები ადგენენ იმ გარემოებებს, რომელიც უნდა დადგინდეს ყველა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს. კანონში ჩამოთვლილ გარემოებათა დადგენის გარეშე არ შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულის სრულ გახსნაზე. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გარდა, ცალკეული კატეგორიის საქმეებზე, აუცილებელია აგრეთვე დადგენილ იქნას მთელი რიგი სხვა გარემოებებიც. მაგალითად, მექრთამეობის საქმეების გა-

მოძიების დროს კანონში ჩამოთვლილი ამ გარემოებების გარდა აუცილებელია დადგინდეს აგრეთვე მექრთამეობის საგანი და მისი დამახასიათებელი ნიშნები; ქრთამის მიცემა-აღებისა და მექრთამეობის კვალის დაფარვის ხერხები, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესრულებული კონკრეტული სახის ქმედობა; მექრთამეობის გამომწვევი მიზეზები და სხვ.

გამოძიებით დასადგენი გარემოებები არ შეიძლება ერთიმეორისაგან იზოლირებულად იქნას განხილული, რადგან ისინი ურთიერთ მჭიდროდაა დაკავშირებული თვით მაშინაც კი, როცა გამოძიებით დასადგენი გარემოებები ცალკეულ ჯგუფებად იყოფა.

გამოძიებით დასადგენ გარემოებათა მრავალფეროვნება დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის სახეობასა და მისი კვალის დაფარვის ხერხებზე, საქმის აღძვრის მომენტისათვის არსებულ მასალებზე. დასადგენ გარემოებათა თანმიმდევრობაც სწორედ ამ ფაქტიური მასალების მიხედვით უნდა განისაზღვროს.

<u>4.დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცნება, არსი, მნიშვნელობა და ადგილი დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურაში.</u> დანაშაულთ ჩადენის ხერხების კრიმინალისტიკურ სწავლებას უაღრესად დიდი მნიშვნ; ლობა აქვს დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკისათვის. იგი, შეიძლე; ითქვას, გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურის მთავარი ქვაკუთხედია.

დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის თვალსაზრისით, დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება მოიცავს დამნაშავის მიერ დანაშაულის მომზადების, მისი ჩადენისა და დაფარვისათვის მიღებულ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის მთლიან მექანიზმს. გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული გარემოების ყოველმხრივ გამოკვლევას, ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობათა მთლიანი მექანიზმის ახსნა-დადგენას დანაშაულებრივი ქმედობის კვალის დაფარვის მიზნით გამოყენებული ხერხების ჩათვლით.

დანაშაულის ჩადენის ხერხების კრიმინალისტიკური გაგება მოიცავს დანაშაულის განვითარების ყველა ეტაპს და თვით დანაშაულის დაფარვისათვის მიღებულ ღონისძიებებსაც. მთელ რიგ შემთხვევებში, დანაშაულის ჩადენისათვის პირი ირჩევს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომელთა გამოყ-

ენებითაც, მისი აზრით, ადვილად მიაღწევს თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას და მეორეც, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა შეუმჩნეველი დარჩება საზოგადოებას და თუ მაინც გამოვლინდება, სათანადო ორგანოები ვერ შეძლებენ მის გახსნას, რადგან იგი დაჯერებულია თავის მიერ არჩეული ხერხების უპირატესობაში. ამიტომ იგი წინასწარ ქმნის დანაშაულის მომზადების, მისი ჩადენისა და დაფარვისათვის საჭირო კომპლექსურ ღონისძიებათა მოდელს ან წინასწარ არ ქმნის ასეთი დანაშაულის ჩადენის მოდელს, მაგრამ თავისი დაუდევარი მოქმედებით (უმოქმედობით) ან თავისი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებით ქარაფშუტულად ვარაუდობს მოსალოდნელი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის თავიდან აცილებას.

დანაშაულის ჩადენისათვის პირი ეძებს მისთვის საჭირო ხელსაყრელ პირობებს და ამისათვის იგი, მთელ რიგ შემთხვევებში ატარებს მოსამზადებელ ღონისძიებებს. კერძოდ, არჩევს ადგილს, ხელსაყრელ პირობებსა და გარემოებებს თავის მსხვერპლზე თავდასხმისა და თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. შემდეგ, ყოველივე ამის გათვალისწინებით ადგენს დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის ერთიან მოდელს.

დანაშაულის ჩადენისა და მისი დაფარვის წინასწარ შედგენილი მოდელი ზოგჯერ შეიძლება ნაწილობრივ შეიცვალოს კიდეც დამნაშავის მიერ გაუთვალისწინებელი გარემოებების აღმოცენებისა და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით და მას მოჰყვეს სხვა ახალი დანაშაულის ჩადენაც.

დანაშაულის ჩადენისათვის განკუთვნილ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისას დამნაშავე ავლენს თავის ჩვევებს, პირად თვისებებს, ცოდნას, სიმარჯვეს, ხასიათსა და სხვ., რომელთა შორის შემთხვევითი ხასიათის ფაქტორებთან ერთად დანაშაულის პროცესში თავს იჩენს მისთვის დამახასიათებელი ისეთი კომპლექსური სახის მყარი ჩვევები, რომელსაც შემდეგ იგი სხვა დანაშაულის ჩადენის დროსაც იყენებს და თავის ხელწერას ტოვებს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ დამნაშავის მიერ ერთხელ შემუშავებული ხერხი ყოველთვის აბსოლუტურად მყარი და სტაბილურია. დამნაშავეც ანვითარებს და სრულყოფს დანაშაულის ჩადენისა და კვალის დაფარვის ხერხებს და, შეიძლება ითქვას, დანაშაულის ჩადენის ხერხებიც გარკვეულწილად განიცდის ცვლილებას და იგი ამ მიმართებით დინამიურია.

კომპლექსურ ღონისძიებებში იგულისხმება არა მარტო დამნაშავის მიერ თავისი დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებისათვის საჭირო ამა თუ იმ ფიზიკური მოქმედების შესრულება ან შეუსრულებლობა (იარაღის შეძენა, მომარჯვება და გამოყენება), არამედ მისი პროფესიონალური ცოდნაცა და ის ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც იგი იყენებს დანაშაულის კვალის დაფარვისათვის.

დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის ხერხების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ზოგჯერ შეიძლება მოგვევლინოს დანაშაულის ჩადენის იარაღიც, რომლის გამოყენება, არცთუ ისე იშვიათად, დამნაშავე პირის თვისებებზეც მიუთითებს. მაგრამ, ცხადია ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული თითქოს დანაშაულის ჩადენის იარაღი ყოველთვის თანსდევს ამა თუ იმ სახის დანაშაულის ჩადენას, მისი ჩადენისათვის ხერხების შერჩევა-გამოყენებას.

დანაშაულის ჩადენის ხერხების მთლიანი მექანიზმის დადგენა გამოძიების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და იგი წითელ ზოლად გასდევს გამოძიების მთელ პროცესს.

5. მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთკავშირი. დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა გამოსაძიებელ საქმეზე მიკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მიზანდასახული საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, რაც პირველ რიგში ვლინდება მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე მტკიცებულებათა აღმოჩენის, ამოღებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაძებნა-დადგენისა და დაკავების მიზნით წარმოებულ გამომძიებლისა და სამძებრო-ოპერატიული მუშაკის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებში. მათი ეს ურთიერთკავშირი არ შეიძლება იყოს უსისტემო და იგი არ შეიძლება ემყარებოდეს მათ ურთიერთ სიმპათიებსა და ანტიპატიებს. მათი ეს საქმიანი ურთიერთკავშირი მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რომელთა ზუსტი დაცვა ორივე მხარეს ევალება.

გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის საქმიანი ურთიერთკავშირი, როგორც წესი, იწყება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შემდეგ. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მათი ასეთი კავშირი აღმოჩნდეს საჭირო სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდეც.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების შემდეგ გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოს ურთიერთკავშირი კანონითაა რეგლამენტირებული. კერძოდ, კანონის თანახმად გამომძიებელი უფლებამოსილია გამოსაძიებელ საქმეზე მისცეს დავალებები და მითითებები მოკვლევის ორგანოებს სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების შესახებ და მოკვლევის ორგანოებისაგან მოითხოვოს დახმარება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედების წარმოების დროს. გამომძიებლის ასეთი დავალებები და მითითებები სავალდებულოა მოკვლევის ორგანოებისათვის.

6. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება. დანაშაულის გამოძიების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ გამოძიების პროცესში რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული მტკიცებულებათა აღმოჩენის, გამოვლინების, გამოკვლევის და ფიქსაციის ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები, როგორიცაა: მიკროსკოპები და მიკროსკოპიული კვლევის მეთოდები; სპექტრის უხილავ სხივებში (ულტრაიისფერ, ინფრაწითელ, რენტგენის, ბეტა და გამა სხივებში) კვლევის ხერხები და მეთოდები; სპექტრული ანალიზი; ნივთიერებათა კვლევის მაღალმგრძნობიარე მეთოდები; ფოტო და კინო აპარატურა; ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალებები და კვლევის კიბერნეტიკული მეთოდები.

ზემოაღნიშნული ეს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები დანაშაულთა გამოძიების პროცესში თავიანთ პრაქტიკულ გამოყენებას პოულობენ კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეულ დარგებში შემუშავებული სპეციალური ხერხებისა და მეთოდების სახით. მათი გამოყენება უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში და ასახულ იქნას საგამოძიებო და სხვა პროცესუალურ მოქმედებათა ოქმებში. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აღმოჩენილი, გამოვლინებული და გამოკვლეული მტკიცებულება დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

§4. დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის პრინციპები

1. გამოძიების სისწრაფე და ოპერატიულობა. დანაშაულის გამოძიების ერთ-ერთი პრინციპია სისწრაფე და ოპერატიულობა. გამოძიების სისწრაფე ნიშნავს გამოძიების წარმართვას ისეთ ეფექტურ და ოპტიმალურ ტემპში,

როცა გამოსაძიებელ საქმეზე ძიება მიმდინარეობს სწრაფად, ეფექტურად, როცა დროის მოკლე მონაკვეთში სრულდება ყველა საჭირო საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება და საქმეზე აუცილებელი სხვა პროცესუალური მოქმედება. გამოძიების ოპერატიულობა კი ნიშნავს გარკვეულ საგამოძიებო სიტუაციაში სწრაფი, სწორი გადაწყვეტილების მიღებას და დანაშაულის გახსნისათვის საჭირო ყველა პროცესუალური და ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების მარჯვედ და შეთანხმებულად გამოყენებას.[3]

გამოძიების სისწრაფე და ოპერატიულობა ხელს უწყობს დამნაშავის დროულ გამოვლინება-დადგენას, მის დაკავებას, ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრებას და საერთოდ გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სწრაფ, სრულ გახსნას. გამოძიების ნელა და უსაგნოდ წარმართვა კი ხელს უწყობს საქმის გაჭიანურებას, გამოძიების ვადების დარღვევას, ძალისა და ენერგიის ფუჭად დაკარგვას, დამნაშავის დაუდგენლობას. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება დამნაშავეთა ან დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა ცხელ კვალზე მოდევნება და დაკავება. ამასთან იკარგება კვლები, ძნელდება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნებისა და დანაშაულის ჩადენის იარაღების აღმოჩენა, მოწმეთა დადგენა. იგი გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე მოწმეთა და დაზარალებულთა მეხსიერებაზე, მათ ჩვენებებზე. ამიტომ მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების უპირველესი ამოცანაა სწრაფად და დროულად მოახდინონ დანაშაულის შესახებ მიღებული მასალების შემოწმება, გამოიტანონ დასაბუთებული დადგენილება საქმის აღძვრის შესახებ და საქმის წარმოებაში მიღებისთანავე განსაზღვრონ: მტკიცების საგანი და ფარგლები; შეადგინონ გაშლილი წერილობითი საგამოძიებო გეგმა; სწორად წარმართონ ყველა საჭირო პროცესუალური მოქმედება; სამძებრო-ოპერატიულ ჯგუფს მისცენ სათანადო დავალება, იმოქმედონ მათთან შეთანხმებულად; უზრუნველყონ ყველა საჭირო მტკიცებულებათა აღმოჩენა და დამაგრება; შეძლონ უმოკლეს დროში საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრება და სასამართლოში მისი წარმართვა.

2. <u>კანონიერების განუხრელი დაცვა.</u> გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია მისი ყოველმხრივი გამოკვლევისა და

---

[3]. Криминалистика, учебник, М., 1988, с.448-449

სათანადო მტკიცებულებათა შეკრების, ანალიზისა და შეფასების გარეშე ამასთან ეს მტკიცებულებები მოპოვებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. საქმეზე შეკრებილ დანაშაულისა და დამნაშავის მამხილებელ არც ერთ დოკუმენტს არ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა თუ იგი მოპოვებულია პროცესუალური ნორმების დარღვევით ან თუ პროცესუალური მოქმედების ჩატარების დროს გამოყენებულ იქნა არასწორი, აკრძალული ხერხები ან კანონით დაუშვებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება. ამიტომ კანონიერების უმკაცრესი დაცვა, როგორც საერთო სამართლებრივი პრინციპი, წითელ ზოლად უნდა გასდევდეს გამოძიებას.

3. საზოგადოებრიობის დახმარების გამოყენება დანაშაულის გახსნაში. მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მუშაობის დემოკრატიულობის გამოხატულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 128-ე მუხლით რეგლამენტირებული დანაშაულის გახსნაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად "გამომძიებელს ევალება გამოძიების წარმოებისას ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გამოსამჟღავნებლად და მისი ჩამდენი პირების მოსაძებნად, აგრეთვე დანაშაულის ხელისშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად და ასაცილებლად". მაგრამ, ცხადია ამ უშრეტი წყაროსა და შესაძლებლობის დახმარების გამოყენების დროსაც საჭიროა დიდი სიფრთხილისა და დაკვირვებულობის გამოჩენა.

სათანადო პირობების დაცვით, დანაშაულის გახსნაში საზოგადოებრიობის დახმარება შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის გამოვლინებასა და აღკვეთისათვის; დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლინება-დადგენასა და მათ თავიდან აცილებაში; დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა გამოსავლინებლად; დამნაშავეთა დაძებნასა და დაკავებაში; საქმეზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა დადგენაში; დანაშაულის ჩადენის იარაღისა და სხვა სახის მტკიცებულებათა დაძებნა-აღმოჩენაში. აგრეთვე დათვალიერების, ჩხრეკის, ამოსაცნობად წარდგენის, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების მომზადებასა და ჩატარებაში.

XXVI თავი

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება

§1 დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ცნება, არსი და მნიშვნელობა

დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის შესახებ 70-იანი წლების შემდგომ პერიოდში გამოცემულ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მრავალი საინტერესო თეორიული პრობლემა იქნა წამოყენებული. აქედან აღსანიშნავია დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და საგამოძიებო სიტუაციის საკითხები, რომლებიც ერთიმეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მათი ეს ურთიერთკავშირი განსაკუთრებით ვლინდება დანაშაულთა გამოძიების პროცესში.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნებათა სწორ განსაზღვრებას, მათ ღრმა მეცნიერულ დამუშავებას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან ისინი ხელს უწყობენ გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიების სწორად წარმართვას, ტაქტიკური ხერხების შერჩევას, საქმის სწრაფ, სრულ ყოველმხრივ გახსნას და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. სწორედ ამიტომაა, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკურმა დახასიათებამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში.

დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში არ უნდა აურიოთ დანაშაულის სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ნიშნები და ელემენტები.

დანაშაულთა სისხლის სამართლებრივი დახასიათება მოიცავს ერთგვაროვანი ან ცალკეული სახის დანაშაულთა იურიდიულ შემადგენლობას. კერძოდ, დანაშაულთა ხელყოფის გვაროვნული და უშუალო ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. კრიმინოლოგიური დახასიათება — დანაშაულთა სტრუქტურას, დინამიკას, თანამედროვე მდგომარეობას და დამნაშავე პირთა სოციალურ მდგომარეობას, დანაშაულის მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება კი მოიცავს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტისათვის არსებული გამოსაძიებელი

შემთხვევის ყველა იმ პირველად მონაცემებს (დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მისი ჩამდენი პირისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, კვალს და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს), რომელთა ანალიზი საფუძველს გვაძლევს მოვახდინოთ სწორი დასაბუთებული ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა.

თუ დანაშაულთა სისხლის სამართლებრივი დახასიათება ხელს უწყობს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის სწორ შეფასებას, მის სწორ კვალიფიკაციასა და დამნაშავე პირთა სამართლიან დასჯას, დამნაშავეთა კრიმინოლოგიური დახასიათება ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ყველა სახის ან ამა თუ იმ კატეგორიის ან ერთგვაროვან დანაშაულთა სტრუქტურაზე, მათ დინამიკასა და თანამედროვე მდგომარეობაზე, დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დანაშაულთა თავიდან ასაცილებელ სწორ ღონისძიებათა შემუშავებას. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება კი საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ ცალკეული სახის ან ერთგვაროვან დანაშაულთა ან ერთნაირი ხერხებითა და საშუალებებით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკა და მეთოდიკა, გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების სწორი შერჩევა, რაც დანაშაულის გახსნის საუკეთესო წინაპირობაა.

დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში კრიმინალისტიკური დახასიათების საჭიროება და აუცილებლობა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დავას არ იწვევს. მის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვაობა ძირითადად ეხება კრიმინალისტიკური დახასიათების შემადგენელ ნაწილებს, მის ელემენტებსა და ცნებას რაც, ცხადია, ხელს უწყობს მის საბოლოო დახვეწასა და განვითარებას.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგად პრობლემებზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაამახვილა ყურადღება ა.ნ.კოლესნიჩენკომ თავის სადოქტორო დისერტაციაში "დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეცნიერული და სამართლებრივი საფუძვლები", სადაც მან დანაშაულთა ზოგადი კრიმინალისტიკური დახასიათება დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის აუცილებელ ელემენტად მიიჩნია. ამასთან, ეხებოდა რა კრიმინალისტიკური დახასიათების მნიშვნელობას, აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება საშუალებას გვაძლევს სწორად და სრუ-

ლად განვსაზღვროთ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დასადგენი გარემოებების წრე, კერძოდ ის, თუ რა საკითხები და მათი როგორი თანმიმდევრობით გადაწყვეტა უწყობს ხელს გამოსაძიებელი შემთხვევის ზუსტი კვალიფიკაციის დადგენას; რომელი საკითხების გადაწყვეტაა მთავარი დანაშაულის გახსნისათვის; როგორია გამოძიებით დასადგენ გარემოებათა ურთიერთკავშირი, ერთი გარემოების მეორეზე ადრე გახსნის შესაძლებლობა ან სიძნელე; დაყოვნების შემთხვევაში როგორია ამა თუ იმ საკითხის ახსნის დაკარგვის შესაძლებლობა. ამასთან იქვე გვთავაზობს რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში შეტანილ იქნას დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობა, ანალიზი, მისი ცალკეული სახეების გავრცელებულობა, უფრო ხშირად შემხვედრი მათი ჩადენის ხერხები და მოცემული შემთხვევისათვის დამახასიათებელი ის ძირითადი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც დაიწყო გამოძიება.

კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას გაგებული დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში და როგორია მისი შინაარსი და მნიშვნელობა დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკისათვის, ზოგიერთი კრიმინალისტი გვთავაზობს პასუხი ვეძიოთ კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების დანიშნულებაში, მისი შესწავლის საგანში. ამასთან, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტად მიიჩნევენ დანაშაულის ჩადენის ხერხს და ამას იმით ხსნიან, რომ უმთავრესად ხერხის მეშვეობით ხდება დანაშაულებრივი აქტის ამსახავი პროცესის გამოვლინება, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხის შესწავლა უწინარეს ყოვლისა მიეკუთვნება დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის განყოფილებას, რადგან სწორედ შემეცნების მეთოდების საფუძველზე აღმოცენდება კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდიკისათვის მნიშვნელოვანი დასკვნები და, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხების შეცნობა განხილული უნდა იქნას როგორც კონკრეტულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი გზა. კრიმინალისტიკური დახასიათების მეორე მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევენ დანაშაულის ჩადენის გარემოებას; დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო საგანს; ხელყოფისაგან მისი დაცვის პირობებს; დანაშაულის ჩადენის მომზადებასთან დაკავშირებულ გარემოებებს და მისი კვალის დაფარვას ანუ დამნაშავის ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების სპეციფიკურობად მიჩნეულია აგრეთვე ის, რომ იგი ასახავს დანაშაულთა არსებით თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ ისეთ გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მოცემული შემთხვევის გამოვლინების, გახსნისა და თავიდან აცილებისათვის. კერძოდ: დანაშაულის ჩადენის გარემოება, იარაღი, დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის ხერხები; დანაშაულის ხელყოფის უშუალო საგანი; დაზარალებული; დამნაშავის პიროვნება, მისი ქცევა დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ; შედეგები, დანაშაულის კვალი და ზოგიერთი სხვა გარემოებები.

უკანასკნელ წლებში რუსულ ენაზე გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში გატარებულია აზრი, რომლითაც დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებად მიჩნეულია დანაშაულის შესახებ იმ მონაცემების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობენ მის გახსნას. კერძოდ, კრიმინალისტიკურ დახასიათებაში გაერთიანებულია დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დაფარვის ისეთი თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება და გამოყენება ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ, სრულ და ყოველმხრივ გახსნას. და, რომ, მოცემული სახის ან ჯგუფის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება არის მნიშვნელოვანი ემპირიული მასალის მეცნიერული გაანალიზება. ამასთან, არასწორადაა მიჩნეული დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ელემენტების შეტანა, რაც გარკვეულ შეკამათებას იწვევს. დანაშაულთა სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ელემენტები, თავიანთი აღმოცენების თავისებურებათა გათვალისწინებით, საჭიროებენ გამოკვლევას კრიმინალისტიკური მეცნიერების თვალსაზრისითაც. მაგალითად, მართალია დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა კრიმინოლოგიური მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი მთავარი საგანია, მაგრამ მისი გამოკვლევა კრიმინადისტიკური თვალსაზრისით არამც თუ საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა. უფრო მეტიც, წინასწარი გამოძიების პროცესში მისი დადგენის აუცილებლობა თვით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის სსკ მე-60 მუხლის საფუძველზე მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს ევალებათ "გამოარკვიონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი

;გარემოებები და მიიღონ ზომები მათ ასაცილებლად". ამასთან ამ გარემოებათა კრიმინალისტიკური შემეცნების მეთოდი კონკრეტული დანაშაულის (დანაშაულთა) გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების თავისებურებათა გათვალისწინებით არსებითად განსხვავდება კრიმინოლოგიური მეცნიერების კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდებისაგან თავიანთი ინდივიდუალობით, მოქნილობითა და დინამიურობით.

კრიმინალისტიკის ამავე სახელმძღვანელოებში განვითარებულია აგრეთვე შეხედულება, რომლითაც დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებად მიჩნეულია: დანაშაულთა ჩადენის ხერხებისათვის დამახასიათებელი მონაცემების ერთიანობა; დანაშაულის მატერიალური კვალის, მისი თავისებურებებისა და ლოკალიზაციის შესახებ არსებული მონაცემები; დანაშაულის ან დანაშაულთა ჯგუფის შედეგების შესახებ არსებული მონაცემები; მონაცემები დანაშაულთა კვალის დაფარვის, დანაშაულში თანამონაწილეობის, კრიმინალისტიკური თავისებურებებისა და ტიპიური დამნაშავე პიროვნებების თავისებურებათა შესახებ; მონაცემები დანაშაულთა ჩადენის უფრო გავრცელებული ისეთი მოტივებისა და მიზნების შესახებ, რომლებიც არ შეადგენენ სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ელემენტებს. კრიმინალისტიკურ დახასიათებაში გაერთიანებულია აგრეთვე კრიმინალური სიტუაციის ტიპიური ვიქტიმოლოგიური კომპონენტები.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების შესახებ გამოთქმულ ზემოაღნიშნულ აზრთა სხვაობის მიუხედავად, თითქმის ყველა მათგანში დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებად მიჩნეულია მონაცემები დანაშაულის ჩადენის ხერხების, გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიებით დასადგენი გარემოებებისა და მტკიცებულებათა აღმოცენების მექანიზმის შესახებ. მაგრამ, ცხადია, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება ამით არ ამოიწურება. იგი მოითხოვს შემდგომ დახვეწას და დაზუსტებას.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულთა საერთო ან ერთგვაროვან დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და ცალკეული ანუ კონკრეტული სახის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება. ამ ორივე სახის კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის საერთო ისაა, რომ ორივე მათგანი ემყარება დანაშაულთა ჩადენის შესახებ არსებულ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკას, მის მეცნიერულ განზოგადებას და გამოხ-

ატავს ამ დანაშაულთა ჯგუფის გამოძიებისათვის დამახასიათებელ კრიმინალისტიკურ თავისებურებებს. ამასთან ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იმ ემპირიული საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკის მასალების მოცულობის განზოგადებით, რომელთა საფუძველზეც ხდება მოცემული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკისათვის საჭირო მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების საფუძველი, მისი ელემენტები და თავისებურება უნდა ვეძიოთ იმ პირველად ფაქტიურ მონაცემებში, რომლებიც გამომძიებლის ხელითაა შემოსული მასალების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტისათვის და, რომელიც შემდგომში გამოძიების განვითარების შესაბამისად გარკვეულად იცვლის თავის პირვანდელ სახეს.

ცნობილია, რომ თვით ერთი და იგივე კატეგორიის საქმეების გამოძიება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და მათი გამოძიების მეთოდიკის განსაზღვრა ბევრადაა დამოკიდებული მიღებულ პირველად მონაცემებზე. მაგალითად, მკვლელობა, როცა ცნობილია დაზარალებულის გვამის ადგილსამყოფელი და ვინაობა; მკვლელობა, როცა უცნობია დაზარალებულის გვამის ვინაობა; პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი, როცა ვარაუდია, რომ ჩადენილია მკვლელობა და უცნობია გვამის ადგილსამყოფელი; შემთხვევა, როცა აღმოჩენილია ადამიანის სხეულის ნაწილები და უცნობია დაზარალებულის ვინაობა.

თითოეული ეს შემთხვევა, გამოძიების თვალსაზრისით, არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამასთან თითოეულ ამ ფაქტზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სწორად წარმართვა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ პირველადი მონაცემების საფუძველზე რამდენად სრულყოფილად იქნება მოცემული მათი კრიმინალისტიკური დახასიათება, რამდენად სწორად მოხდება მათზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების, პირველდაწყებით გადაუდებელ და შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკის განსაზღვრა დანაშაულის ნიშნებისა და კვალის გამოვლინების, ფიქსაციისა და მტკიცებულებათა მიღება-გამოკვლევის მიზნით და რამდენად სწორად იქნება შერჩეული და გამოყენებული საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები. ეი. დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში, ზემოაღნიშ-

ნულ რეკომენდირებული საკითხებთან ერთად, მოზანშეწონილია აისახოს აგრეთვე გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის გამოძიების მეთოდიკის ზოგიერთი ის საკითხიც, რომლის ტაქტიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე იგი გარკვეულ გავლენას ახდენს. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის წინა პერიოდში მიღებული მონაცემების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თავისებურება; საგამოძიებო ვერსიების აგებისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურება; გამოძიებით დასადგენ გარემოებათა დადგენის მიზნით საჭირო პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების თავისებურება; შემდგომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თავისებურება და სხვ.

ამრიგად, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების შინაარსიდან გამომდინარე მის ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ ის ობიექტური მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ჩადენის ობიექტზე, მისი ხელყოფის ხერხებზე, მისი კვალის დაფარვის ხერხებსა და საშუალებებზე, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზნებზე და ყველა ის გარემოება რომელიც საშუალებას იძლევა ავხსნათ მოცემული დანაშაულებრივი ქმედობისათვის დამახასიათებელი ტიპიური სიტუაციები, დანაშაულის ჩადენის ხელყოფის ხერხები და საშუალებები, მისი კვალის დაფარვის გზები, დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მოქმედებასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, დანაშაულში მონაწილე პირთა წრე, მათი პროფესიონალური ჩვევები და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა მთელი რიგი გარემოებები. ყოველივე ამ მონაცემების შესაბამისად საჭიროა შეიქმნას საქმის გამოძიების სწორი მოდელი. მოხდეს საგამოძიებო ვერსიების აგება და დასახული იქნეს მათი შემოწმების გზები, შეირჩეს ტაქტიკური ხერხები და საშუალებები მათი სრული, ყოველმხრივი შემოწმების, გამოსაძიებელ საქმეზე საკმაო მტკიცებულებების მიღებისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. ამასთან, თუ ვაღიარებთ, რომ კრიმინალისტიკური დახასიათება დინამიკური ხასიათისაა, რაც უდაოდ სწორია, მაშინ იგი უნდა განვიხილოთ ერთ მთლიან უწყვეტ პროცესში მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის სრულ, საბოლოო გახსნამდე, გამოძიების

ცალკეული ეტაპების მიხედვით გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშ-მარიტების დადგენამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოსაძიებელი დანა-შაულის კრიმინალისტიკური დახასიათების შინაარსი იცვლება, ივსება და სრულყოფილი ხდება გამოძიების ცალკეული ეტაპების მიხედვით.

დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება არსებით გავლენას ახ-დენს აგრეთვე გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღო-ნისძიებების, პირველდაწყებითი გადაუდებელი და შემდგომ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკის განსაზღვრაზე და იმაზე, თუ რამდე-ნად სწორად იქნება შერჩეული და გამოყენებული საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები დანაშაულის ნიშნებისა და კვალის გამოვლინების, ფიქსაციისა და მტკიცებულებათა მიღება-გამოკვლევის მიზნით. ე.ი. დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში, ზემოაღნიშნულ რეკომენდირებულ საკითხებთან ერთად, მიზანშეწონილია აისახოს აგრეთვე გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის ის მონაცე-მები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ გამოძიების მეთოდიკის თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის წინა პერიოდში მიღებული მონაცემების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თავისებურებაზე, საგამოძიებო ვერსიების აგე-ბისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურებაზე, გამოძიებით დასადგენ გა-რემოებათა დადგენის მიზნით საჭირო პირველდაწყებითი და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შერ-ჩევა-ჩატარების თავისებურებაზე, შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო მოქ-მედებათა თავისებურებაზე და სხვ. რომელთა მაღალ ორგანიზებულად და კრიმინალისტიკური თვალსაზრისით სწორად და ეფექტურად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმის სწრაფი, სრული გან ნა და მასზე ობიე-ქტური ჭეშმარიტების დადგენა.

გამოძიებით დასადგენი გარემოებების თავისებურებათა შესაბამისად კრიმინალისტიკური დახასიათების ცალკეული ელემენტების შინაარსი საშუ-ალებას გვაძლევს სწორად ვიმსჯელოთ, ვიაზროვნოთ გამოძიებისათვის ჯერ კიდევ ახალ უცნობ გარემოებებზე და მის შეაბამისად მტკიცებულებათა მისაღებად დავსახოთ სათანადო საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მო-ქმედებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მათი ჩატარების თავისებუ-რებათა გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტისათვის გამომძიებლის გამგებლობაში არსებული გამოსაძიებელ შემთხვევასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმის (დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დანაშაულის კვალის დაფარვის), დანაშაულის ჩამდენი პირის (ან მასში მონაწილე პირების) მიზნისა და მოტივის, დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან მისი (ან მათი) ფსიქიკური დამოკიდებულებისა. და მისთვის (ან მათთვის) დამახასიათებელი ნიშნების შესახებ მოპოვებული ის ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა დასაბუთებული მეცნიერული ანალიზი და ოპტიმალური გამოყენება, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის გათვალისწინებით, ხელს უწყობს საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგებას, საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკისა და გამოძიების მეთოდიკის სწორად განსაზღვრას და ამით გამოსაძიებელი საქმის სწრაფ, სრულ გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

§2 საგამოძიებო სიტუაციის ცნება, არსი და მისი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების არსისა და მნიშვნელობის სრულყოფილი ასახვა-გადმოცემა შეუძლებელია საგამოძიებო სიტუაციის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გამოკვლევის გარეშე. რადგან მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და, მთელ რიგ შემთხვევებში, ისინი ერთიმეორეს განაპირობებენ. ამ ორი ცნების ძირითად მსგავსებად ისაა მიჩნეული, რომ ორივე მათგანი არის გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ მიღებული კრიმინალისტიკური მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომელთაგან კრიმინალისტიკური დახასიათება ემყარება და გამომდინარეობს საქმეზე მიღებული იმ პირველადი ფაქტიური მონაცემებიდან, რომელთა მიღების წყაროები კრიმინალისტიკური დახასიათების ფარგლებს გარეთაა, სცილდება მის შინაარსს და ადასტურებს გამოსაძიებელი ფაქტებისა და გარემოებების არსებობას და ამ მიმართებით ეხმარება და ხელს უწყობს გამოძიებას მიღებული მონაცემების უტყუარობის საკითხის გადაწყვეტაში. საგამოძიებო სიტუაცია კი მოიცავს საქმეზე მიღე-

ბული ინფორმაციის წყაროსაც, ე.ი. კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის შესახებ არსებული ინფორმაციის წყაროებიც სხვადასხვაა. აქედან პირველი მათგანი აღმოცენდება დანაშაულის ჩადენის ბაზაზე. მეორე — საგამოძიებო სიტუაცია კი დანაშაულის გამოძიების ბაზაზე; რომ დანაშაულის ჩადენა ხდება სისხლის სამართლწარმოების ფარგლებს გარეთ და რჩება რეალურად არსებულ მოვლენად, მიუხედავად იმისა, მასზე წარმოებს თუ არა გამოძიება. საგამოძიებო სიტუაცია კი არ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მექანიზმის წარმოების ფარგლებს გარეთ. იგი პროდუქტია ამ საქმიანობისა და განპირობებულია მისი მოძრავი დინამიკური მოვლენებით. ამასთან საგამოძიებო სიტუაციაში გამომძიებლის მოქმედება ყოველთვის არ შეიძლება განისაზღვროს საქმეზე არსებული მონაცემების საფუძველზე წინასწარ შედგენილი მოდელით. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება კი წარმოუდგენელია საქმეზე არსებული ინფორმაციისა და მათი წყაროების მიხედვით წინასწარ შედგენილი სქემის გარეშე.

"სიტუაცია" ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შექმნილი პირობების ერთობლიობას, გარემოებას, მდგომარეობას, ვითარებას. ე.ი. იგი ნიშნავს იმას, რომ ეს შექმნილი პირობები და გარემოებები ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ქცევის წარმართვაზე და, ცხადია, იგი სათანადო ზემოქმედებას ახდენს და, მთელ რიგ შემთხვევებში, განაპირობებს კიდეც გამომძიებლის მოქმედებას დანაშაულის გამოძიების ამა თუ იმ ეტაპზე, მის მიერ გამოძიების ტაქტიკური ხერხების შერჩევას შექმნილი სიტუაციის შესაბამისად.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ ზოგადს, კერძოს, მარტივსა და რთულ საგამოძიებო სიტუაციებს. ზოგად სიტუაციად მიჩნეულია დანაშაულის გამოძიების მსვლელობა და მდგომარეობა, საქმეზე მნიშვნელობის მქონე დადგენილ და დასადგენ გარემოებათა ერთიანობა, მათი სირთულე და სხვა ამოცანების გადაწყვეტა გამოძიების მოცემულ მომენტში. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამოძიების მიმართულება, შეირჩეს პირველდაწყებითი გადაუდებელი-საგამოძიებო მოქმედებათა კომპლექსი და შემუშავდეს ზოგადი ვერსიები. კერძო სიტუაცია ეხება გამოძიების ცალკეულ ეპიზოდების მდგომარეობას, გარკვეული გარემოებების ახსნას, მათ მნიშვნელობას, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედე-

ბათა ჩატარების პირობებს, ადგილზე არსებულ მატერიალურ მდგომარეობას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სხვ. მარტივ სიტუაციად მიჩნეულია ისეთი გარემოება, როცა გამოძიების დასაწყისში მისი ჩამდენი პირი სახეზეა და შემთხვევა ატარებს ერთნიშნიან ხასიათს. რთულ საგამოძიებო სიტუაციაში კი — ისეთი შემთხვევები, როცა გამოძიების დასაწყისში დანაშაულებრივი გარემოების შესახებ არსებობს არასაკმარისი ინფორმაცია.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ აგრეთვე ტიპიურს, სპეციფიკურს, მარტივსა და რთულ საგამოძიებო სიტუაციებს. ტიპიურ სიტუაციად მიიჩნევენ ისეთ ხშირად გამეორებულ სიტუაციებს, რომლებიც მოიცავენ არასაკმარის ინფორმაციებს და ხასიათდებიან მეტად ზოგადი ნიშნებით. სპეციფიკურ სიტუაციად — ისეთ სიტუაციას, როცა მიღებული ინფორმაციები ხასიათდებიან მეტი კონკრეტულობით, განსაკუთრებული და ინდივიდუალური ნიშნებით. ამასთან რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვს გამომძიებელს საქმეზე მიღებული, მით უფრო მარტივია საგამოძიებო სიტუაცია და, პირიქით, რთული საგამოძიებო სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების შესახებ არსებობს არასრული ინფორმაცია.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს საგამოძიებო სიტუაციის კიდევ უფრო დეტალური კლასიფიკაციაც, როცა მარტივი საგამოძიებო სიტუაციის გარდა ერთიმეორისაგან განასხვავებენ ხუთი ჯგუფის რთულ სიტუაციას. კერძოდ, მარტივი სახის საგამოძიებო სიტუაციად მიჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა საქმის გამოძიებისთანავე გამომძიებელს აქვს საკმაო ინფორმაცია მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის და მისი ჩამდენი პირის შესახებ. რთულ საგამოძიებო სიტუაციებში კი ერთიმეორისაგან განასხვავებენ ისეთ შემთხვევებს, როცა: 1.საქმეზე არსებობს საკმაო ინფორმაცია დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ, მაგრამ არ მოიპოვება ცნობები მისი ჩამდენი პირის შესახებ (მაგალითად, მკვლელობა, უჩალური თავდასხმა, ქურდობა და სხვ.) და უცნობია მისი ჩამდენი პირი. 2.საქმეზე მოიპოვება მონაცემები დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისა და დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ (მაგალითად, ქრთამის აღება, გაუპატიურება, მაგრამ არ არის საკმარისი ინფორმაცია იმაზე, ამ გარემოებას ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი); 3.საქმეზე მოიპოვება საკმაო ინფორ-

მაცია გამოსაძიებელი შემთხვევის არსებობისა და მასზე პასუხისმგებელი პირის შესახებ (მაგალითად, დანაკლისი, ავტოავარია, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევა და სხვ.), მაგრამ გაურკვეველია ეს ქმედობა არის თუ არა დანაშაულებრივი. 4.ცნობილია დანაშაულებრივი შემთხვევა და იმ პირთა მეტნაკლები წრე, რომელთაც შეეძლოთ მოცემული დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, ნადირობის დროს ჩადენილი მკვლელობა, ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა, ქურდობა საცავში შეღწევით და სხვ.). 5.არსებობს ინფორმაცია კონკრეტული შემთხვევის შესახებ, მაგრამ გაურკვეველია არის თუ არა იგი დანაშაულებრივი და ამასთან არ არის ცნობა ამ ამბის ჩამდენი პირის შესახებ (მაგალითად, პირის უგზო-უკვალოდ დაკარგვა და სხვ.).

საგამოძიებო სიტუაციათა ამგვარი კლასიფიკაცია, ცხადია, საჭირო და სასარგებლოა რადგან იგი საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო მეტი სიზუსტით წარმოვიდგინოთ ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების კონკრეტული ამოცანები და უფრო სრულად დავსახოთ მათი გადაწყვეტის გზები. მაგრამ ამ საგამოძიებო სიტუაციათა კლასიფიკაციაში, დანაშაულთა გახსნის თვალსაზრისით შეიმჩნევა არასრული წარმოდგენა გამოსაძიებელ შემთხვევაზე, მის ყოველმხრივ გამოკვლევაზე, რადგან მათში იგრძნობა გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრის ერთგვარი შეზღუდვა. იგი თითქოს ვერ სცილდება დანაშაულებრივი შემთხვევისა და დანაშულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დადგენის ფარგლებს. დანაშაულის გახსნა კი ნიშნავს საქმის რთულ, ყოველმხრივ გამოკვლევას, მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, გამოსაძიებელ საქმეზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას, დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენას და სხვ. რაც თავის მხრივ, მთელ რიგ შემთხვევებში, წარმოქმნის გამოძიების ახალ რთულ სიტუაციებს. ამასთან დანაშაულებრივი შემთხვევის გამოძიების პროცესში მართალია გამომძიებელი ქმნის გამოძიების ერთიან მოდელს, მაგრამ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მას არ შეუძლია იმოქმედოს მის მიერ ადრე შედგენილი სქემით ან მისი ადრინდელი პრაქტიკული გამოცდილებით, რადგან სიტუაცია განუწყვეტლივ იცვლება გამოძიების წარმოების ყველა მომენტში. იგი შეიძლება შეიცვალოს თვით ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესშიც (ახლად) აღმოცენებული, მოულოდნელი გარემოებისა და ვითარების მიხედვით. მაგალითად, გამომძიებელი ბინის ჩხრეკის ჩატარების პროცესში შეიძლება

წაწყდეს დამნაშავეს, რომელიც გამოძიებას ემალებოდა და ამ უკანასკ-ნელმა გაუწიოს შეიარაღებული წინააღმდეგობა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში გამომძიებლის მიზანდასახული მოქმედება, მისი აზროვნება ამ სიტუაციაში იქითკენ აღარ იქნება მიმართული, თუ რა ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეუძლია გამოიყენოს გადამალული ნივთების აღმოსაჩენად, არამედ ამ შეცვლილი სიტუაციის გამო მისი აზროვნების ცენტრი ინაცვლებს სრულიად ახალი მიმართულებისაკენ და ამ ახლად აღმოცენებული კონკრეტული გარემოების მიზედვით ქმნის თავდაცვისა და მოწინააღმდეგე-ძებნილი პირის დაკავებისათვის საჭირო სპეციალურ მოდელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგამოძიებო სიტუაცია არის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გარკვეულ მომენტში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება გამომძიებლის გამგებლობაში არსებული მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოცულობითა და ხასიათით, აგრეთვე, კონკრეტულ გარემოებაში აღმოცენებული სხვა გარეშე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით.

ამრიგად, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და საგამოძიებო სიტუაცია დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემატიური საკითხებია, რომელთა ღრმა მეცნიერული დამუშავება და ანალიზი ხელს უწყობს მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე გამოძიების სწორად წარმართვას, მტკიცებულებათა შეკრებას, საქმის სწრაფ, სრულ გახსნას და ამით გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

XXVII თავი

სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცებათა გამოძიება

ტერმინს „კოლექტიური" განეკუთვნება საიჯარო საწარმოების, კოლექტიური საწარმოების, კოოპერატივების, სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების, სამეურნეო ასოციაციების, სააქციო საზოგადოებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა იმ გაერთიანების საკუთრება, რომლებიც იურიდიული პირები არიან.

დატაცებები, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ჩადენილი, ყოველთვის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, რადგან იგი ხელყოფს და ზიანს აყენებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ამ დანაშაულთა წარმატებით გამოძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

განსახილველი კატეგორიის საქმეთა გამოძიებისას, გამოძიების ამოცანები, უპირველეს ყოვლისა, იმით განისაზღვრება, რომ სრული მოცულობით დადგინდეს გარემოებები, რომლებიც შეეხება დატაცების ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს, ასევე დატაცებათა ეპიზოდებსა და თანამონაწილეებს.

დატაცებებს განასხვავებენ იმის მიხედვით, თუ ვინ ჩადის მას. თანამდებობის პირები — სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თუ გარეშე პირები. სწორედ ამ რაკურსით განვიხილავთ სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცებათა გამოძიების მეთოდიკის საკითხებს.

I. თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დატაცებათა გამოძიება

§1 დატაცებათა კრიმინალისტიკური დახასიათება. საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი

თანამდებობის პირები დატაცებებს, როგორც წესი, ჩადიან მითვისებით, გაფლანგვითა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (ამ დანაშულთა შემადგენლობას ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლი). ამ შემთხვევაში დამტაცებლები სარგებლობენ იმ უფლებამოსილებით, რაც გააჩნიათ თავიანთ მართლზომიერ მფლობელობასა და სარგებლობაში მყოფი ქონების

მიმართ და ახდენენ ანგარების მიზნით, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, მათს ამოღებას მესაკუთრის ფონდიდან და აქცევენ ამა თუ იმ პირის ისეთ სარგებლობაში, რაც, საბოლოო ჯამში, ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს.[1]

თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დატაცებები, ღირებულებით ფორმაში, ყოველთვის მოიცავს ქონების დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობას. აღნიშნული პირები, დანაშაულის ჩადენისა და მისი შენიღბვის მიზნით, იყენებენ როგორც ამა თუ იმ საწარმოს საწარმოო პროცესების ტექნოლოგიურ თავისებურებებს, ასევე მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში არსებულ ნაკლოვანებებს. თანამდებობის პირები სარგებლობენ რა სამეურნეო სისტემის სუსტი ადგილებით, სპეციალურად სახეს უცვლიან სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ მხარეს იმ მიზნით, რათა გაიადვილონ პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნა და დაფარონ დანაშულის კვალი. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება დატაცების ხერხებსა და იმ გარემოებებს შორის, რაც განაპირობებს მათს გამოყენებას. ამიტომ იმ პირობების აღმოფხვრა, რაც აუცილებელია დატაცების გარკვეული ხერხის გამოსაყენებლად, საფუძვლად უდევს დატაცებათა აღკვეთის მიზნით ჩასატარებელ საქმიანობას.

თანამდებობის პირთა მიერ გამოყენებული დატაცების ხერხები, როგორც წესი, დამოკიდებულია წარმოების, დატაცებული ქონების, მისი აღრიცხვის ხასიათზე და იმაზე, თუ როგორ აისახება ეს დატაცებები ორგანიზაციის ბალანსზე. ამასთან დაკავშირებით, დამნაშავეების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ჩადენილი დატაცებების კლასიფიკაცია უნდა მოვახდინოთ შემდეგნაირად: 1.დატაცებები, რომლებიც დოკუმენტების მიხედვით საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ბალანსში პოულობს ასახვას დანაკლისის სახით; 2.დატაცებები, რომლებიც ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ასახვას ვერ პოულობს საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ბალანსში (მაგ. ყალბი ჩანაწერების შეტანა გასავლის დოკუმენტებში, ასევე საალრიცხვო წიგნებში და ა.შ.). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეტწილად რთულ (მრავალეპიზოდიან) დატაცებათა საქმეებში ფიგურირებს რამდენიმე ხერხის გამოყენება. რაც შეეხება

---

[1]. დაწვრილებით თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დატაცებაზე იხ. ზ.წულაია — სოციალური ქონების გატაცება და მასთან ბრძოლა. თბ., 1978 წელი.

ცალკეულ დანაშაულებრივ ხერხს, ისინი დამნაშავეების მიერ გამოყენებულია კონკრეტული ფაქტის, კერძოდ, დატაცებათა ეპიზოდის მიმართ.

თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დატაცებებისას, აუცილებლად უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: ა)დატაცების წყაროები, რაც დაკავშირებულია დანაშაულის შემთხვევის დადგენასთან (მათი ცოდნა საჭიროა იმისათვის, რომ დავადგინოთ დატაცების შედეგად მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა, ასევე გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დატაცებების ჩადენას); ბ)დატაცებული ქონება და მათი რეალიზაციის ფაქტები; გ)ქონებაზე დანაშაულებრივი დაუფლება; დ)დატაცებული ქონების სახეობა და ოდენობა; ე)დანაშაულებრივი ჯგუფის შემადგენლობა, მათი მონაწილეების დახასიათება და როლები დატაცებაში; ვ)ქონება და ფასეულობები, რომლებიც დამტაცებელთა მიერ დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული; ზ)საწარმოს (დაწესებულების) საქმიანობის პირობები, რაც დაკავშირებულია ქონების დაცვის უზრუნველყოფასთან; თ)შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის დამოკიდებულების როლის გარკვევა სახელმწიფო ან კოლექტიური საკუთრებისადმი; ი)დამტაცებლის პიროვნების ზნეობრივი ჩამოყალიბების პირობები.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების გზით ჩადენილი დატაცების გამო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს საკმაო მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ამ დანაშაულის ნიშნების გარკვეულ ურთიერთობაზე. მათ შორის ყველაზე უფრო ტიპიურებს განეკუთვნებიან: ნივთიერი სამხილით — დატაცებული ქონებით დაკავება; მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების დანაკლისი ან ზედმეტობა, რომელთა წარმოქმნის ახსნაც არ შეუძლიათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს; მატერიალური ფასეულობების ზედმეტობის გამოვლინება საწყობებში, საწარმოო და სხვა შენობებში, რომლებიც არ არის ასახული დოკუმენტებში; ქონების, მზა ნაწარმის, სამშენებლო მასალების და სხვათა არალეგალური რეალიზაციის ფაქტები; თანამდებობის პირების მიერ დაუსაბუთებლად დარიცხული და გაცემული ფულის მიღება; მიღებული ან გასაშვები ქონების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არასწორი განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია მისი აღურიცხავი მარაგის შექმნასთან, კერძოდ, იმ საზომი ხელსაწყოების გამოყენებით, რომლებიც დამახინჯებულად ასახავენ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენე-

ბლებს; სახელმწიფო ან კოლექტიური ქონების გადაზიდვა იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება თანდართულ დოკუმენტებში აღნიშნულ რაოდენობას, ან რომელსაც არ ახლავს ეს დოკუმენტები; იმ თანხების გასავალში ჩამოწერა, რომელიც ვითომდა დაიხარჯა შესყიდულ და მოცემული დოკუმენტების მიხედვით შესავალში გატარებული ქონებაზე, რომელიც ფაქტიურად არ შემოსულა საწარმოში.

მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ დატაცებათა ზემოჩამოთვლილ და სხვა ნიშნებზე, შეიძლება აღმოჩნდეს ასევე გამომძიებლისა და პროკურორის სახელზე შემოსულ განცხადებებში და შეტყობინებებში. დატაცების ნიშნები შეიძლება გამოავლინონ აგრეთვე ეკონომიურ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოებისა და მოკვლევის ორგანოების თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შედეგად.

ხშირად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია შემოსული მასალების საფეძველზე და საჭირო ხდება დამატებითი ინფორმაციის მიღება. ამგვარ შემთხვევებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად, შემოსული განცხადებები და ცნობები წინასწარ მოწმდება აუცილებელი მასალების გამოთხოვნის, წერილობითი და სიტყვიერი ახსნა-განმარტებების მიღების გზით იმ პირთაგან, რომლებსაც შესაძლებელია მეტნაკლებად მიუძღოდეთ ბრალი კანონის დარღვევაში ან კავშირი აქვთ დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლინებასთან.

სისხლის სამართლის საქმე დანაკლისის ფაქტის თაობაზე, რომელიც რევიზიის შედეგად გამოვლინდა, აღიძვრება მას შემდეგ, რაც რევიზორი, გამოიყენებს რა მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებს, დაადგენს მნიშვნელოვანი დანაკლისის ფაქტს და გამოიკვლევს მისი წარმოქმნის მიზეზებს მისთვის ხელმისაწვდომი მეთოდების მეშვეობით.

პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე, გამომძიებელი ატარებს რიგ მოსამზადებელ საორგანიზაციო ღონისძიებებს, სახელდობრ:

ეცნობა საწარმოს (დაწესებულების) საქმიანობის ხასიათს (სადაც ადგილი ჰქონდა დატაცებას); მათი საამქროების, განყოფილებების ურთიერთკავშირებს; ქონების შენახვის პირობებს; ქონების (როგორც საბუღალ-

ტრო, ასევე ოპერატიული) აღრიცხვის სისტემას; დოკუმენტაციის ბრუნვას; არკვევს შენობების განლაგებას, სადაც ინახებოდა დატაცებული ქონება, დოკუმენტებს, საგნებს, სხვადასხვა მასალებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის; ავლენს მომიჯნავე ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოცემული საწარმოს მომარაგებასთან, დატაცებულ მასალებთან ან დატაცებული ნაწარმის გასაღებასთან;

ავლენს აუცილებელ საორიენტაციო ცნობებს იმ პირებზე, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დატაცებებში, ასევე მათ კავშირებს, საცხოვრებელ ადგილს, საკუთარ ნაგებობებს, დატაცებული საქონლის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფასეულობების შენახვის შესაძლო ადგილებს და სხვ.

შეარჩევს საქმიანი და მორალური თვისებების შესაბამისად სათანადო სპეციალისტებს, რომელთა მონაწილეობაც ამა თუ იმ პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებებში ჩვეულებრივ აუცილებელია (ტექნოლოგები, ბუღალტრები, საქონელმცოდნეები, სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრები, აგრონომები და ა.შ.);

განსაზღვრავს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებსაც შეუძლიათ გაუწიონ არსებითი დახმარება.

პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებები დატაცებების საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მათი სირთულისა და დიდი მოცულობის გამო ტარდება გამომძიებლის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, რომელიც მოიცავს აგრეთვე მოსამზადებელ და საორგანიზაციო ღონისძიებებსაც.

ამ ღონისძიებების ხასიათი, განსაკუთრებით კი მათი განხორციელების წესი, დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, იმაზე, იქნება თუ არა ისინი მოულოდნელი ეჭვმიტანილებისათვის ან სხვა პირებისათვის, რომლებიც საქმის საბოლოო შედეგებით არიან დაინტერესებულნი. ეს, თავის მხრივ, განისაზღვრება იმ მასალების შეგროვებით, რომლებიც იძლევიან საფუძველს სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად.

დატაცებათა საქმეებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: ა)საქმეები, რომლებიც აღძრულია რევიზიებისა და ინვენტარიზაციების მასალების მიხედვით და რაც ცნობილია ეჭვმიტანილებისათვის; ბ)საქმეები, რომლებიც აღძრულია უშუალოდ მოკვლევის ორგანოებისა და გამომძიებლის მიერ გამოვლენილი

დატაცების ნიშნების, მოქალაქეების განცხადებებისა და წერილების საფუძველზე და რის შესახებაც ეჭვმიტანილები არ არიან ინფორმირებულნი.

უკანასკნელ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებებისა და საორგანიზაციო ღონისძიებების ერთდროულად ჩატარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ღონისძიებები გადაუდებელ ხასიათს იძენენ.

იმ საქმეების მიხედვით, რომლებიც აღძრულია მოკვლევის ორგანოების, გამომძიებლის ინიციატივითა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ერთობ მნიშვნელოვანია გამოძიების დასაწყის ეტაპზე გამოვავლინოთ: დატაცებული ქონება; ფული; ფასეულობები; შემნახველი სალაროს წიგნაკები; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება; დატაცებისათვის გამიზნული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის აღურიცხავი მარაგები; სხვადასხვაგვარი "შავი ჩანაწერები", რომლებიც ეხება დანაშულებრივ გარიგებებს, თანამონაწილეთა შორის ანგარიშის გასწორებას და ა.შ.; მისამართები, ტელეფონის ნომრები და სხვა მონაცემები დატაცებების მონაწილეებისა და სხვა პირების შესახებ, რომლებიც გამოძიებას აინტერესებს; საღრიცხვო ჩანაწერების, განადგურებული ნამდვილი დოკუმენტების ნაკუწები; არაოფიციალური დოკუმენტები — ჩანაწერები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ინსტრუქციებით, მაგრამ სწორად ასახავენ მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების ოპერაციების ხასიათსა და მოცულობას (ამ ჩანაწერებს ჩვეულებრივ აწარმოებენ დასახელებული ოპერაციების უშუალო შემსრულებლები, რომლებიც არ არიან დატაცების მონაწილენი, და, შესაძლოა, არც იციან მათ შესახებ); საბუღალტრო და ოპერატიული აღრიცხვის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ გამომძიებლისათვის საინტერესო სამეურნეო და ფინანსურ ოპერაციებს; საზომი ხელსაწყოები, რომელთა დახმარებითაც დამნაშავეები ეწევიან შემოსული და გაცემული მზა ნაწარმის, ნახევარფაბრიკატებისა და ნედლეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ფალსიფიცირებას, არაინვენტარიზებული აღჭურვილობა, დაზგები, საზომი ხელსაწყოები.

გარდა ამისა, გამოძიების პირველდაწყებით ეტაპზე ერთობ მნიშვნელოვანია გარკვეული ფაქტების დაფიქსირება, რომლებსაც კავშირი აქვთ ქონების არსებობასთან, მის გაცემასა და მიღებასთან.

იმ საქმეებში, რომლებიც აღძრულია რევიზიებისა და ინვენტარიზაციის მასალებზე დაყრდნობით, აუცილებელია აგრეთვე ჩატარდეს დასახელებული საგამოძიებო მოქმედებები, მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩავთვალოთ როგორც მოულოდნელი. საქმე იმაშია, რომ ეჭვმიტანილებმა უკვე იციან, რომ ამგვარი მოქმედებები უნდა ჩატარდეს. ამიტომაც დატაცებათა საქმეების გამოძიების დასაწყის ეტაპზე შეიძლება რამდენადმე შეიცვალოს პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თანმიმდევრობა.

§2 პირველდაწყებითი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებანი. დატაცებათა ჩადენის ხერხების დადგენა.

გამოძიების დასაწყისში რეკომენდირებულია ჩატარდეს შემდეგი პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებები: რევიზორისა და იმ პირთა დაკითხვა, რომლებმაც ჩაატარეს ინვენტარიზაცია, რომლის შედეგადაც გამოვლინდა დანაკლისი; რევიზიისა და ინვენტარიზაციის აქტში მითითებული დამსწრეების დაკითხვა; იმ დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც ადასტურებენ დანაკლისს; იმ დოკუმენტების ამოღება, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი რევიზიის აქტთან ერთად, ან მათი დაცვისათვის სათანადო ზომების მიღება; იმ პირთა დაკითხვა და ჩხრეკა, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან დანაკლისზე, ასევე მათ ქონებაზე ყადაღის დადება (მათ შორის შემნახველ სალაროში არსებულ ანაბრებზე).

პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველზე უნდა შემუშავდეს საქმის შემდგომი გამოძიების გეგმა, რომლის საფუძველსაც უნდა შეადგენდეს ვერსიები დატაცების შემთხვევისა და მის ჩამდენ პირთა შესახებ. ამასთან მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს საკითხებს დანაშაულის ჩადენის ხერხების შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დოკუმენტების მიხედვით შემოსავალში აღებული (გატარებული) სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების დატაცებები ყველაზე ხშირად შემდეგი ხერხებით ხდება: ა)ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ამოღება და მათი მითვისება დანაკლისის შემდგომში დაფარვის გარეშე; ბ)ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ამოღება და მათი მითვისება დანაკლისის შემდგომში დაფარვით, რისთვისაც დამნაშავეები წარადგენენ ყალბ გამამართლებელ საბუთებს: სახელდობრ, ადგენენ ყალბ ანგარიშებს, შრომით

ხელშეკრულებებს; განზრახ ზრდიან საგადასახადო უწყისებში ჯამს და ითვისებენ განსხვავებას ხელოვნურად გაზრდილ და ფაქტობრივად გაცემულ თანხებს შორის; ადიდებენ განრიგებში შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ღირებულებას და "მკვდარი სულების" დახმარებით იღებენ უსაფუძვლოდ დარიცხულ თანხებს; წერენ ყალბ სამივლინებო ბარათებს, რომელთა საფუძველზედაც ადგენენ სალაროს ყალბ გასავლის ორდერებს და აგრეთვე ყალბ საავანსო ანგარიშებს და ითვისებენ ფულად სახსრებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა დარიცხული ამ დოკუმენტების მიხედვით. აწარმოებენ ყალბ სააღრიცხვო ჩანაწერებს როგორც საბუღალტრო, ისე ოპერატიულ აღრიცხვაში, რითაც ქმნიან ქონების აღურიცხავ ზედმეტობას.

დოკუმენტების მიხედვით შემოსავალში გაუტარებელი ქონების დატაცება ხდება შემდეგი ხერხებით: ა)შემოსული ქონების სრული ან ნაწილობრივი გაუტარებლობა შემოსავალში და ამ გზით შექმნილი ზედმეტობის დატაცება. ამდაგვარი ზედმეტობების დასაფარავად დამტაცებლები უსაფუძვლოდ ამცირებენ შემოსავლის დოკუმენტებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს მათი მიმწოდებლიდან მიღების დროს; ჩამოწერენ მიმწოდებლიდან მიღებული საქონლის ნაწილს ზენორმატიული დანაკარგების სახით, რასაც ფაქტობრივად არ ჰქონია ადგილი; ბ)იტაცებენ წინასწარ დაგროვილ ქონების აღურიცხავ ზედმეტობას, რომლებიც იქმნება სხვადასხვა მაქინაციების გზით, როგორც საწარმოს საწყობში, ასევე ნედლეულის მზა პროდუქციად ან ნახევარფაბრიკატად გადამუშავების პროცესში.

საწყობში ქონების აღურიცხავი ზედმეტობა შეიძლება შეიქმნას: ქონების არასაკმარისი რაოდენობით გაცემისას მიმღებზე; ქონების ჩამოწერით მისი გაფუჭების ან ზენორმატიული დანაკარგების გამო, რასაც ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია; ქონების ჩამოწერით ბუნებრივი კლების გამო მაქსიმალურად დასაშვები ნორმის მიხედვით, როდესაც ფაქტობრივად კლება ნორმაზე დაბალი იყო; ქონების ჩამოწერით ნარჩენებში (ამ შემთხვევაში ნარჩენების პროცენტი შეგნებულად გადიდებულია დამტაცებლების მიერ და სჭარბობს ფაქტობრივს).

თუ საქონლის აღურიცხავი ზედმეტობის დატაცებას ადგილი აქვს მისი გაყიდვის დროს, მაშინ დამტაცებლები სამუშაოს პირობებიდან გამომდინარე მიმართავენ ჯამური ზედმეტობის შექმნის ისეთ ხერხებს, როგორი-

ცაა საქონელზე ფასების გადიდება, წონაში დაკლება
დაბალი ხარისხის საქონლის გაყიდვა უმაღლესი ხარი

დატაცების მინაწილეთა მოქმედება შეიძლება
რომელიც წინ უსწრებდა ქონების უშუალო ამოღებას
მომენტს, გ)დატაცების ჩადენის შემდგომ პერიოდს.

ვერსიები დატაცების ხერხების შესახებ, რომ
სახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩვეულებრ
ვერსიებთან, რომელთა წამოყენებაც ხდება ყალბი
ნასთან დაკავშირებით.

განასხვავებენ ყალბი დოკუმენტების ორ ძი
დოკუმენტები, რომლებშიც ფალსიფიცირებულია ხელ
ციფრობრივი ჩანაწერები, ბეჭდების, შტამპების ან
სიყალბე) და ბ)გარეგნულად სწორად გაფორმებული,
ბის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, მაგრამ რო
ცნობებს, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება (
ყალბე).

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით
რომლებიც თანამდებობის პირების მიერაა ჩადენილი,
ქტუალური სიყალბე.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად
მოკვლევა წინასწარი გამოძიების დროს მოიცავს:
ქნიკურ გამოკვლევას და ბ)მათში მოცემული ცნობებ

დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევა ტარ
ნამდვილობის შემოწმების, ასევე ტექსტის, ხელ
ბეჭდებისა და ანაბეჭდების გაყალბების გამოვლენის
ლევა დასაწყისში შეიძლება თვით გამომძიებელმაც
ბის უშუალოდ დათვალიერების დროს და აგრეთვე
მყოფი ოპტიკური ხელსაწყოების დახმარებით, რ
იძლევიან აღმოვაჩინოთ თვალით უხილავი ჩასწორ
მარება გამომძიებელს დოკუმენტების პირველად გ
გაუწიოს სათანადო სპეციალისტმა (საექსპერტო დაწ
მელმა, შინაგან საქმეთა ორგანოების კრიმინალის
განყოფილების მუშაკებმა, პროკურორ-კრიმინა

დოკუმენტები, რომლებშიც გამომძიებელმა აღმოაჩინა მატერიალური სიყალბეები, ან რომელთა მიმართაც მას გაუჩნდა ვარაუდი, რომ ისინი ყალბია, გადაიგზავნება კრიმინალისტიკურ ექსპერტიზაზე.

დოკუმენტებში მოცემული ცნობების სისწორეს აანალიზებს როგორც გამომძიებელი, ასევე რევიზორი და ექსპერტი.

საკითხი იმის შესახებ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თუ ვინ უნდა გააანალიზოს დოკუმენტები, უნდა გადაწყდეს საქმის მასალების ხასიათისა და გამოკვლევის მოცულობის მიხედვით.

გამომძიებელი აწარმოებს რა შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია დოკუმენტების გამოკვლევაზე (მოწმეების, ეჭვმიტანილების, ბრალდებულების დაკითხვა; საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ.), ამავე დროს შეისწავლის ცალკეულ დოკუმენტებს, ადარებს ერთმანეთთან, უპირისპირებს მათ ბუღალტერიის სააღრიცხვო მონაცემებს და სხვ.

გამოკვლევა ტარდება იმ მიზნით, რათა დადგინდეს ცალკეული სააღრიცხვო დოკუმენტების (რეგისტრების) შინაარსებს შორის იგივეობა ან განსხვავებები და შეესაბამებიან თუ არა ისინი ფაქტობრივად შესრულებულ სამეურნეო ოპერაციებს.

შესწავლილი ობიექტების ირგვლივ უნდა განვასხვავოთ გამოკვლევის ხერხების სამი ჯგუფი: ა)ცალკეული საბუღალტრო დოკუმენტისა; ბ)რამოდენიმე დოკუმენტისა, რომლებიც ასახავენ ერთსა და იმავე ან ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციებს; გ)სააღრიცხვო მონაცემებისა, რომლებიც ასახავენ ერთგვაროვანი ფასეულობების მოძრაობას.

სააღრიცხვო დოკუმენტების გამოკვლევის ხერხებს მიეკუთვნება შემოწმება არითმეტიკული და ნორმატიული (ფორმის მიხედვით).

იმ დოკუმენტების ანალიზის დროს, რომლებიც ასახავენ ერთსა და იმავე ან ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციებს, გამოიყენება შემხვედრი შემოწმება და ურთიერთკონტროლის მეთოდი.

სააღრიცხვო მონაცემების გამოკვლევა, რომლებიც ასახავენ ერთგვაროვანი ფასეულობების მოძრაობას, ტარდება იმ მიზნით, რათა გამოვლინდეს გადახრები ფასეულობათა მოძრაობის ჩვეული წესიდან. იგი შეიძლება განხორციელდეს დოკუმენტებიდან სააღრიცხვო ჩანაწერების აღდგენის გზით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის თითოეული (ყოველდღიური) ოპერაციის ანალიზის

მეშვეობით, მათი ნაშთის განსაზღვრით თითოეული ოპერაციის ან დღის შემდეგ, და, აგრეთვე იმ დოკუმენტების შედარებითი ანალიზის მეშვეობით, რომლებიც ასახავენ ერთტიპობრივ ოპერაციებს.

იმ საალრიცხვო მონაცემების გამოკვლევა, რომლებიც ასახავენ ერთგვაროვანი ფასეულობების მოძრაობას, შეიძლება აწარმოოს თვით გამომძიებელმა მცირე რიცხვის ოპერაციების ანალიზისას. ჩვეულებრივ კი ამგვარ გამოკვლევებს გამომძიებლის მოთხოვნით აწარმოებდნენ საბუღალტრო აღრიცხვის დარგის სათანადო სპეციალისტები.

თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ორგანიზებული დატაცებების საქმეების შესწავლით დადასტურებულია, რომ ამ კატეგორიის დატაცებები ჩადენილია ისეთი ხერხებით, რომლებიც არ იწვევენ დანაკლისებს და არ პოულობენ პირდაპირ ასახვას სათანადო ორგანიზაციების ბალანსში. ეს განპირობებულია იმით, რომ მათი ჩადენა წარმოებაში და ვაჭრობაში მეტწილად დაკავშირებულია ქონების აღურიცხავი ზედმეტობის შექმნასთან.

წარმოებაში, უპირველეს ყოვლისა, იქმნება ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების აღურიცხავი ზედმეტობა, რომლისგანაც შემდგომში, როგორც წესი, დამტაცებლები ამზადებენ აღურიცხავ მზა პროდუქციას და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხებს ითვისებენ. ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების აღურიცხავი ზედმეტობის დატაცება შესაძლებელია მოხდეს შემდგომში მათი გადამუშავების გარეშეც.

ნედლეულისა და მასალების ზედმეტობა შეიძლება შეიქმნას საამქროებში, პუნქტებში, განყოფილებებში და საწყობებში ნედლეულის და მასალების მიღების დროს, და აგრეთვე, წარმოების პროცესშიც.

დამტაცებლებმა, აღურიცხავი მარაგის შექმნის მიზნით, სამრეწველო საწარმოებში შეიძლება მიმართონ ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლების ფალსიფიკაციას მომწოდებლიდან მისი მიღების დროს. დატაცებისათვის აღურიცხავი მარაგი იქმნება აგრეთვე საწარმოში მიღებული ნედლეულის წონისა და რაოდენობის შესახებ მონაცემების ფალსიფიკაციის გზით.

სამრეწველო საწარმოში ნედლეულის მიღებისას ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ფალსიფიკაციის ფაქტები გამოვლინდება, თუ შევუპირისპირებთ ამ მონაცემებს საწარმოს დოკუმენტებისა (მაგ. მიღების

ქვითრები, ზედნადებები) და მიმწოდებლის დოკუმენტების (საბითუმო უწყისები, სატრანსპორტო ზედნადებები და სხვ.) მონაცემებს.

აღნიშნულ დოკუმენტებში გამოვლინებული წინააღმდეგობების თაობაზე დაიკითხებიან ის პირები, რომლებსაც მიმწოდებელ ორგანიზაციებთან კავშირი აქვთ ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

აღურიცხავი მარაგის შექმნის მიზნით დამტაცებლები მიმართავენ აგრეთვე ისეთ ხერხს, როგორიცაა სატრანსპორტო ორგანიზაციებიდან ნედლეულის მიღებისას მისი შემოსავალში აღება არასწორად (დამახინჯებულად). ამის გამოსავლენად საჭიროა ერთმანეთს შევუდაროთ მონაცემები, შემოსული ნედლეულის დასახელების, მისი რაოდენობისა და ხარისხის შესახებ (რომლებიც მოცემულია სარკინიგზო ზედნადებებში, საგზაო უწყისებში) მოცემული საწარმოს შესაბამის დოკუმენტებს.

მონაცემებს საწარმოს საწყობებში ნედლეულის აღურიცხავი ზედმეტობის შესახებ გამომძიებელი ადგენს წარმოებაში ფაქტობრივად გაშვებული ნედლეულის შესახებ მონაცემების (რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით) შეპირისპირებით მოცემული საწარმოს ოფიციალურ დოკუმენტებთან.

ნედლეულის აღურიცხავი მარაგი შესაძლებელია შეიქმნას წარმოების პროცესში დახახარჯში მისი უფრო დიდი რაოდენობით ჩამოწერის გზით, ვიდრე იგი ფაქტობრივად იხარჯება.

გამოძიებელი მნიშვნელოვან მტკიცებულებას მოიპოვებს დათვალიერების, ჩხრეკების, ინვენტარიზაციის ჩატარებით. ასევე იმ მოწმეების დაკითხვით, რომლებსაც კავშირი აქვთ ნედლეულის მიღებასა და ხარჯვასთან, მის გასავალში ჩამოწერასთან, მზა პროდუქციის გამოშვებასთან, ნედლეულის ხარჯვის ნორმების დამტკიცებასთან და სხვ.

აღურიცხავი პროდუქციის შექმნის დროს, თუ რა რაოდენობის ნედლეული დაიხარჯა, ამას ადგენს ტექნოლოგიური ექსპერტიზა.

გამოძიებისას ყურადღება უნდა მიექცეს მზა პროდუქციის ხარისხის გამოკვლევას, ვინაიდან ერთი კომპონენტის შეცვლა მეორეთი, ნაკლები რაოდენობის ნედლეულის გამოყენება და ა.შ., იწვევს მზა პროდუქციის ხარისხის გაუარესებასა და აღურიცხავი მარაგის შექმნას.

ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის აღურიცხავი ზედმეტობის შესაქმნელად და, აგრეთვე, მათი დანაკლისის დასაფარავად დამტაცებლები მიმართავენ უკმარტვირთვას მომხმარებელზე. ამასთან დოკუმენტებში ზრდიან მონაცემებს გასაგზავნი ქონების რაოდენობისა და წონის შესახებ. ამგვარი ფაქტების დადგენა შესაძლებელია გაგზავნილი პროდუქციის შემოწმების გზით, რაც ცხადია, მოულოდნელი უნდა იყოს ეჭვმიტანილთათვის.

არსებით როლს თამაშობს იმ დოკუმენტების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც მომხმარებელთა რეკლამაციებს შეეხება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება შემოსავალში აღებული აღრიცხული ნაწარმის რაოდენობა იმ დოკუმენტების მონაცემებს, რომლებიც ასასავენ სხვადასხვა საწარმოო ოპერაციების შესრულებას.

აღურიცხავი ნაწარმის დამზადება არასამუშაო საათებში შეიძლება გამოვავლინოთ საწარმოს მუშებისა და უპირველეს ყოვლისა იმ სპეციალობის მუშების დაკითხვით, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ამ სახეობის ნაწარმის დამზადება. საწარმოს მუშების მიერ დამზადებული პროდუქციის ფაქტობრივი რაოდენობის დასადგენად საჭიროა მათი შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მასალების გამოკვლევა.

აღურიცხავი პროდუქციის მნიშვნელოვანი ოდენობის რეალიზაცია ძირითადად სავაჭრო ქსელების მეშვეობით ხდება. სარეალიზაციოდ გამოყენებულია შემდეგი ხერხები:

1. აღურიცხავი პროდუქცია გააქვთ ოფიციალურად სარეალიზაციო პროდუქციასთან ერთად ზედნადებით, რომელშიაც მითითებულია მთელი ფაქტობრივად გადასატანი პროდუქცია; შემდგომში ხდება ამ ზედნადების შეცვლა სხვა ზედნადებით, უკანასკნელში მითითებულია მხოლოდ აღრიცხული პროდუქცია და მასზე გამოყვანილია ანგარიში. ასეთ ხერხს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ზედნადების ბლანკები არ წარმოადგენენ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებს.

2. აღურიცხავი პროდუქციის გატანის დროს გამოიწერება სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ნაწარმის სავაჭრო ორგანიზაციებში მიტანის შემდეგ ნადგურდება მათი სხვა დოკუმენტებით შეცვლის გარეშე

(ზედნადების ბლანკები ამ შემთხვევაშიც არ წარმოადგენენ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებს).

3. იქ, სადაც შემოღებულია ზედნადების სპეციალური ბლანკები (მკაცრი აღრიცხვის ბლანკები), აღურიცხავი პროდუქცია გაიტანება ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, მაგრამ შემდგომში არ ხდება ზედნადების შეცვლა, არამედ მის ყველა ეგზემპლარში შეიტანება სათანადო ჩასწორებები, სახელდობრ, სავაჭრო ქსელში შეტანილი პროდუქციის რაოდენობა მცირდება ოფიციალურად გაგზავნილ რაოდენობამდე და მხოლოდ ამ რაოდენობაზე ხდება ანგარიშის გამოყვანა.

4. სავაჭრო ქსელში პროდუქცია გაიგზავნება ზედნადებით, რომელიც ყალბ ბლანკზეა გამოწერილი, მაგრამ მას გააჩნია ნამდვილი ბლანკის ყველა რეკვიზიტი (დამტაცებლები ზოგჯერ ახერხებენ შეუკვეთონ ყალბი ბლანკები ტიპოგრაფიაში, რომლის მუშაკებთანაც ისინი დანაშაულებრივ კავშირში შედიან).

5. ერთი და იმავე ზედნადებით სავაჭრო ქსელში პროდუქცია გააქვთ ორჯერ: პირველად ის, რომელსაც სავაჭრო ობიექტი ოფიციალურად ღებულობს, ხოლო შემდეგ — აღურიცხავი. ამ უკანასკნელის გადაზიდვის შემდეგ, ზედნადების იმ გრაფაში, სადაც დრო აღინიშნება, გადაასწორებენ ჩანაწერს პროდუქციის გატანის დროის მიხედვით, ზოგჯერ ამ გრაფას საერთოდ არ ავსებენ.

6. აღურიცხავი პროდუქციის გატანა ხდება ზედნადებით, მაგრამ სავაჭრო წერტში მისი მიტანის შემდეგ საქონელი არ გატარდება შემოსავალში, ხოლო ზედნადები იგზავნება უკან საწარმოს საწყობში. საწყობის გამგე, რომელიც დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეა, ზედნადების ყველა ეგზემპლარზე აკეთებს აღნიშვნას მათი გაუქმების შესახებ, ან სხვა დამტაცებლების თანამონაწილეობით ადგენს აქტს, რომელშიც მითითებულია ზედნადების ბათილობის შესახებ მოგონილი მიზეზები (მაგ. ზედნადების გაფუჭება, ვაჭრობის მუშაკების უარი ზედნადების მიხედვით უკვე გამოწერილი საქონლის მიღებაზე და სხვ.).

7. საქონლის შემოზიდვის შემდეგ, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები აგზავნიან საწარმოში წერილს ამ საქონლის უკან დაბრუნების თაობაზე და მიუთითებენ, რომ პროდუქცია თითქოსდა უკომპლექტოა, უხარისხოა, არასტანდარტულია და რომ საჭიროა ამ ხარვეზების გამოს-

წორება. კომერციული დირექტორი, მომარაგებისა და გასაღების განყოფილების უფროსი და სხვა კომპეტენტური პირები, რომლებიც შესაძლებელია არც იყვნენ დატაცების თანამონაწილენი, სთავაზობენ საწყობის გამგეს უკან მიიღოს დაბრუნებული პროდუქცია. ამის შემდეგ სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკები გამოწერენ უსაქონლო ზედნადებს მზა პროდუქციის საწარმოში დაბრუნების შესახებ, სადაც იგი ფიქტიურად შეიტანება შემოსავალში. შემდგომში საწარმო ხელმეორედ უგზავნის მზა პროდუქციას სავაჭრო დაწესებულებას, ვითომდა უკან დაბრუნებულის სანაცვლოდ.

8. აღურიცხავი პროდუქცია საწარმოდან გაიტანება დოკუმენტების გარეშე. ამის გამოაშკარავების შემთხვევაში დოკუმენტების არარსებობას ხსნიან სხვადასხვა ტექნიკური შეცდომებით.

საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების მეშვეობით პროდუქციის რეალიზაციის ფაქტების გამოაშკარავება დიდად არის დამოკიდებული ზედნადების ზედმიწევნით გამოკვლევაზე. სახელდობრ, საჭიროა მათი დათვალიერება, შემოწმება და საეჭვო ზედნადების კრიმინალისტურ ექსპერტიზაზე გაგზავნა.

დატაცებული აღურიცხავი ნაწარმის გასაღება შეიძლება დადგინდეს აგრეთვე იმ ოფიციალური დოკუმენტებისა და არაოფიციალური ჩანაწერების გამოკვლევის გზით, რომლებიც ასახავენ სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობას.

გამომძიებელს მხედველობის არეში უნდა ჰქონდეს სავაჭრო ორგანიზაციის ის დოკუმენტებიც, რომლებიც ასახავენ შემოსული საქონლის გადმოზიდვასა და შემოსავალში აღებას, მათ რეალიზაციას, ანგარიშგებისა და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივად არსებობას და სხვ.

მაღაზიის მეშვეობით აღურიცხავი პროდუქციის გასაღების ფაქტების გამოსააშკარავებლად შეიძლება გამოვიყენოთ საკონტროლო შეკერების მეთოდი; სახელდობრ, მაღაზიაში არსებული საქონლის ნაშთი უნდა შეკუდაროთ უკანასკნელი ინვენტარიზაციის მონაცემებს, ასევე საქონლის შემოტანისა და მისი გასაღების ამსახველ დოკუმენტებს.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მაღაზიაში მყიდველიდან ფულის მიღება სალაროს აპარატის მეშვეობით არ გამორიცხავს დამტაცებლების მიერ მისი ამოღების შესაძლებლობას.

სალაროდან შეიძლება ამოღებულ იქნას დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხები, რაც შემდგომ ინიღბება შემაჯამებელი საფულე

მრიცხველის მაჩვენებლის მექანიკური შემცირებით. ამას დამნაშავეები სხვადასხვა ხერხით აღწევენ, კერძოდ, სავაჭრო დაწესებულების მოლარეოპერაციონისტის წიგნის მონაცემების შეჯერებით სალაროს ჩეკებისა და სალაროს აპარატის საკონტროლო ლენტების მონაცემებთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აკვს არაოფიციალური ჩანაწერების გამოკვლევას, რომლებიც აღმოჩენილია ჩხრეკის შედეგად სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებთან. საქმე იმაშია, რომ გამყიდველები ჩვეულებრივ, პირადად, საკუთარი თავისთვის ეწევიან სარეალიზაციოდ მიღებული და გაყიდული საქონლის აღრიცხვას.

სამრეწველო საწარმოსა და სავაჭრო ორგანიზაციის დოკუმენტების, საანგარიშო რეგისტრების კომპლექსური გამოკვლევით დგინდება განმეორებადი ჩასწორებები სხვადასხვა დროს შევსებულ დოკუმენტებში და რეგისტრებში; სხვადასხვაგვარი ურთიერთდამოკიდებული ოპერაციების მიჩქმალვის ფაქტები; გასაღებული პროდუქციის ადგილი, დრო, ხარისხი, რაოდენობა და ა.შ.

გარდა იმ დატაცებებში მონაწილეობისა, რაც გამოიხატება საწარმოში შექმნილი მატერიალური ფასეულობების აღურიცხავი ზედმეტობის რეალიზაციაში, ზოგიერთი ვაჭრობის მუშაკი დატაცებას ჩადის აგრეთვე სავაჭრო დაწესებულებებში ზედმეტობის შექმნის გზითაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს, როგორც უშუალოდ მატერიალური ფასეულობების, ასევა ნაღდი ფულის დატაცებას.

ყველაზედ უფრო გავრცელებულია აღურიცხავი ზედმეტობის შექმნის შემდეგი ხერხები:

ა) ადგენენ ყალბ აქტებს პროდუქციის (საქონლის) გაფუჭებაზე, მსხვრევაზე, ჩამოფასებასა და სხვადასხვა სახის დანაკარგებზე, რასაც სინამდვილეში ადგილი არა აქვს.

ბ) პროდუქციაზე (საქონელზე) ფასდაკლების შემთხვევაში ადგენენ ყალბ აქტებს, რომლებშიც ფიქტიურად მითითებულია ფაქტობრივად უკვე რეალიზებული საქონელი (ფასთა სხვაობას დამნაშავეები, როგორც წესი, ითვისებენ).

გ) მიმართავენ მომწოდებლისა და მომხმარებლის მოტყუებას ზომასა და წონაში; შემოსავალში არ ატარებენ შემოსული საქონლის ნაწილს.

დ) მიმართავენ ნედლეულის ჩამოწერას მაქსიმალურად დასაშვები ნორმის ფარგლებში; იყენებენ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საბითუმო და საცალო ფასებს შორის (საბითუმო გაყიდვაში ჩამოწერენ საქონლის მეტ რაოდენობას, სინამდვილეში მათი ფაქტობრივი რეალიზაცია ხდება უფრო მაღალ საცალო ფასებში).

ე) ხშირად იყენებენ იმ განსხვავებას, რაც არსებობს ერთი და იგივე დასახელების საქონელზე ხარისხის, დამამზადებლისა და ფასის მხედველობაში მიღებით.

ვ) ტარიანი საქონლის გაცემის დროს ზედნადებში დამატებით შეაქვთ ტარის ღირებულება, მაშინ როცა იგი უკვე შედის გასაყიდი პროდუქციის ღირებულებაში.

ზ) გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთ საწარმოთა მუშაკები ვაჭრობის მუშაკებთან წინასწარი შეთანხმებით ადგენენ ყალბ დოკუმენტებს საცალო საქონლის ფიქტიურ გაყიდვაზე, რისთვისაც ხელზე აძლევენ ინკასოზე ჩასარიცხ თანხას. სინამდვილეში საწარმო ამზადებს ძვირადღირებულ პროდუქციას და სხვაობას იაფფასიანსა და ძვირფასიანს შორის დამნაშავეები ითვისებენ. თავის მხრივ საწარმოებში საქონლის ფიქტიური შეძენა ინიღბება სხვადასხვა ყალბი დოკუმენტების შედგენით.

აღურიცხავი ზედმეტობის შექმნის გზით დატაცებების გამოძიებისას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ პირთა დაკითხვა, რომლებსაც კავშირი აქვთ ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ოპერაციებთან და ეჭვმიტანილებთან. ამასთან ერთად საჭიროა დაინიშნოს რევიზიები, ექსპერტიზები (პირველ რიგში სასაქონლო და საბუღალტრო).

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს დოკუმენტების გამოკვლევას, ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საბუღალტრო აღრიცხვის სისტემას, რომელიც მოცემულ ორგანიზაციაში არსებობს, არამედ სავაჭრო ოპერაციების დოკუმენტირების სისტემის შესწავლასაც.

დატაცებები, რომლებიც ჩადენილია სალაროს, ბანკისა და სხვა ოპერაციების დროს, არ არის დაკავშირებული მატერიალური ფასეულობების აღურიცხავი ზედმეტობის შექმნასთან. ამ შემთხვევაში დატაცების საგანს შეადგენს ფულადი სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია ხელფასების,

პრემიების, ფულადი დანამატების, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების, პენსიების, სამივლინებო თანხების გადასახდელად და ა.შ.

ამგვარი დატაცებების მონაწილეთა წრე დაკავშირებულია იმ ოპერაციების ხასიათთან, რომლებითაც ხორციელდება გადარიცხული ფულადი სახსრების გაცემა და მათი სწორი ხარჯვის კონტროლი. ესენი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებსაც უფლება აქვთ ხელი მოაწერონ გასავლის ფულად დოკუმენტებს (კრედიტების განმკარგულებლები); თანამდებობის პირები, რომლებსაც უფლება აქვთ ასეთ დოკუმენტებზე მეორე ხელმოწერისა და მოწოდებულნი არიან განახორციელონ საფინანსო კონტროლი (მთავარი ბუღალტრები, კონტროლიორები, რევიზორები და ა.შ.); პირები, რომლებიც ფულად თანხებს შემოსავალში უშუალოდ იღებენ, აღრიცხავენ, ინახავენ და გასცემენ (მოლარეები).

უფრო მეტად გავრცელებულია ფულადი სახსრების დატაცების ის ხერხები, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავალში მის მთლიან გაუტარებლობასთან, არასწორ აღებასთან; ყალბი დოკუმენტების შედგენასთან; ფულად დოკუმენტებში სიყალბეების შეტანასთან, საბუღალტრო აღრიცხვაში დატაცებების შენიღბვასთან სხვადასხვა მონაცემების არასწორად გატარების გზით და სხვ.

ამგვარი დატაცებების თაობაზე გამოკვლევას ექვემდებარება პირველადი დოკუმენტები და საალრიცხვო რეგისტრები. პირველ რიგში აუცილებელია დასახელებული დოკუმენტების გულდასმით დათვალიერება და გამოკვლევა სპეციალისტების მონაწილეობით, რევიზიების, კრიმინალისტიკური და საბუღალტრო ექსპერტების მეშვეობით.

დოკუმენტების ანალიზის დროს გამოიყენება ისეთი ხერხები, როგორიცაა: ა)იმ დოკუმენტების შემხვედრი შემოწმება, რომლებიც ასახავენ ერთსა და იმავე ოპერაციას სხვადასხვა ორგანიზაციებში (მაგალითად, ფულადი თანხების გაცემაზე ბანკის დოკუმენტების მონაცემების შეპირისპირება იმ ორგანიზაციის დოკუმენტებთან, სადაც ეს თანხები შემოსავალშია გატარებული); ბ)ფულადი თანხების გაცემის უწყისებში შედეგების არითმეტიკული შემოწმება და სხვ.

ფულადი დოკუმენტების შემოწმება დაკავშირებულია ფულის მიმღები პირებისა და აგრეთვე იმ თანამდებობის პირების დაკითხვასთან, რომლებსაც

კავშირი აქვთ ფულადი თანხების გადარიცხვისა და გაცემის დოკუმენტების გაფორმებასთან.

თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დატაცებების გამოძიებისას, გამომძიებელი, როგორც წესი, ეყრდნობა საღრიცხვო დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების მოძრაობას და, პირველ რიგში, პირველად დოკუმენტებს, რომლებშიც უშუალოდაა ფიქსირებული სამეურნეო ოპერაციები.

დოკუმენტების დასათვალიერებლად გამომძიებელი ჩვეულებრივ იწვევს სპეციალისტებს საბუღალტრო აღრიცხვის ან დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევის დარგებიდან. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ცალკეული დოკუმენტების შემოწმებას, არამედ მათი გარკვეული ერთობლიობის ანალიზსაც.

დატაცებათა რთული საქმეების გამოძიებისას, გამომძიებელს შეუძლია განმეორებით დანიშნოს საუწყებო რევიზია. წარმართავს რა რევიზორების საქმიანობას, მას უფლება აქვს ინფორმირება გაუკეთოს რევიზორებს მის განკარგულებაში არსებული საღრიცხვო მასალების შესახებ. იგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იმაზე, გამოიყენება თუ არა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების გამოკვლევის ის საჭირო მეთოდიკა, რომლებიც ხელს უწყობენ დატაცებების გახსნას (შემხვედრი შემოწმება, რაოდენობრივი აღრიცხვის აღდგენა, საკონტროლო შეჯერება და სხვ.).

თუ გამოძიების პროცესში წამოჭრილი კითხვების გადასაჭრელად აუცილებელია სპეციალური ცოდნა საბუღალტრო აღრიცხვის დარგში, დაინიშნება საბუღალტრო ექსპერტიზა.

დატაცებების საქმეთა თაობაზე ექსპერტ-ბუღალტერის წინაშე რეკომენდირებულია დაისვას ისეთი კითხვები, რაც:

1. დაგვეხმარება დავადგინოთ ბრალდებულთა მოქმედებით მიყენებული ზარალის ოდენობა ან წარმოქმნილი ზედმეტი თანხა;

2. დაკავშირებულია იმის შემოწმებასთან, სწორად განაცხადა თუ არა უარი ბუღალტერიამ ან რევიზორმა იმ დოკუმენტების მიღებაზე, რომლებიც წარადგინა მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა;

3. მიმართულია ამა თუ იმ პასუხისმგებელი პირის საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შეპირისპირებაზე გამომძიებლის მიერ გამოვ-

ღლინებულ სხვადასხვა არაოფიციალურ ჩანაწერებთან, რომლებიც იმავე საქმიანობას ეხება.

4. ეხმარება გამომძიებელს გამოავლინოს, შეაგროვოს და სწორად გაიგოს საქმისათვის მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის მასალები;

5. ნათელს გახდის რთულ გაანგარიშებებს, დაფუძნებულს სხვა სპეციალობების ექსპერტების დასკვნებზე, მოწმეთა ჩვენებებზე და ა.შ., ასევე გამოშვებული აღურიცხავი პროდუქციის რაოდენობასა და ფასს, იმ თანხებს, რომლებიც ზედმეტადაა აღებული მომხმარებლიდან, არასრულად არის გაცემული ნედლეულის ჩამბარებლებზე და სხვ.

6. დაკავშირებულია მოცემულ საწარმოში გარკვეული საწარმოო ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვის სწორად დაყენების შემოწმებასთან;

7. მიმართულია საბუღალტრო ოპერაციების შესრულებისას ბუღალტრებისა და მოანგარიშეების როლის გარკვევაზე, რომლებიც ობიექტურად ხელს უწყობდნენ დატაცებების ჩადენასა და დაფარვას;

8. მიმართულია რევიზიის მეთოდების სისწორის შემოწმებაზე;

9. დაკავშირებულია დატაცებების ხელშემწყობი გარემოებების დადგენასა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებასთან.

ნებისმიერი ეს კითხვები შეიძლება დავსვათ ექსპერტ-ბუღალტრის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაჭრა შეუძლებელია თვით საგამოძიებო მოქმედებებით (მოანგარიშეებისა და სხვა მუშაკების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელების დაკითხვით, დოკუმენტების შემოწმებით და სხვ.).

ზოგჯერ საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნას საჭიროა წინ უსწრებდეს რევიზიის ჩატარება. რევიზიის წინასწარი ჩატარების შესახებ საკითხის გადაჭრა დაკავშირებულია პრინციპულ განსხვავებასთან რევიზიასა და საბუღალტრო ექსპერტიზას შორის. რევიზორის დახმარებით გამომძიებელი მიისწრაფვის შეაგროვოს ახალი მასალები, ხოლო ექსპერტიზის დახმარებით იმედოვნებს მიიღოს ახალი მტკიცებულებები მის მიერ უკვე შეგროვილი მასალების საფუძველზე. რევიზიის წინასწარი ჩატარება შესაძლებელია მაშინ, როცა საქმეში არ არის ის დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ექსპერტ-ბუღალტერი შესძლებდა დასკვნის მიცემას; ასეთი დოკუმენტები კი, როგორც წესი, იმყოფება სათანადო საწარმოში, დაწესებულებაში და სანამ მათ ექსპერტს შევთავაზებთ, მანამდე ისინი უნდა გამოვავლინოთ რევიზორის დახმარებით.

დატაცებათა საქმეებზე ჩხრეკა ტარდება, უპირველეს ყოვლისა, იმ მიზნით, რათა მოიძებნოს დატაცებული, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ფასეულობები, ქონება და აგრეთვე დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. ამასთან რეკომენდირებულია იმ დოკუმენტების ამოღება, რომლებიც ეხება ეჭვმიტანილთა სამსახურებრივ საქმიანობას (იმ შემთხვევაშიც, თუ ჩხრეკის ჩატარების მომენტში გამომძიებლისათვის ნათელი არ არის მათი კონკრეტული მნიშვნელობა საქმისათვის). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა შავად გაკეთებულ არაოფიციალურ ჩანაწერებს, რომლებსაც შეუძლიათ შემდგომში მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ როგორც ცალკეული დანაშაულებრივი ოპერაციების გაშიფვრაში, ასევე დატაცებათა მასშტაბების დადგენაში, დანაშაულში მონაწილე პირთა მხილებაში და სხვ. ჩხრეკა ტარდება სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მასში მიზანშეწონილია ჩავაბათ სათანადო სპეციალისტები.

განსახილველი კატეგორიის საქმეების გამოძიებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოწმეების დაკითხვა. ამ საგამოძიებო მოქმედების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოწმეთა დაკითხვით შეიძლება მიღებულ იქნას სწორი მონაცემები ამა თუ იმ დოკუმენტის არსებობაზე, მათ ნამდვილობაზე, სიყალბეზე, შინაარსზე და ა.შ., სხვანაირად თუ ვიტყვით, მოწმის დაკითხვით უნდა მივიღოთ სრულყოფილი ჩვენება დატაცების საქმეზე ფაქტიურ გარემოებათა შესახებ. შეიძლება გამოიყოს მოწმეთა შემდეგი კატეგორიები, რომელთა მიმართაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნეს გამოყენებული დაკითხვის გარკვეული ტაქტიკური ხერხები.

ა) იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ბუღალტრები, სადაც ადგილი ჰქონდა დატაცებას. ამ კატეგორიის მოწმეების დაკითხვისას გასათვალისწინებელია ის, რომ ისინი შეიძლება დატაცებათა თანამონაწილეები იყვნენ, ამიტომ, ბუნებრივია, შეეცდებიან თავიანთი ჩვენებებით გამოძიება არასწორ გზაზე დააყენონ.

ბ) მუშაკები, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება ჰქონდათ დატაცებულ ქონებასთან. ასეთს მიეკუთვნება: მეკუჭნავეები (საწყობის გამგეები), რომლებიც ქონებას ინახავდნენ; მუშები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ დატაცებული ქონების დატვირთვაში, აღურიცხავი ზედმეტობის შექმნაში და სხვ. მათ ჩვენებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ დატაცებათა ფაქტებისა და დატაცებულის ოდენობის დადგენაში; ბრალდებულთა შორის

ურთიერთობისა და, კერძოდ, იმ როლის გარკვევაში, რომელსაც თამაშობდა დანაშაულებრივ ჯგუფში თითოეული მათგანი და სხვ.

ხშირად, ასეთ მოწმეებს გააჩნიათ არაოფიციალური ჩანაწერები, რომლებიც შეეხება მათი მონაწილეობით შესრულებული სამეურნეო და საწარმოო ოპერაციების მოცულობას, ასევე იმ გასამრჯელოს, რაც მათ დამატებით მიიღეს დამტაცებლებისაგან და ა.შ.

დასახელებული მოწმეების დაკითხვა ჩვეულებრივ კარგ შედეგებს იძლევა, თუ მას წინ უძღვის მათი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა ბრალდებულებთან ან თუ დაკითხვის მომენტისათვის ისინი გათავისუფლებული არიან იმ ორგანიზაციიდან, სადაც ჩადენილია დატაცებები.

გ) პირები, რომლებსაც გადააქვთ დატაცებული ქონება. მათ შეუძლიათ გამომძიებელს შეატყობინონ ცნობები დატაცებათა ცალკეულ ფაქტებზე; დატაცებაში თანამონაწილეებზე, რომლებიც რეალიზაციას უკეთებდნენ დატაცებულ ქონებას და სხვ. უფრო ხშირად, ასეთად გვევლინებიან შემთხვევითი მძღოლები, რომლებიც ეწევიან ტვირთის გადაზიდვას საზგაო ფურცელში მისი ასახვის გარეშე. მათი გამოვლინება ბევრადაა დამოკიდებული პოლიციის ორგანოებთან გამომძიებლის ურთიერთმოქმედებაზე.

იმ პირთა შორის, რომლებმაც დატაცებულ ქონებას გაუკეთეს რეალიზაცია, უნდა განვასხვავოთ დატაცებების შესაძლო მონაწილეები და სავაჭრო ორგანიზაციების რიგითი მუშაკები — გამყიდველები, რომლებმაც, მონაწილეობენ რა დატაცებულის რეალიზაციაში, ზოგჯერ არც იციან მათი წყაროების შესახებ. თუ პირველთა მიმართ უნდა შემოწმდეს ვერსია მათი თანამონაწილეობის შესახებ დატაცებებში, დანარჩენებს უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ გაიხსენონ ესა თუ ის გარემოება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სახელდობრ, ამ მიზნისათვის რეკომენდირებულია მათ წარვუდგინოთ დატაცებული ნაწარმის, პროდუქტების ნიმუშები, რომელთა რეალიზაციაც ხდებოდა მოცემული სავაჭრო ორგანიზაციის მეშვეობით, ასევე შესაბამისი ფაბრიკის იარლიყები და სხვა საჭირო დოკუმენტები.

დ) იმ პირთა ჩვენებები, რომლებმაც შეცვალეს ბრალდებულები საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ: დამამზადებლები, საწყობის გამგეები, საამქროს უფროსები, საწარმოთა დირექტორები და ბუღალტრები, მაღაზიების განყოფილებათა გამგეები და სხვ. მათ ჩვენებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება

საწარმოს საქმიანობის, ნედლეულის ხარჯვის, ბუნებრივი დანაკარგების ადრე მომქმედი ნორმების სისწორისა და სხვა საკითხების გასარკვევად.

ე) ზემდგომი ორგანიზაციების მუშაკები, რევიზორები და კონტროლიორები. ესენი პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ა)პირები, რომლებმაც გამოავლინეს გამოსაძიებელი ბოროტმოქმედებანი, სახელდობრ, დატაცებები და ბ)პირები, რომელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ სახელმწიფო ქონების დაცვისადმი დამტაცებლებს საშუალება მისცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაუბრკოლებლად ჩაედინათ დანაშაული. პირველი ჯგუფის პირთა ჩვენებებმა, ისევე როგორც მეორე ჯგუფისამ, შეიძლება ნათელი მოჰფინონ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება მოცემული საწარმოს საქმიანობას და ამ საქმიანობაში დაშვებულ გადახრებს. გადახრების საკითხი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან დადგენილი წესის დარღვევები შეიძლება დაკავშირებული იყოს დატაცებების იმ ხერხებთან, რომლებსაც ბრალდებულები იყენებდნენ. საყურადღებოა ზემოაღნიშნულ პირთა ჩვენებები ასევე იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ ბრალდებულები შემოწმებისას და რევიზიების დროს. სახელდობრ, ჰქონდა თუ არა ადგილი მათი მხრიდან რევიზორთა მოსყიდვის მცდელობას, ინვენტარიზაციების დროს ინვენტარიზატორთა მოტყუებას და ა.შ.

გამომძიებელს, ბრალდებულის ცხოვრების წესის დადგენაში დიდ დახმარებას უწევს მეზობლები და სამსახურის თანამშრომლები. ისინი ააშკარავებენ დამტაცებლის მიერ თანხების ხარჯვას, პირად კავშირებს და ა.შ. მეზობლებს ზოგჯერ შეუძლიათ ჩვენების მიცემა თვით დატაცებული ქონების თაობაზეც, ეს იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს სახლში მიჰქონდა დატაცებული ქონება. დაკითხვის დროს დაწვრილებით უნდა გაირკვეს, თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან დაკითხულნი და ბრალდებულები, ხომ არა აქვთ მეგობრული ურთიერთობა, ან პირიქით, პირადი ანგარიშები ერთმანეთთან.

დატაცებათა საქმეებზე მოწმეს ხშირად უხდება ციფრობრივ მონაცემებზე საუბარი. ასეთ ჩვენებათა ფიქსირების დროს არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მოწმის ზოგადი მტკიცებებით, რომ მისთვის კარგადაა ცნობილი გარკვეული ციფრები. უკანასკნელი გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს, სახელდობრ, უნდა გაირკვეს თუ რა გზით გახდა მისთვის ცნობილი მის მიერ

დასახელებული ციფრები, თვითონ ითვლიდა თუ არა ნაწარმს, ნავაჭრ თანხას და ა.შ.

§3. დატაცებათა თავისებურებანი ჩაის დამზადების სფეროში

საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებში — მეჩაიეობაში, მევენახეობასა და მეციტრუსეობაში ქონების დატაცება ხასიათდება გაკარკვეული თავისებურებებით, რომელთა ცოდნა ხელს შეუწყობს განსახილველი დანაშაულის გამოძიებასა და გახსნას.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღნიშნულ დარგებში სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების, მისი შენილბვის ხერხების და ამ დანაშაულის ნიშნების გამომჟღავნების მეთოდების შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ დანაშაულის გახსნის ჩვეულებრივი მეთოდები არასაკმარისია ხსენებულ დარგებში ქონების დატაცების გამოძიებისათვის. მეჩაიეობასა და მეღვინეობაში მიუხედავად სისტემატური რევიზიების, საკონტროლო შემოწმებების ჩატარებისა და აგრეთვე სამეურნეო-ოპერატიული ღონისძიებების გატარებისა, წლების მანძილზე გაუხსნელი რჩება სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების ფაქტები. ჩაის მომზადებისა და გადამუშავების სისტემაში, მაგალითად, სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების ფაქტზე აღძრული საქმეების უმრავლესობა წარმოებით წყდება მატერიალური ზარალის დაუდასტურებლობის გამო. იმის გათვალისწინებით, რომ ქონების დატაცების საერთო კრიმინალისტიკური საკითხები გაშუქებულია წინა პარაგრაფში, განვიხილავთ მხოლოდ ჩაის დამზადების სფეროში სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების ხერხების თავისებურებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეჩაიეობისაგან მიღებულ შემოსავალს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში დიდი ადგილი უკავია. ამ დარგიდან მიღებული პროდუქტები დეფიციტურია და მსოფლიო ბაზარზე მისი რეალიზაცია აუმჯობესებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. დატაცება კი ასუსტებს მის ეკონომიკურ საფუძვლებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დამზადების პროდუქტების დატაცების თავისებურება მთლიანად არ არის იზოლირებული სხვა ფასეულობათა დატაცების თავისებურებებისაგან. მაგრამ ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცება სხვა ფასეულობათა დატაცებისაგან განსხვავდება

უპირველეს ყოვლისა იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცების წყაროს დადგენა უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ქონების დატაცებისა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი აღრიცხვა ხდება მოსავლის აღების მომენტიდან და შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს რამდენი ტონა ჩაი, ისევე როგორც ყურძენი, მანდარინი, ლიმონი, ვაშლი და სხვა ამგვარი პროდუქტი მოიკრიფება პლანტაციიდან, თითო ძირი მცენარიდან ან ჩაის ბუჩქიდან. ამიტომ შემოსავლის ამღებ პირებს დატაცების დიდი საშუალება გააჩნიათ მოსავლის აღების მომენტში, მის მიმღებ პუნქტში, ან რომელიმე დამამზადებლებზე ჩაბარებამდე. ეს შესაძლებლობა გაცილებით უფრო იზრდება, როდესაც ქონების დატაცებას ეწევა პირთა ჯგუფი მოსავლის ამღებთა, დამამზადებელთა, საანგარიშო დარგის მუშაკთა და სხვა პირთა მონაწილეობით. როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროდუქტების დატაცებას გაცილებით უფრო შენიღბულად სჩადის პირთა ჯგუფი, ვიდრე ცალკეული პირი. პირთა ჯგუფი ამ დანაშაულს, როგორც წესი, იდენს ყალბი საბუთების გამოყენებით და დანაშაულის აშკარა ნიშნებს თითქმის არ ტოვებს. დამზადების სფეროში ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას სსკ 108 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი საბაბით, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა შეტყობინებები, შინაგან საქმეთა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალოდ გამომჟღავნება.

ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა შეტყობინებას, როგორც წესი, თან ახლავს სათანადო რევიზიებისა და შემოწმების აქტები გამოვლენილი დარღვევების ჩვენებით, რომელთა შემოწმების შედეგად შეიძლება დანაშაულის ნიშნების დადგენა, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს.

ჩაის დამზადების სფეროში ჩადენილი სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების ხერხებს გააჩნიათ თავისებურებანი, რომელთა გარკვეულ ნაწილს ადგილი აქვს აგრეთვე მეღვინეობაში, მეციტრუსეობაში, მეხილეობაში, მებოსტნეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. ამ პარაგრაფში განიხილება დატაცების ხერხების თავისებურებანი მხოლოდ ჩაის დამზადებისა და გადამუშავების სისტემაში. მაგრამ აღნიშნულ თავისე-

ბურებათა ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას დატაცების საქმეების გამძიეებისას ზემოთ აღნიშნულ სხვა სფეროებშიც.

ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების სისტემაში სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების ხერხები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ჩაის ფოთლის დატაცების, ჩაის პროდუქციის დატაცებისა და ფულადი სახსრების დატაცების ხერხებად.

პირველი ჯგუფის დატაცების ხერხები შეიძლება დაიყოს 4 ქვეჯგუფად: მეჩაიეობის ორგანიზაციებში გატაცების მიზნით ჩაის ფოთლის აღურიცხავი ზედმეტობის შექმნის, აღურიცხავი (ზედმეტი) ჩაის ფოთლის მეჩაიეობის ორგანიზაციიდან რეალიზაციის, ნედლეულის მიმღებ პუნქტებში ჩაის ფოთლის აღურიცხავი ზედმეტობის შექმნისა და მიმღები პუნქტებიდან ჩაის ფოთლის რეალიზაციის ხერხები.

მეორე ჯგუფის დატაცების ხერხები იყოფა ასევე 4 ქვეჯგუფად: ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში ჩაის პროდუქციის აღურიცხავი ზედმეტობის შექმნის, ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებიდან აღურიცხავი პროდუქციის რეალიზაციის, ჩაის მეორადი გადამუშავების ფაბრიკებში პროდუქციის აღურიცხავი ზედმეტობის შექმნისა და ჩაის მეორადი გადამუშავების ფაბრიკებიდან აღურიცხავი (ზედმეტი) პროდუქციის რეალიზაციის ხერხები.

მესამე ჯგუფის დატაცების ხერხები იყოფა 3 ქვეჯგუფად: ფულადი სახსრების დატაცების ხერხები მეჩაიეობის ორგანიზაციებში, ჩაის პირველადი და მეორადი გადამუშავების ფაბრიკებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის დამზადებისა და გადამუშავების სისტემაში დატაცებები ხდება არაკანონიერი გზით შექმნილი აღურიცხავი ნედლეულისა და პროდუქციის ხარჯზე, ამიტომ დანაკლისი დატაცების შედეგად იშვიათია. დატაცება უმრავლეს შემთხვევაში ხდება ჩაის დამზადებისა და გადამუშავების სისტემის მუშაკების მონაწილეობით. პრაქტიკა მოწმობს, რომ მოქმედი სტანდარტები, დებულებები, ინსტრუქციები, ნედლეულის ხარჯვისა და პროდუქციის გამომუშავების ნორმები გადასამუშავებლად ჩაბარებული ჩაის ნედლეულის, მისი პროდუქციის ან ფულადი ღირებულების 13,5%-ის შენიღბულად დატაცების საშუალებას იძლევიან.

დატაცებისათვის ჩაის ფოთლის აღურიცხავი ზედმეტობის შესაქმნელად მეჩაიეობის ორგანიზაციებში და ჩაის მიმღებ პუნქტებში გავრცელებულია შემდეგი ხერხები:

— ჩაის ფოთლის ზედაპირული ტენიანობის ხელოვნურად ამაღლება, ამ გზით დაქვითვის გადიდება და ნედლეულის წონის შემცირება დოკუმენტებში. ამ გზით შეიძლება ზედმეტობის შექმნა მიღებული ნედლეულის 0,5%-დან 20%-მდე;

— მკრეფავებისა და ჩამბარებლების მოტყუება მათ მიერ მოკრეფილი და ჩაბარებული ნედლეულის წონაში არაზუსტი სასწორების გამოყენებით;

— ნედლეულის წონის შემცირება დოკუმენტებში ჩაის ფოთლის უხეში მინარევებისაგან დასუფთავების მოტივით, მაშინ, როდესაც ეს ოპერაცია არ ტარდება;

— ნედლეულის მიღებაზე უარის თქმა მისი არაკონდიციურობის მოტივით და მისი გადამუშავება გაუფორმებლად, შემდგომ მისგან მიღებული პროდუქციის რეალიზაციით და საფასურის მითვისებით;

— ორმხრივი (ჩამბარებელსა და მიმღებს შორის) შეთანხმება ნედლეულის ხარისხის საბუთებში ფიქტიურად ამაღლებისა და ამისათვის მისი რაოდენობის შემცირებაზე ორივე მხარისათვის სასარგებლო პირობების დაცვით;

— ზოგიერთი ორგანიზაციისა და ცალკეული პირის მიერ ჩაბარებული ჩაის ფოთლის ხარისხის ხელოვნურად დაქვეითება ჩაბარებული ნედლეულის ხარისხის ამაღლების ხარჯზე და ამ გზით შექმნილ ფასთა სხვაობის მითვისება.

პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ მეჩაიეობ ს ორგანიზაციებში ფოთლის დატაცების გავრცელებული ხერხებია:

ჩაის ფოთლის რეალიზაცია ინდივიდუალურ ჩამბარებლებზე, ეი. პირებზე, რომლებსაც საკარმიდამო ნაკვეთზე აქვთ გაშენებული ჩაის პლანტაცია და ნედლეულს ფაბრიკას აბარებენ 2-3-ჯერ უფრო ძვირად, ვიდრე ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის ღებულობენ ხელფასს ორგანიზაციებში; ჩაის ფოთლის რეალიზაცია ამ ნედლეულის დამამზადებელ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებზე; ჩაის ფოთლის რეალიზაცია პირველადი გადამუშავების ფაბრიკის წარმომადგენლებზე.

ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტებში დატაცებების გავრცელებული ხერხებია: ჩაის ფოთლის აღურიცხავი ზედმეტობის რეალიზაცია ინდივიდუალურ ჩამბარებლებზე ან ნედლეულის მომწოდებელ სხვა ორგანიზაციებზე; აღურიცხავი ნედლეულის გადამუშავება და მიღებული პროდუქციის აღურიცხავად რეალიზაცია თანხის მითვისებით.

ჩაის პირველადი და მეორადი გადამუშავების პროცესისათვის დამახასიათებელია დატაცების თავისებურებანი.

ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში დატაცების მიზნით აღურიცხავი ზედმეტობის შექმნის ხერხებია:

— მანქანებით მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადამუშავება მისი დახარისხებისა და მისგან უსეში და მშრალი მასალების მოცილების გარეშე, რომლებიც მიღებულ ნედლეულში სტანდარტით დაშვებულია 18,8%-მდე;

— დაბალი ხარისხის ჩაის ფოთლის მიღება და გადამუშავება. მაღალი ხარისხის ფოთოლში მეტია ტენშემცველობა, მაქსიმუმია 84%. გადამუშავების დროს ტენი შრება მთლიანად. ამიტომ, მაღალი ხარისხის ფოთლიდან პროდუქციის გამოსავლიანობა რაოდენობრივად ნაკლებია, ვიდრე დაბალი ხარისხის ნედლეულიდან;

— ბუნებრივად მოღნობილი ფოთლის გადამუშავება. მოკრეფიდან გადამუშავებამდე ხდება ჩაის ფოთლის ბუნებრივი ღნობა, რის შედეგადაც კლებულობს ტენშემცველობა, ე.ი. მას შორდება ის, რაც გადამუშავებისას უნდა მოშორებოდა. ვინაიდან ნედლეული იწონება მიღებისა და გადამუშავების წინ და მხედველობაში არ მიიღება აღნიშნული შრობა, მიღებული პროდუქცია მეტი უნდა იქნეს, ვიდრე ნორმით გათვალისწინებული;

— ნახევარფაბრიკატებში დაშვებულზე მეტი მინარევების დატოვება მისი დახარისხების დროს;

— პროდუქციაში ჩაის გადამუშავების ნარჩენებისა და სხვა ნივთიერებების დამატება;

— მეორადი გადამუშავების ფაბრიკებზე პროდუქციის უფრო ნაკლები რაოდენობით გაგზავნა, ვიდრე ნაჩვენებია საბუთებში.

ჩაის მეორადი გადამუშავების ფაბრიკებში დასატაცებლად პროდუქტების აღურიცხავი ზედმეტობის შექმნის ხერხებია:

— აქტების გაფორმება პირველადი გადამუშავების ფაბრიკიდან ნედლეულის საბუთებში ნაჩვენებზე ნაკლები რაოდენობით მიღების შესახებ;

— მიღებული ნედლეულის რაოდენობის შემცირება საბუთებში მისი ხარისხის ამაღლების ხარჯზე;

— კოლოფებში სტანდარტით გათვალისწინებულზე ნაკლები პროდუქციის მოთავსება.

აღურიცხავი ნედლეულისა და პროდუქციის ზედმეტობის შექმნისა და დატაცების ანალოგიური ხერხები მეტნაკლებად გვხვდება მეღვინეობაში, მეციტრუსეობასა და სხვა დარგებშიც, მაგრამ მათ შორისაც არის ისეთი განსხვავებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო სიტუაციის განსაზღვრისათვის, ვერსიების შემუშავებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრობის განსაზღვრისათვის.

დამზადების სფეროში სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების საქმეთა გამოძიების დროს ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს დატაცების წყარო, განისაზღვროს გამოძიების მიმართულება, აიგოს და შემოწმდეს ყველა შესაძლო ვერსია.

ჩაისა და ღვინის წარმოებაში დატაცების შემთხვევაში, როგორც წესი, საბუღალტრო მონაცემებით დანაკლისი არ ვლინდება, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძიების მიმართულების განსაზღვრას სიტუაციის მიხედვით. ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების სისტემაში გვხვდება შემდეგი საგამოძიებო სიტუაციები და მათგან გამომდინარე ვერსიები:

1. მოკრეფილად აღრიცხულია მეტი ჩაის ფოთოლი, ხოლო ფაბრიკაში ჩაბარებულია ნაკლები, ან პირიქით, მოკრეფილად აღრიცხულია ნაკლები, რეალიზებულად — მეტი.

ვერსიები: ჩაის ფოთოლი უხარისხობის გამო არ მიიღო ფაბრიკამ, იგი გაფუჭდა მეურნეობაშივე; გაფუჭდა ტრანსპორტირების დროს ან ფაბრიკის მიმღებ პუნქტში მოატყუეს ჩამბარებელი ნედლეულის წონაში; მოლაპარაკების შედეგად ხელოვნურად შეამცირეს ნედლეულის რაოდენობა საბუთებში ჩაის ფოთლის ხარისხის ამაღლების ხარჯზე ან სხვა მიზეზით; გაფორმებულია უსაქონლო ოპერაცია მეჩაიეობის ორგანიზაციასა და ჩაის ფაბრიკას შორის ნედლეულის მიღება-ჩაბარებაზე; მკრეფავების მოტყუების გზით შექმნილია ნედლეულის აღურიცხავი ზედმეტობა.

2. ჩაის ფოთლის მოკრეფის შესახებ მკრეფავთა ჩანაწერების ჯამი აღემატება განრიგებით მათ მიერ მოკრეფილად აღრიცხული ნედლეულის რაოდენობას.

ვერსიები: ფაბრიკაში ნედლეულის მიღებისას მოატყუეს ჩამბარებელი წონაში; მოხდა ნედლეულის ბუნებრივი ღნობა და დაიკლო წონაში; ბრიგადირმა ან მწონავმა ნედლეულის ნაწილს რეალიზაცია გაუკეთა თავის სასარგებლოდ.

3. სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულებისა და მასთან დაკავშირებული საბუთების მიხედვით ფაბრიკაში გაგზავნილად აღრიცხულია მეტი ან ნაკლები რაოდენობის ნედლეული, ვიდრე ქვითრების მიხედვით ჩაბარდა ფაბრიკას.

ვერსიები: სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებული გაფორმებულია შეცდომით; ამ საბუთში ნედლეულის რაოდენობა გადიდებულია მძღოლისათვის მეტი ხელფასის დარიცხვის მიზნით; გაფორმებულია ნაწილობრივ უსაქონლო ოპერაცია ნედლეულის მიღება-ჩაბარებაზე ან დაიკლო ნედლეულმა წონაში მოღნობის გამო; ნედლეული მთლიანად არ აღრიცხეს ფაბრიკაში მისი ცუდი ხარისხის გამო; მოპარული იქნა ნედლეულის ნაწილი ტრანსპორტირების დროს, მეჩაიეობის ორგანიზაციაში ან ჩაის მიმღებ პუნქტში.

4. ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის რაოდენობრივად გამოშვების გეგმას, მაგრამ ვერ ასრულებს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და პროდუქციის ფულად გამოსახულებაში გამომუშავების გეგმებს.

ვერსიები: ფაბრიკა ღებულობს დაბალი ხარისხის ნედლეულს, საბუთებს კი აფორმებს მაღალი ხარისხის ჩაის ფოთლის მიღებაზე; ფაბრიკის თანამშრომლები ღებულობენ ცალკე გასამრჯელოს ან ხარისხის ხარჯზე აქვეითებენ ნედლეულის რაოდენობას საბუთებში.

5. სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გატანილი ან საზოგადოებრივი კვების ქსელში გადაცემული პროდუქცია აღმოჩნდა უსტანდარტო.

ვერსიები: ფაბრიკაში მიღებული და გადამუშავებულია უკონდიციო ნედლეული; დარღვეულია გადამუშავების ტექნოლოგია; პროდუქციაში დამატებულია ჩაის ნედლეულის გადამუშავების ნარჩენები ან სხვა მინარევები და ა.შ.

ჩაის, მისგან მიღებული პროდუქტებისა და მათი ფულადი ღირებულების დატაცების ხერხები, ამ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგამოძიებო სიტუაციები და მათგან გამომდინარე ვერსიები ზოგ შემთხვევაში ყურძნის, მისგან მიღებული პროდუქტებისა და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების დატაცების შედეგად წარმოშობილი საგამოძიებო სიტუაციებისა და მათგან გამომდინარე ვერსიების ანალოგიურია, ზოგჯერ კი მისგან განსხვავდება. შედარებისათვის განვიხილავთ ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების დარგში ჩადენილი სახელმწიფო ან კოლექტიური ქონების დატაცებასთან დაკავშირებულ შემდეგ საგამოძიებო სიტუაციებსა და მათგან გამომდინარე ვერსიებს:

1. არის მონაცემები, რომ საბუთების თანახმად ყურძენი აქვთ ჩაბარებული პირებს, რომლებსაც ვენახი არ გააჩნიათ საკარმიდამო ნაკვეთში.

ვერსიები: ღვინო ფალსიფიცირებულია; ყურძნის ჩაბარების შესახებ საბუთები ყალბია; ყურძნის ღირებულება მითვისებულია; პიროვნებამ ყურძენი სხვის სახელზე ჩააბარა ან იგი მოპარულია.

2. ჭაჭის რაოდენობა ნორმაზე მეტია.

ვერსიები: მიღებულია ნაკლები ხარისხის ყურძენი, ვიდრე საბუთებშია ნაჩვენები; ჭაჭაზე დამატებულია სხვა მინარევები; ნაწილობრივ დატაცებულია ღვინო; ჭაჭაზე დამატებულია ჭაჭა, მიტანილი სხვა ღვინის ქარხნიდან ან მიღებული კერძო პირებისაგან.

3. ჭაჭის რაოდენობა ნორმაზე ნაკლებია.

ვერსიები: მიღებულია უკეთესი ხარისხის ყურძენი, საბუთები კი გაფორმებულია უარესის მიღებაზე; ღვინო ფალსიფიცირებულია მთლიანად ან ნაწილობრივ; ჭაჭა ნაწილობრივ გაყიდული ან დახარჯულია და ა.შ.

მსგავსი სიტუაციები და ვერსიები ჩაისა და სხვა პროდუქტების დამზადების სფეროშიც შეიძლება წარმოიშვას. მაგრამ გარემოების უფრო ვრცელ ან ვიწრო ასპექტში შესწავლა, რაც საერთოდ ახასიათებს გამოძიებას, არ გამორიცხავს განსხვავებასაც. გამოძიებამ უნდა იმსჯელოს არა მარტო მსგავსებაზე და განსხვავებაზე, არამედ დადგენილი გარემოების ჭეშმარიტების შეფასებაზეც, რაც დაკავშირებულია მსგავსებისა და განსხვავებათა შეპირისპირებასთან.

სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცების გამოძიების დროს ჯერ უნდა განისაზღვროს საგამოძიებო სიტუაცია, შემუშავდეს ვერსიები და

შემდგომ ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები. თუ რომელ საგამოძიებო მოქმედებებს და რა თანმიმდევრობით ჩაატარებს, ამას წყვეტს გამომძიებელი დამოუკიდებლად კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მაგრამ უმჯობესია ჯერ ჩატარდეს ის საგამოძიებო მოქმედებანი, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის კვალის დადგენასა და დამაგრებასთან. ასეთ საგამოძიებო მოქმედებებს მიეკუთვნება: ჩხრეკა, ამოღება, შემოწმება, დაკავება, ეჭვმიტანილის, მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა.

მალეფუჭებადი პროდუქტების დატაცების საქმეთა გამოძიების დროს შეიძლება ექსპერტიზა უფრო ადრე ჩატარდეს, ვიდრე სხვა საგამოძიებო მოქმედება. შემდგომი საგამოძიებო მოქმედებათა თანმიმდევრობა დამოკიდებულია საგამოძიებო სიტუაციაზე ან გამომძიებლის შესაძლებლობაზე, საქმის ხასიათზე და სხვა გარემოებებზე.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრობის დაცვა, როდესაც მას თან ახლავს დატაცების ხერხების, ხელყოფის საგნის თავისებურებისა და დანაშაულის ჩადენის პირობების ცოდნა, უფრო აამაღლებს გამოძიების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

II. გარეშე პირთა მიერ ჩადენილი სახელმწიფო და კოლექტიური ქონების დატაცებების გამოძიება

§1.დატაცებათა კრიმინალისტიკური დახასიათება. საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი

დატაცებები, რომლებსაც ჩადიან გარეშე პირები, როგორც წესი, უმალვე მჟღავნდება, ხოლო ნაქურდალის რაოდენობა ადვილად დგინდება რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად. ამგვარი დატაცებები, რომლებიც ძირითადად ქურდობის ფორმით ხდება (იგი გარეშე პირთა მიერ ჩადენილი დატაცებების 9/10-ს შეადგენს), შენიღბვის პრიმიტიულ ხასიათს ატარებს. ამასთან მისი ჩადენის ძირითადი ხერხები დაკავშირებულია იმ საცავების გატეხვასთან, სადაც სასაქონლო-მატერიალური ღირებულებები და ფულადი სახსრებია. ამრიგად, გარეშე პირთა მიერ ჩადენილი დატაცებების გამოძიების მეთოდიკის დამახასიათებელ ნიშნად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მათ მიერ ჩადენილი დატაცებები უმალვე ვლინდება, ხოლო კონკრეტული დამტაცებლების დადგენა გაძნელებულია.

გარეშე პირთა მიერ ჩადენილი ქურდობებისათვის სპეციფიკურია საქმის შემდეგი არსებითი გარემოებები.

ა)ქონების შესანახ ადგილებში შეღწევის გარემოებები. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გაირკვეს საცავის ადგილმდებარეობა, საკეტების გატეხვის კვლები კარებსა და ფანჯრებზე; შენანგრევები კედლებსა და ჭერზე; მიწისქვეშა ხვრელები, საიდანაც ქურდებმა შეაღწიეს შენობაში. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხელის, ფეხსაცმლისა და სხვა კვლების გამოვლინებას, რომლებიც დამნაშავეებმა დატოვეს საცავში შეღწევის დროს.

ბ)დატაცებული ქონების ამოღების, გატანისა და გადაზიდვის გარემოებები, რაც დაკავშირებულია საცავშიდა სათავსებში საკეტების გატეხვის, ცეცხლგამძლე ყუთებისა და სეიფების დაზიანების კვლების გამოვლინებასთან. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამნაშავეების მიერ დატოვებულ ისეთ კვლებს, რაც მიუთითებს მათ მოქმედების თანმიმდევრობაზე, გარკვეული სახეობის იარაღის ხმარებაზე, დროსტარებაზე და ა.შ. დატაცებულის გადაზიდვის ან გატანის კვალი შეიძლება აღმოვაჩინოთ საცავის გარეთაც, სახელდობრ, ტრანსპორტის ბორბლების, დამნაშავეების ფეხსაცმლის კვლებითა და ა.შ.

დატაცებული ქონების მის რაოდენობისა და მიყენებული ზარალის დახასიათებას დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგნის დადგენისა და გამოძიების სისრულისათვის. ზემოაღნიშნული გარემოებების გარკვევა დაკავშირებულია, როგორც ცარიელი ტარის (რომელშიც ინახებოდა დატაცებული ქონება) შესახებ ფაქტობრივი მონაცემების, ასევე დატაცებული ქონების ტრანსპორტირების გარემოებების გამოვლენასთან. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ზარალს განეკუთვნება არა მარტო დატაცებული ქონების ფასი, არამედ ქონების დაზიანებით მიყენებული დანაკლისიც.

ქურდობისათვის სპეციფიკურია დატაცებული ქონების აღმოჩენის შესაძლებლობა გადამყიდველებთან, დატაცებულის დამმალავ პირებთან და იმ პირებთან, რომლებზედაც იგი რეალიზებულია.

ქურდების რაოდენობის, მათი ჯგუფებისა და მისი მონაწილეების დადგენა ხდება მთელი გამოძიების განმავლობაში. გამტეხი იარაღების, ფეხისა და ხელის თითების აღმოჩენილი კვლები, ცარიელი ბოთლები, ნამწვავები (ზოგჯერ სხვადასხვა დასახელების სიგარეტისა), აღწერილ გარემოე-

ბებზე მითითებასთან ერთად შესაძლებელია მეტყველებდნენ ქურდების რიცხვზე და მოიცავდნენ ცნობებს მათი პიროვნების შესახებ. ასეთი გარემოებების დადგენა ხდება როგორც ბრალდებულთა დანაშაულებრივი საქმიანობის მოცულობის პიზიციებიდან, ასევე მათი პიროვნების დახასიათებიდან და იმ როლიდან, რომელსაც თითოეული მათგანი თამაშობს ჯგუფში.

გარდა გამოსაძიებელი ქურდობისა, გამომძიებლის ყურადღების საგანს მუდმივად უნდა შეადგენდეს ბრალდებულის მიერ ადრე ჩადენილი ქურდობები. კვალიფიციური ქურდობების გამოძიებისას, განსაკუთრებით თუ ისინი ჯგუფის მიერაა ჩადენილი, გამომძიებელი უნდა გამოდიოდეს იქიდან, რომ მოცემული დატაცების მონაწილეებს შესაძლოა ადრეც აქვთ ჩადენილი ასეთი ქურდობები.

დატაცებათა ხელშემწყობი გარემოებების დადგენასა და ქონების დაცვის მდგომარეობის გარკვევას გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, ვინაიდან ისინი აუცილებელია დანაშაულის ჩადენის ვითარების გასარკვევად, იმ გარემოებების გამოსავლენადაც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მათ ჩადენას, ასევე სათანადო ზომების მისაღებად დატაცებათა თავიდან აცილებისათვის.

დატაცებათა საქმეებზე პირველად მასალებს სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად უფრო ხშირად წარმოადგენს:

ა)სათავსებში, სადაც ქონება ინახება, არამართალზომიერად შეღწევის კვლების აღმოჩენა. სახელდობრ, დამტვრეული საკეტები, გატეხილი კარები (ფანჯარა); გამონგრეული კედლები, ჩამონანგრევები ჭერზე, გაყვანილი ხვრელები და სხვ.

ბ)შენობის შიგნით გატეხილი სეიფებისა და ცეცხლგამძლე კარადების აღმოჩენა, სადაც ფულადი სახსრები და ფასეულობები ინახებოდა.

გ)ქონების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განცხადება ქონების დაკარგვის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად პირველ ორ შემთხვევაში საკმარისია ადგილზე დავადგინოთ გარეშე პირთა მიერ არამართალზომიერად შეღწევის გარემოებები ქონების საცავ ადგილებში, ხოლო მესამე შემთხვევაში — საკმარისია დავრწმუნდეთ იმაში, რომ გარკვეული ქონება მართლაც დაიკარგა საცავებიდან.

§2. პირველდაწყებითი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებანი. დანაშაულის ჩადენის ხერხების დადგენა

განსახილველი კატეგორიის საქმეებზე პირველდაწყებითად გვევლინება შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები და საორგანიზაციო ღონისძიებები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამის ჩასატარებლად საჭიროა ადგილზე მისვლა მაშინვე, როგორც კი მივიღებთ შეტყობინებას დატაცების შესახებ. ამ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გასახსნელად; იგი ტარდება სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, გამომძიებლისათვის დათვალიერების დაწყებამდე, რეკომენდირებულია გასაუბრება იმ პირებთან, რომლებმაც აღმოაჩინეს დანაშულის ფაქტი, აგრეთვე იმათთანაც, ვინც შესაძლოა იმყოფებოდა საცავთან ახლოს (მაცხოვრებლები, მცველები, მეზობელ საწარმოთა მორიგეები და ა.შ.). ამასთან, უნდა გაირკვეს ყველაფერი, რაც ცნობილია დასაკითხავი პირისათვის მომხდარი ფაქტის შესახებ; აგრეთვე ისიც, შეიცვალა თუ არა შემთხვევის ადგილის ვითარება დათვალიერების მომენტისათვის, და თუ შეიცვალა, რაში გამოიხატება იგი. დათვალიერებამდე უნდა დაფიქსირდეს საწარმოს ადმინისტრაციისა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა განმარტებები შენახული (დაცული) მატერიალური ფასეულობების, ფულადი სახსრების, მათი რაოდენობის და ხასიათის შესახებ, სად და როგორ ინახებოდა ისინი. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს გავარკვიოთ: მთელი შენახული ქონება იყო თა არა გატარებული შემოსავალში დოკუმენტების მიხედვით; ხომ არ იყო წინა დღეს შემოტანილი მატერიალური ფასეულობები, რომლის გატარებაც შემოსავალში ·ერ მოასწრეს; იყო თუ არა იმ შენობაში, რომელიც სპეციალურად საწარ-ᲘᲡ თანამშრომლებისთვისაა გამოყოფილი, სხვადასხვა საგნები, ფული და .შ.

. დათვალიერების წინ ხდება ზოგადი ორიენტირება ადგილზე; ამასთან ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ექცევა საცავის ადგილმდებარეობას ახლომდებარე შენობებთან, ᲐᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲔᲑᲡᲐ და მისასვლელ გზებთან დამოკიდებულებაში. ირკვევა დაცვის სისტემა, ხოლო შემდეგ კი იწყება შემთხვევის ადგილის უშუალო დათვალიერება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, თუ ეს გადაუდებელია, შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

დიდი მნიშვნელობა აქვს დათვალიერებისას გამოვლენილი გარემოებების სწორად ფიქსირებას, დაწვრილებით აღწერასა და შეძლებისდაგვარად ნივთიერი მტკიცების ამოღებას, რომელსაც შეიძლება განეკუთვნოს: ტეხვის იარაღები; ხის, მეტალის ან აგურის ნაწილებზე დატოვებული კვალი; ნახერხი; აგურის მტვერი; ბათქაში, რომელთა კვალიც შემდგომში შეიძლება აღმოვაჩინოთ ობიექტზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე; ასევე საგნები სისხლის ლაქებით (თუ გატეხვის დროს დამნაშავემ დაიზიანა სხეული); თითების ანაბეჭდები, ფეხისა და სატრანსპორტო საშუალებების კვალის ტვიფრები და ა.შ. თუ დამნაშავეებმა გამოაცალკევეს მთელის ნაწილი, რეკომენდირებულია ან ნაწილის ამოღება, ვინაიდან იგი შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებისას.

გატეხვის ადგილზე ამა თუ იმ საგანზე თითის ანაბეჭდების გამოვლენისას მხედველობაშია მისაღები, რომ მათი დატოვება შეეძლოთ შესაბამის თანამდებობის პირებსაც. ამიტომაც, საჭიროა მათი დაქტილოსკოპირება.

რეკომენდირებულია აგრეთვე ზომების მიღება დატაცებულის ანალოგიური საქონლის დასაცავად, მათი საფუთარის, საფაბრიკო ეტიკეტების, იარლიყების, პასპორტების გათვალისწინებით, რომლებშიც ფიქსირებულია დატაცებული საქონლის ინდივიდუალური თავისებურებები.

დათვალიერებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ვერსია დაინტერესებულ თანამდებობის პირთა მიერ ქურდობის ინსცენირების შესახებ, მათ მიერ ჩადენილი დატაცების შედეგად წარმოქმნილი დანაკლისის დაფარვის მიზნით.ყოველივე ამან უნდა განსაზღვროს გამომძიებლის დამოკიდებულება ადმინისტრაციის, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიმართ, აგრეთვე მათდამი, ვისაც უშუალო ხელმისაწვდომობა ჰქონდა ქონებასთან (გამყიდველები, საწყობის გამგეები და სხვ.). ამიტომაც დასახელებულ პირთა თანდასწრებით თავი უნდა შევიკავოთ სხვადასხვა მოსაზრებების გამოთქმისაგან გამოვლენილი გარემოებების, საგნებისა და სხვათა თაობაზე. ქურდობის ინსცენირების შესახებ ვერსიის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეგრეთწოდებული ნეგატიური გარემოებები.

ქურდობის ინსცენირებაზე, ისევე როგორც მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა თანამონაწილეობაზე, ვერსიის წამოსაყენებლად, არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი რეალური გარემოებების გამოვლენას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გარეშე პირთა მიერ დატაცების ჩადენის ვერსიას. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: მეტისმეტი უწესრიგობა საცავის შიგნით, მიყრილ-მოყრილი ნივთები და სხვა, რაც არ შეიძლება დაკავშირებული იყოს დამტაცებლების მოქმედებებთან; გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სპეციალურ მოქმედებებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ საცავში გარეშე პირთა თავისუფალი შეღწევის ინსცენირებას, სახელდობრ, კედლების ისეთი განგრევები, რომლებიც შეუძლებელია მომხდარიყო გარედან; ისეთი ხასიათისა და ზომის ჩანგრევები, რომელთა მეშვეობით ადამიანი ვერ შეაღწევდა საცავში და ვერ გაიტანდა ვითომდა დატაცებულ ქონებას და ა.შ. მნიშვნელობა აქვს ისეთ გარემოებასაც, როგორიცაა ქურდობის ჩადენის დრო, კერძოდ, მისი ჩადენა უშუალოდ რევიზიის წინ ან მისი ჩატარების პერიოდში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში უნდა აისახოს თუ რა ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული აღმოჩენილი კვალის გამოსავლენად და დასაფიქსირებლად, რა მეთოდები იყო გამოყენებული ფოტოგადაღებებში და როგორ წარმოებდა იგი, რა ექსპერიმენტები ჩატარდა და სხვ.

ინვენტარიზაცია, რომლის ძირითადი ამოცანაა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნატურაში დათვლა და მათი შესაბამისობის შემოწმება იმ ნაშთთან, რომელიც აღნიშნულია აღრიცხვის მონაცემებში, უნდა ჩატარდეს უმალვე შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ. ეს ერთობ მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და გამომძიებელი უნდა დაინტერესდეს, თუ სახელდობრ ვინ ატარებს მას, არის თუ არა უზრუნველყოფილი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობა ინვენტარიზაციაში და სხვ.

დაკითხვა, რომელიც ასევე განეკუთვნება პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებებს, მიზნად უნდა ისახავდეს ფაქტობრივი მონაცემების მიღებას იმ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მომუშავე პირებისაგან, სადაც ქურდობა მოხდა. სახელდობრ, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, დაცვის მუშაკებსა და სხვებს შეუძლიათ მიუთითონ და-

ტაცების ჩადენის დროზე, დატაცებული ქონების სახეობაზე, მისი შენახვის წესსა და ადგილზე, დაცვის ორგანიზაციის სისტემაზე და მის პრაქტიკულ განხორციელებაზე. მოწმეებს, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა რიცხვიდან, რომელთა უშუალო მეთვალყურეობაში იმყოფებოდა ქონება, შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები გამომძიებელს საცავში შესულ გარეშე პირთა შესახებ, რომელთა საქციელმა ისინი დააეჭვა და სხვ.

პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს და, კერძოდ, დათვალიერებისას ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქურდობის საქმის გახსნაში. ქურდობის ვითარების გარკვევით ადგენენ თუ სახელდობრ რა დატაცეს, ვინ არიან დამტაცებლები, იძლევიან სათანადო დავალებებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც მიზნად ისახავს: დატაცებული ქონების აღმოჩენას, მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებას, დამნაშავის დაკავებას; პოლიციის ორგანოების მიერ შესაბამისი დასახელებული პუნქტების მოსახლეობის, რკინიგზის სადგურების, ნავმისადგომებისა და ავტოსადგურების თანამშრომელთა ინფორმირებას ქურდობის გარემოებების, დატაცებული ქონებისა და ეჭვმიტანილთა პიროვნების შესახებ.

საქმის გარემოებათა მიხედვით, გადაუდებელი პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების სახით შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკები, ეჭვმიტანილ პირთა დაკავება, მათი შემოწმება და ა.შ.

პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შედეგად შეგროვილი მასალები საშუალებას იძლევა შევადგინოთ შემდგომი გამოძიების გეგმა იმ მიზნით, რათა დავადგინოთ დანაშაულის შემთხვევა და მოვიძიოთ როგორც ქურდები, ასევე დატაცებული ქონება. არსებული მონაცემების საფუძველზე ასევე ხდება გარკვეული ვერსიების წამოყენება, რომელთა შორის ყველაზე უფრო ხშირად ფიგურირებს შემდეგი:

ა)ქურდობა გარეშე პირთა მიერ ჩადენილია დამოუკიდებლად თუ არა; ბ)ქურდობა გარეშე პირთა მიერ ჩადენილია თუ არა იმ თანამდებობის პირთა მონაწილეობით, რომლებსაც ეხებათ დატაცებული ქონების შენახვა, დაცვა და განკარგვა; გ)თანამდებობის პირებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქონების დაცვაზე, ხომ ამ მოახდინეს ქურდობის ინსცენირება დანაკლისის დაფარვის მიზნით; დ)თუ ქურდობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი,

მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა, ხელოვნურად ხომ არ გაზარდეს დატაცებულის რაოდენობა.

ემყარება რა პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების მასალებს, გამომძიებელი მიმართავს დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის მასალებს, რაც მიზნად ისახავს დამნაშავეების დადგენას; ეცნობა დანაშაულთა რეგისტრაციას მისი ჩადენის ხერხების მიხედვით; ამოწმებს აღრიცხვაზე აყვანილი რეციდივისტებიდან თუ რომლის დანაშაულებრივი საქმიანობა და დანაშაულებრივი კავშირები იძლევა საფუძველს მათზე ეჭვის მისატანად; სწავლობს გაუხსნელ, ასევე შეწყვეტილსა და შეჩერებულ ქურდობათა საქმეებს.

აღნიშნული ღონისძიებები შესაძლებლობას იძლევა დავაკონკრეტოთ ვერსიები და შევამციროთ ქურდობაში ეჭვმიტანილთა წრე.

ქურდობაში ეჭვმიტანილ კონკრეტულ პირთა შესახებ ვერსიების გამოკვლევისას, რეკომენდირებულია გამოვარკვიოთ მათი ცხოვრების წესი. დიდი მნიშვნელობა აქვს ეჭვმიტანილ პირთა ალიბის შემოწმებას.

გამოძიების პროცესში ვერსიები კონკრეტდება და მოწმდება როგორც საგამოძიებო, ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გზით.

საგამოძიებო მოქმედებებს შორის მადომინირებელ როლს თამაშობს დაკითხვები, აგრეთვე ჩხრეკები. ეს უკანასკნელი ტარდება იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს საკმაო საფუძველი იმის ვარაუდისა, რომ შევძლებთ აღმოვაჩინოთ დატაცებული ქონება, დანაშაულის იარაღები და დოკუმენტები.

მოცემული კატეგორიის საქმეებზე ხშირად ტარდება კრიმინალისტიკური ექსპერტიზები, რომლითაც ხდება როგორც პიროვნებისა და გატეხვის იარაღების იდენტიფიკაციის საკითხების გარკვევა, ასევე გატეხვის მექანიზმის დადგენა (მაგალითად, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ბოქლომი გატეხვის მომენტში, გამოყენებული ხომ არ ყოფილა სპეციალური გასატეხი საშუალებები, რომელი მხრიდან — გარედან თუ შიგნიდან — არის შენგრეული ზღუდე და სხვ.), მთელის განსაზღვრა მისი ნაწილების მიხედვით და ა.შ.

ქურდობის ინსცენირების შესახებ ვერსიის შემოწმება დაკავშირებულია დოკუმენტების მიხედვით საცავებში იმ ქონებისა და ფულადი სახსრების არსებობის გარკვევასთან, რომლებიც ვითომდა დატაცებულია.

განსაკუთრებით უნდა გამოვიკვლიოთ საკითხი, ხომ არ იყო გამოვლინებული წინა რევიზიის მიერ დანაკლისი, რომელიც დამალულ იქნა.

მნიშვნელოვანი ცნობები ამის შესახებ შეიძლება მივიღოთ იმ პირებისაგან, რომლებმაც წინა რევიზია ჩაატარეს.

დასახელებული ვერსიის გამოკვლევა, ცხადია, შეხამებული უნდა იყოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა სამსახურებრივი საქმიანობის ხასიათისა და აგრეთვე მათი ცხოვრების წესის გარკვევასთან, იმ მიზნით, რათა დადგინდეს ბოროტმოქმედებების ფაქტები, პირადი ხარჯები და ა.შ., რომლებიც აშკარად არ შეესაბამება მათ ლეგალურ შესაძლებლობებს, სახელდობრ, მათ მიერ ძვირადღირებული ქონების შეძენასა და სხვ.

ყაჩაღობის ფორმით ჩადენილი დატაცებების გამოძიებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მათი გამოძიების თავისებურებანი დაკავშირებულია ამ დანაშაულის ხასიათთან, სახელდობრ, ყაჩაღობისათვის დამახასიათებელია თავდასხმა იმ პირებზე, რომელთა გამგებლობაში ან დაცვაშია ქონება. აქედან გამომდინარე, ცხადია, თავდასხმის გარემოებებისა და დაზარალებულზე სხეულის დაზიანებების მიყენების გარემოებების გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ყაჩაღური თავდასხმის გზით ჩადენილი დატაცების გამოძიებისას, ისევე როგორც ქურდობების გამოძიებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვერსია თავდასხმის ინსცენირების შესახებ.

თაღლითობის ფორმით ჩადენილი დატაცებების გამოძიებისას მხედველობაშია მისაღები ის, რომ ქონების დატაცება თაღლითობით ძირითადად ხდება ყალბი დოკუმენტების გამოყენებით. ამასთან ყველაზე უფრო გავრცელებულია: 1. საქონლის კრედიტში ან ნივთების ქირით გამოტანა მათი შემდგომი მითვისებით და 2. პენსიებისა და სხვადასხვაგვარი დახმარებების არაკანონიერი გზით მიღება. დასახელებულ გარემოებათა გამოძიების მთავარ ორიენტირად გვევლინება როგორც თაღლითების დაძებნა, ასევე დოკუმენტები და თანამდებობის ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ დოკუმენტების შესაბამისი ბლანკები, შტამპები და ბეჭდები.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის პიროვნება ჩვეულებრივ ცნობილია, საჭიროა იმ ყალბი საბუთების დადგენაც, რომელთა საფუძველზეც დარიცხულ იქნა არაკუთვნილი პენსია, ან გაზრდილ იქნა მისი ოდენობა და სხვ. თაღლითობის საქმეებზე გამომძიებელი ხვდება როგორც მატერიალურ, ისე ინტელექტუალურ სიყალბეს და თუ პირველ შემთხვევაში, დოკუმენტების სიყალბის დადგენის საქმეში დომინირებს კრიმინალისტიკური ექსპერ-

ტიზა, მეორე შემთხვევაში — მნიშვნელოვან როლს თამაშობს დოკუმენტების შინაარსის შემოწმება მოწმეთა დაკითხვის, საარქივო დოკუმენტების მოძიებისა და გამოკვლევის გზით.

საზოგადოებრიობის ჩაბმა გარეშე პირთა მიერ ჩადენილი დატაცებების გამოძიებაში ხდება სხვადასხვაგვარი ცნობების მიღებისა და დატაცებული ქონების აღმოჩენის მიზნით. ამავე მიზანს ემსახურება გამომძიებლის გამოსვლა ტელევიზიითა და რადიოთი. თავის ინფორმაციულ გამოსვლაში მან მეტი აქცენტი უნდა გააკეთოს დატაცებული ქონების ხასიათსა და ოდენობაზე, ეჭვმიტანილთა განსაკუთრებულ ნიშნებზე და სხვ., ცხადია, იმ მოცულობით, რასაც იგი შესაძლებლად მიიჩნევს.

გარეშე პირთა მიერ ჩადენილ დატაცებათა გამოძიებისას, გამომძიებელმა აქტიურად უნდა გამოიყენოს სახალხო რაზმელთა შესაძლებლობები, სახელდობრ, უნდა მისცეს ისეთი დავალებები, რაც მიმართული იქნება გარკვეული ადგილების დათვალიერებაზე, დატაცებული ქონების დაძებნასა და მიმალული დამნაშავეების აღმოჩენაზე. რაც შეეხება გამომძიებლის თანაშემწეებს საზოგადოებრივ საწყისებზე, ისინიც უნდა ჩააბას ისეთ საგამოძიებო მოქმედებებში, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ. ამ შემთხვევებში შესაბამის ოქმებში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული თუ რაში გამოიხატა მათი დამხმარე როლი.

XXVIII თავი

მკვლელობის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა

§1 მკვლელობის კრიმინალისტიკური დახასიათება

მკვლელობა, ე.ი. კანონსაწინააღმდეგო გზით განზრახ ან გაუფრთხილნებლობით სხვა პირისათვის სიცოცხლის მოსპობა ერთ-ერთ უძველეს, უმძიმეს და ურთულეს დანაშაულს წარმოადგენს.

მკვლელობა გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე — 109-ე მუხლებით, მაგრამ მკვლელობის გამოძიების მეთოდიკა თავისი შინაარსის და ობიექტების მიხედვით უფრო ფართოა ვიდრე აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულთა გამოძიება, იგი მოიცავს სხვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებებსაც, მაგალითად: ბანდიტიზმი, არასწორი მკურნალობა, ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და სხვა, სადაც დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი არის ადამიანის სიკვდილი. აღნიშნულ შემთხვევაში, როცა საქმე აღძრულია გვამის აღმოჩენის ფაქტზე, გამოძიება წარმოებს მკვლელობის საქმეთა გამოძიების საერთო მეთოდიკის შესაბამისად.

მკვლელობა, ისე როგორც სხვა დანაშაულებები, თავისი შინაარსით წარმოადგენს რთულ პროცესს, ამიტომ ერთი და იგივე კვალიფიკაციის მკვლელობის დროსაც კი თავისი გარემოებებისა და ვითარების მიხედვით სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს და ისინი თავისი შინაარსის მიხედვით ორიგინალური და განუმეორებელია.

მკვლელობის კრიმინალისტიკური დახასიათების სტრუქტურა ემთხვევა დანაშაულის სტრუქტურას, რის გამოც იგი შედგება ცხრა ელემენტისაგან. მკვლელობის კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის აუცილებელია შემდეგი საკითხების გარკვევა: დანაშაულის ფაქტის, მოკლულის პიროვნების, მკვლელის, თანამონაწილეთა, ადგილის, დროის, მოტივის, საშუალებისა და ვითარების დადგენა.

1. მკვლელობის ფაქტის დადგენა გულისხმობს გვამის აღმოჩენის შემთხვევაში მისი ძალადობრივი სიკვდილის ნიშნების დადგენას, რაც ხდება ექიმ-სპეციალისტის მოწვევით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩა-

ტარებით. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დგება გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის აქტი, ხოლო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და ექსპერტი ადგენს დასკვნას.

2. მოკლულის პიროვნების დადგენას, როგორც წესი წინ უსწრებს სიკვდილის ფაქტის დადგენას, რადგან ეს უკანასკნელი სპეციალისტების მიერ დგინდება შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ. პიროვნების დადგენა ფაქტიურად იწყება გვამის დათვალიერებიდან. დათვალიერებას ექვემდებარება გვამის ტანისამოსის ჯიბეები იმისათვის, რომ გაირკვეს არის თუ არა პირადობის რაიმე დამადასტურებელი საბუთი. ტანისამოსის დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს მისი სიახლე, მოდელი, ჩაცმულობის მანერა, მისი მდგომარეობა, სისუფთავე და სხვა. დათვალიერების შედეგად უნდა შედგეს გვამის სიტყვიერი პორტრეტი, გაირკვას კბილების მდგომარეობა, სვირინგები, კანის ბუნებრივი და ოპერაციის მოქმედებების შედეგად დარჩენილი ნაწიბურები, ძვლების მოტეხილობა (რენტგენის საშუალებით) და სხვა. გარდა ამისა მნახველთა გამოკითხვით წარმოებს გვამის პიროვნების დადგენა. თუ გამოკითხვამ დადებითი შედეგი არ მოგვცა, პოლიციის საშუალებით მოწმდება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები. ტელევიზიის საშუალებით გადაიცემა ინფორმაცია აღმოჩენილი გვამის შესახებ. საინტერესო ინფორმაციის მოცემა შეუძლია გვამის ნივთებსა და სამკაულებს.

3. მკვლელის პიროვნების დასადგენად შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთანავე ხდება მოკლულის ახლობლების გამოკითხვა (თუ კი ამის საშუალება არის) შესაძლო მკვლელების შესახებ.

მკვლელის შესახებ, ზოგჯერ იძლევა ინფორმაციას მის მიერ შემთხვევის ადგილზე დატოვებული იარაღი, ნივთები და კვალი. შესაძლოა მკვლელის დადგენა მოკლულის პიროვნების შესწავლით, რაც გულისხმობს მოკლულის ოჯახური, მეზობლური, სამსახურებრივი, ნათესაური და პირადი ცხოვრების შესწავლას. მკვლელის პიროვნებაზე საჭირო ინფორმაციას იძლევა მკვლელობის ხერხი, იარაღი, დაზიანების სახე და შემთხვევის ადგილის გარემოება და ვითარება, მაგალითად: გვამზე არსებული ზერელე და მრავლობითი ჭრილობა (ასეთი ჭრილობები შესაძლოა მიყენებული იყოს ფიზიკურად სუსტი პირის მიერ); გვამის დანაწევრება (ეს ფაქტი მოწმობს

მკვლელობის ადგილიდან გვამის დანაწევრების გარეშე გამოტანის შეუძლებლობას ან მკვლელის ფიზიკურ სისუსტეს).

4. თანამონაწილეები დგინდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მკვლელის დადგენის პროცესში. ამ მიზნით ყურადღება ექცევა შემთხვევის ადგილზე დატოვებულ ხელისა და ფეხის კვლებს, დანაშაულის იარაღებს, გვამზე არსებულ ჭრილობების განლაგებას, მათ სახეს, გვამის ფიზიკურ აგებულებას, მკვლელობის ხერხს და შემთხვევის ადგილის გარემოებასა და ვითარებას.

5. მკვლელობის ადგილი დგინდება გვამიდან გადმონადენი სისხლის რაოდენობით, ჭრილობიდან გადმონადენი სისხლის მიმართულების, გვამური ლაქების მდებარეობის, გვამის პოზის, გვამის ჩაცმულობის და შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების მხედველობაში მიღებით.

6. მკვლელობის დრო დგინდება სპეციალისტის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დახმარებით, გაშეშების, გვამური ლაქების, ტემპერატურის, ხრწნის და სხვა მოვლენათა მხედველობაში მიღებით, რაც თავისთავად უმეტეს შემთხვევაში სავარაუდო დროის მაჩვენებელია. მკვლელობის დრო შეიძლება დაზუსტდეს მოწმის ჩვენებით, გვამზე არსებული დაზიანებისაგან გაჩერებული მაჯის საათის საშუალებით. ასევე საჭირო მონაცემების მოცემა შეუძლია კუჭის შიგთავსის გამოკვლევას და სხვა.

7. მკვლელობის მოტივის დადგენა ემთხვევა მკვლელის დასადგენ ღონისძიებებს. გარდა ამისა გვამზე არსებული ჭრილობები, მათი მდგომარეობა, რაოდენობა, დაზიანების მიყენების სიძლიერე, ხარისხი, ჩაცმულობა, ტანისამოსის მდგომარეობა, მისი კუთვნილი ნივთების არ არსებობა, შემთხვევის ადგილის გარემოება და ვითარება იძლევა მკვლელობის სავარაუდო მოტივს.

8. დანაშაულის ჩადენის საშუალება არის დანაშაულის იარაღებისა და ხერხის გამოყენების, დანაშაულის მომზადების და დაფარვისათვის ჩადენილ მოქმედებათა ერთობლიობა. დანაშაულის ჩადენის იარაღი შეიძლება იყოს ცეცხლსასროლი, ცივი იარაღი, საოჯახო ან შემთხვევითი საგნები, ელექტროდენი, საწამლავი და სხვა. აღნიშნულის გარკვევაში გამომძიებელს ეხმარება სათანადო სპეციალისტები. დანაშაულის საშუალების დადგენა მჭიდრო კავშირშია მკვლელობის კრიმინალისტიკური დახასიათების სხვა ელემენტებთან.

9. დანაშაულის ჩადენის გარემოებაში იგულისხმება მოცემულ მომენტში საგნების, პირების, კვალთა ურთიერთმდებარეობა და განლაგება, ხოლო ვითარებაში კი ის პირობები რაშიც მიმდინარეობს დანაშაულის ჩადენა. შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა წარმოადგენს შემთხვევის ადგილთან დაკავშირებული ბალისტიკური, ტრასოლოგიური და სხვა ექსპერტიზათა დანიშვნისა და ჩატარების წინაპირობას.[1] შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა, როგორც საგამოძიებო მოქმედება არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ამიტომ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 178-ე და 179-ე მუხლებით.

აღნიშნული საკითხები მიუთითებენ იმაზე, თუ რა უნდა დადგინდეს და გაკეთდეს კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, რაც დამახასიათებელია მკვლელობის როგორც დანაშაულის ერთ-ერთი სახის დახასიათებისათვის.

ზემოაღნიშნული ერთმანეთთან ურთიერთ კავშირში არიან და ერთ-ერთი რომელიმე მათგანის გარკვევა ისე არ შეიძლება, რომ მეორესთან არ იყოს დაკავშირებული.

§2.პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებანი

მკვლელობის კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის და გამოძიებისათვის მნიშვნელობა აკვს მკვლელობა ჩადენილია აშკარად თუ ფარულად.

მკვლელობა იყოფა ორ სახედ: 1) როდესაც მკვლელი თავიდანვე ცნობილია და 2) როცა მკვლელი უცნობია.

პირველ სახეს მიეკუთვნება ისეთი მკვლელობები, როდესაც მკვლელობა ჩადენილია, როგორც წესი, მოწმეთა თვალწინ და პირი გამოცხადდა დანაშაულის აღიარებით. ასეთი დანაშაული შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი მკვლელობები, როგორიცაა ოჯახური უსიამოვნების, მეზობლური დავის და სხვა სიტუაციაში დამსწრეთა თვალწინ მომხდარი მკვლელობები.

მკვლელობათა მეორე სახეს მიეკუთვნება ისეთი მკვლელობები, როდესაც იგი ჩადენილია მოწმეთა გარეშე და მკვლელი უცნობია, მაგალითად:

---

[1]. Назначение и производство судебных экспертиз, М., 1988, с.134; Судебные экспертизы, М., 1989, с.с. 47,60,75

ძალადობის ნიშნების მქონე გვამის აღმოჩენა, პიროვნების უგზო-უკვლოდ დაკარგვა მკვლელობის ნიშნების არსებობით და სხვა.

(მკვლელობის ფაქტზე საქმე შეიძლება აღიძრას შემდეგ შემთხვევებში: 1 როდესაც გვამს აქვს ძალადობის აშკარა ნიშნები; 2. როდესაც აღმოჩენილი იქნება გვამის ნაწილები; 3. როდესაც ადამიანი დაიკარგება მკვლელობისათვის დამახასიათებელ ვითარებაში; 4.როდესაც მკვლელობა მოხდა მოწმეთა თვალწინ; 5.როდესაც გამოცხადდება პიროვნება დანაშაულის აღიარებით.

საქმის აღძვრის აუცილებლობა პირველ ორ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს, როდესაც პიროვნება დაკარგულია, მაშინ შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ადამიანი აუცილებლად მოკლულია. ასეთ შემთხვევაში გამორიცხული არაა შემთხვევა, რომ პირი გარკვეული მიზეზების გამო გაექცა ოჯახს; დაიმალა მის სამსახურში შექმნილი გარემოებების გამო; გაეცალა საცხოვრებელ ადგილს უიმედო სიყვარულის გამო და სხვა.

ასეთ შემთხვევაში საქმის აღძვრამდე დადგენილი წესით სწარმოებს დაკარგული პიროვნების შესწავლა, შემოწმება და ძებნა. თუ დადგინდება, რომ დაკარგულ პიროვნებას საფუძველი არ ჰქონდა დასამალად და შეიქმნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოკლულია, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის ფაქტზე.

(ისეთ შემთხვევაში, როდესაც გვამია აღმოჩენილი, იგი უნდა შემოწმდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ არა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნით, არამედ გამომძიებლის მიმართვით.) გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევისათვის მიმართვის გაგზავნის დროს, გამომძიებელს შეუძლია სპეციალისტების წინაშე სხვადასხვა საკითხების დაყენება, მაგრამ არა ისეთი კითხვებისა, რომლებიც რთულია და მოითხოვენ სპეციალურ კვლევებს. როდესაც გამომძიებელი მიმართვაში არ აღნიშნავს კითხვებს, სპეციალისტები, როგორც წესი, ადგენენ შემდეგ საკითხებს: რა არის სიკვდილის მიზეზი, რა დაზიანება აქვს მიყენებული გვამს და ალკოჰოლის არსებობის ნიშნები.

სპეციალისტი-ექსპერტი თავის მხრივ ვალდებულია ჩაატაროს გვამის ზუსტი გამოკვლევა და შედეგები აცნობოს გამომძიებელს.

სიკვდილის ძალადობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაინიშნოს არა გვამის სასამართლო-სამედიცინო შემოწმება, არამედ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა წარმოადგენს იმ საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ სიკვდილის მიზეზისა და სხვა ფაქტების დადგენის მიზნით.

მკვლელობის საქმეებზე პირველდაწყებითი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება იყოს მოწმის, ეჭვმიტანილის დაკითხვა, ჩხრეკა და სხვა. ყველა საგამოძიებო მოქმედებებისათვის საერთო მიზანი და პირობაა მოპოვებულ იქნას საქმისათვის საჭირო ინფორმაცია (პროცესუალური ნორმების დაცვით), რისთვისაც გამომძიებელი ითვალისწინებს მთელ რიგ ტაქტიკურ, ფსიქოლოგიურ და პროცესუალურ საკითხებს.

კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მოწმეც ჩვენების მიცემის დროს, საბოლოოდ ხელმძღვანელობს ერთი კრიტერიუმით, თუ რამდენად აწყობს მას სწორი ჩვენების მიცემა. ორივე სახის ჩვენების მიღების დროს გამომძიებლის მიზანია განაწყოს დასაკითხი პირი სწორი ჩვენების მისაცემად, რა დროსაც გამომძიებლის ამოცანა და მიზანია მოახდინოს მასზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა (საპროცესო ნორმების დაცვით), რაშიაც დიდ როლს თამაშობს გამომძიებლის ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი და დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა.

პირველადი გადაუდებელი დაკითხვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაკითხვის ხელსაყრელი სიტუაციის შექმნას, ვინაიდან გამომძიებელი ექსტრემალური სიტუაციის გამო ინფორმაციისა და დაკითხვის სრულყოფილი ორგანიზაციისათვის საჭირო დროის დეფიციტს განიცდის.ასეთი ექსტრემალური სიტუაციისათვის დაკითხვის დროს გამომძიებელმა უნდა ისარგებლოს დაკითხვის მოულოდნელობით, მის ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემებით და შემთხვევის ადგილის დათვალიერებით მიღებული ინფორმაციით.

მკვლელობის საქმეებზე მოწმეები შეიძლება იყვნენ მკვლელობის ფაქტის თვითმხილველნი, მეზობლები, ნათესავები, ნაცნობები და სხვები, ვინც კი შეიძლება რამე იცოდეს მკვლელობის შესახებ.

მკვლელობის თვითმხილველის დაკითხვით დგინდება: საიდან, რატომ, როგორ. და როდის მოხვდა იგი მკვლელობის ადგილზე; სად იდგა, რა ნახა, რა გაიგონა როგორი თანმიმდევრობით; რამდენი და ვინ იყო ბოროტმოქმედი; ვინ რას აკეთებდა, რას ამბობდა; როგორ იყვნენ ჩაცმული და შეიარაღებული; როგორ მიმართავდნენ ერთმანეთს; იცნობდა თუ არა მათ; შეუძლია თუ არა ამოცნობა თუ არ იცნობდა; ვისთან და როდის უნახია; როგორია მათი სიტყვიერი პორტრეტი; ვინ საით წავიდა; რა წაიღო და სხვა.

მოკლულის ნათესავებისა და ახლობლების დაკითხვის საშუალებით დგინდება მოკლულის პიროვნება, მისი დამოკიდებულება ნათესავებთან, ნაცნობებთან, ოჯახის წევრებთან, ვინ შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული მისი სიკვდილით, ვის შეეძლო მისი მოკვლა, როგორ იქცეოდა იგი მკვლელობის წინა პერიოდში, ხომ არაფერს უჩიოდა და სხვა.

ექვმიტანილის დაკითხვით უნდა გაირკვეს მისი ალიბი, რაშიაც გამოყენებული უნდა იქნას არსებული მასალები და ინფორმაცია; რა საფუძველი იყო მასზე ეჭვის მიტანისა. თუ იმის ვარაუდია, რომ ეჭვმიტანილი უშუალო კონტაქტში იქნებოდა მოკლულთან, უნდა დადგინდეს რა ეცვა მას მკვლელობის დროს და ამოღებული იქნას ტანისამოსი მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზის ჩასატარებლად. ასევე ამოიღება მისი ფრჩხილების შიგთავსი მიკრონაწილაკებზე, ბიოლოგიური, ციტოლოგიური და სხვა ექსპერტიზების ჩასატარებლად.

მკვლელობის საქმეებზე გადაუდებელ შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების მიზანია ეჭვმიტანილის ბინიდან (ან პირადი ჩხრეკისას), ამოღებულ იქნას დანაშაულის იარაღი, ტანისამოსი (რომელიც მკვლელობის დროს ეცვა), გატაცებული ნივთები, სისხლის, გვამის და დანაშაულის ჩადენის სხვა კვლები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას თავისი შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით განსაკუთრებული და პირველადი ადგილი უკავია მკვლელობის კვალთა და გარემოებათა დადგენაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთერთი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ასეთი გადაუდებლობის სიტუაცია კი იქმნება მკვლელობის, გვამის ან მისი ნაწილების აღმოჩენის დროს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებისთანავე წყდება საქმის აღძვრის საკითხი. სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება თუ არა, ორივე შემთხვევაში ადგილის დათვალიერება რჩება როგორც საგამოძიებო მოქმედება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის აღძვრას ან არ აღძვრას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ორგანიზაციის მიხედვით, იწყება შეტყობინებით მომხდარი ფაქტის შესახებ და მისი მთელი პროცესი შეიძლება დავყოთ 3 საფეხურად: 1.შეტყობინების მიღება მომხდარი ფაქტის შესახებ, 2.ორგანიზაცია შემთხვევის ადგილზე, დათვალიერების დაწყებამდე და 3.უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერება იყოფა ორ ნაწილად: სტატიკურად და დინამიკურად. სტატიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ადგილის დათვალიერებას მისი ყოველგვარი ცვლილების გარეშე, რასაც წინ უსწრებს გამომძიებლის ხანმოკლე ადაპტაცია.

გამომძიებელი სტატიკური დათვალიერებით მიღებული ინფორმაციის შედეგად სათანადო დავალებას აძლევს ოპერატიულ მუშაკებს, რაც გრძელდება დათვალიერების მთელ პერიოდში და მის შემდეგ. ამ დროს რეკომენდებულია შემთხვევის ადგილის სქემის შედგენა, რაც შემდგომში აადვილებს შემთხვევის ადგილის დეტალურ დათვალიერებას მისი მოდელირების მიზნით.

სტატიკური დათვალიერება აუცილებელია, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ხდება შემთხვევის ადგილის თავდაპირველი მდგომარეობის ფიქსირება, საჭიროა გამომძიებელმა ნახოს გვამი და ორიენტირი აიღოს იმ კვლებზე, რომლებიც გვამთანაა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მათზე დინამიური დათვალიერების დროს. გარდა ამისა სტატიკური დათვალიერების დროს გამომძიებელს ექმნება წინასწარი მოსაზრება მკვლელობის იარაღზე და მკვლელობის ჩადენის ხერხზე და გარემოებაზე და ამის გათვალისწინებით კონკრეტულ დავალებას აძლევს ოპერატიულ მუშაკებს.

შემთხვევის ადგილის სტატიკური დათვალიერების საფუძველზე ხდება დათვალიერების ტაქტიკური ხერხის შერჩევა, როგორიცაა: დათვალიერების დაწყება ცენტრიდან (გვამიდან) ან პერიფერიიდან.

შემთხვევის ადგილის დინამიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებულ კვალთა, ნივთმტკიცებათა დაწვრილებით დათვალიერებას, ტვიფარების დამზადებას და დათვალიერების

შედეგების დაწვრილებით აღწერას ოქმში. შემთხვევის ადგილზე ყველა ნივთები და კვლები, გარდა მათი ზომებისა აღინიშნება მათი მდებარეობის კოორდინატების მიხედვით, რაც შემდგომში შემთხვევის ადგილის სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა.

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილ იქნას სისხლის შემდეგი სახის კვლები: სისხლის გუბე, რომელიც აღინიშნება ორი ზომით სიგრძითა და სიგანით. სისხლის წვეთები, რომლებიც არის წრიული, წაგრძელებული – მსხლისებური ფორმის და წანაცხები. წრიულის დროს იწერება დიამეტრის ზომა, წაგრძელებულის სიფართე, სიგრძე და წაგრძელებული ნაწილის მიმართულება, წანაცხების სიგრძე და სიფართე, თუ კი საერთოდ მცირე სიდიდის კვლები ბევრია და მის დათვლას აზრი არა აქვს, გარდა მათი აღწერისა აღინიშნება, მისი ინტენსივობის მიმართულება და იმ ფართობის საზღვრები, სადაც არის კვლები.

სისხლის გუბის არსებობის შემთხვევაში, გარდა სისხლის ზედაპირის სიგრძე-სიგანისა, იწერება თუ როგორ ზედაპირზეა იგი. თუ საგანი, რაზეც სისხლის კვალია, – შემწოვია, დამატებით იწერება სისხლით გაჟღენთილი სილრმის ზომა, რაც აუცილებლად საჭიროა დაღვრილი სისხლის რაოდენობის განსაზღვრისათვის.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოება: შემთხვევის ადგილზე არ დატოვოს თავისი კვალი ან არ დააზიანოს არსებული კვალი.

მკვლელობის შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ყოველთვის ისმება კითხვა, თუ რა საზღვრებში დათვალიერდეს შემთხვევის ადგილი და რა ფართობი ითვლება შემთხვევის ადგილად. შემთხვევის ადგილი არის ის გარემო, სადაც შეიძლება იყოს დანაშაულის კვალი და სხვა ნივთიერი მტკიცებულებები, აგრეთვე ყოველივე ის, რაც მიუთითებს შემთხვევის ვითარებასა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე.

აღნიშნული საკითხი გამომძიებელმა თვითონვე უნდა გადაწყვიტოს კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ამასთანავე დაცული უნდა იქნას კვალის დატოვების შესაძლო ფართობი, რისთვისაც გამომძიებელი არ უნდა შემოიფარგლოს მცირე ფართობით და გაითვალისწინოს რეალური გარემოება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამომძიებელი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ერთპიროვნული ხელმძღვანელია.

შემთხვევის ადგილის ცნება პირობითია, იგი განისაზღვრება ორი გარემოებით, მოცემულ ადგილზე უნდა იყოს ან მკვლელობის ნიშნები, ან გვამი, ან ორივე ერთად. პირველ ნიშანში იგულისხმება ადამიანის სისხლის კვალი, ან იმ სხვადასხვა კვლების აღმოჩენა, რაც მიუთითებს შემთხვევის აგდილზე ორთაბრძოლის ან მკვლელობის მოხდენაზე. მეორე ნიშანში იგულისხმება ადამიანის გვამის აღმოჩენის ადგილი. დგება საკითხი ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის აღმოჩენის ადგილი ითვლება თუ არა შემთხვევის ადგილად. თუ ზემოაღნიშნული კრიტერიუმით ვისარგებლებთ ადამიანის სხეულის აღმოჩენის ადგილიც შემთხვევის ადგილია. რაც შეეხება დათვალიერების ფარგლებს, ყველა შემთხვევაში აღნიშნული საკითხი წყდება გარემოების მიხედვით.

გვამის აღმოჩენის ადგილის დათვალიერება და მკვლელობის ადგილის დათვალიერება ცალ-ცალკე საგამოძიებო მოქმედებებია, მაგრამ მათი ერთად არსებობის შემთხვევაში ხდება ერთიანი საგამოძიებო მოქმედება და დგება შემთხვევის ადგილის და გვამის დათვალიერების ერთიანი ოქმი. თუმცა გვამის დათვალიერებას გააჩნია შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან განსხვავებული თავისებურება, რაც გამოწვეულია ამ ორი დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებების ობიექტების სხვაობით და თავისებურებობით, მაგრამ მათ აერთიანებს ის გარემოება, ვითარება და ტერიტორია, სადაც მდებარეობს გვამი და მათი დათვალიერების სრულყოფილობის თვალსაზრისით ისინი განუყოფელია.

§3. საგამოძიებო ვერსიები და გამოძიების დაგეგმვა

მკვლელობის საქმეებზე გამოძიების დასაწყისშივე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელს წარმოეშვება მომხდარი ფაქტის შესახებ ვარაუდი, ანუ ვერსიები და სწორედ ამ დროს ხდება მკვლელობის ოქმის ყველა შესაძლო ვარიანტების დასახვა და შემოწმება, რაც დამოკიდებულია გამომძიებლის პროფესიულობაზე.

საგამოძიებო ვერსია არის ფაქტებზე დამყარებული გამომძიებლის ვარაუდი დანაშაულის მიზეზზე, დანაშაულის გარემოებაზე და მის ჩამდენ პირებზე, რაც აუცილებელ შემოწმებას ექვემდებარება.

როგორც წესი, ყველა ვერსია უნდა დაისახოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, რათა გამომძიებელს საშუალება ჰქონდეს შეამოწმოს ისინი. წინაალმდეგ შემთხვევაში იკარგება შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ წარმოშობილი ვერსიის სრულყოფილი შემოწმების შესაძლებლობა.

მკვლელობის საქმეებზე ვერსიების წამოყენების დროს დაცული უნდა იქნას პირობა, რომ ვერსიები ამომწურავი იყოს ყველა შესაძლო შემთხვევისათვის და ყველა ისინი შემოწმდეს კრიტიკული თვალსაზრისით. მკვლელობის საქმეებზე პრაქტიკაში გამორიცხული არაა, რომ გამომძიებელმა ვერ გაითვალისწინოს და ააგოს ყველა შესაძლო ვერსია, რასაც შეუძლია უარყოფითი როლი ითამაშოს მომხდარი ფაქტის დადგენაში. თუ ამას დავუმატებთ ყველა დასახული ვერსიის შეუმოწმებლობას, ეს უკვე საეჭვოდ ხდის მკვლელობის საქმეებზე გამოძიების ჩატარების ყოველმხრივობისა და სისრულის საკითხს. მკვლელობის საქმეებზე შეიძლება აიგოს: საერთო, კერძო და სამუშაო ვერსიები.

საერთო ვერსიის საგანია მკვლელობის გარემოების ახსნა, მისი იურიდიული კვალიფიკაცია და სხვ. კერძო ვერსია ითვალისწინებს საქმის ცალკეულ გარემოებებს, მაგალითად: მკვლელობის ჩადენის ხერხს, დანაშაულის იარაღის დადგენას და ა.შ. სამუშაო ვერსია, როგორც წესი, ორგანიზაციული ხასიათისაა და ითვალისწინებს საკითხის გადაწყვეტა-დადგენას, თუ სად შეიძლება იყოს დამალული მკვლელობის ჩადენის იარაღი, როგორ მოიძებნოს იგი და სხვა. კერძო ვერსიები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედის გამომძიებლის ვარაუდი მკვლელობის და მის წინა პერიოდის თანმდევ გარემოებაზე, რაც ემყარება იმ კვლების შესწავლას, რაც არაა დამახასიათებელი ცალკეული დანაშაულისათვის და ყველასათვის საერთოა, მაგალითად: ვერსია დამნაშავეთა რაოდენობაზე, შემთხვევის ადგილზე მისვლის გზებსა და საშუალებებზე, დანაშაულის იარაღზე და სხვა. მეორე ჯგუფში შედის გამომძიებლის ვარაუდი დანაშაულის ჩადენისა და მისი დაფარვის ხერხებზე, მოტივზე და სხვა. აღნიშნულის შემუშავება ხდება ფაქტიური მონაცემებით, შემთხვევის ადგილის გარემოების შესწავლით, გვამის პოზით, ტანისამოსის მდგომარეობის, დაზიანების, სისხლის კვალის და სხვათა შესწავლით. მკვლელობის დრო დგინდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ჩაცმულობით, გვამის

გარშემო, მაგიდაზე მდებარე ნივთებით, ელექტროგანათების მდგომარეობით და სხვა. მოტივის დასადგენად შეისწავლება გვამის მდგომარეობა, შემთხვევის ადგილის ვითარება და სხვა. მკვლელობის გარემოების დასადგენად შეისწავლება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დადგენილი გარემოებები, რაშიც შედის გვამის მდებარეობა, ჭრილობის ადგილი და მისი მიმართულება, ტყვიები, მასრები და სხვა კვლები. აღნიშნულის გასარკვევად გარდა მათი შესწავლისა ტარდება კომპლექსური ექსპერტიზა და მათი მონაცემები წარმოადგენენ კერძო ვერსიის დანაშაულის მოხდენის ადგილისა და ვითარების დადგენის წყაროს.

ვერსიები თავის გამოსახულებას პოულობენ საგამოძიებო და საგამოძიებო-ოპერატიულ გეგმებში, სადაც ისინი შეიტანებიან და მოწმდებიან ყველანი ერთდროულად-პარალელურად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ უმჯობესია პირველ რიგში შემოწმდეს უფრო მეტად შესაძლო ვერსია, მაგრამ როგორც პრაქტიკა მოწმობს, გამომძიებლის ვარაუდი ყოველთვის არ მართლდება და ზოგჯერ ნაკლებად შესაძლებელი ვერსია გამოდის სწორი, მაგრამ მისი მეორე რიგში შემოწმების გამო იკარგება დრო და მტკიცებულებები. ამიტომ ყველა ვერსია უნდა შემოწმდეს ერთდროულად და პარალელურად და არა თანმიმდევრობით, რაც უნდა აისახოს საგამოძიებო გეგმაში.

საგამოძიებო გეგმა გამოძიების მეცნიერული ორგანიზაციის გამოსახულებაა. იგი ისახება და დგება თავიდანვე. მკვლელობის საქმეებზე საგამოძიებო გეგმა შეიძლება შედგეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ან მაშინ, როდესაც მკვლელობის ფაქტზე საქმე აღიძვრება და მას წარმოებაში მიიღებს გამომძიებელი. პირველ შემთხვევაში საგამოძიებო გეგმის მონაცემებს იძლევა შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვა ადგილზე მონაკვლევი მასალები, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმის წარმოებაში მიღებამდე ან მის შემდეგ არსებული მონაცემები და მათი შესწავლის შედეგები.

საგამოძიებო გეგმის შედგენა გამოძიების მეცნიერული ორგანიზაციის აუცილებელი რეკვიზიტია. პრაქტიკაში, ზოგჯერ მკვლელობის საქმეებზე გამომძიებელი თავს არიდებს საგამოძიებო გეგმის შედგენას იმ თვალსაზრისით, რომ საგამოძიებო გეგმის შედგენისათვის აუცილებელია საქმის მასალების დაწვრილებით შესწავლა და მისი გააზრება, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. დროის ასეთი ეკონომიის გამო უხარისხოდ ტარდება

მკვლელობის გამოძიება, დაკითხვის წინ გამომძიებელს უხდება გარკვევა, თუ რომელ საქმეზეა გამოძახებული მოწმე, რა საკითხები უნდა დადგინდეს და მოუმზადებელი დაკითხვის მსვლელობაში არკვევს მას და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო გეგმის შედგენა არ წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას, იგი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხია. ზოგჯერ არსებული პრაქტიკა, რომ საგამოძიებო გეგმას ამტკიცებს რაიონის პროკურორი, ხოლო საგამოძიებო-ოპერატიულ გეგმას კი რაიონის პროკურორი და მილიციის უფროსი, მცდარი პრაქტიკაა. საგამოძიებო გეგმა სისხლის სამართლის საქმეს არ ერთვის, იგი საზედამხედველო წარმოებაში ინახება.

საგამოძიებო გეგმაში აღინიშნება მკვლელობის ფაქტზე ყველა შესაძლო ვერსიები, ვერსიებთან დაკავშირებული შესამოწმებელი საკითხები, მისი შემოწმების საშუალება, შემმოწმებელი და შემოწმების დრო.

მკვლელობის საქმეებზე გარდა საგამოძიებო გეგმისა, მასთან ერთად დგება საგამოძიებო-ოპერატიული გეგმა. საგამოძიებო-ოპერატიულ გეგმაში გამომძიებლის მიერ აღინიშნება ყველა ის საკითხები, რის დადგენა და შემოწმებაც საჭიროა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების გზით. საგამოძიებო-ოპერატიული გეგმა განსხვავდება საგამოძიებო გეგმისაგან. ოპერატიულ გეგმას ადგენს ოპერატიული მუშაკი და მასში შეიტანება მხოლოდ ოპერატიული გზით დასადგენი საკითხები.

ოპერატიული სამსახურის გამოყენება, მასზე დავალების მიცემა, ერთერთი თავდაპირველი მოქმედებათაგანია, რასაც გამომძიებელი აკეთებს მკვლელობის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე, დათვალიერების დროს და მის შემდეგ.

ოპერატიული სამსახურისათვის პირველი დავალების მიცემა ხდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებამდე იმ საკითხების გასარკვევად, თუ რა იციან მომხდარი მკვლელობის შესახებ, ვისთან იყო მოკლული ცუდ დამოკიდებულებაში, ვის შეეძლო მისი მოკვლა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მოკლულს ოჯახისადმი, მეზობლებისადმი, სამსახურში, ჰქონდა თუ არა ვინმესთან დავა და როგორ ხასიათდებოდა იგი. როგორც წესი, ოპერატიული დავალება უნდა ატარებდეს წერილობით ხასიათს.

ოპერატიული მუშაკის დავალების კითხვები პრინციპულად არ განსხვავდებიან მკვლელობის საქმეებზე დასადგენი გარემოებებისაგან, გარდა

მათი შესრულების სუბიექტისა, გზებისა და მეთოდისა, რაც ოპერატიული სამსახურის თავისებურებითაა გამოწვეული.

სრულყოფილი გამოძიება მკვლელობის საქმეებისა შესაძლებელია მხოლოდ გამომძიებლის, ოპერატიული სამსახურის და საექსპერტო დაწესებულებათა ერთობლივი შეთანხმებული მუშაობით, რასაც უნდა დავუმატოთ საზოგადოების დახმარება დანაშაულის გახსნაში და მის თავიდან აცილებაში.

გარდა საზოგადოებრიობის დახმარების გამოყენებისა, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიების დროსაც და მის შემდეგაც, როცა კი ამის საშუალება და საჭიროება არსებობს, წარდგინებით მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს მკვლელობის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრისათვის გამოვიდეს ინფორმაციით სათანადო მშრომელთა კოლექტივების წინაშე.

წარდგინებები და ინფორმაციები არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის. წარდგინებებსა და ინფორმაციებში აღნიშნული უნდა იყოს თუ მომხდარ მკვლელობას რამ შეუწყო ხელი და დასახული უნდა იყოს რეალური კონკრეტული ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად. გამომძიებელი ვალდებულია მოითხოვოს შეტყობინების, წარდგინების განხილვის შედეგები და მიღებული ზომები, რაც დაკავშირებულია მკვლელობის კონკრეტული ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრასთან.

§4. მკვლელობის ჩადენის ხერხთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიების თავისებურება

მკვლელობის საქმეზე გამოძიების მეთოდიკის თავისებურება დამოკიდებულია მკვლელობის სახეობაზე, კერძოდ: გვამი ჩამოხრჩობილი იყო, დამხრჩვალი იყო, გვამი აღმოჩნდა ხმელეთზე, დამწვარი იყო, იგი მაღალი ძაბვის წყაროსთან აღმოჩნდა თუ სხვა ვითარებაში იყო.

ვინაიდან მკვლელობის სახეები, მათი ჩადენის ხერხები სრულად არ ემთხვევიან ერთმანეთს, მკვლელობის საქმეთა გამოძიებისათვის შესაძლებელია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც გამომძიებლის მიერ უნდა შეივსოს მკვლელობის სიტუაციისა და კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.

1. <u>წყალში აღმოჩენილი გვამის</u> მიმართ საჭიროა გადაღებული იქნას შემთხვევის ადგილთან დაკავშირებული ყველა სახის ფოტოსურათები, წყალში აღმოჩენილი გვამის დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასზე არსებულ დაზიანებებს, თანდაყოლილ და შეძენილ ნიშნებს და ნაწიბურებს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, აუცილებელია რენტგენის გადაღება ძველი და ახალი მოტეხილობის დასადგენად.

გვამის დათვალიერების აუცილებელ საგანს წარმოადგენს გვამის კბილების დათვალიერება და მისი შესწავლა, რაც შემდგომში გამოიყენება გვამის პიროვნების დასადგენად.

გვამიდან აღებული ტანისამოსი შრება ჩრდილში და შემდეგ შეიფუთება არა ცელოფანში. როგორც ეს ხშირადაა პრაქტიკაში, არამედ ქაღალდში, ვინაიდან ცელოფანში ნივთმტკიცება ნესტიანდება, სველდება და უვარგისი ხდება გამოკვლევისათვის.

ტანისამოსზე, საჭიროებისამებრ, შეიძლება ჩატარდეს ბიოლოგიური ექსპერტიზა ადამიანის სხეულის გამონაყოფზე; ტრასოლოგიური ექსპერტიზა ტანისამოსზე არსებულ მექანიკურ კვლებზე, ქიმიური ექსპერტიზა ლაქების შემადგენლობის დასადგენად, ექსპერტიზა მიკრონაწილაკებზე საგნებს შორის კონტაქტის დასადგენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზების ჩატარებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული მათი ჩატარების რიგითობის საკითხი. პირველ რიგში ტარდება ექსპერტიზა მიკრონაწილაკებზე, ვინაიდან სხვა სახის ექსპერტიზის ჩატარებისას მოხდება არსებული კვლების წაშლა ან დაზიანება.

გვამის წყალში აღმოჩენის შემთხვევაში ექსპერტის მიერ გადასაწყვეტია სამი ძირითადი საკითხი: პიროვნება წყალში ცოცხალი შოხვდა, წყალში დაიხრჩო, თუ წყალში მოკვდა, მაგრამ არა წყლით, არამედ სხვა სახის ასფიქსიით.

2. <u>დანაწევრებული გვამი</u>. გვამის ნაწილების აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მომხდარია მკვლელობა. გვამის დანაწევრებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს: ნადირებისა და მღრღნელების მიერ; ადამიანის უნებლიე მოქმედებით და სამკურნალო დაწესებულებებში. გვამი შეიძლება დანაწევრებული იყოს აგრეთვე განზრახი მოქმედებით დანაშაულის დაფარვის მიზნით.

გვამის ნაწილის აღმოჩენის შემთხვევაში ინიშნება სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ციტოლოგიური, ტრასოლოგიური და სხვა ექსპერტიზები შემდეგი საკითხების დასადგენად: აღმოჩენილი გვამის ნაწილი ადამიანისაა თუ არა; რა წესით არის გვამი დანაწევრებული; დანაწევრებას ადგილი ჰქონდა სიცოცხლეში, თუ სიკვდილის შემდეგ; აღმოჩენილი სხეულის ნაწილები ერთი პირისაა თუ არა; ქალისაა თუ მამაკაცის, როგორია გვამის სავარაუდო ასაკი; როდის მოხდა გვამის დანაწევრება; რომელ ჯგუფს ეკუთვნის სისხლი და ა.შ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გვამის დანაწევრება ხდება მკვლელობის ადგილიდან გვამის მთლიანად გამოტანის სიძნელის გამო, რაც გამოწვეულია ორი მიზეზით: ბოროტმოქმედი ფიზიკურად სუსტია (ქალია, არასრულწლოვანია ან ავადმყოფია) ან მკვლელობის ადგილი წარმოადგენს საზოგადოების თავშეყრის ადგილს (მრავალბინიანი სახლი ან მჭიდროდ დასახლებული ადგილი).

გვამის ნაწილის აღმოჩენისა და დათვალიერების დროს ყველა შემთხვევაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ექიმი-სპეციალისტი.

ამოუცნობი და დანაწევრებული გვამის აღმოჩენის შემთხვევაში, პირველ რიგში, თუ ამის პრაქტიკული საშუალება არსებობს, გვამის გამოკვლევის შემდეგ ტარდება ჯერ გვამის ტუალეტი (გვამის წესრიგში მოყვანა), შემდეგ კი ამოცნობა. სპეციალისტი დაქტილობარათის ბლანკზე აწარმოებს გვამის დაქტილოსკოპირებას, სიტყვიერი პორტრეტის შედგენას და ფოტოგადაღებას. დაქტილობარათი სიტყვიერ პორტრეტთან ერთად გადაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში პიროვნების დასადგენად, ხოლო მათი პირი და ფოტოსურათი სამძებრო სამმართველოში ამოუცნობი გვამის პიროვნების დადგენისათვის.

გვამიდან ბიოლოგიური და ციტოლოგიური ექსპერტიზისათვის აიღება თმები, კანი და ფრჩხილების შიგთავსი. ტანისამოსი ამოიღება მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზისათვის და მასზე არსებულ ლაქებზე ქიმიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

პიროვნების დადგენისათვის აუცილებელია პრესისა და ტელევიზიის გამოყენება.

3. <u>გაზით მოწამვლა</u>. გაზით მოწამვლის ეჭვის შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს ხდება გვამის

ყოველმხრივი გამოკვლევა, რის დროსაც ექსპერტები ადგენენ რა გარდაცვალების მიზეზს, აღნიშნავენ კიდეც მის უშუალო ეი. გაზით მოწამვლის ნიშნებსაც.

გაზის გამოყენებით მკვლელობის შემდეგი შემთხვევებია: გაზის შესუნთქვა, გაზის აალება და გაზის აფეთქება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სათანადო სპეციალისტის დახმარებით ხდება გაზის (ჰაერის) ნიმუშების აღება.

გაზის ნარჩენების მატარებელი და მისი შემცველი შეიძლება იყოს: ღრუბლის მაგვარი აგებულების ნივთები (ტანისამოსი, ლოგინის შემადგენელი ნაწილები, თბოიზოლაცია და სხვა). გაზის შემცველი ნივთები, მათი გაბარიტის მიხედვით, მოთავსებული უნდა იქნას მინის ქილაში, უკიდურეს შემთხვევაში ცელოფანის პარკში. მინის ქილა იმით არის უკეთესი, რომ სხვა საცავებში კედლები მოძრაობს ან ატარებს გაზს, რის გამოც პარკიდან გამოიდევნება შიგ არსებული ჰაერი და იკარგება გაზის ნარჩენები.

გაზით ადამიანის დაღუპვის შემთხვევაში, გარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა უნდა ჩატარდეს სხვა ექსპერტიზები იმის დასადგენად, საიდან და რატომ გამოდიოდა გაზი, იყო თუ არა განიავება, რა წესის დარღვევით არის დამონტაჟებული გაზის დანადგარი, შეეძლო თუ არა თვითონ დაზარალებულს გამოეშვა გაზი, შეიძლებოდა თუ არა ბორტმოქმედი შესულიყო, გამოეშვა გაზი და გამოსულიყო ოთახიდან და სხვა.

4. <u>მკვლელობა აფეთქებით</u>. აფეთქების საქმეთა გამოძიების დროს შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად მოიწვევიან ექიმი-სპეციალისტი (თუ კი არის გვამი), პიროტექნიკოსი და სხვა საჭირო სპეციალისტები, რაც საქმის გარემოების მიხედვით უნდა განისაზღვროს. ექიმი-სპეციალისტი გამომძიებელს ეხმარება გვამზე არსებული დაზიანებისა და აფეთქებისათვის დამახასიათებელ დაზიანებათა დადგენაში. სპეციალისტი-პიროტექნიკოსი ეხმარება: აფეთქების ადგილის, აფეთქებული ნივთიერების სახეობის; აფეთქების ძალის; აფეთქებული ნივთიერების რაოდენობის; აფეთქების მიმართულების, გამოყენებული ასაფეთქებელი მოწყობილობის მოდელის დადგენაში.

მომხდარი აფეთქების მოდელირებისათვის სპეციალისტის დახმარებით დგინდება აფეთქების შედეგად წარმოშობილი კვლები; ღრმული (აფეთქების ცენტრი) და აფეთქების შედეგად გატყორცნილ ნამსხვრევებისა და სხვა ნივთიერებების კვალი, რომელთა საშუალებითაც დგინდება აფეთქების კერა თუ კი არ იქნება აფეთქების აშკარა კვალი.

აფეთქება შეიძლება მოხდეს სპეციალური ფეთქებადი ნივთიერებით, ტროტილით, ამონიტით, დინამიტით, გეკსოგენით და სხვა.

საგამოძიებო პრაქტიკაში არსებული ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომელშიც შედის ფეთქებადი ნივთიერება და დეტონატორი, არის ოთხნაირი: ასაფეთქებელი მექანიკური მოწყობილობა, ელექტრო, ქიმიური და საათის მოწყობილობა.

ზემოაღნიშნულის გამო, როგორც წესი, შემთხვევის ადგილზე იძებნება ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილები, კაპსულ-დეტონატორის, ელექტრო-დეტონატორის, ელექტრო-სადენის, საათის მოწყობილობის, ცეცხლგამტარი ზონარის ან ლენტის, ელექტრო ბატარეის, ქიმიური ჭურჭლის და სხვათა ნამსხვრევები და ნარჩენები. სპეციალისტების დახმარებით შემთხვევის ადგილიდან ამოიღება მონახვეტი რაც გამოსაკვლევად გადაეცემა ექსპერტებს მასში ასაფეთქებელი მოწყობილობის მაკრო და მიკრო ნაწილაკების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, ნიმუშები აფეთქებაზე (ქიმიური და პიროტექნიკური ექსპერტიზისათვის) აიღება აფეთქების ცენტრიდან და მის ახლოს ვერტიკალურად მდებარე კედლებიდან, ან ასაფეთქებელი მასალის ჭურჭლის ნამსხვრევებიდან თუ კი ასეთი არსებობს.

აფეთქებით ჩადენილ მკვლელობების საქმეებზე, დამახასიათებელია აფეთქების შედეგად ნივთიერ მტკიცებულებათა შორის მანძილზე გადასროლა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს.

ფეთქებადი ნივთიერების დადგენის შემდეგ, თუ კი ასაფეთქებელი ნივთიერება სტანდარტული იყო, მოწმდება ის ორგანიზაციები, რომლებსაც ჰქონდათ ფეთქებადი ნივთიერებები და ის პირები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ფეთქებადი ნივთიერების შენახვა, გადაზიდვასა და გამოყენებასთან. ამისათვის მნიშვნელობა აქვს ფეთქებადი ნივთიერების მარკირებულ სახვევების აღმოჩენას.

არასპეციალურ ფეთქებად ნივთიერების წყაროს დასადგენად მოწმდება ის ორგანიზაციები, სადაც შეიძლებოდა ბოროტმოქმედს ეშოვა ფეთქებადი ნივთიერების შემადგენელი ელემენტები. ეჭვმიტანილის ბინაზე ტარდება ჩხრეკა ფეთქებადი ნივთიერების დამზადების შედეგად დარჩენილ კვლების აღმოსაჩენად.

5. <u>მკვლელობა ელექტროდენით.</u> ელექტროდენის წყაროს, გვამის ადგილიდან ახლოს აღმოჩენის შემთხვევაში ყოველთვის მოწმდება ვერსია, ხომ არ არის იგი დაღუპული ელექტროდენის მოქმედებით. ელექტროდენით დაღუპვის შემთხვევაში გვაქვს ორი ნიშანი: ა. მაღალი ძაბვის დენის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი დამწვრობა, რაც გამოწვეული იყო ელექტროდენის მოქმედებით დიდ ფართობზე ან შედარებით დიდი დროის განმავლობაში. ბ.დენის მოქმედება პატარა ფართობზე მცირე დროის განმავლობაში.

ელექტროდენის მოქმედების ბუნებიდან გამომდინარე, ელექტროდენის მოქმედების შესავალი კვალის არსებობა თავისთავად მოწმობს მისი გამავალი კვალის აუცილებლობას. ელექტროდენის მოქმედების შედეგი ძირითადად დგინდება გვამის გულის კუნთის ჰისტოლოგიური გამოკვლევით, ვინაიდან თუ ელექტროდენის ძაბვა შედარებით მაღალი არაა, მაშინ შესაძლებელია არ იყოს დენის მოქმედების გარეგნული ნიშნები (მითუმეტეს, თუ ელექტრო.დენის მოქმედება შედარებით დიდ ფართობზე იყო).

6. <u>მკვლელობა ჩამოხრჩობით</u> მკვლელობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მდგომარეობს ადამიანის დახრჩობაში მისი ზედა სასუნთქი გზის ბაწრის მაგვარი საგნით გადაკეტვაში. ამ სახის მკვლელობისათვის დამახასიათებელია გვამის რაიმე მაღალ საგანზე ბაწრით ჩამოკიდება, როგორიცაა მაგალითად: ხის ტოტი, სახლის ძელი, კედელზე მიჭედებული ლურსმანი ანდა საწოლის თავიც კი. ნახევრად მწოლარე ჩამოხრჩობილი გვამების აბსოლუტური უმრავლესობა თვითმკვლელობებია, თუმცა გამორიცხული არაა მისი ინსცენირებაც. ჩამოხრჩობის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ყელზე არსებული სტრანგულაციური ხაზის მიმართულებას ჩამოკიდების ადგილთან და ოთახში სადაც გვამი აღმოჩნდა.

ჩამოხრჩობილი გვამის აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: ბაწრის მდებარეობა ყელზე და სტრანგულაციური ხაზის მიმართულება; კვანძების სახეობა; გვამზე არსებული დაზიანებები;

ტანისამოსის მდგომარეობა; ფეხსაცმლის და წინდების ძირისა და შიდა ზედაპირის მდგომარეობა მისი დაჭუჭყიანების გამოკვლევის თვალსაზრისით; ფრჩხილების შიგთავსი და ტანისამოსი (მიკრონაწილაკების შემოწმება), პირის ღრუ და უკანა ტანის მდგომარეობა.

განსაკუთრებული შესწავლის საგანია ბაწარი და საგანი, რაზედაც გვამი იყო ჩამოკიდებული. თუ გვამი ჩამოხსნილი იყო, საჭიროა გაირკვეს, შეეძლო თუ არა მას გაეძლო გვამის სიმძიმისათვის. სპეციალისტების მეშვეობით უნდა გაირკვეს: როგორია ბაწარზე ბოჭკოების მიმართულება და საკიდის ზედაპირის მდგომარეობა; ხომ არაა იგი მოხრჩობის შემდეგ გადაკიდებული; გვამის ჩამოკიდების ადგილზე არის თუ არა რაიმე საყრდენი, რაზედაც მოკლული უნდა შემდგარიყო თავის მარყუჟში გაყრის დროს.

ჩამოხრჩობილი გვამის აღმოჩენის შემთხვევაში გამომძიებელი აგებს და ამოწმებს ორ ვერსიას: მომხდარია მკვლელობა თუ თვითმკვლელობა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ უნდა გადაწყვიტოს გვამის სიკვდილის მიზეზი; მასზე არსებული დაზიანებები, სიკვდილის დადგომის მომენტი, გვამის მდებარეობის შეცვლის ფაქტი და სხვა.

აღნიშნულის გასარკვევად გამომძიებელი აღწერს სტრანგულაციური კვალის: მიმართულებას, სიფართეს, სიგრძეს, ფერს, ბაწრის ანაბეჭდს, გვამური ლაქების განაწილებას, ფერს და უნებლიე გამონაყოფის არსებობას.

როგორც წესი, გვამის ტანისამოსი ამოიღება მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზის ჩასატარებლად და შემდგომში ეჭვმიტანილი პირის დადგენასთან დაკავშირებით მის ტანისამოსზე შესადარებლად.

პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, რომ არ ატარებენ მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზას იმის გამო, რომ არა ყავთ ეჭვმიტანილი, რაც სწორი არაა.

7. <u>მკვლელობა მოწამვლით.</u> მოწამვლით ჩადენილ მკვლელობას ისე, როგორც სხვა მეთოდით მომხდარ მკვლელობების საქმეთა გამოძიებას ახასიათებს თავისებურება.

ადამიანის მოწამვლას შეიძლება ჰქონდეს უნებლიე ან განზრახვითი ხასიათი, ხოლო საწამლავთა რაოდენობა კი ძალზე ბევრია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ადგილზე არსებული წამლების, წამლების ბოთლების, მათი დასახელებისა და რაოდე-

ნობის ფიქსირებას. შემთხვევის ადგილიდან გარდა აღნიშნულისა ამოიღება ლაქები როგორც გვამიდან, მისი ტანისამოსიდან, ასევე მის ახლოს მდებარე საგნებიდანაც. ყურადღება ექცევა გვამის კანისა და ლორწოვანის დამწვრობას, ფიქსირდება აგრეთვე დამახასიათებელი სუნის არსებობა, გვამური ლაქების თავისებურება, ამოიღება გულნარევი მასა და სისხლი.

საწამლავების სიმრავლის გამო, გამომძიებელი ექსპერტის წინაშე სვამს საკითხს არა ზოგადად, თუ რომელი საწამლავითაა მომხდარი მოწამვლა, არამედ ჩამოთვლის სავარაუდო საწამლავებს. გარდა ოფიციალური მომწამვლელი ნივთიერებებისა არის ისეთი წამლები, რომელთა მოქმედების შედეგიც დამოკიდებულია მათი მიღების დღიურ ნორმაზე და პიროვნების წონაზე, მის ფიზიოლოგიაზე.

ასევე უნდა ავღნიშნოთ ცალკეული პირების ალერგიული დამოკიდებულება ზოგიერთი წამლის მიმართ, რასაც ზოგჯერ მომაკვდინებელი შედეგი მოსდევს.

მოწამვლით მომხდარ მკვლელობის საქმეზე უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებანი: რით იყო დაავადებული დაზარალებული, რა წამლებს ღებულობდა, რა დოზით და რა შუალედებით; ვარგისი იყო თუ არა წამალი, ვინ აძლევდა მას წამლებს; რით არის მოწამლული; როგორ ურთიერთობაში იყო ოჯახის წევრებთან; ვის შეეძლო მისი მოწამვლა, ვის ჰქონდა მისი ინტერესი; სწორი იყო თუ არა მკურნალობა და სხვა.

მოწამვლის საქმეთა გამოძიების დროს შეიძლება დაინიშნოს: სასამართლო-სამედიცინო, ფარმაკოლოგიური, ქიმიური, აქტივაციური და სხვა ექსპერტიზები.

ექსპერტიზისათვის მასალების მომზადებისათვის გამომძიებელს დახმარებას უწევს სპეციალისტი, რომელიც ადგენს თუ გამოსაკვლევად გვამის რა ნაწილი უნდა გადაეცეს ექსპერტს. ამ საკითხის გადაწყვეტა საჭიროა იმიტომ, რომ ადამიანის სხეულში საწამლავები სხვადასხვანაირად ნაწილდება, ზოგი ქრება, ზოგი გამოიყოფა დროთა განმავლობაში, ზოგიც ადამიანის სხეულის მხოლოდ განსაზღვრულ ადგილში რჩება და სხვა.

8. <u>მკვლელობა დაწვით.</u> ხანძრის დროს ნადგურდება კვლების უმეტესობა, მაგრამ არამთლიანად, თუ კი ადგილი არა აქვს ხანძრისაგან შენობის ან გვამის მთლიანად დაწვასა და განადგურებას.

ხანძრის შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღოს სახანძრო დარგის, გაზის, ელექტრო საქმის სპეციალისტებმა, რომლებიც გამომძიებელს ეხმარებიან ისეთი სპეციალური საკითხების დადგენა-გადაწყვეტაში, როგორიცაა: ხანძრის სავარაუდო კერა, მისი რაოდენობა, ადგილი და ხანძრის გაჩენის მოდელი. დათვალიერებით უნდა დადგინდეს რით იყო მიტანილი საწვავი, ყურადღება უნდა მიექცეს ხანძრისაგან დამწვარ პლასტმასის ჭურჭლის ნარჩენების არსებობას და საექსპერტიზო ნიმუშების სწორად აღებას.

მეხანძრეები, გარდა იმისა, რომ წყლით (უმეტეს შემთხვევაში) აქრობენ ხანძარს, ისინი უნებლიეთ ანადგურებენ კვლებს, წყლის ჭავლით გადააადგილებენ კიდეც ოთახში არსებულ ნივთებს, რაც ართულებს კვალის აღმოჩენასა და ფიქსაციას. მაღალი ტემპერატურის შედეგად გვამის დამწვრობისათვის დამახასიათებელია სისხლის გამოუდენლობა, თუ კი მიყენებული არ იყო ჭრილობა.

გვამის გამოკვლევის დროს საჭიროა აღებულ იქნას ნაცხი საშოდან და უკანა ტანიდან, მისი შემდგომი გამოკვლევისათვის, ხოლო ფრჩხილების შიგთავსი ამოიღება მასში არსებული მიკრონაწილაკების გამოსაკვლევად, ეჭვმიტანილთან მისი კონტაქტის დასადგენად. შიგთავსში, გარდა ქსოვილის ბოჭკოებისა და მიკრონაწილაკების აღმოჩენისა შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანის კანის უჯრედები ან თმა, რაზეც ტარდება ბიოლოგიური და ციტოლოგიური ექსპერტიზა და ვღებულობთ საჭირო ინფორმაციას.

დაწვით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მკვლელობის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. ხანძრის მიზეზი შეიძლება იყოს გასათბობი საშუალება, ელექტრო გასათბობი საშუალება, ელექტროაპარატურა, ელექტროგაყვანილობა, სიგარეტი და ასანთი, გაზი, აალებადი ნივთიერებები, ფეთქებადი ნივთიერებები, თვითჩახურება, მზის სხივი, ელექტრო მუხტი, ხახუნი, ნაპერწკალი და სხვა. ხანძრის აღნიშნული შესაძლო მიზეზები შეიძლება იყოს როგორც უნებლიე, ასევე განზრახვითი. ადამიანის დაწვის ყოველი მიზეზი დადგენილ უნდა იყოს გამოძიების პროცესში.

XXIX თავი

გაუპატიურების გამოძიების მეთოდიკა

§1. გაუპატიურების კრიმინალისტიკური დახასიათება

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის გაუპატიურება ერთ-ერთი მეტად საშიში ცინიკური სახის დანაშაულია, რომელიც მიმართულია ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერისაკენ მისი ნების საწინააღმდეგოდ ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. გაუპატიურების ცნება მოიცავს მხოლოდ ამ ნიშნებით ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. ამ დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ქალის პატივი და ღირსება, მისი სქესობრივი თავისუფლების ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხრივ გაუპატიურება შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირის აქტიური მოქმედებით და იგი გამოიხატება ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარებაში ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იგი ჩადენილი იქნა ბუნებრივი თუ გაუკუღმართებული ფორმით. სუბიექტი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი მამაკაცი.

სუბიექტური მხრივ გაუპატიურება შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

თუ გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას თან სდევდა დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება და ამით მას მიადგა სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება ან თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, მოძალადის ასეთი დანაშაულებრივი ქმედობა რეკომენდირებულია დაკვალიფიცირდეს საქართველოს რესპუბლიკის სსკ 117-ე მუხლის პირველი ან მეოთხე ნაწილით და მისი დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით საჭირო არარაა.

გაუპატიურების ან გაუპატიურების მცდელობის დროს მოძალადის მიერ დაზარალებულის წინააღმდეგობის გადასალახავად მიმართული მუქარის ქვეშ იგულისხმება ისეთი მოქმედება, როგორიცაა ცეცხლსასროლი ან

ცივი იარაღის ამოღება ან სხეულის დაზიანების მიზნით სხვა რაიმე საშიში საგნის მომარჯვება, ან ისეთი სიტყვიერი გამოთქმა, რომელსაც შეიძლება დაუყოვნებლივ მოჰყვეს დაზარალებულის ან მისი ახლობლის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება.

ქალის უმწეო მდგომარეობად მიჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა მამაკაცი სქესობრივ კავშირს ამყარებს ისეთ მდგომარეობაში მყოფ პირთან, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია გაიგოს მის მიმართ ჩადენილი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა და უნარი არა აქვს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გაუწიოს მას წინააღმდეგობა. ამასთან მოძალადემ იცის და შეგნებული აქვს, რომ იგი სქესობრივ კავშირს ამყარებს ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ ქალთან.

დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში ყოფნად ითვლება არა მარტო მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, არამედ მისი ისეთ ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში ყოფნაც, რომლის დროსაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას გაერკვეს მის ირგვლივ არსებულ გარემოებაში, მასთან სქესობრივი კავშირის დამჭერი პირის მოქმედების ხასიათსა და მნიშვნელობაში და ამიტომ უძლურია გაუწიოს მას წინააღმდეგობა.

მოცემული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია: გაუპატიურება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი აქვს ასეთივე დანაშაული; გაუპატიურება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ;არასრულწლოვანის გაუპატიურება; მცირეწლოვანის გაუპატიურება; განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი გაუპატიურება და გაუპატიურება, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი.

გამოძიების პროცესში საჭიროა გაირკვეს და დადგინდეს გაუპატიურება ხომ არ იყო ჩადენილი ზემოთჩამოთვლილ რომელიმე დამამძიმებელ გარემოებაში. ამასთან აუცილებელია სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული, როგორც დაზარალებულის, ისე მისი ჩამდენი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მათი ურთიერთდამოკიდებულება და ხასიათი სქესობრივ ურთიერთობამდე და მის შემდეგ, რა ხერხებითა და ფორმით ჩაიდინა პირმა დაზარალებულთან სქესობრივი ურთიერთობა, რაში გამოიხატა პირის ფიზიკური ძალადობა, მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება, ქალის სქესობრივ თავისუფლებაზე ხელყოფა და როგორია ამ

გარემოებათა შესახებ მოპოვებული პირველადი მონაცემების მიხედვით მისი კრიმინალისტიკური დახასიათება.

გამოძიების პროცესში ამ გარემოებათა სრული ყოველმხრივი გაშოკვლევა და მიღებული მონაცემების სწორი ანალიზი, საშუალებას იძლევა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მოძალადის პიროვნებაზე, დანაშაულის ჩადენის ხასიათზე, კერძოდ, გაუპატიურება ჩაიდინა ერთმა პირმა თუ პირთა ჯგუფმა. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო და გარემოება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გაუპატიურების ჩადენის ხერხს, რომელთაგან აღსანიშნავია: გაუპატიურება ჩადენილი ფიზიკური ან ფსიქიკური ძალის გამოყენებით, მივარდნილ ადგილებში ქალთან შეხვედრისას უეცარი აღგზნების გამო; დაზარალებულის უკაცრიელ ადგილზე მოტყუებით გაყვანით; დაზარალებულის ბინაში მოტყუებით შესვლით; ქალთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით მისი გაცნობისა და დაახლოების ყოველგვარი ცდის შემდეგ მოძალადის მიერ ამისათვის წინასწარ ხელსაყრელი გარემოების შექმნით; დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობამდე მიყვანით ან დაზარალებულის მიმართ სხვადასხვა სახის ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების გამოყენებით და სხვ., რომელთა ჩადენისათვის ზოგჯერ მოძალადე წინასწარ არჩევს ადგილს, დროს და ზემოქმედებისათვის საჭირო იარაღსა და საშუალებას. მაგალითად, უმწეო მდგომარეობაში ჩასაყენებლად ზოგჯერ მოძალადე იყენებს პირისათვის მაგარი ალკოჰოლური სასმელების ან ძილის ძლიერი საშუალებების მიღებით, მისთვის ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებით ან მასზე უხეში ფიზიკური ზემოქმედებით (თავის არეში ან მკერდში მუშტის ან სხვა რაიმე სახის მკვრივი საგნის დარტყმით) მისთვის გონების დაკარგვით და სხვ.

გაუპატიურების სუბიექტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ძირითადი თვისებების მიხედვით ერთიმეორისაგან განასხვავებენ შემდეგი სახის მოძალადეს: პირები, რომლებსაც სხვადასხვა სახით დარღვეული აქვთ ფსიქიკა, ან პირები, რომლებსაც გარკვეული პათოლოგიური მიდრეკილება აქვთ სქესობრივი ურთიერთობისაკენ და იდენენ გაუპატიურებას; პირები, რომლებსაც მოგვიანებით ასაკში უვითარდებათ გარკვეული ჭკუასუსტობა და მიდრეკილება არასრულწლოვან ან მცირეწლოვან პირებთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარებისაკენ და იდენენ მათ გაუპატიურებას; პირები,

რომლებსაც ფსიქიკის ან სქესობრივ სფეროში არა აქვთ რაიმე გადახრა, მაგრამ არიან ქრონიკული ალკოჰოლიკები ან სისტემატიურად იღებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს და აღგზნების პროცესში იდენენ გაუპატიურებას; პირები, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ გაუპატიურების ან ძალადობის გამოყენებით ჩადენილი სხვა სახის დანაშაულისათვის და თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით კვლავ ჩაიდინეს გაუპატიურება; არასრულწლოვანი პირები, რომლებიც ზოგჯერ ცალ-ცალკე იდენენ მცირეწლოვანთა გაუპატიურებას, უმეტესწილად კი თავიანთივე ნაცნობი არასრულწლოვანების ან სრულწლოვანების ჯგუფურ გაუპატიურებას.

გაუპატიურების მთლიანი მექანიზმის გათვალისწინებით, პირველადი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ აგრეთვე იმაზე, გაუპატიურება ჩადენილია დაზარალებულის ნაცნობისა თუ მისთვის უცნობი პირის მიერ. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ დაზარალებულს იცნობდეს მოძალადე და ჰქონდეს საკმაო მონაცემები მისი პიროვნების შესახებ, დაზარალებული კი მას საერთოდ არ იცნობდეს და პირიქით, ე.ი. დაზარალებულისა და მოძალადის ურთიერთ ნაცნობობის მიხედვითაც შეიძლება მოხდეს გაუპატიურების ჩამდენ პირთა დაყოფა.

განსახილველი დანაშაულის ასეთი კლასიფიკაცია, მართალია, პირობითია, მაგრამ მას კრიმინალისტიკური თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოძიების სწორად წარმართვისათვის.

გაუპატიურების კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მონაცემებს იმის შესახებ, თუ ძირითადად სად, როგორ და რა პირობებში ჩამოყალიბდა გაუპატიურების წინაპირობა ანუ დაზარალებულისა და მოძალადის ურთიერთობა.

როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, დაზარალებულისა და მოძალადის ურთიერთობა და, მაშასადამე, გაუპატიურების წინა პირობა, ემეტეს წილად, ყალიბდება სადღესასწაულო წვეულებებზე, საღამოებზე, ქორწილებსა და დაბადების დღეებზე, საცეკვაო მოედნებზე, დისკოტეკაზე, რესტორანში, მანქანაში, სამგზავრო ავტობუსებსა და მატარებელში მგზავრობისას, პლიაჟზე, სასეირნო პარკსა და სკვერებში, სკოლისა და საბავშვო ბაღის ეზოებში, კინო-თეატრებში და საზოგადოების შეკრების სხვა ადგილებში, სადაც ხდება მათი ურთიერთ შეხვედრა, გაცნობა, დაახლოება, შემდეგ გაცილება, გზიდან ძალით ან ნებით გადახვევა და შექმნილ ხელსაყრელ

პირობებში დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დაჭერა მის მიმართ ფიზიკური ძალის, მუქარის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მოძალადე წინასწარ ფარულად უთვალთვალებს თავის მსხვერპლს, შეუმჩნევლად მისდევს მას და ხელსაყრელ მომენტში, მოულოდნელად ესხმის თავს და ფიზიკური ძალის გამოყენებით მასთან ამყარებს სქესობრივ კავშირს.

მთელ რიგ შემთხვევებში, პირი მოქმედებს რა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად წინასწარ შემუშავებული მოდელით, გაუპატიურების შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, გარკვეული დროის განმავლობაში, არ უშვებს დაზარალებულს და ცდილობს რაც შეიძლება მეტი დრო გაიყვანოს, შემდეგ აიძულებს დაზარალებულს მისცეს მას წერილობითი ხელწერილი, თითქოს იგი ნებაყოფლობით გაჰყვა მას და მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერისას მის მიმართ არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და იგი მოხდა ნებაყოფლობით. ზოგჯერ ქმნიან ისეთ გარემოებასაც, თითქოს მოძალადემ იგი კი არ გააუპატიურა, არამედ მოიტაცა ცოლად შერთვის მიზნით, რომ ეს იცოდა დაზარალებულმა და მას სქესობრივი კავშირის დაჭერისას მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. თავიანთი ამ ვერსიის დასასაბუთებლად ისინი მიმართავენ ისეთ ხერხს, რომლის დროსაც დაზარალებულს იტაცებენ რა ძალით, მიჰყავთ იგი თავიანთი ნათესავის ან ახლო მეგობრის ბინაში, მოათავსებენ მას სადმე ისეთ ადგილზე, რომ მან ვერ შეძლოს იქიდან გაქცევა ან დახმარებისათვის ვინმეს მოხმობა, ან პირიქით, მის ირგვლივ ქმნიან ისეთ მოჩვენებით გარემოებას, თითქოს მას წინააღმდეგობის შემთხვევაში შეეძლო ბინაში მყოფი სხვა პირების მოხმობა, მისთვის მიშველება, თუკი იგი ამისათვის მათ მიმართავდა. ასეთ გარემოებაში ჩადენილი მისი გაუპატიურების შემდეგ, თითქოსდა მათ პატივსაცემად, მასპინძელი შლის მაგიდას, იწვევს მეზობლებსა და ახლობლებს, დაზარალებულიც ძალით მიჰყავთ მაგიდასთან და ასეთ საზეიმო ვითარებაში, სხვა სადღეგრძელოებთან ერთად მის სადღეგრძელოსაც სვავენ. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში კი, თავის მართლების მიზნით, ნათქვამის დასასაბუთებლად, მოწმედ ასახელებენ იმ ოჯახის წევრებსა და წვეულებაზე მყოფ პირებს.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს გაუპატიურების ჩადენის დაყოფას იმის მიხედვით, თუ მოძალადე როგორ

ურთიერთ დამოკიდებულებაში იყო დაზარალებულთან გაუპატიურების ჩადენამდე და მის შემდეგ, ადრე იცნობდნენ თუ არა ისინი ერთიმეორეს, ე.ი. გაუპატიურება ჩადენილი გარეშე უცხო პირის ან პირთა ჯგუფის მიერ და გაუპატიურება ჩადენილი დაზარალებულისათვის ცნობილი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ.

დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით ზოგჯერ მოძალადე იყენებს ისეთ ხერხებს, როგორიცაა გაუპატიურების დროს უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისათვის თვალებზე ზეწრის ან მისივე ტანსაცმლის გადაფარება, მისთვის თვალების ახვევა, ან თვითონ იკეთებს ნიღაბს, რათა ვერ შეძლოს დაზარალებულმა შემდეგში მისი ამოცნობა. ამასთან სპობს დაზარალებულის საცვალსა და გასისხლიანებულ ზეწარს, სისხლისა და სპერმის ლაქებს და სხვ. ამიტომ საჭიროა შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ლატენტური კვალის გამოსავლენად მიღებულ იქნეს სათანადო ზომები. მოიძებნოს და გამოვლინდეს მოძალადის მიერ შემთხვევის ადგილზე დატოვებული ნივთები, მის მიერ დატოვებული მატერიალური კვლები. კერძოდ, ხელის თითების უჩინარი კვალი, ფეხის კვალი, დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე დარჩენილი სპერმის კვალი, თმის ღერი, სიგარეტის ნამწვი და სრულყოფილად მოხდეს მათი ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევის ნიშნებზე მიმთითებელი საგნებისა და ობიექტების ზუსტი ფიქსაცია, მათი სრულყოფილი აღწერა და ასახული იქნეს გაუპატიურების პროცესში მათდაუნებურად წარმოქმნილი საგნებისა და ობიექტების უწესრიგო განლაგება და დამნაშავის დამახასიათებელ ნიშნებზე მიმთითებელი სხვა მთელი რიგი გარემოებები.

§2. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

გაუპატიურების ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, როგორც წესი, ხდება დაზარალებულის საჩივრით და შემდგომში ბრალდებულთან მისი შერიგებით საქმე არ შეიძლება შეწყდეს. ეს გარემოება უნდა განემარტოს დაზარალებულსა და მისი კანონიერი ინტერესების წარმომადგენელს, რადგან საქმე შეიძლება აღიძრას აგრეთვე დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენლის საჩივრითაც, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული არის არასრულწლოვანი ან ისეთი პირი, რომელსაც თავისი ფიზ-

იკური და ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია გამოვიდეს თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უშვებს ისეთ გამონაკლისსაც, რომლითაც პროკურორი უფლებამოსილია აღძრას საქმე დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის გარეშე იმ შემთხვევაში, როცა ამ დანაშაულს აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ან როცა დაზარალებულს არ შეუძლია დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები. ამასთან პროკურორის მიერ აღძრული საქმე არ შეიძლება შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო.

გაუპატიურების საქმეების ამ სპეციფიკურობიდან გამომდინარე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაუპატიურების შესახებ შემოტანილი განცხადების ან ცნობის დეტალურ შემოწმებას, რათა დადგინდეს მოცემულ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი და იგი შეიცავს თუ არა გაუპატიურების ნიშნებს. თუ შემოწმების შედეგად მიღებული მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ საჩივარში აღწერილ დანაშაულებრივ ქმედობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და იგი შეიცავს გაუპატიურების ან ასეთის მცდელობის შემადგენლობის ნიშნებს, მაშინ ამ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და მოხდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, გამოვლენილი იქნეს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამმართლებელი და მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას მარტოოდენ შემოსული საჩივრის საფუძველზე თვით მაშინაც კი, როცა მასში მითითებულია გაუპატიურების რომელიმე მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთ განცხადებებში მოტანილი ინფორმაცია, მთელ რიგ შემთხვევებში, არასწორია და არ შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს. საჩივარში მითითებული გარემოებების შემოწმების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სქესობრივი ურთიერთობით ხელყოფილი პირისა და მოძალადის (თუკი ამ ეტაპზე მისი ვინაობა ცნობილია) სამედიცინო შემოწმება, მათთვის დეტალური ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა

მომხდარი ფაქტისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მათი ტანსაცმლისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

§3. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა

მიღებული ინფორმაციის წინასწარი შემოწმების შედეგების საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიღებისთანავე გამომძიებელი დაუყოვნებლივ უნდა გაეცნოს საქმეში არსებულ მასალებს, წამოაყენოს საგამოძიებო ვერსიები, შეადგინოს გაშლილი საგამოძიებო გეგმა, განსაზღვროს გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრე და შეუდგეს წამოყენებული ვერსიების საფუძვლიან შემოწმებას.

როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, პირველადი მონაცემების საფუძველზე, გაუპატიურების ან ასეთის მცდელობის ფაქტებზე შეიძლება წამოყენებული იქნეს შემდეგი სახის ზოგადი საგამოძიებო ვერსიები:

1. ნამდვილად ჰქონდა ადგილი მოცემულ პირთან სქესობრივი კავშირის დაჭერას ფიზიკური ძალის ან მუქარის გამოყენებით;

2. ნამდვილად ჰქონდა ადგილი მოცემულ პირთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

3. მოძალადეს ნამდვილად უნდოდა მოცემულ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება, მაგრამ ვერ შეძლო თავისი დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე მიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

4. მოცემულ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა ძალადობით, მუქარით ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, არამედ ნებაყოფლობით და ადგილი აქვს გაუპატიურების ინსცენირებას;

5. გაუპატიურების შესახებ მიღებული ინფორმაცია არასწორია, რადგან მოცემულ პირთან სქესობრივ ურთიერთობას ან ასეთის მცდელობას საჩივარში მითითებული პირის მიერ საერთოდ ადგილი არ ჰქონია;

6. მოცემული პირის მიმართ ადგილი ჰქონდა არა გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, არამედ განზრახ სხეულის დაზიანების მიყენებას ან სხვა სახის დანაშაულის ჩადენას;

7. მოძალადეს ნამდვილად უნდოდა მოცემული პირის გაუპატიურება, მაგრამ ნებაყოფლობით აიღო ხელი თავისი დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე მიყვანაზე.

ამ ზოგადი ვერსიების გარდა საქმეზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს კერძო ვერსიები გაუპატიურების ან ასეთის მცდელობის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების, გაუპატიურების მაკვალიფიცირებელი გარემოებებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების ახსნის შესახებ. მაგალითად, ვერსია დანაშაულის სუბიექტის ახსნის შესახებ: ვის შეეძლო ჩაედინა გაუპატიურება, ვინ და რამდენი პირი მონაწილეობდა გაუპატიურებაში, დანაშაულში მხილებულ პირს ადრეც ხომ არ ჰქონდა ასეთივე დანაშაული ჩადენილი და სხვ. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და შემდეგ სრულყოფილად შემოწმებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიერ მოსალოდნელი ვერსიების წამოყენებაც მის მიერ დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის ან მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების ცდის უშედეგოდ დამთავრების ან თავისივე ინიციატივით მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე უარის თქმის შესახებ; რომ იგი დაზარალებულს არ იცნობდა; რომ გაუპატიურების დღეს იგი სხვაგან. იმყოფებოდა, მას საერთოდ არ შეხვედრია და მასთან სქესობრივი კავშირი არასოდეს არ ჰქონია; რომ მან ნებაყოფლობით ნამდვილად დაამყარა სქესობრივი კავშირი მოცემულ პირთან, მაგრამ არ იცოდა, თუ იგი უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა; რომ მას დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი არ შეეძლო დაემყარებინა თავისი იმპოტენტობის გამო და სხვ.

გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით წამოსაყენებელი ყველა შესაძლო ვერსიის გათვალისწინებით, მათი სწორი, ამომწურავი შემოწმების მიზნით საჭიროა მოხდეს დასადგენი გარემოებების წრის განსაზღვრა.

როგორც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული გამოძიებით დასადგენი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემული კატეგორიის საქმეებზე საჭიროა გამოკვლეული და დადგენილი იქნეს თუ სად, როდის, რა გარემოებაში და რა ფორმით მოხდა დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარება; რაში გამოიხატა მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება მუქარის სახით, ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა; ჰქონდა თუ არა ობიექტური შესაძლებლობა დაზარალებულს გაეწია ფიზიკური წინააღმდეგობა მოძალადისათვის და რაში გამოიხატა მისი ეს წინააღმდეგობა; დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყო თუ არა იგი სქესობრივად მომწიფებული; რა

ასაკში იმყოფებოდა იგი; ხომ არ იყო იგი მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი და ამის შესახებ იცოდა თუ არა მოძალადემ; დაზარალებული და მოძალადე ადრე იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს; სად, როდის, როგორ და რა პირობებში მოხდა მათი ურთიერთ გაცნობა; დანაშულში მხილებულ პირს ადრეც ხომ არ ჰქონდა დამყარებული სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან; როგორ აღმოჩნდა დაზარალებული და მოძალადე დანაშაულის ჩადენის ადგილზე; წინააღმდეგობის გაწევის დროს დაზარალებულმა ხომ არ მიაყენა მოძალადეს რაიმე სახის სხეულის დაზიანება და თუ მიაყენა რა სახისა და რა ხასიათის; გაუპატიურების ან ასეთის მცდელობის დროს დაზარალებულის წინააღმდეგობის დაძლევისას რა ხასიათის დაზიანებები მიაყენა მას მოძალადემ და მის სხეულზე აღინიშნება თუ არა დაზიანების ეს ნიშნები; ვინ და როგორ დაეხმარა მოძალადეს დაზარალებულის წინააღმდეგობის დაძლევაში; პირთა ჯგუფის მიერ დაზარალებულის გაუპატიურების შემთხვევაში, პირველად ვინ დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი და დანარჩენები როგორ ეხმარებოდნენ მას დაზარალებულის წინააღმდეგობის გადალახვაში; წინააღმდეგობისა და ურთიერთ შეჭიდების შედეგად დარჩა თუ არა რაიმე სახის კვალი დაზარალებულის ან მოძალადის ტანსაცმელზე და შეიძლება თუ არა ამ დაზიანებისა და კვალის აღმოჩენა მათი ტანსაცმლისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებით; იცოდა თუ არა მოძალადემ, რომ დაზარალებული იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში; როგორია დაზარალებულის მდგომარეობა მისი გაუპატიურების შემდეგ; ვის მოუყვა იგი პირველად მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ და სხვ. ამასთან საჭიროა აღმოიფხვრას საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა შორის არსებული წინააღმდეგობები.

მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე წამოყენებული ზემოთ განხილული საგამოძიებო ვერსიებისა და დასადგენი გარემოებების შემდგომი სწორი თანმიმდევრული გამოკვლევა-დადგენის მიზნით საჭიროა შედგეს გაშლილი საგამოძიებო გეგმა და მასში დასახულ იქნეს წამოყენებული ვერსიების შემოწმებისა და დასადგენი საკითხების გამოკვლევის მიზნით საჭირო საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მათი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებების გათვალისწინებით. 1

პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების თავისებურება დამოკიდებულია საქმეზე

შეკრებილ პირველად მონაცემებზე. მაგალითად, თუ დაზარალებულისათვის უცნობია მოძალადის პიროვნება, მაშინ გამოძიების ამ პირველდაწყებით ეტაპზე, მიზანშეწონილია გამოძიების გეგმაში გათვალისწინებული იქნეს ისეთი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება და სხვა პროცესუალური მოქმედებები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფს საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა მოპოვებას მძიმდარი დანაშაულებრივი ფაქტის ირგვლივ დაზარალებულისა და სხვა პირებისაგან მიღებული დეტალური ჩვენებების სახით. აგრეთვე მოქმედებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის დანაშაულის კვალის აღმოჩენა-გამოვლინებას, ამოღებასა და ფიქსაციას, გაუპატიურების ჩამდენი პირის ან პირთა ჯგუფის დადგენას, დაკავებას და მასში მონაწილე კონკრეტულ პირთა დადგენა-დაკავებას. გამოძიების შემდგომი ეტაპისათვის კი მიზანშეწონილია გამოძიების გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს საქმეზე მიღებული მტკიცებულებების შემოწმება-დაზუსტების და ამით ახალ მტკიცებულებათა მიღების გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა-დადგენის მიზნით ჩატარებული საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულისათვის ცნობილია მოძალადის ვინაობა, მაშინ გამოძიების პირველდაწყებით ეტაპზე საგამოძიებო გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეჭვმიტანილის დაკავებას, დანაშაულის კვალის აღმოჩენას, მის ამოღება-გამოკვლევასა და ფიქსაციას, გამოსაძიებელი შემთხვევის მთავარი ფაქტის დადგენას, დაზარალებულისა და ეჭვმიტანილის პიროვნებებისათვის დამახასიათებელი გარემოებების შესწავლა-გამოკვლევას, გაუპატიურების ჩადენის ხერხების, ფორმებისა და მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებების დადგენა-გამოკვლევას შესაბამისი თანმიმდევრობითა და ტაქტიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

§4. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები

გაუპატიურების საქმეების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველა შემთხვევაში, თვით მაშინაც

კი, როცა დაზარალებულისათვის უცნობია მასთან სქესობრივი ურთიერთობის დამჭერი პირის ან პირთა ჯგუფის ვინაობა, პირველდაწყებით გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებად გვევლინება დაზარალებულის დაკითხვა, შემთხვევის ადგილისა და მისი ტანსაცმლის დათვალიერება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა. აგრეთვე, ამ ფაქტის მომსწრე პირებისა და იმ პირთა დაკითხვა, რომლებმაც პირველად გაიგეს გამოსაძიებელი შემთხვევის შესახებ. იმავე დროს, თუ დაზარალებულისათვის ცნობილია მასთან ძალადობით, მუქარით ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამჭერი პირის ან პირთა ვინაობა, მაშინ ზემოაღნიშნულ გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს აგრეთვე მისი ან მათი დაკავება, დაკითხვა და სასამართლო-სამედიცინო შემოწმება. ხოლო თუ დაზარალებულისათვის უცნობია მისი გამაუპატიურებელი პირის ვინაობა, ზემოაღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად აუცილებელია გატარდეს სათანადო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მისი ან მასში მონაწილე სხვა პირთა ვინაობისა და ადგილსამყოფელის დასადგენად, მოხდეს მათი დაკავება, ჩხრეკა, სასამართლო-სამედიცინო შემოწმება, დაკითხვა, მათი ტანსაცმლის ამოღება, დათვალიერება და ეჭვმიტანილის ამოსაცნობად წარმოდგენა. შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების სახით კი შეიძლება ჩატარდეს დაზარალებულისა და ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაპირისპირება, მოწმისა და დაზარალებულის დაპირისპირება ან თვითონ მოწმეების ურთიერთდაპირისპირება მათ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად; ბრალდებულის დაკითხვა, სხვადასხვა სახის სასამართლო ექსპერტიზების დანიშვნა, დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებების ადგილზე შემოწმება, მოწმეთა მიერ ხილვადობის ან სმენადობის შესახებ მიცემული ჩვენებების შემოწმებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა მისაღებად, შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვა პროცესუალური მოქმედებები, რომელთა უზრუნველსაყოფად გამომძიებელი სათანადოდ უნდა მოემზადოს და შეადგინოს მათი ჩატარების სამუშაო გეგმა.

<u>დაზარალებულის დაკითხვა</u> ამ კატეგორიის საქმეებზე ერთ-ერთი რთული პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის ჩატარება გამომძიებლისაგან მოითხოვს სათანადო მომზადებას,

საქმეში არსებული მასალების საფუძვლიან გაცნობას, დაზარალებულის პიროვნების შესწავლას, დაკითხვის საგნის განსაზღვრას და მასში მონაწილეობის მისაღებად გარკვეულ პირთა (თუ არასრულწლოვანია ან თუ მას თავისი ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია თავისი ინტერესების დასაცავად მისცეს სწორი ჩვენება) შერჩევას. დაკითხვა უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ დაზარალებულს შეექმნას რწმენა, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება და მომხდარი ფაქტი არ იქნება გახმაურებული და, რომ მის სწორ, ობიექტურ ჩვენებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმის სრული, დროული გახსნა და დამნაშავის სამართლიანი დასჯა.

დაზარალებულის დაკითხვის დროს, მისგან ამომწურავი პასუხი უნდა იქნეს მიღებული არა მარტო მოძალადის მიერ მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერის მომენტისა და ამ პროცესისათვის დამახასიათებელ გარემოებებზე, არამედ იმაზეც, თუ მას რა გარემოებები უსწრებდა წინ, როგორ აღმოცენდა მათი ეს ურთიერთობა. სად, როდის და ვისი მეშვეობით გაიცნეს ერთმანეთი, რაში გამოიხატა მის მიერ მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება და მის საპასუხოდ რა სახის წინააღმდეგობა გაუწია და სხვ. ამასთან დასაკითხი პირისაგან საჭიროა ამომწურავი პასუხი იქნეს მიღებული ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ადრე იცნობდა თუ არა იგი მოძალადეს, ვინ არის იგი (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი), როგორ დამოკიდებულებაში იყო მასთან, სხვა დროსაც ხომ არ შეხვედრია იგი და არ უცდია მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერა; სად, როდის და რა გარემოებაში დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი; როგორ აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე დაზარალებული და მოძალადე; წინასწარ ხომ არ იყვნენ ისინი შეთანხმებულნი ურთიერთ შეხვედრაზე და ამ სქესობრივი ურთიერთობის შემდეგ ხვდებოდნენ თუ არა ისინი ერთიმეორეს; კონკრეტულად რაში გამოიხატა მოძალადის მიერ მის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიური ზემოქმედება; მას ამისათვის ხომ არ გამოუყენებია ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი ან ხომ არ უცდია მისი გამოყენება და არ მოუხდენია მისი დემონსტრაცია; შეძლო თუ არა მოძალადემ მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერა და რა სახითა და ფორმით; წინააღმდეგობის გაწევის დროს მოძალადის სხეულზე, ტანსაცმელზე ან შემთხვევის ადგილზე ხომ არ დარჩა ან ხომ არ შეიძლებოდა დარჩენილიყო მათი ურთიერთ შებრძოლებისა და ძალადობის გამოყენების კვალი; როგორ იქცეოდა მო-

ძალადე მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ და რას ეუბნებოდა მას; როგორ იყო ჩაცმული თვითონ და მისი მოძალადე გაუპატიურების დროს; მოძალადემ ერთხელ დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი თუ რამოდენიმეჯერ; ადრე ხომ არ ჰქონდა მას სქესობრივი ურთიერთობა სხვა პირთან; გაუპატიურების შემდეგ პირველად ვის მიმართა და გაუმხილა მან მომხდარი ფაქტის შესახებ; ვინ ნახა ისინი ერთად ყოფნის დროს გაუპატიურებამდე ან მის შემდეგ; სქესობრივი ურთიერთობის შედეგად ხომ არ მიიღო მან ჯანმრთელობის დაზიანება და ამის გამო ხომ არ მიუმართავს მას სამედიცინო დაწესებულებისათვის ან თავისი რომელიმე ნაცნობი მკურნალი ექიმისათვის და სხვა.

თუ დაზარალებულის განმარტებით, მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა მისთვის უცნობმა პირმა ან პირთა ჯგუფმა ან თუ მის გაუპატიურებაში სხვებმაც მიიღეს მონაწილეობა, უნდა გაირკვეს რომელმა მათგანმა იცხოვრა მასთან და სხვები რას აკეთებდნენ, ეხმარებოდნენ თუ არა ისინი მიძალადეს მისი წინააღმდეგობის დაძლევაში და კონკრეტულად ვინ რა მოქმედება შეასრულა, როგორი შეხედულებისა და ჩაცმულობის იყვნენ ისინი გარეგნულად, რა ეცვათ, ხომ არ დაამახსოვრდა მათი ან რომელიმე მათგანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხმა ან სხვა მისთვის დამახასიათებელი რაიმე ნიშანი და ამ ნიშნებით შეუძლია თუ არა მათი ამოცნობა; ხომ არ წაართვეს მათ მისი კუთვნილი რაიმე ნივთი, ან თვითონ მათ ხომ არ დარჩათ შემთხვევის ადგილზე თავიანთი კუთვნილი რაიმე საგანი; გაუპატიურების შემდეგ მოძალადემ შემთხვევის ადგილზე მიატოვა იგი, თუ დაზარალებულიც თან წაიყვანა, სად და რით წავიდნენ (ტრანსპორტის სახეობა, კუთვნილება) და სხვ.

განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო <u>არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მცირეწლოვანის დაკითხვის</u> დროს, რომელთა ჩატარება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონების მოთხოვნათა უმკაცრესი დაცვით. დასაკითხი პირისაგან სწორი ობიექტური ჩვენების მისაღებად საჭიროა ამ მოქმედების ჩამტარებელი პირის სათანადო მომზადება, საკითხების იმ წრის სწორი განსაზღვრა, რომელზეც მიღებული უნდა იქნეს ჩვენება დასაკითხი პირისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხების სწორ ფორმულირებასა და დაკითხვაში მონაწილე პირთა შერჩევას.

არასრულწლოვანის, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანის დაკითხვაში, მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ისეთმა პირმა, ვისაც შეუძლია გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მის ჩვენებაზე, რადგან გამორიცხული არაა ისეთი შემთხვევა, როცა მცირეწლოვანმა, თავისი ახლობელის, დედის ან სხვა პირთა შთაგონებით და რჩევა-დარიგებით, შურისძიების ან სხვა მოტივით განზრახ არასწორი ჩვენება მისცეს ამა თუ იმ პირის მიერ მისი გაუპატიურების ან ასეთის მცდელობის შესახებ.

გამოსაძიებელი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებათა გათვალისწინებით, გაუპატიურების ნიშნებზე მიმთითებელი საგნებისა და დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოძალადის ყოფნის დამადასტურებელი ხელის, ფეხის ან მის მიერ დატოვებული სხვა უჩინარი კვალისა და ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთების (დაზარალებულის დახეული ან გასისხლიანებული ქვედა საცვალი, სპერმისა და სისხლის ლაქების, მოძალადის ხელის იდაყვისა და მუხლის თავების მოცულობითი კვალის და სხვ.) აღმოჩენა-გამოვლინების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, თუკი იგი ადრე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული არ იყო.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში დეტალურად უნდა აღიწეროს შემთხვევის ადგილზე დარჩენილი საგნებისა და კვალის გამოვლინება-დამუშავებისა და მათი ფიქსაციის ხერხები და საშუალებები. ამასთან მოხდეს შემთხვევის ადგილის სქემებისა და გეგმების შედგენა, მისი ფოტოგადაღება სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით, რათა მასზე სრულყოფილად აღიბეჭდოს შემთხვევის ადგილის პირვანდელი სახე იქ არსებულ საგნებთან და გარემოებებთან ერთად.

თუ დაზარალებულმა დაკითხვის დროს კატეგორიულად მიუთითა ძალადობით, მუქარით ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მასთან სქესობრივი კავშირის დამჭერი პირის ან პირების ვინაობაზე, მაშინ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებასთან ერთად ან მის პარალელურად ან მისი ჩატარების შემდეგ, საჭიროა მოხდეს მისი დაძებნა და ამ მიზნით სამძებრო-ოპერატიულ ჯგუფს დაევალოს დაადგინოს გაუპატიურების ჩადენაში მხილებული პირისა და მასში მონაწილე პირების ადგილსამყოფელი, დააკავოს ისინი ეჭვმიტანილის სახით და წარმოადგინოს. ხოლო თუ დაზარალებული ვერ ასახელებს მასთან ზემოაღნიშნულ გარე-

მოებაში სქესობრივი კავშირის დამჭერი პირის ვინაობას, ან მასში მონაწილე პირების ვინაობას, რადგან მათ ადრე არ იცნობდა, ასეთ დროს საჭიროა, დაზარალებულისაგან მიღებული მონაცემების საფუძველზე, სამძებრო-ოპერატიულ ჯგუფს მიეცეს დავალება გაუპატიურების ჩადენაში ან მასში მონაწილე პირების ვინაობისა და მათი ადგილსამყოფელის დადგენის, დაძებნის, დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ. ამ მიზნით, მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროა შემუშავდეს მოძალადის ფოტოპორტრეტი და იგი გამოყენებული იქნეს ე.წ. "ცხელ კვალზე" მიდევნების დროს სამძებრო ძაღლთან ერთად კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში დაძებნისათვის შემუშავებული ისეთი იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გატარების დროს, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან ახლო ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სადგომების, ავტოფარეხების, სარდაფებისა და სხვა ისეთი ადგილების შემოწმება და გაჩხრეკა, სადაც შეიძლება, რომ დასაძებნი პირი დამალულიყო. ასევე მათი დაძებნა და შემოწმება შეიძლება მოხდეს გამოსაფხიზლებელ ადგილებში მყოფი პირებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში სხვა დანაშაულისათვის დაკავებულ პირთა შორის. აგრეთვე დაწესდეს ფარული თვალთვალი შემსყიდველ პუნქტებზე, ბაზრებსა და ქუჩებში და მოხდეს გაუპატიურების დროს დაზარალებულისათვის წართმეული ნივთების რეალიზაციის მაწარმოებელი ან მისი გამომყენებელი პირების დაკავება და შემოწმება.

თუ სავარაუდოა, რომ დაზარალებულის სხეულზე, მის ტანსაცმელზე ან მის თეთრეულზე შეიძლება აღმოჩნდეს ძალადობის ნიშნები, დაზიანებები ან მისი სასქესო ორგანოს ხვრელში, საშოში ან გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი ურთიერთობის დამყარებისას დაზარალებულის უკანა სწორ ნაწლავში აღმოჩენილი იქნება მასში ჩაქცეული თესლის ნაწილები, ან მოძალადის მიერ სქესობრივი ურთიერთობის დროს დაზარალებულის სასქესო ორგანოში შეტანილი თავისი ტანისამოსის მიკრონაწილაკები, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს დაზარალებულის შემოწმება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ან ექიმ-გინეკოლოგის მონაწილეობით და ამის შესახებ გამოტანილ იქნეს დადგენილება. შემოწმების დროს მის სხეულზე მიყენებულ დაზიანებებთან ერთად, შეიძლება აღმოჩენილ იქნეს აგრეთვე მოძალადის თმის ღერი, სისხლის წვეთები, ნერწყვი ან მისი ტანსაცმლის მიკროქსოვილები ან მიკრონაწილაკები, რაც ამოღებული და ფიქსირებული

უნდა იქნეს სათანადო წესების დაცვით და მომზადდეს ექსპერტიზის ჩასატარებლად. გარდა ამისა, იმის გამო, რომ შეიძლება მოძალადის სხეულზეც იქნეს აღმოჩენილი ანალოგიური მიკრონაწილაკები და მათი შებრძოლების ნიშნებზე მიმთითებელი ხელის ფრჩხილებით მიყენებულ ჭრილობებში და სხვა, მათი შემდგომი გამოკვლევის მიზნით დაზარალებულის ხელის ფრჩხილებიდანაც უნდა იქნეს აღებული თითის ფრჩხილებს შორის მოთავსებული ჭუჭყი ან ფრთხილად მოეკვეთოს მას ფრჩხილები და სათითაოდ, ცალ-ცალკე მთთავსდეს კოლბაში შესაბამისი წარწერებით.

დაზარალებულის შემოწმების ოქმში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაზარალებულის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები, მათი ბრძოლისა და სქესობრივ ურთიერთობაზე მიმთითებელი გარემოებები და კვალი. სასურველია მოხდეს აგრეთვე შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ბრძოლის ამ ნიშნების ფოტოგადაღება სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით.

გამოძიებით დასადგენი ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა დაზარალებულთან სქესობრივი ურთიერთობის ფაქტის დადგენა, მისი ხანდაზმულობა, საქალწულო აპკის ფორმა და მასში მომხდარი ცვლილებები (დარღვეულია თუ არა მისი მთლიანობა და როგორია მასში მომხდარი ცვლილებები), შეიძლებოდა თუ არა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება საქალწულო აპკის დარღვევის გარეშე, სხეულის რა ხასიათისა და ხარისხის დაზიანებები აქვს მიყენებული დაზარალებულს და როგორია მათი წარმოქმნის მექანიზმი, მასთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარებას ხომ არ მოჰყვა მისი ჯანმრთელობის რაიმე გართულება ან მძიმე შედეგი, ხომ არაა იგი დაავადებული ვენერიული ან სხვა რაიმე სქესობრივი ურთიერთობით გადამდები ავადმყოფობით და როგორია მისი ხანდაზმულობა, როგორია მისი სისხლის შემადგენლობა, ფეხმძიმობა და სხვ., რეკომენდირებულია დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

ეჭვმიტანილის დაკავებისა და წარმოდგენისთანავე მისი განიარაღებისა და დაზარალებულისათვის წართმეული მასთან არსებული ნივთების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით უნდა მოხდეს მისი პირადი ჩხრეკა. შემდეგ კი შემოწმება, რათა არ იქნეს დაკარგული და განადგურებული მის ტანსაცმელზე და სხეულზე დარჩენილი კვალი.

ეჭვმიტანილის შემოწმება, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს მის მიმართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას ან მოხდეს იგი უშუალოდ ამ უკანასკნელის წარმოების პროცესში. ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე არსებული კვალის ან სხეულზე მიყენებული დაზიანებების აღმოჩენის, ამოღებისა და ფიქსაციის სრულყოფილად წარმოებისათვის მასში მონაწილეობის მისაღებად სპეციალისტის სახით მოწვეული უნდა იქნეს ექიმი ან სასამართლო-სამედიცინო დარგის ექსპერტი.

ეჭვმიტანილის სხეულზე არსებული დაზიანებების წარმოქმნის მექანიზმის, მათი ხასიათისა და ხარისხის, მისი სქესობრივი უნარიანობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის (ხომ არაა იგი დაავადებული ვენერიული სენით ან სხვა ისეთი ავადმყოფობით, რომელიც შეიძლება პირს გადასდებოდა სქესობრივი ურთიერთობით და სხვ.) გამოსაკვლევად და დასადგენად საჭიროა დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირველადი საგამოძიებო მოქმედების სახით შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე ეჭვმიტანილის ბინისა და სამუშაო ოთახის ჩხრეკა. ამასთან საჭიროა ამოღებულ იქნეს მისი ის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და თეთრეული, რომელიც მას ეცვა შემთხვევის დღეს. რეკომენდირებულია ამოღებული იქნეს აგრეთვე მისი დღიურები, წერილები, ჩანაწერები, საქმეზე მნიშვნელობის მქონე ფოტოსურათები, კინოფირები, ვიდეოკასეტები და სხვ.

ერთ-ერთი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა აგრეთვე მოწმის დაკითხვა. გაუპატიურების საქმეებზე მოწმედ შეიძლება დაკითხული იქნეს ისეთი პირები, რომლებმაც შემთხვევით უშუალოდ ნახეს გაუპატიურების აქტი, ურთიერთ შებრძოლება, ან დაზარალებულის მიერ მოძალადისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ან გაუპატიურების შემდეგ ნახეს დაზარალებული და ეჭვმიტანილი სქესობრივი ურთიერთობის დამყარებამდე ან მის შემდეგ. აგრეთვე პირები, რომლებმაც დაზარალებულის ან მოძალადის მიერ გაიგეს ჩადენილი გამოსაძიებელი ფაქტის შესახებ, ან პირები, რომლებიც, მართალია, გაუპატიურების ფაქტს არ შესწრებიან, მაგრამ შეუძლიათ გარკვეული ჩვენება მისცენ დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის ურთიერთდამოკიდებულებაზე გაუპატიურებამდე და მის შემდეგ და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა შესახებ, რომელთა დაკითხვის დროს პასუხი უნდა იქნეს გაცემული ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: სად, როდის,

და რა გარემოებაში ნახეს მათ დაზარალებული და მოძალადე ან თვითეული მათგანი ცალ-ცალკე, რა იარაღი ან საგანი გამოიყენა მოძალადემ დაზარალებულის წინააღმდეგობის დასაძლევად, იცნობდნენ თუ არა ადრე ისინი ერთიმეორეს და როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში იყვნენ გამოსაძიებელი შემთხვევის ჩადენამდე და მის შემდეგ, როგორ ხასიათდებოდნენ თვითეული მათგანი ყოფაცხოვრებაში თავიანთი საქმიანობისა და წარსულის მიხედვით და სხვა.

ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ საჭიროა მოხდეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დეტალური დაკითხვა, რომლის დროსაც საჭიროა დასაკითხი პირისაგან მიღებული იქნეს სწორი ამომწურავი ჩვენება, არა მარტო მთავარი ფაქტის ირგვლივ, არამედ მის მიერ თავის მართლების მიზნით წამოყენებული ვერსიების ახსნის შესახებაც. არასრულწლოვანის გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით, საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან ერთად მისი დაკითხვით უნდა გაირკვეს და დადგინდეს, იცოდა თუ არა, რომ პირი, რომელთანაც ამყარებდა სქესობრივ კავშირს, იყო არასრულწლოვანი და თუ არ იცოდა, რით შეუძლია დაასაბუთოს იგი. ასევე, საჭიროა გაირკვეს, ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა იცოდა თუ არა, რომ იგი სქესობრივ კავშირს ამყარებდა პირთან, რომელიც უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ შეეძლო გარკვეულიყო მის მიმართ ჩადენილი ქმედობის ხასიათში. ამ საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ დადგინდება, რომ პირმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ იგი სქესობრივ კავშირს ამყარებდა უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთან, მაშინ მისი ბრალის საკითხი გამოირიცხება.

წინასწარი გამოძიების პროცესში სრულყოფილად და ამომწურავად უნდა იქნეს შემოწმებული ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ წამოყენებული ყველა ვერსია, მოხდეს მათი ყოველმხრივი გამოკვლევა და კრიტიკული შეფასება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე.

საქმის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევის, მასზე მიღებული მტკიცებების შემოწმებისა და ახალი მტკიცებულებების მიღების მიზნით, გამოძიების პროცესში რეკომენდირებულია შემდგომ საგამოძიებო მოქმედებების სახით ჩატარდეს ისეთი მოქმედებები, როგორიცაა დაზარალებულისათვის ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოსაცნობად წარდგენა, მათთან

მისი დაპირისპირება, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენების ადგილზე შემოწმება, ხილვადობის ან სმენადობის შესაძლებლობის დასადგენად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით სხვადასხვა სახის სასამართლო ექსპერტიზის (კრიმინალისტიკური, ბიოლოგიური, ქიმიური და სხვ.) დანიშვნა, ბრალდებულისა და დაზარალებულის პიროვნების შემოწმების მიზნით ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა.

გაუპატიურების საქმეების გამოძიების დროს, საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა საკითხებისა და გარემოებების დადგენასთან ერთად, გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს ამ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევას, მათ აღმოფხვრას და მიღებული იქნეს სათანადო ზომები დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის.

XXX თავი

"შრომის უსაფრთხოების წესების დანაშულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა

§1. შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის არსი და კრიმინალისტიკური დახასიათება

თანამედროვე ტექნიკური რევოლუციის პირობებში მექანიზმების, დანადგარების, ინსტრუმენტების, დაზგების, აგრეგატების ავტომატიზაციას, ფამოთვლითი მანქანების გამოყენებას და კიბერნეტიკული მეთოდების დანერგვას მრეწველობაში ექცევა გარკვეული ყურადღება. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ საკმაოდ არის შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირების მიერ ან მუშა-მოსამსახურეთა დაუდევრობის გამო ადგილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის ფაქტებს, რასაც მოყვება ტრამვატიზმი, სხეულის დაზიანება, შრომის უნარის დაკარგვა, სიკვდილი, დანადგარებისა და მექანიზმების დაზიანება.

ყოველივე აღნიშნული ხდება იმ დროს, როდესაც შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს სხვადასხვა (უამრავი) ორგანოები და თანამდებობის პირები, კერძოდ: შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელები, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, საგანგებოდ შექმნილი თანამდებობის პირები (შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების დარგით მომუშავე ინჟინრები), შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები, საამქროების უფროსები, პროფესიულ კავშირებში არსებული სამსახურები, სახელმწიფო სანიტარული ინსპექციები, სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობისა და სახელმწიფო ელექტრო ზედამხედველობის ორგანოები, წარმოების ხელმძღვანების ბრძანებით დანიშნული პირები.

შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე უკონტროლობამ და ამ წესების დარღვევამ შეიძლება შექმნას ისეთი პირობები, რასაც შეიძლება მოჰყვეს ტრამვატიზმი და უბედური შემთხვევა, სიკვდილი. ასეთი შედეგების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის. კერძოდ, სს კოდე-

ქსის 146-ე მუხლი უსაფრთხოების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევისათვის თანამდებობის პირის მიერ, თუ ეს დარღვევა საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე, ფულად ჯარიმას ან თანამდებობიდან დათხოვნას. უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული, თუ აღნიშნულ ქმედებას მოჰყვა მუშა-მოსამსახურის სხეულის დაზიანება, ხოლო თუ დადგა სიკვდილი, კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთ წლამდე.

აღნიშნული ნორმა არის ზოგადი და იგი თანაბრად ეხება ყველა დარგში მომუშავე თანამდებობის პირს. გარდა ამისა სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნორმებსაც, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევისათვის (მუხლი 244-ე); სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის (მუხლი 245-ე); სახანძრო დაცვის წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის (მუხლი 246-ე); აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის (მუხლი 247-ე); ფეთქებად ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის, გადაზიდვის წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის (მუხლი 248-ე).

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტს, როგორც წესი, წარმოადგენს თანამდებობის პირი, მაგრამ ასეთი ხასიათის ქმედება შეიძლება ჩაიდინოს სხვა პირმაც, მაგალითად, მუშა-მოსამსახურემ, რომელიც შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევით საფრთხეს უქმნის სხვა პირებს ან რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი (ტრამვატიზმი, სხეულის დაზიანება, სიკვდილი).პრაქტიკაში გვხვდება შრომის უსაფრთხოების წესების დანაშულებრივი დარღვევა როგორც პირის მოქმედებით, ისე უმოქმედობით. თანამდებობის პირის მოქმედებით ჩადენილი აღნიშნული დანაშაული გამოიხატება იმაში, რომ შესაბამისი თანამდებობის პირი: 1)ავალებს მუშა-მოსამსახურეს გარკვეული სამუშაოს შესრულებას, რომელსაც არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, არ გაუვლია ატესტაცია საშიში სამუშაოების შესასრულებლად ან არა აქვს მიღებული შესაბამისი ინსტრუქტაჟი. 2)მისცემს განკარგულებას მუშა-მოსამსახურეს, რათა მან აწარმოოს ისეთი სახის

სამუშაოები, რაც ეწინააღმდეგება შრომის უსაფრთხოების წესებს, პირდაპირ არის აკრძალული შესაბამისი დებულებით, ინსტრუქციით ან ბრძანებით. 3)ავალებს მუშა-მოსამსახურეს სამუშაოები აწარმოოს გაუმართავ დაზგებზე, დანადგარებზე, აგრეგატებზე, გამოიყენოს მუშაობის პროცესში ისეთი ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და მავნე ნივთიერებანი, რომელთა გამოყენება დაუშვებელია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. 4)ავალებს მუშა-მოსამსახურეს საშიში სამუშაოს შესრულებას, როდესაც არ არის სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ა.შ.

თანამდებობის პირის უმოქმედობით აღნიშნული დანაშაულის ჩადენა გამოიხატება იმაში, რომ შესაბამისი თანამდებობის პირი: 1)არ აწარმოებს მავნე და ჯანმრთელობისათვის საშიშ სამუშაოებზე გამოსაყენებელ მუშა-მოსამსახურეთა ატესტაციას ან არ ახდენს ხელახალ ატესტაციას, როდესაც იცვლება შრომის პირობები, არ ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს. 2)საერთოდ არ ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას (ორგანიზაციულს, ტექნიკურს, სანიტარულს) შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე. 3)არ ახდენს დაზგების, დანადგარების, ხელსაწყოების პროფილაქტიკური ხასიათის დათვალიერებას ან მათ დროულ შეკეთებას.

თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხს აგებენ აღნიშნული დანაშაულისათვის შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება ისეთი თანამდებობის პირები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე მეთვალყურეობა და კონტროლი. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებლები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის ორგანიზაციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის უსაფრთხოების წესების დაშანაულებრივი დარღვევა ატარებს მრავალფეროვან ხასიათს და გამოიხატება სხვადასხვა სახით შესაძლებელია ტიპიური კრიმინალისტიკური სიტუაციების დადგენა და მათი ზოგადი კრიმინალისტიკური დახასიათება, რომელთა შესაბამისადაც წარმოებს ამ დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის განსაზღვრა.

დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით კრიმინალისტიკური დახასიათება გულისხმობს იმას, თუ რა კონკრეტულ სიტუაციაში იყო ჩადენილი შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევა.

პრაქტიკის განზოგადოების საფუძველზე კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მიღებულია შემდეგი ტიპიური სიტუაციები.

დანადგარზე, დაზგაზე, ხელსაწყოზე, აგრეგატზე სამუშაოდ უშვებენ იმ პირს, რომელსაც არა აქვს სათანადო განათლება, კვალიფიკაცია და სპეციალური მომზადება. აღნიშნული კრიმინალისტიკური სიტუაცია გამოიხატება იმაში, რომ მუშა-მოსამსახურე საერთოდ არ გადის არავითარ მომზადებას ან გადის მომზადებას, მაგრამ არასათანადოდ, უხარისხოდ და შემცირებულ ვადებში; მუშა-მოსამსახურეებს არ უტარდებათ სათანადო ინსტრუქტაჟი და ატესტაცია უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე ან უტარდებათ ფორმალურად და ზედაპირულად; მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ არავითარი პრაქტიკული გამოცდილება და კვალიფიკაცია დანადგარებზე, დაზგებზე, აგრეგატზე და ხელსაწყოებზე მუშაობისა; ერთ დარგში, ერთ დაზგაზე მომუშავე სპეციალისტებს ავალებენ იმუშაოს სხვა სახის დანადგარებზე, დაზგებზე; მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ მიღებული დაშვება მოცემულ დანადგარზე სამუშაოდ; დარღვეულია ხელახალი ატესტაციის გავლის ვადები ან საერთოდ არ ხდება ხელახალი ატესტაცია (არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ინსტრუქტაჟის ჩატარება და ატესტაციის გავლა ფორმდება ყალბად).

მუშა-მოსამსახურეებისათვის კანონსაწინააღმდეგო მითითებების მიცემა. შესაბამისი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან დაიცვან შრომის უსაფრთხოების ყველა სახის წესები, რომელიც დადგენილია მთავრობის დადგენილებით, რესპუბლიკური პროფესიული კავშირების გადაწყვეტილებებით, შესაბამისი დებულებებით, ინსტრუქციებით და წარმოების ხელმძღვანელის ბრძანებებით. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსი (მუხლი 142-ე) ავალდებულებს საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას და შესაბამის თანამდებობის პირებს მტკიცედ და განუხრელად დაიცვან დადგენილი შრომის უსაფრთხოების წესები, ტექნიკური, სანიტარული და ორგანიზაციული ხასიათის ნორმები.

მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ დადგენილი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის იგნორირებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ავალებენ მუშა-მოსამსახურეებს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც მათ ეკრძალებათ დადგენილი წესის მიხედვით; რაც საშიშია პიროვნების

ჯანმრთელობისათვის და საფრთხეს უქმნის იქ მყოფ სხვა პირებს; ავალებენ საამუშაოს შესრულებას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სპეციალური ტანსაცმლის მიცემის გარეშე ან გაუმართავ დანადგარებზე, დაზგებზე, აგრეგატებზე.

უხარისხო დანადგარებზე, აგრეგატებზე სამუშაოს შესრულების დავალება. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნის უზრუნველყოფა ეკისრებათ წარმოების, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას (შრომის კანონთა კოდექსის 139-ე, 141-ე მუხლები), პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც მუშა-მოსამსახურეებს ავალებენ გაუმართავ დაზგა-დანადგარებზე მუშაობას; კონსტრუქციულად შეცვლილ და გადაკეთებულ დაზგა-დანადგარებზე სამუშაოს შესრულებას; დანადგარის, დაზგის, აგრეგატის მუშაობის რეჟიმის შეცვლის პირობებში სამუშაოს შესრულებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს მავნე შედეგი; დაზგა-დანადგარებზე სამუშაოს შესრულებას, როდესაც იცვლება სათბობ-საწვავი პროდუქტები ან გამოსაყენებელი ნედლეული.

ყოველ ასეთ შემთხვევას შეუძლია გამოიწვიოს ტრამვატიზმი, სხეულის დაზიანება და მუშა-მოსამსახურის სიკვდილიც კი.

მუშა-მოსამსახურეთა შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობა. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან დაიცვან და შეასრულონ დადგენილი შრომის უსაფრთხოების წესები, გამოიყენონ მათთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. საგამოძიებო პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ კრიმინალისტიკურ სიტუაციას, როდესაც მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ადგილი აქვს თვით ამ პირების ან სხვა მუშებისა და მოსამსახურეების ტრამვატიზმს, სხეულის დაზიანებას ან სიკვდილს. ასეთი მოქმედებებისათვის, როგორც წესი, გამოიყენება ადმინისტრაციული ხასიათის ზომები, მოყენებული ზიანის ანაზღაურება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი.

შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია. შრომის ორგანიზაციის წესების დარღვევამ შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს მუშა-მოსამსახურეთა სხეულის დაზიანება, უბედური შემთხვევა და სიკვდილი. საგამოძიებო პრაქტიკა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრ შემთხვევაში

არადამაკმაყოფილებლად არის გადაწყვეტილი საკითხი შრომის ორგანიზაციის შესახებ: დაზგები, აგრეგატები და დანადგარები ისეა განლაგებული, რომ საფრთხეს უქმნის არა მარტო უშუალოდ მომუშავე პირს, არამედ იქ მყოფ სხვა პირებსაც; არ არის სათანადო განათება; დაზგებსა და დანადგარებს არა აქვთ უსაფრთხოების დაცვის საშუალებები ან არასწორად არის განსაზღვრული სამუშაო უბანი; მუშა-მოსამსახურეებს არ მიეცემათ სპეციალური ტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები. შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია გამოიხატება აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არასათანადო ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც დაზგები და დანადგარები მოთავსებულია საამქროებში, სადაც არის სივიწროვე, ჭუჭყი და მტვერი; არ ხდება საამქროების განიავება, არ არის ან არ მუშაობს საამქროს გასანიავებელი ხელსაწყოები; მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც ასრულებენ ჭუჭყიან ან მავნე სამუშაოებს არ ეძლევათ საპონი, გამაუვნებელი საშუალებები, არ არის შხაფი; მუშა-მოსამსახურეები არ არიან უზრუნველყოფილი რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტებით და არ ხდება დროულად მათი სამედიცინო შემოწმება.

<u>არასათანადო კონტროლი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე.</u> შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე კონტროლის განხორციელება ევალება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას და კერძოდ, იმ თანამდებობის პირებს, რომელთაც ბრძანებით აკისრიათ ასეთი ვალდებულება ან იგი გამომდინარეობს მთავრობის დადგენილებიდან, პროფესიული კავშირების გადაწყვეტილებიდან. პრაქტიკა მიწმობს, რომ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც კონტროლი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე ან საერთოდ არ ხორციელდება, ან იგი ატარებს ეპიზოდურ და ზედაპირულ ხასიათს, რის გამოც დგება არასასურველი და მძიმე შედეგი.

. არასათანადო კონტროლი გამოიხატება <u>ტექნიკური</u> საკითხების იგნორირებაში (დაზგა-დანადგარების, აგრეგატების არასათანადო ექსპლოატაცია, შეუკეთებელ დაზგა-დანადგარებზე მუშაობა და ა.შ.). <u>ორგანიზაციული</u> საკითხების მოუგვარებლობა გამოიხატება: დაზგა-დანადგარების არასათანადო განლაგება-განათებაში, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდ დაშ-

ვება, როდესაც მათ არა აქვთ სათანადო მომზადება, არ ჩაუტარდათ ინ-სტრუქტაჟი, ატესტაცია და ა.შ.

<u>სანიტარულ-ჰიგიენურ</u> საკითხებზე კონტროლის განხორციელება მდგომარეობს ისეთი საკითხების მოუგვარებლობაში, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე (მაღალი და დაბალი ტემპერატურა, მტვერი და ჭუჭყი, მავნე სამუშაოები და ა.შ.).

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის ზემოთ მოყვანილი კრიმინალისტიკური დახასიათების ცოდნა საშუალებას იძლევა ორგანიზებულად და მიზანსწრაფულად ჩატარდეს ამ დანაშაულთა სწრაფი გახსნა და დადგინდეს ის მიზეზები, რამაც გამოიწვია უარყოფითი შედეგის დადგომა. შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის მიზეზები პირობითად იყოფა სამ სახედ ტექნიკური, ორგანიზაციული და სანიტარულ-ჰიგიენური. კონკრეტულ შემთხვევაში უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ერთ-ერთ რომელიმე სახის მიზეზმა ტექნიკურმა. ორგანიზაციულმა ან სანიტარულ-ჰიგიენურმა, რამოდენიმე მათგანმა ან ყველამ ერთად.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანი დანაშაულია, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე ტარდება მხოლოდ წინასწარი გამოძიება (და არა მოკვლევა) და მას აწარმოებს პროკურატურის ორგანოები.

წინასწარი გამოძიების პროცესში უნდა დადგინდეს შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის დრო, ადგილი, ხერხი, მოტივი; კონკრეტული პირის ბრალეულობა; გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე; დამდგარი ზიანი, მისი ხასიათი და ოდენობა; მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო ან განაპირობა მოცემული დანაშაულის ჩადენა. ყველა შემთხვევაში უნდა გაირკვეს დანაშაულის ჩადენის მექანიზმი და კონკრეტული მიზეზი; შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი; რა კონკრეტული შედეგი დადგა დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრამვატიზმი, უბედური შემთხვევა, შრომის უნარის დაკარგვა, სხეულის დაზიანება, სიკვდილი, დაზგისა და დანადგარების დაზიანება); რა კონკრეტული ხასიათის შრომის უსაფრთხოების წესები იყო დარღვეული და როგორაა დაყენებული საკითხი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე

მოცემულ ორგანიზაციაში და დაწესებულებაში; ვის ევალება ამ წესების დაცვის ორგანიზაცია და კონტროლი და რაში გამოიხატა კონკრეტული ხასიათის დარღვევა; რომელ კონკრეტულ პირს ეკისრება პასუხისმგებლობა (ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი) შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის და მავნე შედეგების დადგომისათვის.

გამომძიებელი ყველა შემთხვევაში ვალდებულია მიიღოს ზომები იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რამაც ხელი შეუწყო ან განაპირობა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა (წარდგინებით შევიდეს შესაბამის ორგანოებში).

§2. შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეებზე ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეთა სწრაფი გახსნა და გამოძიების მიზანსწრაფული ჩატარება მჭიდრო კავშირშია ამ კატეგორიის საქმეებზე საგამოძიებო ვერსიების სწორ აგებასა და საგამოძიებო გეგმის შედგენასთან.

ვერსიები და გეგმა დგება გამოძიების დასაწყისში იმ პირველადი მასალის საფუძველზე, რომელიც მოიპოვება გამომძიებლის განკარგულებაში გამოძიების დასაწყის საფეხურზე. ამიტომ თავიდანვე შესაძლებელია არ იყოს აგებული ყველა შესაძლო ვერსია და გამოძიების გეგმაში გათვალისწინებული ყველა საკითხი, მაგრამ შემდგომში, გამოძიების პროცესში, ხდება ახალი ან უფრო კონკრეტული ვერსიების აგება და საგამოძიებო გეგმის დაკონკრეტება.

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ პირველადი მასალები პროკურატურის ორგანოებში შეიძლება შევიდეს: წარმოებადაწესებულების ხელმძღვანელისაგან; იმ პირისაგან, ვისაც ევალება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე კონტროლი და ამ საკითხის ორგანიზაცია; შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორისაგან; სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის, სახელმწიფო ელექტრო ზედამხედველობის ორგანოებიდან; საავადმყოფოდან; შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ან პირველადი მასალები შეიძლება მოპოვებულ იყოს უშუალოდ პროკურატურის ორგანოების მიერ საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმების პროცესში. პირველადი მასალები შეიძლება შევიდეს პროკურატურაში აგრეთვე უშუ-

ალოდ დაზარალებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის განცხადებით მიმართვის შედეგად.

ამ პირველადი მასალების სისრულეზე და მასში მოყვანილ კონკრეტულ ფაქტებზეა დამოკიდებული საგამოძიებო ვერსიებისა და საგამოძიებო გეგმის შედგენის სისრულე და კონკრეტულობა. პირველად მასალებში მოყვანილი ფაქტები და გარემოებანი მოითხოვს შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს და შემოწმებას ათი დღის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ამ მასალების შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვის საფუძველზე, თანამდებობის პირის, დაზარალებულის და მნახველებისაგან ახსნა-განმარტების მიღებით და შემთხვევის ადგილის გულდასმით დათვალიერებისა და შესწავლის საფუძველზე.

პირველ რიგში უნდა აიგოს ვერსიები სუბიექტის მიმართ, ე.ი. იმ პირთა შესახებ, რომელთა მოქმედებით ან უმოქმედობის გამო მოხდა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა: წარმოების ხელმძღვანელი, პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორი, შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორი, თუ თვით დაზარალებული.

უნდა აიგოს ვერსია იმის თაობაზე, რომ პირი, რომლის მოქმედებით ან უმოქმედობით მოხდა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა მოქმედებდა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თავიდანვე ისეთი ვერსიების აგებას, რომელიც მიუთითებს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის კონკრეტულ მიზეზს, აგრეთვე მიზეზობრივ კავშირს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის.

თუ გამოძიების დასაწყისში შეუძლებელია აიგოს კონკრეტული ვერსია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის თაობაზე, მაშინ აიგება ზოგადი ვერსია იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა: ტექნიკურმა, ორგანიზაციულმა თუ სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევამ. შემდგომ კი გამოძიების პროცესში, უკვე აიგება და შემოწმდება კონკრეტული ვერსია იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა, მაგალითად, ორგანიზაციული წესების დარღვევა (დაზგებისა და დანადგარების არასათანადო განლაგება საამქროში, სამუშაო ადგილის არასათანადო განათება, იმ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე დაშვება, რომელთაც არა აქვთ სათანადო მომზადება, არ გაიარეს ინსტრუქტაჟი და ა.შ.).

ყველა შემთხვევაში უნდა აიგოს და შემოწმდეს ვერსია მიზეზობრივი კავშირის შესახებ, ე.ი. შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა თუ არა გარკვეული მავნე შედეგის დადგომა (სხეულის დაზიანება, უბედური შემთხვევა, ტრამვატიზმი, სიკვდილი და ა.შ.). მაგალითად: შესაძლებელია წარმოებაში არ იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური წესები, მაგრამ მავნე შედეგი დადგეს არა ამ მიზეზით, არამედ თვათ მუშა-მოსამსახურის უყურადღებობით ან იმის გამო, რომ მისი რეაქცია იყო დაქვეითებული ალკოჰოლური სასმელების მიღების გამო.

გამოძიების პროცესში უნდა აიგოს და შემოწმდეს ვერსია იმის შესახებ, თუ რა კონკრეტულმა მიზეზებმა და პირობებმა შეუწყო ხელი ან განაპირობა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა და მავნე შედეგის დადგომა.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეებზე ვერსიების აგების გარდა უნდა შედგეს საგამოძიებო გეგმა, რომლის სისრულე და სიზუსტე დამოკიდებულია მიღებული ინფორმაციის დროზე და პირველადი მასალების სისრულეზე. თუ შემთხვევის მომენტიდან გამოძიების დაწყებამდე გავიდა დიდი დრო (თვე და მეტი) ასეთ შემთხვევაში აგებულ ვერსიების შემოწმების მიზნით იგეგმება ისეთი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიური პროცესის, სანიტარულ-ჰიგიენური და ორგანიზაციული საკითხების შესწავლასთან და იმ პირთა დაკითხვა, რომლებსაც ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა და კონტროლი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე. იმ შემთხვევაში, თუ შემთხვევის შესახებ სწრაფად ეცნობა პროკურატურის ორგანოებს თავდაპირველად იგეგმება ისეთი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება კვალთა აღმოჩენისა და დამაგრების მიზნით; დაზარალებულის სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა ან სიკვდილის მიზეზის დადგენა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების გზით; საჭირო დოკუმენტების დათვალიერება და ამოღება და ა.შ.

თუ პროკურატურის ორგანოებში შესული პირველადი მასალები ატარებს ზოგად ხასიათს და არ შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს, ასეთ შემთხვევაში თავდაპირველად იგეგმება ისეთი საგამოძიებო მოქმედებანი, რაც შუქს ფენს შემთხვევის ფაქტიურ გარემოებას (დაზარალებულის

დაკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ა.შ.). საქმის აღძვრამდე იგეგმება ახსნა-განმარტების მიღება იმ პირებისაგან, ვინც პირველადი მასალა გადაუგზავნა პროკურატურის ორგანოს (წარმოების ხელმძღვანელი, პროფკავშირების ტექნიკური ინსპექტორი, შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორი, დაზარალებული და ა.შ.).

აგებული ვერსიების შემოწმების მიზნით და საქმის ფაქტიურ გაგებათა გასარკვევად საგამოძიებო გეგმაში უნდა აისახოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დრო; დასაკითხი პირების დრო და ადგილი; იმ პირთა წრე, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს საქმის გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში (სპეციალისტი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები). მიმალულ პირთა დასაკავებლად და მოწმეთა დასადგენად იგეგმება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელება. იგეგმება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული დოკუმენტების დათვალიერებისა და ამოღების საკითხი. თუ გამოძიების პარალელურად წარმოებს უწყებრივი შემოწმება შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის მიზეზების დადგენის მიზნით, უნდა დაიგეგმოს გამომძიებლის ურთიერთკავშირის ფორმები უწყებრივ შემოწმების ჩამტარებელ პირებთან. გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს და დაგეგმოს იმ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საკითხი, რომელიც საჭირო იქნება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს (ფოტოაპარატი, კინოაპარატი, ვიდეოაპარატი, მოსაძებნი ხელსაწყოები, კვალთა აღმოჩენისა და დამაგრების საშუალებები და ა.შ.). გამოძიების გეგმაში ასახვა უნდა ჰპოვოს აგრეთვე იმ კონკრეტული ხასიათის პროფილაქტიკურმა ზომებმა, რომელიც უნდა გაატაროს გამომძიებელმა მოცემული სახის დანაშაულის შემდგომში თავიდან აცილებისა და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით.

გამოძიების პროცესში საგამოძიებო გეგმა შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს იმ ფაქტიურ გარემოებათა შასაბამისად, რაც დადგინდება ვერსიების შემოწმების საფუძველზე.

§3. შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეებზე პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება და მათი ჩატარების თანმიმდევრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის პირველადი მასალები მიიღო პროკურატურის გამომძიებელმა, როდის მიიღო ისინი და და რა სისრულით არის მათში ასახული დანაშაულის შემთხვევა.

კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში პირველადი მასალების მიღების ოთხი ძირითადი შესაძლებლობა არსებობს: 1) როდესაც დანაშაულის შემთხვევის შესახებ პირველადი მასალები შედის პროკურატურის ორგანოებში უშუალოდ დაზარალებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავების მიერ (განცხადება, საჩივარი); 2) როდესაც დანაშაულის შესახებ პროკურატურის ორგანოებს ეცნობება ადმინისტრაციის, ტექნიკური ინსპექტორის, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორის, საავადმყოფოს მიერ (ცნობა დანაშაულის ჩადენის შესახებ); 3) როდესაც დანაშაულის შემთხვევის შესახებ პროკურატურის ორგანოებს ეცნობება მას შემდეგ, როცა უკვე ჩატარდა უწყებრივი გამოკვლევა (უწყებრივი გამოკვლევის აქტი); 4) როდესაც შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის ფაქტს დაადგენს უშუალოდ პროკურატურა საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმების დროს (საპროკურორო შემოწმების აქტი).

იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი მასალები მიღებულია დანაშაულებრივი შემთხვევის მოხდენის შემდეგ ოპერატიულად და სწრაფად და ეს მასალები შედარებით სრულად ასახავენ დანაშაულის შემთხვევას პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებად უნდა ჩატარდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოღება, შემოწმება, მნახველთა დაკითხვა, დოკუმენტების დათვალიერება და ამოღება, ჩხრეკა. თუ პირველადი მასალები უწყებრივი შემოწმების შემდეგ მიღებულ იქნა პროკურატურის ორგანოებში დანაშაულის შემთხვევიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ (20-30 დღე და მეტი), ასეთ შემთხვევაში უკვე აზრი არა აქვს პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების სახით ჩატარდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რადგან იგი უკვე

სახეშეცვლილია. ამ დროს სწრაფად და ოპერატიულად უნდა მოხდეს შესაბამისი თანამდებობის პირებიდან ახსნა-განმარტების მიღება. კერძოდ, იმ პირებისაგან, ვისაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა და კონტროლი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე, გამოთხოვილ და ამოღებულ უნდა იქნას საჭირო დოკუმენტები. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ კი ჩატარდება ბრალდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა დაკითხვები, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

თუ პროკურატურის ორგანოებში შემოსული პირველადი მასალები არ შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს დანაშაულის შემთხვევის შესახებ და ატარებს ზოგად ხასიათს, ასეთ შემთხვევაში პირველდაწყებით მოქმედებას განეკუთვნება ახსნა-განმარტების მიღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ხოლო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ კი დაკითხვები, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება განეკუთვნება პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების გაჭიანურებას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ იქ არსებული კვალი, აგრეგატები, დანადგარები, მათი ნაწილები შეიძლება სახეშეცვლილი აღმოჩნდეს, განადგურდეს, გადაკეთდეს როგორც შემთხვევით, ისე განზრახ, საქმის შედეგებით დაინტერესებული პირების მიერ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარება მოითხოვს გარკვეულ მომზადებას. გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები (დამსწრეები, სპეციალისტი მედიკოსი, სპეციალისტი-ინჟინერი, სპეციალისტი-შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის დარგში, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები). უნდა მოამზადოს ტექნიკური საშუალებები (კვალთა აღმოჩენისა და დამაგრების მიზნით, შემთხვევის ადგილის ფიქსაციისათვის — ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურა, გასანათი ხელსაწყოები და ა.შ.).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად უნდა იყოს აღმოჩენილი და ფიქსირებული ყველა ის კვალი, რომელიც დაკავშირებული აშრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან, დაზგა-დანადგარების დაზიანებასთან. ჭეშმარიტების დადგენის მიზნით უნდა იყოს აღმოჩენილი, დამა-

გრებული და ამოღებული შემთხვევის ადგილზე არსებული ფეხის კვალი, თითის ანაბეჭდები, სისხლის ლაქები, ტანისამოსის, ფეხსაცმლების ნარჩენები, აფეთქებისა და ხანძრის კვალი. კვალთა აღმოჩენისა და ფიქსაციის მიზნით მეტად სასურველია მოწვეულ იყოს სპეციალისტი-კრიმინალისტი.

დაზგა-დანადგარების და აგრეგატების დათვალიერების შედეგად ყურადღება უნდა მიექცეს მათ გამართულობის შესწავლას, დაზიანებისა და დეფექტების კვალის არსებობას, ცალკეულ ნაწილების ინსტრუმენტებისა და კვანძების მდგომარეობას, დაზგა-დანადგარებიდან მოწყვეტილ-მოგლეჯილ ნაწილების ფიქსაციას. ასევე უნდა იყოს დათვალიერებული და შესწავლილი სიგნალიზაციის მდგომარეობა, განათების პირობები, დაზგა-დანადგარების განლაგების პირობები. ამ საკითხების შესწავლა-გარკვევისათვის მიზანშეწონილია მოწვეულ იყოს სპეციალისტის როლში ინჟინერ-მექანიკოსი და სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების წესების დარგში.

თუ შემთხვევის ადგილზე არის გვამი, ხდება მისი დათვალიერება ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში დაწვრილებით უნდა აღინიშნოს და აღიწეროს გვამზე არსებული დაზიანების ყველა კვალი, მისი ინდივიდუალური ნიშნები, ტანისამოსის, ფეხსაცმელების მდგომარეობა და ა.შ.

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის საქმეებზე, როგორც წესი, შემთხვევის ადგილზე უნდა შედგეს სქემა და გეგმა, ფიქსირებულ უნდა იყოს შემთხვევის ადგილის ვითარება ფოტო ან კინოფირზე. სასურველია გამოყენებულ იყოს ვიდეოგადაღება. ყველა საგანი, რომელზეც არის დარჩენილი დანაშაულის კვალი, ამოღებულ უნდა იყოს და დაერთოს საქმეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება.

პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას მიეკუთვნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა შემთხვევის ადგილზე არსებული გვამის სიკვდილის მიზეზის დასადგენად, ხოლო დაზარალებულის მიმართ — სხეულის დაზიანების სიმძიმისა და ხარისხის განსაზღვრის მიზნით.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე პირველდაწყებით და გადაუდებელ მოქმედებას მიეკუთვნება აგრეთვე ცოცხალ პირთა შემოწმება, მის ტანსაცმელზე ან სხეულზე დანაშაულის ნიშნებისა და სხეულის დაზიანების დადგენის მიზნით. იშვიათ შემთხვევებში

აღნიშნულ კატეგორიის საქმეებზე შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე ჩხრეკა და ამოღება იმ საგნებისა და დოკუმენტების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით, რომლებიც გადამალულ იყო ეჭვმიტანილის მიერ. დოკუმენტების დათვალიერებასა და მათ სწრაფ ამოღებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც შრომის უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტები ნადგურდება, მათში შეაქვთ ცვლილებები, ფორმდება ახალი საბუთები მუშა-მოსამსახურეთა ატესტაციის, სტაჟირების და ინსტრუქტაჟის გავლა-ჩატარების თაობაზე.

აღნიშნულის გამო ოპერატიულად უნდა იქნას დათვალიერებული და ამოღებული ისეთი საბუთები, როგორიცაა: დაზგა-დანადგარების პასპორტები და მათი მუშაობის რეჟიმის ინსტრუქციები; წარმოების ხელმძღვანელის ბრძანებები, რომელიც ავალებს გარკვეულ პირს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, ორგანიზაციასა და კონტროლს; შესაბამისი დებულებები და ინსტრუქციები, რომლებშიც ფიქსირებულია აგრეგატების, დაზგა-დანადგარების კონსტრუქცია და მათი მოპყრობის წესები; ცნობები მუშა-მოსამსახურეთა სპეციალობისა და განათლების შესახებ; მათ მიერ ატესტაციის გავლის შესახებ; მათთვის შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარების თაობაზე; მუშა-მოსამსახურეებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სპეციალური ტანსაცმლის მიღების შესახებ; განრიგი აგრეგატების, დაზგა-დანადგარების პროფილაქტიკური დათვალიერებისა და მათი შეკეთების თაობაზე; ცნობები მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო შემოწმების გავლის შესახებ; სააღრიცხვო ჟურნალი მოცემულ წარმოებაში ტრამვატიზმის შესახებ; უბედური შემთხვევის აქტი და ამ საკითხზე ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა; შემთხვევის ადგილის გეგმა და სქემა; უწყებრივი შემოწმების კომისიის დასკვნა; ცნობა იმ ნედლეულთა სახისა და ხარისხის შესახებ, რომლებიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული წარმოების პროცესში.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშულებრივ დარღვევათა საქმეებზე პირველდაწყებით და გადაუდებელ მოქმედებას მიეკუთვნება აგრეთვე შემთხვევის მნახველთა პირებისაგან დაწვრილებითი ახსნა-განმარტების მიღება ან მათი დაკითხვა, თუ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია. მნახველთა დაკითხვის შედეგად უნდა იყოს მიღებული სრული ინფორმაცია შემთხვევის შესახებ: როდის, სად, რა ვითარებაში მოხდა შემთხვევა და რაში

გამოიხატება იგი; როგორ მოქმედებდა შემთხვევის დროს მუშა-მოსამსახურე, რამ შეუწყო ხელი ან გამოიწვია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა; რა სამუშაოს ეწეოდნენ მნახველები შემთხვევის დროს, რა მანძილიდან იხილეს შემთხვევა, როგორ ურთიერთკავშირში არიან მნახველები დაზარალებულის მიმართ (სამსახურებრივი, ნათესაური, მეგობრული, მტრული); ხომ არ შეცვლილა შემთხვევის ადგილი მის დათვალიერებამდე და თუ შეიცვალა, რაში გამოიხატა იგი.

იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის საქმეებზე პროკურატურის ორგანოებში პირველადი მასალის სახით შედის უშუალოდ დაზარალებულის (მისი კანონიერი წარმომადგენლის, ნათესავის) განცხადება, პირველდაწყებით და გადაუდებელ მოქმედებათა სახით უნდა ჩატარდეს განმცხადებელი პირისაგან ახსნა-განმარტების მიღება. თუ დაზარალებულმა შემთხვევის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება მისგან ახსნა-განმარტების მიღებისათვის საჭიროა მკურნალი ექიმისაგან თანხმობის მიღება.

ყველა შემთხვევაში იკითხება თუ ახსნა-განმარტების მიღება ხდება დაზარალებულისაგან, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს შემთხვევასთან ყველა დაკავშირებული გარემოება, კერძოდ: გააჩნდა თუ არა დაზარალებულს სათანადო მომზადება და კვალიფიკაცია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად; მიიღო თუ არა მან ინსტრუქტაჟი და გაიარა თუ არა ატესტაცია გარკვეულ დაზგა-დანადგარებზე მუშაობის თაობაზე; რა სამუშაოს ასრულებდა იგი და რა სახის ნედლეულს იყენებდა; როგორი იყო დაზგა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა და გააჩნდა თუ არა დაზარალებულს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სპეციალური ტანსაცმელი; დაცულ იყო თუ არა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და მუშაობდა თუ არა გამაფრთხილებელ-სასიგნალიზაციო სისტემა; უშუალოდ დაზარალებულს ხომ არ დაურღვევია შრომის უსაფრთხოების წესები და რაში გამოიხატა დარღვევა; რა იყო დაზარალებულის აზრით უბედური მემთხვევის მიზეზი; რა კონკრეტული შედეგი დადგა შემთხვევის შედეგად.

სხვა სახის პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას და მათი ჩატარების თანმიმდევრობას უკვე განსაზღვრავს გამომძიებელი საქმის კონკრეტული ვითარებისაგან გამომდინარე.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის დროს პირველდაწყებითი და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა სწრაფი ჩატარება საშუალებას იძლევა სრულყოფილად და ყოველმხრივად დავადგინოთ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, დროულად ამოვიღოთ ნივთიერმტკიცებულებები და დოკუმენტები.

§4.შრომის უსაფრთხოების წესების დანაშულებრივი დარღვევის საქმეებზე შემდგომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თავისებურება

პირველადი მასალების შემოწმებისა და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შედეგად მოპოვებული მასალები და მტკიცებულებანი გულდასმით უნდა იყოს გაანალიზებული, შემოწმებული და შეფასებული, რათა განისაზღვროს მათი მტკიცებულებითი ძალა და მნიშვნელობა. მტკიცებულებათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე ზუსტდება საგამოძიებო გეგმა და ადრე აგებული ვერსიები, განისაზღვრება ახალი საგამოძიებო მოქმედებანი, რომელიც უნდა ჩატარდეს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, გამოძიების ყოველმხრივი, სრულყოფილი ჩატარებისათვის.

მოპოვებულ მტკიცებულებათა საკმარისობის შემთხვევაში გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რის შემდეგ უნდა დაიკითხოს პირი ბრალდებულის სახით და შემდგომ ჩატარდეს სხვა საგამოძიებო მოქმედებანი.

<u>ბრალდებულის დაკითხვა.</u> ბრალდებულის სახით, როგორც წესი, იკითხება ის თანამდებობის პირი, ვისაც ეკისრებოდა შრომის უსაფრთხოების წესების ორგანიზაცია, დაცვა და კონტროლი. ბრალდებულის დაკითხვის შედეგად უნდა გაირკვეს შემდეგი ძირითადი საკითხები: რომელი კონკრეტული ინსტრუქციის, დებულების ან წარმოების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ბრალდებულს ეკისრებოდა შრომის უსაფრთხოების წესების ორგანიზაცია, დაცვა და კონტროლი; როგორია ბრალდებულის კვალიფიკაცია, მუშაობის სტაჟი და მომზადება შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხში; რაში გამოიხატა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია მუშა-მოსამსახურის სხეულის დაზ-

იანება, უბედური შემთხვევა ან სიკვდილი; არის თუ არა მიზეზობრივ კავშირში ბრალდებულის მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა და უკონტროლობა დამდგარ შედეგთან; რა კონკრეტულ ზომებს იღებდა ბრალდებული შრომის უსაფრთხოების წესის დაცვის მიზნით, დაზგადანადგარების დროული შეკეთებისათვის და პროფილაქტიკური ხასიათის სამუშაოების ჩატარებისათვის; მიეცა თა არა მუშა-მოსამსახურეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სპეციალური ტანსაცმელი, როდესაც ეს აუცილებელი იყო; ჰქონდა თა არა ადრე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევას ადგილი და რაში გამოიხატა იგი; ბრალდებულს მიუძღოდა თუ არა ბრალი ადრე დაშვებულ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაში; ბრალდებულის ქმედებით თუ უმოქმედობით იყო გამოწვეული მავნე შედეგის დადგენა; მოქმედებდა ბრალდებული განზრახ თუ გაუფრთხილებლობით.

შედარებით ადვილია ბრალდებულის დაკითხვა, როდესაც იგი იძლევა გულწრფელ და სწორ ჩვენებას. ასეთი ჩვენების მიღების დროს ჩვენების სისრულისათვის და ყოველმხრიობისათვის საკმარისია გამომძიებელმა ბრალდებულს დაუსვას საკონტროლო, დამატებითი, დამაზუსტებელი, მოსაგონებელი კითხვები.

თუ ბრალდებული, გამომძიებლის აზრით, იძლევა ცრუ ჩვენებას, მას უნდა განემარტოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მნიშვნელობა, მის მიმართ გამოყენებულ იყოს დარწმუნების მეთოდი და დადებითი ემოციების წახალისება. გარდა აღნიშნულისა, სწორი ჩვენების მოღების მიზნით ბრალდებულს შეიძლება წარედგინოს ისეთი ხასიათის მტკიცებულებები, რომელიც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში. ტაქტიკური თვალსაზრისით დასაშვებია ერთი რომელიმე მტკიცებულების წარდგენა, მტკიცებულებათა წარდგენა გარკვეული თანმიმდევრობით (მათი მტკიცებულებათა სიძლიერის მიხედვით) ან ყველა მტკიცებულებათა ერთად წარდგენა, რომლებიც ბრალდებულს ამხელენ დანაშაულის ჩადენაში. დასაშვებია აგრეთვე ნივთიერმტკიცებულებათა ილუსტრაცია, გადაღებული კინო და ვიდეოფირების დემონსტრაცია.

საჭიროების შემთხვევაში საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით გამომძიებელი ატარებს სხვა საგამოძიებო მოქმედებებს, კერძოდ: მოწმეთა

დაკითხვას, დაპირისპირებას, საგამოძიებო ექსპერიმენტს, ამოცნობას, ექსპერტიზის დანიშვნას, დამატებითი დოკუმენტების ამოღებას და სხვ.

<u>მოწმეთა დაკითხვა.</u> ეს საგამოძიებო მოქმედება მოითხოვს გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებას. მოწმის დაკითხვამდე გამომძიებელი გულდასმით უნდა გაეცნოს საქმის ყველა მასალას: დებულებებს, ინსტრუქციებს, წარმოების ხელმძღვანელის ბრძანებებს; განსაზღვროს ის კითხვები, რაც უნდა მიეცეს კონკრეტულ მოწმეს და შეკითხვების მიცემის თანმიმდევრობა. თუ საქმეზე უნდა დაიკითხოს რამოდენიმე მოწმე, უნდა დადგინდეს მათი დაკითხვის თანმიმდევრობა, დაკითხვის ადგილი და დრო. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იყოს სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის დარგში.

მოწმეთა სახით, როგორც წესი, იკითხება მნახველები, საამქროს, ბრიგადის, უბნის უფროსები, შრომის უსაფრთხოების დარგში მომუშავე ინჟინერი, საზოგადოებრივი ინსპექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დაზარალებულის ახლო ნათესავები.

მოწმეთა დაკითხვის დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს, რომ ბრალდებული და მოწმეები არიან, როგორც წესი, ერთი წარმოებადაწესებულების თანამშრომლები, ერთი საამქროსა და კოლექტივის წევრები და მათზე შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინონ წარმოების ხელმძღვანებმა და იმ პირებმა, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე. ასეთივე გავლენის მოხდენას ადგილი აქვს აგრეთვე დაზარალებულის მიმართაც.

ის საკითხები, რომლებიც უნდა გაირკვეს მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვის შედეგად, განხილულ იყო ზემოთ (მნახველთა დაკითხვა, დაზარალებულთა დაკითხვა). თუ მოწმე, დაზარალებული იძლევიან ცრუ ჩვენებას, მათ მიმართ გამოიყენება ისეთივე ტაქტიკური ხერხები, როგორც ბრალდებულის მიმართ იმ განსხვავებით, რომ ამ პირებისათვის ჩვენების მიცემა არის ვალდებულება და განზრახ ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე და დაზარალებული მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის საქმეებზე ტარდება <u>დაპირისპირება</u> იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე დაკითხულ ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებს შორის არის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა. დაპირისპირება წარმოადგენს ისეთ საგამოძიებო მოქმედე-

ბას, რომელსაც შეუძლია ჭეშმარიტების დადგენისათვის მეტად საჭირო და სასურველი ფაქტიურ გარემოებათა გარკვევა.

საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ კატეგორიის საქმეებზე ტარდება საგამოძიებო ექსპერიმენტი. ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა გაირკვესა და დადგინდეს საკითხი შესაძლებელი იყო თუ არა შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევათა საქმეებზე კონკრეტულ პირობებში გარკვეულ მოქმედებათა შესრულება (საწარმოო ოპერაციები, სასიგნალო სისტემაზე რეაგირება, მათი შემჩნევა და სხვ.). იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება დაზიანებულ აგრეგატებზე, დაზგა-დანადგარებზე, გათვალისწინებულ უნდა იყოს ის გარემოება, რომ კანონის ძალით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება დასაშვებია, როდესაც იგი საშიში არ არის ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის ჯანმრთელობისათვის.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშულებრივ დარღვევის საქმეებზე, ზოგჯერ ტარდება ამოცნობა. ეს საგამოძიებო მოქმედება ტარდება იმისათვის, რომ ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულის მიერ ამოცნობილ იქნას ადრე ნახული პირი, დაზგა-დანადგარი, მათი დაზიანებული ნაწილები, ინსტრუმენტები, საწარმოო ნედლეული, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ა.შ.

ექსპერტიზის დანიშვნა. შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეებზე ხშირად ინიშნება ისეთი სახის ექსპერტიზები, როგორიცაა სასამართლო-სამედიცინო, სამედიცინო-შრომითი, დოკუმენტების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, ხელნაწერთა გამოკვლევის ექსპერტიზა, ტექნიკური ექსპერტიზა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება იმ მიზნით, რომ დადგენილ იყოს დაზარალებულის სხეულის დაზიანების სიმძიმე და ხარისხი, სიკვდილის მიზეზი და მისი დადგომის დრო, მუშა-მოსამსახურის (დაზარალებულის) ფიზიკური მდგომარეობა; ხომ არ ჰქონდა მას მიღებული ნარკოტიკული ნივთიერება ან ალკოჰოლი.

სამედიცინო-შრომითი ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დადგინდეს შრომისუნარიანობის დაკარგვის ფაქტი, მისი მიზეზი და ხანგრძლივობა, საერთო და პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხანგრძლივობა.

შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივ დარღვევის საქმეებზე არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც დოკუმენტების გაყალბებას აქვს ადგილი, კერძოდ: ადმინისტრაციის ბრძანებების გაცემა წინა რიცხვით, თარიღების გადასწორება, ინსტრუქტაჟის ჩატარების, ატესტაციის გატარების, ატესტაციის ხელახალი გავლის დოკუმენტების ყალბი შედგენა, მათში თარიღების გადასწორება, მათი ქიმიური წესით ამოშლა და ამოფხეკა; მუშამოსამსახურეებზე ინდივიდუალური დაცვითი საშუალებებისა და სპეციალური ტანსაცმლის გაცემის ჟურნალში ხელმოწერების გაყალბება, დაზგა-დანადგარების, აგრეგატების პროფილაქტიკური დათვალიერების, მათი შეკეთების დოკუმენტების გაყალბება და ა.შ. ამ საკითხების გადაწყვეტის მიზნით ინიშნება დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა და ხელნაწერების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა.

ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა დადგინდეს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის და მავნე შედეგის დადგომის მიზეზი, ტექნიკური ხასიათის მიზეზობრივი კავშირი შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის; რა კონკრეტული სახის შრომის უსაფრთხოების წესები იყო დარღვეული და რაში გამოიხატა დარღვევა; შემთხვევის მექანიზმი; ვის ეკისრებოდა შრომის უსაფრთხოების წესების ორგანიზაცია და კონტროლი; გამართული იყო თუ არა დაზგა-დანადგარები და აგრეგატები; შეიძლებოდა თუ არა მათი სამუშაოდ გამოყენება; რა კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა აფეთქება, ჩამონგრევა, ხანძარი ან დაზგა-დანადგარებისა და აგრეგატების დაზიანება და ა.შ. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საკითხებზე ინიშნება სანიტარულ-ტექნიკური ექსპერტიზა.

აღნიშნული ექსპერტიზები, როგორც წესი, ტარდება სპეციალიზებულ საექსპერტო დაწესებულებებში ან ამ მიზნით მოიწვევიან სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში ან ირიცხებიან პროფესიული კავშირების სისტემაში და გააჩნიათ სპეციალური ცოდნა იმ კონკრეტულ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვასთან.

დოკუმენტების დათვალიერება და ამოღება. ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოების წესების

დარღვევასთან და მავნე შედეგის დადგომასთან დათვალიერებულ და ამოღებულ უნდა იყოს გამოძიების დასაწყისშივე. ამ მხრივ დოკუმენტების დათვალიერება და ამოღება წარმოადგენს პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას.

გამოძიების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, დათვალიერებულ და ამოღებულ უნდა იყოს ისეთი ხასიათის დამატებითი ტექნიკური, ორგანიზაციული, სანიტარულ-ჰიგიენური დოკუმენტები, რომლებიც თავის დროზე არ იყო ამოღებული.

გამოძიების სისრულის მიზნით დათვალიერებულ და ამოღებულ უნდა იყოს ისეთი ხასიათის დოკუმენტები, როგორიცაა: უბედური შემთხვევის აქტი; საავადმყოფოს ცნობა დაზარალებულის მკურნალობის შესახებ და ავადმყოფობის ისტორია; უწყებრივი შემოწმების აქტი; ყველა ის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ტექნიკური ხასიათის გარემოებებს (დაზგა-დანადგარების და აგრეგატების ტექნიკური პასპორტი და ინსტრუქცია, მათი საექსპლუატაციო გაშვების აქტი, დაზგა-დანადგარების პროფილაქტიკურ დათვალიერებათა და შეკეთების აქტი და სხვ.). ამოღებულ უნდა იყოს აგრეთვე ორგანიზაციული ხასიათის დოკუმენტები (ბრძანებები, დებულებები, ინსტრუქციები, რომლებიც აკისრებდნენ გარკვეულ თანამდებობის პირს შრომის ორგანიზაციის წესების დაცვას და კონტროლს; მუშამოსამსახურეთა ატესტაციის, სტაჟირების გავლის, ინსტრუქტაჟის ჩატარების დოკუმენტები და ა.შ.), სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტები (საამქროს, სამუშაო ადგილის სანიტარული მდგომარეობა, ტემპერატურის რეჟიმი, ხმაურის მდგომარეობა, მავნე სამუშაოებზე დაშვებულ პირთა საექიმო შემოწმების ცნობები, მათი რძის პროდუქტებით მომარაგების დამადასტურებელი საბუთი და ა.შ.).

ყველა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად და მტკიცებულებათა მოპოვების საფუძველზე გამომძიებელი მიდის დასკვნამდე, რომ მან ყოველმხრივად, სრულყოფილად და ობიექტურად ჩაატარა გამოძიება და გამოძიება შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად. ასეთი დასკვნის გაკეთების შემდეგ გამოძიების დამთავრების შესახებ გამოეცხადება დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩლეს, სამოქალაქო მოპასუხეს, ბრალდებულს, მის დამცველს და მათ გასაცნობად გადაეცემათ საქმის მასალები.

XXXI თავი

ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა

§1. ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის კრიმინალისტიკური დახასიათება

ქურდობა, გაძარცვა და ყაჩაღობა მიმართულია სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ მოქალაქეთა ქონების დაუფლებისაკენ. იმისდამიხედვით, თუ რა ხერხით აღწევს დამნაშავე მიზანს, განაპირობებს გამოძიების მეთოდიკის წარმართვას. ძნელია წინასწარ შეიმუშავო საგამოძიებო მოქმედებათა გეგმა და გამოიყენო იგი ყველა შემთხვევაში ქურდობის, გაძარცვის და ყაჩაღობის საქმეთა გამოძიების დროს. ეს აიხსნება იმით, რომ თვითოეული კონკრეტული საქმე ხასიათდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნებით და იმ გარემოებათა არსებობით, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და მისი კვალის დაფარვას. ამიტომ თვითოეული დანაშაულებრივი ქმედება შეფასებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის ხერხის იმ გარემო პირობების მხედველობაში მიღებითაც, რომლებმაც განაპირობეს დანაშაულებრივი ქმედება. მიუხედავად ამისა, კრიმინალისტიკის მეცნიერებამ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადოების საფუძველზე შეიმუშავა იმ საგამოძიებო მოქმედებათა თანმიმდევრობა და ხასიათი, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენენ გადაუდებელ და პირველად საგამოძიებო მოქმედებებს ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის დროს.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ქურდობა, გაძარცვა და ყაჩაღობა ისეთი განზრახი დანაშაულებრივი ქმედებებია, როდესაც ბოროტმოქმედნი წინასწარ ემზადებიან, ადგენენ ყაჩაღური თავდასხმის, ქურდობის გეგმებს, წინასწარ იმზადებენ ყველა იმ იარაღს და საშუალებებს, რომელთა გამოყენების შედეგად შესაძლებელი ხდება განზრახვის სისრულეში მოყვანა.

პირები, რომლებსაც განზრახული აქვთ მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფ ქონების დატაცება, წინასწარ ათვალიერებენ საკეტებს, ადგენენ გეგმას, თუ რა დროს და როგორ უნდა განახორციელონ დანაშაული და შეუმჩნევლად გაეცალონ შემთხვევის ადგილს. არც თუ ისე იშვიათად ყაჩაღური თავდასხმის, გაძარცვისა თუ ქურდობის დროს, ეჯგუფის სათავეში დგას და

ხელმძღვანელობს წარსულში ნასამართლები პირები. ბოროტმოქმედნი ქმნიან რა დამნაშავეთა ჯგუფებს, ორგანიზებულად წარმართავენ მათ დანაშაულებრივ საქმიანობას. განსაკუთრებით გავრცელებულია მოქალაქეთა ბინის ქურდობები, როდესაც სახლში არავინ იმყოფება. ამის დადგენა კი ხდება ბინების ჩამოვლით დღისა და ღამის საათებში. როდესაც ბოროტმზრახველები დარწმუნდებიან, რომ არსებობს განზრახვის სისრულეში მოყვანის პირობები, ღამით ან დღისით, მორგებული გასაღებით ან ძალაყინის საშუალებით აღებენ ან ამტვრევენ შესასვლელ კარებს. ამ ბოლო დროს დამნაშავენი მიმართავენ ყაჩაღურ თავდასხმებს. ჩაუსაფრდებიან დილის საათებში საცხოვრებელი ბინის კარებთან, იციან რა, რომ სამსახურში უნდა წავიდეს ოჯახის რომელიმე წევრი და სწორედ ამ მომენტში იარაღით ხელში ესხმიან და იტაცებენ მოქალაქეთა ქონებას.

ყაჩაღობის, გაძარცვის ან ქურდობის დროს, როგორც წესი, მიაქვთ ძვირფასეულობა, ვიდეო და რადიოაპარატურა, ოქროულობა და ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, ბეწვეული და ა.შ. ამის გამო ბოროტმოქმედნი ნაძარცვ ნივთებს აძლევენ გასაყიდად კერძო საკომისიო მაღაზიებს ანდა სარეალიზაციოდ მიაქვთ მეზობელ რაიონებსა და ქალაქებში.

ყაჩაღობის, გაძარცვისა და ქურდობის საქმეთა გამოძიების დროს, ზოგ შემთხვევაში ვლინდება, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის ინსცენირებას. ასეთს იმისათვის მიმართავენ, რათა გაამართლონ დანაკლისი საწყობსა თუ მაღაზიაში. არის შემთხვევები, როდესაც ინსცენირებას მიმართავენ მოქალაქენიც, რომლებმაც თავიანთი ბინა ჩააბარეს არასაუწყებო დაცვას. მიზანი ის გახლავთ, რომ სახელმწიფოსაგან მიიღონ ფულადი ანაზღაურება "მიყენებული ზარალისა". საჭიროა გამოძიება ყურადღებით მოეკიდოს ასეთი შემთხვევების გამოაშკარავებას, რადგან არც თუ ისე იშვიათად მოქალაქენი წინასწარ დანაშაულებრივ კავშირში შედიან არასაუწყებო დაცვის მუშაკებთან და ამ გზით დიდ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს.

ყაჩაღობის, გაძარცვისა და ქურდობის საქმეთა გამოძიების დაგეგმვა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მონაცემები არის ცნობილი გამოძიებისათვის და არის თუ არა ეჭვმიტანილი პირი.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევებში ასეთი კატეგორიის საქმეებზე მოკვლევის ორგანოებს შესაძლებლობა ეძლევათ დააკავონ ბოროტმოქმედნი დანაშაულის ჩადენის დროს. კერძოდ, როდესაც ბინის გაქურდვის,

გაძარცვისა თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს ამუშავდა სიგნალიზაცია. ანდა როდესაც დანაშაულის „ცხელ" კვალზე მიუთითებს მოწმეების, დაზარალებულის ჩვენებები. ასეთ შემთხვევებში გამოძიების მიზანია შეაგროვოს ის მტკიცებულებები. რომლებიც დაადასტურებენ ეჭვმიტანილის მონაწილეობას მომხდარ დანაშაულებრივ ქმედებაში. უფრო ხშირად კი საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როდესაც დამნაშავე პირი ახერხებს მიმალვას და ცხადია არც ეჭვმიტანილი პირი გვყავს. ასეთი მონაცემების არსებობისას გამოძიების ვერსიების შედგენის მიზანია ეჭვმიტანილის დადგენა და დაკავება. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია იმ წრის დადგენა, სადაც დამნაშავე შეიძლება გამოვავლინოთ. ამიტომ საგამოძიებო გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს ვერსიები იმ პირების დადგენის შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც ადრე ნასამართლები იყვნენ ანალოგიური დანაშაულისათვის, ანდა ისეთი პირების დადგენა, რომლებიც წარსულში ნასამართლები არ ყოფილან, მაგრამ ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, ლოთობენ, მზად არიან შეისყიდონ დატაცებული ნივთები დაბალ ფასებში, აქვთ სურვილი შეიძინონ იარაღი და ა.შ.

საგამოძიებო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მოწმეთა ჩვენებაში გადმოცემული საქმის გარემოებანი, კვალის და სხვა ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის მიზნით.

თუ დაზარალებულმა, მოწმემ ან მოქალაქეებმა განაცხადეს, რომ მათ დაინახეს ბოროტმოქმედი და შეუძლიათ მისი გარეგნობის აღწერა, აუცილებელია მათი სიტყვიერი აღწერის საფუძველზე შედგეს ფოტოსურათი, რაც შემდგომ გამრავლდება და გადაეცემა ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მუშაკებს.

იმ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავენი იმყოფებოდნენ ნილბებში, რის გამოც შეუძლებელი იყო მათი სახის აღწერა, უნდა მოხდეს მათი ტანსაცმლის, ხალათის, ქუდის, შარვლის აღწერა. ასეთი ტანსაცმლის მანეკენზე ჩაცმა და მათი ფოტოგრაფირება. დამნაშავე პირების გარეგნობის შესახებ მონაცემები შეიძლება შეივსოს ასევე მათ მიერ დატოვებული ფეხის კვალთა დათვალიერებით ან სხვა ნივთიერი მტკიცებულებების მეშვეობით. ასეთ მაგალითად კრიმინალისტიკური მეცნიერება საშუალებას გვაძლევს ფეხის კვალთა შესწავლის საფუძველზე დავადგინოთ პიროვნების სიმაღლე, სქესი, სიარულის თავისებურება, ფეხსაცმლის ხარისხი და ზომა. ხელის თითების ან თითის ანაბეჭდების აღმოჩენის შემთხვევაში, ქურდობის დროს, თუ იქნა

გატეხის კვალი (საწყობის ან ბინის კარებზე), შესაძლოა დადგინდეს ბოროტმოქმედის სიმაღლე, მისი პროფესიონალური მონაცემები და ფიზიკური თავისებურებანი. თუ კი დამნაშავის მიერ გამოყენებული იყო სატრანსპორტო საშუალებანი, კრიმინალისტ-სპეციალისტს შეუძლია დაადგინოს მანქანის კვალის მიხედვით: მანქანის მარკა, სახეობა, არსებული დაზიანებები, მანქანის სვლა-გეზი.

იმ შემთხვევებში კი, როდესაც დატაცებულია "დანომრილი საგნები" (საათი, რადიო ან ტელეაპარატურა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა), აუცილებელია, რათა ისინი აღრიცხული იქნენ შესაბამის სარეგისტრაციო ბარათში, რომლებიც ინახება შინაგან საქმეთა ორგანოთა საინფორმაციო ცენტრში და მის ადგილობრივ ორგანოებში. ასეთი მონაცემების გამოყენება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ქურდობის, ყაჩაღობის და ძარცვის საქმეთა გახსნას და გატაცებული ნივთების დაძებნა-აღმოჩენას.

დამნაშავის დაძებნის და მისი დაკავების ღონისძიებათა დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და შესაძლებლობანი, რადგან ბოროტმოქმედების დაკავება ხშირ შემთხვევებში ხდება ქუჩაში, ან საზოგადოების თავშეყრის ადგილებში.

§2. ქურდობის საქმეთა გამოძიების თავისებურებანი

ქურდობა თავისი ხასიათით სხვადასხვაგვარია. ქურდობა ხდება მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინებიდან, სახელმწიფო მაღაზიებიდან. არის ჯიბის ქურდობის და სატრანსპორტო საშუალებათა ქურდობის შემთხვევები. განსაკუთრებით გავრცელებულია მოქალაქეთა ბინების, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ნაგებობიდან ფასეულობათა ქურდობის შემთხვევები. ამ საქმეთა გამოძიების მეთოდიკას გააჩნია ბევრი საერთო ნიშნები. უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ შეტყობინება ქურდობის შესახებ, როგორც წესი, ხდება მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა, მაღაზიის ან საწყობის გამგის, სახლმმართველობის, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. ზოგ შემთხვევაში ქურდობის ფაქტი ცნობილი ხდება ოპერატიული შეტყობინების შედეგადაც. ასეთს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც წაღებულია უმნიშვნელო ღირებულების ქონება, ანდა როდესაც დაზარალებულს დამნაშავის დადგენის და დაკავების იმედი არა აქვს. სავაჭრო დაწესებულებებში დანაშაულის არსებობის შემთხვევას ხშირად არ აცხადებენ მაღაზიის ან

საწყობის გამგეები იმ მოსაზრებით, რომ არ ჩატარდეს აღწერა და არ გამოვლინდეს დანაკლისი ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედებანი.

ქურდობის გამოძიება, როგორც წესი, იწყება შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, რათა დაწვრილებით იქნეს აღწერილი შემთხვევის ადილი, აღმოჩენილი იქნეს დანაშაულის ჩადენის კვალი და ნიშნები.

ჯერ კიდევ შემთხვევის ადგილზე გასვლამდე უნდა ეთხოვოს დაზარალებულს არ შეეხოს იმ საგნებს, რომელიც დატოვეს დამნაშავე პირებმა.

შემთხვევის ადგილზე გასვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. საგამოძიებო ჯგუფში შეყვანილი უნდა იქნეს სისხლის სამართლის განყოფილების ოპერატიული მუშაკები, კრიმინალისტი, სამძებრო ძაღლი, იმ უბნის ინსპექტორი, სადაც დანაშაული მოხდა.

თუ ადგილი ჰქონდა დიდი ოდენობით ნივთების და ფასეულობების ქურდობას, საჭიროა მოძრავი კრიმინალისტური ლაბორატორიის ავტომანქანის შემთხვევის ადგილზე გასვლა, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს კვალთა აღმოჩენა და დამუშავება.

შემთხვევის ადგილზე მისვლისას, იქ მყოფთაგან საჭიროა დავადგინოთ, ხომ არ დაუნახავთ მათ დამნაშავე ან საეჭვო პირი. დადებითი პასუხის შემთხვევაში ოპერატიული ჯგუფის მიერ უნდა ჩატარდეს ძებნა "ცხელ" კვალზე. მივიღებთ რა საერთო სურათს შემთხვევის ადგილის ვითარებისა, გამომძიებელი ვალდებულია გამოარკვიოს: რა ხერხით და საშუალებით შესძლო ბოროტმოქმედმა სადგომში შეღწევა ან რა იარაღით მოქმედებდა იგი რა მიმართულებით შეეძლო წასვლა. საჭიროა ადგილზევე დაზუსტდეს, რა სახის კვალი შეიძლება დატოვებულიყო და დატოვა თუ არა ასეთი; არის თუ არა მონაცემები, რომლებიც მიუთითებდნენ დამნაშავის პროფესიაზე, მის გარეგნობაზე; ვისთვის იყო ცნობილი ადგილსამყოფელი. დათვალიერების დროს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი ადგილი, საიდანაც მოხდა სახლში ან საცავში შეღწევა (კარები, ფანჯარა), ანდა ნივთების ადგილსამყოფელი (სეიფი,კარადა). ვინაიდან სწორედ აქ შეიძლება აღმოჩენილი იქნეს თითების ანაბეჭდები, იარაღის ან ფეხის კვალი, ასევე ნივთიერი მტკიცებულებანი, რომლებიც ბოროტმოქმედებმა ადგილზე დატოვეს ან დარჩათ.

აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამოძიების დროს მხედველობაშია მისაღები ისიც, შეიძლებოდა თუ არა, რომ ბოროტმოქმედებს საცავში ან

ბინაში შეღწევის დროს დაეზიანებინათ ხელი, ფეხი ან სხეულის რომელიმე ნაწილი.

დათვალიერების დროს გამომძიებელი ან მომკვლევი პირი ვალდებულია ამოიღოს წაღებული ნივთების პასპორტი, ეთიკეტები და მათი ყუთები, რა თქმა უნდა, თუ არსებობს. დათვალიერების სფეროში შედის ასევე უშუალო შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაც, რადგან ამ ადგილებში შეიძლება აღმოჩნდეს სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, თამბაქოს ნამწვარი ნარჩენები და ა.შ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში აღწერილი უნდა იქნეს შენობაში შეღწევის გზები, აღმოჩენილი კვლები და სხვა ნივთიერი მტკიცებულებანი. აღწერილი უნდა იქნეს რა საშუალებით იქნა ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებანი და როგორ შეიფუთა ისინი. ყოველივე ამის შემდგომ აღწერილი ხაგნები ფოტოგრაფირებული უნდა იქნეს.

ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების დროს გადაუდებელ, პირველად საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს დაზარალებულის და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დაკითხვა. ვინაიდან მათ შეუძლიათ მოგვცენ მნიშვნელოვანი მონაცემები დამნაშავეთა გამოსავლინებლად.

ზემოთ მითითებული პირების დაკითხვა იწყება იმის გარკვევათ, თუ რა პირობებში და როდის გახდა მათთვის ცნობილი ფასეულობათა დატაცების შესახებ. უნდა გაირკვეს დატაცებული საქონლის ღირებულება, ვისზედ აქვთ ეჭვი და ხომ არ უნახიათ ეჭვმიტანილი ქურდობის წინა დღეებში, რა მონაცემები იძლევა საფუძველს ეჭვისა და ა.შ.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დაკითხვის დროს დადგენილი უნდა იქნეს: როგორია ორგანიზაციის მუშაობის განრიგი, ვის აქვს საცავში შესვლის უფლება, როგორია ობიექტის დაცვის წესი, ხომ არ მუშაობდნენ მათთან საეჭვო პირები და ვინ იქნა ამ მონაცემების საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნილი.

გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს შეადგენს ასევე მოწმეთა წრის დადგენა და მათი დაკითხვა. მოქალაქეთა ბინიდან ნივთების ქურდობის დროს მოწმეებად გვევლინება ოჯახის წევრები, რომელთა დაკითხვით დადგენილი უნდა იქნეს მოპარული ნივთების აღწერილობა და თვისობრივი თუ საგნობრივი ნიშნები, ვის შეეძლო ისინი მოეპარა და ა.შ. ამ გარემოებათა დადგენაში კარგი დახმარება შეიძლება გასწიოს მეზობლების დაკითხ-

ვამაც, იმის გასარკვევად, ხომ არ შეუმჩნევიათ მათ საეჭვო პირი ქურდობის ადგილზე.

„ცხელ" კვალზე მიდევნების დროს თუ დაკავებული იქნა ეჭვმიტანილი პირი, უნდა ჩატარდეს მისი პირადი ჩხრეკა და ჩხრეკა მის საცხოვრებელ ბინაში.

პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის წარმოების დროს ყურადღება უნდა მიექცეს უპირველეს ყოვლისა მოპარული ნივთების ანდა მათი შეფუთვის ან ეთიკეტების აღმოჩენას და პროცესუალურ დამაგრებას, ასევე იმ ხელსაწყოების აღმოჩენასაც, რის საშუალებითაც შესაძლოა მოხდა ბოროტმოქმედის მიერ საწყობში ან საცხოვრებელ სადგომში შეღწევა. ჩხრეკის დროს უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ასევე ეჭვმიტანილის პირადი ტანსაცმლის ამოღება და დათვალიერება, რადგან ტანსაცმელზე არც თუ ისე იშვიათად შეიძლება აღმოვაჩინოთ საღებავის, მიწის ან ქსოვილთა ნაწილაკები, რომლებიც ქურდობის ადგილიდან იქნა ტანსაცმელზე გადასული.

ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკითხვა, როგორც წესი, იწყება იმის გარკვევით თუ სად იმყოფებოდა იგი დანაშაულის მოხდენის დროს. თუ დასაკითხი პირი თავს არ სცნობს დამნაშავედ და აყენებს ალიბს, ამ შემთხვევაში გარკვეულ უნდა იქნეს უმნიშვნელო დეტალებიც კი წამოყენებული ალიბის დასადნედად.

თუ ეჭვმიტანილი სცნობს ბრალს, ამ შემთხვევაში გამორკვეული უნდა იქნეს დანაშაულის მზადების ყველა დეტალი და მათ შორის: საიდან გახდა მისთვის ცნობილი ნივთების ან ფასეულობათა შენახვის ან არსებობის შესახებ. დიდი მნიშვნელობა ქურდობის საქმეთა გამოძიების დროს მიეკუთვნება ექსპერტიზებს. განსაკუთრებით კი დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზას, რომელიც მოწოდებულია ხელის თითების ანაბეჭდების ფიქსირებით, შესწავლით და გამოკვლევით დაადგინოს პირი. მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ტრასოლოგიური ექსპერტიზაც, რომელიც მოგვცემს დასკვნას თუ რა ხელსაწყოთი ან იარაღით მოხდა საცავში ან ბინაში შეღწევა, ან ვის ეკუთვნის ფეხის კვალი. იმ შემთხვევებში, როდესაც აღმოჩენილი იქნება ხელნაწერი ან რაიმე ჩანაწერი, რომელიც შესაძლოა დაწერა ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა, უნდა ჩატარდეს ხელნაწერის ექსპერტიზა. ზემო აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებანი არ არის ამომწურავი, თითეული კონკრე-

ტული საქმის თავისებურების მხედველობაში მიღებით, გამომძიებელი ვალდებულია თვით განსაზღვროს, თუ რომელი საგამოძიებო მოქმედება მიიჩნიოს გადაუდებლად, რათა უმოკლეს დროში გახსნას დანაშაული და გამოამჟღავნოს დამნაშავენი.

§3. გაძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმის საქმეთა გამოძიების თავისებურებანი

გაძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავენი თავს ესხმიან მოქალაქეებს ან იმ პირებს, რომლებიც იცავენ სახელმწიფო ან საზოგადო ქონებას. გაძარცვის დროს ადგილი არა აქვს ძალადობას ან სიცოცხლისათვის საშიშ მოქმედებას. მაშინ როდესაც ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავის მხრივ ყოველთვის ადგილი აქვს დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობას, ან ძალადობის გამოყენების მუქარას. დამნაშავეთა მხრივ ქონების დაუფლების ხერხების და საშუალებების მსგავსება განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედებათა მსგავსებასაც დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა გამომჟღავნებისათვის.

ამ კატეგორიის საქმეები ხშირ შემთხვევაში აღიძვრება თვით დაზარალებულის, მისი ნათესავების, მეზობლების განცხადების საფუძველზე. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბს სამედიცინო დაწესებულებათა შეტყობინება წარმოადგენს. ეს იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული თავდასხმის შედეგად სამკურნალო დაწესებულებაში მოხვდა.

დაზარალებულის დაკითხვის დროს მხედველობაშია მისაღები, რომ მისთვის თავდასხმა ყოველთვის მოულოდნელია. პიროვნება ხედავს რა მის წინ შეიარაღებულ ყაჩაღს, რა თქმა უნდა იბნევა. ამის შედეგია ის, რომ დაზარალებული დაკითხვის დროს არაზუსტად გადმოსცემს შემთხვევის ფაქტს და დეტალებს, ზოგ შემთხვევაში უფრო აზვიადებს და ართულებს კიდეც მომხდარი თავდასხმის აღწერას. არც თუ ისე იშვიათად სათამაშო იარაღს ნამდვილ იარაღად ღებულობს და ა.შ. მსგავსი შეცდომები დაზარალებულთ მოსდით იმიტომაც, რომ თავდასხმა ხდება ღამის საათებში, როდესაც განათება ცუდია. ხშირად, შემთხვევისთანავე ხდება დაზარალებულის მხრივ განცხადების გაკეთება, მაშინ, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ არის დამშვიდებული.

დაზარალებულის დაკითხვის დროს უნდა დაზუსტდეს: რა დროს, სად და რა გარემოებათა არსებობისას მოხდა ძარცვა თუ ყაჩაღური თავდასხმა; როგორ და რა მომენტში დაინახა მან დამნაშავე და შეუძლია თუ არა მისი აღწერა; ვინ ახლდა დამნაშავეს და რა ნივთები წაიღეს მისგან.

დაკითხვის დროს უნდა გაირკვეს ასევე, გაუწია თუ არა წინააღმდეგობა ბოროტმოქმედს და რაში გამოიხატა ეს. თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, ხომ არ მიაყენა მან რაიმე ზიანი ბოროტმოქმედს, ანდა ხომ არ შეუმჩნევია დაზარალებულს ბოროტმოქმედის სახეზე რაიმე დამახასიათებელი ნიშანი ან დაზიანება.

დაზარალებულისაგან ჩვენების მიღების შემდგომ, ზოგ შემთხვევაში აუცილებელი ხდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებაც. დათვალიერების ტაქტიკური ხერხი თავისი ხასიათით ემსგავსება ქურდობის დროს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკას. ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ ყაჩაღური თავდასხმის ან გაძარცვის დროს დაზარალებული ყოველთვის არის შემთხვევის ფაქტის მონაწილე, ამიტომ დაზარალებულის ჩვენებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თავდასხმის საერთო სურათის აღდგენაში.

შესაძლოა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნეს ბოროტმოქმედის მიერ დატოვებული რაიმე ნივთი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდი, ხელთათმანი, ცხვირსახოცი, ჩანაწერი), რასაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს დამნაშავის დასადგენად და დასაკავებლად.

გაძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმის დროს შესაძლოა ფიზიკური ბრძოლა დაზარალებულსა და ბოროტმოქმედს შორის, რა დროსაც დამნაშავის ტანსაცმლის ქსოვილის ნაწილაკები შეიძლება აღმოჩნდეს დაზარალებულის ტანსაცმელზე ან პირიქით.

თუ მოხდა ეჭვმიტანილის დაკავება, დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარდეს ჩხრეკა, რათა ამოღებულ იქნას იარაღი, იარაღის მაკეტი. ჩხრეკის ამოცანას შეადგენს ასევე დატაცებული ნივთების ან ფასეულობათა ამოღება. პირადი ჩხრეკის შემდეგ ხდება ტანსაცმლის დათვალიერება. დათვალიერების დროს ფიქსირებული უნდა იქნეს ტანსაცმლის დაზიანება, ღილის აგლეჯა, საყელოს, სახელოების, ჯიბეების ჩამოხევა და ა.შ. ასევე ყურადსაღებია ისიც, რომ ტანსაცმელზე შესაძლოა აღმოვაჩინოთ შემთხვევის ადგილიდან აღე-

ბული ტალახის, საღებავის ან სხვა საგნებისა და სითხის კვალი. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელებზე, ფრჩხილებში ან ტანზე აღინიშნება ბრძოლის ნიშნები და დაზიანებანი, იგი უნდა გაიგზავნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე.

ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების დროს მხედველობაშია მისაღები ის, რომ დამნაშავენი ემზადებიან რა ყაჩაღობისა და ძარცვისათვის, წინასწარ ადგენენ ალიბს: იძენენ კინოთეატრის ან სხვა სანახაობათა ბილეთებს და დაკავების შემთხვევაში წარუდგენენ გამოძიებას, რათა დაარწმუნონ გამომძიებელი, რომ შემთხვევის დროს ისინი არ შეიძლება ენახათ დანაშაულის ჩადენის ადგილზე.

საგამოძიებო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც დამნაშავე წინასწარ უთანხმდება ნაცნობებს ან ნათესავებს განსაზღვრულ დროს მათთან ერთად ყოფნის თაობაზე. ყოველი ასეთი ალიბი რა თქმა უნდა ართულებს დამნაშავის გამომჟღავნებას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებლის თანმიმდევრული გამორკვევა ალიბისა და მისი ღრმა გაანალიზება ხშირ შემთხვევებში აიძულებს ბოროტმოქმედს აღიაროს დანაშაული.

| გაძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმის საქმეთა გამოძიების დროს მეტად გავრცელებულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს ეჭვმიტანილის ამოსაცნობად წარდგენა.| ასეთი მოქმედება ტარდება ყველა შემთხვევაში, როდესაც ფაქტის უშუალო მნახველი-მოწმენი ამოიცნობენ ბოროტმოქმედს. ამოსაცნობად შეიძლება წარედგინოს ასევე შემთხვევის ადგილზე ამოღებული ნივთებიც. ამომცნობ პირებად შეიძლება იყოს მოწვეულნი არა მარტო დაზარალებულნი ან მოწმენი, არამედ ეჭვმიტანილი და ბრალდებული, რომელთაც ამოსაცნობად შეიძლება წარედგინოთ დაზარალებული, დანაშაულის თანამონაწილენი და საგნები. ყაჩაღური თავდასხმის დროს ხშირ შემთხვევებში საჭიროა დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სასამართლო-სამედიცინო შემოწმება, რომლის საშუალებითაც დგინდება სხეულზე დაზიანებათა ხარისხი და შესაძლებლობა სხეულის დაზიანების იმ გარემოების არსებობისა, რაზედაც შესამოწმებელი პირი მიუთითებს.

|განსაკუთრებით გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ცივი იარაღის ექსპერტიზა| ასეთი ექსპერტიზის საშუალებით დგინდება დანის ცივ იარაღად ცნობის საკითხი. თუ ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, ინიშნება ბალ-

ისტიკური ექსპერტიზა. (იმ შემთხვევაში, როდესაც შემთხვევის ადგილზე ფიქსირებულია ფეხის, ტრანსპორტის ან ცხოველთა კვალი, მაშინ უნდა ჩატარდეს ტრასოლოგიური ექსპერტიზა. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა კი ნიშნება, როდესაც აღმოჩენილი იქნება ხელის თითების ანაბეჭდები)

ყველა ზემოთ ნათქვამი მასზედ მიუთითებს, რომ გამომძიებელი შეტად ყურადღებით უნდა მოეკიდოს შემთხვევის ადგილზე კვალთა აღმოჩენას, მათ პროცესუალურ დამაგრებას და შემდგომ შესაბამისი ექსპერტიზის უზრუნველყოფას საჭირო მასალით, რათა გახსნილ იქნეს დანაშაული და გამომჟღავნებული ყველა დამნაშავე პირები.

XXXII თავი

თანამდებობრივი დანაშულის გამოძიების მეთოდიკა

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაობის სრულყოფა-გაუმჯობესების, მისი სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული, სპეციალური სახის თანამდებობრივი დანაშაული და თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი ყველა სხვა სახის დანაშაული. აქედან განვიხილავთ მხოლოდ საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის საკითხებს.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის "თანამდებობრივი დანაშაულის" თავში შეტანილია ისეთი საერთო სახის დამოუკიდებელი თანამდებობრივი დანაშაულთა შემადგენლობები, როგორიცაა: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლება-მოსილების გადამეტება; დაუდევრობა, მექრთამეობა (ქრთამის მიცემა, ქრთამის აღება და მექრთამეობაში შუამავლობა) და სამსახურებრივი სიყალბე.

თვითეული ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მმართველობის ნებისმიერ დარგში და ამ მიმართებით ისინი ზოგადი ხასიათის არიან სხვა სპეციალური სახის თანამდებობრივ დანაშაულთა მიმართებაში.

ამ საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მას თანამდებობის პირი, თავის სამსახურებრივ ფუნქციებში, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ იდენს ისეთ საზოგადოებრივად საშიშ განზრახ ან გაუფრთხილებელ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის სწორ, ნორმალურ საქმიანობას და ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საზოგადოებრივად საშიში შედეგის (არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის) დადგომის აუცილებლობა, როგორც ამ კატეგორიის დანაშაულთა იურიდიული შემადგენლობის ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი, საფუძველს იძლევა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული დაიყოს მატერიალური და ფორმალური შემადგენლობის თანამდებობრივ დანაშაულად. მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივ დანაშაულს მიეკუთვნება ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და დაუდევრობა. ფორმალური შემადგენლობის საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულს კი მიეკუთვნება მექრთამეობა (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუამავლობა) და სამსახურებრივი სიყალბე.

საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულთა ასეთ კლასიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს კრიმინალისტიკური თვალსაზრისითაც, რადგან იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ კატეგორიის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის შემუშავებას.

I. მატერიალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიება

§1. მატერიალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება

მოცემული სახის დანაშაულთა გვაროვნული ობიექტია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორი, ნორმალური მუშაობა, მისი ავტორიტეტი და ღირსება. ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობის ჩადენაში და ამით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისა და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაში. ამასთან ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ თანამდებობის პირის აქტიური მოქმედებით. დაუდევრობა კი უმოქმედობით ან თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით.

ამ დანაშაულთა სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული (დაუდევრობის გარდა) შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახი ბრალით.

ამრიგად, მატერიალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამდებობის პირი თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ იდენს ისეთ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედობას, რომლითაც არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი ადგება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილი მოქმედების ან უმოქმედობის დასჯად დანაშულებრივ ქმედობად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ მისი ასეთი დანაშაულებრივი ქმედობით არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. აუცილებელია აგრეთვე, რომ თანამდებობის პირის ასეთ მოქმედებას (უმოქმედობას) და საზოგადოებრივად საშიშ დამდგარ არსებით ან მნიშვნელოვან ზიანს შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამიტომ ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს, სხვა გარემოებებთან ერთად აუცილებელია დადგინდეს არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის სახეობა, მისი ოდენობა, ვის ან რას მოდგა იგი — სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს თუ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი თანამდებობის პირის ასეთ მოქმედებას (უმოქმედობას) და დამდგარ არსებით ან მნიშვნელოვან ზიანს შორის.

მატერიალური სახის არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მიყენებული ზიანის ფულადი ღირებულება. აგრეთვე იმ ზიანის სახეობა და ოდენობა, რაშიც გამოიხატა იგი, კერძოდ, მისი წონა, მოცულობა, რაოდენობა და დანიშნულება სახალხო მეურნეობისათვის.

არამატერიალური სახის არსებითი და მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება იყოს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის მიყენებული ფიზიკური და მორალური ზიანი.

თუ თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედობა, რამაც არსებითი ზიანი გამოიწვია, იყო ერთადერთი საშუალება, რითაც აცილებული იქნა სხვა უფრო მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა, თანამდებობის პირის ასეთი ქმედობა განიხილება როგორც უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული და არა როგორც დასჯადი თანამდებობრივი დანაშაული.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დანაშაულებრივი შემადგენლობისათვის მოტივს, მართალია, მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი დადგენა და გამოკვლევა ამ კატეგორიის საქმეებზე კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელია, რადგან ამ დანაშაულებრივი ქმედობის ამსახველ მუხლებში ანგარება და პირადი მოტივი მოხსენიებულია როგორც მათი მაკვალიფიცირებელი გარემოება.

მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მოტივად მიჩნეულია მისი ჩადენა ისეთი არაპირდაპირი მოტივით, როგორიცაა არასწორად გაგებული ცრუ სამსახურებრივი ინტერესები. ამიტომ თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ანგარების ან სხვა პირადი მოტივის გარეშე ჩადენილი ასეთი ქმედობა, თუ ამით არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, იგი დაკვალიფიცირდება, როგორც მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ხოლო თუ იგი ჩადენილია ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, იგი განიხილება, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქმედობა.

მოტივისა და მიზნის დადგენა საჭიროა აგრეთვე გაუფრთხილებლობით ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულთა გამოძიების დროსაც, კერძოდ, დაუდევრობის საქმეებზეც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი გავლენას არ ახდენენ პირის დანაშაულებრივ ქმედობის კვალიფიკაციაზე.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და დაუდევრობის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად მი-

ჩნეულია აგრეთვე განსაკუთრებით მძიმე შედეგის დადგომა, რაც თავისთავად არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის ცნებასაც მოიცავს. ის, თუ რა უნდა იქნეს გაგებული „განსაკუთრებით მძიმე შედეგის" ცნებაში, ეს ფაქტის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს მიყენებული ზიანის სახეობის, მისი მოცულობისა და ოდენობის, პირთა რაოდენობის, ჩადენილი ხერხებისა და საშუალებების გათვალისწინებით.

თანამდებობის პირის მიერ გამოყენებული ძალადობის ცნებაში გაგებულია მის მიერ ფიზიკური (ცემა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი ხარისხის დაზიანება და სხვ.) და ფსიქიური ზემოქმედება (მუქარა). ამიტომ ასეთ შედეგების მქონე ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დამატებითი. კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით საჭირო აღარაა.

თანამდებობის პირის მიერ დაზარალებულის მიმართ ძალადობის ან იარაღის გამოყენების ცნებაში გაგებულია არა მარტო დაზარალებულისათვის სხეულის დაზიანების მიყენება, არამედ მისი გამოყენების მუქარაც, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, მისი დამიზნება და სხვ. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს თანამდებობის პირის ასეთი ქმედობა ხომ არ იყო გამოწვეული დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით.

დაუდევრობისათვის თანამდებობის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან სამსახურებრივად დაკისრებული მოვალეობა, რომლის შესრულებაც მას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ევალებოდა და შეეძლო კიდეც, მაგრამ არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა მისდამი თავისი დაუდევარი დამოკიდებულებით და ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამიტომ ამ საქმეების გამოძიების დროს საჭიროა დადგინდეს თუ თანამდებობის პირმა თავის სამსახურებრივ ფუნქციებში შემავალი რა სახის მოქმედება არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა იგი, ჰქონდა თუ არა მას რეალური შესაძლებლობა ამ მოქმედების შესრულებისათვის და არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მისთვის სამსახურებრივად დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებასა და საზოგადოებრივად საშიშ დამდგარ შედეგს შორის. კონკრეტულად რაში, რა სახის ან რა ფორმისა და ოდენობაში გამოიხატა მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, ვის

მიიადგა იგი — სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს თუ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ამ კატეგორიის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებიც სწორედ მათი იურიდიული შემადგენლობისათვის დამახასიათებელ ამ პირველად მონაცემებში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, იგი უნდა ვეძიოთ ამ დანაშაულთა ჩადენის მექანიზმში, მისი ჩადენისა და კვალის დაფარვის ხერხებისათვის დამახასიათებელ გარემოებებში, დანაშაულის ობიექტისა და მისი ხელყოფის ხერხებსა და საშუალებებში, დანაშაულის მიზნებსა და მოტივში, მიყენებული არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის სახეობის, ოდენობისა და მოცულობის მიმთითებელ გარემოებებში. აგრეთვე ამ დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის ვინაობის, მისი სამსახურებრივი ფუნქციებისა და მის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობის ჩადენის და ამ ქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე მიმთითებელ გარემოებებში.

კრიმინალისტიკური დახასიათების ამ ელემენტების სრულყოფილი გამოკვლევა და ანალიზი საშუალებას იძლევა გამოძიების საწყისსავე ეტაპზე სწორად განისაზღვროს და შემუშავდეს ამ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა.

ზემოაღნიშნული კატეგორიის თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების გამოძიებისას დანაშაულის ჩადენის მიზნის, მოტივის არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის, განსაკუთრებით მძიმე შედეგის და დანაშაულის ჩადენის ხერხების დადგენას კრიმინალისტიკური თვალსაზრისით ის მნიშვნელობაცა აქვს, რომ მასში გარკვეულწილად მეღავნდება დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პირადი თვისებები. კერძოდ, მისი სიხარბე, მისწრაფება მატერიალური გამორჩენის მიღებისა და უკანონო გამდიდრებისაკენ; კარიერიზმი, მისი სწრაფვა ყალბი, ხელოვნურად შელამაზებული სახით წარმოადგინოს თავისი სამსახურებრივი საქმიანობა და ამით შეიქმნას ცრუ, მოჩვენებითი საკუთარი კარიერა; მისი გაუფრთხილებელი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სხვადასხვა სახის ნორმიტიული აქტების დაცვა-შესრულებისადმი; უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მისდამი მინდობილი მატერიალური ფასეულობებისადმი და სხვ. ამ გარემოებათა გამოკვლევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დანაშაულში მხილებული თანამდებობის პირის დაკითხვის დროს მასთან სწორი ფსიქოლოგი-

ური კავშირის დამყარებისა და ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევა-გამოყენებისათვის.

დანაშაულის სრული გახსნისა და მისი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულის ფაქტებზე მიღებული ინფორმაციების კრიმინალისტიკური შეფასებისას სათანადო ყურადღება მიექცეს იმის გარკვევას, ხომ არაა იგი დაკავშირებული აგრეთვე სხვა სახის ჩადენილ დანაშაულთან, კერძოდ, სახელმწიფო ან კოლექტიურ გაერთიანებათა ქონების დატაცებასთან, გეგმის შესრულების ანგარიშგებაში წამატებისა და სხვა დამახინჯებასთან, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას ან განზრახ მკვლელობასთან და სხვ.

დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილებისათვის კრიმინალისტიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ დანაშაულთა ჩადენის ხერხების, მიზნისა და მოტივის შესახებ მიღებულ ინფორმაციას, არამედ აგრეთვე დანაშაულში მხილებული თანამდებობის პირის სამსახურებრივ ფუნქციებს, მისი განხორციელების წესს, მის პირად თვისებებსა და ფსიქოლოგიას, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით გამოყენებულ ხერხებსა და საშუალებებს. გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საწარმო-დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში არსებულ შრომის დისციპლინის დარღვევისა და მასზე რეაგირების ფაქტებს, უკონტროლობასა და უყაირათობას. საჭიროა ამ გარემოებათა შესახებ მიღებულ მონაცემებს მიეცეს სწორი კრიმინალისტიკური შეფასება და სრულყოფილად იქნეს იგი გამოყენებული გამოძიების პროცესში დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

§2. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

თანამდებობრივი დანაშაულის სპეციფიკურობის გათვალისწინებით ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, უფრო ხშირად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებით აღჭურვილ ორგანოებში, პირველადი მასალების სახით თავს იჩენს ამ დანაშაულებრივ ფაქტებზე მიმთითებელი ისეთი ინფორმაციის წყარო, როგორიცაა: მოქალაქის განცხადება და საჩივარი; სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და თანამდებობის პირების მიერ მი-

წოდებული ინფორმაცია; პრესაში გამოქვეყნებული ცნობა, საპროკურორო ზედამხედველობისა და ზემდგომი საუწყებო ორგანოების მიერ ცალკეული საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის შემოწმების ამსახველი მასალები.

მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ მიღებული მოქალაქის განცხადება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი სახით და სათანადო ოქმით გაფორმებული.

ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის ან მისი მზადების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულად ითვლება მას შემდეგ, რაც კორესპონდენცია მოთავსებული იქნა ცენტრალურ ან ადგილობრივ გაზეთებში, ჟურნალში ან ოფიციალურ ბიულეტენებში, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიით მისი გამოცხადების შემდეგ.

მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალო გამომჟღავნებით მიღებული ინფორმაცია, ყველა ზემოაღნიშნულთაგან იმით განსხვავდება, რომ ასეთ დროს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება უშუალოდ ამ უფლებით აღჭურვილ კომპეტენტური თანამდებობის პირებისა და ორგანოების უშუალო ინიციატივით გამოვლენილი დანაშაულის ნიშნების საფუძველზე. იგივე უნდა ითქვას საპროკურორო ზედამხედველობის გზით შემოწმების შედეგად მიღებული მასალების შესახებ, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბისა და საფუძვლის მოპოვების მიზნით დამატებით შემოწმებას აღარ საჭიროებენ.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებით აღჭურვილ ორგანოებში შეტანილი სხვა ზემოთაღნიშნული ინფორმაციების წინასწარი შემოწმების მიზანი ისაა, რომ ამით მოპოვებული იქნას საქმის აღძვრისათვის საჭირო კანონიერი საფუძველი ანუ ის კონკრეტული ობიექტური პირველადი ფაქტიური მონაცემები, რომლებიც უშუალოდ მიუთითებენ დანაშაულის ნიშნების არსებობაზე.

მომხდარი თანამდებობრივი დანაშაულის ან ასეთის მზადების შესახებ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებში შემოსულ განცხადებებსა და ცნობებზე მიღებული დროულ რეაგირებასა და მათი შემოწმების სწორად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა და დანაშაულის თავიდან აცილება, ამიტომ ამგვარი

მასალების შემოწმება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოს მუშაკებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და დაკვირვებას, საპროცესო ნორმებისა და კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების საფუძვლიან ცოდნას და პრაქტიკაში მათ სწორად გამოყენებას.

მომხდარი თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ შემოსული პირველადი მასალების შემოწმების ჩატარების ტაქტიკური ხერხები თვით ამ მასალების შინაარსის მიხედვით უნდა შეირჩეს და განისაზღვროს. კერძოდ, შემდგომ საუწყებო ორგანოს მიეცეს წინადადება დაუყოვნებლივ შეამოწოს ამ თანამდებობის პირთა საქმიანობა; დაილუქოს და სათანადოდ იქნას დაცული საწარმო-დაწესებულების ან ორგანიზაციის არქივი, მიმდინარე მიმოწერის ამსახველი სარეგისტრაციო ჟურნალები და ბრძანებების წიგნები, რათა დაინტერესებულმა თანამდებობის პირებმა ვერ შეძლონ იქიდან მათი დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის ფაქტების მამხილებელი საბუთების ამოღება და განადგურება; მოხდეს ამ დოკუმენტებისაგან ფოტოპირებისა და ასლების გადაღება; მოეწყოს საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციის ან კოოპერატივისა და მასში მომუშავე ცალკეული თანამდებობის პირთა საქმიანობის კომპლექსური შემოწმება, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად რეკომენდირებულნი უნდა იქნენ უაღრესად კეთილსინდისიერი და სანდო პირები, რომლებსაც საჭიროა წინასწარ განემარტოთ ამ ღონისძიების ჩატარების მიზნები და ამოცანები; ოპერატიულ ჯგუფს მიეცეს დავალება ჩაატაროს საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები (საწარმო-დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან კოოპერატივში მომუშავე თანამდებობის პირების საქმიანობაზე დროებით დააწესონ ფარული მეთვალყურეობა); ამ საწარმო-დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე თანამდებობის და სხვა პირებს ჩამოერთვათ საჭირო ახსნა-განმარტებები; გამოძიებისათვის საჭირო საკითხებზე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან მიიღონ სათანადო კონსულტაცია და წერილობითი დასკვნები; გამოითხოვონ საჭირო ცნობები, დოკუმენტები და დამატებითი მასალები და სხვ.

თუ მომკვლევი პირი, გამომძიებელი ან პროკურორი დარწმუნდება, რომ მასალების ასეთი პირველადი შემოწმებით მიღებული მონაცემები შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაშინ საჭიროა მოღებული

მონაცემების საფუძველზე დაუყოვნებლივ გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, მიიღოს იგი თავის წარმოებაში და შეუდგეს მის გამოძიებას, ან დანაშაულის კვალის დასადგენად და განსამტკიცებლად ჩაატაროს მასზე პირველადი გადაუდებელი მოქმედებები და საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადასცეს ქვემდებარეობისამებრ.

ხოლო თუ დადგინდება, რომ პირველად მიღებულ მონაცემებში მითითებული ქმედება არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაშინ გამოტანილი უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და იგი ეცნობოს დაინტერესებულ პირს ან შესაბამის წარმოება-დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

§3. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა

საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღებისთანავე საჭიროა საქმეში არსებული მასალების საფუძველზე აგებული იქნეს საგამოძიებო ვერსიები მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის, მისი შემადგენლობის ცალკეული ელემენტებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების ახსნის შესახებ. ამასთან საჭიროა დაუყოვნებლივ განისაზღვროს გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრე და შედგენილი იქნეს გაშლილი საგამოძიებო გეგმა.

ვინაიდან საგამოძიებო ვერსიები არის გამოძიების დაგეგმვის საფუძველი, ამიტომ უპირველეს ყოვლისა შემუშავებული უნდა იქნეს ვერსიები და განისაზღვროს გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრე.

მოცემული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება აგებულ იქნეს შემდეგი სახის საგამოძიებო ვერსიები:

1. თანამდებობის პირმა თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ნამდვილად ჩაიდინა ქმედობა, რომლითაც არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს და იგი შეიცავს ზემოთ განხილული კონკრეტული სახის თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებს;

2. თანამდებობის პირმა ნამდვილად ჩაიდინა თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობა, მაგრამ იგი არ შეიცავს მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებს, რადგან ამით არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს;

3. სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს მართალია მიადგა არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი, მაგრამ იგი გამოწვეული არ იყო თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედებით ან უმოქმედობით;

4. თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობა, რომლითაც არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, გამოწვეული იყო უკიდურესი აუცილებლობით უფრო საშიში, მოსალოდნელი მძიმე შედეგის თავიდან აცილებისათვის;

5. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება გამოწვეული იყო თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით;

6. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა კონონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება გამოწვეული იყო თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით.

7. თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რომლითაც არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, გამოწვეული იყო დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (უმოქმედობით და სხვ.).

ზემოაღნიშნული ზოგადი სახის ვერსიების აგება-შემოწმებისთანავე ან მათ პარალელურად საჭიროა წამოყენებული იქნეს საგამოძიებო ვერსიები უკვე გამოკვეთილი, კონკრეტული სახის თანამდებობრივი დანაშაულის შე-

მადგენლობის ცალკეული ელემენტებისა და გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა კონკრეტული გარემოებების ახსნა-გამოკვლევის შესახებ. კერძოდ, საგამოძიებო ვერსიები თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის, მისი უფლებამოსილების, მის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობის ჩადენის ხერხებისა და დანაშაულის კვალის დაფარვის გარემოებების, ჩადენილ ქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა ახსნის შესახებ.

თანამდებობრივი დანაშაულის საქმეებზე გამოძიებით დასადგენი გარემოებები შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად: საერთო ანუ ზოგად და სპეციფიკურ გარემოებებად. ზოგადს მიეკუთვნება ისეთი საერთო სახის გარემოებები, რომელთა დადგენა კანონითაა რეგლამენტირებული და გამოძიებით აუცილებლად უნდა დადგინდეს. სპეციფიკურს კი, ყველა ის გარემოება, რომლებიც დამახასიათებელია თვითეული კონკრეტული სახის თანამდებობრივი დანაშულისათვის. გამოძიებით გამოკვლეული და დადგენილი უნდა იქნეს როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ხასიათის გარემოებები.

საერთო ანუ ზოგადი ხასიათის გარემოებებს მიეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 59 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ექვს ჯგუფად:

<u>პირველ ჯგუფში</u> შემავალ დანაშაულის შემთხვევის გამოკვლევასთან დაკავშირებით საჭიროა დადგინდეს თანამდებობის პირის მოქმედების ან უმოქმედობის ხასიათი, დანაშაულში მხილებული თანამდებობის პირის მიერ ხომ არაა დატოვებული დანაშაულის ჩადენის კვალი ხელნაწერების, შემოწმების აქტებისა და სხვათა სახით; დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის დადგენა განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევებში, როცა გამოსაძიებელია კონკრეტული სახის თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის რამოდენიმე ეპიზოდი.

იმ შემთხვევაში, როცა სათანადო სიზუსტით ვერ დგინდება დანაშაულის ჩადენის დრო, საჭიროა დამატებით გაირკვეს, თუ როდის გახდა ცნობილი წარმოება-დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის ან შესაბამისი ზემდგომი ორგანოებისათვის მომხდარი დანაშაულის შესახებ და მაშინვე იქნა თუ არა, მათ მიერ გაკეთებული განცხადება შესა-

ბამის ორგანოებში და დროის რა მონაკვეთი შეიძლება გასულიყო დანაშაულის ჩადენიდან მის გამომჟღავნებამდე.

დანაშაულის ჩადენის ადგილი, მთელ რიგ შემთხვევებში, ემთხვევა მისი ჩამდენი თანამდებობის პირის სამუშაო ადგილს. თუ იგი იმხილება რამოდენიმე სახის თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ უნდა დადგინდეს ყველა ამ დანაშაულებრივი ფაქტის ჩადენის ადგილიც.

<u>მეორე ჯგუფში</u> შემავალი საკითხების გამოკვლევასთან დაკავშირებით საჭიროა დადგინდეს დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირი აღჭურვილია თუ არა კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობებით და მისი ეს უფლებამოსილება მოწესრიგებული იყო თუ არა რაიმე იურიდიული აქტით.

საგამოძიებო პრაქტიკაში ზოგჯერ ამ გარემოებას სრულყოფილად არ იკვლევენ და თანამდებობრივი დანაშულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ არათანამდებობის პირებს — მზარეულებს, მეკუჭნავეებს, მოლარეებს, მებუფეტეებს და მაღაზიის გამყიდველებს, რაც არასწორია.

ამ ჯგუფში შემავალ გარემოებათა გამოკვლევისას საჭიროა დადგინდეს აგრეთვე ის, თუ რა დროიდან და რა სახის თანამდებობა ეკავა მას დანაშაულის ჩადენის დროს; თანამდებობის პირის როგორ საქმიანობასთანაა დაკავშირებული მის მიერ ჩადენილი დანაშაული: პროფესიონალურ მოუმზადებლობასთან, მუშაობის გამოუცდელობასთან, დაბალ განათლებასა თუ უპასუხისმგებლობასთან, მის ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასთან თუ პიროვნებისათვის დამახასიათებელ სხვა რაიმე გარემოებასთან. აგრეთვე ის, თუ როგორი იყო თანამდებობის პირის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. ხომ არ იყო მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედობა გამოწვეული სამსახურებრივი აუცილებლობით, სამეურნეო მიზანშეწონილებით ან უკიდურესი აუცილებლობით, წარმოება-დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცრუ ინტერესებით, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით; შეეძლო თუ არა მას პირადად ან სხვა თანამდებობის პირთა დახმარებით თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა, შეგნებული ჰქონდა თუ არა თავისი მოქმედების (უმოქმედობის) კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და იცოდა თუ არა, რომ მის ასეთ ქმედობას მოჰყვებოდა მავნე შედეგები და როგორი იყო მისი დამოკიდებულება მოსალოდნელი ან დამდგარი საზოგადოებრივად საშიში

შედეგის მიმართ. შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს აგრეთვე ბრალდებულის მიერ წამოყენებული ვერსიები.

<u>მესამე ჯგუფში</u> შემავალი საკითხების ირგვლივ საჭიროა დადგინდეს ის გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე. კერძოდ, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; ბრალდებულის პიროვნება, მისი შრომისა და დასვენების პირობები, ადრეც ხომ არ ჰქონდა მას ჩადენილი მსგავსი დანაშაულებრივი ქმედობა; როგორ ასრულებდა იგი მასზე სამსახურებრივად დაკისრებულ მოვალეობას, ხომ არ ატარებდა მისი მოქმედებები მოჩვენებით აქტიურ ხასიათს; სამსახურებრივ მოვალეობას ხომ არ ასრულებდა დაუდევრად, ხომ არ არღვევდა შრომის დისციპლინას, ხომ არ ცხადდებოდა სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში, თანამშრომლების მიმართ ხომ არ იქცეოდა უხეშად, სამსახურებრივ მდგომარეობას ხომ არ იყენებდა ბოროტად, როგორ იქცეოდა სამსახურში, სახლში და თავის მეგობრებთან რესტორანში, კაფეებში ან სხვა ადგილებში.

<u>მეოთხე ჯგუფში</u> შემავალი, დანაშაულით მიყენებული ზიანის ხასიათისა და ოდენობის, გარემოებების გამოკვლევისას ჯერ ერთი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ამ გარემოების დადგენა საჭირო და აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიებისას და, მეორეც ის, რომ მიყენებული ზიანის ხასიათისა და ოდენობის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ დანაშაულთა იურიდიული შემადგენლობის არსებობის საკითხის გასარკვევად, არამედ მათი კვალიფიკაციის თვალსაზრისითაც. საჭიროა გაირკვეს და დადგინდეს ისიც, თუ კონკრეტულად ვის მიადგა ზიანი — სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. აგრეთვე ისიც, თუ თავისი შედეგით როგორი ხასიათისაა მიყენებული ზიანი არსებითი, მნიშვნელოვანი, თუ განსაკუთრებით მძიმე.

თუ თანამდებობის პირის ასეთ მოქმედებას მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მატერიალური გამორჩენის მიღების ხელიდან გაშვება, მაშინ უნდა გაირკვეს აგრეთვე ისიც, თუ რაში გამოიხატა იგი და რა რაოდენობით. საჭიროა დადგინდეს აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი.

დასადგენ გარემოებათა მეხუთე ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები, რომელთა დადგენა-გამოკვლევაში ხელს გვიწყობს თვითონ თანამდებობრივ დანაშაულთა იურიდიული შემადგენლობის სწორი ანალიზი და მასზე გამოძიებით დასადგენ გარემოებათა სრული ამომწურავი გამოკვლევა.

მეექვსე ჯგუფში შემავალი საკითხებიდან გამოძიებით აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილ მოქმედებასა (უმოქმედობასა) და საზოგადოებრივად საშიშ დამდგარ მავნე შედეგს შორის. სამწუხაროდ, ამ გარემოების დადგენას, როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, ზოგჯერ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, რაც თავის მხრივ იწვევს ინკრიმინირებული დანაშაულისათვის თანამდებობის პირთა უმართებულო დევნასა და მათ უკანონო მსჯავრდებას.

ზემოაღნიშნული ზოგადი ანუ საერთო ხასიათის გარემოებების გარდა აუცილებელია დადგინდეს აგრეთვე ცალკეული სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი სპეციფიკური გარემოებებიც. მაგალითად, დაუდევრობის საქმეების გამოძიებისას საჭიროა დადგინდეს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა მოცემული თანამდებობის პირის დანაშაულებრივი დაუდევრობა — მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება და სხვ. ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამოძიებისას აუცილებელია დადგინდეს მისთვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური გარემოებები, როგორიცაა: რა სახითა და რა ფორმით იქნა ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების გადამეტება და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი; იმ მოქმედების შესრულება, რაშიც გადაამეტა თავისი უფლებამოსილება, შედიოდა თუ არა მის კომპეტენციაში თუ სხვა მის შემდგომ თანამდებობის პირის უფლება-მოსილებაში, სხვა უწყების თანამდებობის პირის კომპეტენციაში ან ხომ არ გამოიხატა იგი ისეთი საკითხის გადაწყვეტაში, რაც უნდა გადაწყვეტილიყო არა ერთპიროვნულად, არამედ კოლეგიალურად, კოლეგიალური ორგანოს მიერ, ან ხომ არ ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომლის ჩადენის უფლება არც ერთ თანამდებობის პირს არა აქვს, ან ხომ არ იქნა მის მიერ ჩადენილი ისეთი მოქმედება, რომლის

შესრულების უფლება აქვს სხვა კატეგორიის თანამდებობის პირს ან ისეთი მოქმედება, რომლის შესრულება მას სხვა კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლო, მაგრამ არა მოცემულ გარემოებებსა და პირობებში. მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენელი მილიციის მუშაკის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ისეთ პირობებში, როცა მისი გამოყენება აუცილებელი არ იყო. ასევე საჭიროა გაირკვეს თანამდებობის პირის ასეთ დანაშაულებრივ ქმედობას თან ხომ არ სდევდა პიროვნების მიმართ ძალადობის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედების ჩადენა და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი; ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი იყო მის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მისი შესრულების დროს თუ მის გარეთ და სხვ.

გამოძიებით დასადგენი ზემოაღნიშნული გარემოებები არ შეიძლება ერთიმეორისაგან იზოლირებულად იქნეს განხილული, რადგან ისინი ურთიერთ მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთი ჯგუფის გარემოებათა გამოკვლევის დროს დადგენილი ფაქტები და მათ საფუძველზე გამომძიებლის მიერ გაკეთებული დასკვნები თავის მხრივ ავსებენ, ხელს უწყობენ და სრულყოფილს ხდიან მეორე ჯგუფის გარემოებათა გამოკვლევას. უფრო მეტიც, გამოძიებით დასადგენი თითოეული ფაქტი, თითოეული გარემოება, ერთიმეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული და, მთელ რიგ შემთხვევებში, ერთიმეორისაგან გამომდინარეობენ. ამიტომ საჭიროა მათი გამოკვლევა-დადგენა მოხდეს ურთიერთ მჭიდრო კავშირში, გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით.

როგორც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კატეგორიის საქმეების, გამოძიებისა და სასამართლოში საქმეების განხილვის დროს ზოგჯერ არაჯეროვან ყურადღებას აქცევენ პირის სამსახურებრივი ფუნქციების შესწავლა-გამოკვლევას და არ ადგენენ მოცემული პირი შეიძლება ყოფილიყო თუ არა ამ კატეგორიის დანაშაულის სუბიექტი, რა იყო დანაშაულის ჩადენის მიზანი და მოტივი, მოყვა თუ არა მის მოქმედებას (უმოქმედობას) არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი, რა რაოდენობისა და რა სახით. ყოველივე ეს კი სხვა გარემოებებთან ერთად, იწვევს განაჩენის გაუქმებას, საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებას.

§4. საგამოძიებო მოქმედებანი და მათი ჩატარების თავისებურება

გამოძიებით დასადგენი ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევისა და საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა შეკრებისათვის რეკომენდირებულია ჩატარდეს დოკუმენტებისა და სხვა ობიექტების დათვალიერება, თუ იგი მასალების წინასწარი შემოწმებისა და საქმის აღძვრის მომენტში არ იყო ჩატარებული; მოწმის დაკითხვა; ჩხრეკა და ამოღება; საბუღალტრო, სასაქონლო ან კრიმინალისტიკური სახის ექსპერტიზების დანიშვნა; დაპირისპირება; ამოსაცნობად წარდგენა; საგამოძიებო ექსპერიმენტი და ჩვენების ადგილზე შემოწმება; ბრალდებულის დაკითხვა.

<u>დოკუმენტების დათვალიერების</u> მიზანია მოძებნილი და ამოღებული იქნეს თანამდებობის პირის სამსახურებრივი ფუნქციების ამსახველი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც მიუთითებენ თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედობის ჩადენაზე. კერძოდ, მის მიერ გაცემული უკანონო ბრძანებები და განკარგულებები; მის ანგარებასა ან სხვა პირად მოტივზე მიმთითებელი მიმოწერები; მასალები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის კვალის დაფარვის ხერხებზე, ფულადი სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების დროებით უკანონოდ პირადი საჭიროებისამებრ გამოყენებაზე; უსაქონლო ოპერაციებისათვის გაცემული ზედდებულებები; თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტებაზე მიმთითებელი მასალები და სხვ., რომელთა დროული აღმოჩენა და გამოკვლევა გარკვეულად უწყობს ხელს გამოძიების სწორად წარმართვას და უფრო ეფექტური ხერხებისა და გამოძიების მეთოდების შერჩევა-გამოყენებას.

დოკუმენტების დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მიზანშეწონილია მოწვეული იქნეს სპეციალისტი და გამოყენებული იყოს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

<u>მოწმის დაკითხვა,</u> მოცემული კატეგორიის საქმეებზე, ერთერთი რთული საგამოძიებო მოქმედებაა. მის სირთულეს განაპირობებს ის, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მოწმე დაინტერესებულია გამოსაძიებელი საქმის შემდგომი ბედით, რომ მას არ სურს თანამდებობის პირთან გაირთულოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა და სხვ. ამიტომ ამ კატეგორიის

დანაშაულთა ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ეტაპზეც უნდა მოხდეს საქმეზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა შერჩევა.

საქმეზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა წრე, მიღებული ინფორმაციის ან მათგან მოსალოდნელი მისაღები ინფორმაციის ხასიათის შესაბამისად, რეკომენდირებულია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება პირები, რომლებმაც სათანადო ორგანოებს მიაწოდეს ინფორმაცია მოცემული თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედებით ან უმოქმედობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის არსებითი, მნიშვნელოვანი ან განსაკუთრებით მძიმე შედეგის დადგომის შესახებ; მეორე ჯგუფს — პირები, რომლებიც კარგად იცნობენ და საფუძვლიანად ერკვევიან მოცემული თანამდებობის პირის პროფესიონალურ საქმიანობას და შეუძლიათ საქმეზე მისცენ სწორი, ამომწურავი ჩვენება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულ თანამდებობის პირის დანაშაულებრივ საქმიანობაზე. ამ პირებს მიეკუთვნებიან იმ საწარმო-დაწესებულებებში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მომუშავე ბუღალტერიის მუშაკები, ეკონომისტები და სხვ., რომელშიც მუშაობდა და საქმიანობდა ბრალდებული; მესამე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს პირები, რომლებმაც იციან ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ ან უშუალოდ თვითონ მათ განიცადეს ზიანი პასუხისგებაში მიცემული თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით; მეოთხე ჯგუფს — ის თანამდებობის პირები, რომლებსაც სამსახურებრივად ევალებოდათ ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა იმ საწარმო-დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე, რომელშიც მუშაობდა ბრალდებული; მეხუთე ჯგუფს — პირები, რომლებიც ახლო ნათესაურ ან ნაცნობ მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ თანამდებობის პირთან.

მეოთხე და მეხუთე ჯგუფს მიკუთვნებული პირების დაკითხვის შედეგად შეიძლება გაირკვეს, თუ როდის გახდა მათთვის ცნობილი მოცემული თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედების (უმოქმედობის) ჩადენა და მიიღეს თუ არა მის აღსაკვეთად რაიმე ღონისძიება, რა სახის და როდის, როგორი დამოკიდებულება იყო მათ შორის და სხვ.

ტაქტიკური თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ჯერ დაიკითხონ პირველ და მეორე ჯგუფში შემავალი პირები, შემდეგ კი მომდევნო ჯგუფებს მიკუთვნებული მოწმეები.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა დამატებით მოძიებული და ამოღებული იქნეს მოცემული თანამდებობის პირის დანაშაულებრივ ქმედობაზე მიმთითებელი ის გადამალული ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთები და დამატებითი მტკიცებები, რომელთა შესახებაც გამოძიებას აქვს სათანადო ინფორმაცია. ამ მიზნით შეიძლება ჩატარდეს, როგორც დაკავებული თანამდებობის პირის პირადი ჩხრეკა, ისე მისი საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო ოთახის ჩხრეკა სათანადო პროცესუალური ნორმების დაცვით, დასაშვები ტაქტიკური ხერხებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების სწორად შერჩევა-გამოყენებით.

როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, მოცემული სახის თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიების საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და საკითხების დადგენა-გამოკვლევისათვის, უმეტეს წილად მიმართავენ საბუღალტრო, სასაქონლო, ეკონომიური და კრიმინალისტიკური სახის ექსპერტიზის დანიშვნა-ჩატარებას.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა საქმეზე დაკითხულ პირთა ჩვენებების სისწორის შემოწმება-დადგენა და ახალ მტკიცებულებათა მიღება შემთხვევის ადგილზე მათი გაყვანით, მათგან მიღებული ჩვენების შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტიურ გარემოებებთან შეპირისპირებით. მიღებული შედეგები საჭიროა ფიქსირებული იქნეს ფოტო, კინო ან ვიდეო გადაღებებითა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, რადგან ჩვენების ადგილზე შემოწმება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსით ჯერ კიდევ რეგლამენტირებული არაა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად. რაც შეეხება საგამოძიებო ექსპერიმენტს, როგორც წესი, მის ჩატარებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ცდების წარმოებით დაადგინონ გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ სახის მოქმედების ჩადენის შესაძლებლობა გარკვეული დროის მონაკვეთში ან დამდგარი (ან მოსალოდნელი) საზოგადოებრივად საშიში მავნე შედეგის (არსებითი, მნიშვნელოვანი ზიანის

ან განსაკუთრებით მძიმე შედეგის) დადგომის თავიდან აცილების შესაძლებლობის საკითხის გასარკვევად. იგი შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე ხილვადობის, სმენადობის და სხვა საკითხების დასადგენად.

დაპირისპირების ჩატარებას მიმართავენ მაშინ, როცა საქმეზე დაკითხულ პირთა ჩვენებებში არსებობს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა და მისი ახსნისათვის საჭიროა მათი ურთიერთ დაპირისპირება. ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უფრო ხშირად მიმართავენ მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის ურთიერთ დაპირისპირებას მათ ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობათა ასახსნელად.

ამოსაცნობად წარდგენას ატარებენ მაშინ, როცა დანაშაულში მხილებულ თანამდებობის პირის დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენაზე მიუთითებს დანაშაულებრივი შემთხვევის უშუალო მნახველი გარეშე პირი და მიუთითებს იმ თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლითაც მას შეუძლია მისი ამოცნობა.

ისევე როგორც სხვა, ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებისას, აქაც ერთ-ერთი რთული საგამოძიებო მოქმედებაა ბრალდებულის დაკითხვა, რომელიც გამომძიებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ მომზადებას, საქმის მასალების სრულ შესწავლას, დაკითხვის საგნის განსაზღვრას, საქმეზე შეკრებილი მტკიცებების მომარჯვებას და, საჭიროების შემთხვევაში, დაკითხვის პროცესში მათი წარდგენის ტაქტიკის შერჩევას შექმნილი რთული საგამოძიებო სიტუაციის გათვალისწინებით. ამ მოქმედების მოსამზადებელ ეტაპზე გამომძიებელმა გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატაროს აგრეთვე დასაკითხ ბრალდებულთან სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მის დაკითხვას ახდენს განმეორებით ან დამატებითი სახით.

გამოსაძიებელ საქმეზე ჩატარებულ ზემოაღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებათა ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული გამომძიებლის მომზადებულობაზე, მის პროფესიონალურ ოსტატობაზე, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების სწორ, თანმიმდევრულ შერჩევა-გამოყენებაზე, გამოძიების ყველა ეტაპზე შექმნილი მარტივი და რთული საგამოძიებო სიტუაციების გათვალისწინებით, მიღებულ მტკიცებულებათა სწორ ანალიზსა და შეფასებაზე.

II. ფორმალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიება

§1. მექრთამეობისა და სამსახურებრივი სიყალბის კრიმინალისტიკური დახასიათება

როგორც აღინიშნა, ფორმალური შემადგენლობის თანამდებობრივ დანაშაულს მიეკუთვნება მექრთამეობა (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა) და სამსახურებივი სიყალბე. მატერიალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულისაგან განსხვავებით, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი არაა, რომ თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი ასეთი ქმედობით არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამ დანაშაულისათვის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საკმარისია მხოლოდ ის, რომ თანამდებობის პირის მიერ შესრულებული იქნა კანონში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა. კერძოდ, თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება, ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით რაიმე ქმედობის შესრულების ან შეუსრულებლობისათვის ან მის მიერ სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.

მექრთამეობის ცნება მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამი სახის ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებულ ერთიან დანაშაულს: ქრთამის აღებას, მექრთამეობაში შუამავლობას და ქრთამის მიცემას. აქედან ქრთამის აღების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის სუბიექტი კი როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით საჭიროა ვიცოდეთ, რომ მექრთამეობა შეიძლება იყოს მარტივი და რთული სახის. მარტივს მიეკუთვნება თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება. ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ისეთი მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც მას, როგორც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამ

სახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. რთული სახის მექრთამეობას კი ადგილი აქვს მაშინ, როცა იგი ჩადენილია ისეთ დამამძიმებელ გარემოებებში, როგორიცაა: ქრთამის აღება პირთა ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით; ქრთამის აღება არა ერთხელ; ქრთამის გამოძალვა; ქრთამის აღება დიდი ოდენობით; ქრთამის აღება პასუხსაგები მდგომარეობის მქონე თანამდებობის პირის მიერ; ქრთამის აღება მექრთამეობისათვის ადრე სამართალში ნამყოფი პირის მიერ; ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ასევე მიჩნეულია ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა არაერთხელ; ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა მექრთამეობისათვის ადრე სამართალში ნამყოფი პირის მიერ და აგრეთვე მექრთამეობაში შუამავლობა იმ პირის მიერ, რომელმაც ამისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა.

მექრთამეობის კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის ზემოაღნიშნულ გარემოებათა ცოდნა საჭირო და აუცილებელია იმითაც, რომ გამოძიების პროცესში თითოეული მათგანის დადგენა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია მექრთამეობის ჩადენის მექანიზმი, რომელიც თავისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიძლება რამოდენიმე მიმართებით იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული. კერძოდ, ქრთამის მიცემა-აღება თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის კანონიერი ან უკანონო მოქმედების შესრულებაში, ქრთამის მიცემა-აღება თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიმცემი პირის ინტერესებისათვის გარკვეული მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებამდე ან მისი შესრულების შემდეგ; ქრთამის მიცემა-აღება პირადად, შუამავლის გარეშე; ქრთამის მიცემა-აღება შუამავლის ან თავისი ახლობელი ნათესავების ან ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით; ქრთამის მიცემა-აღება თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. ამასთან, მექრთამეობის შენიღბული ფორმებიდან აღსანიშნავია: ქრთამის მიცემა-აღება სესხის სახით, ვალის პატიებით, თანამდებობის პირთა რაიმე სახის აზარტულ თამაშში ფულის ან სხვა რაიმე მატერიალური ღირებულების მქონე საგნის განგებ წაგებით, ძვირფასი საგნის შედარებით ნაკლები ღირებულების მქონე ნივთში გადაცვლით, "მაღარიჩის", "ჩუქების", ხელშეკრულე-

ბით დადებულ ფიქტიურად შესრულებულ სამუშაოში თანამდებობის პირისათვის გასამრჯელოს, ხელფასის, ჯილდოს ან პრემიის სახით ფულის გაცემით ან დასაჩუქრებით. გარდა ამისა ქრთამის მიცემა-აღება შეიძლება ატარებდეს როგორც დროებითს ანუ ერთჯერად სახეს, ისე სისტემატიურ ხასიათს. იგი შეიძლება ჩადენილი იქნეს აგრეთვე დოკუმენტების გაყალბებით და სხვ.

მექრთამეობის გახსნა მეტად რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ სხვადასხვა სახის შენიღბული ფორმებით. მის გახსნას ართულებს ისიც, რომ ამ დანაშაულის კვალის დაფარვით, უმეტეს შემთხვევაში, დაინტერესებულია მასში მონაწილე ყველა პირი (ქრთამის მიმცემი და მექრთამეობაში შუამავალი, აგრეთვე ქრთამის მიცემა-აღებაში წამქეზებელი). მექრთამეობის გახსნის გამარტივების მიზნით კანონი უშვებს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ორ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ იმას, რომ ქრთამის მიმცემი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან, თუ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას, ან თუ მან ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ.

ქრთამის საგანი, როგორც წესი, შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური ღირებულების მქონე ნივთები ან რაიმე ქონებრივი ხასიათის გამორჩენა, კერძოდ: ფული, პირადი და საოჯახო მომსახურების საგნები, პროდუქტები, სამშენებლო მასალა, ფასიანი ქაღალდები: სერტიფიკატები, ობლიგაციები, ლატარიის მომგებიანი ბილეთები, დასასვენებელი სახლის ან სანატორიუმის საგზურები; გარკვეული სანახაობების ფასიანი აბონემენტები, თვითმფრინავით, მატარებლით ან გემით მგზავრობის ბილეთები; მატერიალური სახის მომსახურება: ტანსაცმლის შეკერვა, ოთახის ან ავტომანქანის უფასოდ შეკეთება, ბინის უკანონოდ მიღება და სხვ.

სამსახურებრივი სიყალბე შეიძლება ჩადენილი იქნეს თანამდებობის პირის მიერ ოფიციალურ დოკუმენტებში ან დავთრებში შეგნებულად ყალბი ცნობების ან ყალბი ჩანაწერების შეტანაში, შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენა-გაცემაში, ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში სიყალბის გაკეთებაში, ამოშლაში ან სხვა რიცხვით მათ დათარიღებაში, თუ იგი ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.

§2. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

ფორმალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივ დანაშაულებრივ ფაქტებზე შემოსული მასალების წინასწარი შემოწმების გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სწორი, დასაბუთებული გადაწყვეტა. შემოსული მასალების შემოწმების მიზანია არა დამნაშავე პირთა დადგენა, არამედ საქმის აღძვრისათვის საჭირო საფუძვლის არსებობის ან არ არსებობის გარკვევა და ამით დამნაშავე პირთა შემდგომი მხილება და დანაშაულის თავიდან აცილებისათვის სათანადო ღონისძიებების დასახვა. მის სწორად ჩატარებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საქმის აღძვრის შემდეგ საგამოძიებო ვერსიების აგების და გამოძიების დაგეგმვისა და საქმეზე ჩასატარებელ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ტაქტიკის სწორად განსაზღვრისათვის.

ამ დანაშაულებრივ ფაქტებზე მიმთითებელი პირველადი მასალების შემოწმების ორგანიზაცია, როგორც წესი, უნდა მოხდეს საქმის აღძვრამდე, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გარეშე. აქედან გამონაკლისია მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამგვარი მასალების წინასწარი შემოწმება რეკომენდირებულია მოხდეს მასალების ადგილზე შემოწმებით; საჭირო ცნობებისა და დამატებითი მასალების გამოთხოვით; სამსახურებრივი სიყალბისა და მექრთამეობის ფაქტების შემტყობინებელ პირებთან გასაუბრებით და მათგან სათანადო ახსნა-განმარტებების მიღებით. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ რევიზიის ან სათანადო შემოწმების ჩატარებით და საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარებით.

თუ პირველადი მასალების შემოწმების გზით მიღებული მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ მოცემული სახის ქმედობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და იგი შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაშინ ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე დაუყოვნებლად უნდა იქნეს გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საქმის წარმოებაში მიღების შესახებ.

§3. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა

საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის გამომძიებელს უკვე ხელთა აქვს ისეთი ფაქტიური მონაცემები, რომელთა საფუძველზე მას

შეუძლია ააგოს საგამოძიებო ვერსიები, განსაზღვროს გამოძიებით დასადგენი გარემოებები და მის საფუძველზე შეადგინოს საგამოძიებო გეგმა.

საგამოძიებო გეგმა რეკომენდირებულია შედგენილი იქნეს როგორც მთლიანად გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ფაქტზე ეგრეთ წოდებული საერთო გეგმის სახით, ასევე დანაშაულის ცალკეულ ეპიზოდებსა და საგამოძიებო მოქმედებებზე.

გამოძიების გეგმა იცვლება გამოძიების პროცესის განვითარებისა და მასზე წამოყენებული ახალი ვერსიების შესაბამისად. მისი განვითარების ეს ერთიანი პროცესი პირობით შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად საფეხურებად: 1. ზოგადი ანუ საერთო ვერსიების აგება; 2. გამოძიებით დასადგენი საკითხების წრის განსაზღვრა. 3. გამოძიებით გადასაწყვეტი საკითხებისა და დასადგენი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის მიზნით საქმეზე ჩასატარებელი პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსაზღვრა; 4. ამ მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკისა და ვადების განსაზღვრა; 5. მიღებული მონაცემების ანალიზი და მის საფუძველზე ახალი კერძო და დეტალური სახის ვერსიების აგება; 6. ამ ვერსიების შემოწმების მიზნით საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებების ტაქტიკის განსაზღვრა; 7. მიღებული მონაცემების ანალიზი და შეფასება; 8. დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა და მათი რეალიზაცია.

გამოძიების პირველსავე ეტაპზე მიღებული ფაქტიური მონაცემების საფუძველზე ქრთამის მიცემა-აღების შესახებ შეიძლება წამოყენებული იქნეს შემდეგი სახის ზოგადი ვერსიები: 1. ქრთამის მიცემა-აღებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი საქმეზე შეკრებილი მონაცემების მიხედვით მითითებულ გარემოებაში; 2. ქრთამის მიცემა-აღებას ადგილი არ ჰქონია, მიღებული მონაცემები ცილისმწამებლური ხასიათისაა და იგი მიმართულია მოცემული თანამდებობის პირის დისკრედიტაციისაკენ, რადგან ამ უკანასკნელმა უარი თქვა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ უკანონო მოქმედების შესრულებაზე; 3. თანამდებობის პირმა ნამდვილად მიიღო მატერიალური ფასეულობა დაინტერესებული პირისაგან, მაგრამ მას სამსახურებრივად მის სასარგებლოდ არავითარი მოქმედება არ შეუსრულებია და იგი მიიღო ვალის უკან დაბრუნების ან სესხის სახით გარკვეული საჭიროებისათ-

ვის; 4. თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ნამდვილად შეასრულა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ გარკვეული კანონიერი მოქმედება ან უმოქმედობა, მაგრამ მას ამისათვის დაინტერესებული ან სხვა პირისაგან არავითარი მატერიალური გამორჩენა არ მიუღია; 5. თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ნამდვილად შეასრულა უკანონო მოქმედება დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, მაგრამ ამაში მისთვის ქრთამი არავის მიუცია და არავითარი მატერიალური გამორჩენა არ მიუღია; 6. დაინტერესებულმა პირმა შეცდომით ნამდვილად გადასცა მატერიალური ფასეულობა, მაგრამ არა თანამდებობის პირს, არამედ სხვას, მისთვის მორჩენებით თანამდებობის პირს; 7. დაინტერესებულმა პირმა ქრთამის სახით ნამდვილად გადასცა მატერიალური ფასეულობა მექრთამეობაში მორჩენებით შუამავალ პირს, მაგრამ ამ უკანასკნელს იგი თანამდებობის პირისათვის არ გადაუცია და სხვ.

სამსახურებრივი სიყალბის საქმეებზე ასევე შეიძლება წამოყენებული იქნეს ვერსიები მისი ახსნის შესახებ. კერძოდ: 1. თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით ნამდვილად ჰქონდა ადგილი შეგნებულად ყალბი ცნობის შედგენას, მის გაცემას ან ყალბი ჩანაწერების შეტანას ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში. 2. თანამდებობის პირის მიერ ყალბი ცნობის შედგენას, მის გაცემას ან ყალბი ჩანაწერების შეტანას ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში ადგილი არ ჰქონია; 3. თანამდებობის პირის მიერ ნამდვილად ჰქონდა ადგილი შეგნებულად ყალბი ცნობის შედგენას, მის გაცემას ან ყალბი ჩანაწერების შეტანას ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში, მაგრამ არა ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით და სხვ.

ზემოაღნიშნული ზოგადი ვერსიების შემოწმების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე კვლავ შეიძლება წამოყენებული იქნეს კერძო ვერსიები დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტებისა და გამოძიებით საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა ახსნის შესახებ.

საქმეზე წამოყენებული ვერსიების სრული, ყოველმხრივი შემოწმებისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მექრთამეობის საქმეებზე რეკომენდირებულია ამომწურავი პასუხი იქნეს გაცემული შემდეგ კითხვებზე: 1. სად, როდის და რა გარემოებაში მოხდა ქრთამის მიცემა-აღება; 2. ქრთამი გადაეცა უშუალოდ თანამდებობის პირს, მექრთამეობაში შუამავალს თუ მორჩენებით თანამდებობის პირს ან სხვა პირს მისი სახელით;

3. ვინ გადასცა ქრთამი თანამდებობის პირს და ამ ფაქტს ესწრებოდა თუ არა კიდევ სხვა ვინმე; 4. რა იყო უშუალოდ ქრთამის მიცემა-აღების საგანი და რა ნიშნებით ხასიათდებოდა იგი; 5. რაში გამოიხატა ქრთამის მიცემა-აღების კვალის დაფარვის ხერხები; 6. ვინ და რამდენმა პირმა მიიღო მონაწილეობა მექრთამეობაში; 7. როგორია ამ მოქმედების (უმოქმედობის) შესრულების წესი, რომლის შესრულებითაც დაინტერესებული იყო ქრთამის მიმცემი; 8. როგორია ქრთამის ამღები თანამდებობის პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების წრე და მოქმედებათა ხასიათი; 9. შეეძლო თუ არა თანამდებობის პირს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შეესრულებინა საჭირო მოქმედება ან უმოქმედობა; 10. კონკრეტულად რაში გამოიხატა თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება; 11. ქრთამის მიცემა-აღება ხომ არ იყო დაკავშირებული სახელმწიფო ქონების დატაცებასთან ან სხვა სახის დანაშაულთან; 12. როგორია მექრთამეობაში მონაწილე პირთა ურთიერთ დამოკიდებულება და იყო თუ არა მათ შორის ქრთამის მიცემა-აღებაზე წინასწარი შეთანხმება და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი; 13. როგორ ხასიათდებიან მექრთამეობაში მონაწილე პირები (ხომ არ იყვნენ ისინი ან რომელიმე მათგანი ადრე პასუხისგებაში ნამყოფი მექრთამეობისათვის ან სხვა სახის დანაშაულისათვის); 14. უშუალოდ რაში გამოიხატა მექრთამეობაში მონაწილე თითოეული პირის დანაშაულებრივი ქმედობა; 15. რა მიზანი და მოტივი ამოძრავებდათ მექრთამეობაში მონაწილე პირებს; 16. როგორ ხასიათდებიან მექრთამეობაში მონაწილე პირები, რა არის მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; 17. ჰქონდა თუ არა ადგილი ქრთამის მიმცემი პირის ნებაყოფლობით განცხადებას ქრთამის მიცემის შესახებ; 18. ჰქონდა თუ არა ადგილი ქრთამის გამოძალვას და თუ ჰქონდა, უშუალოდ რაში გამოიხატა იგი; 19. ჰქონდა თუ არა ადგილი რამოდენიმეჯერ ქრთამის მიცემას ან მექრთამეობაში შუამავლობას; 20. სისტემატიურად აწარმოებდა ქრთამის აღებას მექრთამეობაში მხილებული თანამდებობის პირი, თუ პირველად ჩაიდინა იგი; 21. სამსახურებრივად რა უფლება-მოვალეობებით იყო აღჭურვილი ქრთამის ამღები თანამდებობის პირი; 22. ქრთამის ამღებ თანამდებობის პირს სამსახურებრივად ეკავა თუ არა პასუხსაგები მდგომარეობა და თუ ეკავა, რაში გამოიხატა იგი; 23. ქრთამის აღება ხომ არ

ოყო ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ; 24. რა ღირებულების ან რა რაოდენობით იქნა აღებული ქრთამი, ხომ არ ჰქონდა ადგილი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მიცემა-აღებას; 25. ხომ არ ჰქონდა ადგილი ქრთამის აღებას განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში და თუ ჰქონდა, რაში გამოიხატა იგი; 26. ხომ არ ჰქონდა ადგილი მექრთამეობაში შუამავალი პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას; 27. ქრთამის სახით რა ღირებულების მქონე ნივთი ან რა სახის მატერიალური გამორჩენა მიიღო თანამდებობის პირმა; 28. მიიღო თუ არა მატერიალური გამორჩენა მექრთამეობაში შუამავალმა პირმა და რა სახით და რა ღირებულებით; 29. უშუალოდ ვისი ინტერესებისათვის მოქმედებდა ქრთამის მიმცემი ქრთამის გადაცემისას (საკუთარი თუ სხვა პირადი ინტერესებისათვის); 30. ხომ არ მოქმედებდა ქრთამის მიმცემი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცრუ ინტერესებისათვის; 31. ვინაა მექრთამეობაში მხილებული ჯგუფის მთავარი ორგანიზატორი; 32. თანამდებობის პირმა ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის რა სახის ქმედობის — კანონიერი თუ უკანონო მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში აიღო ქრთამი; 33. ჰქონდა თუ არა ადგილი სხვა პირის მიერ ქრთამის მიცემა-აღების წაქეზებას და უშუალოდ რაში გამოიხატა იგი; 34. რა იყო უშუალოდ მექრთამეობის ჩადენის მიზეზი და მისი ხელშემწყობი გარემოება; 35. ჰქონდა თუ არა ადგილი მექრთამეობის განუცხადებლობას ან წინასწარ შეპირებულ დაფარვას და სხვ.

სამსახურებრივი სიყალბის საქმეების გამოძიებისას საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს დანაშაულის ჩადენის ხერხებს, პირის ბრალეულობის მოტივს, მიზანს და სხვა გარემოებებს. აქ მთავარია იმის გარკვევა, რომ მოცემული თანამდებობის პირის მიერ ადგილი ჰქონდა თუ არა შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენას ან გაცემას, ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში სიყალბის გაკეთებას, ამოშლას ან სხვა რიცხვით მათ დათარიღებას. ამასთან აუცილებელია გაირკვეს, რომ თანამდებობის პირის მიერ ამ ოფიციალურ დოკუმენტებში სიყალბის შეტანა ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით.

ზემოაღნიშნულის გარდა საჭიროა აგრეთვე დადგინდეს ეს გაყალბებული დოკუმენტი სახელმწიფო საწარმო-დაწესებულების ან საზოგადოე-

ბრივი ორგანიზაციის კუთვნილებაა თუ არა, ან არის თუ არა იგი კერძო, მაგრამ რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი. მაგრამ ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თანამდებობის პირი ნებისმიერი კერძო დოკუმენტის გაყალბებისათვისაც იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული.

მოცემული კატეგორიის საქმეებზე გამოძიებით დასადგენ ზემოაღნიშნულ გარემოებათა წრის ესოდენ ფართო ჩამოთვლის მიუხედავად, იგი მაინც არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს. საკითხების ეს წრე დანაშაულის ჩადენის ხერხების გათვალისწინებით, შეიძლება შემცირდეს, ან კიდევ უფრო გაფართოვდეს და საქმის სასამართლოში განხილვის დროს შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა ისეთი საკითხების დადგენის აუცილებლობით, რომელთა გარეშე არ შეიძლება საქმე ჩაითვალოს სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლეულად.

§4. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა

მოცემული სახის დანაშაულთა გამოძიების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ საქმეზე, შეუძლებელია ტაქტიკური თვალსაზრისით წინასწარ განისაზღვროს და დადგინდეს გადაუდებელ პირველად საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სავალდებულო თანმიმდევრობა. მათი განსაზღვრა და ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფაქტიური მონაცემები აქვს გამომძიებელს საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების მომენტისათვის. მაგალითად, თუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი იყო მოქალაქის ნებაყოფლობითი განცხადება ქრთამის მიცემის, ან მის მიმართ ქრთამის გამოძალვის შესახებ, მაშინ მიზანშეწონილია პირველ რიგში მოხდეს ამ განმცხადებელი პირის დაკითხვა. ხოლო თუ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალო გამომჟღავნების საფუძველზე, მაშინ უფრო სწორი იქნება თუ პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების სახით ჩატარდება მექრთამეობაში მხილებულ პირთა დაკავება და მათი პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკა.

ვინაიდან საგამოძიებო პრაქტიკის მონაცემების მიხედვით მექრთამეობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე უმეტეს შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად გვევლინება მოქალაქეთა განცხადება,

ამიტომ მიზანშეწონილია ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების მეთოდიკა დაწყებული იქნეს მოწმის დაკითხვით.

მოწმის დაკითხვა ერთ-ერთი რთული საგამოძიებო მოქმედებაა და მისი ეფექტურად ჩატარებისათვის საჭიროა გამოძიებელი სათანადოდ მოემზადოს და სწორად განსაზღვროს მათი ჩატარების ტაქტიკა. ამ მიზნით მან წინასწარ უნდა შეარჩიოს საქმეზე მოწმის სახით დასაკითხი პირები, გაითვალისწინოს მათი პიროვნება და გამოსაძიებელი საქმისადმი მათი დამოკიდებულება და ამ ნიშნით მოახდინოს დაკითხვის ტაქტიკის შერჩევა და მათგან მიღებული ჩვენებების სწორი, ობიექტური შეფასება.

მექრთამეობის საქმეებზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა წრე რეკომენდირებულია დაიყოს ოთხ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება პირები, რომელთა მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან ასეთის მცდელობას ან ადრე თვითონ იყვნენ ამ დანაშაულში მონაწილენი ქრთამის მიმცემის სახით და თავიანთი გულწრფელი, ნებაყოფლობითი აღიარებით სურთ ხელი შეუწყონ ჩადენილი დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებას; მეორეს — პირები, რომლებმაც სხვადასხვა გზითა და საშუალებით შეიტყვეს ქრთამის მიცემა-აღების ან მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტის, ან ასეთის მზადების შესახებ, თვითონ არავითარი კავშირი არა აქვთ მასთან და გულწრფელად სურთ წინასწარი გამოძიების ორგანოებს დაეხმარონ დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებაში; მესამეს — პირები, რომლებმაც, მართალია, არაფერი იციან მომხდარი მექრთამეობის ფაქტის შესახებ, მაგრამ შეუძლიათ დაადასტურონ ან უარყონ საქმეზე გამოძიებით დასადგენი რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება. მაგალითად, დაადასტურონ ამა თუ იმ ადგილზე ბრალდებულის ყოფნის ან არ ყოფნის ფაქტი ან მისცენ ჩვენება ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი ჩვევების, მექრთამეობაში მონაწილე პირების ურთიერთდამოკიდებულების, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ და სხვ. მეოთხეს — პირები, რომლებმაც, მართალია, იციან მექრთამეობის ფაქტის ან მის ირგვლივ გამოძიებით დასადგენი გარემოებების შესახებ, მაგრამ მექრთამეობაში მონაწილე პირებთან სამსახურებრივი, ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულების გამო არ სურთ მისცენ დანაშაულში მხილებული თანამდებობის პირის საწინააღმდეგო ჩვენება და

შეგნებულად ცდილობენ ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავებას ან მათთვის ცნობილი ფაქტების განგებ დამახინჯებით გადმოცემას.

საქმეზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად, <u>პირველ ჯგუფს</u> მიკუთვნებულ მოწმეთა დაკითხვისას, როცა განმცხადებელი ნებაყოფლობით აცხადებს მის მიერ ქრთამის გადაცემისა ან მის მიმართ ქრთამის გამოძალვის ან ასეთის მცდელობის შესახებ, მიზანშეწონილია პირველ რიგში გამოკვლეული და დადგენილი იქნეს: სად, როდის, რა გარემოებაში და ვისი თანდასწრებით, რა სახის სამსახურებრივი მოქმედების (უმოქმედობის) შესრულებაში, რა სახით და რაოდენობით მოითხოვა მისგან ქრთამი თანამდებობის პირმა; ქრთამის გადაუცემლობის შემთხვევაში თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით რა სახის მოქმედების (უმოქმედობის) შესრულებით აშინებდა მას ქრთამის ამღები თანამდებობის პირი; ქრთამის გადაცემის ან გადაუცემლობის შემთხვევაში თანამდებობის პირმა შეასრულა თუ არა მისი ინტერესებისათვის ან ინტერესების საწინააღმდეგოდ რაიმე სახის სამსახურებრივი მოქმედება (უმოქმედობა) და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი; სად, როდის, რა გარემოებაში და რა რაოდენობით მოხდა ან უნდა მოხდეს ქრთამის გადაცემა; რა იყო ან რა უნდა ყოფილიყო ქრთამის უშუალო საგანი და რა ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდება იგი; რა არის ან რა იყო ქრთამის მიცემის მიზანი და მოტივი; ვინ იყო ქრთამის მიცემა-აღების ინიციატორი და უშუალოდ რა ფორმაში გამოიხატა თანამდებობის პირის მოთხოვნა ქრთამის მიცემაზე, ქრთამის გამოძალვაზე ან მის მცდელობაზე; სად, როდის, ვისი მეშვეობითა და რა გარემოებაში გაიცნო მან ქრთამის ამღები ან ქრთამის გამომძალველი თანამდებობის პირი და როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო მათ შორის ქრთამის მიცემა-აღების ან ასეთის მცდელობამდე და მის შემდეგ და მის გარდა ვის შეუძლია დაადასტუროს იგი; მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რამ გამოიწვია ქრთამის მიცემა-აღება ან ასეთის მცდელობის ჩადენა და რა იყო მისი ხელშემწყობი გარემოება და სხვ.

<u>მეორე ჯგუფს</u> მიკუთვნებულ მოწმეთა დაკითხვისას პირველ რიგში საჭიროა დაზუსტდეს და დადგინდეს: თუ დასაკითხი პირისათვის სად, როდის, ვისგან და რა გარემოებაში გახდა ცნობილი მოცემული თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა-აღება ან მექრთამეობაში შუამავლობა; რა იცის

ბმან ქრთამის საგნის შესახებ, ნახა თუ არა იგი პირადად და თუ ნახა, რა ნიშნებით ხასიათდებოდა იგი; შეძლებს თუ არა მის მიერ მითითებული ნიშნებით ქრთამის საგნის ამოცნობას; შეუძლია თუ არა მას დაასახელოს სხვა ისეთი პირები, რომლებიც დაადასტურებენ მის ჩვენებას, ან რომელთათვისაც შეიძლება ცნობილი გამხდარიყო ქრთამის მიცემა-აღების ან მექრთამეობაში შუამავლობის ეს ფაქტი; იცნობს თუ არა ქრთამის ამღებ თანამდებობის პირს, ქრთამის მიმცემს, მექრთამეობაში შუამავალს და თუ იცნობს საიდან, როგორ და რა ურთიერთდამოკიდებულებაშია მათთან; როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ქრთამის აღებაში მხილებული თანამდებობის პირი მასთან მომუშავე სხვა პირებთან; როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში იყო ქრთამის მიცემა-აღებამდე და მის შემდეგ ქრთამის მიმცემი და მექრთამეობაში შუამავალი ქრთამის ამღებ თანამდებობის პირთან; იცნობს თუ არა იგი მექრთამეობაში მხილებულ პირთა ამხანაგებსა და მეგობრებს, ვისთან და როგორ ატარებდნენ ისინი თავისუფალ დროს და სხვ.

ზემოაღნიშნულ მოწმეთა დეტალური დაკითხვის შემდეგ უნდა მოხდეს <u>მესამე</u> და <u>მეოთხე ჯგუფებს</u> მიკუთვნებულ პირთა დაკითხვა. განსაკუთრებულ მომზადებასა და მიღებული ჩვენების კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს მეოთხე ჯგუფში შემავალ პირთა დეტალური დაკითხვა. ამ პირთა დაკითხვის დაწყებამდე საჭიროა მომზადებული გვქონდეს საკმაო მონაცემები მათ მიერ ცრუ ჩვენების გამოსამჟღავნებლად, თუკი ისინი შეეცდებიან ასეთი არასწორი ჩვენების მიცემას. დაკითხვის პროცესში მათთან სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად მიზანშეწონილია მათი დაკითხვა მოხდეს ჯერ ისეთ ფაქტების შესახებ, რომლებიც გამოძიებით უკვე მტკიცედაა დადგენილი. ამ სახით მოწმის დაკითხვის დაწყება დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური განწყობის ნიადაგის მოსინჯვის ერთგვარი საშუალებაცაა და თუ იგი ამ გარემოებათა შესახებ არასწორი ჩვენების მიცემას დაიწყებს, საშუალება უნდა მიეცეს დაასრულოს თავისი ჩვენება და მის შემდეგ მხილებული იქნეს იგი ცრუ ჩვენებაში სათანადო მტკიცებულებათა წარდგენით. ცრუ ჩვენებაში მისმა ასეთმა მოულოდნელმა მხილებამ არ შეიძლება სათანადო გარდატეხა არ მოახდინოს მის ფსიქოლოგიურ განწყობაში. დაკითხვის ამ მომენტში მას კვლავ უნდა შეხსენდეს, რომ საჭიროა საქმეზე მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი, ობიექტური ჩვენების მიცემა და რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სისხლის სამართლის

პასუხისგებაში მიეცემა წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემისათვის. ამის შემდეგ უნდა გაგრძელდეს დაკითხვა საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების შესახებ საკითხების სწორი, თანმიმდევრული დასმით და მოხდეს მასზე მიღებული ჩვენების კრიტიკული შეფასება.

<u>მექრთამეობაში მხილებულ პირთა დაკავება.</u> ქრთამის მიცემა-აღების ფაქტზე დაკავების სწორად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმის სწრაფი და სრული გახსნა. ამ ეტაპზე დაშვებული შეცდომის გამოსწორება, მთელ რიგ შემთხვევებში, შეუძლებელია და საქმე შეიძლება გაუხსნელი დარჩეს.

მექრთამეობაში მხილებულ პირთა დაკავება შეიძლება მოხდეს არა მარტო ქრთამის მიცემა-აღების ფაქტზე, არამედ ქრთამის საგნის უკან დაბრუნების დროსაც, როცა თანამდებობის პირმა ვერ შეასრულა ქრთამით შეპირებული სამსახურებრივი ქმედობა და ქრთამის მიმცემს უკანვე უბრუნებს ქრთამის საგანს. დაკავების მოსამზადებელი ორგანიზაციული ღონისძიების ხასიათი უნდა გამომდინარეობდეს ამ მომენტისათვის გამოძიებაში არსებული ფაქტიური მონაცემებიდან.

საგამოძიებო პრაქტიკაში დამკვიდრებულია წესი, რომლითაც იმ შემთხვევაში, როცა საქმის აღძვრის საბაბი გახდა მოქალაქის განცხადება მისგან ქრთამის გამოძალვის ფაქტის შესახებ, მისი დაკითხვით მიღებული მონაცემების შესაბამისად სწავლობენ და ადგენენ ქრთამის მიცემა-აღების დროსა და ადგილმდებარეობას და ამის გათვალისწინებით ამუშავებენ დანაშაულში მხილებულ პირთა ფაქტზე დაკავების გეგმას, შესაბამისი ოპერატიული ჯგუფის დახმარებით.

ამ მოქმედების სწორად და ორგანიზებულად ჩასატარებლად საჭიროა ოპერატიული ჯგუფის შერჩევა და მათთან საქმიანი კონტაქტის დამყარება; ამ ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება; ქრთამის მიცემა-აღების ფაქტზე თვალთვალისა და დაკავების გეგმის შედგენა; ქრთამის მიცემა-აღების შეპირებული ადგილმდებარეობის გაცნობა; თანამოწმეთა შერჩევა; სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სათანადო სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა-მომზადება.

ქრთამის საგნის მარტოოდენ გადაცემა ან ქრთამის ამღებ პირთან მისი აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირმა ნამდვილად აიღო ქრთამი. მან შეიძლება წამოაყენოს ვერსია იმის შესახებ,

რომ მას ძალით ჩაუდეს ჯიბეში ქრთამის საგანი, მის შეუმჩნევლად დაუტოვეს იგი მას სამუშაო ოთახში, რომ მან ქრთამი კი არ აიღო, არამედ ისესხა და სხვ. ამიტომ თანამდებობის პირის მიერ მოსალოდნელი ასეთი ვერსიების წამოყენების გასაბათილებლად საჭიროა დანაშაულებრივ ფაქტზე დაკავებამდე შეკრებილი იქნეს უტყუარი მონაცემები ქრთამის მომცემისა და ქრთამის ამღების ურთიერთდამოკიდებულების, მათი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, რათა გაირკვეს, ქრთამის მიმცემს შეეძლო თუ არა ქრთამის ამღები თანამდებობის პირისათვის ესესხებინა ფული ასეთი რაოდენობით და სხვ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ტაქტიკურად უფრო გამართლებულია მექრთამეობაში მხილებულ პირთა დაკავება მოხდეს არა უშუალოდ ქრთამის საგნის გადაცემის მომენტში, არამედ მისი გადაცემის შემდეგ, რათა დაკავების დროს ვერ მოასწრონ ქრთამის საგნის უკან დაბრუნება ან ურთიერთ შეთანხმება ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის უარსაყოფად. დაკავება შეიძლება მოხდეს მექრთამეობაში მხილებული თანამდებობის პირის სამუშაო ოთახში, შენობაში ან ღია ცის ქვეშ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვაგან.

<u>ჩხრეკა და ამოღება.</u> ჩხრეკის ჩატარება ერთ-ერთი რთული აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებაა, განსაკუთრებით კი მექრთამეობის საქმეებზე. ჩხრეკის ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩხრეკის ობიექტისა და მოსაძებნი საგნის თავისებურება.

მექრთამეობისა და სამსახურებრივი სიყალბის საქმეებზე ჩხრეკის ობიექტები შეიძლება იყოს თვით მექრთამეობაში მონაწილე პირები (ქრთამის ამღები, ქრთამის მიმცემი ან მექრთამეობაში შუამავალი) და სამსახურებრივი სიყალბის ჩამდენი პირი (პირადი ჩხრეკა), მათი სამუშაო ოთახები და საცხოვრებელი ბინები. ჩხრეკის საგანი კი — ქრთამის საგანი ან მისი შესაფუთი მასალა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით; მექრთამეობის ფაქტსა და ქრთამის მოცულობაზე მიმთითებელი დოკუმენტები; თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესრულებული ან შეუსრულებელი მოქმედების დამადასტურებელი მასალები; დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებენ მექრთამეობაში მონაწილე პირთა ურთიერთკავშირზე და მექრთამეობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე; დანაშაულებრივი გზით

შეძენილი საგნები, რომლებსაც შეიძლება კონფისკაცია ეყოს სასამართლოს მიერ, აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტები და დავთრები ან კერძო დოკუმენტები, რომლებშიც თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით შეგნებულად იქნა შეტანილი სიყალბე (ამოშლა, გადაკეთება, არასწორი, ყალბი ჩანაწერების შეტანა ან სხვა რიცხვით მათი დათარიღება) და სხვ.

ამოღებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა მექრთამეობისა და სამსახურებრივი სიყალბის გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების ინდივიდუალური ნიშნები და მათი ადგილსამყოფელი წინასწარაა ცნობილი. ჩხრეკას კი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დანაშაულის ნიშნებზე მიმთითებელი უცნობი გადამალული საგნებისა და დოკუმენტების აღმოსაჩენად. ორივე ამ რთული საგამოძიებო მოქმედების სწორად და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად სრულყოფილად უნდა იქნეს შერჩეული და გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

ქონებაზე ყადაღის დადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროცესუალური მოქმედებაა მექრთამეობის საქმეებზე, რადგან ამ დანაშაულებრივი ქმედობისათვის ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სახის სასჯელად კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე ქონების კონფისკაცია. კანონის ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის გამომძიებელი ვალდებულია ყადაღა დაადოს მექრთამეობაში მხილებული ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან კანონით გათვალისწინებული მათი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ქონებას, ან სხვა ისეთი პირების ქონებას, რომლებთანაც იმყოფება მათ მიერ დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება. ამასთან ეს მოქმედება შეიძლება ჩატარდეს ამოღებასთან ან ჩხრეკასთან ერთად ან დამოუკიდებელი სახით.

სათანადო ცნობები უნდა იქნეს შეკრებილი აგრეთვე დანაშაულში მხილებული თანამდებობის პირის კუთვნილი აგარაკის ადგილმდებარეობისა და მის სახელზე რიცხულ ყადაღის ქვემდებარე სხვა ქონების შესახებ.

დოკუმენტების დათვალიერება ამ კატეგორიის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა. მისი მიზანია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების აღმოჩენა და ამოღება. ამ მოქმედების ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი სახის დოკუმენტე-

ბის აღმოჩენასა და ამოღებას, როგორიცაა მასალები, რომლებიც მიუთითებენ თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესრულებული ქმედობის ხასიათზე, მისი შესრულებისას არსებული წესის ან რიგითობის დაუცველობაზე; საწარმო-დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები და აგრეთვე ეჭვმიტანილი თანამდებობის პირის ზოგიერთი კერძო ხასიათის მიმოწერები.

დოკუმენტების დათვალიერება საჭიროა ჩატარდეს არა მარტო თანამდებობის პირთა სამუშაო ადგილზე, მათ სამუშაო ოთახებსა და კანცელარიაში, არამედ მათსავე საცხოვრებელ ბინებშიც.

<u>ექსპერტიზის დანიშვნა</u> ამ კატეგორიის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თვითეული კონკრეტული დანაშაულის გამოძიების თავისებურებათა გათვალისწინებით, მასზე სასამართლო ექსპერტიზებიდან უფრო ხშირად მიმართავენ დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური და ხელნაწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზების დანიშვნას. ზოგჯერ აუცილებელი ხდება აგრეთვე ტრასოლოგიური, საბუღალტრო, სასაქონლო, ქიმიური და სხვა სახის ექსპერტიზების დანიშვნა.

<u>ბრალდებულის დაკითხვა</u> არის წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც წინ უსწრებს პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა. ბრალდებულის დაკითხვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ მისთვის ბრალდების წარდგენის შემდეგ. მისი სირთულე განპირობებულია ამ დანაშაულთა ჩადენის ხერხებისა და საშუალებების ფარული, შენიღბული ხასიათითაც. ამიტომ ბრალდებულის დაკითხვის უფრო ეფექტურად ჩასატარებლად საჭიროა მისი საფუძვლიანი მომზადება. კერძოდ: შეირჩეს და განისაზღვროს დაკითხვის დრო და ადგილი; მოხდეს საქმეში არსებული მასალების გაცნობა და მომარჯვებულ იქნეს ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედობის მამხილებელი მასალები; განისაზღვროს ბრალდებულთა დაკითხვის თანმიმდევრობა (როცა საქმეში რამოდენიმე ბრალდებულია); მოხდეს დასაკითხი ბრალდებულის პიროვნების ფსიქოლოგიის წინასწარი შესწავლა და მის შესაბამისად შეირჩეს დაკითხვის ტაქტიკური ხერხები; შედგეს დაკითხვის გეგმა გამოსაკვლევი გარემოებებისა და ბრალდებულის დაკითხვის თანმიმდევრობის

შესახებ, რათა შესაძლო გახდეს დაკითხვის პროცესში მასთან მჭიდრო ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება.

მექრთამეობის თავისებურებიდან გამომდინარე, გამოსაძიებელ საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში შეიძლება მიცემული იყოს ქრთამის მიმცემი, ქრთამის ამღები, მექრთამეობაში შუამავალი და აგრეთვე ქრთამის მიცემა-აღებაში წამქეზებელი. აქედან თითოეული მათგანის სახით საქმეში შეიძლება იყოს რამოდენიმე ბრალდებული. მაგალითად, რამოდენიმე ქრთამის მიმცემი, რამოდენიმე შუამავალი და ქრთამის ამღებ თანამდებობის პირთა ჯგუფი. ამიტომ საჭიროა სწორად განისაზღვროს თითოეული მათგანის დაკითხვის თანმიმდევრობა. ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია პირველ რიგში დაიკითხოს ის ბრალდებული, რომლის მიმართაც საქმეზე შედარებით მეტი და მყარი მტკიცებებია შეკრებილი და რომელიც თავისი ფსიქოლოგიური განწყობით შეეცდება სწორი, ობიექტური ჩვენების მიცემას.

ბრალდებულის სახით ქრთამის მიმცემის დაკითხვისას რეკომენდირებულია მისგან მიღებული იქნეს ჩვენება ქრთამის მიცემის მოტივების შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ მან თანამდებობის პირს რა სახის სამსახურებრივი მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებისათვის მისცა ქრთამი; რაში გამოიხატა მისგან ქრთამის გადაცემა და რა ნიშნებით ხასიათდებოდა ქრთამად გადაცემული საგანი, მისი სახეობა; მისგან რა სახის მატერიალურ გამორჩენას ან რა სახის საგანს თხოულობდა ქრთამად თანამდებობის პირი და მას მის მიერ მოთხოვნილი საგანი გადაეცა თუ სხვა რამ; ხომ არ თხოულობდა იგი ქრთამის მოცულობის გადიდებას; სად, როდის, ვის მიერ და რა პირობებში მოხდა მისი გაცნობა და დაახლოება თანამდებობის პირთან; ვინ იყო ქრთამის მიცემა-აღებაზე საუბრის დაწყების ინიციატორი — თვითონ თუ ქრთამის ამღები თანამდებობის პირი, მექრთამეობაში შუამავალი თუ სხვა მესამე პირი; სად, როდის, ვის და ვისი თანდასწრებით გადასცა მან ქრთამის საგანი; თუ მან ქრთამის საგანი გადასცა მექრთამეობაში შუამავალს, მაშინ დამატებით საჭიროა გაირკვეს თუ სად, როდის და ვისი მეშვეობით გაიცნო მან იგი. როგორ და რა პირობებში გადასცა მას ქრთამის საგანი და როგორი იყო მათ შორის ურთიერთ შეთანხმება. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ დაკითხვის დროს ქრთამის მიმცემს არ შეიძლება განემარტოს იმის შესახებ, რომ იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუ მის

მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას, რადგან მისთვის ასეთი განმარტების მიცემამ, საკუთარი თავის პასუხისმგებლობისაგან დაღწევის მიზნით, შეიძლება გამოიწვიოს მის მიერ თანამდებობის პირის უმართებულო განთქმა ქრთამის აღებაში.

ქრთამის ამღები თანამდებობის პირის დაკითხვისას პირველ რიგში მისგან ჩვენება მიღებული უნდა იქნეს ისეთ გარემოებათა შესახებ, როგორიცაა: ვისგან მომდინარეობდა წინადადება ქრთამის მიცემა-აღების შესახებ, ქრთამის მიმცემისა თუ ქრთამის ამღები თანამდებობის პირისაგან; რა სახის სამსახურებრივი მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში გადაეცა მას ქრთამი; სად, როდის, რა გარემოებაში და ფორმაში გამოიხატა მის მიერ ქრთამის აღება; სად, როდის და უშუალოდ ვის მიერ გადაეცა მას ქრთამი; სად, როდის, რა გარემოებაში და ვისი მეშვეობით გაიცნო თანამდებობის პირმა ქრთამის მიმცემი და როგორ დაუახლოვდა მას იგი; ქრთამის მიცემა-აღების მოლაპარაკებაში მონაწილეობას ხომ არ იღებდა მექრთამეობაში შუამავალი ან სხვა პირი და სხვ. მექრთამეობაში შუამავალი პირის ბრალდებულის სახით დაკითხვისას კი საჭიროა გაირკვეს თუ ვინ და რა გარემოებაში ჩააბა იგი ამ დანაშაულში შუამავლად; უშუალოდ ვისგან მომდინარეობდა წინადადება მის შუამავლობაზე; იგი მოქმედებდა ანგარებით თუ მის გარეშე, ნათესაური თუ მეგობრული დამოკიდებულებით; კონკრეტულად რაში გამოიხატა მისი დამოკიდებულება მექრთამეობაში მონაწილე დანარჩენ პირებთან და რა სახის მატერიალური გამორჩენა მიიღო მან თავისი ასეთი მოქმედებით და სხვ.

სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისათვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული პირის დაკითხვისას საჭიროა მისგან ჩვენება მიღებული იქნეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე ისეთ გარემოებათა ახსნის შესახებ, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მისი კვალის დაფარვისათვის გამოყენებული ხერხები; დანაშაულის ჩადენის მიზანი და მოტივი, კონკრეტულად რაში გამოიხატა თანამდებობის პირის მიერ ოფიციალურ დოკუმენტებში, დავთრებში ან კერძო დოკუმენტებში სიყალბის შეტანა, კონკრეტულად რა სახის ყალბი დოკუმენტი იქნა შედგენილი ან გაცემული და ამით რა სახის გამორჩენა მიიღო მან და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებული არასწორ ჩვენებას იძლევა, საჭიროა იგი მხილებული იქნეს მიცემულ ცრუ ჩვენებაში საქმეზე შეკრე-

ბილი სხვა მტკიცებულებების თანმიმდევრული წარდგენით. ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მისაღებად შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე მისი განმეორებითი დაკითხვის ტაქტიკა. ამასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მის მიმართ საპროცესო კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგო ისეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება, როგორიცაა მოტყუება, მისთვის რაიმე უკანონო მოქმედების შესრულების დაპირება ან მისი შეშინება.

<u>დაპირისპირება</u> შეიძლება ჩატარდეს ბრალდებულთა შორის, როცა საქმეზე რამოდენიმე ბრალდებულია; მოწმეთა შორის და აგრეთვე მოწმესა და ბრალდებულს შორის. დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირთა ან მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გარკვევისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს ამ პირთა ურთიერთდაპირისპირებები. ეს საგამოძიებო მოქმედება რეკომენდირებულია ჩატარდეს მაშინაც, როცა საჭიროა რომელიმე ბრალდებულის ან მოწმის მხილება მიცემული ჩვენების სიცრუეში. ზოგჯერ შეიძლება ბრალდებულმა თვითონვე მოითხოვოს დაპირისპირება სხვა ბრალდებულთან ან მოწმესთან. ასეთ დროს საჭიროა ჯერ გაირკვეს, თუ რატომ მოითხოვს იგი დაპირისპირებას; ხომ არაა იგი გამოწვეული იმით, რომ ზეგავლენა მოახდინოს დასაპირისპირებელ ბრალდებულზე ან მოწმეზე და მიაღწიოს მათგან მისთვის სასურველი ჩვენების მიღებას ან შეაცვლევინოს მას ადრე მოცემული ჩვენება. მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ან მასზე უარის თქმა უნდა ჰოხდეს გამომძიებლის მიერ საქმეში არსებული მასალების საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ. დაკითხვის დროს, რეკომენდირებულია პირველ რიგში კითხვები მიეცეს იმ პირს, ვინც ამხელს მეორე — დაპირისპირებულ პირს. მოწმეთა დაპირისპირებისას კი უმჯობესია ჯერ კითხვები მიეცეს იმ პირს, ვინც საქმეზე შეკრებილი მასალებიდან გამომდინარე უფრო სწორ, სარწმუნო ჩვენებას იძლევა.

მოცემული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს ამ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევას და მისი თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას შესაბამის წარმოებადაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სწორი, დასაბუთებული წარდგინებების შეტანის სახით.

XXXIII თავი

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა

§1. მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის კრიმინალისტიკური დახასიათება

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გზებზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დანაშაულებრივ დარღვევად მიჩნეულია არა ყოველგვარი სახის წესების დარღვევა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც მოჰყვა სხეულის ნაკლებად მძიმე ან მძიმე ხარისხის დაზიანება, ან რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით ასეთ დასჯად მარტივ დანაშაულებრივ ქმედობად ითვლება მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ და რასაც მოჰყვა დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება (სსკ 141 მუხლი). ამ დანაშაულებრივი ქმედობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებად მიჩნეულია მისი ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება, ან თუ მას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი ან რამოდენიმე პირის დაღუპვა. დასჯად დანაშაულებრივ ქმედობადაა გამოცხადებული აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, ან მისი მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება ამგვარი დარღვევისათვის, ან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში ან იმავე დარღვევისათვის მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის განმავლობაში (სსკ 241 მუხლი). ცალკე დანაშაულებრივ ქმედობადაა აღი-

არებული აგრეთვე ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლოატაციოდ გაშვება (სსკ 241' მუხლი).

ზემოაღნიშნული პირველი ორი დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტი შეიძლება იყოს კანონით გარკვეულ ასაკს მიღწეული მხოლოდ ის შერაცხადი პირი, რომელიც კანონით აკრძალულ პირობებში მართავს სატრანსპორტო საშუალებას ან სამართავად გადასცემს მას ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირს. მესამე შემთხვევაში მითითებული დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც ევალებოდა საექსპლოატაციოდ არ გაეშვა ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალება. სუბიექტური მხრივ, ეს დანაშაულებრივი ქმედობები, სისხლის სამართლის კოდექსის 241' მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გარდა, შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით. ობიექტური მხრივ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევა, ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლოატაციოდ გაშვების გარდა, შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირის აქტიური მოქმედებით. სსკ 241' მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობა კი, როგორც მოქმედებით (თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებით), ისე უმოქმედობით (როცა პირმა საერთოდ არ შეასრულა სამსახურებრივად მასზე დაკისრებული მოვალეობა და სათანადო ზედამხედველობა-შემოწმების გარეშე გაუშვა საექსპლოატაციოდ ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალება).

გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევების გამოძიების მეთოდიკის საკითხების განხილვისას, კრიმინალისტიკური დახასიათების თვალსაზრისით, საჭიროა სწორად აიხსნას და ჯეროვანი შეფასება მიეცეს გამოსაძიებელი შემთხვევის იმ პირველად მონაცემებს, რომლებიც მძღოლის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის ხასიათზე, მათი ჩადენის ხერხებზე, საშუალებებზე და მასში მონაწილე პირებისათვის დამახასიათებელ გარემოებებზე მიუთითებენ. ამ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის არსის სწორად გაგებისათვის გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის პირველადი მონაცემები, რომლებიც მოცემული სახის დანაშაულთა აღმოცენების მექანიზმის სახეობასა და ხასიათზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე

მიუთითებენ. ამ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ნიშნებიც სწორედ ამ მონაცემებში უნდა ვეძიოთ.

როგორც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღმოცენებას, უმეტესწილად, იწვევს მძღოლის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების ისეთი დანაშაულებრივი დარღვევები, როგორიცაა: ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირის ან მართვის უფლების არ მქონე პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვა; მოძრაობის დროს რიგითობისა და გასწრების წესების დაუცველობა; სატრანსპორტო საშუალებათა მართვა გადაჭარბებული სიჩქარით; გზის მარცხენა სავალ ნაწილზე გადასვლა; გზაჯვარედინზე გავლის წესების დაუცველობა; მაშუქებელი სინათლეების არასწორი ხმარება (შემხვედრი ტრანსპორტის მძღოლისათვის ძლიერი, დამაბრმავებელი სინათლის მიმართვა); ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციაში გაშვება და მისი მართვა; მოძრაობის დროს სატრანსპორტო საშუალებათა შორის დადგენილი მანძილის დაუცველობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილზე და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებზე დიდი სისწრაფით გავლა; რკინიგზის გადასასვლელზე მოძრაობის წესების დაუცველობა და მოძრაობის დროს ცუდი ობიექტური პირობების (გზის მოყინულობა, გზის მოუწყობლობა, გზის სისველე, მოღრუბლულობა და სხვ.) გაუთვალისწინებლობა.

მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის კვალის დაფარვისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ მანქანას განზრახ აჯახებენ ხეს, კედელს ან გორას და ამით ხელოვნურად ქმნიან მის დაზიანებას ან თვითონ უზიანებენ ავტომანქანას სამუხრუჭე სისტემას ან საჭის მარეგულირებელ სისტემას და ამ გზით ქმნიან მოჩვენებით წარმოდგენას იმისას, რომ ამ დაზიანებათა მოულოდნელად აღმოცენების გამო თითქოს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე — ფეხით მოსიარულეზე ან მის წინ მიმავალ ავტომანქანაზე შეჯახება, რომ მანქანის დაზიანების გამო ვერ შეძლო მისი დამორჩილება ან მის საწინააღმდეგოდ მომავალი ავტომანქანისათვის გვერდის ავლა და მოხდა მასზე შეჯახება.

მოცემული კატეგორიის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგჯერ მისი ჩამდენი პირი

თავისი დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით, განსაკუთრებით კი ფეხით მოსიარულეზე ავტომანქანის შეჯახების შემთხვევაში, ცდილობს გადამალოს სატრანსპორტო საშუალება, ან შეჯახების შემდეგ ავტომანქანაზე აღმოცენებული დაზიანებებისა და კვალის მოსპობის მიზნით ახდენს სატრანსპორტო საშუალების გარეცხვას, მის შეკეთებასა და დაზიანებული ნაწილების შეცვლას, რაც კიდევ უფრო ართულებს მის დაძებნასა და დადგენას, ან მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის შემდეგ სატრანსპორტო საშუალებას აჩერებს სადმე მივარდნილ ადგილას და შესაბამის ორგანოებში აცხადებს, თითქოს რამოდენიმე დღის წინ მას ავტომანქანა მოპარეს, მაგრამ ამის შესახებ მაშინვე არ განაცხადა, რადგან იმედოვნებდა, რომ თვითონვე შეძლებდა მის პოვნას. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პირი ავტოსატრანსპორტო საშუალებას იყენებს რა ანგარებით, შურისძიებით ან სხვა პირადი მოტივით განზრახ მკვლელობის ჩასადენად, ცდილობს შექმნას ისეთი მოჩვენებითი წარმოდგენა, თითქოს იგი შედეგი იყოს უბედური შემთხვევის ან მასზე გაუფრთხილებლობით ავტომანქანის შეჯახებისა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს რა დატაცებული სახელმწიფო ან კოლექტიური ქონების გადასატანად, არღვევს გზებზე მოძრაობის წესებს, რასაც თან სდევს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი ან უფრო მძიმე შედეგი, ამიტომ ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დანაშაულებრივი დარღვევების გამოძიების დროს საჭიროა აგრეთვე გაირკვეს, ხომ არაა იგი დაკავშირებული სხვა სახის დანაშაულის ჩადენასთან ან იგი ხომ არაა ინსცენირებული დამნაშავის მიერ სხვა უფრო მძიმე სახის დანაშაულის დაფარვისათვის და სხვ.

/გამოსაძიებელი შემთხვევის კრიმინალისტიკური დახასიათების სრულყოფილად წარმოდგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ პირველად მონაცემებს, რომლებიც მიუთითებენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევი პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურად გამართულობაზე, სავალი გზის მდგომარეობაზე და სხვ., რომელთა ჯეროვან შესწავლა-გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გამოძიების სწორად წარმართვის და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.\

§2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საკმარისი არაა მარტოოდენ იმის არსებობა, რომ მას მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი ან ადამიანის სხეულის დაზიანება, არამედ საჭიროა გაირკვეს მისი გამომწვევი მიზეზებიც. კერძოდ, არის თუ არა იგი გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგი და პირის მიერ კონკრეტულად მისი რა მოთხოვნები არ იქნა შესრულებული. ე.ი. საქმის აღძვრისათვის საჭიროა არსებობდეს კანონიერი საბაბი და საფუძველი. მოცემული კატეგორიის ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად, უმეტეს წილად, გვევლინება დაზარალებულის განცხადება, საავადმყოფოდან შეტყობინება ან უშუალოდ მოკვლევის ორგანოს ან გამომძიებლისა და პროკურორის მიერ მოპოვებული მონაცემები. საქმის აღძვრის საფუძველი კი არის ის პირველადი ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ მოცემული პირის მიერ გზებზე მოძრაობის უშიშროების წესების დანაშაულებრივ დარღვევაზე.

იმისათვის, რომ მოპოვებული იქნეს საქმის აღძვრისათვის საჭირო საბაბი და საფუძველი, აუცილებელია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გაირკვეს და აიხსნას მიყენებულ დაზიანებათა ხასიათი, შეიცავს თუ არა იგი დანაშაულის ნიშნებს და ამ მიზნით დადგინდეს დაზარალებულისა და ამ ქმედობის ჩამდენი პირის ვინაობა (თუ ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილზე იმყოფება ან მასზე მიუთითებენ იქ მყოფი პირები), ჰქონდა თუ არა მას მართვის უფლება და სატრანსპორტო საშუალებას ხომ არ მართავდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, დარღვეული იქნა თუ არა მის მიერ გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესი და კონკრეტულად რა სახის, ვის მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი ან სხეულის დაზიანება და რა სახის, ხომ ამ მოჰყვა მას ადამიანის სიკვდილი ან რამოდენიმე პირის დაღუპვა და სხვა. ამ გარემოებათა გამოკვლევის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილზე გასვლა, შემთხვევის ადგილის და იქ არსებული გვამისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება.

შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, მომხდარი ფაქტის შესახებ მიღებული ინფორმაციისას უნდა გაირკვეს თუ სად, როდის და რა გარემოებაში მოხდა იგი, ვინ ან რამდენმა პირმა მიიღო დაზიანება და აღმოუჩინეს თუ

არა მათ პირველადი სამედიცინო დახმარება და გარეშე პირებისაგან არის თუ არა დაცული შემთხვევის ადგილი; ვინ არის შემთხვევის ადგილზე და რა ხდება იქ; შემთხვევის ადგილზეა თუ არა გამოსაძიებელი შემთხვევის ჩამდენი პირი და სატრანსპორტო საშუალება ან ხომ არ მოასწრო მან შემთხვევის ადგილიდან მიმალვა და სხვ.

ამ გარემოებების წინასწარ გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების სრულყოფილად მომზადებისათვის. კერძოდ, იგი საშუალებას იძლევა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მიღებული ინფორმაციის ხასიათის მიხედვით, შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, მასში მონაწილეობის მისაღებად სწორად შეირჩეს სპეციალისტები და ოპერატიული ჯგუფი, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და სხვა მონაწილე პირთა წრე.

შემთხვევის ადგილზე მისვლისას პირველ რიგში უნდა გაირკვეს დაზარალებულთაგან ან სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ხომ არ სჭირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; უშუალოდ ვინ შეესწრო შემთხვევას ან პირველად ვინ მივიდა შემთხვევის ადგილზე და რა გააკეთა. ხომ არ მოხდა შემთხვევის ადგილმდებარეობაში ვინმეს მიერ რაიმე ცვლილების შეტანა; განისაზღვროს დათვალიერების საზღვრები, მისი ჩატარების წესი და მასში მონაწილე პირებს მიეცეთ შესაბამისი დავალებები; გაირკვეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ჩამდენი მძღოლის ან მასში მონაწილე სხვა პირის ვინაობა, მათი პიროვნება, მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, ჩამოერთვათ მათ სათანადო საბუთები და ახსნა-განმარტებები. ამასთან საჭიროა გაირკვეს, აუცილებელია თუ არა დაუყოვნებლივ მოხდეს მათი წინასწარი სამედიცინო შემოწმება (მაგალითად, მძღოლის შემოწმება სიმთვრალის ხარისხის დასადგენად და სხვ.), დადგინდეს გამოსაძიებლი შემთხვევის შემსწრე პირები და ჩამოერთვათ წერილობითი ახსნა-განმარტებები.

თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის ჩამდენმა პირმა მოასწრო და სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მაშინ მათი ადგილსამყოფელის დაძებნის, დადგენისა და დაკავების მიზნით საჭიროა მოხდეს "ცხელ კვალზე" მათი მიდევნება.

გამოსაძიებელი შემთხვევის ადგილიდან სატრანსპორტო საშუალებისა და მისი მძღოლის ადგილსამყოფელის აღმოჩენის, მისი დაკავებისა და წარმოდგენისათვის ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფს უნდა მიეცეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოპოვებული საძიებო სატრანსპორტო საშუალებისა და მისი მძღოლისათვის დამახასიათებელი მონაცემები.

მიღებული დავალების შესასრულებლად ოპერატიულ სამძებრო ჯგუფი ავტოინსპექციის მუშაკებთან ერთად გზაჯვარედინებსა და იმ სავარაუდო ადგილებში, სადაც შეიძლება გამოჩნდეს ეს სატრანსპორტო საშუალება, მის შესამოწმებლად აწყობს სამორიგეო პუნქტებსა და სპეციალურ შემოვლებს საძიებო ტრანსპორტზე შემთხვევის დროს მასზე აღმოცენებული დაზიანებებისა და დარჩენილი კვლების აღმოჩენის, გამოვლინებისა და შემდგომში მათი გამოკვლევის მიზნით, აწარმოებს ავტომანქანის სადგომებსა და ფარეხებში მდგომი ავტომანქანების, პროფილაქტორიუმში, კოოპერატივებსა და კერძო პირებთან შესაკეთებლად მიტანილი ავტომანქანების შემოწმება-დათვალიერებას. ახდენს აგრეთვე იქვე ახლო მდებარე საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არსებული იმ საგზურების აღმოჩენასა და შემოწმებას, რომლებიც გაცემული იყო გამოსაძიებელი შემთხვევის ჩადენის პერიოდში. ამასთან ცალკეულ პირებსა და ობიექტებზე აწესებს ფარულ თვალთვალს და აგენტურული გზით აღწევს გარკვეული ინფორმაციების მიღებას გამოსაძიებელი შემთხვევის ამა თუ იმ გარემოების შესახებ. ახდენს ამ ინფორმაციის გაცვლას საგამოძიებო ორგანოებთან. ადგენს გამოსაძიებელი შემთხვევის მნახველ პირებს და გამოძიებას აძლევს რეკომენდაციას მოწმის სახით მათი დაკითხვის შესახებ, შემდეგ საგამოძიებო ორგანო კვლავ ახდენს მიღებული ინფორმაციების გაცვლას, აწვდის ინფორმაციას მიღებულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სხვ. სამძებრო-ოპერატიული ჯგუფის და გამომძიებლის ასეთი ურთიერთკავშირი ხელს უწყობს მოცემული დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

თუ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა სწორი თანმიმდევრული გატარებით მიღებული იქნება ისეთი მონაცემები, რომლებიც კონკრეტული სახის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე მიუთითებენ, დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, მოხდეს მასზე სწორი, დასაბუთებული ვერსიების აგება, შედგეს გაშლილი საგამოძიებო გეგმა, რომელშიც

შექმნილი კონკრეტული სიტუაციისა და პირველადი მონაცემების გათვალისწინებით განისაზღვრება გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრე, შეიტანება საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები და საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ოპტიმალურად სწორად შერჩეული თანმიმდევრობით, მათი შესრულების დროისა და შემსრულებელზე მითითებით.

|მოცემული კატეგორიის საქმეების გამოძიების ამ პირველდაწყებით ეტაპზე მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება წამოყენებული იქნეს შემდეგი სახის ზოგადი ვერსიები:

1. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია მძღოლის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევით;
2. იგი ჩადენილი იქნა დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობით;
3. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა იმის გამო, რომ ტექნიკურად არ იყო გამართული საექსპლოატაციოდ გაშვებული სატრანსპორტო საშუალება;
4. ადგილი ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით განზრახ მკვლელობის ჩადენას ან ასეთის მცდელობას;
5. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ინსცენირებულია სხვა უფრო მძიმე დანაშაულობათა დასაფარავად;
6. ადგილი ჰქონდა ისეთ უბედურ შემთხვევას, რომლის გათვალისწინება არც მძღოლს შეეძლო და არც მასში მონაწილე სხვა რომელიმე პირს;[1] |

ამ ზოგადი ვერსიების გარდა გამოძიების განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით შეიძლება წამოყენებული იქნეს აგრეთვე კერძო ვერსიები დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების ახსნის შესახებ. აგრეთვე დეტალური ვერსიები საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ცალკეული გარემოებების ახსნის შესახებ.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის საჭიროა გამოძიების პროცესში თვითეული კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გათვალისწინებით განსაზღვრულ იქნეს გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრე შესაბამისი თანმიმდევრობით და

---

[1] . Криминалистика, учебник, М., 1988, с.610

შოხდეს მათი დადგენა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებისა და სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩატარებით.

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე გამოძიებით დასადგენი გარემოებები, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების კუთვნილების მიხედვით შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს შემდეგ სამ ჯგუფად: 1)საკითხების ის წრე, რომელთა დადგენა უშუალოდ დაკავშირებულია საგზაო შემთხვევის ობიექტურ გარემოებებთან; 2)გარემოებები, რომელთა დადგენა დაკავშირებულია ტრანსპორტის მოძრაობასა და მძღოლის მოქმედებასთან; 3)დაზარალებულის ქცევის ხასიათთან დაკავშირებული გარემოებები.

<u>პირველ ჯგუფში</u> შემავალი საკითხებიდან აღსანიშნავია შემთხვევის ადგილთან დაკავშირებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა: როგორია გზის ზედაპირი (სველია, ასფალტირებულია, მოხრეშილია, გაზეკილი მიწაა; მოყინულია ან თოვლითაა დაფარული, თუ მიწაყრილი ან გადათხრილია); როგორი იყო მძღოლის მხედველობის არე, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ხომ არ ჰქონდა მხედველობის ისეთ ხელშემშლელ ფაქტორებს, როგორიცაა: ნისლი, ძლიერი ბურუსი, წვიმა, ქარბუქი, ცუდი განათება და სხვ., როგორია შემთხვევის ადგილზე გზის მონაკვეთის საერთო მდებარეობა (გზაჯვარედინია, სწორხაზობრივია თუ მისახვევ-მოსახვევებიანი, გავაკებული, აღმართიანი თუ დაღმართიანი, სავალი გზის ნაპირები დაფარულია ხეებით, ბუჩქებით თუ მოშიშვლებულია და სხვ.); შემთხვევის ადგილზე რამდენად ინტენსიურია სატრანსპორტო საშუალებათა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა, სათანადო ნიშნებითაა იგი-მოწესრიგებული თუ არა; როდის, რა მომენტში აღმოცენდა საფრთხე და მისი წარმოქმნის მომენტიდან რა მანძილი გაიარა სატრანსპორტო საშუალებამ ან ფეხით მოსიარულე პირმა და კონკრეტულად სად, რა მომენტში მოხდა მათი ურთიერთ შეჯახება ან სატრანსპორტო საშუალების გადავარდნა და სხვ.

<u>მეორე ჯგუფში</u> შემავალი საკითხებიდან აუცილებელია გაირკვეს და დადგინდეს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: გამოსაძიებელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტში როგორი იყო მძღოლის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, სატრანსპორტო საშუალებას ხომ არ მართავდა მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში, ან ხომ არ იყო ფიზიკურად ძლიერ გადაღლილი ან ფსიქიკურად ძლიერ აღგზნებული; ან უძილობის გამო ხომ

არ ჩაეძინა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის დროს; ხომ არ დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები და სახელდობრ რომელი და რა ხასიათის; როდის ჩაიდინა პირმა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამუშაო საათებში თუ მის შემდეგ; რა სიჩქარით მოძრაობდა სატრანსპორტო საშუალება შეჯახების მომენტში. როდის წარმოიქმნა და როდის შეამჩნია მძღოლმა მოსალოდნელი საფრთხე და მიიღო თუ არა სათანადო ზომები მისი თავიდან ასაცილებლად (მისცა თუ არა გამაფრთხილებელი სიგნალი ან დაამუხრუჭა თუ არა სატრანსპორტო საშუალება და სხვ.); პირის მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალება იყო თუ არა ტექნიკურად გამართული; მოსალოდნელი საფრთხის აღმოცენების მომენტიდან პირს ჰქონდა თუ არა საკმარისი დრო მისი თავიდან აცილებისათვის საჭირო ზომების მისაღებად და შეეძლო თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საზოგადოებრივად საშიში მავნე შედეგი; საგზაო შემთხვევის შემდეგ რა გააკეთა, დაზარალებული მიატოვა განსაცდელში და გაიქცა თუ აღმოუჩინა მას სათანადო სამედიცინო დახმარება, მიიმალა შემთხვევის ადგილიდან მძღოლი და სატრანსპორტო საშუალებაც გადამალა თუ დაელოდა შემთხვევის ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენელთა მისვლას და სხვ.

/<u>მესამე ჯგუფში</u> შემავალი დაზარალებულის ქცევისათვის დამახასიათებელ გარემოებებთან დაკავშირებით საჭიროა გაირკვეს, და დადგინდეს შემდეგი საკითხები: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე ავტომანქანის მიმართებაში რა მიმართულებითა და რა სისწრაფით მოძრაობდა ფეხით მოსიარულე პირი /(მირბოდა, სწრაფად მიდიოდა, თუ ნელი აუჩქარებელი ნაბიჯებით გადადიოდა); ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გადასასვლელზე გადადიოდა დაზარალებული, თუ არამართლზომიერად კვეთდა იგი სატრანსპორტო საშუალებათა სავალი გზის ნაწილს; რა მანძილი გაიარა მან ტროტუარიდან გზის მოპირდაპირე მხარის გადაკვეთით და სავალი გზის რა მონაკვეთზე მოხდა მასზე სატრანსპორტო საშუალების შეჯახება; რა მანძილით იყო დაცილებული დაზარალებულისაგან სატრანსპორტო საშუალება მის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტიდან; როდის შეამჩნია მან მასზე შეჯახების მოსალოდნელი საფრთხე და ამის თავიდან ასაცილებლად მიიღო თუ არა რაიმე ღონისძიება (ერთ ადგილზე

გაჩერდა. უკან მობრუნდა, თუ შეეცადა ჩქარი გარბენით გადაესწრო მისკენ მიმავალი სატრანსპორტო საშუალებისათვის); ვინ არის და როგორ ხასიათდება დაზარალებული, ადრეც ხომ არ ჰქონდა ადგილი მასზე სატრანსპორტო საშუალების მსგავს შეჯახებას და სხვ.

გამოძიებით დასადგენი ზემოაღნიშნული გარემოებების წრე, ცხადია, ამომწურავი არ არის და თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში იგი შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს ან შემცირდეს.

საგამოძიებო ვერსიების აგების, დასადგენი საკითხების წრის განსაზღვრისა და გაშლილი საგამოძიებო გეგმის შედგენის შემდეგ მტკიცებულებათა აღმოჩენის, მათი შეკრებისა და ფიქსაციის თავისებურებათა გათვალისწინებით, გამომძიებელი ქმნის და იმუშავებს საქმეზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების, საგამოძიებო და სხვა პროცესუალურ მოქმედებების ჩატარების ტაქტიკას და ამით ქმნის დანაშაულის გახსნის წარმოსახვით მოდელს და იწყებს მის პრაქტიკულ განხორციელებას.

§3. პირველდაწყებითი გადაუდებელი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა

მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოძიების თავისებურების გათვალისწინებით, ამ კატეგორიის დანაშაულთა ჩადენის შესახებ მიღებული პირველადი მონაცემების შესაბამისად, ერთ-ერთ პირველდაწყებით გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებად მიჩნეულია შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რომელსაც თან სდევს გვამისა და სატრანსპორტო საშუალებათა დათვალიერება, თუკი იგი აღმოჩნდება შემთხვევის ადგილზე. დათვალიერებული და ამოღებული უნდა იქნეს აგრეთვე დაზარალებულის ტანსაცმელი; მოხდეს დაზარალებულისა და მძღოლის შემოწმება და მათ მიმართ ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; დაკითხული იქნეს დაზარალებული, მძღოლი და გამოსაძიებელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომსწრე პირები; დაინიშნოს აგრეთვე ავტოტექნიკური, ტრასოლოგიური, ბიოლოგიური, ქიმიური, ოდოროლოგიური ან სხვა სახის ექსპერტიზა.

თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევი პირი სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, დაუყოვნე-

ბლივ უნდა გატარდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება მათი დაძებნის, ადგილსამყოფელის დადგენის, დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ.

ამავე საქმეზე შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების სახით შეიძლება ჩატარდეს ბრალდებულის დაკითხვა, მოწმის, დაზარალებულის დაკითხვა, ჩვენების ადგილზე შემოწმება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ამოცნობა, დამატებითი, განმეორებითი, კომპლექსური ან კომისიონალური ან სხვა სახის ექსპერტიზის დანიშვნა და ექსპერტის დაკითხვა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, შეიძლება ითქვას, ამ კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე გამოძიების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი და პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც შეიძლება ჩატარებული იქნეს თვით სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და რომლის დროულად, სწორად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის დროული დასაბუთებული აღძვრა, საჭირო მტკიცებულებათა შეკრება, საქმის გარემოებათა შემდგომი სწრაფი, სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კატეგორიის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებას აწარმოებენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ან მის შემდეგ დაუყოვნებლივ.

|საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერება მიზანშეწონილია დაწყებული იქნეს პერიფერიიდან, რათა არ წაიშალოს ან არ დაზიანდეს ცენტრამდე არსებული ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე წარმოქმნილი საგნებისა და ობიექტების კვალი |(ავტომანქანის საბურავების, მიმართულებისა და დამუხრუჭების კვალი, ავტოსაგზაო საშუალებას მოწყვეტილი ან მოცილებული საგანი, ფეხით მოსიარულეთა კვალი და სხვ.).

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცენტრისა და პერიფერიული ნაწილის გარდა, მიზანშეწონილია დათვალიერებას დაექვემდებაროს აგრეთვე შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორია თავისი გზებითა და გზაჯვარედინებით, რადგან, ჯერ ერთი, შეიძლება იქაც აღმოჩნდეს ავტომანქანის გამართულობის ან მასზე არსებული დაზიანებების სახეობაზე მიმთითებელი გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სახის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და კვალი. მეორეც, გაირკვეს გზებზე არის თუ არა მოთავსებული მოძრაობის

ამკრძალავი, შემზღუდავი ან სხვა შესაბამისი ნიშნები. მაგალითად, ცნობილია, რომ ფეხით მოსიარულეზე ავტოსატრანსპორტო საშუალების შეჯახების შემდეგ, მძღოლი ცვლის გზებზე მოძრაობის შემზღუდავი ნიშნების განლაგებას ან საერთოდ სპობს მათ, ან აგრძელებს ტრანსპორტის მართვას და აჩერებს შემთხვევის ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც ახდენს მის დათვალიერებას, სპობს მასზე არსებულ კვალსა და დაზიანების ნიშნებს, იღებს და ტრანსპორტზე ამაგრებს მისგან ჩამოვარდნილ ნაწილებს და უფრო დაიმედებული აგრძელებს გზას. შემდეგ "სამშვიდობოზე" გასული თავის რომელიმე ახლობელს აგზავნის შემთხვევის ადგილზე მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტისა და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს რათა გამომძიებელმა ასეთი დაინტერესებული პირი არ ჩააბას შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევის ადგილზე არსებული საგნებისა და წარმოქმნილი კვალის ურთიერთგანლაგებას, ურთიერთსაპირისპიროდ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების საბურავების ან მათი დამუხრუჭების კვალს, სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში მყოფ ფეხით მოსიარულე პირის მოძრაობის ამსახველ კვალსა და მათი წარმოქმნის მექანიზმს მათ ურთიერთშეჯახებამდე და მის შემდეგ. სავალი გზის მდგომარეობას, მის სიფართოვეს, მანძილს და სხვ. მოხდეს მათი ზუსტი გაზომვები და ასახვა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. ამასთან საჭიროა მისი სრული ფიქსაციისათვის მოხდეს შემთხვევის ადგილის ფოტო და კინო-გადაღება სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და საშუალებებით. აგრეთვე შედგენილი იქნეს მისი ზუსტად ამსახველი სქემები და გეგმები, აღებული იქნეს ხელის კვალის ანაბეჭდები, ტვიფარი და მოხდეს მათი ფიქსაცია დათვალიერების ოქმში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ადამიანის გვამისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება.

<u>გვამის დათვალიერებისას</u> სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მისი აღმოჩენის ადგილს სავალ საგზაო ნაწილთან მიმართებაში, მის პოზას, შეჯახების შედეგად მის სხეულზე და ტანსაცმელზე აღბეჭდილ კვლებს, მიყ-

ენებული დაზიანების ხასიათსა და მათი აღმოცენების მექანიზმს, მათ ურთიერთ განლაგებას, მისი ტანსაცმლის ჯიბეებში არსებულ საგნებს, დოკუმენტებს, მისი პიროვნების დამადასტურებელ საბუთებს, პიროვნებისათვის დამახასიათებელ მყარ ინდივიდუალურ ნიშნებს და იგი მთელი სიზუსტით აღწერილი იქნეს დათვალიერების ოქმში. საჭიროა მოხდეს აგრეთვე მისი ფოტოგადაღება სასამართლო ფოტორგაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით.

სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისას, რომელიც უნდა ჩატარდეს სპეციალისტ ტრასოლოგის, ავტოტექნიკოსის და სხვა დარგის სპეციალისტებისა და სხვა პირთა მონაწილეობით, ყურადღება უნდა გამახვილდეს მის ტექნიკურ გამართულობაზე, შეჯახების შედეგად მასზე დარჩენილ კვლებსა და მიყენებულ დაზიანებებზე (ხომ არა აქვს მომძვრალი ან დაზიანებული საჭის მართვისა და სამუხრუჭე სისტემა, მაშუქებელი ფარები და მისი ნათურები, მანქანის დაზიანების ადგილზე ხომ არაა დატოვებული დაზარალებულის ტანსაცმლის მიკრონაწილაკები ან თმის ღერი, სისხლის ან თავის ტვინის ან სხეულის სხვა ნაწილები და სხვ.), მასზე არსებული ტვირთის სახეობასა და რაოდენობაზე, მანქანის წინა და უკანა სალონების მდგომარეობაზე, მანქანის საჭისა და სამუხრუჭე სისტემის გამართულობაზე, მანქანის საჭეზე, სიჩქარეების გადამრთველ ბერკეტზე. კარების სახელურზე და სხვა საგნებზე არსებული ხელის კვალის გამოვლინება-დამუშავებაზე და სხვ., რა დროსაც გამოყენებული უნდა იქნეს უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და სტერეოფოტოგადაღებისათვის საჭირო სპეციალური სტერეოსკოპიური დანადგარები და სხვ.

თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე პირი სადაოს ხდის მის მიერ ავტომანქანის საჭის მართვას და იგი ასეთს აბრალებს ამ საგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულ პიროვნებას, რომელიც მასთან ერთად ავტომანქანაში იმყოფებოდა, მაშინ საკითხის უფრო დამაჯერებლად გადასაწყვეტად შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე ოდოროლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა. ამიტომ აუცილებელია ამისათვის მასალების მომზადებას შეუდგეთ თავიდანვე თვით სატრანსპორტო საშუალებათა დათვალიერების მომენტიდან და ამ მიზნით ავტომანქანის საჭის მხარესა და მის გვერდით არსებული საჯდომებიდან მოხდეს სუნის ამოღება სათანადო წესების დაცვით და მისი გადატანა გერმეტიულად დახურულ კოლბაში. ამავე

ბიზნით მოიხსნას და ამოღებული იქნეს საჯდომის შალითა ან მისი მონაჭ-ური. შედარებითი გამოკვლევისათვის კი დათვალიერებული და ამოღებული იქნეს დაზარალებულისა და იქ მყოფი მძღოლის ტანსაცმელი.

<u>დაკითხვა.</u> ისევე, როგორც სხვა სახის დანაშაულთა გამოძიებისას, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიების დროსაც ერთ-ერთი მეტად საჭირო პირველადი საგამოძიებო მოქმედებაა. თვითეული კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, პირველ რიგში საჭიროა დაიკითხოს ტრანს-პორტის მძღოლი ან დაზარალებული, შემდეგ კი შემთხვევის მომსწრე მოწ-მეები ან სხვა პირები.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი, პირველადი მონაცემების მიხედვით შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე ან ეჭვმი-ტანილი. ამასთან რეკომენდირებულია მისი დაკითხვა მოხდეს ისეთ გარე-მოებათა შესახებ, როგორიცაა: იყო თუ არა ტექნიკურად გამართული მისი მართვის ქვეშ მქონე სატრანსპორტო საშუალება და თუ არა რაში გამოიხ-ატებოდა მისი გაუმართაობა და მის გასასწორებლად მიიღო თუ არა რაიმე ზომები, რა სახისა და როდის, შეძლო თუ არა მისი გასწორება; რა სის-წრაფით მიჰყავდა მას სატრანსპორტო საშუალება; როგორი იყო მისი მხედ-ველობის არე; სად, როდის, რა მომენტში და რა მანძილზე შეამჩნია მოსა-ლოდნელი საფრთხე და მიიღო თუ არა რაიმე ღონისძიება მის აღსაკვეთად; როგორი იყო ამინდი და საგზაო სავალი ნაწილი; იყო თუ არა გზებზე გაკეთებული მოძრაობის აღმკვეთი, შემზღუდავი ან ამკრძალავი ნიშნები ან სხვა მაჩვენებლები, შეამჩნია თუ არა მან ისინი და თუ არა რატომ ვერ შეამჩნია; როგორი იყო მისი და იქ დამსწრე პირთა რეაქცია ფეხით მოსია-რულეზე ან გარკვეულ წინააღმდეგობაზე შეჯახებისას და მის შემდეგ; საგ-ზაო შემთხვევის მომენტში ტრანსპორტის მართვის დროს მასთან ერთად კიდევ ვინ იმყოფებოდა და ამ უკანასკნელმა რა მოიმოქმედა შეჯახების მომენტში; რა გააკეთა მან შეჯახების შემდეგ, დაზარალებულებს აღმოუჩინა თუ არა პირველადი სამედიცინო დახმარება, თუ შეშინებული მიიმალა შემთხვევის ადგილიდან; შეჯახების შემდეგ სატრანსპორტო საშუალება თავისით გაჩერდა თუ თვითონ მან შეაჩერა; შეჯახებიდან კიდევ რა მანძილი გაიარა; შეჯახებამდე მოასწრო თუ არა დამუხრუჭება ან გზის მიმარ-თულების შეცვლა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ისეთ გარემოებათა შესახებ, რომელზეც დასაკითხი პირისაგან მიღებული უნდა იქნეს ამომწურ-

ავი პასუხი და ამასთან გაირკვეს მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის გამომწვევი მიზეზი და მისი აღმოცენების ხელშემწყობი პირობები. გაირკვეს ისიც, თუ რა ვერსიებს აყენებს იგი თავის მართლების მიზნით.

დაზარალებულის დაკითხვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ თუ მისი ჯანმრთელობა ამის შესაძლებლობას იძლევა. დაკითხვის დროს უნდა შეეცადოთ მისგან მიღებული იქნეს ამომწურავი პასუხი ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: სად და რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს; მოძრაობდა თუ იდგა, საით მიემართებოდა და რა სიჩქარით (ჩქარი თუ ნელი ნაბიჯებით მიდიოდა), ხომ არ ცდილობდა ტრანსპორტის გადასწრებას; როდის შეამჩნია მისკენ მიმავალი ტრანსპორტი და მისკენ რა სისწრაფით მიემართებოდა იგი; შეჯახების თავიდან ასაცილებლად რა მოიმოქმედა თვითონ მან და ტრანსპორტის მძღოლმა; ხომ არ იცის რა მარკის, რა სახეობის ტრანსპორტი იყო; ხომ არ შეუმჩნევია მისი ფერი და სახელმწიფო ნომრები; ვინ იჯდა საჭესთან და როგორი იყო მისი ჩაცმულობა; მძღოლის გვერდით იჯდა თუ არა სხვა ვინმე და მათთან ხომ არ იყო საუბარში გართული. მძღოლმა შეამჩნია თუ არა იგი და თუ შეამჩნია როდის, რა მანძილზე და მასზე შეჯახების თავიდან აცილების მიზნით ხომ არ მიიღო რაიმე ზომები და სხვ.

საქმეზე მოწმის სახით დასაკითხი პირები შეიძლება პირობითად დაიყოს შემდეგ ხუთ ჯგუფად: პირველს უნდა მიეკუთვნოს მძღოლის გვერდით ტრანსპორტში მყოფი პირი ან მასში მყოფი მგზავრები. მეორეს, პირები რომლებმაც მიიღეს სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი ხარისხის დაზიანება; ან მძიმე ხარისხის დაზიანება, ან დაზარალებულის სიკვდილი. ასეთ შემთხვევებში ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად აყენებენ სხეულის დაზიანებათა აღმოცენების მექანიზმისა და მათი ხარისხის განმსაზღვრელ კითხვებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოსაძიებელ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან რამოდენიმე პირის დაღუპვა, მაშინ ინიშნება რა გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მის წინაშე გადასაწყვეტად რეკომენდირებულია დაყენებული იქნეს კითხვები: სიკვდილის გამომწვევი მიზეზის, მიყენებული დაზიანებების დროისა და რაოდენობის, ხარისხის, ხასიათის და ურთიერთ განლაგების ახსნის შესახებ.

მძღოლის მიმართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში შეიძლება ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დაყენებული

იქნეს კითხვები მძღოლის სხეულზე არსებული დაზიანებების რაოდენობის, განლაგების, ხასიათის, მათი აღმოცენების მექანიზმისა და დაზიანებათა ხარისხის განსაზღვრის შესახებ. თუ მძღოლი მანამდე ცალკე არ იყო შემოწმებული სიფხიზლეზე, მაშინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წინაშე შეიძლება დაისვას აგრეთვე კითხვები: ტრანსპორტის მართვის დროს იმყოფებოდა თუ არა მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში, მიღებული ჰქონდა თუ არა მას ალკოჰოლური სასმელები ან სხვა გამაბრუებელი საშუალებები და როგორი იყო მათი მოქმედების ხარისხი.

მოცემული სახის დანაშაულთა გამოძიების დროს წამოჭრილი სხვადასხვა სახის საკითხების გადასაწყვეტად ზოგჯერ შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე კრიმინალისტიკური, ბიოლოგიური, ქიმიური, ავტოტექნიკური, ფსიქიატრიული, ფსიქოლოგიური, საბუღალტრო და სხვა სახის სასამართლო ექსპერტიზა.

<u>ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა,</u> როგორც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კატეგორიის საქმეებზე უფრო ხშირად წარმოებს და ექსპერტიზის წინაშე დგება საკითხები მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობის ახსნის შესახებ. კერძოდ, ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად აყენებენ ისეთ კითხვებს, როგორიცაა: მოცემული გამოსაძიებელი შემთხვევა ხომ არ გამოიწვია სატრანსპორტო საშუალებათა გაუმართაობამ და სახელდობრ ტრანსპორტის რა ნაწილის დაზიანებამ გამოიწვია იგი; გადაჭარბებული სიჩქარით ხომ არ მოძრაობდა იგი და რა როლი შეასრულა მან საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომაში; კონკრეტულად რა სიჩქარით მიჰყავდა მძღოლს ტრანსპორტი და მოძრაობის უსაფრთხოების რა წესები იქნა მის მიერ დარღვეული ან ფეხით მოსიარულე დაზარალებულის მიერ; შეეძლო თუ არა მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე და ამისათვის მიიღო თუ არა ყველა საჭირო ღონისძიება; მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში როგორი იყო მძღოლის მხედველობის არე, რა მანძილზე შეეძლო შეემჩნია მას მოსალოდნელი საფრთხე და შეეცადა თუ არა მისი თავიდან აცილებისათვის მანქანის სრულ შეჩერებას მისი დამუხრუჭებით და სხვ., რომელთა გადასაწყვეტად ექსპერტი იყენებს ალგორითმებს, მათემატიკური კვლევის სხვა ხერხებსა და მეთოდებს.

არასწორი და დაუშვებელია ავტოტექნიკური ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად ისეთი საკითხების დაყენება, რომლებიც შეეხება მძღოლის ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე სხვა რომელიმე პირის ბრალეულობის საკითხს.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნას უფრო ხშირად მიმართავენ ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც შეეხება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სატრანსპორტო საშუალებათა ან სხვა სახის საგნებისა და ობიექტების მიერ წარმოქმნილი კვალის, დაზარალებულის სხეულზე ან მის ტანსაცმელზე აღმოჩენილი საბურავების ან სხვა სახის. კვალის ან თვითონ სატრანსპორტო საშუალებაზე შეჯახების შედეგად წარმოქმნილი კვალის აღმოცენების მექანიზმსა და მათ ტრასოლოგიურ გამოკვლევას. კერძოდ, ადამიანის ხელის, ფეხის, სატრანსპორტო საშუალებათა კვალის გამოკვლევას, მთელის იდენტიფიკაციას ნაწილების მიხედვით და სხვ.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიების პროცესში ჩასატარებელი ზემოაღნიშნული სახის ექსპერტიზებიდან არ შეიძლება ყველა მათგანის დანიშვნა მიჩნეულ იქნეს პირველად მოქმედებებად. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით კი კომპლექსური, კომისიონალური, დამატებითი ან განმეორებითი სახის ექსპერტიზები შეიძლება დანიშნული და ჩატარებული იქნეს გამოძიების შემდგომ ნებისმიერ ეტაპზე.

ბრალდებულის დაკითხვის დროს ამომწურავი პასუხი უნდა იქნეს გაცემული ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და თუ არა რატომ; სად და ვისთან იმყოფებოდა საგზაო შემთხვევის დროს ან როგორ აღმოჩნდა იგი შემთხვევის ადგილზე, ვინ იყო მასთან ერთად ავტომანქანაში (ან სხვა სახის ტრანსპორტში) და საიდან მოდიოდნენ; ჰქონდა თუ არა მიღებული ალკოჰოლური სასმელები, ვისთან ერთად მიიღო და რა რაოდენობით; რა სიჩქარით მიჰყავდა ტრანსპორტი; როდის და რა მანძილზე შეამჩნია მოსალოდნელი საფრთხე და რა ზომები მიიღო მის თავიდან ასაცილებლად; მისცა თუ არა გამაფრთხილებელი სიგნალი ან შეეცადა თუ არა თავის მართვის ქვეშ მყოფი ტრანსპორტის შეჩერებას; რა მოიმოქმედა შემთხვევის შემდეგ (დაზარალებულს აღმოუჩინა საჭირო პირველადი სამედიცინო დახმარება, თუ განსაცდელში მიატოვა იგი და გაიქცა), სად და ვისთან წავიდა; შეეცადა თუ არა შეჯახების შედეგად სატრანსპორტო საშუალებაზე დარ-

ჩენილი კვალის მოცილებას მისი გარეცხვით ან შეკეთებით და სხვ. ამასთან მოსმენილი და გაანალიზებული უნდა იქნეს მის მიერ თავის მართლების მიზნით წამოყენებული ვერსიები და მოხდეს მათი სრული, ამომწურავი შემოწმება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა გაანალიზებითა და სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით, კერძოდ, მისგან მიღებული ჩვენების ადგილზე შემოწმებით ფაქტიურ გარემოებებთან შეპირისპირებაში, საგამოძიებო ექსპერიმენტით, ექსპერტიზის დანიშვნით, ამოცნობით, დაპირისპირებით და სხვა მოქმედებების ჩატარებით.

გამოძიების გარკვეულ ეტაპზე შექმნილი კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობის დასადგენად შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე საბუღალტრო ექსპერტიზა. ამასთან საქმეზე მიღებული ჩვენებების შემოწმების, ცალკეული გარემოებების დადგენისა და ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე გამოსაძიებელი შემთხვევის შემსწრე მოწმეთა მიერ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ან სატრანსპორტო საშუალების ამოცნობა, თუკი იგი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან; საქმეზე დაკითხულ პირთ ჩვენებების შემოწმება შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტიურ გარემოებებთან შეპირისპირებაში და სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიების პროცესში გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს მოცემული სახის დანაშაულთა ჩადენის გამომწვევ მიზეზებს, მათ ხელშემწყობ გარემოებებს და მის შესაბამისად მიღებული იქნეს თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები. კერძოდ, აუცილებელია საქმეში არსებული მასალების ყოველმხრივი გაანალიზების საფუძველზე შედგენილი იქნეს სწორად და ყოველმხრივად დასაბუთებული წარდგინება და იგი სათანადო რეაგირებისა და მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად გაგზავნილი იქნეს შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ან შემუშავებული წინადადებების პრაქტიკაში დასანერგად შეტანილი იქნეს ზემდგომ ორგანოებში.

XXXIV თავი

ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა

§1. ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის კრიმინალისტიკური დახასიათება

ხანძრის შედეგად ყოველწლიურად დიდი ზიანი ადგება სახელმწიფო, საზოგადოებრივ და მოქალაქეთა კერძო საკუთრებას. ხანძარი აზიანებს და ანადგურებს ისტორიული მნიშვნელობის მქონე უნიკალურ ნაწარმოებებსა და ნაგებობებს, რომელთაგან მთელი რიგი საგნებისა და ობიექტების აღდგენა შეუძლებელი ხდება. გარკვეული ნაწილის აღდგენა კი სახელმწიფოსა და ხალხს მრავალი ათასი და მილიონობით მანეთი უჯდება. თუ ამას მივუმატებთ იმასაც, რომ ხშირად ხანძარს მრავალი ადამიანის სიცოცხლეც ეწირება, ნათელი გახდება თუ რაოდენ დიდია მისი საზოგადოებრივი საშიშროება.

მართალია, ხანძარი უმეტესწილად დაკავშირებულია გარკვეულ მოქმედებასთან, მაგრამ იგი ყოველთვის როდია გამოწვეული ადამიანის დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად. იგი შეიძლება მოხდეს სხვა ბუნებრივი მიზეზებითაც. მაგალითად, მეხის დაცემით ან ადვილად აალებად ან ფეთქებად ნივთიერებაზე მზის სხივების აქტიური ზემოქმედებითაც შეიძლება გაჩნდეს ხანძარი. იგი შეიძლება გაჩნდეს თვითაალებადი თვისებების მქონე სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით ან მათი ურთიერთ შერევით და სხვ., რასაც შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი. მაგრამ, ცხადია, აქედან ყველა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი. ამიტომ საჭიროა მოხდეს თითოეული მომხდარი შემთხვევის წინასწარი შემოწმება მისი წარმოქმნის მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების ახსნა-გამოკვლევის მიზნით და, თუ პირველადი მასალების შემოწმებით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მომხდარი გამოსაკვლევი ხანძრის შემთხვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაშინ მიღებული მონაცემების საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და მასზე ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება.

ცეცხლის წაკიდება და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა, დანაშაულის ჩადენის ხელყოფის ობიექტის თავისებურებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავებშია გათვალისწინებული. მაგალითად, ცეცხლის წაკიდება, თუ იგი მიმართულია ადამიანთა მასობრივი მოსპობისაკენ ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განადგურებისაკენ, იგი განიხილება, როგორც დივერსია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული და მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის პირველ თავში. ცეცხლის წაკიდებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავში და 100-ე მუხლის მეორე ნაწილით იგი ამ დანაშაულებრივი ქმედობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული. მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით, სსკ 157-ე მუხლის მეორე ნაწილით ამ დანაშაულის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებადაა მიჩნეული და იგი მოთავსებულია სსკ განსაკუთრებული ნაწილის მეხუთე თავში. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა კი მოთავსებულია სსკ განსაკუთრებული ნაწილის მეათე თავში (სსკ 246 მუხ.). მაგრამ, ცხადია, სახელმძღვანელოში არ შეიძლება თითოეული ამ დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელოთ მათი გახსნის მეთოდიკაზე. ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის გახსნის მეთოდიკა მოიცავს ყველა მათგანს და არა რომელიმე ცალკე აღებულ კონკრეტულ შემთხვევას.

ხანძარი და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად დანაშაულებრივ ქმედობადაა აღიარებული, იურიდიული შემადგენლობისა და კრიმინალისტიკური დახასიათების თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად ჯგუფებად: 1.ხანძარი, რომელიც სხვადასხვა მიზნითა და მოტივითაა ჩადენილი გარკვეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტისათვის განზრახ ცეცხლის წაკიდებით. | მაგალითად, დივერსია (სსკ 69 მუხ.); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (სსკ 100 მუხ.); მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (სსკ 157

მუხ.). 2.ხანძრის შემთხვევები, რომლებიც გამოწვეული იქნა ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიერ გაუფრთხილებლობით სხვადასხვა გარემოებასა და სიტუაციაში. მაგალითად, ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება (სსკ 101 მუხ.); მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით (სსკ 158 მუხ.). 3.შემთხვევები, რომელთა ჩადენა შეიძლება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელი ბრალით. მაგალითად, სამშენებლო საქმიანობათა წარმოების დროს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა (სსკ 244 მუხ.); სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა (სსკ 246 მუხ.).

კრიმინალისტიკური დახასიათების თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კონკრეტულ სიტუაციებსა და გარემოებებში აღმოცენებულ ხანძრის შემთხვევების დაყოფას ხელყოფის ობიექტების მიხედვით. კერძოდ, საცხოვრებელ ბინებსა და სათავსოებში მომხდარი ხანძარი. ანძარი საწარმო-დაწესებულებებში. ხანძარი მატერიალურ ფასეულობათა აწყობებსა და სავაჭრო შენობებში; ხანძარი სოფლის მეურნეობის ობიექტებზე; ხანძარი ტყეში; ხანძარი ტრანსპორტის ობიექტებზე; ხანძარი კულტურის სახლებში; მუზეუმებში; კლუბებსა და კინო-თეატრებში და სხვ., რომელთა აღრმოცენება ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით და თითოეული მათგანის გამომწვევი მიზეზების წინასწარი შესწავლა-გამოკვლევა ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმის დროულ დასაბუთებულ აღძვრასა და საგამოძიებო ვერსიების სწორად აგება-შემოწმებას.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის წინა ეტაპზე პირველადი მასალების შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ჩადენის ხელყოფის ობიექტს, მის დანიშნულებასა და მნიშვნელობას, მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებსა და ნიშნებს; ცეცხლის წაკიდებისა თუ ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის ხერხებს, მისი ჩადენის მთლიან მექანიზმს; ხანძრით მიყენებული ზიანის ხასიათს, თავისი შედეგებით არის თუ არა მძიმე და კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი; ხანძრით მიყენებული ზიანი ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ხელსაყრელი; ხომ არაა იგი ჩადენილი სხვა უფრო მძიმე დანაშაულის დასაფარავად; რა ნიშნებით შეიძლება ხასიათდებოდეს ხანძრის ჩამდენი

პირი, ხანძრის გაჩენის თავისებურება საჭიროებდა თუ არა რაიმე სახის პროფესიონალურ ცოდნას და სხვ. სწორედ ამ გარემოებების ამსახველ მონაცემებშე უნდა ვეძიოთ მოცემული სახის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების უმთავრესი ნიშნები.

მოცემული სახის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისას ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ ხანძარი, რომელიც მოხდა ცეცხლის წაკიდებით და დაკავშირებულია პირის განზრახ ქმედობასთან; ხანძარი, რომელიც წარმოიქმნა პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით და ხანძარი, რომელიც გაჩნდა პირის ან პირთა ჯგუფის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედობით.

როგორც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, დამნაშავენი ცეცხლის წაკიდებას მიმართავენ სხვადასხვა მოტივითა და მიზნებით. კერძოდ: პოლიტიკური მიზნით ან სხვა უფრო მძიმე დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნითა და მოტივით ან ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით, ანგარების, შურისძიების ან ხულიგნური ქვენაგრძნობის მოტივებით და სხვ.

ხანძრის გაჩენის მრავალი მიზეზი, პირობა, ხერხი და საშუალება არსებობს და მათი ამომწურავი ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია. ამ მრავალსახეობებიდან პრაქტიკაში უფრო ხშირად შეიმჩნევა ხანძრის გაჩენის ისეთი შემთხვევები, როცა:

1. ხანძრის გაჩენა მოხდა შემთხვევის ადგილზე არსებული ადვილად აალებადი საწვავი მასალისათვის ცეცხლის წაკიდებით;

2. ხანძარი გაჩნდა ადვილადაალებადი საწვავის ან ფეთქებადი ნივთიერების ხელყოფის ობიექტთან სპეციალურად მიტანით, მომარჯვებით და მისთვის ცეცხლის წაკიდებით;

3. ხელყოფის ობიექტი წინასწარ იქნა დამუშავებული თვითაალებადი ან მარტივი საწვავი ნივთიერებებით და მის გარშემო შექმნილი იქნა ისეთი სპეციალური გარემოებები და ტექნიკური პირობები, რომელიც წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში, საგნების ურთიერთშეხების მომენტში გამოყოფილი სითბოს შედეგად ცეცხლის წაკიდების გარეშე გამოიწვევდა ამ საგნების აალებას და ერთდროულად ცეცხლის გაჩენას ხელყოფის ობიექტის რამოდენიმე ადგილზე;

4. ხელყოფის ობიექტზე ან მის ირგვლივ მოთავსებული იქნა ისეთი ნივთიერებები, რომლებიც გარკვეული ქიმიური ან ბიოლოგიური პროცესების შედეგად განიცდიან ფარულ წვას და გარკვეულ მომენტსა და პირობებში იწყებენ თვითაალებას და იწვევენ ხანძარს;

5. წინასწარი შეცნობით ხელყოფის ობიექტზე ელექტროგაყვანილობას აზიანებენ ისეთ ადგილზე, რომლის გარშემოც ან მის ახლოს მოთავსებულია ადვილად წვადი ნივთიერებები ან საგნები და უმნიშვნელო მოკლე ჩართვის შემთხვევაში გამოყოფილი ნაპერწკლების შედეგად იწყებენ წვას და იწვევს ხანძარს;

6. ხელყოფის ობიექტის ირგვლივ ან მასში ტოვებენ ფეთქებად ნივთიერებას და ადვილად საწვავ მასალას, წინასწარ ამუშავებენ მათ და შემდეგ დაშორებული მანძილიდან შეუმჩნევლად ახდენენ მის აფეთქებას, რაც თავის მხრივ დაუყოვნებლივ იწვევს ხანძარს იქ არსებული ადვილად წვადი ნივთიერებების მეშვეობით;

7. დაცული არაა ხანძარსაწინააღმდეგო წესები ელექტროგაყვანილობის, გათბობის, ელექტრო ღუმელის, გაზქურების და სხვა სახის ცეცხლგამჩენი დანადგარების დამონტაჟებისა და ექსპლოატაციის დროს;

8. დაცული არაა ადვილადაალებადი და ფეთქებადი ქიმიური ნივთიერებების შენახვის, ხმარებისა და მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის სათანადო პირობები ხანძარსაწინააღმდეგო წესების თვალსაზრისით;

9. მოწესრიგებული არაა საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საცხოვრებელ ბინებსა და დამხმარე სათავსოებში, მატერიალურ ფასეულობათა საწყობებსა და საცავებში, მოძრავ ტრანსპორტზე და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე ელექტრომოწყობილობა, მისი დანადგარები და გამანათებელი საშუალებები;

10. საწარმოო პროცესებში კვლავ იყენებენ ისეთ მოძველებულ და მწყობრიდან გამოსულ ელექტრო დანადგარებს, დაზგებსა და მანქანებს, რომლებსაც აღარა აქვთ სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უნარი და საერთოდ უგულებელყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო წესები;

11. როცა ტყე-პარკებში სასეირნოდ და დროის გასატარებლად გასულ პირთა ჯგუფი ცეცხლის დანთებისას არ იცავს ხანძარსაწინააღმდეგო წე-

სებს, ანთებულს ტოვებს ცეცხლს და არავითარ ზომებს არ იღებს მის ჩასაქრობად და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებიდან 1-6 შემთხვევა ეხება ისეთ გარემოებებს, როცა ხანძრის გაჩენა დაკავშირებულია ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის განზრახ მოქმედებასთან და იგი ყოველთვის გამოიხატება პირის (ან პირთა ჯგუფის) აქტიურ მოქმედებაში. დანარჩენი შემთხვევები კი ეხება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელი ბრალით ხანძრის გაჩენის ფაქტებს, როცა პირი (ან პირთა ჯგუფი) შეგნებულად ან უნებლიედ უგულებელყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესებს და სათანადო ზომებს არ იღებს მის თავიდან ასაცილებლად და ამ მიმართებით გარკვეულ უმოქმედობას იჩენს.

ამ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დასასიათების მნიშვნელოვან ელემენტებად მიჩნეულია აგრეთვე განზრახ ცეცხლის წაკიდებაზე მიმთითებელი ისეთი მონაცემები, როგორიცაა: ხანძრის გაჩენა ისეთ ადგილზე, სადაც გამორიცხულია ცეცხლის გაჩენის შესაძლებლობა შემთხვევის ადგილზე არსებული საგნებისა და ობიექტების თვითაალებადობით, ქიმიური და ბუნებრივი თავისთავადი წვით, თვითაფეთქებით, ან სხვა რაიმე ბუნებრივი მოვლენებით; შემთხვევის ადგილზე ორი ან მეტი დამოუკიდებელი ხანძრის წყაროს არსებობა; შემთხვევის ადგილზე ხანძრის გაჩენის რაიმე ტექნიკური ან ქიმიური საშუალებისა და იარაღის არსებობა; შემთხვევის ადგილზე არსებული ხანძარუსაფრთხოების საშუალებების — ავტომატური სიგნალიზაციის სისტემის წინასწარ გამორთვაზე ან მის დაზიანებაზე, ხანძრის ჩასაქრობ პირველად გადაუდებელი ტექნიკური საშუალებების განზრახ მწყობრიდან გამოყვანაზე და ხელოვნურად ცეცხლთან ბრძოლის დამატებითი დამაბრკოლებელი გარემოებებისა და პირობების შექმნაზე მიმთითებელი ფაქტების არსებობა; შემთხვევის ადგილზე ცეცხლის წაკიდების შემდეგ ცეცხლის ინტენსიურად გავრცელებისათვის საჭირო პირობების არსებობა; ხანძრის გაჩენის ადგილზე სხვა სახის დანაშაულის კვალის არსებობაზე მიმთითებელი გარემოებები; მატერიალურ ფასეულობათა სახეობის, რაოდენობისა და მათი მოძრაობის ამსახველი დოკუმენტების ერთ ადგილზე თავმოყრისა და იმ ადგილზე ხანძრის პროცესის განსაკუთრებული გაძლიერების არსებობა; მონაცემები, სავაჭრო ორგანიზაციებში და მატერიალურ ფასეულობათა შემნახველ საწყობებში, დატაცების გამოვლინების

მიზნით, მოსალოდნელი რევიზიის ჩატარების წინა დღეებში ხანძრის გაჩენის შესახებ; ხანძრის გაჩენის წინ საცხოვრებელი ბინიდან ან მატერიალურ ფასეულობათა საწყობიდან ძვირფასი ნივთების გატანის ფაქტების არსებობა; ხანძრის შედეგად შემთხვევის ადგილზე იმ ძვირფასი საგნებისა და ნივთების დაწვის კვალის არარსებობა, რომელზეც მატერიალურ პასუხისმგებელი პირი მიუთითებს და სხვ.

იმისათვის, რომ გაირკვეს ხანძარი გაჩნდა განზრახ ცეცხლის წაკიდებით, თუ გაუფრთხილებლობით, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობით ან ბუნებრივი მოვლენების (მეხის დაცემის, მზის სხივების ზემოქმედების და სხვ.) შედეგად, საჭიროა გაირკვეს და აიხსნას ხანძრის აღმოცენებისა და განვითარების პროცესის მიმდინარეობა. თუ დადგინდება, რომ ხანძარი გაჩნდა იქ მყოფ პირთა შეუმჩნევლად და სწრაფად გაძლიერდა, ერთ შემთხვევაში ეს გარემოება შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ ცეცხლის წაკიდებას, მეორე შემთხვევაში კი არა. რადგან ხანძრის შემდგომი გაძლიერება შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე თვით ხანძრის ობიექტის თავისებურებით, მასში შესანახად არსებულ ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებაზე ხანძრის გავრცელების შედეგად და სხვა გარემოებებით, ამიტომ გამოძიების დაწყებამდე საჭიროა მოხდეს ხანძრის ფაქტის შემსწრე პირებისათვის დეტალური ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა ხანძრის აღმოცენება-განვითარების მთლიანი პროცესის შესახებ.

ახსნა-განმარტებები უნდა ჩამოერთვათ აგრეთვე იმ პირებს, ვინც გათვითცნობიერებული იყო ხანძრის ობიექტის თავისებურებაში და იცოდა მასში არსებული ნივთები, საგნები, მასალა, მათი ქიმიური და ბუნებრივი თვისებები და ურთიერთგანლაგება. ახსნა-განმარტებები უნდა ჩამოერთვათ აგრეთვე ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე პირებს ხანძრის ბოლის ფერისა და ხანძრის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ასევე ახსნა-განმარტებები უნდა ჩამოერთვათ დაზარალებულ პირებსა და ამ ობიექტის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს. ყოველივე ამის შემდეგ ან მანამდე საჭიროა მოხდეს აგრეთვე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარება.

ახსნა-განმარტებებით მიღებული მონაცემები უდაოდ ხელს შეუწყობს თვით შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეფექტურად ჩატარებას და ამ უკანასკნელი სახის მოქმედებით მიღებულ მონაცემებთან ერთად სწორი,

დასაბუთებული დადგენილების გამოტანას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან ასეთის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და საგამოძიებო ვერსიების აგება-შემოწმებას.

§2. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა

თუ პირველადი მონაცემებით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ხანძრის გაჩენას და მას მოჰყვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურება ან დაზიანება და ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, ან როცა მას მოჰყვა ადამიანთა დაღუპვა, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, მოხდეს მასზე სათანადო ვერსიების აგება, შედგეს საგამოძიებო გეგმა. წამოყენებული ვერსიების სრული, ყოველმხრივი შემოწმება-გამოკვლევის შესახებ და საქმეზე ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება.

მოცემული კატეგორიის საქმეებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბად უმეტეს შემთხვევებში გვევლინება მოქალაქეთა განცხადებები ან სახანძრო დაწესებულებებიდან მიღებული ცნობა მომხდარი ხანძრის შესახებ. საქმის აღძვრის საფუძვლად კი ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესახებ მოქალაქეთა ახსნა-განმარტებებითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებით მიღებული ის პირველადი მონაცემები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობაზე მიუთითებენ. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საგამოძიებო ვერსიები წამოყენებული უნდა იქნეს ხანძრის გამომწვევი მიზეზების ახსნის შესახებ და შემდეგ მისი ჩადენის ხერხების, მისი ჩამდენი პირის ბრალეულობის, მოტივის, მიზნისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა ახსნის შესახებ.

გამოძიების დაწყების ამ ეტაპზე შეიძლება წამოყენებული იქნეს შემდეგი საერთო სახის ვერსიები ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესახებ: საგამოძიებო ვერსია იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ცეცხლის წაკიდებას, რომ ხანძარი გაჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის შედეგად, რომ ხანძარი გაჩნდა ბუნებრივი შემთხვევების გამო და სხვა. თითოეული ამ ვერსიის პარალელურად სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი კუთვნილების საგნებისა და ობიექტების თავისებურებების, მათი დანიშნულებისა და ბუნებრივი თვისებების, მათი

შენახვის ადგილის, მდებარეობის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით წამოყენებული და შემოწმებული უნდა იქნეს აგრეთვე კერძო და დეტალური ვერსიები ხელყოფის ობიექტისა და დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის (ხანძრის გაჩენის დროის, ადგილის, ხერხების, პირის ქმედობასა და ხანძრით გამოწვეული დამდგარი საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის ან არ არსებობის ახსნის შესახებ და სხვ.); დანაშაულის სუბიექტისა და სუბიექტური მხარის (ხანძრის გამჩენი პირის, მისი ბრალეულობის -განზრახ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა კონკრეტული დეტალებისა და გარემოებების ახსნის შესახებ.

შემუშავებული საგამოძიებო ვერსიების შემოწმების მიზნით საჭიროა დაუყოვნებლივ შედგეს საგამოძიებო გეგმა, განისაზღვროს გამოძიებით დასადგენ გარემოებათა წრე და მათი დადგენის ხერხები და საშუალებები, პირველდაწყებითი გადაუდებელ საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო და სხვა პროცესუალურ მოქმედებათა წრე და მათი ჩატარების ტაქტიკა.

გამოძიების ამ რთულ პირველდაწყებით ეტაპზე საჭიროა პირველადი მონაცემების თავისებურებებიდან გამომდინარე გამოძიებით აიხსნას და დადგინდეს შემდეგი გარემოებები:

1. სად, როდის, როგორ და რას გაუჩნდა ხანძარი;

2. რა იქნა ხანძრით დაზიანებული, ვის მიადგა ზიანი, რა სახისა და რა რაოდენობით;

3. რა თვისებებით ხასიათდებოდა ხანძრის ხელყოფის ობიექტი და შეიძლებოდა თუ არა მისი თვითაალებადობა ან აფეთქება რაიმე ბუნებრივი სახის მოვლენებით;

4. იყო თუ არა დარღვეული ხანძარსაწინააღმდეგო წესები და კონკრეტულად მისი რა მოთხოვნები არ იქნა დაცული და ვის მიერ;

5. სად იყო ხანძრის წყარო და რა იყო უშუალოდ მისი წარმოქმნის მიზეზი;

6. პირველად სად, ხელყოფის ობიექტის რომელ ნაწილზე გაჩნდა ხანძარი და შემდეგ როგორ განვითარდა და რა საგნებსა და ობიექტებზე გადაიზარდა იგი;

7. ხანძარი გაუჩნდა ერთ რომელიმე ობიექტს თუ ერთდროულად რა-ოდენიმე მათგანს;

8. ვის ევალებოდა ხანძრით ხელყოფილი ობიექტის მოვლა-პატრონობა, მისი დაცვა და სად იმყოფებოდა იგი ხანძრის გაჩენის მო-მენტში. იყო თუ არა ვინმე მასზე განპირობებული მეხანძრედ და როგორ ასრულებდა იგი მასზე სამსახურებრივად დაკისრებულ მოვალეობას;

9. ვინ ცხოვრობდა ან მუშაობდა ხანძრით ხელყოფის ობიექტზე და სად იმყოფებოდნენ ისინი ხანძრის გაჩენის მომენტში;

10. ვინ შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული ხანძრის შედეგებით;

11. არსებობს თუ არა მონაცემები, რომლებიც ცეცხლის წაკიდებაზე მიუთითებს, როგორია იგი და რა ნიშნებით ხასიათდება;

12. ცეცხლის გაჩენის რა სახის საშუალებები და ნივთიერებები იქნა აღმოჩენილი შემთხვევის ადგილზე, როგორი იყო მათი ურთიერთი განლაგება. ვის ჰქონდა ან ვის შეიძლება ჰქონოდა იგი ხანძრის გაჩენამდე და როგორ აღმოჩნდა იგი შემთხვევის ადგილზე;

13. ხანძრის გაჩენამდე ხომ არ წაუღიათ იქიდან რაიმე საგნები, ძვირფასი ნივთები, დადებით შემთხვევაში საჭიროა გაირკვეს აგრეთვე, თუ ვინ და სად წაიღო იგი;

14. თუ ხანძარი გაჩნდა სავაჭრო ორგანიზაციაში (მატერიალურ ფასეულობათა საწყობში ან სხვა მნიშვნელოვან ობიექტზე) საჭიროა გაირკვეს ხომ არ იყო დაგეგმილი მასში რევიზიის ან აღწერის ჩატარება;

15. შემთხვევის ადგილზე დამწვარ საგნებს შორის არსებობს თუ არა რაიმე კვალი იმ ძვირფასი საგნებისა, რომლებიც მითითებულია ხანძრით განადგურებული საგნებისა და ნივთების აღწერის აქტში ან რომლებსაც ასახელებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი;

16. ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე პირებიდან ხომ არავის გამოუჩენია საეჭვო პასიური მოქმედება და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი;

17. როგორ ხასიათდება ცეცხლის წაკიდებაში ან ხანძრის გაჩენაში ეჭვმიტანილი პირი;

18. ვის მიეკუთვნება ხანძრის გაჩენის ადგილზე აღმოჩენილი გარეშე საგნები, ნივთები და როგორ მოხვდნენ ისინი იქ;

19. რა იყო ცეცხლის წაკიდების მიზანი და მოტივი;

20. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებას (უმოქმედობასა) და ხანძრით მიყენებულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის;

21. რა იყო ხანძრის ხელშემწყობი პირობები და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, ცხადია, ამომწურავი არ არის და მათი რიცხვი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ასევე არ შეიძლება წინასწარ უცვლელ სქემად იქნეს მიღებული მოცემული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში პირველადი საგამოძიებო და შემდგომ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებათა კომპლექსი, რადგან ისიც იცვლება ცალკეულ კონკრეტულ საგამოძიებო სიტუაციათა მიხედვით პირველადი მონაცემების თავისებურებაოა შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გამოიკვეთოს იმ საერთო პირველადი საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა ჩატარება, როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს. უმეტეს შემთხვევაში, აუცილებელია. ასეთ პირველად საგამოძიებო მოქმედებებად და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება; ცნობის მომწოდებელი პირის დაკითხვა, დაზარალებულის, ხანძრის მომსწრე და ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე პირების დაკითხვა; ხანძრით ხელყოფილი ობიექტის დამცველის, მისი მფლობელისა და მატერიალურ პასუხისმგებელი პირების დაკითხვა; სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა, როცა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ადამიანის გვამი ან დაზარალებულმა ხანძრის შედეგად მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება; ეჭვმიტანილის დაძებნა, დაკავება, ჩხრეკა, მასთან აღმოჩენილი გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა საგნებისა და ნივთიერმტკიცებულებათა ამოღება და დათვალიერება, ეჭვმიტანილის შემოწმება და დაკითხვა.

შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო და სხვა პროცესუალურ მოქმედებებად უმეტესწილად გვევლინება: ამოცნობა, დაპირისპირება, ქიმიური, ბიოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული, სასაქონლო, ავტოტექნიკური ან კრიმინალისტიკური ექსპერტიზების დანიშვნა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ჩვენების ადგილზე შემოწმება, ექსპერტების დაკითხვა და სხვ.

§3. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა

შემთხვევის ადგილის დათვალიერება მოცემული კატეგორიის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის ტაქტიკურად სწორად ჩატარებით შეიძლება გამოკვლეული და დადგენილი იქნეს საქმის გახსნისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხანძრის. გაჩენის წყარო; ხანძრის გავრცელების მიმართულება და მოცულობა; ხანძრის გამომწვევი მიზეზები, მისი ჩადენის ხერხები და საშუალებები; მიყენებული ზიანის ხასიათი და რაოდენობა; ცეცხლის წამკიდებელი ან ხანძრის გამჩენი პირისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ცეცხლის წაკიდებისას პირი მოქმედებდა მარტო თუ პირთა ჯგუფთან ერთად; რა იყო ცეცხლის წაკიდების მიზანი, მოტივი და სხვ. ამიტომ საჭიროა ამ რთულ საგამოძიებო მოქმედების სათანადო მომზადება და მისი დროული, სრულყოფილი ჩატარება სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევა-გამოყენებით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად სხვა პირებთან ერთად საჭიროა მოწვეულნი იქნენ სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი საქართველოს რესპუბლიკის შსს სახანძრო დაცვის სამმართველოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. აგრეთვე ექსპერტი-კრიმინალისტი და ხანძრით მიყენებული ზიანის თავისებურებებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით სასამართლო-სამედიცინო და სხვა დარგის (ინჟინერ-ქიმიკოსი, ინჟინერ-ელექტრიკი, ტექნოლოგი, საქონელმცოდნე და სხვ.) მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე, ხანძრის ჩაქრობამდე ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ, საჭიროა სათანადო ზომები იქნეს მიღებული გარეშე პირთაგან ხანძრის ადგილმდებარეობის, იქ არსებული კვალის და დამწვარი საგნებისა და ობიექტების ზედმეტი დანგრევა-დაზიანების თავიდან ასაცილებლად. დათვალიერება დაწყებული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ ხანძრის ჩაქრობისთანავე. კარგი იქნება თუ ხანძრის განვითარების მთლიანი პროცესი, შესაბამისი დროის მითითებით, აღბეჭდილი იქნება კინო ან ვიდეოფირზე ოთხივე მხრიდან. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ კი, დათვალიერების საზღვრების განსაზღვრისთანავე, საჭიროა დათვალიერების სტატიკურ სტადიაზე მოხდეს შემთხვევის ადგილისადგილის ოთხი სახის ფოტოგადაღება სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული მეთოდებით.

თუ შემთხვევის ადგილის თავისებურებათა და სხვა პირველადი მონაცემებით ხანძრის გაჩენის კერა გამოკვეთილია, მაშინ მიზანშეწონილია, იქიდან მოხდეს მისი დათვალიერების დაწყება და იგი წარიმართოს ხანძრის განვითარების მიმართულებით. ამასთან საჭიროა დათვალიერებას დაექვემდებაროს ხანძრის მიმდებარე ტერიტორიაც. ხოლო თუ დათვალიერების ამ პირველ ეტაპზე უცნობი და გაურკვეველია ხანძრის გაჩენის კერა, მაშინ მისი დათვალიერება სასურველია დაწყებული იქნას ხანძრის პერიფერიული ნაწილებიდან, რადგან ამ შემთხვევაში დათვალიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხდება აგრეთვე ხანძრის გაჩენის ადგილისა და წყაროს დადგენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების უკეთ ჩატარების მიზნით მიზანშეწონილია დათვალიერების ტაქტიკის შერჩევისას გათვალისწინებული იქნეს აგრეთვე ახსნა-განმარტებებითა და სხვა გზით მიღებული პირველადი მონაცემები ხანძრის გამომწვევი მიზეზებისა და ცეცხლის წაკიდებაში მხილებული პირის საეჭვო მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ.

ხანძრის გაჩენის წყაროს მდებარეობის დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს დამწვარი საგნების მდგომარეობას, მათი დაწვის ხარისხს და ურთიერთ განლაგებას. ხომ არ იყო იქ ერთ ადგილზე თავმოყრილი საწვავი სითხე და სხვა ადვილად აალებადი საგნები და ფეთქებადი ნივთიერებები. საჭიროა ამოღებული იქნეს იქიდან ამ საგნების შემორჩენილი დამწვარი ნაწილები, დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნახშირი, ნაცარი და სხვა ნაცარტუტად ქცეული ნამცეცები შემდგომი ანალიზისა და გამოკვლევისათვის. თუ შეიგრძნობა ბენზინის ან ნავთის დაწვის სუნი, მაშინ თუ შესაძლებელია, აღებული უნდა იქნეს ჰაერის სინჯები ცეცხლის წაკიდებისათვის გამოყენებული საწვავი სითხის ან ქიმიური ნივთიერებების დასადგენად. ყოველივე ეს დაგვეხმარება ხანძრის გამომწვევი მიზეზებისა და დამნაშავე პირის ქმედობის ხასიათისა და ბრალის ფორმების სწორად განსაზღვრაში.

შემთხვევის ადგილზე არსებული ამგვარი ნივთიერი მტკიცებულების, კვალისა და საგნების აღმოჩენა-გამოვლინების მიზნით ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს ხანძრის შედეგად დანაგვიანებული ადგილის ცალკეულ ფენებად გადასინჯვა-გაცხრილვა, რადგან გაძლიერებულ ხანძრის კერასთან ცვივა და თავს იყრის დამწვარი საგნები, ხანძრით გამოწვეული ნანგრევები და ცეცხლის ჩაქრობის დროს მასზედ დაყრილი სხვადასხვა სახის

ნივთეულობა. დათვალიერების დროს შეიძლება აღმოჩენილი იქნეს აგრეთვე დაუწველი საგნების, ნივთებისა და საქონლის ნარჩენები. ხანძრის წყაროზე მიმთითებელი ელექტრო და სხვა სახის ხანძრის წარმომქმნელი დამწვარი ხელსაწყოები, რაც სათანადოდ უნდა იქნეს ფიქსირებული, ამოღებული, შეფუთული და მომზადებული ექსპერტიზაზე გასაგზავნად.

ხანძრით გამოწვეული ნგრევის შედეგად წარმოქმნილი გორებისა და ბორცვების ქვეშ არსებული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, კვალის და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა საგნებისა და ობიექტების აღმოჩენის მიზნით, ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს შემთხვევის ადგილზე გათხრების ჩატარება და იგი უნდა უზრუნველყოს გამომძიებელმა.

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილი იქნეს ეჭვმიტანილის ან მისი სატრანსპორტო საშუალების მიერ დატოვებული კვალი. მაგრამ იგი უნდა ვეძიოთ არა შემთხვევის ადგილმდებარეობის ცენტრში, არამედ მის პერიფერიულ ნაწილში, რადგან ხანძრის ჩაქრობის დროს მასში მონაწილე პირების განუწყვეტელი მოძრაობებისა და სახანძრო ავტოტრანსპორტის მიერ შეიძლება სრულად წაიშალოს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების პარალელურად, ოპერატიულ ჯგუფს უნდა მიეცეს დავალება საქმეზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა დადგენის, პირველადი მონაცემებით დანაშაულში მხილებული პირისათვის "ცხელ კვალზე მიდევნების", მისი დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ.

შემთხვევის ადგილზე <u>არსებული ცეცხლგამძლე კარადის დათვალიერება და გახსნა,</u> რომელშიც მოთავსებულია დოკუმენტები ან ფასიანი ქაღალდები, რეკომენდებულია მოხდეს მისი სრული გაციების შემდეგ.

შემთხვევის ადგილზე არსებული <u>გვამის დათვალიერებისას,</u> რომლის ჩატარებაში აუცილებლად უნდა იღებდეს მონაწილეობას ექიმ-ექსპერტი, ყურადღება უნდა მიექცეს მისი სხეულის პოზას და სხეულზე არსებულ დაზიანებათა რაოდენობას, ხარისხსა და თავისებურებებს, თუ შესაძლებელია მოხდეს მისი ამოცნობა, გვამის ჯვარედინი და საამოსაცნობო ფოტოგადაღება და მისი მდგომარეობის ზუსტი ასახვა აუცილებელია იმითაც, რომ დაწვის შემთხვევაში ადამიანის გვამი იღებს ე.წ. "მოკრივის" პოზას. ამასთან, იმის გასარკვევად, თუ რა სახისა და ხარისხის დაზიანებები აქვს მიყენებული და როდის — სიცოცხლის პერიოდში თუ მის შემდეგ, რა იყო მისი სიკვდილის დადგომის მიზეზი და როდის დადგა იგი ხანძრის

გაჩენამდე თუ ხანძრის შედეგად მის შემდეგ. აუცილებელია დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

თუ გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა დაუყოვნებლივ და ნახა ხანძრის განვითარებისა და ჩაქრობის პროცესი, ასეთ დროს სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში საჭიროა აისახოს აგრეთვე ცეცხლის ალისა და ბოლის ფერი, ხანძრის განვითარების პროცესი, მისი გაძლიერების ან შესუსტების პროცესის ჩვენებით და ხანძრის შედეგად წარმოქმნილი სუნის შეგრძნების თავისებურება და სხვ. დათვალიერების პროცესში აღმოჩენილ სხვა გარემოებებთან ერთად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ზუსტად უნდა იქნეს ასახული ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა ამ კატეგორიის საქმეებზე ერთ-ერთი პირველადი საგამოძიებო მოქმედებაა და მის დროულად, სწორედ ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმის გახსნა და მასზე ჭეშმარიტების დადგენა. მოწმის სახით დასაკითხ პირთა წრე მრავალფეროვანია. კერძოდ, მოწმის სახით შეიძლება პირველ რიგში დაიკითხოს თვით ხანძრის შესახებ ცნობის მომწოდებელი პირი, ხანძრის მომსწრე და ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე პირები, ხანძრით დაზიანებული ობიექტის მცველი (დარაჯი) ან მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და სხვ. დაზარალებულად კი პირი, რომელმაც ხანძრის შედეგად მიიღო ფიზიკური ან ქონებრივი ზარალი (ხანძრით დაზიანებული ობიექტის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი, პირი, რომელმაც ხანძრის შედეგად უშუალოდ მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება ან მისი კანონიერი წარმომადგენელი).

ხანძრის შესახებ ცნობის მომწოდებელი და მისი შემსწრე პირების დაკითხვისას ყურადღება გამახვილებული უნდა იქნას იმაზე თუ სად, როდის და რა გარემოებაში გაიგეს მათ მომხდარი ხანძრის შესახებ, პირადად ნახეს იგი თუ არა; როდის და როგორ დაიწყო და განვითარდა იგი. ხანძარი ერთდროულად გაჩნდა რამოდენიმე ადგილას თუ იგი დაიწყო ერთ რომელიმე ადგილას და შემდეგ გადაიზარდა სხვა ობიექტებზე; პირველად რა შეამჩნიეს ხანძრის ადგილზე ცეცხლის ალი თუ ბოლი; ცეცხლის ალი წარმოიქმნა ბოლის შემდეგ თუ პირიქით, ცეცხლის ალის ავარდნას მოჰყვა ბოლი; როგორი ამინდი იყო ხანძრის გაჩენის დროს; ხანძრის გაჩენის ადგილზე ხომ არ უნახავთ ვინმე საეჭვო პირი და თუ ნახეს რა მდგო-

მარეობაში და რას აკეთებდა; იქ მყოფ პირთაგან ვინ იჩენდა პასიურობას ხანძრის ჩაქრობაში და რა მოტივით ან განსაკუთრებულ დაინტერესებას ხანძრის რომელიმე ობიექტისადმი და სხვ.

ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე პირების დაკითხვისას საჭიროა გაირკვეს და აიხსნას: როგორ მიმდინარეობდა ხანძრის ჩაქრობა; რა ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული მის ჩასაქრობად; საიდან განვითარდა ხანძარი და რა მიმართულებით; განსაკუთრებით ხანძრის ობიექტის რომელი ნაწილის ჩაქრობა გაძნელდა და რატომ; ხანძრის ჩაქრობისას ხომ არ შეუგრძვნიათ რაიმე სპეციფიკური სუნი; ხანძრის ჩასაქრობად მოსულებს შემთხვევის ადგილზე ხომ არ შეხვდათ ხანძრის ჩაქრობის რაიმე ხელშემშლელი გარემოებები და იგი ხომ არ იყო სპეციალურად მოწყობილი ხანძრის ინტენსიურად გავრცელების მიზნით; რა იყო ხანძრის გამომწვევი მიზეზი, ხომ არ იყო იგი გამოწვეული რაიმე ბუნებრივი მოვლენით ან ცეცხლის წაკიდებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში როგორ, რა ხერხებითა და საშუალებებით შეიძლება მომხდარიყო ცეცხლის წაკიდება; ხანძრის გაჩენა ხომ არ იყო გამოწვეული ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევით და ვის ევალებოდა მისი დაცვა; ხომ არ დაუნახავთ, რომ ხანძრის წინა დღეებში იქიდან ვინმეს გამოეტანა ავეჯი ან სხვა რაიმე ძვირფასი ნივთები და სხვ.

დაზარალებული პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დაკითხვით უნდა გაირკვეს თუ ხანძრის გაჩენის მომენტში სად და რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი და შეეცადა თუ არა ხანძრის ჩაქრობას და ამ მიზნით რა მოიმოქმედა, გამოიყენა თუ არა იქ არსებული ხანძარსაწინაარმდეგო პირველადი ტექნიკური საშუალებები, წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ვერ გამოიყენა იგი; რით და რა სახის დაზიანებები მიიღო; ვინ ეხმარებოდა მას ხანძრის ჩაქრობაში ან იქიდან გამოყვანაში; ხანძრის გაჩენამდე ან მის შემდეგ ხომ არ შეუმჩნევია იქ ვინმე უცხო დაინტერესებული პირი და ხომ არ გამოუჩენია მას პასიურობა ან ხანძრის რომელიმე ობიექტისადმი განსაკუთრებული დაინტერესება; შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი რომელიმე ნივთმტკიცებიდან ხომ არ იცის ვის ეკუთვნის იგი და მისი მფლობელი შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო ხანძრის გაჩენის იმ ადგილზე, სადაც ეს ნივთმტკიცება იქნა აღმოჩენილი; მისი აზრით რას შეიძლება გამოეწვია ხანძარი და რამ შეუწყო ხელი მის განვითარებას; ვინ შეიძლება ყოფილიყო ხანძრით დაინტერესებული ან ხომ არავის გა-

მოუთქვამს მუქარა ცეცხლის წაკიდებისა, ან ხანძრის გაძლიერებისა და გავრცელების მიზნით ხომ არავინ ახდენდა ცეცხლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას; კონკრეტულად რა სახის საგნები და ობიექტები იქნა დაზიანებული და განადგურებული და სხვ.

სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიებისას ერთ-ერთი პირველადი მოქმედებაა და მისი დროული ჩატარება ხელს უწყობს გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კატეგორიის საქმეებზე უფრო ხშირად აუცილებელია პირველ რიგში დაინიშნოს და ჩატარდეს სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, როცა ხანძრის შედეგად პიროვნებამ ან პირთა ჯგუფმა მიიღო სხეულის დაზიანება ან როცა მას მოჰყვა პირთა დაღუპვა.

სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები: რამ გამოიწვია და რა იყო ხანძრის წარმოქმნის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, სად მდებარეობდა ხანძრის გაჩენის წყარო; ჰქონდა თუ არა ადგილი ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევას და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი და შეიძლებოდა თუ არა ამ დარღვევას გამოეწვია ხანძარი; ხანძრის ობიექტზე არსებულ საგნებსა და ობიექტებს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლებოდა თუ არა მოჰყოლოდა თვითაალება, აფეთქება ან ხანძრის გაჩენა; შეიძლებოდა თუ არა მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას მოჰყოლოდა ხანძარი ან აფეთქება; ხანძარი ხომ არ იყო გამოწვეული ელექტრო გაყვანილობის დაზიანებით ან გაზქურების არასწორი ხმარებით და სხვ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად შეიძლება დაისვას კითხვები: რამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი; როდის დადგა დაზარალებულის სიკვდილი ხანძრით მიღებული სიდამწვრის შემდეგ თუ მანამდე; ხანძრით გამოწვეული სიდამწვრე დაზარალებულმა მიიღო სიცოცხლეში, თუ სიკვდილის შემდეგ; სხეულის რა სახისა და ხარისხის დაზიანებები (სიდამწვრე) აქვს დაზარალებულს მიღებული და სხვ.

ეჭვმიტანილის დაკავება, ჩხრეკა, შემოწმება და დაკითხვა ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებული მოქმედებებია და მათ სწორად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მოცემული კატეგორიის საქმეთა სრული,

ყოველმხრივი გახსნა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. მონაცემები ხანძრის გამჩენი ეჭვმიტანილი პირის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებითა და ყველა ზემოთგანხილული საგამოძიებო მოქმედებებით. კერძოდ, შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერებით, სახანძრო-ტექნიკური და სხვა სახის ექსპერტიზების ჩატარებით, მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვებით და სხვ., რომელთა საფუძველზე უნდა შედგეს გეგმა მისი დაძებნისა და დაკავების შესახებ.

ეჭვმიტანილის დაკავებისთანავე მას უნდა ჩაუტარდეს პირადი ჩხრეკა. ამასთან თუ მისი დაკავება მოხდა თავის საცხოვრებელ ბინაში ან სამუშაო ოთახში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ ობიექტების ჩხრეკაც. ასევე გადაუდებლივ უნდა ჩატარდეს მისი შემოწმება, მისი ტანსაცმლისა და სხეულის გულმოდგინედ დათვალიერება, რათა აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს მასთან დარჩენილი ცეცხლის წაკიდების საშუალებების ნარჩენები, ხანძრის შედეგად დამწვარი საგნების და ობიექტების ამსახველ სიაში მითითებული ამა თუ იმ დასახელების ძვირად ღირებული საგნები (როცა არსებობს ვერსია, რომ ცეცხლის წაკიდება მოხდა სხვა კიდევ უფრო მძიმე დანაშაულის — სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების, გაძარცვის და ხსვ. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით), ხანძრის ადგილზე ცეცხლის წაკიდების დროს მის ტანსაცმელზე ან სხეულზე არსებული დანაშაულის ჩადენის ნიშნებზე მიმთითებელი კვალი (თმების შეტრუსვა, სხეულის სიდამწვრის მიღება, ტანსაცმელზე ცეცხლის გამჩენი საწვავის სუნი ან ქიმიური ნივთიერებების ნაწილების კვალი და სხვ.); მისი საქმიანობის ხანძრის ობიექტის სპეციფიკასთან დაკავშირებულ გარემოებებზე მიმთითებელი დოკუმენტები, როცა იგი უარყოფს თავის კავშირს ხანძრის ობიექტთან ან იქ ყოფნის ფაქტს და სხვ. დანაშაულის ნიშნებზე მიმთითებელ მასთან აღმოჩენილ ამგვარი სახის კვალის საგნების, ობიექტებისა და გარემოებების ახსნის შესახებ ამომწურავი პასუხი უნდა იქნეს მიღებული მისი ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის დროს.

ეჭვმიტანილის დაკითხვის დროს ამომწურავი პასუხი უნდა იქნეს გაცემული ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: სად და ვისთან იმყოფებოდა იგი ხანძრის გაჩენის დროს, რა კავშირი ჰქონდა მას ხანძრის ობიექტთან, როდის გაიგო მან ხანძრის გაჩენის შესახებ და როდის მივიდა იგი ხანძრის ობიექტთან, რა მონაწილეობა მიიღო ხანძრის ჩაქრობაში; როგორ აღმოჩნდა

შემთხვევის ადგილზე მისი კუთვნილი ნივთები ან პირიქით ხანძრის ობიექტის კუთვნილი საგნები მის სახლში, ხანძრის დამახასიათებელი ნიშნები და კვალი მის სხეულსა და ტანსაცმელზე და სხვ.; თუ აღიარებს, რომ მან წაუკიდა ცეცხლი, საჭიროა გაირკვეს თუ როგორ, რატომ, რისთვის, რა მოტივითა და მიზნით ჩაიდინა იგი და სხვ.!

თუ ხანძარი გაჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის შედეგად, საჭიროა სრულყოფილად აიხსნას მისი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, რა მიზეზობრივი კავშირი არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დამცველი პირის მოქმედებას ან უმოქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის და სხვ., რომელთა დადგენის მიზნით საჭიროა საქმეზე მიღებული მონაცემებით სწორად განისაზღვროს შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო და პროცესუალურ მოქმედებათა წრე, მათი ჩატარების თანმიმდევრობა და ტაქტიკა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კატეგორიის საქმეებზე შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებად გვევლინება: ამოცნობა, დაპირისპირება; საგამოძიებო ექსპერიმენტი და ჩვენების ადგილზე შემოწმება; სასამართლო ვეტერინარული ექსპერტიზა, როცა ხანძრის შედეგად დაიღუპა საქონელი; კრიმინალისტიკური სახის ექსპერტიზები; სასაქონლო, ქიმიური, ელექტრო ტექნიკური და სხვა სახის ექსპერტიზების დანიშვნა; ბრალდებულის დაკითხვა; ექსპერტების დაკითხვა და სხვა პროცესუალური მოქმედებები, რომელთა სწორი, თანმიმდევრული ჩატარება საშუალებას იძლევა მოხდეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების დადგენა, საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. თითოეული ამ მოქმედების ჩატარების ტაქტიკის შერჩევა და მათი ჩატარების თავისებურება ბევრადაა დამოკიდებული თვით ცალკეული, კონკრეტული სახის გამოსაძიებელი შემთხვევის თავისებურებაზე და იგი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი გამოძიების დროს. ამასთან სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული ხანძრის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი პირობების თავიდან ასაცილებლად და ამ მიზნით გაკეთებული იქნეს სწორი, დასაბუთებული წარდგინება ზემდგომ შესაბამის ორგანოებში.

სარჩევი

III განყოფილება

კრიმინალისტიკური (საგამოძიებო) ტაქტიკა

XVI თავი კრიმინალისტიკური ტაქტიკის ზოგადი საფუძვლები
§1 კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება და არსი ____ 5
§2 კრიმინალისტიკური ტაქტიკის პრინციპები ____ 11
§3 ტაქტიკური ხერხების ცნება და მათი გამოყენების კრიტერიუმები ____ 14

XVII თავი გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა
§1 გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ცნება და მნიშვნელობა ____ 17
§2 გამოძიების დაგეგმვის პრინციპები ____ 19
§3 გამოძიების დაგეგმვის ტექნიკა ____ 20
§4 საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვა ____ 22

XVIII თავი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა
§1 შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და არსი ____ 25
§2 შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადება ____ 31
§3 შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხები ____ 33
§4 შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფიქსაცია ____ 38
§5 შემთხვევის ადგილის ცალკეული სახეების დათვალიერების თავისებურება ____ 41

XIX თავი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა
§1 საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება და არსი ____ 45
§2 საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება ____ 48
§3 საგამოძიებო ექსპერიმენტის ტაქტიკური ხერხები და შედეგების შეფასება ____ 52
§4 საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია ____ 55

XX თავი ჩვენების ადგილზე შემოწმების ტაქტიკა
§1 ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება, არსი და მნიშვნელობა ____ 57
§2 ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა ____ 62
§3 ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ფიქსაცია ____ 65

XXI თავი ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკა
§1 ჩხრეკისა და ამოღების ცნება და არსი 67
§2 ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება 73
§3 ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკური ხერხები 76
§4 ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსაცია 82

XXII თავი დაკითხვის ტაქტიკა
§1 დაკითხვის ტაქტიკის ცნება და არსი 84
§2 დაკითხვის მომზადების ტაქტიკური ხერხები 87
§3 ჩვენების ფორმირების პროცესი 91
§4 დაკითხვის ზოგადი ტაქტიკური ხერხები 98
§5 მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურება 104
§6 ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურება 107
§7 დაკითხვის ტაქტიკური ხერხები დაპირისპირების დროს 111
§8 დაკითხვის სხვა სახეების ტაქტიკური თავისებურებანი 114
§9 დაკითხვის შედეგების ფიქსაცია 123

XXIII თავი ამოცნობის ტაქტიკა
§1 ამოცნობის ტაქტიკის ცნება და არსი 125
§2 ამოცნობის მომზადების ტაქტიკური ხერხები 128
§3 ამოცნობის ტაქტიკური ხერხები 131
§4 ამოცნობის შედეგების ფიქსაცია 138

XXIV თავი ექსპერტიზის ჩატარების ტაქტიკა
§1 ექსპერტიზის ცნება და არსი 140
§2 ექსპერტიზის დანიშვნის მომზადება და ტაქტიკა 142
§3 ექსპერტის დასკვნა და მისი შეფასების ძირითადი პირობები 149

IV განყოფილება

დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა

XXV თავი დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ზოგადი დებულებანი
§1 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ცნება 156
§2 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სისტემა 158
§3 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურა 159
§4 დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის პრინციპები 166

XXVI თავი დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება
§1 დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ცნება, არსი და მნიშვნელობა 169
§2 საგამოძიებო სიტუაციის ცნება, არსი და მისი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა 177

XXVII თავი სახელმწიფო და კოლექტიურ ქონების დატაცებათა გამოძიება
I. თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დატაცებათა გამოძიება
§1 დატაცებათა კრიმინალისტიკური დახასიათება. საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი 182
§2 პირველდაწყებითი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებანი. დატაცებათა ჩადენის ხერხების დადგენა 188
§3 დატაცებათა თავისებურება ჩაის დამზადების სფეროში 205
II. გარეშე პირთა მიერ ჩადენილ სახელმწიფო და კოლექტიურ ქონების დატაცების გამოძიება
§1 დატაცებათა კრიმინალისტიკური დახასიათება. საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი 213
§2 პირველდაწყებითი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებანი. დანაშაულის ჩადენის ხერხების დადგენა 216

XXVIII თავი მკვლელობის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა
§1 მკვლელობის კრიმინალისტიკური დახასიათება 223
§2 პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებანი 226
§3 საგამოძიებო ვერსიები და გამოძიების დაგეგმვა 232
§4 მკვლელობის ჩადენის ხერხთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიების თავისებურება 236

XXIX თავი გაუპატიურების საქმეთა გამოძიების მეთოდიკა
§1 გაუპატიურების კრიმინალისტიკური დახასიათება 245
§2 მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 250
§3 საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა 252
§4 საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები 255

XXX თავი შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა
§1 შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის არსი და კრიმინალისტიკური დახასიათება 265
§2 შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა 272
§3 შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება 276
§4 შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე შემდგომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თავისებურება 281

XXXI თავი ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა
§1 ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის კრიმინალისტიკური დახასიათება 287
§2 ქურდობის საქმეთა გამოძიების თავისებურებანი 290
§3 გაძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმის საქმეთა გამოძიების თავისებურებანი 294

XXXII თავი თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა
I მატერიალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიება
§1 მატერიალური შემადგენობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება 299
§2 მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 304
§3 საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა 307
§4 საგამოძიებო მოქმედებანი და მათი ჩატარების თავისებურება 314

II ფორმალური შემადგენლობის მქონე თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიება
§1 მექრთამეობისა და სამსახურებრივი სიყალბის კრიმინალისტიკური დახასიათება 318
§2 მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 321

§3 საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა 321
§4 საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა 326

XXXIII თავი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა
§1 მოძრაობის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის კრიმინალისტიკური დახასიათება 337
§2 სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა 341
§3 პირველდაწყებითი გადაუდებელი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა 347

XXXIV თავი ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა
§1 ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დანაშაულებრივი დარღვევის კრიმინალისტიკური დახასიათება 356
§2 საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა 363
§3 საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა 367